გრიგოლ ჯოხაძე
ევრაზიული საცდური
პოლიტიკურ-ისტორიული და
ფილოსოფიური ასპექტები

გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2015

შოთა რუსთაველის ეროვნული
სამეცნიერო ფონდი
Shota Rustaveli National Science Foundation

გიორგი ახვლედიანის სახელობის
ენათმეცნიერების ისტორიის საზოგადოება
Giorgi Akhvlediani Society for the History of Linguistics

GRIGOL JOKHADZE

EURASIAN TEMPTATION:

POLITICAL, HISTORICAL AND PHILOSOPHICAL ASPECTS OF EURASIAN THEORY

შოთა რუსთაველის ეროვნული
სამეცნიერო ფონდი
Shota Rustaveli National Science Foundation

გიორგი ახვლედიანის სახელობის
ენათმეცნიერების ისტორიის საზოგადოება
Giorgi Akhvlediani Society for the History of Linguistics

გრიგოლ ჭოხაძე

ევრაზიული საცდური:

პოლიტიკურ-ისტორიული და ფილოსოფიური ასპექტები

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის „ევრაზიულობის თეორია და საქართველო“ (დ 13/13) - ფარგლებში მომზადდა და დაიბეჭდა ორი სამეცნიერო მონოგრაფია:

თინათინ ბოლქვაძე, ენობრივი კავშირი: ევრაზიულობის თეორიის გეოლინგვისტური პრობლემები, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2015

გრიგოლ ჯოხაძე, ევრაზიული საცდური: პოლიტიკურ-ისტორიული და ფილოსოფიური ასპექტები, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2015

Within the project financed by Shota Rustaveli National Foundation "Eurasian Theory and Georgia" (d 13/13) have been prepared and published two monographs:

Tinatin Bolkvadze, Language Union: Geolinguistic Problems of the Eurasian Theory, “Universal”,2015

Grigol Jokhadze, Eurasian Temptation: Political, Historical and Philosophical Aspects, “Universal”, Tbilisi, 2015

UDC(უაკ) 32(4/5)+101(4/5)
ჯ-77

სამეცნიერო პროექტი „ევრაზიული თეორია და საქართველო“ (გრანტი დ-13/13) განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. წიგნში გამოთქმული მოსაზრებანი ეკუთვნის ავტორს და, შესაძლოა, არ ასახავდეს ფონდის შეხედულებებს.

The project „Eurasian Theory and Georgia” has ben made possible by financial support from the Shota Rustaveli Science Foundation (Grant d 13/13). All ideas exressed herewith are those of the author and may not represent the opinion of the Foundation itself.

რედაქტორი **დოდონა კიზირია**
ინდიანის უნივერსიტეტის პროფესორი – ემერიტუსი

Edited by **Dodona Kiziria**
Emeritus Professor at Indiana University

გარეკანი გაფორმდა ნინი სანადირაძის ესკიზ „ჩემი სიზმრის ქალაქის“ რეპროდუქციით

Book Cover - The Sketch „City from My Dreams" by Nini Sanadiradze

www. Rustaveli. org.ge
უფასო გამოცემა

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2015
თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-22-657-1

მადლიერების ნიშნად

ამ წიგნის დაწერის იდეა თუ მანამდე მხოლოდ ორიოდ სტატიის გამოქვეყნებითა და საჭირო ლიტერატურის შტუდირებით გამოიხატებოდა, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ პროექტის - „ევრაზიული თეორია და საქართველო“ - შერჩევამ და დაფინანსებამ იდეა მალე ვალდებულებად აქცია, რისთვისაც ზემოთ ხსენებული ფონდის მესვეურთა მადლიერი ვარ.

პროექტის რეალიზებისათვის ჩემთან ერთად სამი მეცნიერი იღვწოდა: დოდონა კიზირია, თინათინ ბოლქვაძე და ნათია ფუტკარაძე, რომელთაც მადლობას მოვახსენებ ამ სამი წლის განმავლობაში გაწეული დახმარებისა და თანადგომისათვის.

მონოგრაფია ვერ დაიწერებოდა იმ მასალათა მიკვლევისა და სათანადო დამუშავების გარეშე, რაც პრაღის სლავური და ტურგენევის პარიზული ბიბლიოთეკების თანამშრომელთა დიდსულოვანი დახმარებით შევძელი: ამისთვის გულწრფელად ვმადლობ მათ.

მადლობელი ვარ ჩემი აქაური თუ უცხოელი კოლეგებისა, რომელთა წინაშეც საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციათა ფარგლებში მოხსენებათა თუ სტატიათა სახით არაერთხელ წარმიდგენია მონოგრაფიაში დასმულ პრობლემათა ჩემეული ინტერპრეტაციები, მომისმენია და გამითვალისწინებია მათი საქმიანი და საჭირო შენიშვნები.

შინაარსი

მადლიერების ნიშნად 6
რედაქტორის წინათქმა 9
შესავალი..... 26
ბიბლიოგრაფიული შტუდიები 35
სლავოფილური პროლოგი 121
ინტელექტუალური ელიტა - რუსეთს მიღმა 137
ევრაზიული დრამის პერსონაჟები..... 139
ფილოსოფიური პარადიგმა 160
ისტორია - ევრაზიელთა სამსახურში 174
ევრაზია როგორც საბჭოეთის ალტერნატივა..... 183
„ევრაზიული“ საქართველო..... 191
ქრესტომათია..... 217
ნ. ტრუბეცკოი, კავკასიელ ხალხთა შესახებ 217
პ. ნ . სავიცკი, ევრაზიულობის გეოგრაფიული და გეოპოლიტიკური საფუძვლები..... 223
პ. პ. სუვჩინსკი, უღონოთა ძალღონე 230
ნიკოლაი ბერდიაევი, ევრაზიელთა უტოპიური ეტატიზმი . 234
Summary 224
გამოყენებული ლიტერატურა..... 233

CONTENT

Acknowledgement 6
Editor's Preface 9
Introduction 26
Bibliographic Studies 35
Slavophil's' Prologue 121
Russian Intellectual Elite Abroad 137
Characters of Eurasian Drama 139
Philosophical Paradigm 160
History in Service of Eurasians 174
Eurasia as an alternative of USSR 183
„Eurasian" Georgia 191
Anthology 217
N. Trubetskoy, On Caucasian Nations 217
P. Savitsky, Geographical and Geopolitical Foundations of Eurasianism 223
P. Suvchinsky, Force of the Weak 230
N. Berdyaev, The Utopian Etatism of Eurasians 234
Summary 224
Bibliography 233

რედაქტორის წინათქმა

ლევ გუმილიოვის პასიონარულობის თეორია და ეთნოგენეზი[1]

Es ist nichts Grosses ohne Leidenschaft vollbracht worden, noch kann es ohne solche vollbracht warden".
Georg W. F. Hegel[2]

„არაფერი დიადი არასოდეს მომხდარა ძლიერი ემოციის გარეშე, ვერც მოხდება რაიმე ამგვარი უიმისოდ".
გეორგ ვ. ფ. ჰეგელი

I. პრეამბულა

მეოცე საუკუნის ახალ-ახალმა აღმოჩენებმა ისტორიის, არქეოლოგიის, სოციოლოგიის, ფსიქოლოგიისა და სხვა მონათესავე სფეროებში, ტექნოლოგიური და საინფორმაციო საშუალებათა უსწრაფეს განვითარებასთან ერთად ისტორიოგრაფიისადმი განსაკუთრებული ინტერესი გააღვივა.

კაცობრიობის განვითარების როგორი პარადიგმები არსებობს? რა მიზეზები გამოიწვევს ამა თუ იმ ცივილიზაციის აღმავლობას ან დაკნინებას? როგორია მისი მომავალი ატომური ეპოქისა და დღეს უკვე მზარდი გლობალიზაციის პირობებში?

ამ პრობლემების შესახებ საკმაოდ ბევრი შრომა გამოქვეყნდა. წინამდებარე სტატია ერთ-ერთი მათგანის, კერძოდ, ლევ გუმილიოვის ზოგიერთი ისტორიოგრაფიული იდეის ანალიზია.

უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში რუსი მეცნიერის, ლევ ნიკოლოზის ძე გუმილიოვის (1912-1992) სახელი დიდი პოპულარობით სარგებლობს რუსეთში. თუ დედის, სახელგანთქმული პოეტის, ანა ახმატოვას სახელი - ვერა, მამამისის, 1921 წელს ბოლშევიკების მიერ დახვრე-

[1] პროფ. დოდონა კიზირიამ შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული სამეცნიერო პროექტის -„ევრაზიულობის თეორია და საქართველო" ფარგლებში მოამზადა სპეციალური სალექციო კურსი, რომელსაც კითხულობს ინდიანის უნივერსიტეტში. აქ იბეჭდება ამ კურსის ერთი ფრაგმენტი.

[2] *Encyclopadie der philosophischen Wissenschaften*; 1930 წ., ტომი 5, გვ. 413, პარაგრაფი 474. ჰეგელის ტერმინი - Leidenschaft უკეთ ესადაგება ინგლისურსა და ფრანგულში მიღებულ სიტყვას passion, რომელიც ლათინური passio-დან მომდინარეობს. ქართულად მისი ზუსტი შესატყვისი არ არსებობს.

ტილი პოეტ ნიკოლოზ გუმილიოვის სახელი მან ნამდვილად დაჩრდილა. იგი ერთ-ერთია ევრაზიულობის თეორიის იმ ავტორთაგან, რომელიც, შეიძლება ითქვას, ამჟამად ყველაზე აქტიურად განიხილება პოლიტიკით დაინტერესებულ რუს ინტელექტუალთა წრეებში. ევრაზიულობის თეორიას გუმილიოვმა ორი საინტერესო, თუმცა, გარკვეული თვალსაზრისით, საკმაოდ ეზოთერული იდეა შემატა: ეთნოგენეზისა და პასიონარობის ფენომენის თეორიები. ეს საკითხი მან დაწვრილებით განიხილა ნაშრომში „ეთნოგენეზი და დედამიწის ბიოსფერო“.[3]

II. ეთნოგენეზი - ისტორიის ციკლური განვითარება

გუმილიოვის ტერმინოლოგიით, ეთნოგენეზი აღნიშნავს ეთნოსების წარმოშობის, განვითარებისა და საბოლოო დაკნინების ერთიან პროცესს.[4] პასიონარობის თეორია მჭიდრო კავშირშია ეთნოგენეზის იდეასთან, ამიტომ საჭიროა მისი არსის განმარტება.

გუმილიოვის აზრით, ნებისმიერი ეთნოსის სიცოცხლის ხანგრძლივობა, დაახლოებით, 1200-1500 წელია, თუმცა იშვიათად იგი, შესაძლოა, უფრო დიდხანს გაგრძელდეს. ყოველი ეთნოსი, მისი წარმოშობის დროიდან - გაქრობამდე, თანამიმდევრულად გადის რამდენიმე ფაზას. ყველა ამ ფაზაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეთნოსის პასიონარულობის დონე, მასში პასიონარული ანუ განსაკუთრებით აქტიური პიროვნებების რიცხვი, რაზეც ქვემოთ ვიმსჯელებთ.

1. აღმავლობის ფაზა (фаза подъема) გამოფხიზლების პირველადი პერიოდია, როცა ეთნოსში ჩნდებიან პასიონარული პიროვნებები და იწყებენ არსებული აპათიისგან მის გამოღვიძებასა და გარდაქმნას. ამ პერიოდში ეთნოსის პასიონარული ენერგია განუწყვეტლივ იმატებს.

2. აკმატიური ფაზის (акматическая фаза) ანუ უმაღლესი აქტიურობის დროს პასიონარული ენერგია მაღალია, მაგრამ აღარ იზრდება: არადა, ენერგიული დაძაბულობა ისეთ დონეზეა, რომ ეთნოსი „პასიონარულად ხურდება“ (пассионарный перегрев), რის გამოც ეს ენერგია მის საზღვრებს სცდება და იწყება ტერიტორიული ექსპანსია.

3. გარდატეხის ფაზაში (фаза надлома) პასიონარული ენერგია თანდათანობით მცირდება და ეს პერიოდი რეტროსპექტულად „ოქროს ხანად“ განიხილება, როცა მეცნიერებისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგები სწრაფად და მრავალმხრივად ვითარდება.

4. ინერციული ფაზა (инерционная фаза) ხასიათდება პასიონარულობის უფრო მეტი კლებით, როცა ეთნოსის მთავარი საზრუნავი ხდება

[3] Этногенез и биосфера земли, изд. Астрель, М. 2006.

[4] ამ თემაზე მუშაობა გუმილიოვმა ჯერ კიდევ 1974 წელს დაიწყო და მასთან დაკავშირებული სტატიები და წიგნები არაერთხელ გამოსცა. აღნიშნული წყარო ამ ნაშრომის ყველაზე სრული გამოცემაა. შემდგომი ციტატები აქედან არის აღებული.

საკუთარი კეთილდღეობა და კომფორტი, მაგრამ ყოველგვარი რისკისა და თავგანწირვის გარეშე.

5. ობსკურაციის (обскурационная фаза) ანუ დაკნინების ფაზაში იზრდება მოსახლეობის სუბპასიონარების, მინიმალურად აქტიური პირების პროცენტი და ეთნოსი თანდათანობით უბრუნდება საწყის ჰომეოსტაზურ მდგომარეობას.

6. შემდეგი ეტაპი ეთნოსის სრული გაქრობაა, მტრის მიერ ფიზიკური განადგურების ან მასთან შერწყმის შედეგად. სხვა შესაძლებლობა მისი რელიქტური არსებობაა (реликтовая фаза) ისტორიულად მნიშვნელოვანი ყოველგვარი აქტიურობის გარეშე, როგორც წარსულის უკვე გაცვეთილი მემორიალი. აღნიშნულ გზას გადის უკლებლივ ყველა ეთნოსი და, საბოლოოდ, სუპერეთნოსებიც, რასაც გუმილიოვი რამდენიმე გენეტიკურად ან სივრცობრივად მონათესავე ეთნოსთა ერთიანობას უწოდებს.

III. გუმილიოვის თეორიის წინამორბედები

ეთნოგენეზის გუმილიოვისეული განმარტება ეწინააღმდეგებოდა არა მარტო საბჭოთა კავშირში მიღებულ ისტორიის მარქსისტულ გაგებას, არამედ - საერთოდ, კაცობრიობის უწყვეტი პროგრესული განვითარების იდეასაც. ამ მხრივ, მისი თეორია აბსოლუტურად ახალი როდია. ისტორიის ასეთივე ინტერპრეტაციას გვთავაზობენ თავიანთ ნაშრომებში ოსვალდ შპენგლერი და არნოლდ ტოინბი. გერმანელმა მეცნიერმა, ოსვალდ შპენგლერმა პირველი მსოფლიო ომის პერიოდში შექმნილ ცნობილ ნაშრომში - „დასავლეთის დაკნინება“ პირველად წამოაყენა კულტურათა თანამიმდევრული აღმოცენებისა და დაცემის იდეა.[5] მისი დებულებები ერთგვარად მეტაფიზიკურია და წარმოგვიდგენს ხალხების ისტორიას, როგორც მათი ბედისწერით განსაზღვრულ პროცესს, რომელიც, დაახლოებით, 1000 წელი გრძელდება. იგი განიხილავს რამდენიმე დიდ ან, როგორც გუმილიოვი იტყოდა, სუპერეთნიკურ კულტურას და ხაზს უსვამს ყოველი მათგანისთვის დამახასიათებელ „პირველად სიმბოლოს“, მათი შინაგანი სულიერი სტრუქტურის გამომხატველ სუბსტანციას. სწორედ ეს „პირველადი სიმბოლო“ განსაზღვრავს მათ ბედისწერას. მაგალითად, ძველი ბერძნულ-რომაული ან, როგორც ავტორი უწოდებს, „აპოლონური“ კულტურის მსოფლმხედველობას ყველაზე კარგად გამოხატავს სკულპტურა, ფიზიკურად სრულყოფილი, სივრცობრივი და ჰარმონიული. შუა საუკუნეებში აღმოცენებულ რელიგიური ვნებებით დატვირთულ კულტურებს (ქრისტიანულსა და ისლამურს) შპენგლერი „მაგიურ“, ყოფიერების საიდუმლოებით შთაგონებულ კულტურებად ნათლავს.

როცა კულტურის „პირველადი სიმბოლო“ სრულად რეალიზდება, იწურება მისი შემოქმედებითი განვითარების პერიოდი, იგი გადადის ცივილიზაციის ფაზაში და ნელ-ნელა კნინდება. ეს სიტუაცია შეეფარდება გუმილიოვის ინერციულ და შემდგომ - ობსკურაციულ ფაზებს. შპენგლე-

[5] Oswald Spengler (1880-1996), *Der Untergang des Abendlandes*, 1918-1923;

რის მიხედვით, ამ უკანასკნელშია დასავლეთის ქრისტიანული კულტურა, რომელსაც იგი „ფაუსტურს“ არქმევს. შპენგლერის აზრით, „ფაუსტური“ კულტურა ერთ-ორ საუკუნეში დაამთავრებს მსოფლიო ისტორიისთვის მნიშვნელოვან პერიოდს. საინტერესოა, რომ შემდგომ აღმავალ კულტურად შპენგლერი სლავურ სამყაროსა და, კერძოდ, რუსეთს ასახელებს. რომ არა ევრაზიული თეორიების მომხიბვლელობა, რომელმაც ამჟამად თითქმის გადაფარა სხვა ისტორიოგრაფიული მოოსაზრებანი, მისი ნაშრომი დღევანდელი რუსი ინტელიგენციისათვის უაღრესად პოპულარული იქნებოდა.

კაცობრიობის ისტორიის ციკლური განვითარების მასშტაბური სურათი აღწერა ინგლისელმა ისტორიკოსმა, არნოლდ ტოინბიმ თავის თორმეტტომიან ფუნდამენტურ ნაშრომში - „ისტორიის გაკვეთილები.“[6] ტოინბის აზრით, ცივილიზაციის აღმოცენებისა და განვითარების პროცესის დასაწყებად საჭიროა ორი მთავარი კომპონენტი - გამოწვევა და პასუხი. ორივე მათგანი სრულიად სხვადასხვა ხასიათისაა. გამოწვევა შეიძლება იყოს: ბუნებრივი მოვლენები (მაგალითად, ნილოსის სეზონური წყალდიდობები ძველ ეგვიპტეში), გარეშე მტრის შემოსევა ან კიდევ რაიმე სხვა. ამ პრობლემების პასუხიც სხვადასხვაგვარია: ექსპანსია, ახალი საარსებო წყაროს გამონახვა, ეკონომიკის გარკვეული სფეროს განვითარება და ა.შ. ტოინბი შპენგლერივით არ უპირისპირებს ერთმანეთს კულტურასა და ცივილიზაციას. კულტურა ცივილიზაციის სპეციფიკაა. უკლებლივ ყველა ცივილიზაცია გადის ისტორიული კულტუროგენეზის ეტაპებს. განსხვავება ისაა, რამდენად ადეკვატურად უპასუხებს ესა თუ ის ცივილიზაცია მისკენ მიმართულ გამოწვევას.

გუმილიოვის მსგავსად, ტოინბი ხაზს უსვამს ენერგიული და ქარიზმატული პიროვნებების როლს ამა თუ იმ ცივილიზაციის აღმოცენებასა და განვითარებაში. მათზე ხშირად არის დამოკიდებული გამოწვევებზე ადეკვატური პასუხის გაცემა. თუ პასუხი ძალზე სუსტი ან არაადეკვატურია, ცივილიზაცია კნინდება ან სრულ კრახს განიცდის. ტოინბი მიიჩნევს, რომ დასავლეთის ცივილიზაცია, რომელიც გულისხმობს ევროპას, ამერიკასა და ავსტრალიას, კნინდება მაშინ, როცა იგი უნივერსალურ ხასიათს იღებს, მსოფლიო ქვეყანათა უმრავლესობისათვის მიღებულ სისტემად იქცევა და სწორედ ამიტომ ირღვევა, ქარწყლდება და მისი ფუნდამენტური ფასეულობები ბუნდოვანდება. ეს ახალი გამოწვევაა, რომელიც დასავლურმა ცივილიზაციამ უნდა გადალახოს.

კიდევ ერთი, ვინც სოციოლოგიურ ევოლუციასთან დაკავშირებით გუმილიოვთან ერთად მოიხსენიება, პიტირიმ სოროკინია. ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაშრომში - „ადამიანი. ცივილიზაცია. საზოგადოება“[7] იგი სა-

[6] Arnold J. Toynbee (1889- 1975), *A Study of History*, 1934-1961;

[7] П. А. Сорокин (1889-1968), «Человек. Цивилизация. Общество», М.: Политиздат, 1992. ამ წიგნში გამოთქმული იდეები სოროკინს უფრო ადრე აქვს დამუშავებული სხვადასხვა ნაშრომში ამერიკაში მოღვაწეობის დროს. იხ. მაგალითად, *Society, Culture, and Personality: Their Structure and Dynamics, A System of General Sociology*,

ზოგადოების სოციალურ სტუქტურაზე, მისი სტრატიფიკაციის მიზეზებსა და ფასეულობებზე ლაპარაკობს, რომლებიც ნებისმიერ საზოგადოებას ახასიათებს და მის თავისებურებებს განსაზღვრავს. საზოგადოების ევოლუციური და რევოლუციური (ანუ პასიონარული აფეთქების) განვითარების გზებიდან იგი უპირატესობას პირველს ანიჭებს. ცივილიზაცია ხალხთა ისტორიული კავშირია, რომელიც გაერთიანებულია რაიმე ტიპის მსოფლმხედველობით (იდეალები, ფასეულობები, შემეცნების მეთოდი და სხვ). კაცობრიობის ისტორიამ იცის განვითარების სამი ტიპი. ერთია იდეაციონური ცივილიზაცია (**идеационная цивилизация**), რომელიც ემყარება ამა თუ იმ რელიგიურ მსოფლმხედველობას და, უმთავრესად, შუა საუკუნეებში იყო გავრცელებული. მისი მიზანი ადამიანის სულის გადარჩენა-შეწყალებაა. მეორეა სენსიტიური ცივილიზაცია (**сенситивная цивилизация**), რომელიც მატერიალისტურ მსოფლმხედველობას ეფუძნება და კომფორტსა და სიმდიდრეს მიელტვის. მესამე, იდეალისტური ცივილიზაცია (**идеалистическая цивилизация**), პირველი ორის შერწყმას გულისხმობს და შეიძლება ჩამოყალიბდეს ინდუსტრიალიზაციის უკანასკნელ ფაზაში. ერთ-ერთ თავის ნაშრომში სოროკინი ლაპარაკობს არც თუ შორეულ მომავალში დასავლური კაპიტალიზმისა და საბჭოთა კომუნისტური სისტემების შერწყმაზე, რაც მსოფლიოს მონოპოლარულს გახდის.

გუმილიოვის და სხვა ევრაზიელი თანამოაზრეების იდეები ევროპულ და რუსულ კულტურათა ურთიერთსხვაობაზე უფრო ადრე გამოთქვეს ნიკოლოზ დანილევსკიმ და კონსტანტინე ლეონტიევმა, მაგრამ, გუმილიოვისაგან განსხვავებით, ისინი თანამიმდევრულად არ ეხებიან კაცობრიობის ისტორიული განვითარების პარადიგმებს .[8] მათი მოსაზრებები კონცენტრირებულია რუსეთის საკუთარი, ევროპისგან განსხვავებული ისტორიული განვითარების აუცილებლობაზე. სწორედ ეს დებულებები შეითვისეს ევრაზიული თეორიის დამფუძნებელმა მამებმა: ნიკოლოზ ტრუბეცკოიმ, პეტრე სავიცკიმ, გეორგ ვერნადსკიმ და სხვებმა, გუმილიოვის ჩათვლით.

IV. პასიონარულობის თეორია

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გუმილიოვის მიხედვით, ეთნოსი წარმოიშობა და ახლდება მასში პასიონარული ტემპერამენტის მქონე პიროვნებების გამოჩენით და, ამის შედეგად - პასიონარული განწყობის მკვეთრი ამაღლებით.[9] სიტყვა ,,პასიონარული“ ლათინური passio-დან მომდინარე-

---

Harper & Brothers Publishers, New York & London, 1947. მის ნაშრომებს რუსი მკითხველი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გაეცნო.

[8] Н. Я. Данилевский (1822-1885), «Россия и Европа», 1871; К.Н. Леонтьев, «Византия и славянство», 1875; Г.

[9] გუმილიოვი პასიონარულობის იდეას ავითარებს ზემოთ აღნიშნული ნაშრომის 22-26-ე თავებში, გვ. 253-298.

ობს და მას მთელი რიგი მნიშვნელობები აქვს: უაღრესად დაძაბული ემოცია, ვნება, მისწრაფება, მღელვარება და ტანჯვაც კი. პასიონარებს სწორედ ამგვარი იმპულსების გამომწვევი ფსიქიკური სტრუქტურა ახასიათებთ. ეთნოსი კრიტიკული პასიონარული დაძაბულობით ხასიათდება მაშინ, როდესაც ამგვარი პიროვნებების რიცხვითი კოეფიციენტი გარკვეულ დონეს მიაღწევს. მათი გააქტიურება არღვევს ეთნოსში არსებულ პასიურობას, აერთიანებს ხალხის უმრავლესობას და იწვევს ეთნოგენეზის განვითარების პროცესს. პასიონარულობა ერთგვარი ემოციური იმპულსია, რომელიც გაცილებით ძლიერია, ვიდრე - ნებისმიერი სხვა ინსტინქტი. ამგვარი ადამიანი მოტივირებულია „დაუოკებელი შინაგანი მისწრაფებით განპირობებული და მიზანმიმართული აქტიურობით, რაც უკავშირდება სურვილს, შეცვალოს არსებული გარემოცვა, სოციალური იქნება ეს თუ ბუნებრივი; ამ ზოგჯერ ილუზორული და თვით სუბიექტისთვის დამღუპველი მიზნის მიღწევა მისთვის თვით სიცოცხლესა და შთამომავლობის გაგრძელებაზე უფრო მნიშვნელოვანია“[10].

ვინაიდან პასიონარული იმპულსი ემოციის ანუ ქვეცნობიერების სფეროში წარმოიქმნება, იგი არ უკავშირდება მორალს და შეიძლება აღინიშნოს როგორც პოზიტიური, ისე - ნეგატიური ნიშნით. პატრიოტული სულისკვეთება, სიამაყე, პატივმოყვარეობა, განუზომელი სიხარბე თანაბრად პასიონარული გრძნობებია. მაშასადამე, ამგვარმა აქტიურობამ საზოგადოებას დადებითი შედეგიც შეიძლება მოუტანოს და უარყოფითიც, ავსაც სჩადიოდეს და კარგსაც. მათი გამიჯვნა საკმაოდ რთულია, რადგან პასიონარული ქმედებები ხშირად გულისხმობს როგორც უანგარო თვგანწირვას, ისე - მსხვერპლს.

პასიონარული განწყობა უაღრესად გადამდებია და, შეუძლია, აიყოლიოს ათობით და ასობით ათასი ადამიანი, შთააგონოს მათ, გადალახონ თითქმის შეუძლებელი წინააღმდეგობები. პასიონარულ პიროვნებათაგან იგი ჩამოთვლის ალექსანდრე მაკედონელს, რომის წინააღდეგ მებრძოლ ჰანიბალს, კორნელიუს სულას, ჟანა დარკს, იან ჰუსს, ნაპოლეონსა და სხვებს. ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პასიონარული პიროვნებების აქტიურობა სრულიად გამორიცხავს რაიმე პირად მატერიალურ მოგებას. იგი სუბიექტის შინაგან ემოციურ მოთხოვნილებებს ემსახურება. ალექსანდრე მაკედონელმა და ნაპოლეონმა უზარმაზარი ტერიტორიები დაიპყრეს, ეს უკანასკნელი საფრანგეთის იმპერატორიც იყო, შეეძლო, ფუფუნებით ცხოვრება და ათასნაირი პირადი სურვილისა და კაპრიზის დაკმაყოფილება. მაგრამ არც ერთსა და არც მეორეს არ ძალუძდა, დაეოკებინა თავიანთი დაუშრეტელი ენერგია.

პასიონარული ენერგიის განუსაზღვრელი ხანგრძლივობით შენარჩუნება შეუძლებელია. პასიონარების უმრავლესობა იღუპება გარეშე მტრებთან ბრძოლაში ან საკუთარი ეთნოსის წარმომადგენლებთან დაპირისპირების გამო. გარკვეული დროის განმავლობაში აკმატური აღმავლობის ფაზას მოსდევს შემოქმედებითი ენერგიის შესუსტება, ხოლო შემ-

[10] იქვე, გვ. 255

დეგ - მიღწეული დონის ინერციული გაგრძელება, რომელსაც გუმილიოვი საკუთარი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად მიმართულ, პრაქტიკულ-რაციონალურ აქტიურობას უწოდებს. ამ ფაზაში პასიონარული ენერგიით შეპყრობილ პირებს უმრავლესობა უკვე ამრეზით უყურებს და „ფანატიკოსებსა“ და „გიჟებს“ უწოდებს.

ამის შემდგომ ეთნოსს მხოლოდ თავდაცვითი ბრძოლის უნარი რჩება, რომელიც ასევე სუსტდება. იგი ვარდება ჰომეოსტასის აპათიურ ფაზაში და ბოლოს რომელიმე მეზობელი ეთნოსის მსხვერპლი ხდება, ზოგჯერ კი რელიქტურ ფაზაში გადადის. გუმილიოვი არ გამორიცხავს სრული დაკნინების ხანაში ეთნოსის რეგენერაციას, მაგრამ ამისათვის აუცილებელია, მასში შეიქმნას კიდევ უფრო მაღალი პასიონარული დაძაბულობის კოეფიციენტი, ვიდრე ეს მისი საწყისი აღმავლობის ფაზაში იყო. ამგვარად, ეთნოგენეზი პასიონარული ენერგიის ჯერ წარმოშობის და შემდგომ მისი თანდათანობით გაქრობის პროცესია.

V. პასიონარული ენერგიის მაჩვენებლები

პიროვნებაში აქტიური ენერგიის მაჩვენებლის მიხედვით, გუმილიოვი ეთნოსის შემადგენელ მოსახლეობას სამ ტიპად ყოფს. პირველს წარმოადგენენ პასიონარები, რაზეც ზემოთ ვიმსჯელეთ. შემდეგი ჯგუფი შედგება იმგვარი ემოციური განწყობის პიროვნებებისაგან, რომელთაც ახასიათებთ შედარებით დაბალი ინტენსიურობის პასიონარობა, რადგან მათ ემოციურ დაძაბულობას აოკებს და აბალანსებს თვითგადარჩენის ინსტინქტი. წესისამებრ, მათ შორის არიან როგორც მაღალი, ისე - საშუალო ან დაბალი განათლების, ნიჭისა და შემოქმედებითი უნარის ადამიანები. მათი რეაქციები გაპირობებულია პრაგმატული სიფრთხილით: ისინი შეიძლება იყვნენ როგორც ენერგიული მშრომელები, ისე - უნიათო მეოცნებენი. მათ გუმილიოვი ჰარმონიულ პიროვნებებს უწოდებს. ამ შემთხვევაში სიტყვა „ჰარმონიული“ პასიონარული ვნებების დაბალანსების მაჩვენებელია და არა - რაიმე პოზიტიური თვისებისა. მუყაითი და მშრომელი ჰარმონიული პიროვნების მაგალითად იგი ასახელებს რუსეთის იმპერატორ პეტრე პირველს, მეოცნებეებად კი ჩეხოვის ნაწარმოებებში ნაჩვენებ ინტელიგენტებს. ეს უკანასკნელნი არიან განათლებული და მაღალი მორალური პრინციპების ადამიანები, რომლებსაც ძალა არ შესწევთ, იმოქმედონ მათთვის არასასურველი რეალობის შესაცვლელად. მიუხედავად იმისა, რომ პასიონარები მათთვის უცხო და, უმთავრესად, მიუღებელი პირები არიან, ეთნოსის აკმატიურ ფაზაში ჰარმონიულ პიროვნებებს შეუძლიათ მათ მხარი დაუჭირონ და დიდი წვლილი შეიტანონ საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში. ინერციულ ფაზაში ისინი უპირისპირდებიან პასიონარებს და, თუნდაც უნებლიეთ, ხელს უწყობენ პოპულაციის შემოქმედებითი ენერგიის შესუსტებასა და აპათიური ჰომეოსტაზის დამყარებას. ეს იმიტომ ხდება, რომ ძალზე ენერგიულ ადამიანებსაც კი, რომლებიც იღვწიან მხოლოდ საკუთარი ცხოვრების გასაუმჯობესებლად ყოველგვარი რისკის გარეშე, მინიმალური პასიონარულობა ახასიათებთ. „ლოზუნგი - ,,იცხოვრე მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობისთვის“, - წერს გუ-

მილიოვი, - უადვილესი გზაა შავბნელი უფსკრულისაკენ.“[11] უფრო მეტიც, ჰარმონიულ პიროვნებათა სურვილი, დაკმაყოფილდნენ არსებულით და ემსახურონ პიროვნული მოგების მიზნებს, ზოგჯერ მათ საკუთარი ეთნოსის მტრის მოკავშირედ აქცევს. საფრანგეთის ბურჟუაზია 1814 წელს პარიზში შესულ რუსულ არმიას აღტაცებული შეძახილებით ეგებებოდა: „ჩვენ არ გვსურს ომი, ჩვენ გვინდა ვაჭრობა“[12]

მესამე ტიპს ქმნიან სუბპასიონარები, საკმაოდ მრავალფეროვანი ბუნების პიროვნებები, რომელთაც პასიონარობის მინიმალური ენერგია აქვთ. ესენი არიან, უმთავრესად, ზარმაცი, შრომას მიუჩვეველი და სხვისი მოწყალების მომლოდინე, ხშირად განუწყვეტლივ მოხეტიალე პირები ანუ, თანამედროვე ტერმინოლოგიით, ლუმპენპროლეტარიატი. გუმილიოვი მათ მაქსიმ გორკის მიერ შექმნილ სახეებს, ეგრეთ წოდებულ „ბოსიაკებს“ ადარებს. ამავე დროს, სუბპასიონარებს არ აკლიათ ანგარებიანი და ავანტურისტული მიდრეკილებები. ხშირად ისინი, მდიდრული ალაფის მოხვეჭის მიზნით, დაქირავებული ჯარისკაცები ხდებიან და ერთნაირი ენთუზიაზმით უერთდებიან ხან დადებითი, ხანაც უარყოფითი მიზნებისთვის მებრძოლ პასიონარებს, რადგან მათ ამოძრავებთ არა მიზანი, არამედ - გამორჩენა. გუმილიოვი მიიჩნევს, რომ მე-15 ს. მიწურულს ესპანელი კონკისტადორის, ერნან კორტესის ექსპედიციაში, უმთავრესად, სუბპასიონარები მონაწილეობდნენ, რომლებსაც ზღაპრული ელდორადოს ოქრო აინტერესებდათ და არა - რომლიმე გეოგრაფიული აღმოჩენა.

გუმილიოვის ისტორიოგრაფიული ანალიზი, ეთნოგენეზის თეორიის მიხედვით, მხოლოდ მე-19 ს.-მდე აღწევს, რის გამოც მის შრომებში თანამედროვე საზოგადოების სტრუქტურა არ არის გაანალიზებული პასიონარული მაჩვენებლების მიხედვით. იგულისხმება, რომ ისიც ეთნოგენეზის საერთო პარადიგმას ექვემდებარება. ამიტომ, შეცდომა არ იქნება, თუ დღევანდელ დღეს სუბპასიონარად ჩავთვლით მოსახლეობის იმ ფენას, რომელიც ნებისმიერი იმ დაჯგუფების სამსახურში დგება, რომელიც კი ძალაუფლებას აიღებს ხელში, მათი მოქმედების მოტივი სწორედ გამორჩენის სურვილია და არა - რომელიმე იდეა.

VI. პასიონარული ენერგიის წყარო

საიდან ჩნდება პასიონარული ენერგია და როგორია მისი ბუნება? ამ კითხვაზე გუმილიოვის პასუხი წინააღმდეგობრივი და არც თუ დამაჯერებელია. სწორედ აქ იჩენს თავს ის ეზოთერული ხასიათი, რომელზეც მისი თეორიის კრიტიკოსები მიუთითებენ[13].

---

[11] იქვე, გვ. 282

[12] იქვე, გვ. 269

[13] იხ., მაგ., Л. С. Клейн, «Горькие мысли ‘привередливого рецензента’ об учении Л. Н. Гумилева», журнал Нева, 1992, №4, 248-246. Г. С. Померанец, «Смена типажей на авансцене истории и этнические сдвиги, журнал Общественные науки, 1990, №1, 188-202. А. Л. Янов, «Учение Льва Гумилёва», журнал Свободная мысль, 1992, №17, 104-

პირველ ყოვლისა, გუმილიოვი მიიჩნევს, რომ პასიონარობას წარმოშობს დედამიწის ბიოქიმიური ენერგია, რომელიც არათანაბრად ნაწილდება ეთნოსის შემადგენელ მოსახლეობაში. პასიონარები ამ ენერგიას ჭარბად იღებენ, რაც მათ მაღალ ემოციურ დაძაბულობასა და აქტიურობას იწვევს. როგორც გუმილიოვი აღნიშნავს, ეს იდეა ისესხა თავისი წინამორბედის, ვლადიმერ ვერნადსკისგან, რომლის მიხედვით, დედამიწა ასხივებს ბიოქიმიურ ენერგიას, რაც დროის დიდი მონაკვეთის განმავლობაში ცოცხალ ორგანიზმებს შორის არათანაბრად ნაწილდება[14]. თვით ამ ბიოქიმიური ენერგიის წარმოშობას გუმილიოვი საკმაოდ ბუნდოვნად განმარტავს. ერთგან იგი ლაპარაკობს მზის ენერგიის მაქსიმალურ გამოსხივებაზე,[15] მეორეგან პასიონარების აქტიურობის მიზეზად ასახელებს გალაქტიკაში გაბნეული ენერგიის სხივური კონებისა და ვარსკვლავებისგან წამოსულ ქარიშხალს.[16]

ამავე დროს, გუმილიოვი პასიონარულობას გენეტიკურად დეტერმინებულ თვისებად მიიჩნევს, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა.[17] ეთნოსში პასიონარული ენერგია, ნაწილობრივ, სწორედ იმიტომ ქვეითდება, რომ მისი მატარებელი პიროვნებები, უმთავრესად - ახალგაზრდები, თავიანთი თავგანწირული აქტიურობის გამო ხშირად იღუპებიან და ვერ ასწრებენ ამ გენეტიკური კოდის შთამომავლობისთვის გადაცემას. პასიონარების უმრავლესობა გარეშე ან შინაური მტრის მსხვერპლი ხდება, არსებობს მათი გენოფონდის სრული განადგურების საშიშროება: ზოგჯერ ასეც ხდება კიდეც, რასაც ეთნოსის სრული დაკნინება მოჰყვება ხოლმე. მაგრამ პასიონარული ენერგიის კოდი სავსებით არ ქრება. ეს განპირობებულია იმით, რომ პასიონარები ახერხებენ კოდის გადაცემას შემთხვევითი კავშირების დროსაც კი, როდესაც არ არიან დაქორწინებულნი ან შინიდან შორს იმყოფებიან. „აქტიურობის წყურვილი,- წერს გუმილიოვი, პოეტური ევფემიზმის მოშველიებით, - რომელიც ახალგაზრდა კაცს სისხლისმღვრელი ომისკენ უბიძგებს, თანატოლ ქალებში აღტაცებას იწვევს და ისინი ამ გრძნობას გამოხატავენ მათ შესაძლებლობებში არსებული საშუალებით“[18] ანუ მათთან სექსუალური კავშირით.

პიროვნების პასიონარული კოდის შენარჩუნებისა და განვრცობის წყაროს გუმილიოვი ეთნიკურ მუტაციებში ანუ სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენელთა ურთიერთშერწყმაშიც ხედავს. პირველ ყოვლისა, ეს შეიძლება მოხდეს სწორედ იმ „აღტაცებულ ქალებთან“ კავშირით, რომლებიც ზემოთ ვახსენეთ. სახლს დაცილებულ ახალგაზრდებს ხშირად სხვადასხვა

---

116. К.Г.Фрумкин, «Пассионарность: Приключения одной идеи», М., ЛКИ, 2008. В. Кореняко, «К критике концепции Л.Н. Гумилева, http://scepsis.net/libraby/id.html

[14] В. И. Вернадский (1863-1945), «Химическое строение биосферы земли и ее окружения», М. 1965. ამ თემაზე მუშაობა მეცნიერმა 30-იანი წლებში დაიწყო, მაგრამ ეს შრომა მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგ გამოქვეყნდა.

[15] Л.Гумилев, «Тысячелетия вокруг Каспия», Баку, 1990, стр. 26-28.

[16] Л. Гумилев, «Конец и вновь начало», М. 1997, стр. 406.

[17] აღ. ნაშრომი, გვ. 285.

[18] აღ. ნაშრომი, გვ.294.

ეთნოსებსა და სუბეთნოსებთან ჰქონიათ ურთიერთობა და თავიანთი ენერგიის პოტენციალს მათაც გადასცემდნენ.

ამ ლოგიკის მიხედვით, გუმილიოვი ხშირად სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენელი მხევლებით სავსე მუსლიმური ქვეყნების ჰარამხანებს პასიონარული გენოფონდის ნამდვილ ინკუბატორებად წარმოგვიდგენს: „ქალებს, მამაკაცთა მსგავსად, შეუძლიათ გენების გადაცემა და ზოგჯერ ისინიც არანაკლებ პასიონარულები არიან. ამიტომ ჰარამხანებში პირველადი გენოფონდის გაბნევა სხვადასხვა დონის პასიონარული დაძაბულობის ვარიაციებს გაცილებით უმტკივნეულოდ ქმნის ეთნოსისტემებში, ვიდრე - ევროპაში.“[19] აქ მტკივნეულ პრობლემად, ალბათ, უნდა ვიგულისხმოთ ის უხერხულობა, რომელსაც ევროპის ქვეყნებში უკანონო შვილები ან, როგორც გუმილიოვი ამბობს, „ბასტარდები“ წარმოადგენდნენ როგორც მშობლების, ისე - საზოგადოებისათვის. თუმცა იგი იმასაც აღნიშნავს, რომ ბასტარდების მიმართ შუა საუკუნეებში არ იყო ისეთი ნეგატიური განწყობა, როგორიც - მე-16 - მე-17 სს. შემდგომ; ბევრმა მათგანმა თავიანთი აქტიურობით შეძლო დიდი პოლიტიკური გამარჯვებების მოპოვება და ამა თუ იმ ქვეყნის ტახტის პყრობა.[20]

VII. პასიონარულობის თეორიის კრიტიკა

1. პასიონარულობისა და პასიონარების აღწერისას გუმილიოვი არაერთ წინააღმდეგობაში ვარდება. პირველ ყოვლისა, მეტად ბუნდოვანია თვით პასიონარული ენერგიის წყარო - მზის ან კოსმიური ნათების გამოსხივება. ეს ფენომენი დედამიწის ზედაპირზე თითქოს ერთნაირი ძალით და განუწყვეტლად ზემოქმედებს, მაგრამ პასიონარულ აფეთქებას რატომღაც მხოლოდ გარკვეულ გეოგრაფიულ ტერიტორიებზე იწვევს, თანაც - დროის სხვადასხვა მონაკვეთში. თვით გუმილიოვმა ვერ შეძლო ამის მიზეზის დამაჯერებლად განმარტება. გარდა ამისა, თუ მზის ან კოსმოსური გამოსხივების ენერგია მუდმივია, რაზეც მიუთითებს პასიონარული ენერგიის აფეთქებების უწყვეტი ციკლი, რატომ უნდა დგებოდეს ამა თუ იმ ეთნოსში პასიონარული გენოფონდის სრული გაქრობის საშიშროება? ხომ შეიძლება, ამგვარი ენერგია თუნდაც ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ მასში კვლავ წარმოიქმნას? მაგრამ, გუმილიოვის მიხედვით, ეთნოსის დაკნინების ფაზა შეუქცევადია და ის განწირულია გასაქრობად ან რელიქტურ ფაზაში არსებობის გასაგრძელებლად. გამოდის, ყოველ ეთნოსს ეს შესაძლებლობა მისი არსებობის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ ეძლევა რაღაც მეტაფიზიკური კანონის თანახმად.

2. ადვილად მისაღები და ცხადიც არის ის ფაქტი, რომ პასიონარულ ენერგიას, რომელიც ქვეცნობიერი სფეროდან მომდინარეობს, არავითარი კავშირი არა აქვს სოციალურ კლასთან, განათლებასთან ან ინტელექტთან. ამ იმპულსმა ნებისმიერ ადამიანში შეიძლება იჩინოს თავი, მაგრამ

[19] იქვე, გვ. 294-295.
[20] იქვე, გვ. 295-296

კითხვაზე, ვისა აქვს მისი აღქმის უნარი, ორ ურთიერთგამომრიცხავ პასუხს ვიღებთ. ერთი მხრივ, პასიონარული ენერგიის აღქმისათვის გადამწყვეტი ფაქტორი ეთნიკური სიახლოვის ხარისხია. „შეიძლება ითქვას, რომ რეზონანსი პასიონარული აღტკინებისადმი იმდენად მცირეა, რამდენადაც შორს დგანან ამ პასიონარულ პიროვნებათა ეთნოსები," - წერს გუმილიოვი.[21] ამით ხსნის იგი იმ ფაქტსაც, რომ ნაპოლენთან ომის დროს რუსეთის სამსახურში მყოფმა გერმანელმა გენერალმა, ბარკლაი დე ტოლიმ ვერ შეძლო, საბრძოლო სულისკვეთება შთაენერგა რუსი ჯარისკაცებისათვის მიუხედავად იმისა, რომ ჭკვიანიც იყო, მამაციც და სამხედრო საქმის ჩინებულად მცოდნეც. ეს შეძლო რუსმა გენერალმა, კუტუზოვმა - ჯართან მისი ეთნიკური სიახლოვის გამო.

მეორე მხრივ, პასიონარულ პიროვნებები ახერხებენ, თავიანთი ჭარბი ენერგია სხვაგან დახარჯონ. არსებობს ეთნოსები, რომელთა პასიონარულობის დონე იმდენად დაბალია, რომ მათი განვითარება ქრება. მაგრამ „ თუ მათ შორისაც კი, შემთხვევით, პასიონარული პიროვნება დაიბადება, იგი საკუთარი ენერგიის გამოყენებას ეძებს არა საკუთარ სამშობლოში, არამედ - მეზობელ ქვეყნებში," - წერს გუმილიოვი. ამგვარი მაგალითები დღევანდელი გლობალური სიტუაციიდანაც ბევრი შეგვიძლია მოვიყვანოთ. გარდა ამისა, ავტორის მიხედვით, პასიონარული „ბასტარდები" არა მხოლოდ უკანონო შვილები არიან, არამედ - სხვადასხვა ეთნოსის შეჯვარების პროდუქტებიც. მათ შეუძლიათ, გამოავლინონ თავიანთი შესაძლებლობები ნებისმიერ ეთნოსში, რომელსაც ისინი მშობლიურად მიიჩნევენ. ამ მოვლენას თვით გუმილიოვიც ადასტურებს, სიტყვებით: „მე-15-16 სს.-ში ალბანელები კარიერას იკეთებდნენ ვენეციაში ან სტამბოლში."[22] მაშასადამე, აქ უკვე პასიონარული იმპულსის მხოლოდ ეთნიკურ ინდუქციასთან კი არა, უფრო პიროვნულ ფაქტორებთან გვაქვს საქმე.

3. გუმილიოვი არაერთხელ უსვამს ხაზს, რომ პასიონარი იმ გმირად არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომელიც ერთპიროვნულად აიყოლიებს მოსახლეობას და მთელ ეთნოსს ააქტიურებს. პასიონარული აფეთქებისთვის საჭიროა, შეიქმნას გარკვეული პასიონარული მუხტი. „საქმე ინდივიდუალური პასიონარის გმირობა კი არ არის, არამედ ის, რომ იქმნება ეთნიკური დომინანტა, რომელიც ახდენს პასიონარული სისტემის ორგანიზაციას და წარმართავს მას არჩეული მიზნისკენ," - წერს იგი. ამ დებულების უარყოფა ძნელია. მართლაც, ეთნოსის ცხოვრებაში ძირფესვიანი გარდაქმნისთვის საჭიროა მოსახლეობაში პასიონარების გარკვეული პროცენტი დაგროვდეს, რათა შესაძლებელი გახდეს დიდი შედეგის მიღწევა. მიუხედავად ამ პოზიციის ენერგიული დაცვისა, გუმილიოვს მოჰყავს მრავალი მაგალითი, რომელთა მიხედვითაც, სწორედ ინდივიდის განსაკუთრებული გამბედაობა აღაფრთოვანებს ათასობით ადამიანს, მიჰყვნენ მას საკუთარი სიცოცხლის ფასად. მათი ემოციური იმპულსი არათუ აიყოლიებს

[21] იქვე, გვ. 275
[22] იქვე, 293

მთელ არმიებს და აფორიაქებს მოსახლეობის დიდ ნაწილს, არამედ მათ ქმედებას ისტორიული მნიშვნელობის შედეგები მოსდევს. გუმილიოვი აღწერს კარგად ცნობილ ეპიზოდს ნაპოლეონის ცხოვრებიდან, როდესაც 1796 წლის იტალიის კამპანიის დროს 27 წლის გენერალმა შეძლო, ერთ პატარა დაბა არკოლის ხიდზე გადასვლით ომის ბედი გადაეწყვიტა. „მისი ჯარი დაკომპლექტებული იყო საფრანგეთის სამხრეთი რაიონებიდან მობილიზებული გლეხებით, რომლებსაც პარიზელებმა არაერთხელ გაუშრეს სისხლი და მიწასთან გაასწორეს, ისინი ცუდად იყვნენ გაწვრთნილნი და უფრო უარესად შეიარაღებულნი.“[23] სამჯერ სცადა ამ არმიამ, გადაელახა ხიდი და შეტაკებოდა ავსტრიელებს, და სამჯერვე უკუიქცა, სანამ ნაპოლეონმა თვითონ არ აიღო ხელში დროშა და ხიდზე შედგა მოზუზუნე ტყვიების სეტყვაში. მხოლოდ ამის შემდეგ იხუვლეს ამ გაუწვრთნელმა გლეხებმა და გაანადგურეს მოწინააღმდეგე. ძნელად საფიქრებელია მათ შორის მაღალი პასიონარული დონის არსებობა.

არანაკლებ შთამბეჭდავია ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობა ინდოეთში, რომელსაც გუმილიოვი აღგვიწერს. ჩვენს წელთაღრიცხვამდე 331 წელს, სპარსეთში გამარჯვების შემდეგ, მისი მხედრების დიდი ნაწილი მოკლეს ან დაასახიჩრეს, დარჩენილებს ქანცი გასწყდომოდათ და შინ დაბრუნება სურდათ. ალექსანდრეს ახლო მეგობრებიც კი ურჩევდნენ, უკან დაბრუნებულიყო, მაგრამ მან მაინც შეძლო, საომარი სული შთაებერა გადაღლილი არმიისათვის და განგის ნაპირებამდე გაიყოლია ის.[24]

მაშასადამე, გარკვეულ სიტუაციებში სწორედ ცალკეულ ინდივიდებს ძალუძთ, ძლიერი გავლენა იქონიონ ათასობით ადამიანზე, რომლებიც არც პასიონარულ ვნებებს ფლობენ და არც მზად არიან თავგანწირვისთვის, სანამ ამგვარი პასიონარი არ ჩაუდგება მათ სათავეში.

4. გაუგებარია, აგრეთვე, რატომ მიიჩნევს გუმილიოვი მე-17 ს. შვედეთის მეფეს, კარლ XII-ს პასიონარად, ხოლო მის მეტოქეს, პეტრე პირველს ჰარმონიულ პიროვნებად მაშინ, როდესაც, მისივე აღწერის მიხედვით, ჰარმონიულ პიროვნებებს არ ძალუძთ ან არ სურთ ფუნდამენტურად რისამე შეცვლა და სავსებით კმაყოფილდებიან status quo-თი. შვედეთის მეფემ მართლაც მრავალი წელი გაატარა ომებში ევროპის სხვადასხვა ხალხებთან, მაგრამ პასიონარულობა, გუმილიოვის მიხედვით, მხოლოდ ომი და ბრძოლა არ არის. პირველ ყოვლისა, იგი ეთნოსის აპათიური ჰომეოსტაზის შეცვლას მიემართება. ძნელია, მოიძებნოს რუსეთის ისტორიაში პიროვნება, რომელმაც ისე გარდაქმნა ქვეყნის ყველა სფერო, როგორც პეტრე პირველმა.

5. გუმილიოვის ეთნოგენეზისა და პასიონარულობის თეორიის ყველაზე საკამათო ასპექტი ეთნოსის განვითარებისთვის აუცილებელი ექსპანსია ანუ საკუთარი ტერიტორიების გაფართოებაა, რაც აკმატიურ ფაზაში ხდება პასიონარული „გადახურების“ გამო. მაშასადამე, ნებისმიერი ეთნოსი პასიონარული აღმავლობის უმაღლეს წერტილში ხდება აგრესო-

[23] იქვე, 274
[24] იქვე, 261

რი და თავს ესხმის მეზობელ ქვეყნებს, რადგან საკუთარი ტერიტორიის გაფართოება სხვა გზით შეუძლებელია. ამას თვით რუსი ავტორები აღნიშნავენ. მაგალითად, ალექსეი ფანტალოვი წერს: „მოცემული ეთნოსის... პასიონარული სოციუმის ზრდას ყოველთვის მოჰყვება ომი!“[25] ამ იდეის გამოყენებით ფანტალოვი ამართლებს რუსეთის შეიარაღების ზრდას, რაც, მისი აზრით, აუცილებელია, რათა ქვეყანა არ გაანადგუროს „რუსოფობმა დასავლეთმა აგრესიული იანკების წინამძღოლობით.“ ამგვარი იდეების აქტიური დამცველი რუსი პოლიტიკოსი ალექსანდრე დუგინია, რომელიც თანამედროვე ევრაზიულობის იდეის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ადვოკატია.[26]25

გუმილიოვის თეორიაზე დაყრდნობით, ბევრი პროფესიონალი და არაფროპროფესიონალი პოლიტიკოსი პროგნოზირებს რუსეთისა და ზოგჯერ - მთელი მსოფლიოს სამომავლო განვითარებას. ზოგი უკიდურესი აგრესიულობითაც გამოირჩევა და რუსეთს, მათი წარმოდგენით, ყველაზე ახალგაზრდა და აღმავლობის ხანაში მყოფ ქვეყანას, მსოფლიოს თითქმის მესამედის ბატონ-პატრონად წარმოგვიდგენს.[27] თუმცა ამგვარ ფანტაზიებს გუმილიოვს ვერ დავაბრალებთ.

VI. დასკვნა

გუმილიოვის დებულებები, ყველა ნაკლოვანების მიუხედავად, ნამდვილად საინტერესო და ყურადსაღებია. მისი წიგნები და სტატიები ასობით გამოძახილს პოულობს პროფესიონალ ისტორიკოსებსა და მკითხველებში. ისტორიოგრაფიული საკითხები დღეს უაღრესად აქტუალური თემაა, რაზეც ბევრს წერენ როგორც რუსეთში, ისე - მის გარეთაც. ოცზე მეტი წლის წინათ გამოცემული ერთ-ერთი ნაშრომი ამ თემაზე - ამერიკელი

---

[25] А. Фанталов, «Идея пассионарности Л.Гумилева», http://chinese2007.narod.ru/gumilev1.htm; იხ. აგრეთვე Лев Малинецкий, «Междисциплинарность, теория этногенеза и вызовы XXI века», http://www.intelros.ru/subject/karta_bud/16162-mezhdiscipli .

[26] იხ., მაგალითად, А. Г. Дугин, «Лев Гумилев и наука «живой жизни», http://www.sorokinfond.ru/index.php?id=1273, მისივე «Неоевразийство. Евразийская пассионарность.», http://society.polbu.ru/dugin_geopolitics/ch71_i.htm .

[27] ამ მხრივ, განსაკუთრებით ოდიოზურია კონსტანტინე შემელინინის სტატია: К. Шемелинин, «Военно-практическое применение пассионарной теории этногенеза для построения политической и этнической картины мира в XXII веке», http://www.schemelinin.com . იხ., აგრეთვე А. Владимиров, вице-президент Коллегии военных экспертов, «Лев Гумилев и национальная стратегия России», http://www.kadet.ru/ლichno_v/Gumiლev1.htm , Г. Климов, «Красная кабала», http://g-klimov.info/klimov-kk/Kk-22.htm, К.П. Иванов, Проблемы теории этногенеа, моделирование этнодемографических процессов в пассионарной популяции», http://gumilevica.kulichki.net/IKP/ipk110.htm .

მეცნიერის, ფრანსის ფუკუიამას „ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი,“[28] დღესაც გაცხარებული კამათის საგანია. ფუკუიამა ლაპარაკობს არა მსოფლიოს აპოკალიპსურ განადგურებაზე. იგი კაცობრიობის უმაღლესი განვითარების წერტილად და, შესაბამისად, პროგრესული განვითარების ბოლო ფაზად მიიჩნევს დასავლური ტიპის დემოკრატიას, რომელიც, მისი აზრით, ადრე თუ გვიან ყველა ქვეყანაში დამკვიდრდება. დღეს მსოფლიოში შექმნილი პოლიტიკური, სოციალური, რელიგიური და ეკოლოგიური პრობლემები აუცილებელს ხდის ყველა ამ თეორიის შესწავლასა და სათანადო დასკვნების გამოტანას.

[28] Francis Fukuyama, The End of History and the Last Man, 1992.ეს წიგნი განავრცობს ავტორის მიერ 1989 წელს გამოცემული ესსეს - “The end of History” („ისტორიის დასასრული“), რომელსაც ფართო გამოძახილი მოჰყვა დასავლეთის ყველა ქვეყანაში.

შესავალი

ევრაზიულობა მე-20 საუკუნის რუსული საზოგადოებრივი და სამეცნიერო მსოფლმხედველობის გამომხატველი ფილოსოფიურ-პოლიტიკური მოძრაობაა. იგი 1921 წელს ჩამოყალიბდა რუს ემიგრანტთა წრეებში, როგორც რეაქცია რუსეთის 1917 წლის დრამატულ მოვლენებზე, მაგრამ მოძღვრებად, შეიძლება ითქვას, 20-30-იან წლებში გაფორმდა.

ევრაზიულობის დოქტრინას სერიოზულობის რეპუტაცია ამ მოძრაობის წევრთა სამეცნიერო რენომემ დაუმკვიდრა. ვგულისხმობ ცნობილ ლინგვისტს ნ.ს. ტრუბეცკოის (1890-1938), ეკონომისტსა და გეოგრაფოსს პ.ნ. სავიცკის (1895-1968), სამართალმცოდნესა და ფილოსოფოსს ნ.ნ. ალექსეევს (1879-1964) და სხვ. ევრაზიულობის კონცეფციის ერთ-ერთ შემქმნელად მოგვევლინა ისტორიკოსი გ.ვ. ვერნადსკი. ევრაზიელთა კოჰორტას მიეკუთვნებოდა რელიგიური ფილოსოფოსი ვ.ნ. ილინი...

ვიდრე საკუთრივ კლასიკური ევრაზიულობის ძირითად პოსტულატებს ჩამოვთვლიდე, აღვნიშნავ, რომ ევრაზიულობა უსაფუძვლოდ და უწანამძღვროდ არ გაჩენილა.

ევრაზიულობის ელემენტებს ჯერ კიდევ ნ. კარამზინის ნაშრომებში მივაკვლევთ, რომელთაც ანტირევოლუციურობის, ანტიევროპულობისა და ნაციონალიზმის მეტასტაზები მსჭვალავს.

არ უნდა გამოგვრჩეს არც ს. უვაროვის სახელთან დაკავშირებული „ოფიციალური ხალხურობის თეორია“, რომელიც ამ ფორმულით გახმაურდა: „მართლმადიდებლობა - თვითმპყრობელობა - ხალხურობა“.

ძირითადი დებულებანი:

მართლმადიდებლობა რუსი ხალხის საძირკველია, რომელსაც ემყარება მისი მოღვაწეობის ყველა წახნაგი. მართლმადიდებლობა უზრუნველყოფს თაობათა სისხლ-ხორცეულ კავშირს და ტრადიციათა მემკვიდრეობითობას. „მართლმადიდებლობას“ ხშირად ენაცვლება შესიტყვებები: „ნაციონალური რელიგია“ და „გაბატონებული ეკლესია“. სახელმწიფოს უნდა დაეცვა ეს ფენომენი. ისმის ადრეული ფორმულის ექოც: „რუსეთი - მესამე რომი“, რომელიც გულისხმობდა რუსეთს, როგორც ბიზანტიური კულტურის შემნარჩუნებელსა და განმავითარებელს, აღმოსავლელ და დასავლელ სლავთა ლიდერს... მართლმადიდებლობას უნდა დაეშოშმინებინა ცხელგონება ლიბერალები. ამგვარადვე უტილიტარულია „თვითმპრობელობაც“, რომელიც იმპერიის იმჟამინდელი სახით შენარჩუნებას გულისხმობდა. დასაშვები იყო მხოლოდ ზომიერი რეფორმები. თვითმპყრობელობა ოდენ ხალხის მხარდაჭერის შედეგადაა ეფექტური. ამდენად, მონარ-

ქიზმი სასკოლო ასაკიდანვე უნდა დანერგილიყო. მესამე წევრი ამ სამებისა - „ხალხურობა“ - ყველაზე წინააღმდეგობრივი იპოსტასია. ხალხურობა ნიშნავს რუს ერს და რუსულ სახელმწიფოს, რომლებიც ერთიანი ორგანიზმის ორი წევრია. ადამიანის მსგავსად, სახელმწიფოსაც „ემჩნევა ხანდაზმულობა“, მაგრამ მისი არსი უცვლელია. ხალხურობის ყველაზე დიდი სირთულე ძველ და ახალ იდეათა მორიგებაა. რუსეთი განვითარდება თავისი ხალხურობის წყალობით, მართლმადიდებლობასა და თვითმპყრობელობაზე დაყრდნობით: არც წარსულს დაუბრუნდება, არც საგანთა არსებულ წესრიგს დაარღვევს. „ძირმომპალ გადმონაშთებსა“ (მე-18 ს. იდეები) და „ახალ ცრურწმენას“ შორის ფართო ველია, რომელსაც რუსული კეთილდღეობის შენობა უნდა დაემყაროს.

ამგვარად, „ხალხურობის ოფიციალური თეორიიდან“ ევრაზიულობას შეეძლო ესესხა ევროპის, როგორც რევოლუციური იდეების გენერატორის, გავლენის უარყოფისა და, საკუთრივ, რუსული ფენომენის ხელახლა გააზრების იდეები.

ევრაზიულობის წინამძღვრად ვიაზრებ ასევე ე.წ. „სლავოფილობას“, რომელიც, „მედასავლეთეობასთან“ ერთად, მსჭვალავს 1840-50 წწ. რუსულ საზოგადოებრივ აზრს.

ძირითადი დებულებანი:

მსოფლიო ისტორია სულიერი თავისუფლებისა და მატერიალური შეზღუდულობის საწყისთა ურთიერთწინააღმდეგობაა. ქრისტიანობის წარმოშობამ მსოფლიო ისტორია გარდატეხა, მაგრამ ეს განსხვავებულად აღიქვა რუსეთმა და დასავლეთმა. ქრისტიანული მრწამსი დასავლეთში დაამახინჯეს, რუსეთში კი შეურყვნელად შემოინახეს. დასავლეთს ეს წარმართულსაწყისოვანი რომაული ინტელექტის მიღებამ ჩაადენინა. რუსეთის წინაშე დიდი ამოცანაა: დასავლეთს შეაგნებინოს ჭეშმარიტი ქრისტიანობის არსი. ასეთი ამბივალენტურობა წინააღმდეგობრივად არ ეჩვენებათ: ერთი მხრივ, ადამიანის უფლებათა დაცვა, მეორე მხრივ - თვითმპყრობელობის შენარჩუნება.

ამგვარად, „სლავოფილთა“ ფილოსოფიიდან ევრაზიელებს შეესაძლოა ესესხათ რუსეთის, როგორც ქრისტიანობის გადამრჩენისა და მისიონერის, იდეა.

პ.ნ. სავიცკის გეოგრაფიული კონცეფციის არქეტიპად მიიჩნევენ გეოგრაფოსსა და საზოგადო მოღვაწეს, ვ.ი. ლამანსკის (1833-1914). მონგოლ-თათართა ბატონობაში დადებითი მხარეების მოძიების იმპულსი „ევრაზიელთათვის“ უნდა მიეცა მე-19 ს. კონსერვატორი მოაზროვნის, მ.ლ. მაგნიცკის (1778-1885) შეხედულებებს.

ძირითადი დებულებანი:

პ. სავიცკის თქმით, ზემოთქმულთან ერთად, გასათვალისწინებელია ევრაზიულობის უნიკალობა, რომელიც სამი მოძღვრების სინთეზმა განაპირობა:

ა) გვიანი დროის სლავოფილთა ბიზანტიზმი ანუ რუსული კულტურის ფუძემდებლურ ელემენტად ბიზანტიური მემკვიდრეობისა და მართლმადიდებლური ეკლესიის აღიარება, რაც ერწყმის ახალი დროის ევროპული ცივილიზაციის მიუღებლობას;

ბ) „მეაღმოსავლეთეობა“, „აღმოსავლეთისაკენ (აზია) მიბრუნება“ ანუ თათარ-მონგოლთა უღლის დადებით მოვლენად მიჩნევა და რუს და თურანელ (აღმოსავლელ) ხალხთა ბედისა და კულტურების ერთიანობის აღიარება;

გ) პოლიტიკური შეხედულებებით მარქსიზმს მიახლოებული ორიგინალური პოლიტიკურ-ეკონომიკური მოძღვრება (ევრაზიელები სავსებით ეთანხმებოდნენ ბოლშევიკთა ტაქტიკას ორგანიზაციული სტრუქტურისა და პოლიტიკური წყობის თვალსაზრისით).

უფრო დაწვრილებით:

1. რუსეთი განსაკუთრებული გეოგრაფიული სამყაროა, რომელიც განსხვავდება როგორც ევროპის, ისე - აზიისაგან. ამას ადასტურებს მისი გეოგრაფიული თავისებურებანი: მკვეთრად დანაწილებული ბუნებრივი ზონები დროშის ჰორიზონტალურ ზოლთა მსგავსად განლაგებულა, განსხვავებით ევროპისა და აზიისაგან, სადაც მათი განლაგება „მოზაიკურად დანაწევრებულია“. ურალის ქედი პირობითად ყოფს ამ ჰორიზონტალურ სისტემას, რადგან არავითარი პრინციპული განსხვავება არ მოიძებნება მასში ქედგაღმა. ამდენად, მტკიცება, რომ ევროპა გრძელდება ურალამდე, იქამდე, სადაც აზია იწყება, ყოველგვარ მეცნიერულ საფუძველს მოკლებულია. პირიქით, გეოგრაფია, ნიადაგთმცოდნეობასთან ერთად, უდავოდ მოწმობს განსაკუთრებული გეოგრაფიული სამყაროს არსებობას, რომელიც თითქმის ემთხვევა რუსეთის იმპერიის ტერიტორიას. სავიცკიმ ამ სამყაროს „ევრაზია“ უწოდა.

2. მსოფლიოს ყველა ხალხი გეოგრაფიულ გარემოსთან ურთიერთობით არსებობს: ზემოქმედებს მასზე, მაგრამ თვითონაც განიცდის მის ზეგავლენას. ამიტომ, ხალხის ისტორიის გაგება წარმოუდგენელია ადგილმდებარეობის რაობის დაუდგენლად - ბუნებრივი პირობების (ლანდშაფტის, ნიადაგის, მცენარეული საფარის, კლიმატისა და სხვ.) გაუთვალისწინებლად, სადაც ამ ხალხის ისტორია თამაშდება. ადგილდებარეობის გავლენა აპირობებს ეთნოსის ზოგ ფსიქოლოგიურ, კულტურულ, მენტალურ ნიშან-თვისებას. ამასთან, განსხვავებული ხალხები, რომლებიც საერთო წარმოშობით ერთმანეთს არ

უკავშირდებიან, მაგრამ დიდი ხნის განმავლობაში ერთ ადგილას თანაარსებობენ, შეიძლება, იმ ხალხებზე მეტად დაახლოვდნენ, რომლებიც იმთავითვე ერთმანეთს ენათესავებოდნენ, თუმცა განსხვავებულ ტოპოსებში ვითარდებოდნენ. ამიტომ, მიუხედავად აშკარა ურთიერთსხვაობისა, რუსი ხალხი, შესაძლოა, უფრო მეტად დაუახლოვდეს რუსეთის სხვა ხალხებს (თურქული, ფინურ-უგრული წარმოშობისათ და სხვ.), ვიდრე - ევროპულ ადგილმდებარეობას მიჯაჭვულ სლავებს. ეს მთავარი პუნქტია, რომელიც განასხვავებს ევრაზიულობასა და სლავოფილურ უტოპიას.

3. არსებობს განსაკუთრებული თურანული ეთნოფსიქოლოგიური ტიპი, რომელიც ნიშანდობლივია აზიის მომთაბარე ხალხებისათვის. მას, ძირითადად, ახასიათებს: სულიერის პრიორიტეტი მატერიალურზე, სწრაფვა მკაფიოდ შემოფარგლული, და არა - მერყევი, მსოფლხედველობრივი დასაზღვრისაკენ, მყარი ფასეულობანი და შემეცნების ფორმები. ეს ნიშან-თვისებები გამოარჩევს რუს ხალხსაც, რაც საშუალებას გვაძლევს, მივანიშნოთ რუსებისა და თურანელების ეთნიკური ფსიქოლოგიის ზოგ საერთო თავისებურებაზე ისევე, როგორც - თურანულ ელემენტზე რუსულ კულტურაში (ტრუბეცკოი).

4. ენათა გენეტიკურ ნათესაობასთან ერთად არსებობს სხვაგვარი ნათესაობაც, რომელიც შეპირობებულია არა საერთო წარმოშობით, არამედ - დიდხნიანი მეზობლობითა და ენათა ურთიერთქმედებით. ამის შედეგად ყალიბდება ენათა კავშირები. მთელი რიგი მსგავსი ნიშან-თვისებებისა, ერთი მხრივ, რუსულ ენასა და, მეორე მხრივ - ფინურ-უგრულში, თურქულში, ევრაზიის ხალხთა სხვა ენებში, მიანიშნებს განსაკუთრებული ევრაზიულ ენათა კავშირის არსებობაზე (ტრუბეცკოი, იაკობსონი).

5. კიევის რუსეთი სიცოცხლისუუნარო სახელმწიფო წარმონაქმნი გახლდათ, რადგან რუს თავადებს წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ ერთიან სახელმწიფოზე, ურომლისოდაც რუსეთი დამოუკიდებლად ვერ იარსებებდა; ამის გამო, ისინი არც ისახავდნენ ფართო ისტორიულ ამოცანებს. ევრაზიის დასავლეთ კიდეზე განლაგებული კიევის რუსეთის მჭიდროდ შემოსაზღვრული ტერიტორია მერიდიანების გასწვრივ გაშლილიყო. თუმც ევრაზიაზე უცილოდ უნდა ებატონა იმ ხალხს, რომელიც პარალელების მიმართულებით იმოქმედებდა, რადგან კარპატებიდან ხენგინამდე უზარმაზარ მანძილზე გადაჭიმულ სტეპთა სწორკუთხედი უზრუნველყოფდა მის უპირობო ბატონობას მთელ კონტინენტზე. ის ხალხები, რომელთაც სტეპები დაეკავებინათ, განუყოფლად განაგებდნენ ევრაზიას. ბუნებრივია, ისინი ნომადები იყვნენ - თავიდან სკვითები, შემდეგ - ჰუნები. ამ უკანასკნელთა

გაქრობის შემდეგ, კითხვა, თუ ვინ იბატონებდა სტეპზე და, შესაბამისად, მთელ ევრაზიაზე, უპასუხოდ რჩებოდა. საჭირო იყო, აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მსწრაფ კოლონიზატორულ მოძრაობას გაეერთიანებინა ევრაზია. რუსებს არ ძალუძდათ ამ ამოცანის განხორციელება. ამ დროს მონგოლებს, რომლებსაც პასიონარულობის პერიოდი დასდგომოდათ, ეს ხელეწიფებოდათ. სწორედ მათ დაიმორჩილეს კონტინენტი. გულუბრყვილობა იქნებოდა იმაზე ფიქრი, რომ მონგოლთა კოლონისტური მოძრაობა ცალკეულ პირთა ნებას გამოეწვია - ამას ისტორიული კანონზომიერება განაპირობებდა. „ბუნება ვერ იტანს სიცარიელეს“. ევრაზიის უზარმაზარი სივრცე უნდა შევსებულიყო. ამ „შემვსების“ როლი შეასრულეს მონგოლებმა.

6. რუსეთისათვის მონგოლთა უღელი არა ბოროტება, არამედ მადლი იყო. რუსი მემატიანეები მონგოლთა შემოსევებს არა უმიზეზო უბედურებად, არამედ უფლის სასჯელად აღიქვამდნენ. „უფალი მას სჯის, ვინც უყვარს“ (ებრაელთა, 12, 6). უფლის სასჯელი დასჯილის გამოსასწორებლადაა დაშვებული. ამ ტიპის სასჯელია მონგოლთა თავდასხმაც. მონგოლთა უღლის დროს გამყარდა აღმოსავლელ სლავთა ეროვნული სულისკვეთება. ამ უღელმა ისინი ერად აქცია. მონგოლები რჯულშემწყნარებლები იყვნენ. მათ შორისაც მოიძებნებოდნენ ქრისტიანები, მართლმადიდებლებიც კი. ოქროს ურდოს დედაქალაქ სარაიში 1261 წ-ს საეპისკოპოსო კათედრის გახსნის შემდეგ მათმა რაოდენობამ იმატა. ყაენმა უზბეკმა ისლამის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება მოისურვა. ამ დროიდან იწყება ქრისტიანთა დევნა, მაგრამ იდევნებოდნენ მონგოლი ქრისტიანებიც, რომლებიც რუსეთს აფარებდნენ თავს. ესეც კი საკმარისია იმის სათქმელად, რომ რუსებსა და მონგოლებს შეურიგებელი მტრობა არ მსჭვალავდა. რუსებმა მონგოლთაგან ისესხეს ერთიანი სახელმწიფოს ელემენტები - შეტყობინებისა (საფოსტო სადგურები) და საფინანსო სისტემა. რუსეთს არ გააჩნდა სახელმწიფო მართვის სისტემა, ჩინოვნიკთა კლასი, რომელიც მასშტაბური სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის მართვას შეძლებდა. ამგვარად, ბიზანტიიდან რუსეთში გადმოინერგა სარწმუნოება და სახელმწიფო იდეოლოგია, მაგრამ სახელმწიფოს მშენებლობის პრაქტიკა და რუსეთის სახელმწიფოებრივი აპარატის მართვის ჩვევები რუსებმა მონგოლთაგან იმემკვიდრევეს.

7. მონგოლთა იმპერიის ურდოებად დაყოფის შემდეგ ევრაზია ისევ დაიშალა, მაგრამ ერთიანი ბუნებრივი სამყარო მაინც ილტვის პოლიტიკური ერთობისაკენ. საჭირო იყო ახალი ძალა, რომელიც ევრაზიას გააერთიანებდა. აწ ამ ძალად რუსეთი იქცა, რომელსაც აეთვისებინა მონგოლთა სახელმწიფოებრივი მშენებლობის გამოცდილება. დაიწყო რუსთა კოლონიზაცია აღმოსავლეთისაკენ, რომელიც წყნარ ოკეანეზე გასული მოსკოვის სამთავროს ჩამოყალიბებით დას-

რულდა. ევრაზია ისევ ისტორიულმა ძალამ - რუსმა ხალხმა გააერთიანა.

8. ეს პროცესები ვერნადსკის პერიოდულ სქემას ეთანადება, რომლის თანახმადაც ევრაზიის სივრცეში ერთიანი სახელმწიფოებრიობა პერიოდული დაქუცმაცებით იცვლება. ამ სქემის შესაბამისია 1991 წელს ერთიანი სახელმწიფოს დაშლაც, რომელიც იმასაც ადასტურებს, რომ ისტორიული კანონზომიერების ძალით ერთიანობა ისევ აღდგება.

9. პეტრე I-მა მოსკოვის სამთავრო რუსეთის იმპერიად გადააქცია. ევრაზიელების აზრით, რუსეთის ევროპეიზაცია დაუფიქრებლად მოხდა. ეს არის 1917 წლის რევოლუციის ერთ-ერთი მიზეზი. რუსეთის მმართველმა ფენამ უარი თქვა ეროვნულ კულტურულ ტრადიციებზე და გადმოიღო ევროპელთა კულტურა; ფართო მასები ისევ ნაციონალურ კულტურას აღიარებდნენ. ამიტომ გაჩნდა უფსკრული მმართველ ფენებსა და ხალხს შორის. უფრო მეტიც: ხალხში ბატონს რომელიღაც უცხოელად აღიქვამდნენ. ერის განხეთქილება იმპერიის კრახის ერთ-ერთ მიზეზად იქცა.

10. ევრაზიელები უარყოფდნენ რევოლუციაზე გულუბრყვილო შეხედულებათა დამკვიდრებას, რომელთა თანახმადაც, რევოლუცია თითქოს რუსეთში დაჯავშნილი ვაგონებით ჩამოსულმა ადამიანებმა განახორციელეს. რევოლუცია კანონზომიერი მოვლენა იყო.

11. პოსტრევოლუციურ სამოქალაქო ომში თეთრები დასაღუპად განწირულიყვნენ. ბოლშევიზმის დამარცხება შესაძლებელი გახლდათ მისთვის ტოლფასი იდეოლოგიის დაპირისპირებით. ეს არ გააჩნდათ (და არც შეეძლოთ ჰქონოდა) არც თეთრებს, არც - რომელიმე სხვა პოლიტიკურ პარტიას. სწორედ ამგვარი იდეოლოგია შექმნეს ევრაზიელებმა.

12. ისინი უდავო მოცემულობად აღიქვამდნენ იმ სურათს, რომ რევოლუციამ ძირეულად შეცვალა რუსეთიცა და სამყაროც; წარსულში, საიმპერატორო რუსეთში დაბრუნება შეუძლებელი იყო. მეტიც: ეს არც იყო საჭირო, რადგან რევოლუციის მიზეზები მასში მწიფდებოდა. ამავე დროს, რევოლუციამ ბევრი სიახლე დაამკვიდრა. ზოგადად, ემიგრანტთაგან განსხვავებით, ევრაზიელები აღიარებდნენ ნაციონალური სახელმწიფოსათვის ბევრი სასარგებლო რამის შექმნას: კომუნისტებმა, რომლებიც რუსეთისთვის უახლესი ევროპული იდეოლოგიის მოხვევას რადიკალურად ესწრაფოდნენ, სინამდვილეში საწინააღმდეგო ვითარება მოიმკეს; რუსეთი დაუპირისპირდა ევროპას, გამოეთიშა მისი გავლენის სფეროს. კომუნისტებმა მართლმადიდებლობის განადგურების კამპანია წამოიწყეს, რომლითაც მერყევნი კი გადაიბირეს, მაგრამ ათასობით რუსის არნახულ სარ-

წმუნოებრივ აღმავლობას ჩაუყარეს საფუძველი. ამგვარად, გარეგნულმა დამცირებამ ეკლესია შინაგანად განამტკიცა. კომუნისტებმა შექმნეს გეგმიური ეკონომიკის სიცოცხლისუნარიანი სისტემა, ძლიერი მრეწველობა (ევრაზიელები უთითებდნენ კოლექტივიზაციის ბარბაროსულ მეთოდებზე). ამასთან, საბჭოების სისტემა ჭეშმარიტად დემოკრატიული ინსტიტუციაა. მაგრამ დადებითს ათანაბრებს, რომ არა ვთქვათ, იწონის უარყოფითი: კომუნიზმი ცრუ იდეოლოგიაა, კომუნისტური დიქტატურა ახშობს სახალხო ძალაუფლების ნომინალურად არსებულ შესაძლებლობებს, დანაშაულებრივია ბრძოლა სარწმუნოებასთან, რუსეთის კულტურულ ფასეულობათა განადგურება და გაყიდვა, ეკონომიკური პოლიტიკის საბჭოთა ხელმძღვანელების არაპროფესიონალიზმმა გააუფასურა მიღწევები და სხვ.

13. სახელმწიფოებრივ იდეალზე საუბრისას ევრაზიელები მიიჩნევდნენ, რომ იდეალური სახელმწიფო მიწაზე ვერ შეიქმნება. სახელმწიფო უნდა ისწრაფოდეს მისკენ, მაგრამ ვერასოდეს მიაღწევს. თუმცა უფრო სრულყოფილი, რუსეთის ნაციონალურ თავისებურებათა გამთვალისწინებელი სახელმწიფოებრივი წყობისაკენ ლტოლვა არა თუ შესაძლებელი, არამედ აუცილებელიცაა. ლიბერალური დემოკრატია, მრავალპარტიულობა, პარლამენტარიზმი უაღრესად ევროპული და მოძველებული ფორმებია. იტალიურ ფაშიზმსა და გერმანულ ნაციზმში მოიპოვება ჯანსაღი აზრი, მაგრამ იგი მისმა უარყოფითმა გამოვლინებებმა შთანთქა. ეს, ერთი შეხედვით, რევოლუციური, მაგრამ არსებითად, რეაქციული მოვლენებია. რუსეთს ისინი არაფრად არგია. ტრუბეცკოის თანახმად, სახელმწიფოს ბუნება განისაზღვრება არა მმართველობის ფორმით, არამედ მმართველი ფენის შერჩევის ტიპით ანუ იმით, თუ რა პრინციპით შეირჩევიან სახელმწიფოს მმართველნი. ამ პრინციპთან შედარებით ფორმა მეორეხარისხოვანია. ამიტომ საჭიროა შერჩევის სწორი პრინციპის შემუშავება. ევრაზიელთა აზრით, ეს უნდა მომხდარიყო ეროვნული იდეისადმი შესაბამისობის პრინციპით. სახელმწიფოს მართვა ძალუძთ ადამიანებს, რომლებიც მსოფლმხედველობრივად ემორჩილებიან არა პირად, კლანურ, კლასობრივ, ვიწრონაციონალურ ინტერესებს, არამედ - სახელმწიფოებრიობის იდეას. თუ ამ პრინციპს დაიცავენ, მართვის ნებისმიერი ფორმა შესაძლებელია - ქვეყნის წარმატებით განვითარებისათვის ამას ნაკლები მნიშვნელობა ექნება. ამ წყობას იდეოკრატია ეწოდება. ეკლესია სახელმწიფოს უნდა გამოეყოს, რათა გამოირიცხოს სახელმწიფო ინსტიტუტებზე დამოკიდებულება. სახალხო მასები სახელმწიფოს მართვაში უნდა მონაწილეობდნენ, ოღონდ არა ისე ნომინალურადა და მექანიკურად, როგორც - საპარლამენტო დემოკრატიის დროს. დემოკრატია უნდა გაშუალდეს - შეგნებულ ამომრჩეველთა (განსხვავებით, ხმის მიმცემთა უპასუხისმგებლო მასისა-

გან) ინსტიტუტის დაწესებით. საფუძვლად, შესაძლოა, სსრკ-ში არსებული საბჭოების სიტემაც გამოდგეს. ეკონომიკა უნდა იყოს სახელმწიფოებრივ-კერძო სახისა ანუ ითავსებდეს, ერთი მხრივ, სახელმწიფო რეგულირებასა და სახელმწიფო სექტორს, მეორე მხრივ კი - კერძო ინიციატივის გამოვლენის საშუალებას: კერძო სექტორი სახელმწიფო სექტორის თანაზომადი უნდა იყოს.

14. ევრაზიელებს ეს კომუნიზმთან ბრძოლის გზად მიაჩნდათ: კომუნისტური დიქტატურა უნდა დაემხოს, კომუნისტური იდეოლოგია უნდა გაუქმდეს, კომუნისტთა დანაშაულებრივი ქმედებანი უნდა აღიკვეთოს. ეკლესიას უნდა დაუბრუნდეს ყველა უფლება და საზოგადოებაში გაბატონებული როლი, თუმცა უნდა შენარჩუნდეს ზემოთ ჩამოთვლილი დადებითი მოვლენები. 1920 წლიდან ევრაზიელები წერდნენ, რომ თუ კომუნისტებს სხვაგვარად დაამხობენ, ვერ ასცდებიან რუსული სახელმწიფოს ტერიტორიულ დაყოფას და სეპარატიზმის გამარჯვებას, ევროპის მიერ რუსეთის ეკონომიკურ და პოლიტიკურ დაკაბალებას.

ევრაზიულობის თეორიას უკავშირდება ე.წ. ეთნოგენეზის კონცეფცია, რომელიც საბჭოთა ისტორიკოს ლ. გუმილევის (1912-1992) სახელს უკავშირდება და რომელშიც ერთმანეთს შეერწყა ვერნადსკისა და სავიცკის იდეები. გუმილევი დაეყრდნო იდეას გეოგრაფიული ლანდშაფტების გავლენის შესახებ ეთნიკურ თავისებურებათა ჩამოყალიბების საქმეში; განავითარა ანტიევროპოცენტრიზმი; შემოიტანა სუპერეთნოსის ცნება, რომელიც გულისხმობს გარკვეულ რეგიონში ერთდროულად წარმოქმნილ ეთნოსთა ჯგუფს, რომლის წევრებიც ეკონომიკურად, იდეოლოგიურად და პოლიტიკურად ურთიერთდამოკიდებულნი არიან... სუპერეთნოსი განისაზღვრება არა ზომით, ძლიერებით, არამედ - ეთნოსთაშორისი სიახლოის განსაკუთრებული ხარისხით.

ლ. გუმილევი ერთგვარი ნეოევრაზიელია, რადგან მისი შემდგომი კონცეფცია ეთნოგენეზისა, ეთნიკური ციკლებისა, რომლებიც პასიონარულობის მოდელს (განსაკუთრებული ადამიანური ნიშან-თვისება, რომელიც წარმოიქმნება მზის ენერგიის გავლენით) უკავშირდება, ისტორიის, გეოგრაფიისა და ეთნოგრაფიის ურთიერთშერწყმისა, ევრაზიულ მოძღვრებას პირდაპირ არ უკავშირდება. გუმილევის შრომებში სავიცკის „გეოგრაფიული“ ევრაზიულობაც ვითარდება, მაგრამ ამ უკანასკნელის შესწავლამ იგი ბიოლოგიურ-ისტორიულ დეტერმინიზმთან მიიყვანა (ეთნოსთა დაბადებისა და სიკვდილის ვადა დამოკიდებულია არა კულტურულ-ისტორიულ, არამედ ბუნებრივ ფაქტორებზე). ჰომო საპიენსში ბიოლოგიური ევოლუცია გრძელდება, მაგრამ სხვა ცხოველთაგან განსხვავებულ ნიშან-თვისე-

ბებს იძენს. ფილოგენეზი ეთნოგენეზად იქცევა. ბიოლოგიურ, ბუნებრივ მექანიზმებზეა დამოკიდებული ეთნოსთა მთელი ისტორია.

ევრაზიულობის თანამედროვე ადეპტად ალექსანდრ დუგინი გვევლინება. დუგინის კონცეფციის თანახმად, კაცობრიობის თანამედროვე ისტორიას ორი მსოფლიო სუპერცივილიზაციის — სახმელეთო და საზღვაო ცივილიზაციათა ბრძოლა განსაზღვრავს. საზღვაო ცივილიზაციის ბირთვი დასავლეთია, რომელსაც შუაზე ჰყოფს ისტორიულად ზღვაოსნობასთან დაკავშირებული ატლანტის ოკეანე; სახმელეთო ცივილიზაციისა კი — რუსეთი, სლავურ და თურქულ, მართლმადიდებლურ და მუსლიმურ კულტურათა სიმბიოზი. ერთპოლარულ სამყაროში, რომელშიც აშშ-ი ან, უფრო ფართო მნიშვნელობით, დასავლეთი ბატონობს, რუსეთს თვითმყოფობისა და კულტურის დაკარგვა ელის. ერთადერთი ხსნა მრავალპოლარული სამყაროს შექმნაშია, იმ სამყაროსი, რომელიც აშშ-ის, ინდოეთის, იაპონიის, ჩინეთისა და რუსეთის ბატონობის სფეროებად დანაწილდება. საკუთრივ, რუსეთში ,,სლავურ-თურქული" სიმბიოზის არსებობისას სლავურმა ელემენტმა უნდა შთანთქას თურქული. ეროვნულ უმცირესობებს არ უნდა გააჩნდეთ ეროვნულ-ტერიტორიული წარმონაქმნები, მხოლოდ კულტურულ-ეროვნულ და რელიგიურ ორგანიზაციებს უნდა დასჯერდნენ, თანაც, არა — ტერიტორიული პრინციპით და ა. შ.

დუგინი აქტიურად გამოთქვამდა თავის ანტიქართულ მოსაზრებებს რუსეთ-საქართველოს ომის დროს, ესტუმრა ცხინვალის რეგიონს და „მიესალმა რუსეთის იმპერიის სანუკვარ რენესანსს". მან მოუწოდა საზოგადოებას (?), მხარი დაეჭირათ საქართველოში მცხოვრები ყველა უმცირესობისათვის და შესაძლებლად მიიჩნია აჯანყებების დაწყება სამეგრელოში, აჭარაში, ჯავახეთში...

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ევრაზიულობის ფენომენის შესწავლა საშურია არა მხოლოდ ისტორიული თვალსაზრისით, არამედ თანამედროვე პოლიტიკური სცენარების გასათვალისწინებლადაც. საინტერესოა იმის დადგენა, რამდენად ცხოველმყოფელი აღმოჩნდა ევრაზიელთა იდეები, რა ტრანსფორმაციას დაექვემდებარა მათი ინტელექტუალური პარადიგმა და რა სახის სამეცნიერო თუ პოლიტიკური დისკურსის ჩამოყალიბებას უწინამძღვრებს მათი ნააზრევი.

ბიბლიოგრაფიული შტუდიები

ევრაზიული თეორიის ფუძემდებლები თავიანთ მოსაზრებებს აქვეყნებდნენ საგანგებოდ დაარსებულ გამოცემებში. ეს სამეცნიერო თუ პოპულარული ტექსტები სსრკ-ში ლეგალურად არ ვრცელდებოდა და, ბუნებრივია, ევრაზიელებიც ემიგრაციაში მყოფი რუსი მკითხველით კმაყოფილდებოდნენ. არადა, მათი მოსაზრებანი, უწინარესად, სწორედ საბჭოთა ისტებლიშმენტსა თუ განათლებულ საზოგადოებას მიემართებოდა. ჩვენ მოვიპოვეთ თითქმის ყველა გამოცემის ქსეროასლი, რომლებიც ასახავს ევრაზიული მოძრაობის ფუძემდებელთა უაღრესად აქტიურ სამეცნიერო-პუბლიცისტურ საქმიანობას თითქმის ყველა სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვან საკითხზე.

სვლა აღმოსავლეთისაკენ

უწინარესად, უნდა დავასახელოთ სტატიათა კრებული „სვლა აღმოსავლეთისაკენ. წინათგრძნობა და ასრულება. ევრაზიელთა წარდგენა“, რომელშიც დაბეჭდილია ოთხი ავტორის: პ. სავიცკის, პ. სუვჩინსკის, ნ. ტრუბეცკოისა და გ. ფლოროვსკის სტატიები. კრებული 1921 წელს გამოქვეყნდა სოფიაში. კრებულის გამოსვლას წინამძღვრობდა კამათი ტრუბეცკოის ერთი წლის წინათ გამოქვეყნებული წიგნის „ევროპა და კაცობრიობა“ შესახებ, რომელიც ასაბუთებდა არაევროპელ ხალხთათვის ევროპოცენტრიზმის დაღუპველობას. „სვლამ აღმოსავლეთისკენ“ გამოავლინა ავტორთა განსხვავებული მიდგომა და მრწამსი, თუმცა ისინი იმ აზრს გაეერთიანებინა, რომ საჭირო იყო რუსეთის ასაღორძინებლად გამორჩეული გზის ძიება.

პ. სავიცკი სტატიებში „სვლა აღმოსავლეთისკენ“, „კულტურის მიგრაცია“ და „კონტინენტი და ოკეანე (რუსეთი და მსოფლიო ბაზარი)“ გამოთქვამდა გეოგრაფიულ და ეკონომიკურ არგუმენტებს რუსეთის თვითმყოფადობის სასარგებლოდ. რუსეთი სუპერკონტინენტური რეგიონია და მას არ ძალუძს მეურნეობის საოკეანო სისტემასთან კონკურენცია. ის იძულებულია, ძირითადად, ივაჭროს კონტინენტურ მეზობლებთან და დაინტერესებულია მათი განვითარებით. საოკეანო თამაშის წესის გათვალისწინება მას გააკოტრებდა. ამასთან, რუსეთს ჩრდილო რეგიონი უპყრია, რის გამოც მისი სოფლის მეურნეობა არაკონკურენტუნარიანია. თუმცა ამან არ უნდა დაგვაღონოს. რუსეთმა თვით ამ არასასურველ პირობებშიც კი შექმნა დიდი სახელმწიფო და კულტურა. კულტურის მიგრაციის კანონზომიერებანი მოწმობს, რომ შემოქმედებითი

ენერგიის კონცენტრაციის ცენტრი გადაინაცვლებს ხოლმე სწორედ ნაკლებხელსაყრელ პირობებში განთავსებულ რაიონებში.

ნ. ტრუბეცკოის ეკუთვნის სტატიები „ჭეშმარიტ და ყალბ ნაციონალიზმზე“ და „რუსული კულტურის ზედა და ქვედა ფენები (რუსული კულტურის ეთნიკური საფუძველი)“, რომლებშიც მეცნიერი ეთნოლოგიურ არგუმენტებს გამოთქვამს. ევროპული კულტურა რომანულ-გერმანულია და არა - „ზოგადსაკაცობრიო“, როგორადაც მისი გასაღება სურთ. მისი მიბაძვა რუსულ კულტურას დეგრადაციისთვის გაწირავდა, რადგან არათვითმყოფადი კულტურა ხელს უშლის ღრმა თვითშემეცნებას ანუ „პიროვნების მაქსიმალურ განვითარებას“, შემოქმედებითი ენერგიის გათავისუფლებას. ტრუბეცკოი გახაზავდა, რომ ჭეშმარიტი ნაციონალიზმი უნდა ისახავდეს ნაციონალური კულტურის განვითარების მიზნებს. პოლიტიკის პრიმატს ცრუ ნაციონალიზმამდე, თვითმპყრობელობამდე, სეპარატიზმამდე მივყავართ. რუსული კულტურა იქმნება არა მხოლოდ სლავთა მიერ, რაც იმას ნიშნავს, რომ მან უნდა გამოავლინოს რუსეთის მკვიდრი ყველა ეთნოსის ხალხური სტიქია.

პ. სუვჩინსკის თანახმად (,,უღონოთა ძალ-ღონე“, „რწმენის ეპოქა“), მხოლოდ რელიგიური კულტურა ამკვიდრებს „შთაგონებულ პიროვნულ საწყისს“, მის ფარგლებში კი მუსიკალური ინტუიციური აზროვნება მეტად უწყობს ხელს ღრმა თვითშემეცნებას, ვიდრე - რაციონალური აზროვნება.

ფლოროვსკი (,,განხეთქილება და კავშირი“, „გონებრივი ცბიერება“, „არაისტორიული ხალხების შესახებ“) ტრაგიკულად აღიქვამს იმ ვითარებას, რომ ადამიანები ადამიანობას კარგავენ. დასავლური რაციონალური კულტურა ამდაბლებს პიროვნებას და ნივთად აქცევს მას. მისი რაციონალური ენთუზიაზმის ძირი ერთგვარი „გნოსეოლოგიური დემოკრატიზმია“, როცა ვერ სწვდებიან იმას, რომ ჭეშმარიტება მხოლოდ პიროვნებას ეთანადება. რაციონალიზმი კულტურულ ტრადიციას უწყვეტ ხაზად მიიჩნევს, რითაც კულტურას ყოფას უახლოებს. არადა, სულიერი ტრადიცია ნიშნავს ყოფით წრფივ კავშირთა წყვეტასა და მადლმოსილ ძაფთა გაბმას სივრცესა და დროში. რუსული მართლმადიდებლური ტრადიცია შემეცნებას სულიერ გმირობად აფასებს (ИСХОД К ВОСТОКУ: 1921).

გზაზე

ამის შემდეგ კრებულები მეტ-ნაკლები რეგულარობით გამოდის. 1922 წელს ბერლინში გამოიცა „გზაზე. ევრაზიელთა დამკვიდრება“. იმ დროს ევრაზიელები სოფიიდან გაემგზავრნენ:

ფლოროვსკი და სავიცკი პრაღაში აღმოჩნდნენ, სადაც პრეზიდენტი მასარიკი ემიგრანტთა დასახმარებელ „რუსულ აქციას“ ატარებდა, სუვჩინსკი და ტრუბეცკოი კი - ბერლინში, საიდანაც პირველი მათგანი - პარიზში, მეორე კი ვენაში გაემგზავრება.

კრებულმა ეს სტატიები გააერთიანა:

პ. სავიცკი, ორი სამყარო

ა. კარტაშოვი (კრებულში სწორედ „კარტაშოვი“ წერია და არა - „კარტაშევი“, როგორადაც დამკვიდრებულია მისი მოხსენიება, გ.ჯ.) რეფორმა, რეფორმაცია, ეკლესიის სისავსე

პ. სუვჩინსკი, მარადი ბურჯი

პ. სუვჩინსკი, წარსულის ნიშანი (ლესკოვის შესახებ)

პ. სუვჩინსკი, შემოქმედების ტიპები

ნ. ტრუბეცკოი, ინდოეთის რელიგია და ქრისტიანობა

გ. ფლოროვსკი, მართალ და ცოდვილ პატრიოტიზმზე

ნ. ტრუბეცკოი, „რუსული პრობლემა“

პ. ბიცილი, „აღმოსავლეთი“ და „დასავლეთი“ ძველი სამყაროს ისტორიაში

პ. სავიცკი, სტეპი და მკვიდრობა

პ. სავიცკი სტატიაში „ორი სამყარო“ იმის დასამტკიცებლად, რომ რუსული კულტურა იმთავითვე განსხვავდებოდა ევროპულისგან, ისტორიულ მაგალითებს მოუხმობს: მისი აზრით, რელიგიური სხივი კიაფობს გოგოლის გვიანდელ თხზულებებში, დოსტოევსკისთან, სოლოვიოვთან... მხატვრებს: ალექსანდრ ივანოვსა და მიხაილ ვრუბელს თავის დროზე (მე-19 ს.) ვერ გაუგეს, რადგან რელიგიურ თემატიკას ამუშავებდნენ... მე-19 საუკუნის ევროპული კულტურისათვის უცხოა ისეთი სახელები, როგორებიცაა გოგოლი, ხომიაკოვი, ლეონტიევი, მათი წმინდა რუსული შემოქმედება... სამაგიეროდ, დობროლიუბოვი, პისარევი, მიხაილოვსკი - ევროპული კულტურის მემკვიდრენი პირველობენ. მათი გზა ბოლშევიკებამდე მიდის. ეს ნიშნავს პოზიტიური მსოფლმხედველობის მიღებას, მეცნიერების გაკერპებას, სკეპსისსა და ნიჰილიზმს „არამეცნიერული“ საწყისებისადმი და სხვ. რუსული რევოლუციის შედეგები ცხადყოფს, რომ რუსეთში ევროპისაგან განსხვავებული სამეურნეო ტიპი მკვიდრდება. შპენგლერის წიგნი (,,ევროპის დაისი“) დილემას სთავაზობს რუსეთს: წარმართობა თუ ქრისტიანობა? ბოლშევიკური რუსეთი წარმართობას ირჩევს. არადა, მხოლოდ რელიგიის სინათლე შეგვამეცნებინებს ნაციონალობას; „წმინდა რუსეთი“ პრეისტორიად უნდა შეფასდეს; მე-19 საუკუნის რელიგიური ღვწა - დასაწყისად, რომელმაც ნაყოფი მომავალში უნდა გამოიღოს.

ა. კარტაშევი (1875-1960) - ღვთისმეტყველი, ეკლესიის ისტორიკოსი, უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორი (1917), დროებითი მთავრობის სარწმუნოების მინისტრი, წმინდა სერგის საღვთისმეტყველო ინსტიტუტის პროფესორი (პარიზი) - ავტორია სტატიისა „რეფორმა, რეფორმაცია, ეკლესიის სისავსე“.

კარტაშევი ეკლესიისა და თვითმპყრობელობის კავშირის მომხრეა, რადგან ერთიცა და მეორეც ერთნაირ საძირკველს ემყარება. რუსული ეკლესიისთვის მართლმადიდებლობისა და თვითმპყრობელობის ურთიერთკავშირი კვლავაც მნიშვნელოვან მომენტად რჩება, თუ მას თეოკრატიულად გავიაზრებთ. უნდა მოვუფრთხილდეთ თეოკრატიულ საწყისს, არ უნდა შეგვრცხვეს მისი არასრულყოფილების, მისი განხორციელების სიმახინჯის გამო. ეკლესიის შავრაზმელთა ინსტინქტი უფრო ღრმაა ანუ თეოკრატიულია, ვიდრე იმ საეკლესიო ლიბერალთა სწრაფვა, რომლებიც ეკლესიის გარეგანი ყოფის გამათავისუფლებელ ფორმებს განსახორციელებელ ამოცანებში ურევენ. თვით კარტაშევი არც ერთ მხარეს მიეკუთვნებოდა და არც მეორეს. მას სწამდა, რომ ეკლესიის რეფორმა არ უნდა დაკმაყოფილებულიყო მხოლოდ საორგანიზაციო მხარით. მისი ზეამოცანა უნდა ყოფილიყო ადამიანური შემოქმედების ყველა სფეროში ეკლესიის წამყვანი მდგომარეობის აღორძინება. ამიტომ რეფორმაციისა და პროტესტანტიზმის გეზი, რომლის მიხედვითაც, რელიგია კერძო საქმედ ცხადდებოდა, მისთვის მიუღებელი იყო. ეკლესიამ უნდა უპასუხოს კითხვას ადამიანთა ცხოვრების არსზე. პასუხი უნდა გულისხმობდეს ახალ განცდებს, ახალ გამოცდილებას. კარტაშევმა განსაზღვრა ამ გამოცდილების გააზრების მეტაფიზიკური საფუძვლები და ქრისტიანობის საამსოფლო მოწოდების მნიშვნელობა. სულ სამი ძირითადი კატეგორიაა: ღმერთი, ადამიანის პიროვნება და კოსმოსი, ხოლო ბოლო ორისაგან გამომდინარეობს საზოგადოების კატეგორია. სწორედ ეს კოლექტიური პიროვნება, ნახევრადმექანიკური მასა წარმოქმნის საზოგადოების ახალ კატეგორიას. ეს მეტაფიზიკური ანტინომია სრული და არაშემთხვევით გავლებული პარალელია ღმერთკაცის დოგმატთან. პიროვნების თავისუფლება და კოსმოსის უცილობლობა წარმოქმნის ადამიან-კოსმოსს. ფაქტობრივად, რეალურად ჩნდება ღმერთკაცი. კარტაშევი ამ პროცესს წარმოაჩენდა, როგორც უწყვეტი შესაქმის პროცესს, ღვთაებრივ გამოცხადებას ქრისტეს შემდგომ. წმინდა მამების ტრადიცია არასაკმარისი იყო იმ ახალ ამოცანათა გადასაწყვეტად, რომლებიც ეკლესიას დაესახა. საამისოდ ახალი მონაცემებია საჭირო, რომელთა ცხადყოფა მხოლოდ ეკლესიის ცნობიერებისა და გამოცდილების გაფართოებას ძალუძს. ეს გულისხმობდა პიროვნების იმ საიდუმ-

ლოს ახსნას, რომლისთვისაც თავი შეეფარებინათ მის შემოქმედებით უფლებებსა და დამოკიდებულებას საზოგადოებასთან. გაჩნდა ახალი, რელიგიური, უაღრესად რთული და ფაქიზი პრობლემა: როგორ მივიღოთ რელიგიურად ავტონომიური ანუ თეონომიური პიროვნებების კრებულიდან რელიგიური საზოგადოება - ეკლესია, უხეში ანტაგონიზაციის გარეშე, შემდეგ კი - სამოქალაქო საზოგადოება? კარტაშევის პასუხი თეოკრატიის ახლებურ გაგებას გულისხმობდა. ადამიანისა და კოსმოსის ინოვაციური გააზრება ღმერთის დოგმატის ასეთსავე რეფლექსიას მოითხოვდა. ახალი თეოკრატია ემყარება ავტონომიურ პიროვნებას, რომელიც საეკლესიო ორგანული ძაფებით უკავშირდება მისსავე მსგავსთ და მთელ კოსმოსს. წარმოჩნდება ღმერთის უფრო სავსე სახება. თეოკრატიის ახლებური გააზრების საშუალება წინასწარმეტყველური სულია, რომელიც ეკლესიაში უნდა აღორძინდეს. ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფის მომხრეთა საპირისპიროდ, კარტაშევი მხარს უჭერდა ეკლესიისა და სამართლებრივი სახელმწიფოს ურთიერთდამოუკიდებლობას, მეგობრული თანამშრომლობის შენარჩუნებით.

თეთრგვარდიელთა დამარცხების შემდეგ კარტაშევის მიზანი ბოლშევიკთა უღმერთობის დაძლევა შეიქნა. ამიტომაც დაუახლოვდა ევრაზიელებს. მცირეხნიანი თანამშრომლობის საფუძვლად იქცა წმ. სოფიას საძმოს დაარსება. ევრაზიელები ბოლომდე როდი იზიარებდნენ მის იდეებს: პ. სავიცკი ევრაზიელთათვის უცხოდ მიიჩნევდა კარტაშევის ერთგვარ ჰილიასტურ პათოსს. იყო სხვა სახის იდეოლოგიური უთანხმოებაც: კრებულის - „რუსეთი და ლათინობა“ - გამოსვლის შემდეგ ცხადი გახდა, რომ მისი ოცნება მსოფლიო ეკლესიის შექმნასა და ეკუმენიზმზე ევრაზიელთათვის მიუღებელი იყო. კარტაშევს არ მოსწონდა ევრაზიელების მიერ კათოლიციზმის ნეგატიური შეფასება და მასთან დიალოგის ყველანაირი შესაძლებლობის მოსპობა. ამან ევრაზიულ გამოცემებში კარტაშევის მონაწილეობას წერტილი დაუსვა.

პ. სუვჩინსკი სტატიაში „მარადი ბურჯი“ აფასებს რუსეთის რევოლუციას, ასკვნის, რომ რუსეთში ევროპული კულტურა და კაპიტალიზმი მხოლოდ მაღალ ფენებს შეეხო, რაც პირველმა მსოფლიო ომმაც გამოავლინა. მისტიკისა და რეალიზმის მხოლოდ ორგანულ ერთიანობაში, რეალურ რელიგიურ კულტურაში - ცხოვრებისეული გამოცდილების მისტიკურ გაცოცხლებასა და განყენებული მისტიკის რეკონკრეტიზებაშია ხსნა. მაგრამ მხსნელი ევროპული კულტურა ვერ იქნება, მისი ინდივიდუალიზმისა და სიმბოლიზმის გამო. რელიგიური კოლექტივი კი, თავისუფალი ნებისა და პასუხისმგებლობის წყალობით, პიროვნების ფორმას ხელშეუხებელს სტოვებს. რუსეთმა ბიზანტიური მართლმადიდებლობა მიი-

ღო, რომელშიც მძლავრად და სინთეზურად შერწყმია ერთურთს ბერძნულ-აზიური რელიგიური ცნობიერების განსხვავებული ელემენტები. მან პირველწყაროთაგან ამოზარდა ქრისტიანული ეკლესიის ყველაზე სრულყოფილი ფორმა მისტიკური რეალიზმისა და დიდი რუსი ხალხის ბედს აზიარა. ამ ახალმა რეალობამ უნდა შვას რუსეთის მომავალი.

ნ. ტრუბეცკოი ტრაქტატში „ინდოეთის რელიგიები და ქრისტიანობა“ დაწვრილებით განიხილავს ინდუიზმსა და ბუდიზმს და დაასკვნის, რომ ყოველივე ეს სატანისგანაა, ცრუსწავლებათა რიცხვს განეკუთვნება და მისი ქრისტიანობასთან დაახლოება გამორიცხულია. ერთადერთი, რის სწავლაც არაქრისტიანული აღმოსავლეთისგან შეიძლება, მის მკვიდრთა დამოკიდებულებაა რელიგიისადმი. რუსებმა აღმოსავლური მართლმადიდებლობის დოგმატური არსი არ უნდა შეცვალონ; საჭიროა მისი ცხოვრების ისეთივე ცენტრად ქცევა, როგორც ეს ინდუსებმა ჩაიდინეს. რუსებმა უნდა ისწავლონ საკუთარი სარწმუნოებისამებრ ცხოვრება და ის უნდა მიიჩნიონ არა განყენებულ ფორმულათა ერთობლიობად, არამედ თავიანთი ყოველდღიური ცხოვრების რეალურ და პირველხარისხოვან ფაქტორად.

გ. ფლოროვსკი სტატიაში „მართალ და ცოდვილ პატრიოტიზმზე“ განიხილავს რევოლუციას, როგორც შემდგარ ფაქტს, თუმცა მორალურად დამცემსა და გამანადგურებელს; პეტრესდროინდელ რუსეთს, როცა რუსეთი მეორე თვიდან უცაბედად ორსულობის მეცხრე თვეზე „გადახტა“. ეს იყო ცდა რუსეთის არა გაზრდისა, არამედ - შექმნისა, როცა ყველა ურთიერთობა, განსაკუთრებით, ზედა ფენებისა, უცხოტომელთა ცხოვრებისეული სტილის წაბაძვით გარდაიქმნა. ამან დიდწილად განსაზღვრა პეტერბურგული რუსეთის სამომავლო ხასიათი და განვითარება. არადა, რუსი რომ იყო, მართლმადიდებელი უნდა გახდე. ფლოროვსკიც სხვათა სახელით (,,ჩვენ“) ლაპარაკობს, როცა მიიჩნევს, რომ ოდენ რუსული მართლმადიდებლური კულტურა და ეკლესიის ფრთებქვეშ შეფარებული შემოქმედებაა მართალი რუსული საქმე.

ნ. ტრუბეცკოი სტატიაში „რუსული პრობლემა“ მიმოიხილავს რუსეთის რევოლუციისშემდგომ მდგომარეობას და დაასკვნის, რომ თუ რუსეთმა თვითონ არ მოახერხა შექმნილი მდგომარეობიდან თავდაღწევა, უცხოელთა დახმარება მას მხოლოდ მონის მომავალს უქადის. საამისოდ საჭიროა საბჭოეთში მცხოვრებ რუს მოაზროვნეთა მსოფლმხედველობის შეცვლა. ამას მხოლოდ ემიგრაცია თუ მოახერხებს, რომელიც ცენზურისაგან თავისუფალია.

პ. ბიცილი (1879-1953) - რუსი ისტორიკოსი, ლიტერატურათმცოდნე და ფილოსოფოსი, სოფიის უნივერსიტეტის პროფესორი - ავტორია სტატიისა „აღმოსავლეთი“ და „დასავლეთი“ ძველი სამყაროს ისტორიაში“, რომელშიც ავტორი ერთგვარ გლობალისტურ იდეას ავითარებს აღმოსავლეთ-დასავლეთის ოპოზიციიდან ერთი სამყაროს ჩამოყალიბების თაობაზე. აღსანიშნავია, რომ ბიცილის აზრით, ამ ჩანაფიქრის განხორციელებას ხელი ყოველთვის „დასავლეთმა“ შეუშალა. რაც შეეხება რუსეთს, მისი მეშვეობით, აზია არა იმდენად განკერძოვდება, რამდენადაც უკავშირდება ევროპას. თუმცა რუსეთი არ დაკმაყოფილდა ჩინგიზ ყაენისა და თემურ ლენგის ისტორიული მისიის განმგრძობის როლით. რუსეთი არა მხოლოდ შუამავალია ცალკეულ აზიურ განაპირა მხარეთა კულტურულ გაცვლა-გამოცვლაში. მასში შემოქმედებითად ხორციელდება აღმოსავლურ და დასავლურ კულტურათა სინთეზი. რუსები „სკვითებიც“ არიან და „მონგოლებიც“. ეთნოგრაფიული თვალსაზრისით, რუსეთი ის ოლქია, რომელშიც ბატონობს ინდოევროპული და თურანული ელემენტები. კულტურაშიც ვერ უარვყოფთ თურანული სტიქიის არსებობას. რუსულ ქრისტიანობაში კი თურანულს ვერაფერს ნახავთ: მისი მისტიციზმი და რელიგიური ეგზალტაცია ირანულ-ინდურია. მხატვრული ჭვრეტის სიმახვილე, რომელიც რუსებს ახასიათებს, აახლოებს მათ აღმოსავლეთთან, უკეთ - ჩინელებსა და იაპონელებთან. რუსეთს ძალუძს უმაღლესი კულტურის იმიერურალისპირეთში გატანა, თუმცა თვითონ ნეიტრალურ, უშინაარსო თურანულ სტიქიასთან შეხებით ვერაფერს მიიღებს. თავისი „ევრაზიული“ მისიის განხორციელება, ახალი ევრაზიული კულტურული სამყაროს არსის რეალიზება რუსეთს იმ გზებითღა შეუძლია, რომლებითაც აქამდე განვითარებულა: შუა აზიიდან და შუა აზიისავე გავლით - ძველი სამყაროს ზღვისპირა ოლქებისაკენ. რუსეთის ისტორიული ბედი, მოყოლებული მე-16 საუკუნიდან, შესაძლოა, განვიხილოთ, როგორც გრანდიოზული ცდა ცენტრის აღდგენისა და ამით - „ევრაზიის“ წარმოქმნისა. ამ ცდის შედეგს ემყარება მომავალი.

ევრაზიულობის შემოქმედებითი მემკვიდრეობის გასაანალიზებლად უმნიშვნელოვანესია პ. სავიცკის სტატია „სტეპი და მკვიდრობა“, რომელშიც ავტორი ამტკიცებს, რომ „მონგოლობის“ გარეშე რუსეთი ვერ იქნებოდა. მონგოლობამდელ რუსულ ყოფაში არსებული მერყეობის ელემენტი, დეგრადაციისაკენ მიდრეკილება უცხოტომელთა უღლის გარდა ვერაფერს მოიმკიდა. რუსებს ბედმა გაუღიმა, რომ მაშინ, როცა შინაგანი დაქუცმაცების შედეგად, ის-ის იყო, უნდა დაცემულიყო, მონგოლებს ხვდა წილად და არა - სხვებს. მონგოლობა - „ნეიტრალური“ კულტურული გარემო, რომელიც იწყნარებდა „ყველანაირ ღმერთს“ და „ყველანაირ კულტს“ - რუსეთს ღვთის რისხვად დაატყდა თავს, მაგრამ მონგოლობას ეროვნული

შემოქმედების სიწმინდენი არ შეურყვნია, რუსეთს რომ დასავლეთი დაჰპატრონებოდა, სულს ამოართმევდა... მონგოლებს რუსეთის სულიერი არსი არ შეუცვლიათ; მაგრამ სახელმწიფოებრიობის, მილიტარიზებულ-ორგანიზებული ძალის შექმნის ეპოქისათვის გამორჩეული თვისებით უთუოდ იმოქმედეს რუსეთზე. მაგალითის ძალამ თუ მმართველებში მათი სისხლის „გადასხმამ“ რუსეთი შეაიარაღა, სახელმწიფო-იძულებითი ცენტრი შეაქმნევინა, სიმყარისათვის მიაღწევინა; მონგოლებმა მიანიჭეს რუსებს თვისება, ძლევამოსილ „ურდოდ“ ქცეულიყვნენ. მსოფლიო ისტორიის სივრცეში ზღვის დასავლეთევროპულ აღქმას თანაბრად, თუმცა კი, პოლარულად, კონტინენტის მხოლოდ მონგოლური აღქმა უპირისპირდება; ამასთან, რუს „მოგზაურებშიც“, რუსების დაპყრობათა და ათვისებათა გაქანებაში იგივე სულისკვეთება, კონტინენტის იგივეობრივი აღქმაა. თვით მონგოლ-თათართა უღელიც კი, რომელიც ხელს უწყობდა რუსეთის სახელმწიფოებრივ ორგანიზებას, მანამდე მიძინებულ ჩვევათა ათვისებასა თუ გამოვლენას, ამავე დროს ქურაც იყო, რომელშიც რუსული სულიერი თავისებურება გამოდნა. ამ უკანასკნელის დვრიტა - რუსული ღვთისმოსაობაა. და ეს ღვთისმოსაობა - როგორიც არის, როგორიც კვებავდა და დღესაც ასაზრდოებს რუსულ სასულიერო ცხოვრებას - სწორედ მონგოლობის დროს ჩამოყალიბდა. ღვთის რისხვის როლის შემსრულებელმა მონგოლებმა განწმინდეს რუსეთი, თავიანთი მაგალითით ძლევამოსილების ჩვევა შთაუნერგეს მას - ამ წინააღმდეგობაში კრთის რუსეთის ორმაგი სახე. რუსეთი - დიდებულ ყაენთა მემკვიდრე, ჩინგიზისა და თემურის საქმის გამგრძელებელი, აზიის გამაერთიანებელი; რუსეთი - „განაპირა-ზღვისპირა“ სამყაროს განსაკუთრებული ნაწილი, ღრმა კულტურული ტრადიციის მტვირთველი... მასში ერთმანეთს ისტორიულად ერწყმის „მკვიდრი“ და „სტეპური“ სტიქიები...მონგოლ-თათართა ეპოქის შემდეგ მნიშვნელოვან ისტორიულ ფაქტად იქცა რუსების სტეპებში განსახლება, სტეპის პოლიტიკურ-ეთნოგრაფიული ათვისება. ამ შეუღლებას ერთვის რუსული მიწების „ხმელთაშუაზღვისპირეთთან“ დაახლოებაც. დღეს ეს ხორციელდება სამხრეთ ყირიმისა და კავკასია-შავი ზღვისპირეთის ფლობით. „ცენტრალური“ სამყაროს „განაპირა მხარეთა“ გარკვეულ ნაწილთან შენივთებით რუსეთი-ევრაზია მოიცავს ძველი სამყაროს „ბირთვს“, „გულისგულს“. ამის მიღმა რჩება „განაპირა მხარეები“, რომლებიც ზღვაში შეჭრილა. ეს მდებარეობა ამ „განაპირა მხარეებს“ საოკეანო მეურნეობაში თანამონაწილეობისათვის გამოსადეგს ხდის. რუსეთ-ევრაზიის მეურნეობა კი, განვითარების პერსპექტივით, განსაკუთრებულ შიდაკონტინენტურ სამყაროს ქმნის... (На путях: 1922).

რუსეთი და ლათინობა

1923 წელს გამოდის კრებული „რუსეთი და ლათინობა“, რომელიც არა იმდენად ევრაზიული საპროგრამო გამოცემა, რამდენადაც მართლმადიდებელ მოაზროვნეთა რეაქცია გახლდათ ბოლშევიკთა და კათოლიკეთა ტაქტიკურ დაახლოებაზე (იგულისხმება რუსეთის კათოლიკური მისიის საქმიანობა, რომელსაც ბოლშევიკურმა მთავრობამ ქვეყანაში დამკვიდრების უფლება მისცა მოშიმშილეთა დასახმარებლად, გ.ჯ.). ეს ერთადერთი ევრაზიული კრებულია, რომელიც მოიწონა ევრაზიელთა მოწინააღმდეგე ფილოსოფოსმა ი. ილინმა.

კრებულმა გააერთიანა ეს სტატიები:

პ. სავიცკი, რუსეთი და ლათინობა

პ. სუვჩინსკი, ვნებები და საფრთხე

პ. ბიცილი, კათოლიკობა და რომის ეკლესია

გ. ვერნადსკი, „ეკლესიათა შეერთება“ ისტორიულ სინამდვილეში

ნ. ტრუბეცკოი, ერთიანობის საცდურნი

ა. კარტაშოვი, გაერთიანების გზები

გ. ფლოროვსკი, ორი აღთქმა

ვ. ილინი, ლიტურგიის პრობლემისათვის მართლმადიდებლობასა და კათოლიციზმში

პ. სავიცკის ტექსტი წინასიტყვაობაა, რომელშიც განმარტებულია ზემოთ ხსენებული კრებულის გამოცემის საჭიროება. დავიწყოთ იმით, რომ ტერმინი „ლათინობა“ მეორე ტერმინ „კათოლიკობის“ თავიდან ასაცილებლად გამოიყენება (კათოლიკე - მსოფლიო, საყოველთაო).

სავიცკის აზრით, ბოლშევიზმი და ლათინობა - ინტერნაციონალი და ვატიკანი - ისტორიული და ემპირიული თვალსაზრისით, თანამებრძოლნი და მოკავშირენი არიან, რადგან ორივე ესხმის თავს მართლმადიდებლური სულისკვეთების ბალავარს, რომელიც აძლიერებს რუსეთს. ის, ვინც ლათინებმა მოაქცია, შესაძლოა, ბოლშევიკთა მხვერპლს შევადაროთ. ერთნი სულს სტაცებდნენ ადამიანებს, მეორენი - ხორცს. ეს უკანასკნელნი ხორციელი დაღუპვის მაგალითს განასახიერებენ, რომლებიც, ღვთის შეწევნით, სულიერ ხსნას მოიპოვებენ. ხშირად ხორციელ კეთილდღეობას დახარბებული გალათინებულნი კი, სულიერად კი კვდებიან. თუმცა კომუნისტებიც არ კმარობენ მათ ფიზიკურ განადგურებას, ვინც მათ ეწინააღმდეგება. პროპაგანდის მეშვეობით, ისინი ცდილობენ და ხანდახან ახერხებენ კიდეც მართლმადიდებელთა სულის გახრწნას, განსაკუთრებით - ახალგაზრდებისა. მათ მეთოდებს ლათინები არ იყენებენ, მაგრამ ორივე ზემოქმედებს ადამია-

ნის სინდისზე, ორივეს სურს ისტორიული და სახალხო მონაპოვრის მიტაცება... რელიგიურად და შინაგანად ლათინების გაიგივება ბოლშევიკებთან არ შეიძლება, რაც უნდა დიდი იყოს მათი ამპარტავნობა და - შორსმიმავალი პირველთა დაცემა. მართლმადიდებელი ეკლესია ერთიანი, ჭეშმარიტი და კათოლიკეა. მას ძალუძს და ევალება სხვა ეკლესიათა შენდობა და სიყვარული, რაც ასე ძნელად მისაღწევია ლათინთათვის. და თუ ისინი შეინანებენ, მართლმადიდებლები ამხელენ ლათინობის ბოროტ საწყისს. მართლმადიდებელი ეკლესია ვერაფრით შეუთანხმდება და დათმობს დოგმატებსა და იერარქიასთან დაკავშირებულ დებულებებს. ვინც ამას სჩადის, ცოდვილია. სხვამხრივ, დიდი სიბრძნე და დაფიქრებაა საჭირო მართლმადიდებლობისა და რომის ეკლესიის ურთიერთობათა მოსაწესრიგებლად.

პ. სუვჩინსკი სტატიაში „ვნებები და საფრთხე“ ეხება რევოლუციისშემდგომ რუსულ ეკლესიას და, ზოგადად, რელიგიურ მდგომარეობას. ბრმა პატივმოყვარებისა და თვითდარწმუნებულობის საერთო სულისკვეთებას მოჰყვა წინადადება „მართლმადიდებლური რწმენის დოგმატთა, წმინდა საეკლესიო კრებათა კანონებისა და საღვთისმსახურო წესდებათა გადასინჯვის“ თაობაზე. რუსი ხალხის სულიერი წონასწორობა დარღვეულია, რასაც, შესაძლოა, მოჰყვეს ეკლესიის რეფორმაციაზე უფრო ცუდი შედეგი. სუვჩინსკი ამტკიცებს, რომ მართლმადიდებელი რუსეთი, მოყოლებული მე-14-16 სს., უნდა გამოიყოს სხვა მართლმადიდებელთაგან, როგორც დიდი მართლმადიდებლობის მტვირთველი, რადგან რუსული მართლმადიდებელი ეკლესია და რელიგიური გამოცდილება ატარებს უდავო რჩეულობისა და „სიდიადის“ ტვიფარს. რუსული სახელმწიფოებრიობის ისტორიაშია დავანებული რუსეთის დიდმპყრობლობის ისტორია. პრაქტიკული ენერგიის თვალსაზრისით, კათოლიკური ეკლესია უფრო მეტ ნებას ამჟღავნებს, მაგრამ მართლმადიდებლობის ნების პასიურობა იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ჭეშმარიტების განცდა აცხრობს ზედმეტი მისიონერობისკენ მისწრაფებას? რომის ეკლესიის ავადმყოფური დაძაბულობა, მისი საგანგაშო ლტოლვა მსოფლიო თეოკრატიისაკენ შედეგია საკუთარი ქარიზმატულობის გამართლებისა, რომელსაც ასე თავგამოდებით ამტკიცებს მთელი კათოლიკური თეოდიცეა. ვინ იცის, ეგებ ბოლშევიკთა მიერ მთელი მსოფლიოს თავხედურმა გამოწვევამ, მათმა გაუგონარმა თვითდამკვიდრებამ აგრძნობინა ვატიკანს ამპრტავნობით თავისივე მსგავსი იდეოლოგიის წარმოჩენა და ამიტომაც გამოემართა რუსეთისკენ?

შესაძლოა, საჭირო იყოს აღმოსავლურ და დასავლურ ეკლესიათა გაერთიანება საერთო და საშინელი მტრის წინააღმდეგ: ძლიერ და გაბატონებულ კათოლიციზმს ძალუძდეს ნაწამები რუ-

სული ეკლესიის დახმარება, მაგრამ სად არის იმის გარანტია, რომ ეს კავშირი და შემწეობა ამხედრებულმა რომმა, ისტორიული ტრადიციისამებრ, არ გამოიყენოს თავისი ავტორიტეტის ასამაღლებლად, ხოლო რუსული ეკლესიის ტანჯვით მიღწეული გამოცდილება, რომელმაც მართლმადიდებლობას უნდა შეაცნობინოს ქრისტეს მტრები და შეაგრძნობინოს მთელი ქრისტიანული სამყაროს გაერთიანების აუცილებლობა მათთან საბრძოლველად, ვატიკანის სარგებლად არ იქცეს? კათოლიკეთა უანგარობის რწმენა მართლმადიდებლებს არ გააჩნიათ. ლათინური საცდური რუსებმა უნდა უკუაგდონ.

პ. ბიცილი სტატიაში „კათოლიკობა და რომის ეკლესია“ ისტორიულ ექსკურსებზე დაყრდნობით იმის დამტკიცებას ცდილობს, რომ კათოლიკური ეკლესიისა და მისი მეთაურის სწრაფვანი, ძირითადად, საკუთარი გამორჩეულობისა და ყოვლის განმგებლობის დამტკიცების სურვილს გამოხატავს. მრავალი ილუსტრაციის გათვალისწინებით, მეცნიერი დაასკვნის, რომ 1870 წლის 18 ივლისის ვოტუმი, რომელმაც კათედრიდან მოქადაგე პაპის რწმენის საკითხებში უცდომლობა დააკანონა, ერთ რამეს მოწმობს: ოფიციალურმა კათოლიკურმა ეკლესიამ დაკარგა უნარი, გაარჩიოს, რა არის ცოცხალი და რა - მკვდარი; ეს კი იმას ნიშნავს, რომ ის მოკვდა როგორც ამ სოფლისთვის, ისე - საკუთარი თავისთვის.

გ. ვერნადსკის ვრცელი სტატია „ეკლესიათა შეერთება“ ისტორიულ სინამდვილეში“ ეხება უნიატურ მოძრაობას და კათოლიკეთა ქმედებას საეკლესიო კრებებზე (ფერარა-ფლორენციისა და ბრესტის კრებები). საბოლოოდ, მკვლევარი დაასკვნის, რომ უნიატური სწრაფვანი მრავალგზის და მრავალ ადგილას წარმოჩენილა ექვს საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში აღმოსავლური მართლმადიდებლური ევროპის ტერიტორიაზე. ყველგან და ყოველთვის გამოიყოფოდა უნიის საერთო ნიშან-თვისება: ლათინთა ინტენცია, გამოეყენებინათ მართლმადიდებელთა გართულებული მდგომარეობა, მაგრამ, ამასთან, შიშიც, უკმაყოფილებას არ ეფეთქა, როცა მათი ნამდვილი სახე გამომჟღავნდებოდა; ამდენად, უნია იყო შუალედური ფორმა სრული გალათინების გზაზე; პირველ ხანებში უნიატებისათვის აღმოსავლური რიტის შენარჩუნება, შემდეგ კი ამ „შეღავათის“ გაუქმებაც. უნიას არსად შეუსრულებია ეკლესიათა ნამდვილი შეერთების როლი.

ნ. ტრუბეცკოი სტატიაში „ერთიანობის საცდურნი“, ფაქტობრივად, იმავე საკითხს ეხება, ოღონდ მისი მსჯელობა უფრო ფილოსოფიური ხასიათისაა. მეცნიერის აზრით, ეკლესიების ყოველგვარ გაერთიანებას, რომლებიც, შესაძლოა, ადამიანური ხერხებით განხორციელდეს - კაპიტულაციით ან კომპრომისით - მოჰ-

ყვება მხოლოდ უნია ანუ ახალი აღმსარებლობის შექმნა, რომლის პარალელურადაც ძველი ეკლესიები განაგრძობენ არსებობას. ასეთი უნიის შექმნა კი არ ამცირებს, არამედ ზრდის მრავალეკლესიანობას, კი არ აძლიერებს, არამედ ასუსტებს (გარედან და შიგნიდან) ქრისტიანობას. ერთი შეხედვით, ღვთისმოსავ და ქრისტიანობის სასარგებლოდ ეკლესიათა გასაერთიანებლად წარმართულ სწრაფვას, ფაქტობრივად, ქრისტიანობისათვის დამღუპველ შედეგამდე მივყავართ. ყველა ჭეშმარიტი ქრისტიანის ერთ წმინდა კათოლიკე (საყოველთაოობის თვალსაზრისით; რუსულ „მრწამსში“ „კათოლიკე“ თარგმნილია Соборная-დ, გ.ჯ.) სამოციქულო ეკლესიად გაერთიანება ვერ მოხერხდება ადამიანური საშუალებებით, არამედ - მხოლოდ უფლის ხელით, სასწაულებრივად, უკანასკნელ ჟამს. ამდენად, ნებისმიერი სწრაფვა ადამიანური ძალისხმევით გაერთიანებისა დასრულდება ცრუგაერთიანებით. ამ საცდურს, როგორც სატანისეულს, ქრისტიანი არ უნდა დაჰყვეს.

ეკლესიათა ერთიანობის საკითხს ეხება ა. კარტაშევის სტატიაც - „გაერთიანების გზები“. ავტორის აზრით, საეკლესიო ისტორია გვიჩვენებს, რომ განხეთქილებანი და თვით ერესებიც კი, ხშირად რომელიმე თემის ეკლესიიდან „განთესვას“ კი არ ნიშნავდა, არამედ სწორედ გამოყოფას და შემდგომ ავტონომიურ არსებობას ერთნაირად მადლმოსილი ორი საეკლესიო სხეულისა, ერთმანეთთან რაიმე კავშირის უქონლად. სქიზმის გადალახვის საშუალება არის არა - უნია, განთესილთა ჭეშმარიტ ეკლესიასთან მიერთება, არამედ - გა-ერთ-იანება თანაბარი პრინციპებით. კარტაშევს მოჰყავს რამდენიმე ისტორიული მაგალითი იმის დასადასტურებლად, რომ ურთიერთგანკვეთას უბრალოდ ივიწყებდნენ საეკლესიო მშვიდობის აღდგენის ჟამს და დე ფაქტო აღიარებდნენ, რომ სქიზმის განმავლობაში განყოფილი ეკლესიები ცხოვრობდნენ მადლმოსილი საეკლესიო ცხოვრებით.

გ. ფლოროვსკის სტატია „ორი აღთქმა“ ეძღვნება ეკლესიის ერთიანობის საღვთისმეტყველო დასაბუთებას.

ვლადიმირ ილინი (1891-1974) - რუსი ფილოსოფოსი და ღვთისმეტყველი, პარიზის მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო ინსტიტუტის პროფესორი - სტატიაში „ლიტურგიკის პრობლემისათვის მართლმადიდებლობასა და კათოლიციზმში“ ეხება ორი ეკლესიის ლიტურგიულ პრაქტიკას და მიჰკერძავს მართლმადიდებლურისას, რადგან ბერძნულმა ეკლესიამ შემოინახა ლიტურგიის ის ტიპი, რომელიც მე-5 ს. დამკვიდრდა, მისი ევქარისტიული კანონი გაცილებით ახლოსაა ძველ ეკლესიასთან, ვიდრე - რომის ეკლესიისა (Россия и латинство: 1923).

ევრაზიული მატიანე

1923-1927 წლებში ბერლინში გამოდიოდა ჟურნალი „ევრაზიული მატიანე“, რომლის სამივე წიგნს (N3, 4, 5) გავეცანით. რედაქტორები არიან: პ. სავიცკი, პ. სუვჩინსკი და თავადი ნ. ტრუბეცკოი. ჩემ ხელთ არსებულ ასლს პ. სავიცკის პირადი წარწერა ამშვენებს: „ძვირფას მიხაილ არტურის ძე ციმერმანს. პეტრე სავიცკისაგან. 20. XII.1923”.

მიხაილ ციმერმანი (1887-1935) ცნობილი რუსი იურისტი გახლდათ, რომელიც 1921 წელს მოხალისეთა არმიასთან ერთად გაემგზავრა რუსეთიდან და იმავე წლიდან ჯერ პრაღაში დამკვიდრდა, შემდეგ კი ბრნოში, როგორც სწავლული სამართალმცოდნე. სხვათა შორის, ციმერმანი ქუთაისშია დაბადებული.

მესამე წიგნი ამ სტატიებისაგან შედგება:

პ. სავიცკი, იდეის ქვეშევრდომობა

ნ. ტრუბეცკოი, კართან (რეაქცია? რევოლუცია?)

პ. სუვჩინსკი, რევოლუციის გადალახვის შესახებ

ნ. არსენიევი, ცოცხალი ქვები

მსტისლავ შახმატოვი, ხელისუფლების გმირობა (რუსეთის სახელმწიფოებრივი იდეალების ისტორიის ცდა)

პ. სუვჩინსკი, რუსული რელიგიურობის ორგემაგეობა

ნ. ტრუბეცკოი, ბაბილონის გოდოლი და ენათა აღრევა

პ. სავიცკი, რუსეთის საწარმოო ძალები

იაკობ სადოვსკი, ევრაზიის ოპონენტებისადმი (წერილი რედაქციას

პ. სავიცკის „იდეის ქვეშევრდომობა“ მმართველი იდეის შერჩევას ეძღვნება. თუ იდეა იქნება, პიროვნებებიც გამოჩნდებიან. „მმართველი იდეა“ იბადება და იზრდება მომენტისა და ეპოქის საერთო სულიერ გარემოში. მისი აკვანი და სამშობლო ხალხის ინტელექტუალურ წარმომადგენელთა, მისი „ინტელიგენციის“ სულიერი თვითშემეცნება და გამოცდილებაა. რევოლუციის შემდგომდროინდელ რუსეთს სჭირდება კომუნიზმზე უფრო ძლევამოსილი იდეა. რუსეთის მსოფლიო მისიის შესახებ მოსაზრება მე-15 საუკუნეს მიემართება. სხვადასხვა ფორმითა და სახესხვაობით, ეს აზრი მომდევნო საუკუნეებშიც ცოცხლობდა. მე-19 ს.-ში ის ახლებურად განვითარდა რუსულ ფილოსოფიურ და ისტორიოსოფიურ ლიტერატურაში. სამეფო მოსკოვი და საიმპერატორო რუსეთი მსოფლიო მისიას ნაციონალური სახელმწიფოს ფორმებითა და მეთოდებით ახორციელებდნენ. კომუნიზმშიც კი, ბელადთა უნებლიეთ, რუსეთის მსოფლიო მოწოდება და დანიშნულება ილანდება. აღორძინებულმა

რუსეთმა ეს უნდა შეინარჩუნოს. რუსული ნაციონალიზმი განირჩევა სხვათაგან: სხვებს მხოლოდ გამოყენებითი იმპულსები ამოძრავებთ და თავმოყვარეობა თანგავთ; რუსული ნაციონალიზმი, ერთი მხრივ, გამომყენებელია, მეორე მხრივ კი, მსოფლიო მისიის განხორციელებას ელტვის. რუსებს ორი სამშობლო აქვთ: რუსეთი და სამყარო. რუსეთის მსოფლიო დანიშნულება ისაა, იპყრას და გადაარჩინოს დასავლეთის მიერ მიტოვებული რწმენა. რუსეთმა უნდა გაათავისუფლოს სამყარო ახალი რომანულ-გერმანული შაბლონისაგან. რუსული იდეა მართლმადიდებლობაა. პიროვნება ნაყოფიერი და ძლევამოსილი მაშინაა, თუ ის აღუტაცია დიდი შემოქმედებითი იდეის მძლავრ ფრთებს. რუსებს იდეამ უნდა ჩაუნაცვლოს სახელმწიფო, კრებული და ბელადი მანამ, სანამ ყოველსავე ამას იდეა არ შექმნის. ვიდრე თავზე მმართველებს, ადამიანებსა და დაწესებულებებს დაისვამდნენ, მმართველ იდეას უნდა მოუხარონ ქედი.

ნ. ტრუბეცკოი თავის სტატიაში „კართან (რეაქცია? რევოლუცია?)“ ეხება მემარცხენეობა-მემარჯვენეობის პრობლემას. მეცნიერი ასკვნის, რომ ყოველი ახალი პოლიტიკური მიმდინარეობა წინარეზე მემარცხენეა. მემარჯვენეობა იდეალი არ აღმოჩნდა. არადა, ხალხის ჩიხიდან გამომყვანი მხოლოდ იდეალია. მემარჯვენეობის იდეოლოგიური სიღატაკე ნათელია. საჭიროა ახალი ჭეშმარიტი იდეოლოგია. საჭიროა არა რეაქცია, არამედ - რევოლუცია ანუ გადატრიალება ცნობიერებაში. ევროპული იდეოლოგიური გზა ამოწურულია: ეს ჩიხია. ის რუსებმა ერთხელ და სამუდამოდ უნდა უკუაგდონ და ეძებონ ახალი გზა. პოლიტიკური აზროვნების ევროპული ფორმები გამოუსადეგარია. მთავარია არა სრულყოფილი კანონმდებლობა, არამედ სახელმწიფოს აღმაშენებელი სული, რომელიც ყოფისა და მყარი იდეოლოგიის მეშვეობით მოძებნის სამომავლო იდეალს. სიტყვა მის შესახებ უნდა ითქვას და ითქმება კიდეც. კოლექტიური წინათგრძნობა არ ცრუობს, კოლექტიურ დაძაბულობას, ღვთის შეწევნით, სასწაულების ჩადენა ძალუძს. ჩვენ კართან ვდგავართ. დავაკაკუნოთ და განგვეღება.

პ. სუვჩინსკი სტატიაში „რევოლუციის გადალახვის შესახებ“ ნაწინასწარმეტყველებ ბოლო კატასტროფად მიიჩნევს „რუსული კულტურულ-პოლიტიკური თავისებურებების გაცნობიერებას“, რასაც ღრმა მიზეზები ეძებნება რუსეთის ისტორიულ წარსულში. რევოლუციის პირველ ეტაპზე განხორციელდა სოციალურ-პოლიტიკური გარდაქმნები, შემდეგ კი, რევოლუციური პროცესი შეეხო სასულიერო-რელიგიურ სფეროს. უნდა ვიფიქროთ, რომ სუვჩინსკის აზრით, სწორედ მაშინ დადგა დრო ახალი ინტელექტუალური ძალების ასპარეზზე გამოსვლისა, და ეს ევრაზიული მოძრაობა უნდა ყოფილიყო.

ტექსტი „ცოცხალი ქვები“ ეკუთვნის რუს ფილოსოფოს ნიკოლაი არსენიევს (1888-1977), რომელიც ჯერ კიდევ 1920 წელს წავიდა რუსეთიდან. არსენიევი გახლდათ გერმანიის, საფრანგეთის, აშშ-ის უნივერსიტეტების პროფესორი. სტატიაში ის რუსულ ემიგრაციას რუსი ხალხის სულიერი ტრადიციის გაგრძელებისაკენ მოუწოდებს.

მსტისლავ ვიაჩესლავის ძე შახმატოვი (1988-1943) - რუსი ემიგრანტი ისტორიკოსი და იურისტი (1922 წლიდან პრაღაში ცხოვრობდა) - ავტორია სტატიისა „ხელისუფლების გმირობა (რუსეთის სახელმწიფოებრივი იდეალების ისტორიის ცდა)“. სტატიაში, რუსულ მატიანეებზე დაყრდნობით, დასმულია საკითხი, რომ რუსეთის ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტოპოსი იყო მსხვერპლშეწირვითი გმირობა და ამაში რუს მთავრებს მონგოლთა შემოსევებმა, რბილად რომ ვთქვათ, ხელი შეუწყო. ხელისუფლების გმირობა, გმირული ტანჯვა სწრაფვაა სრულყოფისაკენ. ეს შესაძლებელია მხოლოდ იქ, სადაც ხელისუფლება ჭეშმარიტად ისწრაფვის ზემოთ ნახსენები სისრულისაკენ და ელტვის მთელი ხალხის წინამძღვრობას. ეს შესაძლებელია მხოლოდ იქ, სადაც სახელმწიფო არ შენდება კლასთა უწყვეტი ბრძოლით და რევოლუციური იდეოლოგიით შეგულიანებული ხალხისა და ხელისუფლების სისხლიანი ურთიერთსიძულვილით, არამედ სიყვარულსა და სიმართლეს, სახელმწიფოს ყველა ელემენტის კეთილმოსურნე ურთიერთთანამშრომლობას ემყარება. ეს შესაძლებელია იქ, სადაც ხელისუფალი მმართველობის სადავეწართმეული ჩრდილი კი არა, პიროვნებაა, ნათელი და სულიერად ძლიერი, ხალხიდან ამოზრდილი საუკეთესო პიროვნება, რომელსაც ძალუძს ხალხის წინამძღოლობა სიმართლის სახელმწიფოს შენების გზაზე. ხელისუფლების გმირობა მოითხოვს გენიალურ, გამოჩენილ პიროვნებებს...

უნდა ვიფიქროთ, რომ ავტორი ევრაზიელთა წრიდან მოელის ამ პიროვნებათა გამოჩენას, რომლებიც ქვეყანაში გმირულ სულისკვეთებას დაამყარებენ.

კრებულში ქვეყნდება პ. სუვჩინსკის მეორე სტატიაც, სათაურით „რუსული რელიგიურობის ორგემაგეობა“, რომელშიც დასტურდება მოსაზრება, რომ ძველ რუსეთს ახასიათებდა ერთ სულ და ერთ ხორც შეკრული ქრისტიანობა, როდესაც ღვთის სახლის მშენებლობას და ყოფით, ცხოვრების ყოველდღიურ წყობას რუსული სტიქია აღიქვამდა ღვთივკურთხეულ ყოფის მშენებლობად, განსხვავებით დასავლურ-კათოლიკური რეგიონისაგან, სადაც ქრისტიანობა ყოფას მოსწყდა და სპირიტუალიზებას დაექვემდებარა. რუსეთის ისტორიის პეტრესდროინდელ პერიოდს, როცა იდეალად ევროპა დაისახეს, სუვჩინსკი განიხილავდა რუსული სა-

ხელმწიფოებრივი თუ კერძო ყოფის ღრმა სეკულარიზაციად. ამ გზაზე მოვლენად იქცა რევოლუცია, რომელმაც ეკლესია სახელმწიფოსაგან გამოჰყო და დაანგრია ყოფითი მართლმადიდებლური ტრადიცია. რუსი ინტელიგენციის წინაშე დგება ქრისტიანობის ყოფასთან დაახლოების გზები, ამასთან, გონებრივად მშრომელმა თვითონვე უნდა შეავსოს თავისი სულიერი არსენალი ყოფითი, აღმოსავლური აღსარებითობით; ის უნდა აღიჭურვოს მოთხოვნილებით, რელიგიურად შეიმეცნოს და აღბეჭდოს ცხოვრებისეულ მოვლენათა და პირად ქმედებათა ერთობლიობა.

ნ. ტრუბეცკოის წერილი „ბაბილონის გოდოლი და ენათა აღრევა“, როგორც ეს სათაურიდანაც ჩანს, ბიბლიურ მოთხრობას ეყრდნობა: ერთ ენაზე მოლაპარაკე, მაშასადამე, ლინგვისტურად და კულტურულად სრულიად ერთგვაროვანი კაცობრიობა ანუ ყოველგვარ ინდივიდუალურსა და ეროვნულს მოკლებული საკაცობრიო კულტურა ძალზე ცალმხრივია. განვითარებული მეცნიერებისა და ტექნიკის ფონზე (რაზეც მეტყველებს თვით ასეთი მშენებლობის ჩანაფიქრი) მას ახასიათებს სულიერი სიცარიელე და ამორალობა. სწორედ ამ თვისებათა წყალობით, ვითარდება თვითკმაყოფილება და კადნიერება, რაც გამოიხატება უღმერთო და, იმავდროულად, უაზრო ჩანაფიქრით. ბაბილონის გოდოლი ტექნიკის საოცრებაა, მაგრამ მას რელიგიური შინაარსი არ გააჩნია, პირიქით — ანტირელიგიური და მკრეხელურია. ღმერთმა ამ ჩანაფიქრის განხორციელების შესაჩერებლად, კაცობრიობის მკრეხელური თვითნებობის ასალაგმად არია ენები ანუ სამუდამოდ დაამკვიდრა ეროვნული დაყოფისა და ეროვნულ ენათა და კულტურათა სიმრავლის კანონი. ეს ღვთაებრივი აქტი, ერთი მხრივ, გვიჩვენებს, რომ ერთფეროვანი, ეროვნულად დაუნაწევრებელი საკაცობრიო კულტურა გარდაუვლად მიდის ასეთ უღვთო ტექნიკურ თვითნებობამდე და, მეორე მხრივ, იმაზე მიგვითითებს, რომ მხოლოდ ეროვნული კულტურებია თავისუფალი ადამიანთა ამაო სიამაყისაგან. მხოლოდ მათ შეუძლიათ ატარონ კაცობრიობა ღვთისგან დასახული გზებით.

პ. სავიცკი სტატიაში „რუსეთის საწარმოო ძალები“ გამოთქვამს მოსაზრებას, რომ რუსეთის ეკონომიკის ნორმალური ფუნქციობა და განვითარება შეუძლებელი იყო სახელმწიფოს ჩაურევლად. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეკონომიკა ქაოსში ჩაინთქმებოდა და ვერ შეძლებდა სხვა მიზნის აღსრულებას, გარდა პირადი გამდიდრებისა. თუმცა ევრაზიელები არც მმართველი კლასის ოლიგარქიასა და მის გამდიდრებას იწონებდნენ მაშინ, როცა ხალხის სამეურნეო ინიციატივა იხშობოდა და ადამიანები უკიდურეს შეჭირვებას განიცდიდნენ.

წერილი „ევრაზიულობის ოპონენტებისადმი“ ი. სადოვსკის (1861-1925) - იურისტსა და ეკონომისტს - ეკუთვნის. ავტორი 1921 წლიდან პრაღაში ცხოვრობდა და რუსული სახალხო უნივერსიტეტის პროფესორად მსახურობდა.

სადოვსკი ეპასუხება ევრაზიულობის ოპონენტებს, მათ რამდენიმე ბრალდებას ათვალსაჩინოებს და საპირისპირო დებულებებსაც აყალიბებს: რწმენისა და ეკლესიის საკითხებს ევრაზიულობა პირველ პლანს უთმობს. ის საჭიროდ მიიჩნევს ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფას (საბჭოთა რუსეთში ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფას 1918 წლის 23 იანვრის (5 თებერვალი) დეკრეტი დაეთმო, რომლის შინაარსიც გაცილებით მეტს გულისხმობდა. დეკრეტი ამტკიცებდა ეკლესიის გამოყოფას სახელმწიფოსგან და აცხადებდა თავისუფლებას აღმსარებლობის საკითხში; ამავე დროს, დეკრეტი კრძალავდა რელიგიურ განათლებას „ყველა იმ სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კერძო სასწავლო დაწესებულებაში, რომლებშიც ზოგადსაგანმანათლებლო საგნები ისწავლება; რელიგიური ორგანიზაციები კარგავდნენ საკუთრებისა და იურიდიული პირის უფლებებს; რუსეთში არსებული საეკლესიო და რელიგიური თემების ქონება ცხადდებოდა ხალხის მონაპოვრად. მიუხედავად განცხადებისა აღმსარებლობის თავისუფლების თაობაზე, დეკრეტის ნამდვილი შინაარსი სასიკვდილო განაჩენი იყო საეკლესიო დაწესებულებათათვის, გ.ჯ.). ევრაზიელთათვის ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფა ნიშნავდა სახელმწიფოს ჩაურევლობას საეკლესიო საქმეებში და ეკლესიის პოლიტიკური მიზნებისთვის გამოუყენებლობას. რუსი ხალხი და მისი უდიდესი ქმნილება - რუსეთის სახელმწიფო (,,დერჟავა“) ძლიერნი მხოლოდ ეკლესიის საფარქვეშ და მართლმადიდებლობის საფუძველზე იქნებიან. სადოვსკი გმობდა კათოლიკური ეკლესიის ცდას, გადაებირებინა ზოგი რუსი მართლმადიდებელი, ამ უკანასკნელთ კი გონების გასხივოსნებასა და მართლმადიდებლობის წიაღში დაბრუნებას უსურვებდა. სადოვსკი ეთანხმება ოპონენტებს, რომ ევრაზიელები მართლაც უარყოფენ დასავლურ-ევროპულ, როგორც რომანულ-გერმანულ, კულტურას და იწონებენ აზიური კულტურის შემოჭრას რუსულ წიაღში; აღიარებენ რუსეთის ისტორიის პეტრემდელი პერიოდის უპირატესობას პეტრესშემდგომ ხანაზე, როგორც განვითარების ჭეშმარიტად რუსული გზისა; ევრაზიელები არ უარყოფენ, რომ მართლაც ახალი ტიპის ნაციონალისტები არიან, ოღონდ „ბოლშევიკებად“ რატომ მოიხსენიებენ, ვერ ხვდებიან; სადოვსკი აღიარებს იმასაც, რომ ევრაზიელები ანტისემიტები არიან რუსული რევოლუციის ებრაელთა მიერ დადებითად შეფა-

სების გამო. ებრაელები უცხოტომელები არიან და ამიტომაც აღრმავებენ შფოთს რუსეთშიო. შემდეგ სადოვსკი ეხება ებრაელობასთან დაკავშირებულ კიდევ ერთ საკითხს, რომელზეც გამოთქმული შეხედულება იმდენად ბუნდოვანია, რომ მაიძულებს, სიტყვა-სიტყვით ვთარგმნო ეს პასაჟი:

„ყველა მორწმუნეს ახსოვს, რა რელიგიური აზრი და მნიშვნელობა აქვს ებრაელი ხალხის ისტორიას. რუსულ რევოლუციაში, რუსი და ებრაელი ხალხის ურთიერთობის ემპირიული მხარის გარდა, სხვა მხარეცაა, იდუმალი და საშინელი; ეს ერთგვარი მიმზიდველობაცაა და განმზიდველობაც, რამაც დღესდღეობით ეს ორი ხალხი ერთურთს გადახლართა. და ის, რომ ვხვდებით აქედან წარმოქმნილი საკითხის სირთულეს (როგორ გავხსნათ ეს ხლართი?), უფრო სწორია, ვიდრე ის, რომ ის გვაზღვევს, როგორც მგონია, ეს გაგება ვულგარულ ანტისემიტიზმამდე დავაკნინოთ“.

ისე ჩანს, სადოვსკი ნიღბავს ევრაზიელთა დაუფარავ სიძულვილს ებრაელებისადმი (ცნობილია ნ. ტრუბეცკოის ხისტი ანტისემიტიზმი, გ.ჯ.) რომელიღაც განფენილი, ღვლარჭნილი სოფიზმით. „ხლართი“ აქ უმალ დაპირისპირებად აღიქმება. რაკი ამ „დაპირისპირებაზე“, „ხლართზე“ გულწრფელად ვლაპარაკობთ, ამას ვაღიარებთ, ეს ვულგარული ანტისემიტობისგან გვიცავსო, - ამბობს ავტორი, რაც ნამდვილად ვერ იცავს მას შეფარული მტრობის გამომჟღავნებისაგან. ვითარებას ამძიმებს მისი შემდგომი პასაჟიც მცირე ხალხებზე, რომელთა „გონივრულად გაგებული ნაციონალიზმი“ მოითხოვს მათ მონაწილეობას „უფრო ფართო დიდმპყრობლურ რუსულ სახელმწიფოებრიობაში“. ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რას გულისხმობს „გონივრულად გაგებული ნაციონალიზმი“: ეს არის დარჩენა დიდმპყრობელი რუსეთის შემადგენლობაში, რომელიც უზრუნველყოფს მცირე ხალხების „უფრო წარმატებულ“ განვითარებას. სია ჩვენით, ქართველებით იწყება: ქართველები, ესტები, ლატვიელები და სხვ. რუსეთი „ოლქებს“ (კონტექსტი აქ ზემოთ დასახელებული ერების მიწა-წყალს გვავარაუდებინებს, გ.ჯ.), „თავიანთ ყველაზე ფართო საზღვრებში“, ადგილობრივი საქმეების განგების უფლებას ანიჭებს, ოღონდაც ისინი რუსეთის „დერჟავის“ გამყარებას უნდა მოემსახუროს. სადოვსკი, ყველა ევრაზიელის სახელით (ამას უნდა ნიშნავდეს ეს ყბადაღებული „ჩვენ!“), ემიჯნება თვალსაზრისს „რუსეთში შემავალი ცალკეული ერების ნებაყოფლობითი ხელშეკრულების საფუძველზე შექმნილ ფედერაციულ გაერთიანებაზე“. მაგრამ, კითხულობს სადოვსკი, აზერბაიჯანელებმა ბაქოს დამოუკიდებლობა რომ ისურვონ და ის, საბაჟო-პოლიტიკური თვალსაზრისით, რუსეთს მოს-

წყვიტონ? ან ესტებმა თავი ბრიტანეთის დომინიონად რომ გამოაცხადონ და რაველი ინგლისის ფლოტად აქციონ?

ეს კითხვები რიტორიკულია. სამაგიეროდ, სრულიად მკაფიოა სადოვსკის თვალსაზრისი, რომ „ამ სამყაროში უძალადოდ არაფერი გამოვა“. ევრაზიელთა „ძალადობა“ წვრილმან თავმოყვარეობასა და ნებისმიერ დაუსაბუთებლობას როდი ემყარება! მათი ძალადობა იქნება „ორგანული“, რომელსაც გამოავლენს დიდი სამეურნეო-პოლიტიკური მთლიანობა თავისი ნაწილისადმი. ამ სახის ძალადობა ცხოვრებას გაუუმჯობესებს და განავითარებს ნაწილს და, რასაკვირველია, მთელსაც!

ევრაზიელები მიიჩნევენ, რომ ჭეშმარიტად რუსული ხელისუფლება უნდა ხელმძღვანელობდეს რუსული ინტერესებით და მას არ ევალება, გაითვალისწინოს, მოინდომებენ თუ არა „თათრები“ ბაქოს ნავთობის რუსეთში შემოდინებას ან ესტები რაველის რუსულ პორტად დატოვებას! თუმცა ეს მცირე ხალხების დაჩაგვრას როდი ნიშნავს - რუსეთს ყველანაირი ძალა შესწევს, ძლიერი იყოს. თუ თავის სახელმწიფოებრივ (დერჟავულ)-სამეურნეო ყოფის წინაპირობებს უზრუნველყოფს, ის შეძლებს, მცირე ხალხებს ყველაზე მეტი თავისუფლება მიანიჭოს და ყველაზე ნაკლებად დაუმძიმოს ზურგი სახელმწიფო მოთხოვნილებებით. ევრაზიული რუსეთის ნაციონალური წყობა ძლიერებაზე დაფუძნებული თავისუფლებაა.

ცხადია, ევრაზიელთა ადეპტი არას ამბობს, რა და როგორ განაპირობებს რუსეთის სიძლიერეს!

სადოვსკი გამოთქვამს თვალსაზრისს ტერმინ „ევრაზიისა“ და მისით „რუსეთის“ ჩანაცვლების შესახებ. ის, ვინც „ევრაზიას“ იწუნებს და „რუსეთს“ ადიდებს, სადოვსკის აზრით, ჭარმაგი, პირწავარდნილი, პრინციპული მედასავლეთეა: „მათი დაინტერესება შეუძლებელია კავკასიის, თურქესტანისა და რუსული „რივიერების“ ჰაერით, მშვენიერებითა და რუსული სახელმწიფოს (დერჟავის) სხვა მარგალიტებით, და მით უმეტეს, კუზნეცკის ქვანახშირით, ურალის მადნითა და უხტური ნავთობით...“ ისინი მედასავლეთეებად მოკვდებიან, მაგრამ, იმედია, ადგილს ახალგაზრდებს დაუთმობენო. სადოვსკის უფრო მეტად აშფოთებს იმ ნაციონალური იდეებით შთაგონებულთა რეაქცია, რომლებიც „ევრაზიას“ ვერ შეგუებიან და ამშვიდებს მათ: „ევრაზიას“ ვამბობთ, მაგრამ „რუსეთს“ ვგულისხმობთ; ინტერნაციონალიზმს ვგმობთ და „ევრაზიას“ იმიტომ როდი ვამკვიდრებთ, რომ რომელიმე ერთაშორის ურთიერთობას ვგულისხმობთო - „ევრაზია“ ნიშნავს ერთს: რუსეთმა უნდა თავის ნებისაებრ იცხოვროს; იყოს თვითკმარი და იქცეს თავის გამსხივოსნებელ შუქად. მისი პირველი დედაქალაქი მოსკოვი უნდა იყოს და არა - და-

სავლეთისკენ პირმიქცეული პეტროგრადი (მით უმეტეს - პეტერე-ბურგი!), მეორე კი - კიევი, რათა აითვისონ ყველა სამხრეთული სიმ-დიდრე. სადოვსკი ადასტურებს, რომ ევრაზიელები დემოკრატიის მოძულენი არიან. ქვეყანა უნდა მართოს კულტურულმა, შეგნებულ-მა, იდეურმა უმცირესობამ. ამას დემოტიზმი ჰქვია. ხელისუფლებამ უნდა იცოდეს, ვინ არის „მისი პუბლიკა“, მისი განწყობა, მოთხოვნი-ლებები, რათა მორალურად თანაუდგეს მას. ძლიერ სახელმწიფო ნებას გამოავლენენ ხისტი, მტკიცე, ნაციონალურად ეგოისტური, ძალაუფლების დამგემოვნებელი ადამიანები (ევრაზიული მატიანე: 1923).

,,ევრაზიული მატიანის“ მეოთხე წიგნი ამ სტატიებს აერთია-ნებს:

პ. სავიცკი, ევრაზიულობა

ნ. ტრუბეცკოი, ჩვენ და სხვები

პ. სუვჩინსკი, იდეები და მეთოდები

ლ. კარსავინი, უარყოფილი რწმენის გაკვეთილები

ვ. ილინი, სამართლისა და ზნეობის ურთიერთდამოკიდებუ-ლებისათვის

ვ. ილინი, ღვთისთვის საძულველი ბოროტების სვეტი

ვ. სეზემანი, სოკრატე და თვითშემეცნების პრობლემა

დ. სვიატოპოლკ-მირსკი, მოსკოვურ ლიტერატურასა და პროტოხუცეს აბაკუმზე

პ. სავიცკი, პატრონი და მეურნეობა

მ. შახმატოვი, სიმართლის სახელმწიფო (რუსული სახელმწი-ფოებრივი იდეალებისათვის)

გ. ვერნადსკი, ალ. ნეველის ორი საგმირო საქციელი

ნ. ტრუბეცკოი, რუსული კულტურის თურანული ელემენტი-სათვის

პ. სავიცკის სტატია „ევრაზიულობა“ ოთხი თავისა და შენიშ-ვნებისაგან შედგება. ავტორის აზრით, ევრაზიელებს ეკუთვნით არა მხოლოდ ახალი საწყისი რუსულ ცხოვრებასა და აზროვნება-ში, არამედ - რუსეთის ახალი გეოგრაფიული და ისტორიული გაგე-ბაც. მათ „ევროპასა“ და „აზიას“ შორის „ევრაზია“ შენიშნეს. რუ-სეთს ამ სივრცის უმეტესი ნაწილი უპყრია. ამგვარად, იქმნება კულტურული თვალსაზრისითაც გამორჩეული კონგლომერაცია. სამხრეთის, აღმოსავლეთისა და დასავლეთის გავლენა რუსულ კულტურაში თანდათანობით ბატონდება. ამ პროცესში სამხრეთს ბიზანტია განასახიერებს, რომლის კულტურული გავლენა განსა-კუთრებით შესამჩნევია დაახ. მე-10-13 სს-ში. აღმოსავლეთის ანა-რეკლია „სტეპური ცივილიზაცია“, რომელიც აზიისთვისაა ნიშან-დობლივი. ჩინგიზ ყაენისა და მისი მემკვიდრეების იმ მაგალითმა,

თუ როგორ მოახერხეს მათ განსაზღვრულ ისტორიულ პერიოდში ძველი სამყაროს უდიდესი ნაწილის მართვა, უდავოდ, დადებითი როლი შეასრულა დიდი რუსული სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებაში. სტეპური აღმოსავლეთის ყოფითმა წყობამაც დიდად იმოქმედა რუსეთზე - ეს გავლენა განსაკუთრებით მძლავრობს მე-13-15 სს-ში. შემდეგ დაიწყო ევროპული გავლენის ხანა. თუ ძველი სამყაროს კულტურას დავყოფთ „ევროპულად“ და „აზიურად“, რუსეთის ადგილს იქ ვერ მივაკვლევთ - ის არც ერთს ეკუთვნის და არც - მეორეს. რუსული კულტურა, რომელიც აერთიანებს ერთის ელემენტებსაც და მეორისასაც და, ამგვარად, გამორჩეულ ერთიანობას ქმნის. წარსულის კულტურათაგან ჭეშმარიტად „ევრაზიული“ იყო ელინისტური კულტურა, „ელინური“ დასავლეთისა და ძველი აღმოსავლეთის ელემენტების შემცველი; მისი მემკვიდრეა ბიზანტიური კულტურა, როგორც ფართო აღმოსავლურ-ხმელთაშუა ზღვისპირა კულტურული სამყარო გვიან ანტიკური და შუა საუკუნეების დროისა. აღსანიშნავია რუსულ და ბიზანტიურ კულტურათა კავშირი. მესამე დიდი „ევრაზიული კულტურა“ ქვემოთ დასახელებულთა მემკვიდრეა. ბულგარელებისა და სერბ-ხორვატ-სლოვენიელთა კულტურული სახის გამოვლენა მომავლის საქმეა. პოლონელები და ჩეხები კულტურულად დასავლურ „ევროპულ“ სამყაროს მიეკუთვნებიან. ამდენად, რუსეთის ისტორიული თავისებურება ვერ განისაზღვრება მისი „სლავურობით“.

მორიგი პასაჟები მკვეთრად ანტიევროპოცენტრულია: სავიცკის კულტურული დიფერენციაციით, ნათელი ხდება, რომ არ არსებობს ერთიანად „კულტურული“ და „უკულტურო“ ხალხები, და ისინი, ვისაც ევროპელები „ველურებს“ ეძახიან, ზოგი თვალსაზრისით, მათზე მაღალ კულტურას ფლობენ.

შემდეგი მთავარი დებულების არსს სავიცკი ასე გამოთქვამს: კომუნისტური რევოლუციის გამოცდილებიდან გამომდინარეობს ევრაზიული ცნობიერებისათვის მისაღები ძველი და თანაც ახალი სიმართლე, რომ ჯანსაღი სოციალური საერთო საცხოვრებელი (ანუ სსრკ - ევრაზიის წინასახე, გ.ჯ.) უნდა დაეფუძნოს ადამიანისა და ღმერთის, რელიგიის უწყვეტ კავშირს. ოღონდ, პირადი რწმენა არ კმარა. მორწმუნე კრებითობას, ყოვლისმომცველობას უნდა ელტვოდეს. მართლმადიდებელი ეკლესია მოწოდებულია, თავისი ფრთა გადააფაროს ახალ სამეურნეო-ტექნიკურ და სამეცნიერო მიღწევებს, განწმინდოს ისინი მებრძოლი ეკონომიზმის, მატერიალიზმისა და ათეიზმის იდეოლოგიური „ზედნაშენისაგან“. შემდეგ სავიცკი, ცოტა არ იყოს, ბუნდოვნად და ღვლარჭნილად, განმარტავს, რომ რელიგიურობა იმას როდი ნიშნავს, ევრაზიელებმა სიმკაცრე არ გამოიჩინონ იმ სამყაროსადმი, რომელიც „სია-

ვეში ჩაფლულა“: ერთი სახის გადაწყვეტილების მიღებისას, მათ ძალუძთ, ყველა რადიკალზე უფრო რადიკალურად მოიქცნენ; მეორე სახის პრობლემის მოგვარებისას კი პირწავარდნილ კონსერვატორზე მეტი კონსერვატიზმი გამოავლინონ.

ნ. ტრუბეცკოის სტატიაში „ჩვენ და სხვები“ გაანალიზებულია რუსების ისტორიული ინტელექტუალური ორიენტაცია: ერთთა დიდმპყრობლურ-ევროპული რუსეთი და მეორეთა რუსეთი, როგორც ევროპული ცივილიზაციის იდეალთა (სოციალიზმი, დემოკრატია) რეალიზების ლაბორატორია. იყვნენ მოზომილ-გაწონასწორებულ ქმედებათა მომხრენიც. არავის აინტერესებდა, რომ ორივე მიდგომა ორგანულად უცხო იყო რუსი ხალხისათვის. ევრაზიელთა აზრით, რუსეთის ისტორიის მთავარი ღირებულება არა ამ პერიოდის საიმპერატორო თვითმპყრობელობა, არამედ ის ღრმა საერთო-სახალხო მართლმადიდებლურ-რელიგიური გრძნობაა, რომელმაც თავისი მხურვალებით თათართა უღელი მართლმადიდებელი რუსი მეფის ხელისუფლებად გადააქცია და ბათო ყაენის ურდო მოსკოვის მართლმადიდებლურ სახელმწიფოდ აქცია. ევრაზიელები ეწინააღმდეგებიან თავიანთ შედარებას როგორც ხალხოსნებთან, ისე - ბოლშევიკებთან, თუმცა ამ უკანასკნელთა მსგავსებას პირწმინდად ვერ უარყოფენ: ევრაზიულობა არა მხოლოდ ამა თუ იმ პოლიტიკური ფორმების უკუგდებით ემსგავსება ბოლშევიზმს, არამედ მთელი იმ კულტურის უგულებელყოფის მოთხოვნითაც, რომელიც რუსეთში უშუალოდ რევოლუციამდე არსებობდა და დღეს დასავლეთის რომანულ-გერმანულ ქვეყნებში განაგრძობს არსებობას. ევრაზიულობა მთელი ამ კულტურის ძირეულ გარდაქმნას მოითხოვს. ევრაზიულობა ბოლშევიზმს ემსგავსება მოწოდებითაც, გათავისუფლდნენ კოლონიურ სახელმწიფოთა მიერ დაპყრობილი აზიისა და აფრიკის ხალხები. მაგრამ ეს მსგავსება მხოლოდ გარეგნული, ფორმალურია. ბოლშევიზმისა და ევრაზიულობის შინაგანი სამოქმედო მოტივები დიამეტრულად საწინააღმდეგოა. იმ უგულებელსაყოფ კულტურას ბოლშევიკები „ბურჟუაზიულს“ უწოდებენ, ევრაზიელები - „რომანულ-გერმანულს“; იმ კულტურას კი, რომელიც ძველის ადგილს დაიკავებს, ბოლშევიკები „პროლეტარულად” მოიხსენიებენ, ევრაზიელები კი - „ეროვნულად“ (რუსეთის შემთხვევაში - ევრაზიულად). ბოლშევიკები ეყრდნობიან მარქსისტულ წარმოდგენას იმაზე, რომ კულტურას განსაზღვრული კლასი ქმნის; ევრაზიელთა აზრით კი, კულტურა განსაზღვრულ ეთნიკურ ერთეულთა, ერების ან ერთა ჯგუფის მოღ-

ვაწეობის ნაყოფია. ამიტომ ევრაზიელებისათვის „ბურჟუაზიული“ და „პროლეტარული“ კულტურის ბოლშევიკური გაგება სრულიად მცდარია.საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ ბოლშევიზმი დამანგრეველი მოძრაობაა, ევრაზიულობა კი - აღმაშენებელი.

პ. სუვჩინსკის სტატია „იდეები და მეთოდები“ საინტერესო იმითაა, რომ ავტორი, სხვა ევრაზიელთაგან განსხვავებით, რომლებიც რევოლუციის ძირითად მიზეზად ევროპულ ზეგავლენას ანუ საგარეო მიზეზს მიიჩნევდნენ, ყურადღებას ამახვილებს შინაგან ფაქტორებზე: არც ერთ ქვეყანას არ ჰყავს იმდენი შინამტერი და არ გააჩნია იმგვარი თვითსიძულვილი, როგორც რუსეთს, - ამბობს სუვჩინსკი. სიძულვილიცა და სხვათა დევნისა და განადგურების ექსცესები რუსული კულტურული ტიპისთვის ნიშანდობლივია. რუსი გლეხობა არა იმდენად კლასობრივი ბრძოლისა და მემამულეთა ექსპროპრიაციისაკენ მოწოდებებმა აღაფრთოვანა, რამდენადაც სურვილმა, გათავისუფლებულიყო კულტურულად უცხო და მისთვის გაუგებარი ზედა ფენისაგან. ამით რუსი საზოგადოება კვლავ დაუბრუნდა პეტრემდელ ერთიანობას. ბოლშევიკური დესპოტური რეჟიმი და ერთ აზრზე ყოფნის დიქტატი სავსებით ეთანადება რუსულ ტრადიციას. მოსკოვური რუსეთის პოლიტიკური სისტემაც სასტიკი იყო და საზოგადოების ყველა ფენა, ხელისუფალთა ჩათვლით, ერთადერთ იდეას ექვემდებარებოდა. ეს მართლმადიდებლობა გახლდათ - „ერთადერთი სწორი მატერიალიზმი ქრისტიანობაა“.

ლ. კარსავინის სტატია „უარყოფილი რწმენის გაკვეთილები“ კათოლიციზმის დოგმატურ კრიტიკას ეძღვნება და მასზე საგანგებოდ არ შევჩერდებით.

ვ. ილინი სტატიაში „სამართლისა და ზნეობის ურთიერთდამოკიდებულებისათვის“ აკრიტიკებს ბუნებითი სამართლის კონცეფციის ერთგვარ საგანმანათლებლო ვერსიას, რომელსაც რელიგიური საფუძველი არ გააჩნდა. სამართლისა და ზნეობის საერთო საძირკველი სიმართლეა, რომლის წყაროც ღმერთია.

ვ. ილინის მეორე სტატია ბოლშევიკების როლს ერთგვარად ამართლებს, თითქოს ისინი რუსი ინტელიგენციის ფიქრებსა და ოცნებებს გამოხატავდნენ და მათში ევროპული კულტურის ანარეკლს ხედავდნენ; თითქოს, ბოლშევიზმის, როგორც მოვლენის, ჩამოყალიბებაში ბრალი ევროპულ კულტურას მიუძღოდეს, რომლის თანმიმდევრული გამომხატველნი ბოლშევიკები იყვნენ.

ვასილი სეზემანი (1884-1963) - ფინეთში მცხოვრები შვედური წარმოშობის რუსი ფილოსოფოსი, რომელიც ევრაზიელებს მე-20 ს. 20-ნ წწ. ბერლინში ყოფნისას დაუახლოვდა - ავტორი სტატიისა „სოკრატე და თვითშემეცნების პრობლემა“ მარადიულ ფილო-

სოფიურ საკითხებს ეხება და ევრაზიულობის ისტორიას არაფერს მატებს, მაგრამ მაინც ვიტყვით, რომ ფილოსოფოსი ყურადღებას ამახვილებს ინტელექტუალური საწყისის მნიშვნელობაზე მთელი სულიერი და რელიგიური კულტურისათვის, რაც მიგვიძღვის რწმენისა და ცოდნის ურთიერთდამოკიდებულების პრობლემის განსაჭვრეტად. ეს, ვფიქრობ, ევრაზიელთათვისაც ნიშანდობლივი უნდა ყოფილიყო.

დ. სვიატოპოლკ-მირსკის სტატია „მოსკოვურ ლიტერატურასა და პროტოხუცეს აბაკუმზე“ (პროტოხუცესი აბაკუმი (1620-1682) - ქალაქ იურიევ-პოვოლსკის (იურევეცი მდ. ვოლგაზე) მღვდელი და პატრიარქ ნიკონის რეფორმის მოწინააღმდეგე; ძველმოწესენი წმინდა მოწამედ მიიჩნევენ, გ.ჯ.) ევრაზიელთა იმ დებულების ექოა, რომლის თანახმადაც, მოსკოვის რუსეთში არსებობდა თვითმყოფადი კულტურა. ამის დასტურია აბაკუმის შემოქმედება, რაც ადასტურებს ძველი რუსული ლიტერატურის საეკლესიო და სასულიერო ხასიათს.

პ. სავიცკის უვრცესი სტატია „პატრონი და მეურნეობა“, ფაქტობრივად, თეორიაა, რომლის თანახმადაც, პატრონი (ადამიანი ან კოლექტივი) ეკონომიკურ და რელიგიურ სფეროთა შუამავალია. მისი ჭეშმარიტი მიზანი ღმერთის დამსგავსებაა - განა ღმერთი არ არის იდეალური პატრონი? პატრონის მთავარ თვისებათაგანია მუშაკებზე ზრუნვა და მეურნეობის დაცვა, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს მაქსიმალურ პირად მოგებას. ეს სამეურნეო პრინციპები ყველაზე მეტად გამოვლინდება სისტემაში, რომელსაც სავიცკი „ хозяйнодержавие“-ს, ე.წ. პატრონმპყრობელობას უწოდებს. ის, კაპიტალიზმისა და სოციალიზმისაგან განსხვავებით, ეფუძნება სულიერ ფასეულობებს. მის ზეობაში შესაძლებელი გახდებოდა პიროვნებისა და საზოგადოების ოპტიმალური ურთიერთობა (აღნიშნავენ, რომ სავიცკის „თეორიის“ ზოგი დებულება ემთხვევა ნიკოლოზ მეორისდროინდელ საკანონმდებლო აქტებს, გ.ჯ.).

მ. შახმატოვის სტატია „სიმართლის სახელმწიფო“ იმაში დარწმუნების ცდაა, რომ რუსი ხალხი ისტორიულად გამორჩეულია არა ხალხისა და დაწესებულებათა ძალაუფლების ტრფიალით, არამედ მმართველი იდეისადმი, სახელმწიფო იდეალებისადმი პიეტეტით (იდეოკრატიული სახელმწიფოებრიობა). რუსეთისათვის ასეთი იდეალია სიმართლის სახელმწიფო - სიკეთის, სიყვარულის, სამართლიანობის, წუთისოფელში დამკვიდრებული სიმართლის ღვთაებრივ საწყისთა მმართველობა. ავტორის აზრით, მოსკოვის პერიოდი, შესაძლოა, უფრო იდეალმმართველობად მივიჩნიოთ, ვიდრე - თეოკრატიად.

გ. ვერნადსკის სტატია „წმ. ალ. ნეველის ორი საგმირო საქციელი“ ეძღვნება ალექსანდრე ნეველის (1221-1263) - ნოვგოროდის, კიევის, ვლადიმირის დიდი მთავრის - როლის შეფასებას: ვერნადსკის აზრით, ალექსანდრეს მთელი მოღვაწეობა დასავლეთსა და ლათინიზმთან ბრძოლით გამოირჩევა. მე-13 ს. რუსეთს ორი მტერი დაუპირისპირდა: მონგოლეთი და დასავლეთი (მონგოლთა გამარჯვება კალკაზე; უნგრელებისა და პოლონელების აგრესია; გერმანელ ჯვაროსანთა შეტევა ფსკოვსა და ნოვგოროდზე; შვედებმა ფინეთის გავლით სცადეს შეტევა; ამას თან სდევდა ცეცხლითა და მახვილით კათოლიციზმის დანერგვაც). რუსეთისთვის ორმხრივი დაძაბულობის მწვერვალია 1230-1240-იანი წლების მიწურული. 1237 წელს მონგოლებმა პირველად დააქციეს რუსეთი; 1240 წელს აიღეს კიევი; იმავე წელს, პაპის მოწოდების პარალელურად, ჯვაროსნული ლაშქრობა მოეწყოთ, შვედი მთავარსარდალი ბირგერი ნევის ნაპირებზე ჩამოხდა. რუსების წინაშე დილემა წამოიჭრა: ან - აღმოსავლეთი, ან - დასავლეთი. ორმა უძლიერესმა რუსმა მთავარმა განსხვავებულ არჩევანს მიჰკერძა. იმხანად - გალიციის (უკრაინა) მთავარი დანიილი (1204-1264) დასავლეთს ირჩევს, რომლის მეშვეობითაც სურს აღმოსავლეთთან გამკლავება. ალექსანდრე ნეველი აღმოსავლეთის მფარველობით ფიქრობს დასავლეთისაგან თავდახსნას. 1240 წელს მონგოლებმა დაანგრიეს კიევი და გაანადგურეს გალიცია. მანამდე დანიილი ევროპაში ეძებს დამხმარეს. ამაოდ. ბრუნდება უკან, თავისიანებს, უნგრელებსა და პოლონელებს ებრძვის და ამარცხებს კიდეც. მისით ბათო ყაენი ინტერესდება და მფარველობს კიდეც. ეგ არის, დანიილი მონგოლთაგან გასათავისუფლებლად მაშველს კვლავ ევროპაში ეძებს, ურთიერთობს რომის პაპ ინოკენტი მე-4-სთან, მზად არის, კათოლიკობა მიიღოს და ჯვაროსნულ ლაშქრობაში ჩაერთოს... მალე პაპის მიერ გამოგზავნილი გვირგვინითაც დაიმშვენა თავი, ჯარი კი არ ჩანდა. გაბრაზებული დანიილი რომის პაპს განუდგა და ისევ მონგოლებს დაემორჩილა. მალე გარდაიცვალა კიდეც. ვერნადსკის შეფასებით, მან ვერ გამოიყენა შესაძლებლობა, მონგოლებთან ერთად ებრძოლა ევროპის წინააღმდეგ და შეენარჩუნებინა მართლმადიდებლობა. მეტიც (ამ შესაძლებლობის განუხორციელებლობა წონასწორობას აკარგვინებს ვერნადსკის!): მას შეეძლო, რუსული გავლენა დაემყარებინა აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში. მისი ანტიპოდია ალექსანდრე ნეველი: ის უტყუარი მემკვიდრული ინტუიციით (!) მიხვდა, რომ მართლმადიდებლობას და რუსულ თვითმყოფადობას საფრთხე დასავლეთიდან ემუქ-

რება და არა - აღმოსავლეთიდან. მონგოლებს მოჰყვებოდა ხორციელი მონობა, ლათინებს კი - სულიერი. ვერნადსკი შემდეგ ბევრს ლაპარაკობს მონგოლთა ყბადაღებულ რჯულშემწყნარებლობასა და ეკლესიის ხარკისაგან გათავისუფლებაზე. ამგვარად, ალექსანდრეს მონგოლებისადმი დამორჩილებას და დასავლეთ-ევროპელ რაინდებთან მის ბრძოლას ვერნადსკი ალექსანდრეს დიდ სიბრძნედ და ქვეყნის გადარჩენად ასაღებს. დაბოლოს: ალექსანდრე ნეველი და დანიილ გალიციელი განასახიერებენ რუსეთის იტორიის ორ ოდინდელ კულტურულ ტიპს: მედასავლეთესა და მეაღმოსავლეთეს. ვერნადსკი და ევრაზიელები მეორე ტიპს ანიჭებენ უპირატესობას.

ნ. ტრუბეცკოის სტატია „თურანული ელემენტი რუსულ კულტურაში“ ტრუბეცკოის პუბლიცისტური მემკვიდრეობის ერთ-ერთი გამორჩეული ნაწილია, რადგან აქ ავტორი, მისი ლინგვისტური რენომეს გათვალისწინებით, ევრაზიულობის მთავარი კომპონენტის - აზიურობის თაობაზე თავის შთაბეჭდილებას გვიზიარებს და ღამის შეუვალ დასკვნებს გვთავაზობს. ავტორის აზრით, აღმოსავლეთსლავურ ტომებს თავდაპირველად ეპყრათ უმნიშვნელო ნაწილი იმ ვეება ტერიტორიისა, რომელიც დღეს რუსეთს უჭირავს. სლავები თავდაპირველად სახლობდნენ იქ, სადაც ბალტიის ზღვა შავ ზღვას უკავშირდება. დანარჩენ მიწა-წყალზე ბინადრობდნენ, ძირითადად, ის ტომები, რომელთაც „თურანულ“ ანუ „ურალურ-ალტაურ“ ტომთა სახელით იცნობენ. ზემოთ დასახელებული გეოგრაფიული ოლქის ცხოვრებაში თურანელები ასრულებდნენ უფრო მნიშვნელოვან როლს, ვიდრე აღმოსავლეთის სლავები, რუსული ტომები. თვით წინარემონგოლურ პერიოდშიც კი, რუსეთის ევროპულ ნაწილში მდებარე თურანული სახელმწიფოები (ვოლგა-კამელი ბულგარელები და ხაზარები) ვარიაგულ-რუსულ ტალღაზე უფრო მნიშვნელოვნად აღიქმებოდა. ტრუბეცკოი მიიჩნევს, რომ მისი დროის რუსეთის ტერიტორიის ერთ სახელმწიფოდ გაერთიანება პირველად რუსმა სლავებმა კი არა, თურან-მონგოლებმა სცადეს. რუსების განსახლება აღმოსავლეთში უკავშირდებოდა მთელი რიგი თურანელი ტომების გარუსებას. რუსთა და თურანთა თანაცხოვრება რუსეთის მთელი ისტორიის თანამდევი მომენტია. თურანულივე სისხლი ჩქეფს (სტეპებში მომთაბარეთა უძველეს ტომთაგან) მალოროსების (ტრუბეცკოი უკრაინელებს გულისხმობს, გ.ჯ.) ძარღვებშიც, რაც იმას ადასტურებს, რომ სწორი ეროვნული თვითშეგნებისათვის რუსებმა ეს უნდა გაითვალისწინონ.

შემდეგ ტრუბეცკოი ჩამოთვლის იმ ხალხთა ჯგუფებს, რომელთაც თურანელებად მიიჩნევს: ესენი არიან ფინურ-უგრული ჯგუფის ხალხები, რომლებიც განიყოფიან დასავლელ ფინელებად

(ესტები, კარელები, საკუთრივ, ფინელები და სხვა წვრილი ტომები), ლოპარებად (ბინადრობენ შვედეთში, ნორვეგიაში, ჩრდილო ფინეთსა და რუსეთში, კოლის ნახევარკუნძულზე), მორდვებად, ჩერემისებად, პერმელ ფინელებად (ზირიანები და ვოტიაკები) და უგრებად (უნგრეთსა და ტრანსილვანიაში მცხოვრები მადიარები ანუ უნგრელები და „ობელი უგრელები“ ანუ ჩრდილო-დასავლეთ ციმბირში მცხოვრები ვოგულები და ოსტიაკები); ამავე ჯგუფს განეკუთვნებიან გარუსებული მერები (ენით - ჩერემისები), მურომები და მეშერები; სამოედები, მცირე რაოდენობით რომ გადარჩენილან არხანგელსკის გუბერნიასა და ჩრდილო-დასავლეთ ციმბირში; თურქები: ოსმანები, სხვადასხვაგვარი თათარი (ყირიმელი, ყაზანელი, აზერბაიჯანელი, ტობოლსკელი და სხვ.), მეშერიაკები, ტეპტიარები, ბალყარელები (ყარაჩაელები, ურუსბიელები და სხვ.), კუმიკები, ბაშკირები, ყირგიზ-ყაისაკები, თურქმენები, სარტები, უზბეკები, ალტაელები, იაკუტები, ჩუვაშები და სხვა გადაშენებული ხალხები, რომელთაგან ყველაზე ცნობილნი არიან ხაზარები, ბულგარელები (ვოლგა-კამაზე მცხოვრებნი), ყივჩაღები, უიღურები და სხვ; მონგოლები, რომელთაც რუსეთის ფარგლებში განეკუთვნებიან ყალმუხები და ბურიატები, მათ მიღმა კი - საკუთრივ, მონგოლეთში მცხოვრები მონგოლები; მანჯურები, გოლდებსა და ტუნგუსებთან ერთად (იმხანად - გადაშენებულნი ან პირწმინდად გარუსებულნი). მათი გენეტიკური წარმომავლობა საპაექროა. მიუხედავად ამისა, ყველა თურანული ენისა და ფსიქოლოგიური იერ-სახის მსგავსება უკამათოა. ამ უკანასკნელს ყველაზე მეტად თურქები ავლენენ, რაც დასტურდება თურქული ენით და სულიერი კულტურის ნიმუშებით. თურანელთა ერთი საერთო ენის არსებობა სხვებზე მეტად ალტაელთა მეტყველებით დასტურდება. ენის გარდა, დიდი მნიშვნელობა აქვს ფოლკლორს. თუ არაბულ და სპარსულ „ზედნაშენს“ მოვაცილებთ, თურქულ პოეზიაში ერთი საერთო ტიპის თავისებურებანი ვლინდება. თურქთა რელიგიური ცხოვრება აქტიურობით არ გამოირჩევა. თურქთა მთელ სულიერ შემოქმედებაში ბატონობს ერთი ძირითადი ფსიქიკური თავისებურება: შედარებით ღარიბი და რუდიმენტული მასალის მკაფიო სქემატიზაცია. თურქს უყვარს სიმეტრია, გარკვეულობა და წონასწორობა; მაგრამ მას სურს, რომ ყოველივე ეს უკვე ბოძებული ჰქონდეს და არა - მოსაპოვებელი; მის აზრებს, საქციელსა და ცხოვრების ყაიდას ყოველივე ეს ინერციით განსაზღვრავდეს. საწყისი ძირითადი სქემების მოძიება და შექმნა, რომლებზეც უნდა დაეფუძნოს მისი ცხოვრება და მსოფლმხედველობა, თურქს ტანჯავს,

რადგან ეს პროცესი უკავშირდება სიმყარისა და გარკვეულობის არარსებობის განცდას. ამიტომაც თურქები ყოველთვის სესხულობდნენ სხვათა მზა სქემებს, ეჩვეოდნენ სხვათა რწმენა-წარმოდგენებს. თუმცა - არა ყოველსავეს: ასატაცებელი მსოფლმხედველობა უნდა იყოს უცილოდ მკაფიო, მარტივი, მარჯვე, რათა მან შეითავსოს სამყაროს მთელი კონკრეტულობა. ეს თურქს ამშვიდებს და ერთხელ ნარწმუნებს უმყარებს. მსოფლმხედველობას თავისი სულიერი და ყოფითი წონასწორობის საფუძვლად აღიქვამს და ჯიუტ კონსერვატიზმს ავლენს. თურქულ გარემოში რწმენა ხევდება და კრისტალიზდება, რადგან სიმძიმის ურყევი ცენტრის როლს ასრულებს. თურქის ფსიქოლოგიის ამ თავისებურებას ემყარება უცნაური მოვლენა: თურქულ და სემიტურ ფსიქიკათა ურთიერთმიზიდულობა. თითქოს მათზე ურთიერთსაპირისპირო ფსიქიკის ადამიანთა მოძებნა შეუძლებელიც კია. და მიუხედავად ამისა, შემთხვევითი როდია, რომ თურქთა უმრავლესობა მაჰმადიანია, თურქი-ხაზარები კი ისტორიაში ერთადერთი ხალხია, არაებრაელთაგან იუდაიზმი რომ აღიარა. სწორედ მათ დაპირისპირებულობაშია მიზიდულობის მიზეზი: სემიტი, თურქის ნაცვლად, ასრულებს იმ სამუშაოს, რომლის შესრულება თურქს არ ძალუძს: წინააღმდეგობებს სძლევს და თურქს არაწინააღმდეგობრივ გადაწყვეტილებას წარუდგენს. გასაკვირი სულაც არ არის, რომ მყარი წონასწორობის უცილო საფუძვლის მაძიებელი თურქი მარადიულად სემიტური სულის შემოქმედების ნაყოფს ირჩევს. მაშინვე ამარტივებს მას, სტატიკურად, მზა სახით აღიქვამს; თავისი სულიერი და ფიზიკური ცხოვრების ძირითად საძირკვლად გადაქცევის შემდეგ, მის ერთხელ და სამუდამო მუმიფიცირებას ახდენს და შინაგან განვითარებაში არ მონაწილეობს. ამიტომაც არის, რომ თურქებს ისლამისთვის არც ერთი დიდი ღვთისმეტყველი, იურისტი ან მოაზროვნე არ შეუმატებიათ: თურქებმა მიიღეს ისლამი, როგორც დასრულებული მოცემულობა. ასევე მოექცნენ მონგოლები ბუდიზმს. ფსიქიკურად და კულტურად უგრო-ფინები თურქებზე უფრო პასიურნი არიან. მართალია, თურანელი ხალხები ბევრი რამით არსებითად სხვაობენ, თუმცა, ტრუბეცკოის აზრით, შეიძლება ლაპარაკი ერთიან თურანულ ეთნოფსიქოლოგიურ ტიპზე, რომლის ვარიანტებად განიხილავს თურქულ, მონგოლურ და უგრო-ფინურ ტიპებს.

იმის დასადგენად, როგორ იჩენს თავს თურანიზმი რუსულ კულტურაში, ტრუბეცკოი კვლავ უბრუნდება თურანულ ფსიქიკურ ცხოვრებას:

თურანული ფსიქიკის ტიპური წარმომადგენელი ნორმალურ მდგომარეობაში ხასიათდება გარკვეულობითა და სიმშვიიდით. მაგრამ მისი აზროვნება და სინამდვილის აღქმა, საქციელი და ყო-

ფა თავისთავად თავსდება ე.წ. „არაცნობიერი ფილოსოფიური სისტემის“ მარტივ და სიმეტრიულ სქემებში. ეს სისტემა იმდენადაა არაცნობიერი, რამდენადაც მთელი მისი სულიერი ცხოვრების საუძვლად იქცა. ამის წყალობით, არ არსებობს უთანხმოება აზრსა და გარესინამდვილეს, დოგმატსა და ყოფას შორის. ეს თვითკმარობას ბადებს. ფსიქიკური აქტივობის მოდუნება იწვევს სრულ უძრაობას. თურანული ფსიქოლოგიური ტიპის ადამიანთა სოციალური და კულტურული ფასეულობანი კი დადებითია! თურანული ფსიქიკა ერს აძლევს კულტურულ სიმყარესა და ძალას, უმტკიცებს კულტურულ-ისტორიულ მემკვიდრეობას და ქმნის პირობებს, ნებისმიერი ქმნადობისათვის საჭირო ნაციონალური ძალა დაზოგოს. ამ ქმნადობის წარმატება, ბუნებრივია, დამოკიდებულია მოცემული ერის ფსიქიკურ აქტივობასა და ნიჭიერების ხარისხზე. ამასთან, ეს უკანასკნელნი ერთმანეთს არაფრით უკავშირდება. ტრუბეცკოი მხოლოდ იმის დამტკიცებას ცდილობს, ნიჭიერება და ფსიქიკური აქტივობა ერის განვითარებისათვის საჭირო პირობებს ქმნისო. თურანული ფსიქიკის ამ გამოვლინებას ტრუბეცკოი ამჩნევს პეტრემდელ მოსკოვურ რუსეთში, რომელშიც სარწმუნოება და ყოფა ერთიანი გახლდათ („ყოფითი აღმსარებლობა“); აქ სახელმწიფოებრივი იდეოლოგია, მატერიალური კულტურა, ხელოვნება და რელიგია ერთიანი სისტემის განუყოფელი ნაწილი იყო. ეს სისტემა თეორიულად არ გამოიხატებოდა და გონებით არ ფორმულირდებოდა, თუმცა ნებისმიერის არაცნობიერში თვლემდა და განსაზღვრავდა თითოეულის ცხოვრებასა და ნაციონალური მთლიანობის არსებობას - ეს უდავოდ თურანული ფსიქიკური ტიპის გამოვლინებაა. ამას ემყარებოდა ძველი რუსეთი. უპირობო მორჩილება თურანული სახელმწიფოებრიობის საფუძველია; თუმცა მისი მეთაურიც გარკვეულ უზენაეს პრინციპს ემორჩილება, რომელიც, იმავდროულად, თითოეული ქვეშევრდომის სახელმძღვანელო პარამეტრია. ეს, ძველი რუსეთის დარად, მართლმადიდებლობაა, რომელშიც თავისთავად თავსდება კერძო ცხოვრება, სახელმწიფოებრივი წყობა და სამყაროს არსებობა. მართალია, მართლმადიდებლობა რუსებს თურანელთაგან არ მიუღიათ და ის რუსთა ნაციონალურ თვითშეგნებაში „თათრობას“ უპირისპირდებოდა, რუსის დამოკიდებულება მართლმადიდებლობისადმი, ის როლი, რომელსაც მართლმადიდებლობა ასრულებდა რუსის ცხოვრებაში, მაინც თურანულ ფსიქოლოგიას ეფუძნებოდა. თურანულ თავისებურებათა გამო, რუსი თავის სარწმუნოებას ყოფისაგან ვერ აცალკევებდა, რელიგიიდან არ გამოყოფდა არაარსებით ელემენტებს და სწორედ ამიტომ ბერძნებთან პაექრობისას ყოველთვის სუსტ ღვთისმეტყველად წარმოჩნდებოდა. მოსკოვუ-

რი სახელმწიფო მონგოლთა ბატონობამ წარმოშვა. მოსკოვის მთავრებმა, რომელთაც ჯერ არ დაესრულებინათ „რუსულ მიწათა შეკრება“, დაიწყეს დიდი მონგოლური მონარქიის დასავლეთ ურდოს მიწათა თავმოყრა: მოსკოვი მძლავრ სახელმწიფოდ მხოლოდ ყაზანის, ასტრახანისა და ციმბირის დაპყრობამ აქცია. რუსი მეფე მონგოლთა ყაენის მემკვიდრე იყო. მონგოლ-თათართა უღელი მართლმადიდებელმა მეფემ ჩაანაცვლა, რომელმაც ყაენის შტაბბინა მოსკოვში გადმოიტანა. მის მოხელეთა და ბოიართა მნიშვნელოვან წილს მონგოლი დიდგვაროვნები შეადგენდნენ. მონგოლური სახელმწიფოს რუსულად გადაქცევის სასწაული შვა რელიგიური გრძნობის სიმხურვალემ, რომელმაც მოიცვა რუსეთი მონგოლთა ბატონობისას. ეს დაეხმარა ძველ რუსეთს, გაეკეთილშობილებინა მონგოლთა სახელმწიფოებრიბა, მისთვის ახალი რელიგიურ-ეთიკური ხასიათი მიენიჭებინა და თავისად ექცია. მონგოლები გარუსდნენ და გამართლმადიდებელდნენ. მოსკოვის მთავარმა ისეთი რელიგიურ-ეთიკური პრესტიჟი მოიპოვა, მას დაუთმეს ადგილი დასავლური ურდოს დანარჩენმა ყაენებმა. ამგვარად, თავისთავად, თურანული წარმოშობის მოსკოვის რუსეთის სახელმწიფო იდეა მართლმადიდებლურად გარდაიქმნა, რელიგიურად გასხივოსნებული, ბიზანტიურ ტრადიციებს დაუკავშირდა. შესაბამისად, ტრუბეცკოის აინტერესებს: ხომ არ მოხდა ბიზანტიური ტრადიციის თურანიზება? მოსკოვის რუსეთს, თურქთა მსგავსად, ერთი ღვთისმეტყველიც კი არ უშვია. აქ თავს იჩენს რელიგიური ფსიქოლოგიის საერთო ნიშნები: ორსავე შემთხვევაში სარწმუნოების დოგმატი მოცემულობად, სულიერი ცხოვრებისა და გარეგნული ყოფის ძირითადი ფონად აღიქმებოდა და არა - ფილოსოფიური სპეკულაციის ობიექტად. ორსავე შემთხვევაში რელიგიური აზროვნება გამოირჩევა მოუხეშაობით, აბსტრაქტულისგან განდგომით, კონკრეტიზაციისაკენ სწრაფვით, რელიგიურ განცდათა და იდეათა გარეგნული ყოფისა და კულტურის ფორმებად ქცევის ჟინით. საგანგებოდ მოფიქრებული და ფაქიზად დეტალიზებული საღვთისმეტყველო სისტემის ნაცვლად ძველ რუსეთში გაჩნდა ერთგვარი „არაცნობიერი ფილოსოფიური სისტემა, რომელიც გამოვლინდა არა - საღვთისმეტყველო ტრაქტატებად, არამედ - ყოფით წყობად. ეს გამოარჩევს რუსულ რელიგიურობას ბერძნულისაგან და უახლოებს თურანულს. და ეს პლუსია და არა - მინუსი. ასეთი ვითარება იყო სახელმწიფოებრივ სფეროშიც. ტრუბეცკოის აზრით, რუსული კულტურის თურანულ ელემენტს უარყოფითი თვისებაც ჰქონდა: თეორიული აზროვნების უკიდურესი მოდუნებულობა და პასიურობა. ამას რუსები უნდა გამოემშვიდობონ, თუმცა არ უნდა უმსხვერპლონ რუსული ნაციონალური ტიპის დადებითი მხარეები, რომლებიც შვა აღმოსავლური სლავობის თურანელობასთან შენივთებამ.

იმის შეგნება, რომ ის ეკუთვნის არა მხოლოდ არიულ, არამედ თურანულ ფსიქოლოგიურ ტიპსაც, აუცილებელია პიროვნული და ნაციონალური თვითშემეცნების მოსურნე ყველა რუსისათვის. ნებისმიერი ერისათვის უცხოელთა ბატონობა არა მხოლოდ უბედურება, არამედ სკოლაც არის. უცხოტომელებთან ურთიერთობით ერი იღებს მათ ფისიქიკურ თავისებურებებს, მათი კულტურისა და იდეოლოგიის ელემენტებს, და თუ ორგანულად ამუშავებს მათ, ითვისებს და საბოლოოდ, თავს დააღწევს მპყრობლის უღელს, მისი სარგებლისა თუ ურგებლობის შესახებ იმის მიხედვით უნდა ვიმსჯელოთ, როგორი იქნება გათავისუფლებული ერი.

მონგოლთა ბატონობამ ორ საუკუნეზე მეტ ხანს გასტანა. რუსეთი მაშინ დაქუცმაცებული სამთავროებისაგან შედგებოდა და არაფერი იცოდა ნაციონალური სოლიდარობისა და სახელმწიფოებრიობის შესახებ. მომხდურმა თათრებმა რუსების ჩაგვრა, მაგრამ, იმავდროულად, სწავლებაც დაიწყეს. უღლის გადაგდების შემდეგ რუსეთი ძლიერ მართლმადიდებელ სახელმწიფოდ წარმოჩნდა, რომელიც შეეკავშირებინა შინაგანი დისციპლინისა და ყოფითი აღმსარებლობის ერთობას. ეს მონგოლ-თათართა უღლის შედეგი იყო. კიდევ გავიდა ორ საუკუნეზე მეტი. პეტრემ სარკმელი გაჭრა ევროპაში, რომლიდანაც ევროპული იდეები შემოიჭრა. დაიწყო მმართველი კლასის ევროპეიზაცია, მის წიაღში უცხოელთა დამკვიდრებითურთ. მოსკოვური რუსეთის „არაცნობიერი ფილოსოფიური სიტემა“ შეირყა. მის ნაცვლად შიშველი ძალა გაბატონდა. მილიტარისტულ და ბატონყმურ ქვეყნად რუსეთი ევროპეიზაციის ეპოქაში გადაიქცა. ხანდახან ყველაფერ წმინდა რუსულს დევნიდნენ, რუსულ კულტურას ბარბაროსობად მიიჩნევდნენ. ტრუბეცკოი ამ პერიოდს „რომანულ-გერმანული ბატონობის ხანად“ მიიჩნევს, რომელიც ასევე 200 წელზე მეტ ხანს გაგრძელდა. იმხანად რუსეთმა თავი დააღწია დასავლეთის ბატონობას, მაგრამ ახლებურად გაფორმდა - სსრკ-დ ჩამოყალიბდა. ბოლშევიზმი ისეთივე ნაყოფია ორასწლოვანი რომანულ-გერმანული უღლისა, როგორც მოსკოვის რუსეთი - თათარ-მონგოლთა ბატონობისა. ბოლშევიზმი ცხადყოფს, ამ ხნის განმავლობაში რუსეთმა რა შეითვისა ევროპისაგან, როგორ გაიგო ევროპული ცივილიზაციის იდეალები და როგორია ისინი მათი რეალიზების ცდისას. ამ შედეგით უნდა შეფასდეს შეხედულება რომანულ-გერმანული უღლის სარგებელ-ურგებლობაზე. ტრუბეცკოის აზრით, თათარ-მონგოლთა სკოლა არც თუ ისე ცუდი იყო.

,,ევრაზიული მატიანის“ მეხუთე წიგნი ამ სტატიებს აერთიანებს:

ლ. კარსავინი, პოლიტიკის საფუძვლები
ლ. კარსავინი, რევოლუციის ფენომენოლოგია
ს. ფრანკი, საკუთრება და სოციალიზმი

პ. სავიცკი, მრეწველობის სახელმწიფოებრივ და კერძო საწყისთა საკითხისათვის

პ. სუვჩინსკი, თანამედროვეობის შეცნობისათვის

ვ. ნიკიტინი, ირანი, თურანი და რუსეთი

გ. ვერნადსკი, მონგოლთა უღელი რუსეთის ისტორიაში

ნ. ალექსეევი, საბჭოთა ფედერალიზმი,

ს. პუშკარევი, რუსეთი და ევროპა ისტორიულ წარსულში

როგორც ვნახეთ, ამ წიგნში დაბეჭდილია ლ. კარსავინის ორი სტატია. პირველ მათგანში „პოლიტიკის საფუძვლები“ ავტორი ამუშავებს კულტურის ახალ დეფინიციას, რომელშიც ადგილს უჩენს ახალსავე ინდივიდს, როგორც ყველას ერთად და ერთში მყოფობის, სიმფონიურობის განსახიერებას. სწორედ მის ჩამოყალიბებას მიელტვიან ევრაზიელები. ფილოსოფოსისეული ისტორიის მეტაფიზიკა სჭვივის რევოლუციის განმარტებისას (ამ საკითხს ეძღვნება ლ. კარსავინის მეორე სტატია ,რევოლუციის ფენომენოლოგია“). კარსავინისათვის რევოლუცია სიმფონიური ნაცია-პიროვნების ერთგვარი მდგომარეობაა, რომელშიც გამოიხატება ცხოვრების იდუმალი სტიქია. ის, იმავდროულად, სიმფონიური პიროვნების საშიში სენიც არის, რომელიც სიკვდილით მთავრდება. და ეს სახალხო, შემოქმედებითი მოვლენაა. რევოლუცია სიმფონიური პროვნების სიკვდილია. მაგრამ ძველი პიროვნების სიკვდილში იბადება ახალი ინდივიდუაცია უმაღლესი პიროვნებისა.

ს. ფრანკი (1877-1950) - რუსი რელიგიური ფილოსოფოსი, რომელიც არასოდეს ყოფილა ევრაზიელი, ავტორია სტატიისა „საკუთრება და სოციალიზმი“. ტექსტის ძირითადი სათქმელი ის არის, რომ კერძო საკუთრება, ხარისხობრივად, სავსებით შეუზღუდავი, რაოდენობრივად, აბსოლუტური და უსაზღვრო სულაც არ არის. მას ზღუდავს საზოგადოებრივი ერთიანობის ინტერესები, უფრო ნაყოფიერი თანამშრომლობის ამოცანები; სახელმწიფოს უფლება და მოვალეობაა, კერძო საკუთრება არეგულიროს; ობიექტური სამართალი აწონასწორებს მას, გარკვეულ ფარგლებში აქცევს და მესაკუთრეს გარკვეულ ვალდებულებებსაც უწესებს.

პ. სავიცკი სტატიაში „მრეწველობის სახელმწიფოებრივ და კერძო საწყისთა საკითხისათვის“, კაცმა რომ თქვას, ახალს არაფერს ამბობს, მას ყოველთვის სწამდა, რომ არა მხოლოდ კომუნისტური, არამედ ნებისმიერი რუსული ხელისუფლება იძულებული იქნება, დანერგოს მსხვილი სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებანი და დაეხმაროს აგრარულ მეწარმეებს. თუმცა ის აღიარებდა რუსი გლეხობის კერძომესაკუთრულ ინსტინქტთა პრიორიტეტს და შენიშნავდა, რომ კოლმეურნეთა ინტერესები

სტიქიურად მიიდრიკება თუნდაც ჯუჯა, მაგრამ მაინც ინდივიდუალური მეურნეობისაკენ.

პ. სუვჩინსკი, სტატიით „თანამედროვეობის შეცნობისათვის“, მკითხველის იმაში დარწმუნებას ცდილობს, რომ 1917 წლიდან მოყოლებული რუსეთის მამოძრავებელი იდეაა ცნობიერებისა და ცხოვრების ერთიანი და საიმედო სისტემის ძიება, რაც მრუდად სრულდება კომუნისტური ექსპერიმენტის სახით. ეს სისტემაა იმ რელიგიური კულტურის აღორძინება, რომელიც რუსეთ-ევრაზიის სულიერი საფუძველია.

ვ. ნიკიტინი (1885-1960) - ორიენტალისტი და დიპლომატი, ევრაზიული მოძრაობის მომხრე და მონაწილე, ავტორი სტატიისა „ირანი, თურანი და რუსეთი“, ფაქტობრივად, აზუსტებს ნ. ტრუბეცკოის შეხედულებებს რუსულ კულტურაში თურანულ ელემენტზე და, სლავურ-თურქულთან ერთად, უთითებს ევრაზიის ტერიტორიაზე ურთიერთქმედების სლავურ-ირანულ და ირანულ-თურანულ ტიპებზე. ნიკიტინის აზრით, რუსთა სულიერ წყობაში თურანი არტელური საწყისია, როცა ირანი იმ ინდივიდუალიზმს უდრის, რომელიც ამბოხებამდე, ანარქიამდე მიდის.

უაღრესად საინტერესოა გ. ვერნადსკის სტატია „მონგოლთა უღელი რუსეთის ისტორიაში“: ცნობილი ისტორიკოსი ამჯერადაც ცდილობს მონგოლთა ბატონობის „მადლმოსილების“ მტკიცებას, ოღონდ ახალი ისტორიული მაგალითების ინტერპრეტაციით.

საკითხის ამ რაკურსით შესწავლა რუსეთის სამეცნიერო აკადემიას ჯერ კიდევ მე-19 ს.-ში უცდია კონკურსის მეშვეობით, მაგრამ ნაშრომები მხოლოდ გერმანელ მეცნიერებს წარმოუდგენიათ, აკადემიას კი მათი ოპუსების განხილვა საჭიროდ აღარ მიუჩნევია. გ. ვერნადსკის აზრით, მონგოლთა უღლის ხვედრითი წილის საკითხი რუსეთის ისტორიაში კვლავაც გაურკვეველია. არადა, მას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება რუსეთის მთელი ისტორიის გასაგებად. რუსეთის ისტორიის განხილვა ორი თვალსაზრისითაა შესაძლებელი: შეიძლება, შეისწავლო რუსი ხალხის შინაგანი გნვითარება გარშემო მყოფი ხალხების გაუთვალისწინებლად ან ეცადო, ჩასწვდე მის განვითარებას მსოფლიო ისტორიის ფონზე. როცა ამ უკანასკნელ თვალსაზრისს იმარჯვებდნენ, ჩვეულებრივ, მსოფლიო ისტორიად ესმოდათ დასავლეთ ევროპის ქვეყანათა ისტორია. რუსეთის მსოფლიო მნიშვნელობა დროში იმითღა გამიხატებოდა, რომ ის იცავდა დასავლეთ ევროპის ცივილიზაციას აზიელი „ბარბაროსებისგან“. ს. სოლოვიოვის მოსაზრებაზე დაყრდნობით, ვერნადსკი ავითარებს შეხედულებას, რომ აღმოსავლური საკითხი უფრო მნიშვნელოვანია იმ ევროპულ სახელმწიფოთათვის, რომლებიც აზიას ესაზღვრებიან და მასთან ბრძოლა მათი ისტორიის

ძირითად შინაარსად ქცეულა. საბერძნეთთან ერთად ასეთი შინაარსითაა აღსავსე აღმოსავლური საკითხი რუსეთის ისტორიისათვის, ამ ქვეყნების გეოგრაფიული მდებარეობის გამო. რუსეთს აზიის დამცველის როლი მართლაც შეუსრულებია და რუსი მოაზროვნეები წუხდნენ, როცა ევროპელები ამას ივიწყებდნენ. თუმცა რუსეთის ფუნქცია მსოფლიო ისტორიაში ამით როდი ამოიწურება. საქმე ის იყო, რომ რუსებს გერმანულ-რომანული ევროპა და მისი ისტორია ევროპული ისტორიის ღერძად ეჩვენებოდათ, განსაკუთრებით, მე-15-19 სს.-ში, მისი კულტურული განვითარების გამო. არადა, ეს დროებითი და ეპიზოდური მოვლენა იყო. ვერნადსკის აზრით, როგორ განვითარდება მსოფლიო ცხოვრება მე-20 საუკუნეში, უცნობია: გერმანულ-რომანულ ხალხებში ახალი წარმონაქმნები გაჩნდა - ანგლო-საქსონური ამერიკა და ესპანურ-პორტუგალური ამერიკა. შეიმჩნევა აზიისა და აფრიკის ხალხების - ინდუსთა, ჩინელთა, იაპონელთა, მონგოლთა, შავკანიანთა კოლოსალური ძვრები. ასე იყო ადრეც: „რომის იმპერიის“ მატერიალური კულტურა უძლური აღმოჩნდა ახალი ხალხების - „ბარბაროსების“ შემოტევის წინაშე. შუა საუკუნეების აღმასვლა ახალმა რელიგიამ - ქრისტიანობამ განაპირობა. ეკლესია აკავშირებდა ხმელთაშუა ზღვისპირეთსა და „ბარბაროსებს“. მისი მეშვეობით „ბარბაროსული ცივილიზაციის“ ბევრი ელემენტი შეიჭრა ადრე რომაელებს დამორჩილებული ხალხების ცხოვრებაში. მეორე მხრივ, ეკლესია თავის გავლენას უქვემდებარებდა „ბარბაროსებს“. საეკლესიო ზემოქმედების ცენტრი აღმოსავლეთისაკენ ინაცვლებდა. პირველი საეკლესიო „რომი“ ხმელთაშუა ზღვისპირეთის რომში იყო. მეორე „რომი“ უკვე ევროპისა და აზიის გასაყარზე, ბოსფორზე, ბიზანტიაში დაფუძნდა, მესამე - უფრო აღმოსავლეთით, აღმოსავლურ, მონგოლურ წიაღში, რუსეთში, მოსკოვში. ვერნადსკის აზრით, ცარგრადი, იგივე - კონსტანტინოპოლი ანუ ბიზანტიაც (!) იყო მართლმადიდებლობის ცენტრი შუა საუკუნეებში. ამ ცენტრიდან სხვადასხვა მიმართულებით ვრცელდებდა ქრისტიანობის შტოები: დასავლეთით - გერმანულ-რომანულ სამყაროში - ლათინობა, ირანული აზიის სამყაროში კი, ისევე, როგორც თურქულ-მონგოლურ სტეპებში - ნესტორელობა. ბიზანტიის სამეფოს მთელი ისტორია განსჭვალულია სტეპურ აღმოსავლეთთან ურთიერთობით ისევე, როგორც „მონგოლებამდელი“ კიევის რუსეთისა. პაჭანიკები, ყივჩაღები, თურქები და სხვ. ანუ, უმეტესად, თურქულენოვანი ხალხები სამხრეთ რუსულ სტეპებში ცხოვრობდნენ და მუდმივად ურთიერთობდნენ ბერძნულსა და რუსულ სამყაროსთან: ცარგრადსა და რუსებს ეომებოდნენ, ხანაც მოკავშირეები იყვნენ. რუსული ცივილიზაცია და კულტურა თანდათანობით ჯერდებოდა, ცალკერძ,

ბიზანტიური (ბერძნულ-აღმოსავლური), მეორე მხრივ კი - სტეპებში მომთაბარეთა კულტურითა და ცივილიზაციით, მათგან სესხულობდნენ სამოსსა და იარაღს, სიმღერებსა და ზღაპრებს, სამხედრო წყობასა და აზროვნების წესს. ამ თვალსაზრისით, მე-13 ს.-ში მონგოლთა შემოსევები პრინციპულად ახალ მოვლენად ვერ ჩაითვლება. ვერნადსკის აზრით, ეს იმგვარივე ღრმა მატერიკული ტალღა იყო, ოღონდ უფრო ძლიერი და დაძაბული, რომელმაც პირწმინდად მოიცვა რუსული სამყარო, ყოველ შემთხვევაში - მისი აღმოსავლეთი ნაწილი. ასე შეიქმნა რუსულ-აღმოსავლურ ურთიერთობათა საფუძველი. დაიწყო რუსული მიწა-წყლის პოლიტიკური დამორჩილება აღმოსავლეთისათვის, რაც „თათარ-მონგოლთა უღლად“ იწოდება. ვერნადსკისათვის ეს ცნება, უწინარესად, უკავშირდება რუსული მიწა-წყლის ჩამოცილებას ევროპისაგან. ოღონდ, „მონგოლთა უღელი“, მაგავე დროს, რუსულ მიწა-წყალს უმჭიდროესად უკავშირებს სტეპურ ცენტრსა და მატერიკის აზიურ პერიფერიებს. რუსული მიწა-წყალი მსოფლიო იმპერიის - მონგოლთა იმპერიის სისტემაში ჩაერთო. რომისა და ბიზანტიის იმპერიების - დასავლეთისა და აღმოსავლეთის, სამიწათმოქმედო საზღვაო და სასტეპო ნომადურ კულტურათა გამაერთიანებლის როლის შესრულება მე-13 საუკუნეში მონგოლთა იმპერიამ იკისრა. მონგოლთა იმპერიამ დაიპყრო ცივილიზაციის (სამიწათმოქმედო-საზღვაო) ორი კერა: ერთი მხრივ, ჩინეთი, მეორე მხრივ კი - მიწები, რომლებიც ბიზანტიის იმპერიაში გაერთიანებულიყო (მცირე აზია, კავკასია, ყირიმი, ბალკანები). სიმძიმის ცენტრმა ერთი ტიპიდან მეორეში გადაინაცვლა. რუსული მიწა-წყლის მონგოლთა დაპყრობის შემდეგ რუსეთი ჩაერთო სხვა იმპერიის - მონგოლეთის იმპერიის - შემადგენლობაში, ოღონდ არა - საეკლესიო ურთიერთობების თვალსაზრისით. ამ სფეროში რუსეთი კვლავაც ემორჩილებოდა მსოფლიო პატრიარქს, რომელიც მე-13 ს.-ში არა კონსტანტინოპოლში, არამედ - ნიკეაში (მცირე აზია) იმყოფებოდა. ჩინგიზ ყაენის მთავრებისადმი მორჩილებით რუსული მიწა-წყალი, პოლიტიკური თვალსაზრისით, ჩაერთო ვეება ისტორიულ სამყაროში, რომელიც გადაჭიმულიყო წყნარი ოკეანიდან - ხმელთაშუა ზღვამდე. რუსეთისთვის გაიჭრა გზა აღმოსავლეთისკენ. რუსული სამხედრო რაზმები მონგოლ მთავრებთან ერთად დონს გასცდნენ, რასაც ადრე ყივჩაღთა შიშით ვერ ბედავდნენ. ოქროს ურდოში მყოფი რუსი ვაჭრები ჩრდილო კავკასიაში ვაჭრობდნენ, სადაც ბევრი ქრისტიანული ეკლესია ფუნქციობდა.

გ. ვერნადსკი იმოწმებს 1331 წლის მონგოლურ გეოგრაფიულ ნახაზს, რომელშიც რუსული მიწა-წყალი „ა-ლო-შ“ (შეად. მადია-

რული „ოროშ“, ყალმუხური „ოროს“, კავკასიური „ურუს“) იმ დიდი აზიური სამყაროს უკიდურესი ჩრდილო-დასავლური კუთხეა, რომელიც, შესაძლოა, დაუპირისპირდეს ბიზანტიურ ოიკუმენეს.

გ. ვერნადსკი აზუსტებს: რუსული მიწა-წყალი არა პირდაპირ, არამედ ჯუჩის ულუსში გაერთიანების გზით ერთიანდებოდა ზემოთ ხსენებულ სამყაროშიო. იმ რუსულმა მიწებმა კი, რომლებიც პოლონეთის, ლიტვისა და უნგრეთის სახელმწიფოებში შედიოდა, დიდწილად, შეინარჩუნეს საკუთარი კულტურული საწყისები, თუმცა ნაციონალურ-სახელმწიფოებრივი სახე დაკარგეს.

რუსეთის სახელმწიფოებრივი განვითარება, ძირიდად, მიმდინარეობდა არა ლათინიზებულ დასავლურ რუსეთში, არამედ - მონგოლთა მიერ დაპყრობილ რუსეთში. აღმოსავლურრუსული მიწა-წყალიც გაერთიანდა უცხოტომელთა - მონგოლთა იმპერიაში, მაგრამ, ვერნადსკის აზრით, ეს სახელმწიფო მსოფლიო იმპერია იყო და არა - პროვინციული სახელმწიფო. ის ხელს არ უშლიდა თავისი ნაწილების, მათ შორის - რუსული მიწა-წყლის - საშინაო კულტურულ ცხოვრებას. ეს იმპერია ებრძოდა თავის დასავლელ მეზობლებს - ლიტვას, უნგრეთს, პოლონეთს ანუ მათ, ვინც რუს ხალხს მტრობდა. მონგოლურ-თათრულმა ტალღამ დაიცვა რუსი ხალხი ლათინური დასავლეთისაგან. მონგოლთა იმპერიის დაშლის შემდეგაც ოქროს ურდო დასავლეთთან ბრძოლის ტრადიციულ პოლიტიკას განაგრძობდა. 1380 წელს კულიკოვოს ველზე მოსკოვმა პირველად გაილაშქრა ოქროს ურდოს წინააღმდეგ და გაიმარჯვა. მაგრამ გაიმარჯვებდა კი ამავე წლებში იგი ლიტვასთან ბრძოლაში მონგოლთა დაუხმარებლად? ლიტვის მთავარი ვიტოვტი თავის აღმოსავლურ სამფლობელოებს აფართოებდა. ოქროს ურდოს ჩაურევლად როგორ დამთავრდებოდა საქმე, არავინ იცის: რუსული სახელმწიფოებრივი ცენტრი მართლმადიდებლურ მოსკოვში იქნებოდა თუ ნახევრადპოლონიზებულ ვილნოში. აქ მთავარი როლი ოქროს ურდომ შეასრულა. 1399 წელს მდინარე ვორსკლაზე ვიტოვტი უგედეი ყაენმა დაამარცხა. ამის შემდეგ ლათინიზების საფრთხე გაქარწყლდა. მონგოლთა იმპერიის დაშლის შემდეგ ოქროს ურდო მთლიანად არ შერწყმია რუსულ სახელმწიფოს. გაჩნდა ორი ცენტრი: სარაი და მოსკოვი. სარაი ადმინისტრაციულ-სახელმწიფოებრივი ცხოვრების ცენტრია, მაგრამ არა - ერთადერთი. ეს, გ. ვერნადსკის აზრით, შეიძლება იმით აიხსნას, რომ ოქროს ურდომ იმემკვიდრევა ორი სახელმწიფოებრივი სამყარო: სასტეპო (ნაწილობრივ, ყივჩაღური) და სატყეო (ჩრდილორუსული). სასტეპო სამყაროს ფარგლებში მოექცა ოქროს ურდო. სატყეო სამყაროს ფარგლებში წარმოიშვა ჯუჩის ურდოს დამატებითი რუსული ცენტრი - ვლადიმირი, შემდეგ - მოსკოვი. პროცესი სწო-

რედ ამ ორი არხით უნდა წარმართულიყო ან მოსკოვის როლი გაზრდილიყო. ასეც მოხდა. სარაი დასუსტდა, მოსკოვი გაძლიერდა, ჯუჩის სამფლობელო ორ ნაწილად დაიყო: ოქროს ურდოდ და მოსკოვის სამეფოდ. თუმცა შესაძლებელი გახლდათ სარაის გაძლიერება და ოქროს ურდოს არა - რუსულ, არამედ - მონგოლურ-რუსულ სახელმწიფოდ გადაქცევა. მთავარი აქ რელიგიური საკითხი იყო, და მონგოლ ყაენებს, ჯუჩის მემკვიდრეებს, მართლმადიდებლობა რომ მიეღოთ, ალბათ, არა - მოსკოვი, არამედ რუსული მიწაწყლის სასულიერო-კულტურული ცენტრი სარაი გახდებოდა. ამას გ. ვერნადსკი ფანტაზიად სულაც არ მიიჩნევს, რადგან მონგოლები იმთავითვე მუსლიმები არ ყოფილან. ბათო ყაენის ვაჟი - სარტაკი ქრისტიანი და, შესაძლოა, მართლმადიდებელიც კი გახლდათ. ყაენი უზბეკიც თანაუგრძნობდა მართლმადიდებლობას, თუმცა შემდეგ გამაჰმადიანდა. ამგვარად, მხოლოდ მე-14 ს.-დან დაიდო ზღვარი ოქროს ურდოსა და რუსეთს შორის, თუმცა უზბეკი და მისი მემკვიდრეები კეთილგანწყობით ეკიდებოდნენ რუსულ ეკლესიას, „იერლაყებს“ (იმუნიტეტის სიგელი) ანიჭებდნენ რუს სასულიერო პირებს და არც მონგოლ-თათრებს უშლიდნენ ხელს, მართლმადიდებლობა მიეღოთ. რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის გადარჩენაში დიდი წვლილი მიუძღვის როგორც სარაის, ისე - მოსკოვს. რუსული ეკლესიის მეთაურები ამიტომაც უკავშირდებოდნენ სარაის. რუსული ეკლესია დიდი ხნის განმავლობაში მოეცვა შფოთს და გაურკვევლობას. მიტროპოლიტის კათედრა თავდაპირველად კიევში იყო. 1240 წლიდან, მონგოლთა მიერ კიევის განადგურების შემდეგ, მიტროპოლიტები ცხოვრობდენ ჩრდილო-აღმოსავლურ რუსეთში, მდინარე კლიაზმაზე მდებარე ვლადიმირში, შემდეგ კი - მოსკოვში. თუმცა ყველა მიტროპოლიტი ხშირად დადიოდა სარაიში და დიდხანს რჩებოდა იქ. გაჩნდა სარაის ეპისკოპოსის თანამდებობა. მე-15 ს.-ში სარაის ეპისკოპოსი მოსკოვში გადასახლდა, კრუტიცში დამკვიდრდა და კრუტიცის მიტროპოლიტი და მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის მარჯვენა ხელი გახდა. ეს იმას შეგვახსენებს, - ამტკიცებს გ. ვერნადსკი, - როგორ არ განხორციელდა ისტორიული შესაძლებლობა, პატრიარქი სარაიში მჯდარიყო და მისი თანამოსაყდრე მოსკოვის მღვდელმთავარი გამხდარიყო. გ. ვერნადსკის კრუტიცის მიტროპოლიტი რუსულ კულტურაზე მონგოლური გავლენის დიდ სიმბოლოდ მიაჩნია.

ნ. ალექსეევის ვრცელი სტატია „საბჭოთა ფედერალიზმი“ რუსეთის სახელმწიფო მოწყობის საკითხს ეხება. ნ. ალექსეევი ექომაგება ბოლშევიზმის მიერ დამკვიდრებულ ფედერალიზმს და სულაც არ მიაჩნია ის უცხო სხეულად რუსეთის ისტორიისათვის.

მეცნიერი უთითებდა რუსეთის უძველეს ცენტრიდანულ ძალებზე, რომლებიც მკვიდრობენ რუსეთის სახელმწიფოს განვითარების ისტორიაში; მიანიშნებდა ფედერალისტურ სააზროვნო ტრადიციაზე (სახელმწიფო საწესდებო სიგელის პროექტი, 1820; ნ. მურავიოვის კონსტიტუცია; მ. დრაგომანოვის, „ნაროდნაია ვოლიას“, რუსეთის იმპერიის განაპირა მხარეების ნაციონალურ პარტიათა პროექტები). ნ. ალექსეევის აზრით, ფედერალიზმის იდეა მართლაც არ გამომდინარეობს მარქსიზმიდან, მაგრამ ის ბოლშევიკებს თვით ცხოვრებამ მოახვია თავს. თავიანთი იდეოლოგიის საპირისპიროდ, ისინი იძულებულნი არიან, გაითვალისწინონ ეს ცენტრიდანული ძალები, შეეგუონ მათ, „ფედერალიზმი ითამაშონ მათთან“. ასეთმა თამაშმა თავიანთ თეორიაში ბევრი რამ დაათმობინათ: კერძოდ, ნაციონალობის პრინციპის აღიარება, რასაც მარქსიზმი არ ითვალისწინებს. მარქსიზმმა, თავის მხრივ, სოციალურად ორიენტირებული იდეოლოგიით, დიდად იმოქმედა საბჭოთა ფედერალიზმზე. ამგვარად, ამ უკანასკნელის წარმოშობაში ალექსეევი გამოყოფს ორ ძირითად კომპონენტს: ახალი ხელისუფლების წინაშე მდგომ ისტორიულ აუცილებლობას რუსეთის ერთიანობის შესანარჩუნებლად და კომუნისტურ იდეოლოგიას.

აღსანიშნავია, რომ სსრკ ფედერაციული მოწყობას ნ. ალექსეევი აანალიზებს, როგორც სერიოზული სწავლული, სოლიდური წყაროთმცოდნეობითი ბაზის გამოყენებით. ის, შესაძლოა, სამ ჯგუფად დაიყოს: საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელთა - ვ. ლენინისა და ლ. ტროცკის თეორიული ნაშრომები; საბჭოთა საკანონმდებლო მასალები: რსფსრ 1918 წლის კონსტიტუცია, სსრკ 1923 წლის 6 ივლისის კონსტიტუცია, მოკავშირე რესპუბლიკათა კონსტიტუციების ტექსტები, საბჭოთა საკანონმდებლო აქტები, რომლებიც იბეჭდებოდა გაზეთებში, სრულიად რუსეთის (საკავშირო) საბჭოებისა და რკპ და საკავშირო კომუნისტური პარტიის ყრილობათა მასალები, საბჭოთა იურისტთა ნაშრომები.

პირველ ყოვლისა, ევრაზიელი ნ. ალექსეევი ყურადღებას აქცევდა საბჭოთა ფედერალიზმის სპეციფიკურობას, მის განსხვავებას დასავლური ანალოგებისაგან - ამერიკულისა და შვეიცარულისაგან. რა ფაქტორებითაა შეპირობებული ეს სპეციფიკურობა და რამდენად შეესაბამება იგი ორგანულ ბუნებას? ამ კითხვებზე პასუხისას ალექსეევი გამოყოფდა ორ ფაქტორს - მარქსიზმის, როგორც მმართველი იდეოლოგიის, გავლენას; ზემოქმედებას რუსული ცივილიზაციის, კერძოდ, რუსული სამართლებრივი კულტურის სპეციფიკისა საბჭოთა სახელმწიფოს ბუნებაზე.

ნ. ალექსეევი აღნიშნავდა, რომ მარქსისტულ-ლენინურმა იდეოლოგიამ განაპირობა სპეციფიკური განსხვავება საბჭოთა ფედერალიზმისა დასავლური კლასიკური ანალოგებისაგან. პროლეტარიატის, უკეთ, კომპარტიის დიქტატურის იდეას მოსდევს სრული პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ცენტრალიზაცია: აქ ვერ ნახავთ ადგილობრივ ავტონომიასა და თვითმმართველობას, დასავლური ლიბერალური ფედერალიზმის განმასხვავებელ თავისებურებებს. სწორედ ამიტომ, ალექსეევის აზრით, საბჭოთა ფედერალიზმს თუ კომუნისტური დიქტატურის თვალსაზრისით განვიხილავთ, ის არც არსებობს! პარტიული ცენტრალიზმი ორმაგდება საბჭოთა ადმინისტრაციული სისტემისა და კანონმდებლობის ცენტრალიზმით. მეცნიერის დაკვირვებით, ხელისუფლებას სსრკ-ში ფლობენ ხელისუფლების აღმასრულებელი ორგანოები, რომელთაც საკანონმდებლო ფუნქციის შესრულებაც ევალებოდათ. თუმცა, ეს ალექსეევს აფიქრებინებდა, რომ ზემოთ აღწერილი ვითარება იწვევდა საბჭოთა ადმინისტრაციული აპარატის ძალაუფლების დეცენტრალიზაციას: თითქოს, რუსეთი ადგილობრივად იმართებოდა და არა - მოსკოვიდან! ამის მიუხედავად, მეცნიერი სწორად შენიშნავდა, დეკლარირებული კონსტიტუციური სუვერენიტეტი წევრი-სახელმწიფოებისა მართლაც დეკლარირებული სუვერენიტეტი იყო და სხვა არაფერიო.

თუმცა აქ თავს იჩენს მეორე პრობლემა: ალექსეევი ევრაზიელია და ფედერაციის ნიმუშად ის დასავლურ მოდელს არ აღიარებს. მისი აზრით, აუცილებელია ფედერალიზმის ინსტიტუტის მორგება რუსეთ-ევრაზიის სპეციფიკურ ცივილიზაციურ პირობებთან. ასეთი სტიქიური ტრანსფორმაცია ხდება, ავტორის რწმენით, სსრკ-ში. ჩამოყალიბებული საბჭოთა ფედერაციული ფორმები მას ნაციონალურ-ორგანულად ეჩვენება და, ამ თვისების გამო, დასავლურზე მეტად უპირატესად მიიჩნევს. ბუნებრივია, ფედერალიზმის ინსტიტუტის ამგვარი საბჭოურ-ევრაზიული ტრანსფორმაცია გულისხმობდა ძალაუფლების ისეთი ცენტრალიზებული სისტემის შექმნას, რომელსაც შეეძლო რუსეთის სახელმწიფოებრიობის ერთიანობის ეფექტური შენარჩუნება. ნ. ალექსეევის აზრით, მეორე თვისება, რომლითაც საბჭოთა ფედერალიზმი დასავლურს სჯობნიდა, ის იყო, რომ სსრკ-ში ფედერაციული ხელისუფლება უზენაესი როდი იყო - რუსეთის ცენტრალურ კომიტეტს ზემდგომობდა მთელი ხალხის მიერ არჩეული ყრილობა. ამგვარად, საბჭოთა ფედერაციული სისტემა უნიტარულ საწყისს ემორჩილებოდა, და ეს კარგი იყო. საბჭოთა ფედერალიზმის მესამე პლუსად ნ. ალექსეევს მიაჩნდა ნაციონალური თვითგამორკვევის ინსტრუმენტული ხასიათი. ეროვნული თვითგამორკვევა სოციალური გადატრიალების საშუალებაა. სოციალური იდეალი - თავისუფლება, თანასწოროობა, ძმობა - ერზე მაღლა დგას. ამგვარად, შესაძლოა,

თამამად დავასკვნათ, რომ ევრაზიელებს საბჭოთა ფედერალიზმში ხიბლავდა არა ფედერაციული საწყისი, არამედ ძალაუფლების ცენტრალიზების სიხისტე.

ს. პუშკარევი (1888-1984) - რუსი ემიგრანტი ისტორიკოსი, ერთხანს - ევრაზიული იდეების მოტრფიალე - ავტორია სტატიისა „რუსეთი და ვეროპა ისტორიულ წარსულში“, რომელშიც მორიგი შეტევაა დასავლური ცივილიზაციის წინააღმდეგ. შეიძლება ითქვს, პუშკარევი თავის თანამოძმეებზე შორსაც კი მიდის, როცა აკრიტიკებს მოსაზრებას, თითქოს მე-13 ს. რუსეთი გუშაგივით იცავდა ევროპულ ცივილიზაციას მონგოლი დამპყრობლებისაგან. მეცნიერის აზრით, რუსი ხალხი მომთაბარე-მეზობლებთან ერთად უფრო მშვიდობიანად ახერხებდა ცხოვრებას, ვიდრე დასავლელებთან. მეტიც: თათრები რუსეთს ევროპისაგან იცავდნენ (Евразийский Временник: 1923; Евразийский временник:1925; Евразийский временник:1927).

პროგრამა

ევრაზიული მოძრაობის, როგორც ინსტიტუციის, მთავარ საპროგრამო დოკუმენტად უნდა მივიჩნიოთ 1926 წელს პარიზში გამოქვეყნებული ნარკვევი „ევრაზიელობა: სისტემატური გადმოცემის ცდა“, რომელიც ათი თავისაგან შედგება:

1. ცრუ იდეოლოგიათა მავნებლობა და ჭეშმარიტი იდეოლოგიის სასიცოცხლო აუცილებლობა; 2. ჭეშმარიტი იდეოლოგიის ზოგი აუცილებელი წანამძღვრის თაობაზე; 3. მართლმადიდებლობა, როგორც იდეოლოგიის საფუძველი; 4. რუსული ეკლესია და რუსული კულტურა; 5. ევრაზიულ-რუსული კულტურული სამყარო; 6. ევრაზიის ერთიანობა; 7. ეკლესია და სახელმწიფო, როგორც კერძო ყოფიერების ფორმები, და მათი ურთიერთობა; 8. რუსული რევოლუციის მნიშვნელობა; 9. გარდამავალი პერიოდისა და უახლოესი მომავლის პრობლემები; 10. ახალი რუსეთის პრობლემატიკა.

ამ სქელტანიანი დოკუმენტის პირველი თავი, როგორც ეს სათაურიდანაც ჩანს, იდეოლოგიის განსაზღვრას ეძღვნება. ავტორის (ავტორთა? ზოგან თანაავტორად ტრუბეცკოია მითითებული, ოღონდ უცნობია დანარჩენთა ვინაობა. რელიგიურ თემატიკაზე საუბრის პათოსს ლ. კარსავინისასაც ადარებდნენ, გ.ჯ.) აზრით, სწორედ იდეოლოგია ავლებს გარკვეულ ზღვარს, რომლის მიღმაც „პრაქტიციზმიცა“ და „პრაგმატიზმიც“ უპრინციპო ოპორტუნიზმად გადაიქცევა, და ასეთად ე.წ. „სმენოვეხელებს“ (ემიგრაციაში ჩამოყალიბებული იდეურ-პოლიტიკური მოძრაობა, რომელიც საბჭოთა

რუსეთთან თანამშრომლობას ქადაგებდა, გ.ჯ.) მიიჩნევენ. ევრაზიელთა რწმენით, ასეთი დოქტრინა „აბსტრაქტული იდეოლოგიაა“, რომელსაც მხოლოდ ზიანის მოტანა შეუძლია. ამგვარსავე საფრთხეს შეიცავს იმპერიის აღდგენის მოსურნეთა „იდეოლოგიაც“. აბსტრაქტული იდეოლოგიის მქადაგებელთა კიდევ ერთი წარმომადგენელი ბოლშევიკური მმართველობაა: კომუნიზმის იდეოლოგია იმ მომავლის წინასწარ განჭვრეტის ცდაა, რომელიც ყველასთვის უცნობია და მისი წინასწარზრახვა კომუნისტებს სხვებზე ნაკლებად ხელეწიფებათ. კომუნისტები განვითარების მცდარ კანონებს ადგენენ და ამიტომ მავნებლები არიან. მათი იდეოლოგია, არამეცნიერული და მცდარი, წერა-კითხვის უცოდინართა მიერ ცუდად გაგებული ჰეგელის ფილოსოფიის განმარტებაა და სხვა არაფერი; ის არ უკავშირდება კონკრეტულ სინამდვილეს. ამგვარად, აბსტრაქტულ და ცრუ იდეოლოგიათა უვნებელსაყოფად საჭიროა მათთვის ჭეშმარიტი იდეოლოგიის დაპირისპირება, არა აბსტრაქტულის, არამედ - ცხოვრებასთან ორგანულად დაკავშირებულის; იდეოლოგია უცილოდ ჭეშმარიტი უნდა იყოს და არა - ცრუ და სამარჩიელო. დოკუმენტის ავტორებს არც ჭეშმარიტი იდეოლოგიის განმარტება ეძნელებათ: იდეოლოგია იდეათა ორგანული სისტემაა. ამით უკვე ნათქვამია, რომ იდეოლოგია იდეათა უბრალო კრებული როდია. თავისი არსითა და იდეალით ის ჰგავს თესლიდან წარმოქმნილ მცენარეს და ერთი ძირითადი იდეის შინაგანად აუცილებელი „თვითგაფურჩქვნაა“, რადგან იდეოლოგია ადამიანთა მიღმა როდია, გარეგანი კანონივით ან აუცილებლობასავით. ის მყოფობს მის თავისუფლად „გამფურჩქვნელ“ ადამიანებში. მეტიც: იდეოლოგია თვით ეს ადამიანებია. თავისი ჭეშმარიტი არსის განვითარების წყალობით ადამიანი ჭეშმარიტ იდეოლოგიასაც სწვდება, უფრო სწორად, მის განსაკუთრებულ ასპექტს. სხვა, თავისი ინდივიდუალობის კვალობაზე, იმავე იდეოლოგიას ოდნავ განსხვავებულად აღმოაჩენს: სხვა თვალსაზრისს აიტაცებს, სხვა კავშირს მოძებნის... მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ დაპირისპირება გარდაუვალია: მოსალოდნელია მხოლოდ ცრუსა და ცრუს, ჭეშმარიტისა და ცრუს დაპირისპირება, მაგრამ არასოდეს - ჭეშმარიტისა და ჭეშმარიტისა! ჭეშმარიტი იდეოლოგია სულაც არ არის უნივერსალური განყენებული სისტემა; მისი გადმოცემა შეუძლებელია რომელიმე განყენებული ფორმულით. ის ცოცხალი ორგანიზმია, რომელშიც ყველა ორგანო არსებითია. ის სიმფონიურია ანუ კრებითი. ჭეშმარიტი იდეოლოგია არ უარყოფს კონკრეტულ სინამდვილეს, არ უპირისპირდება მის არსს. როცა ჭეშმარიტი იდეოლოგია ხორციელდება და ითხოვს საკუთარსავე განხორციელებას ინდივიდის ცხოვრებაში, მასში უკვე იგულისხმება კონკრეტული სინამდვილის სასიცოცხლო

სტიქია. გარეგნულად ამით განსხვავდება ჭეშმარიტი იდეოლოგია მცდარისგან.

მეორე თავში დოკუმენტის ავტორები უკვე იყენებენ პირველი პირის მრავლობითი რიცხვის ნაცვალსახელს - „ჩვენ“ და, ბუნებრივია, ეს ცნობისმოყვარეობას უფრო აცხოველებს. „ისინი“ პიროვნებას, როგორც „სოციალურ ატომს“, უპირისპირებენ მრავალფეროვნების ცოცხალ და ორგანულ ერთიანობას: მექანიკური კავშირისა და გარეგანი, განყენებული სისტემის ცნებებს - ორგანულ, უფრო ზუსტად - პიროვნულ ერთიანობას. ამასთან, „ისინი“ აღიარებენ არა მხოლოდ ინდივიდუალურ პიროვნებას (არსებითად, ის არცაა მხოლოდ „ინდივიდუალური“), არამედ სოციალურ ჯგუფსაც და, თანაც, არა მხოლოდ „ფენას“ ან „კლასს“, არამედ - ხალხს - კულტურისა და კაცობრიობის სუბიექტს. ხალხი კრებითი ანუ სიმფონიური პიროვნებაა. ამავე თავში პირველად ჩნდება შესიტყვება „ევრაზიული იდეოლოგია“, რომლის შემდეგი მარკერიც რელიგიურია: აბსოლუტურად ჭეშმარიტი იდეოლოგიის მიკვლევა მხოლოდ რელიგიურ რწმენაშია შესაძლებელი. ეს „რუსული მართლმადიდებლური რწმენაა“.

მესამე თავში მართლმადიდებლობის, როგორც იდეოლოგიის, არსი განიხილება. ეს გულისხმობს სიმფონიურ და ორგანულ, კრებით ერთობას, რომელიც არ უარყოფს რომანულ ან გერმანულ ინდივიდუალობებს, არ სტოვებს მათ ეკლესიის მიღმა. პირიქით, ის მათ თავისუფალ „თვითგაფურჩქვნასა“ და მართლმადიდებლობის წიაღში დაბრუნებას ელის. ჯერჯერობით, მხოლოდ რუსულ-ბერძნული და, უპირატესად, რუსული მართლმადიდებლობა არსებობს, რომელსაც სურს მთელი მსოფლიოს მართლმადიდებლობა, რათა მართლმადიდებლობის სხვა სიმფონიურ-პიროვნული ასპექტები ქრისტიანულ სიყვარულსა და თავისუფლებასთან ერთად სიმფონიურად შეერწყას რუსულ, ბერძნულ და სლავურ ასპექტებს. მართლმადიდებლობა ყველაზე მეტად რუსულ ეკლესიაში გაიფურჩქნა, რომელიც მთავარია სხვა მართლმადიდებელთა შორის. დოკუმენტის ავტორები მკაცრად განარჩევენ „მართლამდიდებლებს“ „რუს მართლმადიდებელთაგან“, რადგან სწორედ რუსულ ეკლესიაში შენარჩუნდა შინაგანი ერთიანობა. ამავე თავში განიმარტება ევრაზიელთა მიერ პოპულარიზებული სასულიერო გაგება соборность, რომლის ქართული შესატყვისი არ არსებობს, ამიტომ უარს ვერ ვიტყვით ამ ტერმინის მათეული დეფინიციის გახსენებაზე: სიტყვით „соборный“ რწმენის სიმბოლოს (მრწამსი) საეკლესიო სლავური ვერსია გადმოსცემს ბერძნული „კათოლიკეს“ მნიშვნელობას, რაც ნიშნავს „ყველაფრითა და ყველაფერში ერთიანს“, ერთიანს როგორც მთელის, ისე ნაწილთა თვალსაზრისით. „მსოფლიო“ - oikoumenikos მხოლოდ ფაქტს და, უფრო მეტად, იდეალს მიემართე-

ბა - ეკლესია დავანდეს მთელ მსოფლიოში, მთელ დედამიწაზე. ეს გეოგრაფიულ-ეთნოგრაფიული და გარეგანი ნიშანია, როცა соборность და соборный ეკლესიის შინაგან ბუნებას განსაზღვრავს.

მეოთხე თავი რუსული ეკლესიისა და კულტურის შეფასებას ეთმობა. კვლავაც ხაზგასმულია ბერძნულის შემდეგ რუსული მართლმადიდებლობის პრიმატი, რაც ემპირიულად რუსული კულტურის სინონიმიზებით გამოიხატება. რუსული ეკლესია, როგორც რუსული კულტურის შესაკრებელი, მთელი ამ კულტურის მიზანია. ისვეა მიზიდულობის ჭეშმარიტი ცენტრი მთელი, პოტენციურად, მართლმადიდებელი სამყაროსათვის. დოკუმენტის ავტორები მზად არიან, უკუაგდონ რაციონალურ-გამაუბრალოებელი განმარტება, გამორიცხონ ყოველგვარი შესაძლებლობა იმ ფიქრისა, რომ ყველამ რუსული მართლმადიდებლობის ფორმა მიიღოს. მართლმადიდებლობას რუსეთისა (თუმცა რუსი ერი კვლავაც წარმმართველი და ძირითადია) ან რუსული კი არ უნდა უწოდონ, არამედ აირჩიონ ძნელად წარმოსათქმელ СССР-სა და ევრაზიას შორის. დოკუმენტის ავტორები აქ პირველად პოზიციონირებენ „ევრაზიას“, როგორც მართლამდიდებელი ეკლესიისა და კულტურის სიმფონიურ-პიროვნულ ინდივიდუაციას. მისი ერთიანობა განირჩევა ბერძნული, სლავური და სხვ. მართლმადიდებლობისაგან, მაგრამ კი არ უარყოფენ მათ, არამედ წარმოიდგენენ მათთან სიმფონიურ ერთობას და „ურთიერთშევსებას“.

მეხუთე თავში, რომელშიც უწყინარი პათოსით ითქმის იმის თაობაზე, რა „მშვიდობიანად ვითარდებოდა რუსეთი აღმოსავლეთით“, რუსეთის ისლამურ სამყაროსთან ბრძოლა ევროპის ზეგავლენით იხსნება მაშინ, როცა „რუსული სახელმწიფოს საზღვრები უმტკივნეულოდ, როგორღაც შეუმჩნევლად, თითქმის, დაემთხვა მონგოლთა იმპერიის საზღვრებს და ამ მხრიდან თავდასაცავიც არავინ და არაფერი იყო“. რუსებმა შეცდომით მიიჩნიეს თავი ევროპელებად. მოსკოვური იდეოლოგიის ნაცვლად, შეიქმნა ევროპული ყაიდის ახალი, ცრუ-კლასიკური და რომანტიკული გენეალოგია რუსული კულტურისა, რომლის საფუძვლები სლავებს დაუკავშირდა. რუსული ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძებასაც კი „სლავოფილობა“ ეწოდა. არადა, უცხოელები რუსულ კულტურას არც ევროპულში ურევენ და არც - სლავურში. მოსკოვს ისინი „აზიად“ აღიქვამენ. ირანელთათვის რუსები თურანელთა მემკვიდრეები არიან. დოკუმენტის ავტორები რუსებს არც სლავებად მიიჩნევენ, არც თურანელებად, არამედ - რუსებად. რუსული კულტურა სავსებით განსაკუთრებული, სპეციფიკურია, რომელიც ვეროპულსა და აზიურზე ნაკლებ თვითღირებული ან ისტორიულად მნიშვნელოვანი როდია. ის უნდა დაუპირისპირდეს ევროპისა და აზიის კულტურას, რო-

გორც შუალედური, ევრაზიული კულტურა. დოკუმენტის ავტორები გახაზავენ რუსეთის, როგორც გეოგრაფიული ერთეულის, უნიკალობასაც და მას, ზემოთქმულისამებრ, ევროპისა და აზიის გამაშუალებელ კონტინენტად წარმოაჩენენ.

მეექვსე თავში დოკუმენტის ავტორები რუსეთის ისტორიის ზოგიერთ ეპიზოდს იხსენებენ ევროპოცენტრიზმთან ხისტად დასაპირისპირებლად.

მეშვიდე თავი იმის მტკიცებას ეძღვნება, რომ ეკლესია და სახელმწიფო სხვადასხვა სიბრტყეზე დგას, თუმცა სახელმწიფო თავის სასიცოცხლო იმპულსებს მაინც ეკლესიის წიაღიდან იღებს და „საერო“ სფეროში ამკვიდრებს. ეკლესია სახელმწიფოს კი არ უნდა გამოეყოს, როგორც ამას ევროპა ქადაგებს, არამედ ამ ორმა ორგანიზმმა სიმფონიურად უნდა მართოს, შეთანხმებულად იმოქმედოს. ეს არის იდეალი რუსულ-ევრაზიული სახელმწიფოსი.

მერვე თავი რუსეთის რევოლუციის შეფასებას ეთმობა: რევოლუცია გარდუვალობად საღდება, რათა ძველი ფორმაცია განადგურებულიყო, მაგრამ ახალი რევოლუციური ხელისუფლების იდეოლოგია უგუნურად მიიჩნევა. კომუნისტ-ბოლშევიკთა პარტია კრისტალიზებული ცენტრია, რომელმაც მმართველი ფენა შექმნა. გაკრიტიკებულია მისი ლიდერების შეცდომები და იდეოლოგიური სისუსტე.

მეცხრე თავში დოკუმენტის ავტორები აშკარად გვამცნობენ იმ ახალი პარტიის შექმნის თაობაზე, რომელმაც ბოლშევიკებს ძალაუფლება უნდა „გამოსტაცოს“: მან უნდა შექმნას ახალი მმართველი ძალა. უიმისოდ ახალი იდეოლოგია უმოქმედობისთვის გაიწირება. იგულისხმება „სახელმწიფოებრივ-იდეოლოგიური კავშირი“, რომელიც, იმავდროულად, ფლობს თავის ორგანიზაციათა ქსელს მთელ ქვეყანაში, მათში აერთიანებს მოსახლეობის დაბალ ფენებს, ის არ ემთხვევა სახელმწიფო აპარატს და კი არ მართავს, არამედ იდეოლოგიურად საქმიანობს. დოკუმენტის ავტორთა თქმით, ფორმალურად რაღაც ამის მსგავსი შეინიშნება იტალიურ ფაშიზმში, რომელსაც, ეგ არის, ღრმა იდეოლოგია არ გააჩნია. ამ პარტიის შექმნის შესაძლებლობას მხოლოდ ის კი არ ამართლებს რომ ის განიხილება ნაწილად უკვე არსებული მმართველი ფენისა, რომლის ნაწილიც ბოლშევიკები არიან, არამედ ის, რომ ნარჩუნდება რუსეთში იმხანად უკვე არსებული დემოკრატიის ფორმები (საბჭოების სისტემა მრავალსაფეხურიანი არჩევნებით). სწორედ ეს აქარწყლებს დასავლურ დემოკრატიათა საფრთხეს ანუ პროფესიონალ პოლიტიკოსთა ჯგუფის ბატონობას და მრავალპარტიულობას. ხსენებული კავშირი ემიგრაციაში ვერ იმოქმედებს. უფრო კონკრეტული გეგმა გულისხმობს ათეიზმის მოსპობას და მართლმადიდებლობის დაბრუნებას. დოკუმენტის ავტორებს ყველაზე მისაღებ სახელმწიფოებრივ ფორ-

მად ფედერაცია მიაჩნიათ. ეს უკუაგდებს აქა-იქ გაღვივებულ სეპარატისტულ-ნაციონალურ მისწრაფებებს, რომელთა წინააღმდეგ ბოლშევიკთა ბრძოლის სტრატეგია ევრაზიელებს იმდენად აღაფრთოვანებს, ყველა ახალ მთავრობას მისი გამოყენებისაკენ მოუწოდებენ. დოკუმენტის ავტორები ხოტბას ასხამენ საბჭოთა განათლების სისტემასაც და მხარს უჭერენ ახალგაზრდების პოლიტიკურ განათლებას.

მეათე თავი ეძღვნება ევრაზიული რუსეთის უტოპიური სახელმწიფოს სამომავლო ამოცანების გამოკვეთას: პირველ ყოვლისა, ეს არის ანტიევროპეიზმი და პროაზიურობა, რადგან აზია ებრძვის ევროპას და შემწყნარებლურად ეკიდება ევრაზიას (რუსეთს). თუმცა არც ევროპისთვის ზურგშექცევა ივარგებს: არ უნდა დაივიწყონ, რომ იქაც ქრისტიანები ცხოვრობენ, მთავარია, მათ მართლმადიდებლურ წიაღში დაბრუნებას მიაღწიონ. ბოლშევიკების ბრძოლა კაპიტალიზმთან, ფაქტობრივად, ევროპასთან ბრძოლაა და ეს კარგად უნდა გააცნობიეროს ევრაზიამ. თუ აზია ევროპას შეებრძოლება, ევრაზიამ მისი ზეგნები ბრძოლის ველად უნდა გადააქციოს და ასე გამოავლინოს საკუთარი თვითკმარობა. სამეურნეო თვალსაზრისითაც, ევრაზია უნდა გაემიჯნოს ევროპას და მიჰკერძოს შერწყმულ ეკონომიკურ სტრატეგიას: ერთი მხრივ, კერძო საკუთრება, მეორე მხრივ, სახელმწიფოს „მარჯვე“ კონტროლი (Евразийство:1926).

მეორე დოკუმენტი

დაახლოებით, ამავე ხასიათისაა დაზემოთ ჩამოთვლილ დებულებებს, თითქმის, უცვლელად შეიცავს ევრაზიელთა მეორე დოკუმენტი: 1932 წელს გამართული პირველი ყრილობის მიერ მიღებული ევრაზიული ორგანიზაციის დეკლარაცია „ევრაზიულობა. დეკლარაცია, ფორმულირება, თეზისები“, რომელიც 21 პუნქტს შეიცავს. ყურადღებას გავამახვილებ მხოლოდ იმ დეტალებზე, რომელთაც ზემოთ განხილულ დოკუმენტში ვერ ნახავთ.

ევრაზიის სახელმწიფო წყობა იდეოკრატიაა, რაც ევრაზიული იდეით შთაგონებულ ადამიანთა შერჩევას გულისხმობს. ეს შერჩეული კრებული მართავს სახელმწიფოს თავისუფლად არჩეულ საბჭოთა მეშვეობით. სამართლის ძირითადი კანონით დამტკიცებული შერჩევა უზრუნველყოფს სახელმწიფოებრივი წყობის მემკვიდრულ და მუდმივ საწყისს. სახელმწიფოს ევრაზიელები ორ ძირითად ამოცანას უსახავენ: რუსულ-ევრაზიული განსაკუთრებული სამყაროს ცხოვრების ორგანიზება; მშრომელთა სულიერი და ეკონომიკური ემანსიპაცია. ევრაზიული სახელმწიფოებრივ-კერძო ტიპის მეურნეობა გულისხმობს კერძო მეწარმეთა არა კლასს, არამედ - ფუნ-

ქციურ პროფესიას. ეს დებულება კანონმდებლობით უნდა განმტკიცდეს. აუცილებელი სინდიცირების გზით, კერძო სექტორი ორგანიზაციულად უკავშირდება სახელმწიფოებრივს და გეგმაზომიერი მეურნეობის ფარგლებში ექცევა. სახელმწიფოებრივ-კერძო სისტემა უზრუნველყოფს პიროვნების სამეურნეო თვითგამორკვევას, თუმცა არ სცდება გეგმაზომიერი მეურნეობის ფარგლებს. ყველა მშრომელი უზრუნველყოფილია სამეურნეო ფორმებისა და შემოსავლის სახეობათა არჩევის თავისუფლებით. კერძოდ, მუშები უზრუნველიყოფიან არჩევანის თავისუფლებით, იმუშაონ სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებაში, გლეხებმაც უნდა აირჩიონ - მეურნეობა და კოლმეურნეობა აძლევთ ხელს თუ კერძო საქმიანობა. გლეხები უზრუნველიყოფიან არჩევანის თავისუფლებით, მუშები გახდნენ, და - პირიქით. ევრაზიელები მთლიანად იზიარებენ ბოლშევიკური კომპარტიის პოლიტიკას იმასთან დაკავშირებით, რომ სოციალური წყობა მშრომელთა ინტერესებს უნდა მოემსახუროს, და იწონებენ ინდუსტრიალიზაციის გეგმას, როგორც ძალისხმევას რუსულ-ევრაზიული განსაკუთრებული სამყაროს ეკონომიკური დამოუკიდებლობის მისაღწევად, თუმცა იწუნებენ განხორციელებისას გამოვლენილ ბევრ უსარგებლო და მავნე მომენტს. ევრაზიელები ილაშქრებენ მარქსისტული ფილოსოფიისა და მატერიალისტური პროპაგანდის წინააღმდეგ. უსათუოდ დაადგება დრო, როდესაც კომუნისტთა ის ნაწილი, რომელსაც არ დაუკარგავს რეალობის გრძნობა, მიუბრუნდება ევრაზიულობის ლოზუნგებსა და მიზნებს.

შემდეგ თავს „ფორმულირება“ ეწოდება, რომელიც ევრაზიული კლასიკური იდეოლოგიის ძირითად დებულებათა უფრო დაწვრილებით ჩამოყალიბებას გულისხმობს. ამჟამადაც ძველებურად მოვიქცევი: გაგაცნობთ მხოლოდ იმათ, რომლებზეც აქამდე არაფერი მითქვამს.

ევრაზიული კულტურის თეორიული მხარის თავისებურებანია: ამ კულტურის ადგილგანვითარება გეოგრაფიულ ნიშან-თვისებათა, რუსეთ-ევრაზიის მკვიდრი ხალხების ენობრივ კავშირთა კილოკავების თავისებურებათა, ევრაზიის ბინადართა გამორჩეული მსოფლგანცდის, სულიერი წყობისა და ისტორიის მეშვეობით. ევრაზიელთა აზრით, ყველა ჩამოთვლილი ფიზიკური და სულიერი თავისებურება შინაგანად ურთიერთდაკავშირებულია და ქმნის რუსი-ევრაზიელის კულტურული პიროვნების ბუნებას. ევრაზიის საზღვრებში მცხოვრებ ხალხებს ძალუძთ ისეთი ურთიერთგაგებისა და ძმური თანამშრომლობის ფორმათა მიღწევა, როგორებიც ძნელად წარმოსადგენია ევროპისა და აზიის ხალხთა შორის. ევრაზიელ ხალხთა სულში ფეთქავს განსაკუთრებული თანხმიერი რიტმი, და ამ თვალსაზრისითაც, რუს-ევრაზიელი კულტურული პიროვნება სიმფონიურია. ევრაზიული კულტურის გამორჩეულობა ვლინდებო-

და რუსულ-ევრაზიული სამყაროს ისტორიაში: კერძოდ, ჩინგიზ ყაენისა და მისი მემკვიდრეების საერთოევრაზიული სახელმწიფოსა (მე-13-14 სს.) და მე-15-17 სს. მოსკოვის სამთავროს, მე-18-20 სს. რუსული იმპერიის ვეება შენობაში. მიუხედავად დასავლეთისათვის დამსგავსების სწრაფვისა, ყოველივე ამას ანალოგი არ ეძებნება არც ევროპაში, არც - აზიაში. ეს ვლინდება თანამედროვე საბჭოთა კავშირშიც, მიუხედავად დასავლური იდეოლოგიური რაკურსისა. ამიტომ პეტრე I და ლენინი დასავლეთის მიერ დადგენილი და ევრაზიაში განხორციელებული პოლიტიკური თემის ევრაზიულ ვარიანტებს უნდა მივაკუთვნოთ. ევრაზიელთა აზრით, ოქტომბრის რევოლუცია, თავისი შინაგანი, მაგრამ აუხსნელი მნიშვნელობით, ევრაზიულია. ამ არსის გამოვლენა ევრაზიელთა ამოცანაა. არსებითად, ევრაზიულობა რევოლუციური მიმდინარეობაა - მას ვერ გავიგებთ რევოლუციის ფაქტის გაუთვალისწინებლად. ევრაზიულობის მისწრაფებანი და მიზნები მჭიდროდ უკავშირდება რუსულ რევოლუციურ პროცესს. ამ თვალსაზრისით, ევრაზიულობა ერთადერთი მსოფლმხედველობრივი და ქმედუნარიანი რევოლუციური სისტემაა, რასაც ვერ ვიტყვით კომუნიზმსა და ემიგრანტულ დაჯგუფებებზე. საგარეო თვალსაზრისით, ბოლშევიკები უნებლიეთ ევრაზიულ საქმეს აკეთებენ - იცავენ რუსულ-ევრაზიული კულტურული ერთობის ინტერესებს. ევრაზიულობა აფასებს თავისუფლების საწყისს, მაგრამ დასავლეთივით როდი აკერპებს მას. თავისუფლება თანაბრად უღებს კარს როგორც კეთილ, ისე ბოროტ საწყისებს. ევრაზიულობა ელტვის თავისუფლების ღირებული შინაარსით ავსებას. ევრაზიელად ძალით ვერავის გახდი. მაგრამ მან, ვინც ამას ინებებს, შეუძლებელია, თავისი და მთელი ევრაზიული ერთობის ცხოვრება ევრაზიულ საწყისებს არ დაამყაროს. ევრაზიელობა პატივს სცემს ადამიანის პიროვნების ფასეულობებს, მაგრამ, იმავდროულად, ის ცალსახად ემიჯნება ცხოველური ადამიანის კულტს, რომელიც გაღმერთებამდეც კი აღწევს. ამან დასავლეთში ორი ურთიერთსაპირისპირო მოძღვრება წარმოშვა: მატერიალისტური ინდივიდუალიზმი და მატერიალისტურივე კოლექტივიზმი. პირველში აბსოლუტური ფასეულობაა სხვა ადამიანებს მოწყვეტილი, თავმოყვარებაში ჩაძირული, იზოლირებული ინდივიდი; მეორეში ეგეთივე ფასეულობა ადამიანთა კოლექტივია. მათი მაგალითია ბურჟუაზიული ინდივიდუალიზმი და კომუნიზმი. ევრაზიულობას აბსოლუტურ ფასეულობად არა ფიზიკური, არამედ სულიერი ადამიანი მიაჩნია, ის, ვინც შეიცნო თავისი სულიერი არსება, ბუნებაში თავისი განსაკუთრებული ადგილი და თავისი ურთიერთობა ღმერთთან. ადამიანური საზოგადოება თავის სრულ განვითარებას მაშინ აღწევს, როცა შობს მრავალ ინდივიდუალურ ხასიათსა და ცალკეულ სოციალურ

ფორმას. რაც მეტი სოციალური დაჯგუფებაა, მით მეტი სივრცე ეძლევა დადებით სოციალურ შესაძლებლობებს. სოციალური ჯგუფის წევრობით ადამიანი კი არ ღარიბდება, არამედ გამოიმუშავებს საკუთარ გამორჩეულ ფიზიონომიას, იხვეჭს განსაკუთრებულ ხასიათსა და ცხოვრების სტილს. ევრაზიელთა მტკიცებით, ერთადერთი ძალა, რომელიც ამ ამოცანებს განახორციელებს, ზეკლასობრივი სახელმწიფოა. უნდა შეიქმნას ისეთი საორგანიზაციო წესრიგი, რომელიც ამაღლდება კლასობრივ და ჯგუფურ ინტერესებზე. ის უნდა იყოს ძლიერი, იძულებითი, სოციალურ ჯგუფებზე მეტად ძლევამოსილი და, შესაბამისად, სუვერენული. ამას ჰქვია ისტორიულ-კლასობრივი და არასრულყოფილი ბუნებისაგან განძარცული სახელმწიფო. თუმცა ევრაზიელები ემიჯნებიან რომელიმე ისტორიულ-სახელმწიფოებრივი ფორმის გადმოღებას: რეაქციონერთა პოლიტიკურ რომანტიზმსა თუ რადიკალთა დემოკრატიულ უტოპიას. ასეთი ზეკლასობრივი სახელმწიფო უნდა დაეყრდნოს ზეკლასობრივ სოციალურ დაჯგუფებას, რომელიც არც ერთ სოციალურ კლასს არ ეთანადება. მისადმი კუთვნილება განისაზღვრება არა რომელიმე კერძო ფუნქციით, რომელიც ნიშანდობლივია ევრაზიული საზოგადოების სხვა სოციალური ჯგუფებისათვის, არამედ - ევრაზიული იდეის ერთგულებითა და მორჩილებით. როგორც ვხედავთ, შერჩევა წმინდა იდეოკრატიული ხასიათისაა. ამიტომაც ჰქვია ევრაზიულ სახელმწიფოს იდეოკრატიული. იდეოკრატიის ცნება განსაზღვრავს სახელმწიფოს, როგორც ხელისუფლების ორგანიზაციის, სულიერ არსს. ყოველი სულიერად გამართლებული ძალაუფლება სწორედ იმით განსხვავდება შიშველი ძალადობისაგან, რომ შთაგონებულია რომელიღაც იდეით და მართლდება მისით. ყველა ისტორიული სახელმწიფო, ტირანიის გამოკლებით, იდეოკრატიული იყო, რადგან მათი ძალაუფლების საფუძველი რომელიღაც წარმმართველი პრინციპი, იდეა გახლდათ. თუმცა მათი უმრავლესობის იდეოკრატიული ელემენტი დაფარული იყო და არ ცნობიერდებოდა. ევრაზიული სახელმწიფო თვითგანისაზღვრება, როგორც გაცნობიერებული იდეოკრატია რომლის წარმმართველი პრინციპი რეალურად განსახორციელებელი მიზანია.

დადებითი მშენებლობის განხორციელებისას ევრაზიული სახელმწიფო თავის წევრებს აუცილებელ ვალდებულებათა იძულებით სანქციებს უწესებს. ევრაზიელები აღიარებენ ძირითად სახელმწიფო მიზანთა აღსრულებისას იძულების გამოყენებას, თუ სხვა საშუალებათა არსენალი ამოწურულია. სახელმწიფო ვერ აშენდება იძულებით ვალდებულებათა გარეშე, თუმცა, ძირითადად, ისინი უნდა აღსრულდეს სახელმწიფო აპარატის მუშაობისა და თითოეული მოქალაქის მოვალეობრივი შეგნების წყალობით. ჯანსაღი პოლიტიკური ატმოსფერო შეუძლებელია მართვის საკითხებში თვით მოქა-

ლაქეთა აქტიური დაინტერესების გარეშე. ევრაზიული სახელმწიფოს მართვის ორგანოთა პირადი შემადგენლობა არ ემთხვევა შერჩევის შედეგად დადგენილ პერსონალს. ეს ორგანოები კომპლექტდება შერჩეულთაგანაც და მოსახლეობის მიერ თავისუფლად არჩეულთაგანაც, რომლებიც მთელი მოსახლეობის ინტერესებს გამოხატავენ. ამ თვალსაზრისით, ევრაზიული სახელმწიფო დემოტურია. მისი ძირითადი პოლიტიკური უჯრედია არა ცალკეული, იზოლირებული ადამიანი, ხელოვნურად შეკოწიწებული პოლიტიკური პარტია, არჩევნებისთვის შეკრებილი შემთხვევითი უმრავლესობა, არამედ ორგანულად წარმოქმნილი ფუნქციური ჯგუფები - პროფესიები და ეკონომიკური სპეციალობანი, ნაციონალობანი, ცალკეულ ტერიტორიათა გეოგრაფიული, ეკონომიკური და სულიერი ერთობა, თავიანთი მოსახლეობით, ცალკეული კავშირები და საზოგადოებანი, შერჩეული შემადგენლობა და სხვ., რომლებიც ერთად და ცალცალკე მონაწილეობენ უწყვეტ სახელმწიფო მშენებლობაში. ეს მონაწილეობა არ იზღუდება კონტროლის ამა თუ იმ ფუნქციით ხელისუფლებაზე. ევრაზიელები მიიჩნევენ, რომ თავიანთი პოლიტიკური პროგრამის ზოგი ელემენტი საბჭოთა სახელმწიფოს თეორიაშიც გაცხადდა: ჩამოყალიბებულია მმართველი ჯგუფი, რომელიც ახორციელებს გარკვეულ დადებით პროგრამას (საზოგადოებრივი ცხოვრების დაგეგმვა, დემოტური ელემენტის ყოფნა საბჭოების შეზღუდულ ორგანულ შემადგენლობაში, თვითმმართველობა, საბჭოთა ფედერალიზმი და ნაციონალური პოლიტიკა), მაგრამ ევრაზიელები იწუნებენ საბჭოთა სისტემისა და პრაქტიკის კლასობრივი მტრობისა და სიძულვილის სულისკვეთებას, სამართლისადმი სრულ უპატივცემულობას, პიროვნების უნაპირო ჩაგვრას, შიშველ და ცინიკურ დესპოტიზმს, დემოტური საწყისის თანდათანობით გაქრობას და მის ჩანაცვლებას სასტიკი დიქტატურით. ევრაზიელები ეკონომიკასა და მეურნეობასაც რელიგიურ საწყისს უთანადებენ: რელიგიით გასხივოსნებული მშრომელი სახელმწიფო ის „საერთო საქმეა“, რომელიც ოდითგანვე ახასიათებდა რუსულ აზროვნებას. ამას უნდა დაერთოს პიროვნების სამეურნეო თვითგამორკვევა. ევრაზიელები ნაციონალური საკითხის გადაწყვეტისას ემხრობიან ზენაციონალური ერთობის შექმნას კანონის საფუძველზე, რომელიც ყალიბდება საერთო ადგილგანვითარების შედეგად - ეს არის რუსეთ-ევრაზიის ნაციონალობათა ერთობა; სოციალური ცხოვრების მშენებლობაში იდეალთა ერთიანობა, რაც სულიერ ერთობასაც ნიშნავს; ისტორიული ბედის ერთობა, რომელიც განსხვავდება ევროპელ და აზიელ ხალხთა ბედისაგან. ამასთან, ევრაზიელები აღიარებენ თითოეული ნაციონალობის პრინციპულ თანასწორობას მორალური და სულიერი თვალსაზრისით, ცნობენ მათ თავისუფალ სულიერ და კულტუ-

რულ განვითარებას, რამდენადაც მათ ძალუძთ, და ნამდვილ თვითმმართველობას ზოგადსახელმწიფოებრივ ერთობაში. ყველა მათგანი ერთად ქმნის გამორჩეულ მრავალეროვნულ კულტურულ პიროვნებას, რომელიც იმეცნებს, რომ მისი კულტურა კი არ აუქმებს ცალკეულ ნაციონალურ კულტურებს, არამედ იერთებს მათ და ამის საფუძველზე ქმნის უმაღლეს, სავსე და ევრაზიის ყველა ნაციონალობისათვის ნიშანდობლივ ევრაზიულ კულტურას. ევრაზიულ სახელმწიფოში კლასობრივი პრინციპი ნაციონალურით იცვლება (Евразийство:1932).

1920-30-იანი წლების მიწურულს, ევრაზიულ მოძრაობას შეპარული ბზარის შემდეგ, გამოვიდა ორი კრებული, რომლებიც მათ მესვეურებს ჩაეფიქრებინათ პირველ კრებულთა ერთგვარ მემკვიდრეებად და გამოხატავდნენ, ძირითადად, მემარჯვენე ევრაზიელთა პოზიციას. პირველი მათგანია „ევრაზიული კრებული“, რომელშიც დაბეჭდილ სტატიათაგან ყურადღებას მხოლოდ რამდენიმეზე გავამახვილებ. უწინარესად, ეს გახლავთ პ. სავიცკის სტატია „ევრაზიელთა დავალება“. ავტორი ევრაზიელთა ისტორიულ ამოცანად მიიჩნევს ყოველივე იმის, რაც რევოლუციას მოჰყვა, რუსულ და ევრაზიულ ისტორიულ ტრადიციაში ჩართვას, ოღონდ, გამორჩევით, არა - მექანიკურად: მაგ., კომუნისტური ათეიზმი უნდა გადაილახოს, სოციალური პრობლემა კი - მშრომელთა სამეფოს შექმნა, რომელიც კომუნიზმმა დასვა, რუსულმა ტრადიციამ უნდა მიიღოს და განავითაროს. ეს რუსეთის მესიანური მოწოდების ერთ მიმართულებათაგანია. შემდგომი განვითარება იმას გულისხმობს, რომ „შრომის სუფევა“ რელიგიურ იდეას დაუკავშიროს. ამ ამოცანის შესასრულებლად რუსეთ-ევრაზიის კულტურულ-ისტორიული სამყარო უნდა შეირჩეს.

საინტერესოა ნ. ალექსეევის სტატია „ევრაზიულობა და მარქსიზმი“, რომელშიც ავტორი აანალიზებს მარქსიზმისა და ევრაზიულობის გარეგნულ მსგავსებას: მარქსიზმი მწყობრი, ერთიანი, მონისტურია - ასეთი უნდა იყოს ევრაზიულობაც; მარქსიზმი ისტორიულია - არანაკლებ ისტორიულია ევრაზიულობაც; მარქსიზმი სოციალურია - სოციალურობითვე განმსჭვალულა ევრაზიულობაც; რომელიმე ცბიერი გეგმა რომ შემუშავებულიყო, რომელიც მარჯვედ წარმოაჩენდა მარქსიზმისა და ევრაზიულობის ურთიერთმსგავსებას, ნებისმიერი მარქსისტი იტყოდა: „მე ევრაზიელი ვარ!“ თუმცა ამას ალექსეევი არამეცნიერულ ფალსიფიკაციას უწოდებს. მისი აზრით, ეს ორი მიმდინარეობა მხოლოდ განსხვავდება ერთმანეთისგან: მარქსიზმი მატერიალისტურია, ევრაზიულობა - იდეალისტური. ამიტომ რელიგიური დასავლეთის ფილოსოფიური თეზისი უფრო ახლობელია, ვიდრე ფოიერბახისა და მარქსის ანთროპოლოგიზ-

მი; მარქსიზმი მე-19 ს. ტიპური ისტორიის ფილოსოფიაა, წრფივად აგებული ადამიანური პროგრესი, ევრაზიელები კი ლაპარაკობენ კულტურათა და ცივილიზაციათა სიმრავლეზე. მარქსიზმი რუსეთს სოციალური განვითარების მსოფლიო კანონის ფარგლებში აქცევს, ევრაზიულობა კი ამტკიცებს რუსეთ-ევრაზიის კულტურული სამყაროს თვითმყოფადობას. ის, რასაც კომუნისტები სჩადიან და ლაპარაკობენ კომუნიზმის ინტერესებისათვის, უნდა ჩაიდინონ და თქვან რუსეთისათვის. გამოდის, რომ კომუნისტები და ევრაზიელები ამბობენ და სჩადიან ერთსა და იმავეს, ოღონდ - განსხვავებული მიზნით. ალექსეევის აზრით, მარქსიზმი და ევრაზიულობა ერთმანეთისაგან იმითაც განსხვავდება, რომ პირველი ელტვის საზოგადოების ისეთ მდგომარეობას, როცა საბოლოოდ გამქრალია პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთწინააღმდეგობანი, კაცობრიობას აღარ თანგავს სატანჯველი. მაგრამ ეს ირეალური და უტოპიურია. საზოგადოებას ყოველთვის გააჩნდება პრობლემები. მხოლოდ პიროვნულ და საზოგადოებრივ ძალთა დისჰარმონიას მივყავართ ერთისა და მეორის სრულყოფამდე.

კ. ჩხეიძის სტატია „ევრაზიულობა და სრულიად რუსეთის კომუნისტური პარტია“ იმდენადაა საინტერესო, რამდენადაც ავტორი, თუ არ ვცდები, პირველად გამოთქვამს აზრს, რკპ „ევრაზიული შერჩევით“ ჩაენაცვლებინათ: პარტია, თითქოს, უკვე შეიცავდა რუსეთ-ევრაზიის მომავალი მმართველი ფენის შერჩევის მარცვალს. შემდეგ ისინი უნდა გაერთიანებულიყვნენ, ვინც გადაწყვიტა, გაეგო და ეღიარებინა რევოლუცია, ჩართულიყო მასში და გაემარჯვა რუსეთ-სსრკ საზღვართა ორივე მხარეს.

იაკობ ბრომბერგი (1898-1948) - ემიგრანტი ებრაელი ისტორიკოსი და პუბლიცისტი, ევრაზიული მოძრაობის აქტიური წევრი - ავტორია სტატიისა „ებრაული საკითხის გადასინჯვის აუცილებლობისათვის“, ფაქტობრივად, მოუწოდებს აღმოსავლელ ებრაელობას, გაემიჯნოს პასიურ თვალთვალსა და უმოქმედობას და ევრაზიულობა მიიჩნიოს რელიგიურ-ეთნიკური გადარჩენის ოპტიმალურ საშუალებად.

საინტერესოა ა. ანტიპოვის (1895-1945) - ემიგრანტი ისტორიკოსისა და პუბლიცისტის, ევრაზიული მოძრაობის მონაწილის - სტატია „თეთრები და წითლები“, რომელშიც ავტორი თეთრებს იდეოლოგიის დაუმუშავებლობაში, პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მიზნების უქონლობაში სდებს ბრალს. თეთრები მხოლოდ სოციალური შინაარსისაგან დაცლილი ნაციონალური იდეით ხელმძღვანელობდნენ, როცა წითლების სოციალურმა იდეამ შთანთქა ნაციონალური განცდები. ანტიპოვის აზრით, ამ ორი პრინციპის - „რუსეთისთვის მსხვერპლად შეწირვა“ და „მაღალი სოციალის-

ტური იდეალი“ - გაერთიანება უზრუნველყოფს „სოციალური სიმართლის“ რუსული ნაციონალური იდეის რეალიზებას, რისთვისაც თეთრები და წითლები უნდა გაერთიანდნენ; მათ ერთად უნდა იარონ საერთო მიზნისაკენ: მოსპონ კომუნისტური სისტემის უაზრობა და ერთად აშენონ ახალი სოციალური რუსეთი. ყოფილი თეთრები და წითლები ისე დაუახლოვდნენ ერთმანეთს, დროა, მათ დაივიწყონ, რომ ოდესღაც ერთურთის განადგურება სურდათ. ახლა თეთრებმა იციან, რომ ახლანდელ რუსულ არმიაში (იგულისხმე: წითელი არმია) ბევრი ძლიერი სამშობლოს მოყვარული იბრძვის. წითლებმა, თავის მხრივ, ის უნდა შეიგნონ, რომ თეთრებშიც მოიპოვებიან მათი მსგავსნი (Евразийский сборник: 1929).

შემდეგ გამოვიდა წიგნი „ოცდაათიანი წლები. ევრაზიელთა დამკვიდრება“, რომელში დაბეჭდილ სტატიათაგან რამდენიმე განსაკუთრებულად საინტერესოდ მეჩვენება.

პირველი მათგანია პ. სავიცკის „ბრძოლა ევრაზიისათვის“, რომელშიც ავტორი ევრაზიული მოძრაობის კრიტიკოსებსა და მათ ოპოზიციურ შეხედულებებს მიმოიხილავს.

ევრაზიული მოძრაობის პირველ მოწინააღმდეგედ, რომელმაც აზრი წერილობით გამოთქვა, სავიცკი ასახელებს პეტრე რისს (1870-1948) - ემიგრანტ ჟურნალისტსა და პუბლიცისტს; პ. რისს „ევრაზიულობა“ არა სიახლედ , არამედ პრანჭიაობად მიუჩნევია.

კონსტანტინ მოჩულსკის (1892-1948) - ემიგრანტ ლიტერატურათმცოდნესა და პროფესორს ნიჰილისტური შეხედულებები გამოუთქვამს რუსი ხალხის შემოქმედებითი უნარის შესახებ და არც ახალი ევრაზიული კულტურის შექმნა დაუჯერებია.

ემიგრანტ მწერალსა და კრიტიკოსს მარკ სლონიმს (1894-1976) ევრაზიელთა რელიგიურ-საღვთისმეტყველო მიდგომა გაუკრიტიკებია.

ბორის დე შლეცერს (1881-1969) - რუსეთიდან ლტოლვილ ფრანგ მწერალს ევრაზიელთაგან მოუთხოვია, კონკრეტული ილუსტრაციებით დაესაბუთებინათ დებულება რუსული მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო აზრის აყვავების თაობაზე.

ბორის მირკინ-გერცევიჩს (1892-1955) - ემიგრანტ სამართალმცოდნესა და პროფესორს ევრაზიელთა რომელიღაც გაურკვეველი „რწმენის ეპოქისაკენ“ მოწოდება დაუწუნია და ებრაელობის გზად არა - ევრაზია, არამედ ევროპა მიუჩნევია.

ნიშანდობლივია პ. სავიცკის მეორე სტატია „ევრაზიულობის სამეცნიერო ამოცანები“, რომელსაც ის პ.ვ. ლოგოვიკოვის ფსევდონიმით აქვეყნებს. ავტორის აზრით, რუსული მეცნიერების მორიგი ამოცანაა, შეიცნოს ევრაზიული სამყაროს ისტორია. იმხანად სსრკ

მეცნიერება ცდილობდა, სსრკ ხალხების ისტორია განემარტა, როგორც გამაერთიანებელი საწყისის ძიებისაკენ მიმართული პროცესი. მაგრამ ეს, სავიცკის აზრით, იმთავითვე განწირული ცდაა. საჭიროა სკვითების, ხაზარების, ყივჩაღების ისტორიის შესწავლა, მაგრამ ეს ხალხები სსრკ-ში არ აღინიშნებიან! ევრაზიას კი აქვს ასეთი გამაერთიანებელი პრინციპი - ადგილგანვითარების, ერთიანი წიაღის ცნება, რომელშიც ცხოვრობენ და მოძრაობენ ეს ხალხები; მისგან იღებენ იმპულსს და მასზე ზემოქმედებენ; მას ერწყმიან გამორჩეულ ისტორიულ და ბუნებრივ-ისტორიულ მთლიანობად. შორეული აღმოსავლეთის, ციმბირის, თურქესტანისა და ვოლგისპირეთის უძველესი ისტორია რუსეთის ანდა ევრაზიის ისტორიის შემადგენელი ნაწილია (Тридцатые годы:1931).

პერიოდიკა

კრებულებთან ერთად ქვეყნდებოდა ევრაზიელთა პერიოდიკაც. 1925-დან 1935 წ.-მდე გამოდიოდა ჟურნალი „ევრაზიული ქრონიკა“ (12 გამოცემა). პირველი ოთხი მათგანი, ძირითადად, ევრაზიელთა პროპაგანდისტულ მუშაობას ეძღვნებოდა. მე-5 გამოცემიდან დაიწყეს თეორიული სტატიების ბეჭდვაც.

მე-12 ნომერი მაშინ გამოვიდა, როცა სსრკ-ში „სტალინური წმენდის“ გადამწყვეტი ეტაპი მიმდინარეობდა. ევრაზიელებმა ეს პარტიის „ინტერნაციონალისტ“ და „ნაციონალისტ“ წევრთა ურთიერთბრძოლად და ევრაზიულობის რუსეთის ახალ იდეოლოგიად ქცევის შესაძლებლობად აღიქვეს.

შესავალში სავიცკი ახსენებს ე.წ. 16-ის პროცესს (ტროცკისტულ-ზინოვიევის ანტისაბჭოთა გაერთიანების პირველი პროცესი), რომელიც 1936 წლის 19 აგვისტოს ჩატარდა. გაასამართლეს „ძველ ბოლშევიკთა“ ერთი ჯგუფი - პარტიის მემარცხენე ოპოზიციის წარმომადგენლები ზინოვიევისა და კამენევის ხელმძღვანელობით და გერმანელი კომუნისტები. მათ ბრალად დასდეს იმხანად საზღვარგარეთ მყოფი ლ. ტროცკის ბრძანებით, სტალინისა და კომპარტიის სხვა ხელმძღვანელთა მოსაკლავად ტერორისტული ორგანიზაციის ჩამოყალიბება. თექვსმეტივე ბრალდებული დახვრიტეს.

სავიცკი ახსენებს ე.წ. 17-ის პროცესსაც (პარალელური ანტისაბჭოთა ტროცკისტული ცენტრის პროცესი), რომელიც 1937 წლის 23-30 იანვარს ჩატარდა მოსკოვში. მთავარ ბრალდებულებად სასამართლოს წარუდგნენ პიატაკოვი, რადეკი, სერებრიაკოვი, სოკოლნიკოვი, ყოფილი „ახალი ოპოზიციის“ წარმომადგენლები. მათ ბრალად დასდეს შპიონაჟი, დივერსიული და მავნებლური საქ-

მიანობა, ლ. ტროცკისა და მის საზღვარგარეთულ ორგანიზაციასთან ურთიერთობა.17-დან 13 დახვრიტეს. რადეკს, სოკოლნიკოვს, არნოლდსა და სტროილოვს სიცოცხლე შეუნარჩუნეს, თუმცა ყველა მათგანი ციხეში გარდაიცვალა 1939-1941 წწ.

გამოქვეყნებული მასალა ადასტურებს, რომ 1936 წლის 4-6 სექტემბერს ჩატარებულა ევრაზიული თათბირი, რომელსაც რეზოლუცია მიუღია: ზემოთ ჩამოთვლილ პირთა დახვრეტით, სტალინი კომუნისტური დოქტრინის შემოქმედთ დაკარგავს და, ნებსით თუ უნებლიეთ, ვაკუუმს წააწყდება. ისტორია, ბუნებასავით, სიცარიელეს ვერ იტანს - თავისუფალ ადგილს უცილოდ რაღაც დაიჭერს, და ეს - არაკომუნისტური შინაარსისა იქნება: სოციალური რადიკალიზმით შეფერილი უხამსი „დემოკრატიზმი“ ან ევრაზიულობა. არის საფრთხე რუსულ ნიადაგზე ყოვლად შაბლონური და მეორეხარისხოვანი მედასავლეთეობის წარმოქმნისა, მაგრამ საპირისპირო ტენდენციაც უნდა გავითვალისწინოთ: მწვავე და შეუქცევადი სახელმწიფოებრივ-კულტურული აუცილებლობა რუსეთის არა - ევროპის ნაწილად აღქმისა (ეს სსრკ-ს პირდაპირ გათქვეფდა „კაპიტალისტურ გარემოცვაში“), არამედ „განსაკუთრებულ სამყაროდ“ მიჩნევისა, რომელიც ემყარება ხალხთა ძმობასა და მათი ისტორიული ბედის ერთობას. ასეთი აღქმა ევრაზიულ კონცეფციას ეთანადება. ევრაზიულ შეხედულებათა საბჭოთა ნიადაგზე დანერგვას მეორე ფაქტორიც უწყობს ხელს: სსრკ-ში მომწიფებული მოთხოვნილება რევოლუციის ტრადიციასთან მორიგებისა. ამას ხელს უშლის ევრაზიელ ხალხთა რელიგიურ ფასეულობათა წინააღმდეგ დაუცხრომელი შეტევა საბჭოთა კავშირში. თანამედროვე სსრკ მმართველ ფენაში უთანხმოებას იწვევს სსრკ-ს მონაწილეობისა და როლის საკითხი „მსოფლიო რევოლუციაში“. ევრაზიელებს სწამთ, რომ მისი გადაწყვეტა შესაძლებელია სწორი ფორმით რუსეთ-სსრკ-ს, როგორც გამორჩეული სამყაროს, ევრაზიული კონცეფციის თანახმად. ეს სამყარო არ დაუშვებს თავის საქმეში რომელიმე საგარეო ძალის ჩარევას. მაგრამ არც თვითონ უნდა ჩაერიოს სხვა სამყაროთა შინაურ საქმეებში. ამით ქარწყლდება ყოველგვარი შესაძლებლობა „მსოფლიო რევოლუციის“ მოხდენისა. თუმცა ევრაზიული სამყარო მით უფრო გრძნობს თავის მოწოდებას, ხელი შეუწყოს სოციალური მდგომარეობის შეცვლას პლანეტის ყველა ნაწილში თავისივე მაგალითით: კაპიტალიზმის ძლიერების მოსპობითა და მშრომელთა სახელმწიფოს შექმნით. ასეთი გაგება მოითხოვს მეურნეობის გეგმიური, სახელმწიფო-კერძო სისტემის სრულყოფასა და განვითარებას. ყველა მშრომელის გამდიდრების მიზნად დასახვით, კოლმეურნეთა, წვრილი კუსტარული მრეწველობისა და სხვ. ინდივიდუალურ მე-

ურნეობათა მნიშვნელობის აღიარებით არსებული ხელისუფლება უკვე ამ სისტემისაკენ მიმავალ გზას დაადგა. თუმცა მას მარქსიზმი არ აძლევს საშუალებას, სათანადო დასკვნები გამოიტანოს „საზოგადო ინტერესის პიროვნულთან შეთანადების“ პრინციპიდან. ეს დოქტრინერობა აიძულებს ბოლშევიკურ ხელისუფლებას, ხელთ ეპყრას სამეურნეო ცხოვრების ისეთი სფეროებიც კი, რომლებიც, დიდი ხანია, ერთპიროვნულ პატრონთათვის უნდა გადაეცა (საცალო ვაჭრობის, წვრილი მეწარმეობისა და სხვ. სფეროები). ამას მოყოლილი გადაცდომები ვნებს საბჭოთა სამეურნეო მაგალითის საერთაშორისო ავტორიტეტს. ასეთივე ვითარებაა კულტურაშიც. კულტურისა და მეურნეობის სფეროთა უწყვეტი ურთიერთკავშირი ცხადია როგორც იდეოკრატიული, ისე - მარქსისტული თვალსაზრისით. სტალინის ხელისუფლება კრძალავს ყოველგვარ ახალ შემოქმედებით ძიებას. თუ ხელისუფლების მიდგომა არ შეიცვალა, რუსეთი-სსრკ კულტურულ ჩამორჩენას ვერ ასცდება. ამას ერთი მიზეზი აქვს: ტრადიციული კომუნისტური იდეოლოგია შესუსტდა. ახალი იდეოკრატიული შინაარსი არ ჩანს. სწორედ აქ უნდა გაცნობიერდეს ევრაზიულობის მნიშვნელობა, როგორც ახალი საფუძვლის დამდებისა. არა „ევროპეიზმი“, არა სულთმობრძავი კომუნიზმი, არამედ ევრაზიულობა იკისრებს ამ როლის შესრულებას: ის გულისხმობს უპრეცედენტო აღქმას გარესამყაროსი და მასში რუსეთ-ევრაზიის აქტივობას, შეიქმნას ევრაზიელ ხალხთა სრულყოფილი ხელოვნება და მეცნიერება. ის არის საწინდარი ნაციონალური საკითხის სწორად გადაწყვეტისა. ეს გულისხმობს შემოქმედებით ერთიანობას, რომელსაც თავისი განსაკუთრებული შედეგი მოაქვს თითოეული ნაციონალური კულტურის ფარგლებში; ევრაზიელებმა ჯერ კიდევ 1921 წელს განაცხადეს კულტურის პოლიტიკაზე პრიმატის აუცილებლობის შესახებ. მხოლოდ სწორი კულტურული მიდგომით მივალთ წარმატებულ პოლიტიკამდე. მხოლოდ ევრაზიული სამყაროს თავისებურების დაფასებითაა შესაძლებელი, სხვამ დაგაფასოს და ანგარიში გაგიწიოს. მხოლოდ კულტურული შემოქმედების მაღლა შემართული ჩირაღდნით აანთებ ფართო მასებს და აღზრდი მათ შეუდრეკელი და მსხვერპლშეწირვითი პატრიოტიზმით. მხოლოდ მათ მიერ დაცულ იმ ღირებულებათა სიდიადის, შეუცვლელობისა და ერთადერთობის განცდის ჩანერგვით შეიძლება მათი შერკინება გარეშე მტერთან. სხვაგვარად, თვით თავდაცვის პრობლემის გადაჭრაც კი კულტურულ მიდგომაზე ჰკიდია. ყველა ამ მოთხოვნას მხოლოდ ევრაზიული მიდგომა აკმაყოფილებს. მხოლოდ მისი ათვისება აგვაცილებს ჩიხს, რომელსაც თავს ვერ აღწევდა და ვერ აღწევს საბჭოთა ცხოვრება (ეკონომიკური გაჭირვება, კულტურული შემოქმედებითობის უკ-

მარობა, გარესამყაროსთან საუბრისათვის საჭირო ღირსეული ტონის მიუკვლევლობა). მხოლოდ ევრაზიულობას ძალუძს ტრადიციისა და რევოლუციის შემოქმედებითი მორიგება, ნაციონალურ მიზანთა მიღწევა და რუსული რევოლუციის მსოფლიო ამოცანათა გადაწყვეტა. თუ საბჭოთა ცხოვრება აითვისებს ევრაზიულ მიდგომას, სსრკ-ში ახლახან მომხდარი მოვლენებიც დადებით მნიშვნელობას შეიძენს (ЕВРАЗИЙСКАЯ ХРОНИКА:1937).

1928 წლის 24 ნოემბრიდან 7 სექტემბრამდე პარიზში გამოდიოდა ყოველკვირეული გაზეთი „ევრაზია“ (35 ნომერი) - მემარცხენე ევრაზიელთა ორგანო. ამავე პოზიციას გამოხატავდა ჟურნალი „ევრაზიელიც“ (ბრიუსელი, 1928-1934 წწ., 25 ნომერი), რომლის თანხმიერ შეხედულებებსაც ავრცელებდა ალმანახი „ვერსტი“ (პარიზი, წელიწდეული, 3 ნომერი). უფრო მოგვიანებით მემარჯვენე ევრაზიელთა უფლებებს იცავდა ჟურნალი „ევრაზიული რვეულები“ (პრაღა, 1934-1936, 6 ნომერი) და ყოველთვიური გაზეთი „საკუთარი გზა“ (ტალინი, 1931).

ამ საკითხთა დიფერენცირებულ განხილვას ეძღვნება გაზეთ „ევრაზიაში“ მე-20 ს. 20-იან წლებში საერთო რედაქციით გამოქვეყნებული ცალკეული სტატიები: „ კომუნიზმის მიღმა“; „მარქსიზმის გადალახვის შესახებ“; „სახელმწიფო და კლასი“; „ევრაზიულობა და ემიგრაცია“; „ევრაზიულობის გზა“; „მარქსიზმი რუსულ რევოლუციაში“; „რევოლუციის განსახელმწიფოებრიობა“; „ორი მიდგომა“; „კომუნისტურ ერთპარტიულობაზე“; „ლენინიზმი“ როგორც ოპოზიცია; „იდეოკრატიის პრობლემა“; „ბრძოლა კომუნიზმის ირგვლივ“; „რკპ (ბ) და მე-16 კონფერენცია“; „გაუთვალისწინებლობა და სინამდვილე“; „რევოლუცია და ინტელიგენცია“; „ევრაზიული ინდუსტრიალიზაცია“; „დემოკრატიის ფორმათა შესახებ“; „ისტორია და თანამედროვეობა“; „ახალი კულტურის ტიპოლოგიისათვის“; „აუცილებლობიდან - თავისუფლებისაკენ“; „რუსეთი და რევოლუცია“; „თანამედროვეობის შეფასებისათვის“; „ევრაზიულობა და სსრკ“ (გაზეთი „ევრაზია“:1928; 1929;).

ევრაზიულობის თეორიის სხვა წყაროთაგან უნდა დავასახელოთ ევრაზიულობის ერთ-ერთი იდეოლოგის, ფილოსოფოსისა და იურისტის, ნიკოლაი ალექსეევის (1879-1964) სტატია „ევრაზიელები და სახელმწიფო“, რომელშიც ავტორი გამოთქვამდა მოსაზრებას, რომ რუსეთ-ევრაზიის უზარმაზარ ტერიტორიაზე სამართლიანი წესრიგისა და სტაბილობის შენარჩუნება შესაძლებელია მხოლოდ არისტოკრატული და დემოკრატიული მმართველობის უპირატესობათა გამთვალისწინებელ სახელმწიფოში. ეს იდეა ორგა-

ნულად ახასიათებს მასებს. ქვეყანა უნდა მართოს განათლებულმა შეგნებულმა უმცირესობამ სახალხო მასების ინტერესთა გათვალისწინებით. ეს უმცირესობა ერთგვარი სასულიერო ორდენი უნდა იყოს, რათა ხალხის მორალური ხელმძღვანელობა შეძლოს. სწორედ მან უნდა გამოიმუშაოს სახელმწიფო იდეალი და ჩამოაყალიბოს უმაღლესი რელიგიურ-ფილოსოფიური ჭეშმარიტება. ამგვარ საზოგადოებაში სამართალი, უწინარესად, ამა თუ იმ ქმედების განხორციელების შესაძლებლობაა (განსხვავებით იმ სამართლებრივ სისტემათაგან, რომლებიც „სამართლის“ გაგებას „მოვალეობისა“ და „ვალდებულების“ ცნებებით ანაცვლებენ). სახელმწიფოებრივი წყობის იდეალი ძველრუსული „სახელმწიფო-სიმართლეა“, რომელიც „მარადიულობის“ საწყისს ექვემდებარება. მას ორგანულად ერთვის როგორც სუბიექტური სამართალი, ისე - სამართლიანობის ნორმები. სამართალი და ზნეობა ურთიერთგანუყოფელია. ეს სიმბიოზი აერთიანებს მოქალაქეთა უფლებებსა და მოვალეობებს. ალექსეევი დიდ ყურადღებას უთმობს ევრაზიულობის იმ სოციალურ-ეკონომიკური სისტემის შემუშავებას, რომლის ბირთვი იყო მეურნეობის სახელმწიფოებრივი და კერძო ტიპის თანაარსებობა: ის შეუშლიდა ხელს საზოგადოების დაშლას უმდიდრეს და უღარიბეს ფენებად. ალექსეევის აზრით, სოციალიზმს არ ძალუძს ამ პრობლემის გადაჭრა, რადგან მხოლოდ საკუთრებას ართმევს სუბიექტებს, სტრუქტურას კი არ ცვლის. ალექსეევი იწუნებს საბჭოთა კავშირის ნაციონალურ პოლიტიკას და საერთაშორისო ურთიერთობის საფუძვლად პროლეტარიატის ინტერნაციონალური სოლიდარობის მიჩნევას. მეცნიერს მიაჩნდა, რომ აუცილებელი იყო რუსეთ-ევრაზიის ფედერალური მოწყობა, რომელიც განიძარცვებოდა კომუნისტური იდეოლოგიისაგან და დაეფუძნებოდა ევრაზიული სამყაროს მკვიდრი ხალხების საერთო ბედს: „მარქსიზმმა შეასრულა თავისი ისტორიული და სოციალური როლი რუსეთში. მან ის ჩაიდინა, რასაც ისტორიული ბედი ჰკარნახობდა. ჩამოაყალიბა რუსული რევოლუციური პროცესი და მას განსაკუთრებული სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა შესძინა... როცა მარქსიზმი აღარ იქნება, დარჩება ის, რაც, არსებითად, მარქსიზმის არსი სულაც არ არის: ძველი რუსული ნაროდნიკული იდეა სახალხო, მშრომელი, არაკაპიტალისტური სახელმწიფოს აშენებისა. დარჩება პრობლემა, რომელსაც სვამდა სახალხო-რევოლუციური ბრძოლის ყველა ტიტანი, დაწყებული „მშფოთვარე ხანით“ (პერიოდი რუსეთის ისტორიაში 1598-1613 წწ., რომლისთვისაც ნიშან-

დობლივი იყო სტიქიური უბედურებანი, პოლონურ-შვედური ინტერვენცია, სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური კრიზისი, გ.ჯ.) და დამთავრებული ამბოხებული სლავოფილებით. დანაშაული იქნება, თუ ამდენი უბედურების, სისხლისა და ცრემლის შემდეგ ეს პრობლემა არ გადაწყდა“ (ალექსეევი: 1993).

ევრაზიული მოტივი

ევრაზიული მოძრაობის შესახებ პირველი ნაშრომები მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იქმნება. პირველი მათგანი ეკუთვნის ემიგრანტ რუს სწავლულ ეკონომისტს ბორის იჟბოლდინს (1899-1977). მეცნიერი ვარაუდობდა, რომ გამარჯვების შემდეგ სსრკ-ში ნაციონალიზმის ზრდასთან ერთად გაცრიატებული მარქსიზმის ადგილს ევრაზიულობა დაიკავებდა, რადგან ის არა მხოლოდ ტოტალიტარული, არამედ ნაციონალისტური იდეოლოგიაც იყო. ავტორის აზრით, ევრაზიული მოძრაობა, ძირითადად, ერთგვარი ნაზავი გახლდათ სხვადასხვა სოციალური და პოლიტიკური დოქტრინებისა, როგორებიცაა სლავოფილობა, აზიური ჰარმონიის დოქტრინა, ევროპული ფაშიზმი და „ორგანული მთელის“ ავსტრიული იდეა (Ishboldin: 1946).

გლებ სტრუვეს (1898-1985) - ემიგრანტი ლიტერატურათმცოდნისა და მთარგმნელის გამოკვლევაში ევრაზიელებს მიეძღვნა მხოლოდ პატარა თავი. ავტორი გახაზავდა ევრაზიელთა ნაშრომების ანტიევროპულ და ანტისოციალისტურ პათოსს, რომელიც მათ „კატასტროფულ მსოფლშეგრძნებას“ გამოხატავდა. სტრუვე აღნიშნავდა ევრაზიელთა წარმატებას პუბლიცისტიკისა და ორგანიზაციულ-იდეოლოგიურ საქმიანობაში (Струве: 1984).

მე-20 ს. 60-იან წწ.-ში გამოჩნდა გერმანელი მკვლევრის ოტტო ბოსსის მონოგრაფია და ამერიკელი ისტორიკოსის ნ. რიაზანოვსკის სტატიები.

გერმანელი ისტორიკოსის გამოკვლევა ევრაზიული იდეოლოგიის რეკონსტრუქციის ცდაა. საწყის წერტილად ავტორმა აირჩია ევრაზიულობის წარმოქმნისდროინდელი ისტორიული პირობები, რომლებმაც გასაზღვრა ევრაზიელთა ძირითადი საკითხი - რევოლუციის არსი. ამან ევრაზიელებს ისტორია დეტერმინისტულად და მესიანურად აღაქმევინა: ისტორიული აუცილებლობა იყო რევოლუცია, რომელმაც წარმოქმნა ევრაზიული სახელმწიფოს პერსპექტივა. ხისტი დეტერმინიზმი ეწინააღმდეგებოდა მათ გაგებას, ეღიარებინათ პიროვნების თავისუფლება და ისტორია „თავისუფალ იმპროვიზაციად“ მიეჩნიათ. რევოლუცია ევრაზიელებმა

სოციალურ-პოლიტიკური სფეროდან ნაციონალურ-მეტაფიზიკურში გადმოანაცვლეს და მისი განხილვა დიდხნიანი ისტორიული პერსპექტივით დაიწყეს. რევოლუციის ფაქტის აღიარება და რესტავრატორული სწრაფვების უქონლობა ევრაზიელებს უპირატესობას ანიჭებდა რეაქციულ ემიგრანტულ მიმდინარეობებთან შედარებით. ბოსი ეთანხმებოდა ევრაზიელთა შეფასებას რუსული კომუნიზმის, როგორც მარქსიზმის აღმოსავლური ვერსიის, შესახებ, რაც ადასტურებდა ბოლშევიზმის ნაციონალურ და არა - ინტერნაციონალურ ხასიათს. ევრაზიელები ბოლშევიკურ დოქტრინას არასაკმარისად რუსულად და რელიგიურად მიიჩნევდნენ, რაც განსაზღვრავდა მათ დამოკიდებულებას მისადმი, როგორც სტადიისადმი, რომელიც ანადგურებდა ევროპულ გავლენას რუსულ კულტურაში: ამიტომ ბოლშევიზმი ევრაზიულობას უნდა შეეცვალა. ბოსი ევრაზიელებს უწუნებდა ბოლშევიზმისადმი არასაკმარისი ყურადღების გამოვლენას: „ბოლშევიზმი არ შემოფარგლულა იმ მოკრძალებული როლით, რომელიც მას ევრაზიელებმა დააკისრეს. ამას შედეგად მსოფლიო მასშტაბის სულიერი წინააღმდეგობა მოჰყვა. ამ თვალსაზრისით, ევრაზიულობა თეორიულადაც და პრაქტიკულადაც შეზღუდული მოძღვრებაა“. ბოსის წიგნის მეორე თავს ჰქვია „ევრაზიის გეოგრაფიული, ისტორიული და კულტურული ერთობა“. ავტორის აზრით, სახელწოდება „ევრაზია“ ლექსიკურად უგერგილოა, ხოლო გეოგრაფიულად - არასათანადოდ დასაბუთებული. ევრაზიული „ადგილგანვითარებისა“ და გერმანელი მკვლევრების მიერ გამოყენებული „კულტურული ლანდშაფტის“ შედარებისას ბოსი აღნიშნავდა მსგავსებას, თუმცა განსხვავებასაც შენიშნავდა. „კულტურული ლანდშაფტი“ გულისხმობს ადამიანთა საზოგადოების წამყვან როლს ბუნებასთან ურთიერთობისას, ადგილგანვითარება კი საბინადრო გარემოს უტრიალებს. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ადამიანი იმდენად იყოს ბუნებაზე დამოკიდებული, რამდენადაც მცენარეებსა და ცხოველებზე. ასეთი ხისტი გეოგრაფიული დეტერმინიზმი გეოპოლიტიკისაკენ მიგვიძღვის და გეოგრაფიას სხვა მეცნიერებათა საფუძვლად მიგვაჩნევინებს. ევრაზიის გეოგრაფიული ერთიანობა ისტორიული, კულტურული და პოლიტიკური ერთიანობის ნიმუშად იქცა. ამასთან, ბოსი შენიშნავდა ევრაზიის, როგორც ადგილგანვითარების, ნაკლსაც: გეოგრაფიულ დეტერმინიზმსა და იზოლაციონიზმს. ისტორიული ტრადიციის თვალსაზრისით, ბოსმა განიხილა რუსეთისა და ევრაზიის ისტორიათა ურთიერთშესაბამისობის საკითხი და გამოავლინა წინააღმდეგობა ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ისტორიული საწყისის გაერთიანებისას: ერთი გულისხმობდა სტეპებში მომთაბარე ხალხების, მეორე კი - სტეპის საგარეუბნო პერიფერიების საკითხს. ავტორის აზრით, „შეგნებული მისიის“ იდეა

უცხო იყო თითქმის ყველა მომთაბარე ხალხისთვის, როცა ისინი დაპყრობისა და გადასახლების მიზნებს ისახავდნენ. ტყე და სტეპი არაიმდენად კულტურულად, რამდენადაც გეოპოლიტიკურად გაერთიანდა. მომთაბარეთა კულტურული ზეგავლენის უარყოფა რუსულ კულტურაზე სრულად შეუძლებელია, მაგრამ ის ისე ძლიერი როდი იყო, აღმოსავლურ-სლავური მკვიდრი კულტურა ნომადურად ანდა ორი კულტურის ნაზავად ექცია. ბოსი აკრიტიკებს რუსეთის ისტორიაში „თათარ-მონგოლთა უღლის“ გადაჭარბებულ შეფასებასაც. გერმანელი ავტორის აზრით, „ხალხთა გადასახლებისა“ და მომთაბარეთა დამპყრობლურ ლაშქრობათა ხასიათი იმდენად განსხვავდებოდა, ერთ რიგად ჰუნთა იმპერიის, კიევის რუსეთისა და მონგოლთა იმპერიის დაყენება ჭირს. ევრაზიული კულტუროლოგიის განხილვისას ბოსი გამოყოფდა ტრუბეცკოის მიერ ფორმულირებულ ცნებებს: „ენობრივი კავშირები“, „კულტურული ზონა“, ნაციონალურ კულტურათა მრავალფეროვნება“. სწორედ ამან განსაზღვრა ევრაზიელთა უარყოფითი დამოკიდებულება ევროპული კულტურისადმი. სავიცკისეული კონცეფცია „კულტურათა მიგრაციის“ შესახებ უფრო თბილი კლიმატური ზონებიდან უფრო დაბალი ტემპერატურის მქონე ზონებისაკენ ჰიპოთეზურია და არ ითვალისწინებს კლიმატურ პირობათა ცვლილებას. ეს კონცეფცია რუსეთის კულტურული მესიანიზმის აღიარებას უწყობდა ხელს, რაც ვლ. სოლოვიოვის შეხედულებათა ექოდ აღიქმებოდა. ბოსი ევრაზიელთა ანტიკათოლიციზმის მიზეზად იმას მიიჩნევდა, რომ ევრაზიელებმა ვერ შეძლეს კულტურულ განვითარებაში კათოლიციზმის მიერ შესრულებული აქტიური როლისათვის მართლმადიდებლობის ესა თუ ის მიღწევა დაეპირისპირებინათ ამ სფეროში. არადა, ბიზანტიური და რუსულ-მართლმადიდებლური აღმოსავლეთი დასავლეთ ევროპული კულტურუის განშტოებაა. ბოსი იმასაც აღიარებდა, რომ ევრაზიელებმა სწორედ შენიშნეს ევროპული კულტურის კრიზისის მიზეზად რაციონალიზმის განვითარება. ბოსის წიგნის ბოლო თავი ეძღვნება რუსეთ-ევრაზიის სისტემური თეორიის განხილვას, რომელიც უნდა გამხდარიყო მათი სამშობლოს აღორძინების საწინდარი. ევრაზიელთა საერთო ტენდენცია იმას გულისხმობდა, რომ სახელმწიფოები უნდა ინტეგრირებულიყვნენ ზეეროვნულ ერთობად შეგნებული დაგეგმვის საფუძველზე. სახელმწიფოს მთავარი ფუნქციები უნდა ყოფილიყო მშვიდობისა და სამართლიანობის შენარჩუნება. თავად სახელმწიფო ზეკლასობრივად წარმოედგინათ და არა - პარტიის ინსტრუმენტად. ბოსი „დემოტიას“ არისტოკრატიისა და დემოკრატიის გაერთიანებად მიიჩნევდა ანუ უმცირესობის მიერ განხორციელებული პოლიტიკა მასებს უნდა მომსახურებოდა, მათი იდეური და კულტურული თვითშეგნება უნდა უზრუნველეყო. „იდეოკრატიასთან“ დაკავშირებით ბოსი იყენებდა ევრაზიულ გამოთქმა

„ორგანულს“. მისი ფაშიზმთან შედარების დროსაც ბოსი დასძენდა, რომ ფაშიზმს არ გააჩნდა პერსპექტივა ოკეანური და კონტინენტური ერთობების ხანაში. ევრაზიელთა იურიდიული დოქტრინის საფუძვლად ბოსს მიაჩნდა სამართლებრივად პოზიტიურ თუ ნეგატიურ ქმედებათა შესაძლებლობა, უფლებათა და მოვალეობათა გაერთიანება. ევრაზიელები ობიექტურ სამართალს უარყოფდნენ და მოითხოვდნენ მის „დადგენილი სამართლით“ შეცვლას, რომელსაც რელიგიურ იდეალთა შესაბამისად მმართველი ფენა ჩამოაყალიბებს. ზოგადად, ბოსი ევრაზიულ სამართლებრივ მოძღვრებას მოქნილად მიიჩნევდა და ფიქრობდა, რომ ის შეძლებდა ცხოვრებისეულ ცვლილებებთან ადაპტაციას. ნაციონალური პრობლემის ევრაზიული გადაწყვეტის განხილვისას ბოსი შენიშნავდა მის მსგავსებას საბჭოთა ფედერალიზმთან, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ევრაზიელები უარყოფდნენ კომუნისტურ დიქტატურას. ერების პიროვნულობისაგან განმძარცვავ კომუნისტურ ინტერნაციონალში გაწევრიანებას ევრაზიულობა უპირისპირებდა ხალხთა ჭეშმარიტ კავშირს, რომელიც უზრუნველყოფდა მათ თანასწორ კულტურულ განვითარებას და რომელშიც რუსი ხალხი იქნებოდა თანასწორთა შორის უპირველესი. ევრაზიელები მხარს უჭერდნენ კულტურულ, მაგრამ უარყოფდნენ პოლიტიკურ ნაციონალიზმს. ბოსი გამოყოფდა კარსავინის მიერ წამოჭრილ ებრაელთა საკითხს. ბრომბერგის შეხედულებათა გაანალიზებისას ბოსი დაასკვნიდა: მიუხედავად ებრაელი ინტელიგენციის დიდი წილისა რუსულ რევოლუციაში, მაინც ილანდება შესაძლებლობა, დადებითად გამოეყენებინათ რუსეთ-ევრაზიის ფარგლებში ებრაელი ხალხის „მესიანურ-ესქატოლოგიური“ ენერგია.

ნაციონალური პროგრამის მთავარ ამოცანად დაისვა საკითხი ევრაზიელი ხალხების ურთიერთჰარმონიზებაზე. ბოსმა გულდასმით განიხილა ევრაზიული იდეები „მმართველი ფენის შერჩევისა“ და სახელმწიფო აპარატის შესახებ. ბოსმა შენიშნა, რომ ევრაზიელებს სულაც არ სურდათ მომავალი რუსეთ-ევრაზიის სახელმწიფოსა და მთავრობის ხელახლა შექმნა. მათ უნდოდათ, შეენარჩუნებინათ და განემტკიცებინათ საბჭოურ სახელმწიფოებრივ სტრუქტურაში ის ელემენტები, რომელთაც გამოიყენებდნენ დაგეგმილი სახელმწიფოებრივი სისტემისათვის. მათ შორისაა „გაშუალებული დემოკრატია“, რომლის დროსაც ხალხი თვითონ კი არ მართავს, არამედ - დეპუტატთა მეშვეობით. კომუნისტების ოლიგარქიული დიქტატურის დეფორმაცია, შესაძლოა, გამოსწორდეს, თუ პარტია ჩანაცვლდება ხალხიდან გამოსული და ხალხის ინტერესების უკეთ გამაცნობიერებელი შერჩეული მმართველი ფენით. მისი ერთიანობა უზრუნველიყოფოდა „იდეით“, სხვაგვარად - ფილოსოფიურ-რელიგიურ ჭეშმარიტებასთან ასოცირებით. „იდეოკ-

რატიული“ მმართველი ფენისა და „დემოტური“ სახელმწიფოს გამაერთიანებლად გამოდიოდა მმართველობის ფორმა, რომლის დროსაც მმართველ ჯგუფთან ერთად შეიქმნება ყველა ოლქის თავისუფლად არჩეული წარმომადგენლების სისტემა. ბოსმა დეტალურად განიხილა მისი ძირითადი ელემენტები. რელიგიის თვალსაზრისით, ევრაზიელთა პროგრამა გულისხმობდა რუსული და მართლმადიდებლური ახალი ქრისტიანობის დამკვიდრებას, ინდივიდუალური რელიგიური აღზრდის გზით. ამ რელიგიურობის სიახლე გულისხმობდა გადასვლას პასიური გამოცდილების რეალიზებიდან აქტიური გამოცდილების განხორციელებაზე, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში გროვდებოდა ყოფაში. რელიგიურობის აღორძინება შეუძლებელია ეკლესიის დამოუკიდებლობის გარეშე. რუსეთ-ევრაზიის რელიგიური ერთიანობა ევრაზიელთა მიერ აღიქმებოდა სხვადასხვა დიდი რელიგიების თანასწორ ცხოვრებად. კულტურულ გარდაქმნათა სფეროში ევრაზიელები მხარს უჭერდნენ რუსეთ-ევრაზიის ხალხების „სიმფონიურ“ კულტურათა არსებობას, რამაც ბოსს ეს საკითხი გაანალიზებინა. შედეგად, მან გამოყო სამი კულტურული სფერო: ა) სახელმწიფოებრივი ანდა პოლიტიკური, რომლებშიც ვლინდება კულტურის ერთობა; ბ) სასულიერო, როგორც სულიერი შემოქმედების სფერო; გ) მატერიალური. თანაც, ამ ტრიადის შუა პუნქტი ცენტრალური გახლდათ, რადგან უზრუნველყოფდა ჭეშმარიტების თავისუფალ არჩევანს მხოლოდ რელიგიისა და ეკლესიის ფარგლებში. ეს უკუაგდებდა ერთიანი კულტურის დაყოფას „ქვედა“ და „ზედა“ ფენათა კულტურებად. ევრაზიელთა კულტურულ პოლიტიკაში ავტორი შენიშნავდა მოძრაობის წარმომადგენელთა სწრაფვას, შენარჩუნებულიყო რუსული ფილოსოფიის სიმპათია ფუტურიზმისადმი, რომელიც შემოქმედების ახალ შესაძლებლობებს წარმოქმნიდა. თუმცა ფუტურიზმი შეზღუდული იყო, მომავალი ხელოვნების საფუძვლად უნდა ქცეულიყო თავისუფალი ინდივიდუალური შემოქმედება და მივიწყებული ხალხური შემოქმედების გამოფხიზლება. ევრაზიელთა სოციალურ-ეკონომიკურ შეხედულებათა რეკონსტრუქციისას ბოსი აკვირდებოდა მათ აღიარებას, რომ დამდგარიყო დაგეგმილი მეურნეობის ახალი ეპოქა, რომელიც „იდეოკრატიას“ უნდა დაფუძნებოდა. ევრაზიული მოძრაობის მიზნად ცხადდებოდა იმ სოზოგადოების, ჯგუფებისა და ინდივიდების ინტერესთა ჰარმონიზება, რომლებიც ეკონომიკური საქმიანობით დაკავებულიყვნენ. სახელმწიფო-კერძო მეურნეობა, რომლის უპირატესობას გახაზავდნენ ევრაზიელები, მათი აზრით, შეძლებდა კაპიტალიზმისა და სოციალიზმის ნაკლის დაძლევას, შექმნიდა სახელმწიფო და კერძო სექტორების ერთურთთან გაჯიბრების შესაძლებლობას, ააჩქა-

რებდა რუსეთ-ევრაზიის საწარმოო ძალების განვითარებას. შესაბამისად, ევრაზიელები ილაშქრებდნენ მრეწველობის ყოვლისმომცველი ნაციონალიზაციის, სოფლის მეურნეობაში კი - სრული კოლექტივიზაციის, კოლმეურნეთა და მეურნეობათა და ინდივიდუალურ კერძო მეურნეობათა ურთიერთშეთანადების წინააღმდეგ. საჭირო იყო სწრაფვა სამრეწველო რაიონთა ჰარმონიული განვითარებისაკენ, მათი ბუნებრივ-გეოგრაფიული განსხვავებების გათვალისწინებით, რათა სახალხო რესურსები რაციონალურად გამოყენებულიყო. სოფლის მეურნეობაში უცილო ზომად უნდა ქცეულიყო მრეწველობის სახვადასხვა სახეობის ბუნებრივი რაიონიზება. რუსეთ-ევრაზიის ადგილგანვითარების კონტინენტური ხასიათი კარნახობდათ ავტარქიული სამყაროების სისტემის, როგორც მსოფლიო ეკონომიკის განსაკუთრებული ორგანიზაციული ფორმის, შექმნას. ევრაზიელთა სოციალური პოლიტიკის ღერძი იყო სოციალურ ურთიერთობათა ცვლილება „აბსოლუტური საკუთრების“ ცვლილების საფუძველზე, რომელიც რომანელმა ხალხებმა შექმნეს და სანაცვლოდ - შეზღუდული ანუ „ფუნქციური საკუთრების მიღება, რომელიც ნიშანდობლივი იყო გერმანელი და სლავი ხალხებისათვის. ევრაზიელთა აზრით, კერძო საკუთრების მოსპობა ვერ შეცვლიდა სოციალურ ურთიერთობათა არსს, რადგან მხოლოდ სუბიექტს ეხებოდა: კერძო მესაკუთრის ადგილს იკავებდა სახელმწიფო, რომელსაც ბიუროკრატია წარმოადგენდა. უკეთესი იყო, შეცვლილიყო სუბიექტების დამოკიდებულება საკუთრების ობიექტებისადმი სახელმწიფო რეგულირების მეშვეობით, რაც გამოხატავდა მესაკუთრეთა სოციალურ მოთხოვნებს. ამიტომ ევრაზიელებს სოციალიზაციას, რომელიც სახელმწიფოს მესაკუთრედ აქცევდა, ერჩიათ ნაციონალიზაცია, რომელიც გულისხმობდა მისი რეგულატორული ფუნქციის საკუთრებისადმი მხოლოდღა გააქტიურებას. შრომის პროდუქტთა საკუთრების საკითხის გადაწყვეტისას ევრაზიელები კვლავ სინთეზურ გადაწყვეტილებას ეძიებდნენ, რაც საშუალებას მისცემდათ, თავი აერიდებინათ უკიდურესობათათვის კაპიტალისტური კერძო და სოციალისტური სახელმწიფო მითვისების საკითხში. გამოსავლად ის ეჩვენებოდათ, რომ შეზღუდულიყო სახელმწიფო შემოსავლის წილი, მუშებს წარმოების მართვაში აქციონერის სტატუსით მიეღოთ მონაწილეობა და თვითონ გაენაწილებინათ შემოსავალი. ბოსის აზრით, საკუთრებისადმი დამოკიდებულების ცვლილებით ევრაზიელები სახელმწიფო კაპიტალიზმს გვთავაზობდნენ (Босс: 1992).

რუსული წარმოშობის ამერიკელი ისტორიკოსი ვალენტინ რიაზანოვსკი (1884-1968) პირადად იცნობდა ზოგ ევრაზიელს, რის გამოც მისი ნაშრომი ორმაგად საყურადღებოა. რიაზანოვსკი, ძირითადად, ევრაზიულობის სიახლეზე ლაპარაკობდა. ამ იდეოლო-

გიამ არ მიიღო წარსული და მომავლის ბუნდოვანი მესიანური იმედები. პირველ მსოფლიო ომსა და რევოლუციასთან ერთად, მოვლენა, რომელზე რეაქციადაც ევრაზიულობა იშვა, ისტორიკოსი კოლონიური საკითხის გამწვავებას მიიჩნევდა, და ეს იყო დაცვა ერთიანი და განუყოფელი რუსეთისა იმპერიათა გაცამტვერების ეპოქაში. ახალი თვითშეგნების ჩამოყალიბების საწინდრად რიაზანოვსკი იმ ლიტერატურული შემოქმედებას (ვ. ხლებნიკოვი, ა. ბელი, ა. ბლოკი, რ. ივანოვ-რაზუმნიკი) აცხადებდა, რომლის მხატვრული შთაგონება გაიტაცა აზიამ, მონგოლებმა, სკვითებმა იმდენად, რომ თავიც მათ გაუიგივეს. ეს განმტკიცდა და დამუშავდა ევრაზიულ იდეოლოგიაში (Рязановский: 1948; Riasanovsky: 1967; Рязановский:1995; Riasanovsky:1972).

ამერიკელი ისტორიკოს მარკ ბასინის აზრით, პანსლავისტთა კონცეფცია ევრაზიელებმა ლოგიკურად დაასრულეს, როცა ცნება „ევრაზიაში“ გამოყვეს ანტითეზა რუსეთის ევროპულ და აზიურ ნაწილებად დაყოფის შესახებ, რაც იმპერიული იდეოლოგიის ნაწილი იყო (Бассин: 2005).

რობერტ უილიამსი, ამერიკელი ისტორიკოსი (დ. 1938) აღნიშნავს ევრაზიელთა სიახლოვეს ჯგუფ „სკვითებთან“ (ერთ-ერთი პირველი რუსული როკ-ჯგუფი, გ.ჯ.) (მესიანური სწრაფვანი, აზიური ორიენტაცია), შპენგლერისა და კაიზერლინგის ზეგავლენას მათ იდეოლოგიურ ფორმირებაზე (Williams:1972).

ებრაული წარმოშობის რუსი დისიდენტი, კიბერნეტიკოსი და ისტორიკოსი მიხაილ აგურსკი (1933-1991) ევრაზიელებს ნაციონალ-ბოლშევიკებს უახლოებს (Агурский :1980).

რუსული წარმოშობის გერმანელი ისტორიკოსის ლეონიდ ლუქსის (დ. 1947) აზრით, ევრაზიულობა თავსდება პირველი ომის-შემდგომი პერიოდის ევროპულ იდეოლოგიურ მიმდინარეობათა ზოგად კონტექსტში, რადგან მიიჩნევს, რომ ანტიპარლამენტარიზმი და კულტურული პესიმიზმი ევროპული და არა - რუსული მოვლენა იყო. ავტორი პარალელს ავლებს „კონსერვატული რევოლუციის“ იდეოლოგიასთან, როგორც ახალგაზრდა თაობის პროტესტთან მამათა იდეებისა და მიზნების წინააღმდეგ. რევოლუციის შემდეგ შვილებმა დაიწყეს იდეალის ძებნა წარსულში. ეს ახასიათებდათ ევრაზიელებსა და მათ გერმანელ vis-a-vis-ს. ორივე მიმდინარეობა ატარებდა ხაზგასმულად ტოტალიტარულ, „არისტოკრატულ“ ხასიათს: ორივე ემყარებოდა სარწმუნოებას და იდეის ყოვლისშემძლეობას. იყო განსხვავებანიც. კონსერვატული რევოლუცია, ევრაზიულობისაგან განსხვავებით, რელიგიურად ინდიფერენტული იყო და ძალადობის ესთეტიზაციას გაეტაცა. ლუქსი წი-

ნააღმდეგია ევრაზიულობის ბოლშევიზმსა და ფაშიზმთან გაიგივების.. ევრაზიულობის გაქრობის მიზეზთა შორის ისტორიკოსი საბჭოეთში ტოტალიტარიზმის დამკვიდრებას უტრიალებს, რასაც ევრაზიელთა ილუზიების გაფანტვა მოჰყვა. მეორე მიზეზი იყო შოვინისტური განწყობის ზრდა ევროპულ ქვეყნებში მაშინ, როცა ევრაზიელები ხალხთა გაერთიანებას ქადაგებდნენ. თანაც, მათი იდეოლოგია ელიტარული გახლდათ: მის აღსაქმელად საჭირო იყო საფუძვლიანი ინტელექტუალური მზაობა (Люкс: 1993).

გერმანელი კულტუროლოგი ასინ იგნატოვი (1935-2003) რუსეთში ევრაზიული მითის აღორძინებას განიხილავს და დაასკვნის: ევრაზიულობა ფსიქოლოგიურად საკომპენსაციო როლს ასრულებს, რითაც ადუნებს საკუთარი არასრულყოფილების განცდას, რომელიც დასავლეთთან მორიგი მარცხისას უჩნდება. დასავლური ფასეულობების უკუგდებით ევრაზიულობა ისლამურ სამყაროსთან შერიგებას აპირებს. ევრაზიულობა იდეოლოგიურად კონსერვატულია. დასავლური პლურალისტური დემოკრატიისაგან განდგომა ევრაზიული თვითმყოფობის გასახაზად ლეგიტიმურს ხდის ავტორიტარული, ზოგჯერ დიქტატორული მმართველობის სტილის მხარდაჭერას. ევრაზიულობა, შესაძლოა, გამოდგეს რესტავრაციის იდეოლოგიად, რომელსაც შეეფარებიან ახალი იდეოლოგიური პლატფორმის მაძიებელი კომუნისტები (Игнатов:1995).

ევრაზიულობის შესწავლის ახალი მიმართულება შეიმჩნევა ევრაზიულობის დამფუძნებელ მამათა ნაშრომების კვლევისას, რაც საშუალებას იძლევა, უყურადღებოდ არ დაგვრჩეს მათი მსოფლმხედველობა და გამოვავლინოთ ევრაზიულობისადმი სამეცნიერო მიდგომების მრავალფეროვანი სპექტრი. ამ სახის შრომათაგან ერთ-ერთ პირველად სახავენ გ. ვერნადსკიზე ჩარლზ ჰალპერინის (დ. 1946) ოპუსებს. მკვლევრის აზრით, ვერნადსკის შეხედულებანი ყალიბდებოდა ლიბერალი მამის, მოსკოვისა და პეტერბურგის უნივერსიტეტების ლიბერალურად განწყობილი პროფესურის ზემოქმედებით. მისი პირველი ნაშრომი მოსკოვის სახელმწიფოს მიერ ციმბირის ექსპანსიაზე შეიცავდა შეხედულებებს, რომელთა თანახმადაც, რუსები - რასობრივად და კულტურულად ევროპელები - მაინც დასავლეთ აზიაში ცხოვრობდნენ. ეს გადამწყვეტი გეოგრაფიული ფაქტი მონგოლთა დაპყრობების შედეგი იყო. თათარ-მონგოლთა უღელს, მართალია, კატასტროფული რეზულტატი მოჰყვა რუსეთისთვის, მაგრამ, იმავდროულად, მან შეასრულა დადებითი როლი: განსაზღვრა ექსპანსიის მიმართულება და იმემკვიდრევა ზოგი პოლიტიკური იდეა და ინსტიტუცია. თუმცა ამ პროტოევრაზიულ დებულებებს ვერნადსკის ანტიდასავლური განწყობილება არ ერთვოდა. პირიქით, ის გახაზავდა

ევროპული კულტურის დადებით ზეგავლენას რუსეთზე. ეს სავსებით შეესაბამებოდა მის კადეტობას და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. ბოლშევიკების მიერ ძალაუფლების აღება ვერნადსკისთვის ნიშნავდა სოციალური და ინტელექტუალური ელიტის მიერ ნაყოფიერი და უზრუნველყოფილი ცხოვრების დაკარგვას. ამიტომ ევრაზიული დოქტრინის მის შეხედულებებთან სიახლოვე და სამშობლოში დაბრუნების პერსპექტივის გაჩენა უნდა მივაწეროთ მის მონაწილეობას ევრაზიულ გამოცემებში. თუმცა ვერნადსკის დამოკიდებულება ევრაზიული მოძრაობისადმი რთული იყო. მას არასოდეს გაუზიარებია ევრაზიელთა პოლიტიკური ვნებანი. პრაღაში ყოფნისას ის ევრაზიელებთან არ ურთიერთობდა. იქვე გამოსცემს ბევრ ნაშრომს, რომლების საერთოდ არ უკავშირდება ევრაზიულობას. ეს „ანტიევრაზიული სულისკვეთება“ დაბადა ახალმა პირობებმა, როცა ისტორიკოსი აშშ-ში გაემგზავრა, თუმცა იქაც რჩებოდა ევრაზიელთა მომხრედა და პროპაგანდისტად. ამგვარად, მისი ოჯახის კადეტური პოლიტიკური და ისტორიული ტრადიცია, აღზრდით ჩანერგილი კონსტანტები სახეს იცვლის ჯერ კიდევ რევოლუციამდე, როცა ახალი დასკვნები გამოაქვს მონგოლთა და სტეპის მნიშვნელობაზე რუსულ კულტურაში. რევოლუციისა და ემიგრაციის გავლენით, მან მიჰკერძა მიკერძოებულ შეხედულებებს მართლმადიდებელთა და უნიატთა, რუსთა და უკრაინელთა, რუსთა და ევროპელთა რელიგიური და ეთნიკური განსხვავებულობის თაობაზე, რაც გამოიხატა მის „გაევრაზიელებაში“. მიუხედავად ამისა, ის კვლავაც თანაუგრძნობდა კადეტთა პოზიციას რუსეთის ისტორიაში ევროპული კულტურისა და პოლიტიკური მოდელების როლის შესახებ. აშშ-ში გადასვლას მისი ინტერპრეტაციები მყისიერად არ შეუცვლია, მაგრამ ომისშემდგომ (მეორე მსოფლიო ომი) პერიოდში პლურალისტურმა, თავისუფალმა მეწარმეობამ და დემოკრატიულმა ფასეულობებმა ვერნადსკის უარაყოფინა ევრაზიელთა უტოპიური ცრურწმენანი კადეტთა უფრო უნივერსალურ მიდგომათა სასარგებლოდ. უნდა აღინიშნოს, რომ ევრაზიულობის ძირითად დებულებებს ის აყალიბებს ტრუბეცკოის „ჩინგიზ ყაენის მემკვიდრეობის“, სავიცკის „გეოგრაფიული შენიშვნები რუსული ისტორიის შესახებ“, უცხოელ მკვლევართა ნაშრომების კვალდაკვალ. ჰალპერინის აზრით, მრავალფეროვანმა კრიტიკამ ევრაზიელებს „სკანდალური დიდება“ მიჰგვარა. ზოგადად, ამერიკელი ისტორიკოსი ასე აფასებს ევრაზიულობას: მათი თეორია უიმედოდ მეტაფიზიკური, იდეალისტური, ტელეოლოგიური და დეტერმინისტული, ხოლო მათი ნაშრომები - უაღრესად მიკერძოებული, პუბლიცისტური, არამეცნიერული და, უამრავი ფაქტის გაყალბებით, წარყვნილია. ევრაზიელთა პოლიტიკა გახლდათ იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის ანტიდემოკრატიული აპო-

ლოგია. ევრაზიულობა ამ იდეოლოგიად უნდა მივიჩნიოთ, რომელიც მტკიცებულებათა უკმარისობას თეორიით ანაზღაურებდა, რადგან ფაქტები ეწინააღმდეგებოდა ევრაზიელთა მტკიცებას. ასე კრიტიკულადვე აფასებს ჰალპერინი ევრაზიელ ვერნადსკისაც: მან ვერ შეძლო პროფესიულად მისაღები გამოკვლევის შექმნა (Halperin:1983; Halperin: 1985).

ამერიკელი პროფესორი, ლინგვისტი ანატოლ ლიბერმანი (წარმოშობით სანკტ-პეტერბურგიდან) (დ. 1937) ჰალპერინის შეფასებას „კურიოზულად“ მოიხსენიებს და, პირიქით, თანაუგრძნობს ევრაზიელებს. 1991 წელს სწორედ მან თარგმნა ინგლისურად და გამოაქვეყნა ტრუბეცკოის ძირითადი ნაშრომები აშშ-ში. ტრუბეცკოის პიროვნების ფორმირებაში ლიბერმანი წარმოაჩენს მამის, ფილოსოფოს სერგეი ტრუბეცკოის განსაკუთრებულ როლს და მის ნაშრომს „მოძღვრება ლოგოსზე მის ისტორიაში“, რამაც ნ. ტრუბეცკოის შთააგონა ქრისტიანობის ისტორიისა და მნიშვნელობის, მის სხვა რელიგიებთან ურთიერთობის ახლებური გააზრება. ამასვე ემსახურებოდა ნ. ტრუბეცკოის მონაწილეობა რელიგიურ-ფილოსოფიურ წრეებში. ჰეგელით გატაცება და ისტორიის ტელეოლოგიური ახსნა არ ეწინააღმდეგებოდა ტრუბეცკოის რელიგიურ მსოფლშეგრძნებას. ლიბერმანი გვთავაზობს მათ სიასაც (ვ.ფ. მილერი, ს.კ. კუზნეცოვი, ნაწილობრივ - ვ.პ. კორჟეზინსკი), ვინც საფუძველი ჩაუყარა ტრუბეცკოის ინტერესს ფილოსოფიის, ეთნოგრაფიის, ფოლკლორისტიკის, მითოლოგიის, ლინგვისტიკისადმი. ლიბერმანის აზრით, ტრუბეცკოის მიერ რ. იაკობსონის აზრის განვითარება თურანული ფსიქოლოგიური ტიპის შესახებ უმალ იდეალი იყო, ვიდრე - მეცნიერული მიღწევა. ლიბერმანის აზრით, ევრაზიელები არც ორგანიზაციულად და არც შინაგანად „სმენოვეხოველებს“ არ ეთანადებოდნენ. მათი შედარება ფაშისტებთანაც მკრეხელურია. ტრუბეცკოის ევრაზიულობა ნაციონალიზმის თეორიაა, რომელიც მოჰყვა ენობრივი და კულტურული მრავალფეროვნების აღიარებას (Liberman:1991).

დღესდღეობით, შეიძლება ითქვას, ევრაზიელთა ნაშრომების რეპუბლიკაციისა და მათზე გამოკვლევების გამოქვეყნების ბუმია, განსაკუთრებით (და ეს გასაგებიცაა!) - რუსეთში. ევრაზიული იდეოლოგიისადმი მზარდი ინტერესი შეაპირობა რამდენიმე ფაქტორმა: იდეოლოგიური მანქანის მსხვრევას მოჰყვა რუსული ემიგრაციის კვლევის მძლავრი ნაკადი. ემიგრანტთა სულიერი მემკვიდრეობა სამშობლოს უბრუნდება. კომუნისტური იდეოლოგიის კოლაფსმა თვითიდენტიფიკაციის ახალი გზების ძიების აუცილებლობაც წარმოშვა. რუსეთს გაუჩნდა სწრაფვა ახალი გეოპოლიტიკური კონცეფციის შემუშავებისა, შესთავაზოს მის მიერვე გაჩაღე-

ბული პოსტსაბჭოთა კონფლიქტების მონაწილეებს ახალ კავშირად ჩამოყალიბება. ამგვარი კონცეფციის ძიებისას ევრაზიულობის ბაზისად გამოყენება საინტერესოდ ეჩვენებათ პოლიტიკურ დაჯგუფებებს. კვლევის მრავალფეროვან რაკურსებს ეთანადება მრავალფეროვანი მიდგომები და შეფასებანი. ერთნი ევრაზიელთა ლიბერალური კრიტიკის ტრადიციას განაგრძობენ (ი. ისაევი, ლ. ნოვიკოვა, ი. სიზემსკაია, ო. ვოლკოგონოვა, ნ. ომელჩენკო...), მეორენი ევრაზიულობის მსოფლიო კულტუროლოგიურ ტრადიციაში მოქცევას ლამობენ (ფ. გირენოკი, ლ. პონომარევა, ვ. ხაჩატურიანი). მესამენი ევრაზიულობას „რუსული იდეის“ განვითარების სიმბოლოდ მიიჩნევენ. თუ ს. ხორუჟი, ა. სობოლევი, რ. ურხანოვი რუსულ ფილოსოფიურ ტრადიციას უნივერსალურ ფასეულობათა კვალდაკვალ განიხილავენ, ვ. კოჟინოვი, ს. კლუჩნიკოვი, ტ. ოჩიროვა, ი. გერასიმოვი ნაციონალისტურ ვნებებს შეუპყრია. იურისტი ი. ისაევი (დ. 1945) ევრაზიულობაში ავტორიტარული აზროვნებისა და ტოტალიტარიზმის რეციდივებს იკვლევს. ავტორს, უწინარესად, აინტერესებს ის საშუალებანი, რომლებითაც სარგებლობდნენ ევრაზიელები ევრაზიის აღწერისას. ისაევის აზრით, ევრაზიული კულტურის არსის განსასაზღვრად მნიშვნელოვანი იყო „საზღვრის“ გაგება. გეოგრაფიული მოხაზულობა არა მხოლოდ კულტურის მატერიალურ საზღვარს წარმოაჩენდა, არამედ განსაზღვრავდა მას, ყურადღებას ამახვილებდა მის თავისებურებებსა და ფუნქციებზე. თანაც, სივრცული დახშულობა იდეალური პირობა იყო სოციუმის იმ უტოპიური მოდელის ფორმირებისათვის, რომელიც აპრიორი განსაზღვრავდა ნეგატიურ დამოკიდებულებას გარემოვლენებისადმი და იქმნებოდა ახალი მითის შექმნის შესაძლებლობა. გეოგრაფიულ საზღვართა სიზუსტე საშუალებას იძლეოდა, ჩამოეთვალათ ყველა ის ელემენტი, რომლებიც ერთვოდა ევრაზიულ კულტურას ან პირიქით - გამოირიცხებოდა მისგან. ეთნიკური საზღვრების ამავენაირი დასაზღვრა შეუძლებელი იყო. ამიტომ თავი უნდა მოეზღუდათ მსგავსისაგან, ეღიარებინათ იმ სასაზღვრო ზონათა არსებობა, სადაც მიმდინარეობდა მომიჯნავე კულტურულ სივრცეებთან დიფუზია. ასეთი მეთოდი გულისხმობდა კულტურულ ვექტორთა ინვერსიას: კულტურა, რომელიც გახაზავდა თავის განსხვავებულობას კონტექსტური ელემენტებისაგან, საკუთარ სპეციფიკას აყალიბებდა. ევრაზიული დისკურსის თავისებურებანი გამოხატავდა, ერთი მხრივ, მემკვიდრულობას, მეორე მხრივ კი - ევრაზიული კონცეფციის სლავოფილური დოქტრინისაგან დაცილებას. ისაევის აზრით, ევრაზიული სწავლების თავისებურება მის მიერ კულტურის განვითარების წრფივი აღწერის უარყოფაა. ევრაზიელთა მიერ გამოყენებული ციკლური მო-

დელი გულისხმობდა სივრცული კრიტერიუმის (შეერთება-დაცილება, ცენტრალიზაცია-ავტონომია და სხვ.) გამოყენებას სხვადასხვა დროითი ციკლების გამოსაყოფად, რაც კულტურული ერთიანობის მთელი პერსპექტივის განჭვრეტას გულისხმობდა. მეორე მხრივ, აღწერა თითოეული დროითი ციკლისა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა სრულ ინფორმაციას ფლობ საწყის და სასრულ სტადიებზე. მართლმადიდებლობის მითოლოგემა წინააღმდეგობრივია, რადგან დისკურსი სხვაფერდება. რელიგია ქმნის კულტურას, კულტურა - ეთნოლოგიურ ტიპს, ეს უკანასკნელი კი ირჩევს ან პოულობს საკუთარ ტერიტორიას და თავისებურად გარდაქმნის. კულტურული სამყარო წინასწარგანსაზღვრულ ფასეულობათა იმ სისტემაზე ორიენტირებულად ცხადდებოდა, რომელიც გულისხმობდა „წმინდადან“ „საეროსკენ“ სვლას. თუმცა ავტორი ამ წინააღმდეგობას იმით უკუაგდებს, ევრაზიულ დოქტრინაზე დაყრდნობით, რომ სივრცულ-დროული საზღვრები აღმნიშვნელია, მართლმადიდებლობა კი - კულტურის შინაარსი. წინააღმდეგობრივია იდეოლოგიის ევრაზიული განსაზღვრებაც, ცალკერძ, როგორც ტოტალიტარიზმისა და, მეორე მხრივ, თავისუფალი პიროვნების შემოქმედებითი შეგნებისა. იდეოკრატიული სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი დემოტურობა ისაევს კორპორატივიზმის თავისებურებებს აგონებს, გარანტიულობა კი - სამართლებრივი სახელმწიფოსას, ოღონდ, ამ სიტყვის არა დასავლური მნიშვნელობით. დემოტიზმისა და გარანტიულობის შეთანადება, ცხადია, ჯერ ვერ აღადგენს ტრადიციული ლიბერალური ტიპის დემოკრატიულ მოდელს, მაგრამ მაინც სერიოზული დათმობაა. საბოლოოდ, ისაევი ევრაზიელთა აზროვნების ტიპს ავტორიტარულად აფასებს, რომლისთვისაც თვითმიზანია ძალაუფლება (Исаев:1980; Исаев:1989; Исаев:1989; Исаев:1991; Исаев:1991; Исаев:1992; Исаев:1992; Исаев:1993; Исаев:1994; Исаев: 1997).

ფილოსოფოსები: ლ. ნოვიკოვა (დ.1927) და ი. სიზემსკაია (დ.1938) ევრაზიულობას რუსული ემიგრაციის გამოწვევად მიიჩნევენ. გასათვალისწინებელია, რომ ევრაზიულობა რუსი ემიგრანტი ინტელიგენციის ის იდეური მიმართულებაა, რომლის დემოკრატიული იმედები გაქარწყლდა 1905 წლის, 1917 წლის თებერვლის რევოლუციათა, პირველი მსოფლიო ომის, ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ და რომელიც აიძულეს, ემიგრირებულიყო. ეს დევნასთან ერთად ჩიხიც იყო (Новикова, Сиземская:1991; Новикова, Сиземская:1997; Новикова, Сиземская:1992; Новикова, Сиземская: 1992; Новикова, Сиземская:1995).

ფილოსოფოსი ო. ვოლკოგონოვა (დ. 1960) აღნიშნავს, რომ მთავარი ამოცანის - ეროვნული თვითშეგნების - რეალიზაციისას ევრაზიელებს გამორჩათ ქრისტიანობისთვის ნიშანდობლივი უნივერსალიზმი, რომელმაც განსაზღვრა ევროპული კულტურის მისიონერული მოწოდება. მკვლევარს აღიზიანებს ევრაზიელთა რადიკალური ანტიდასავლურობა მაშინ, როცა პოზიტიური მიზნები - მართლმადიდებელი საზოგადოება, კულტურა და სხვ. აბსტრაქტული და ზედაპირულია. დემოტური მმართველობის ფორმის მქონე იდეოკრატიულ სახელმწიფოს მკვლევარი ტოტალიტარულ-კომუნისტურ წყობასა და ფაშიზმთან აახლოებს. ავტარქიიის მეშვეობით მართული იდეოკრატია მხოლოდ მსოფლიო რუკის სისხლიანი გადაკეთების შედეგადაა შესაძლებელი. მართლმადიდებლობის პრინციპთა საკმაოდ აბსტრაქტული გაგება და უიმედო ცდა მისი შერწყმისა მოწოდებებთან ხისტად სტრატიფიცირებული საზოგადოების შექმნის თაობაზე, პიროვნების თავისუფლების უგულებელყოფა, გაუმართლებლად ნეგატიური დამოკიდებულება დასავლური ცივილიზაციისა და კულტურისადმი და ზოგჯერ - პრიმიტიული ნაციონალიზმი - აი, ევრაზიულობის თავისებურებათა ვოლკოგონოვასეული დახასიათება. ევრაზიულობის ადაპტირება თანამედროვე პირობებთან დასაღუპადაა განწირული (Волкогонова:1995; Волкогонова:1995; Волкогонова:1998).

ისტორიკოსი ნ. ომელჩენკო ევრაზიულობის ორიგინალურ თავისებურებად მიიჩნევს ისტორიული პროცესის ციკლურობის, ცივილიზაციის განვითარების მრავლობითობისა და უნიკალობის, ევროპოცენტრიზმის კრიტიკის იდეებს და გამოარჩევს მათ სწრაფვას, ყურადღება გაამახვილონ რუსული სახელმწიფოებრიობისა და კულტურის განვითარებაში აღმოსავლური და დასავლური ელემენტების ურთიერთობის საკითხზე. თუმცა, ავტორის თქმით, წინააღმდეგობანი მაშინვე იჩენს თავს, როგორც კი ევრაზიელები რუსეთის ნაციონალური თავისებურებების ანალიზიდან მათი თანამედროვე სინამდვილის შეფასებაზე გადადიოდნენ. მათი ანტიდასავლურობა ჩამოჰგავდა საბჭოთა გეოპოლიტიკურ კონცეფციას. ევრაზიელები ცდებოდნენ, როცა ბოლშევიკებს რუსულ თვითმყოფობას, მათ სახელმწიფოს კი რუსი ხალხის ძალაუფლებას უკავშირებდნენ. ავტორის აზრით, ევრაზიელებმა ვერ განავითარეს ა. ხომიაკოვისა და თ. დოსტოევსკის იდეები, რადგან რუსეთის ბედს ევროპა-აზიის ანტითეზით წყვეტდნენ (Омельченко:1992; Омельченко:1996).

რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტის მიერ მომზადებული ნაშრომი „ევრაზია: რუს ემიგრანტთა ისტორიული შეხედულებანი“ გულისხმობს არა მხოლოდ ევრაზიელთა ნაშრომების ფრაგმენტებს, არამედ პრაღულ არქივში

დაცული სავიცკის ფონდის ბევრ ხელნაწერს. ზოგადი მიდგომა გამოხატულია ისტორიკოს ლ. ვ. პონომარევას ნაშრომებში. მკვლევრის აზრით, ევრაზიულობის დამფუძნებელ მამათა „პირადი სულიერი გამოცდილება“, რომელმაც განსაზღვრა მათი „კატასტროფული მსოფლშეგრძნება“, გულისხმობდა რუსეთის იმპერიის დაშლას სახელმწიფოებად, რითაც მწიფდებოდა ამოცანა ევრაზიის ისტორიული ერთობის შეცნობისა და დამკვიდრებისა: ევრაზია უნდა გამხდარიყო სსრკ-ს მემკვიდრე ბოლშევიკთა დამხობის შემდეგ. პირველი მსოფლიო ომის, რევოლუციისა და სამოქალაქო ომის შემდეგ ცხოვრებისეული და კულტურული კონსტანტები მოირყა, რაც ითხოვდა მომხდარის მიზეზთა გაანალიზებას და ახალი „სულიერი თვითშეგნების“ შემუშავებას. ევრაზიელთა აზრით, რუსეთის ლიბერალური განვითარება 1917 წლის მოვლენების შემდეგ ამოიწურა, რამაც შეაპირობა სამომავლო თვითმყოფადი იდეალის ძიება. თუმცა, მიუხედავად დასავლეთისაგან გამიჯვნის დეკლარაციებისა, ევრაზიელთა კულტუროლოგიური კონცეფცია მათ თანამედროვე კულტუროლოგიურ ევროპეიზმში მოექცა. მკვლევრის აზრით, ამ ევროპელმა ადამიანებმა სინამდვილეში ვერ უარყვეს ევროპული კულტურა (Пономарева:1992; Пономарева:1992; Пономарева:1992; Пономарева:199).

ფილოლოგი და ისტორიკოსი ვ. ხაჩატურიანი (დ.1957) ფიქრობს, რომ ევრაზიელები ერთგულობდნენ ისტორიული პროცესის მულტიწრფივ სქემას, რომელიც ჯ. ვიკოსა და ი. ჰერდერის, რუსულ ტრადიციაში კი - ნ. დანილევსკის სახელებს უკავშირდება. პროგრესს, როგორც შემტევ წინსვლას, ევრაზიელები ცვლიდნენ კონცეფციით პროგრესზე, როგორც სხვადასხვა კულტურისათვის ნიშანდობლივ შესაძლებლობათა მრავალფეროვნების რეალიზაციაზე. კულტურის მთავარ ფასეულობად ევრაზიელებს მისი განუმორებლობა და თავისებურება მიაჩნდათ. მკვლევრის აზრით, რუსეთ-ევრაზიის ლოკალურ ცივილიზაციად განხილვა მათ შპენგლერისა და ტოინბის გვერდით აყენებს (Хачатурян:1992; Хачатурян: 1992; Хачатурян:1992; Хачатурян: 1994: Хачатурян:1994).

ისტორიკოსი ნ. სტეპანოვი შენიშნავს, რომ ვ. ვერნადსკის „ნოოსფეროს“ იდეამ იმოქმედა პ. სავიცკის „ნომოგენეზისის“ სწავლების ჩამოყალიბებაზე (Степанов:1992; Степанов:1995).

ისტორიკოსი მ. ვანდალკოვსკაია მიიჩნევს, რომ ევრაზიელები უპირისპირდებოდნენ წარსულის შესწავლის პოზიტივისტურ, მარქსისტულ და, ნაწილობრივ, ნეოკანტიანურ მიდგომებს. ისტორიული ცნობიერების თეორიაში ევრაზიელები უგულებელყოფდნენ მიზეზშედეგობრივ ახსნას და წარსულის სისტემური აღქმის მტკიცებას. პიროვნების თეორია, პრაქტიკულად, ნიველირებულია

ევრაზიულ პრობლემათა კომპლექსში, კულტურამ კი თვითკმარის მნიშვნელობა შეიძინა და ამით თვით „პიროვნების“ ცნებაც კი დაჩრდილა (Вандалковская:1994; Вандалковская :1997).

ფილოსოფოს თ. გირენოკისათვის (დ.1948) ევრაზიელები ადრეული პოსტმოდერნიზმის ოსტატები არიან. ალბათ, ამიტომაც აირჩია მათი მსოფლმხედველობის ამოკითხვის მეტად უცნაური ფორმა. მისი აზრით, ევროპოცენტრიზმზე უარის თქმა გონებისა და ენის (ლოგოცენტრიზმი) წინააღმდეგ გამოსვლის პირველ ნაბიჯად იქცა. ანთროპოლოგიაში ევრაზიელთა აზროვნების წესი შობდა „სიმფონიური პიროვნების“ აპერსონალიზმს, მართლმადიდებლობის - ახალი წარმართობით, ხოლო ეკლესიის ყოფითი აღმსარებლობით ჩანაცვლებას.

უაღრესად საინტერესოა სერგეი ხორუჟის (დ. 1941) - რუსი ფიზიკოსის, ფილოსოფოსისა და ღვთისმეტყველის - სტატიები ევრაზიულობაზე. ავტორი ევრაზიულობას ათავსებს დიაქრონიულ ტიპოლოგიურ რიგში, რომელიც გამოხატავს ამდროინდელ სახეცვლილ მიდგომას რუსული კულტურის განვითარების იდეისადმი. ჰეგელის სქემა რომ გამოვიყენოთ, საწყის წერტილად - თეზად მიიჩნევა „ვერცხლის საუკუნის“ ფარგლებში კულტურული ფენომენის რუსულ-ევროპული ელემენტების სინთეზი ანუ სლავური აღორძინების იდეა. ეს გულისხმობდა რუსული კულტურის ელინიზმთან, როგორც უნივერსალურ კულტურულ წყაროსთან, შეთანადებას. სწორედ ამ წყაროს უნდა დასწაფებოდა ისტორიული განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ყველა ხალხი ჭეშმარიტი კულტურის მოსაპოვებლად. ევრაზიული იდეოლოგია, რომელიც გამოხატავდა პირველ მსოფლიო ომამდელ მენტალიტეტთან ტიპოლოგიურ და ფსიქოლოგიურ განხეთქილებას, იქცა ჰეგელისეული ტრიადის ანტითეზად. წარსულთან (იმპერიული რუსეთი) და უცხოსთან (დასავლეთ ევროპა) დაცილებამ კულტურის განმარტებაში რელატივიზმი წარმოშვა ანუ უარი, ეღიარებინათ, რომ კულტურა ფლობს ფასეულობით უპირატესობას ბარბაროსობაზე და ეს ჩანს კულტივაციის, გამოყვანის ანდა ქრისტიანობამდელი ასკეზის კულტურისათვის ნიშანდობლივ ელემენტში. უკანასკნელი დებულება შობდა სხვადასხვა ხალხის კულტურების ფასეულობითი კრიტერიუმების უგულებელყოფას. ხორუჟი იწონებს პროტესტს ეთნოკულტურულ თავისებურებათა ნიველირების წინააღმდეგ, მაგრამ იწუნებს ევრაზიელთა შეხედულებების რედუქციონიზმს რელიგიის, სოციალური ფილოსოფიის, ისტორიის მიმართ. ავტორის აზრით, ლ. კარსავინის - ევრაზიელთა ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგის - თეორიულ განაზრებათა ღერძად იქცა საყოველთა-

ოობის კონცეფცია, რომელშიც განიჭვრიტებოდა ტოტალიტარიზმის ფესვები (Хоружий: 1989; Хоружий :1991; Хоружий:1992; Хоружий: 1994).

ფილოსოფოსი ა. სობოლევი მიიჩნევს, რომ ევრაზიულ მოძრაობაში იმთავითვე იგულისხმებოდა პოლარიზაციისა და გათიშვის შესაძლებლობა. ეს გამოიხატებოდა განსხვავებული პასუხებით ერთ კითხვაზე: რა გადაარჩენს რუსეთს - მიწა თუ სული, ბუნებრივი, სტიქიური ძალები თუ შენანებითი გმირობის ძალა? (Соболев: 1991; Соболев :1991; Соболев: 1992).

ლიტერატორმა ოლგა კაზნინამ გამოაქვეყნა ნ. ტრუბეცკოის პ. სავიცკისადმი მიძღვნილი წერილი-აღსარება, რომელიც გამოირჩევა თვითანალიზით და ევრაზიულობის შეფასებით (Казнина:1992; Казнина:1995).

კრიტიკოსი და ლიტერატურათმცოდნე, მრავალი წიგნის ავტორი ვადიმ კოჟინოვი (1930-2001) აყალიბებს ევრაზიულობის პრობლემისადმი ზოგად მიდგომას. მისი აზრით, ევრაზიულობა უნდა განვიხილოთ რუსული ისტორიოსოფიის ყველაზე ნაყოფიერი ტრადიციის (პუშკინი, ტიუტჩევი, გოგოლი, დოსტოევსკი, ტოლსტოი, ნ. ლეონტიევი, ვ. როზანოვი) გამგრძელებლად და განმავითარებლად. მათ რიცხვში არ არიან სლავოფილები, როგორც ევროპული გამოცდილების უარმყოფელნი. ევრაზიელთა საწინააღმდეგო მოსაზრებებს ავითარებდნენ ბერდიაევი, პ.ბ. სტრუვე, ს.ლ. ფრანკი, გ.პ. ფედოტოვი, რომლებიც უკავშირდებოდნენ მედასავლეთეობასა და მარქსიზმს. ავტორის აზრით, ზემოთ ჩამოთვლილმა პუშკინმა და „კომპანიამ“ ჭეშმარიტი პატრიოტიზმი გამოავლინა, როცა მეორეთა მიერ მომზადებული რუსული რევოლუციის ტრაგიკულობაზე ალაპარაკდა. კოჟინოვი არადამაჯერებლად მიიჩნევდა ევრაზიელთა თანამშრომლობას სახელმწიფო პოლიტსამმართველოსთან, რადგან ის მოძრაობის მხოლოდ მეორეხარისხოვან მონაწილეებს ედებოდათ ბრალად და ოგპუ-ს წინ ვერავინ აღუდგებოდა. ავტორი ევრაზიელებს იმ ბრალდებისგანაც იცავდა, თითქოს ისინი სათანადოდ ვერ აფასებდნენ ქრისტიანობას (Кожинов:1992; Кожинов: 1997).

ლიტერატორი ს. ი. კლუჩნიკოვი გამორჩეულად მიიჩნევს ევრაზიელთა შეფასებას რევოლუციისა, როგორც ისტორიული მოვლენისა, ბოლშევიზმისა, როგორც რევოლუციის პირმშოსი და კომუნიზმისა, როგორც დამანგრეველი იდეოლოგიისა. კარსავინისეული სქემის ერთ-ერთი პუნქტია რევოლუციის გაქარწყლება და ახალი მმართველი ძალის გამოჩენა, რომელსაც ს. კლუჩნიკოვი ევრაზიელთათვის გადამწყვეტად თვლის. სწორედ ამ ძალამ უნდა დაუბრუნოს ხალხი სწორ გზას. ავტორის აზრით, ჩეკისტთა „სპექტაკლების“ წარმატება განაპირობა დასავლელი მემარცხენე ინტელიგენ-

ციის თვალში სსრკ-ს მაღალმა ავტორიტეტმა. ს. კლუჩნიკოვის დასკვნის თანახმად, ევრაზიულობა არასოდეს ყოფილა წმინდა წყლის „ნგრევის ნიჰილისტური აპოლოგია“: ის გახლდათ ფუტურისტული ტიპის იდეოლოგია, რომლის ამოცანა იყო დიდი ევრაზიული კულტურის შექმნა. ევრაზიულობის პერსპექტიულ იდეათაგან გამოსარჩევია: რუსული ნაციონალურ-კულტურული თვითმყოფობის იდეა; მართლმადიდებლობის ფარგლებში ყოფითი აღმსარებლობის იდეა; რევოლუციის სულიერი გადალახვის იდეა; მომავალი სახელმწიფოებრივი წყობის იდეა - იდეოკრატია. ევრაზიულობამ დიდად იმოქმედა ემიგრანტულ ლიტერატურაზე მიუხედავად იმისა, რომ ევრაზიელებმა საკუთარი მხატვრული სკოლა ვერ ჩამოაყალიბეს. სამაგიეროდ, მათმა ისტორიოსოფიამ იმოქმედა ემიგრანტ შემოქმედთა ესთეტიკურ პრინციპებზე - ესთეტიკურ ორგანიკაზე. ევრაზიელებმა წააქეზეს ემიგრანტები, შეესწავლათ პეტრემდელი რუსული ლიტერატურა. მათ აღმოაჩინეს „აზიის იდეა“, როგორც ერთ-ერთი საფუძველი სამამულო კაზმულსიტყვაობის მხატვრული ქსოვილისა. მათი დამსახურებაა რუსულ ლიტერატურაში „მკვიდრისა“ და „მომთაბარის“, და ამით - ნაციონალური ფსიქოლოგიის ორი ტიპის კონფლიქტის წარმოქმნა: ერთი მათგანია „ნომადი“ (რევოლუციური, „წითელი“), მეორე - „ბინადარი, მკვიდრი“ (ძირითადად, გლეხის, თეთრგვარდიელის ტიპი). ევრაზიელობა გახლდათ მოწოდება ამ ორი ტიპის მორიგებისაკენ (Ключников:1992; Ключников:1997).

მკვლევარი ტ.ნ. ოჩიროვა ევრაზიელთა წყაროდ მიიჩნევს ნ.მ. კარამზინის ნაციონალურ-სახელმწიფოებრივ კონცეფციას „რუსეთზე, როგორც დასავლურ-აღმოსავლური სამყაროს ერთიანობაზე, რაც მას სხვა სახელმწიფოებზე უპირატესს ხდიდა, თუმცა კი ამას დრამატული წინააღმდეგობები სდევდა“ (Очирова:1993; Очирова:1994).

უფრო მეტის თქმას ითხოვს ისტორიკოს ლევ გუმილევის (1912-1992) შემოქმედებითი მემკვიდრეობა ევრაზიულობის პრობლემაზე. ისტორიკოსი ცდილობს ტრუბეცკოის შეხედულებათა მეტად თავისებურ ინტერპრეტაციას. იგი ევრაზიულ კონცეფციაში გამოყოფს იმ დებულებებს, რომლებიც მისთვისაა ახლობელი, და საკუთარი მნიშვნელობით „ავსებს“ მათ. მისი აზრით, ტრუბეცკოის მიერ გამოყენებული სიტყვა „სახე“ შეიძლება შეიცვალოს „ეთნოსით“, ხოლო - „მრავალხალხოვანი პიროვნება“ ცნებით - „სუპერეთნოსი“. ისტორიკოსის აზრით, ევრაზიული კონცეფცია ეთნოკულტურულ რეგიონებზე მარგინალურ (განაპირა მხარეები) ზონებში ხელსაყრელი იყო მსოფლიო-ისტორიულ პროცესთა ინტერპრეტირებისათვის. იქ, სადაც ერთმანეთს ეხლება ორი ან მეტი სუ-

პერეთნოსი, მრავლდება უბედურება და იშლება შემოქმედებით პროცესთა ლოგიკა. ჩნდება მიმესისი (მიბაძვა), როგორც ორიგინალობის მეტოქე, და, ამგვარად, ინგრევა პრინციპი „შეიცან თავი შენი“ ანდა „იყავი ის, ვინც ხარ“. პირიქით, თავიანთ ტერიტორიებზე, სამშობლოში მცხოვრები ეთნოსები, რომელნიც იცავენ თავიანთ ტრადიციას - „მამულს“ სხვადასხვაგვარად, თუმცა მშვიდობიანად ახერხებენ მეზობლებთან თანაცხოვრებას. მაშ, ნებისმიერი ტერიტორიული საკითხი შეიძლება გადაწყდეს ევრაზიული ერთობის საფუძველზე (Гумилев:1991; Гумилев:1992; Гумилев:1993).

ალექსანდრ პანარინს (1940-2003) - ფილოსოფოსსა და პოლიტოლოგს - ევრაზიელობა, უწინარესად, იმ სწრაფვით ხიბლავს, რომ ეს მოძრაობა მიელტვის მეოცე საუკუნის უდიდესი სახელმწიფოსათვის აუცილებელ მესიანურ იდეას. ფილოსოფოსის აზრით, მომხმარებლური საზოგადოების იდეოლოგიას და მის დამკვიდრებას დასავლურ სახელმწიფოებში უნდა დაუპირისპირდეს ეკოლოგიური კატასტროფის საფრთხე. თანამედროვე ევრაზიულობის პოზიტიურ იდეად უნდა იქცეს პოსტმოდერნული ასკეზა, რომელიც მიემართება სულიერი სრულყოფის უირატესობის გახაზვას მატერიალურ წარმოებასა და მოხმარებასთან შედარებით. მეორე იდეა ეტატიზმია (იდეოლოგია, რომელიც ამტკიცებს სახელმწიფოს წარმმართველ როლს პოლიტიკურ ცხოვრებაში და გულისხმობს სახელმწიფოს ინტერესებისათვის ინდივიდებისა და ჯგუფების ინტერესთა დაქვემდებარებას, გ.ჯ.) (Панарин:2002).

თავისთავად, ევრაზიულობის აკადემიური კვლევა მხოლოდ მისასალმებელია: არადა, პოლიტიკური დასკვნები საგანგაშოა. უწინარესად, საგულისხმოა ევრაზიულობის დაახლოება კონსერვატული რევილუციის იდეოლოგიასა და ახალ მემარჯვენეებთან, რომელთაც ფაშისტებად აღიქვამენ. პირველი დებულების ავტორი ა. პანარინია, მეორისა კი ა. დუგინი, რომელმაც ევრაზიელები იტალიელ ფაშისტებს, ესპანელ ფალანგისტებსა და გერმანელ სოციალ-დემოკრატებს ამოუყენა გვერდით (Дугин: 1994).

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, რუსული რელიგიური ფილოსოფიის სპეციალისტი ანასტასია გაჩევა საგანგებო წერილს უძღვნის ევრაზიელთა საქმიანობას ევრაზიული მოძრაობის კრახის პერიოდში და ირკვევა, რომ ევრაზიელები არც მაშინ მსხდარან გულხედაკრეფილნი: გამოიცემოდა წიგნები, ჟურნალები, იწვევდნენ ყრილობებს და ა.შ. ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ცნობილი ევრაზიელის, კონსტანტინე ჩხეიძის ღვაწლს საერთო ევრაზიულ საქმეში (гачева 2005).

განსაკუთრებულად აღნიშვნის ღირსია ფრანგი მეცნიერი, ისტორიკოსი, სოციოლოგი და პოლიტოლოგი მარლენ ლარუელი

(დ.1972) და მისი მონოგრაფიები ევრაზიულ იდეოლოგიაზე. ლარუელის აზრით, ევრაზიულობა წარმოიქმნა როგორც შენადნობი რევოლუციური კათარზისისა, ნაციონალური ინტელექტუალური მემკვიდრეობის შეფასებით, და გერმანული ნატურფილოსოფიისა. მისი მიზანი იყო, დაეკანონებინა იმპერია, მისი მასშტაბი კონტინენტისა და აზიის ფარგლებში, დაემუშავებინა ტოტალიტარული პოლიტიკური იდეოლოგია და „ნაციონალური“ სამეცნიერო პრაქტიკა. ევრაზიულობა იყო ველიკორუსული ნაციონალიზმის მესიანური გამოხატულება, რომელიც მიუხედავად „თურანელთა“ ფარისევლური განდიდებისა, ევრაზიას რუსეთთან აიგივებდა. ევრაზიელები „უცხოდ“ მიიჩნევდნენ ევროპას, ხოლო საკუთარ თავს - „აზიად“. თუმც თვით „აზიის“ მიღებაც, როგორც „თავისისა“, მათ ბოლომდე არ ძალუძდათ. აზიის „თავისად“ გარდასახვისთვის ისინი ცდილობდნენ, ვირტუალურად მაინც, იგი მართლმადიდებლად გადაექციათ. სწორედ ეს მიანიშნებს ევრაზიული პროექტის, როგორც „ცივილიზაციათა“ და „სამყაროთა“ „სიტყვიერ რიტორიკად“ გარდამქნელის, უტოპიურობას, ეკლექტურობას, ფსევდომეცნიერულობასა და უკიდურეს წინააღმდეგობრიობას. ეს ფაქტორივე წარმოშობს პარადოქსს: რუსი მოაზროვნეები, რომელთაც ბრწყინვალე ევროპული განათლება მიეღოთ, ერთი მხრივ, რუსეთის სპეციფიკას დასავლური სქემით ხსნიდნენ, მეორე მხრივ კი, საკუთარ თავს „აღმოსავლეთს“ უიგივებდნენ და „დასავლეთს“ ისე აღიქვამდნენ, როგორც ეს კოლონიურ ქვეყანათა ელიტისთვისაა ნიშანდობლივი. ლარუელის აზრით, ტრუბეცკოის წიგნი „ევროპა და კაცობრიობა“, შესაძლოა, დღეს აყვავებული „პოსტკოლონიური დისკურსის“ საფუძვლადაც კი მივიჩნიოთ.

სწორედ ევრაზიულობამ გაუჩინა ძალზე ნაყოფიერი მოსაზრება „ენობრივ კავშირთა“ თაობაზე ნ.ტრუბეცკოისა და რ. იაკობსონს; ევრაზიულმა განაზრებებმა აიძულა ნ. ტრუბეცკოი, დაემუშავებინა კულტურათშორისი ურთიერთობების პრობლემა, რომელმაც, თავის მხრივ, უწინამძღვრა საბჭოთა ეთნოგრაფიულ კონცეფციას „ისტორიულ-ეთნოგრაფიული ოლქების“ შესახებ. დღესდღეობით უკვე დადგენილია ტრადიციულ კულტურათა და გარემოს ურთიერთკავშირი, რაზეც სწორედ ევრაზიელები წერდნენ. ნ. ტრუბეცკოი სრულიად შეგნებულად აგებდა „კულტურული ნაციონალიზმის“ იდეას და საფუძვლიანად ფიქრობდა, რომ მხოლოდ კულტურულ ერთობას ძალუძს შეუბღალავი იდენტობის უზრუნველყოფა და ნაციონალური თვითშეგნების მტკიცე საფუძვლის ჩამოყალიბება. ავტორის აზრით, ევრაზიელთა მიერ მოხმობილი სამი ელემენტი, რომლებითაც იმპერია უნდა დაკანონებულიყო, გახლდათ აღმოსავლეთმცოდნეობა, გეოგრაფიული იდეოლოგია და ისტორიის ფილოსოფია. ცხადია, ამას ემატებოდა ევრა-

ზიული დისკურსი კულტუროლოგიასა და მართლმადიდებლობაზე. თუმც ტრუბეცკოის იდეას უპირისპირდებოდა კარსავინის ჰოლისტური რელიგიური მიდგომა, რომელიც სათავეს იღებდა არა ნ. დანილევსკისაგან, არამედ - ა. ხომიაკოვისა და ვ. სოლოვიოვისაგან. ამიტომაცაა, რომ ავტორი ევრაზიული კულტუროლოგიის ანალიზისას ტრუბეცკოის ნაშრომებს ეყრდნობა, ხოლო ევრაზიელთა რელიგიისადმი დამოკიდებულებას კარსავინის თხზულებათა შტუდირებით განიხილავს. თუ გ. ვერნადსკი, ავტორისამებრ, არ იზიარებდა პ. სავიცკის გეოგრაფიულ პრინციპებს, ცხადია, საჭოჭმანოა ერთიანი ევრაზიული იდეოლოგიის შესახებ საუბარი.

ლარუელი ევრაზიულობის ღრმა ევროპული საფუძვლის შესახებ მსჯელობისას ეყრდნობა კლასიკურ ევროპულ ფილოსოფიას (პლატონით დაწყებული და ჰეგელითა და ბერგსონით დამთავრებული) და გვიჩვენებს, რომ არაევროპულ პირობებში ევროპული ინტელექტუალური მემკვიდრეობა, შესაძლოა, ანტიევროპულ ამბოხს მოემსახუროს. ამ თვალსაზრისით, ევრაზიელები პირველები იყვნენ, თუმც ე.საიდიცა და მისი გახმაურებული წიგნი „ორიენტალიზმიც“, შესაძლოა, მათ უნებლიე მემკვიდრეებად მივიჩნიოთ.

ისიც აღსანიშნავია, რომ ევრაზიელები ევროპას ეწინააღმდეგებოდნენ, მაგრამ კრიტიკისას სწორედ ევროპულ ინტელექტუალურ ტრადიციას ეყრდნობოდნენ, თანაც - ციტირებულ ავტორთა თითქმის დაუსახელებლად, რადგან ისინი რომანელ-გერმანელები იყვნენ. მათი მეთოდი სხვებმაც ისესხეს: არარუსმა ემიგრანტებმა დაადასტურეს, როგორ შეიძლება ევრაზიული იდეოლოგიის გამოყენება რუსული ევრაზიულობის წინააღმდეგ ბუნტის საწინდრად.

ლარუელის აზრით, ევრაზიული თეორია უახლოვდებოდა იტალიურ ფაშიზმს და ფრანგ უკიდურეს მემარცხენეებს; იწონებდა „უკიდურეს ეტატიზმს“ და საზოგადოებისაგან გაუკონტროლებელი ელიტის (,,შერჩეული მმართველი ფენა“) უპირატესობას. ამ თვალსაზრისით, ევრაზიულობა იზიარებდა იტალიური სოციოლოგიის (ვილფრედო პარეტო (1848-1923) და გაეტანო მოსკა (1858-1941)) მიერ დამუშავებულ ელიტათა თეორიას, რომელსაც ბენიტო მუსოლინი იყენებდა. ალბათ, შემთხვევითიც არ იყო ევრაზიელთა მიყურადება იტალიაში მიმდინარე მოვლენებისათვის და იტალიური ფაშიზმისადმი მოზომილი სიმპათიაც. სამაგიეროდ, გერმანული ნაციზმისადმი ევრაზიელთა დამოკიდებულება სულაც არ იყო ერთმნიშვნელოვანი. ტრუბეცკოისათვის რასიზმი მიუღებელი გახლდათ, მაგრამ ა. მელერ-ზაკომელსკის (1844-1928) - რუსი ემიგრანტის, ბარონისა და გენერლის დაჯგუფება მას იწონებდა.

სტალინის ტოტალიტარული რეჟიმი 1930-იან წწ.-ში ბევრ ევრაზიელს თავიანთი „ორგანული“ პრინციპების განსახიერებად მოეჩვენა. მიუხედავად იმისა, რომ ლარუელი ევრაზიელებს „კონსერვატორ-რევოლუციონერებად“ მიიჩნევს, ეს მოძრაობა იზიარებდა საბჭოთა ლოზუნგთა წყებას, მაგ; კულტურის იდეას, რომელიც შინაარსით სოციალისტური ან ევრაზიული უნდა ყოფილიყო, ფორმით კი - ეროვნული.

ევრაზიულობის პოლიტიკური ევოლუცია ჭკუის სასწავლებელია: ის გვიჩვენებს, „ორგანულ მიდგომაზე“ დაფუძნებული სამეცნიერო პროექტი როგორ ამართლებს ტოტალიტარულ რეჟიმებს და თანაც, მათ უმორჩილებს მეცნიერებასაც, რითაც სტაცებს მას ჭეშმარიტ მეცნიერულობას, წარმოუდგენელს - თავისუფალი აზროვნების გარეშე. „ორგანული მიდგომა“, საბოლოოდ, აქარწყლებდა ტრუბეცკოის რელატივიზმს, რაც იწვევდა ემოციურ მსჯელობას „ჭეშმარიტ“ და „ყალბ“ ნაციონალიზმზე, იმპერიის ჯანსაღ ორგანულ და სნეულ პოზიტივისტურ მოდელებზე, ნომადთა სითამამესა და მკვიდრთა მონურ ფსიქოლოგიაზე. გამოდის, რომ ევრაზიელებს სხვადასხვა სამყარო და კულტურა მხოლოდ ევრაზიის რეალურობისა და სიდიადის გამომხატველ სიმბოლოდ სჭირდებოდათ. დიდი გასავალი ჰქონდა იდეას „ისტორიულ რიტმებსა“ და „ციკლურ დროზეც“, რაც ევრაზიულ პრინციპთა ცხოველმყოფლობას ადასტურებდა. ავტორის აზრით, უანგარო სამეცნიერო კვლევა ევრაზიელთათვის უცხო გახლდათ. მონგოლთა იმპერიით გატაცება წარუმატებლად ნიღბავდა ოცნებას „რუსეთის საბედისწერო მოწოდებაზე“, მართლმადიდებლობა იყო სწრაფვა დიდი სივრცისაკენ, გეოგრაფია კი კულტუროლოგიად გარდაისახებოდა. რელატივიზმი და პარტიკულარიზმი იქცეოდა საყოველთაო ერთიანობად, რომელსაც უნივერსალობის პრეტენზია ჰქონდა. წარსულის გაცოცხლება ავლენდა სამომავლოდ გამოსაყენებელ ძალაუფლებას. ყოველივე ეს იმპერიას აკანონებდა. მე-19 საუკუნის რიტორიკა და მეთოდოლოგიური ხერხები, თავის მხრივ, სამომავლო პოსტმოდერნიზმად ჟღერდა. ისე ჩანდა, რომ როცა ევრაზიელებმა პოლიტიკურ სიმბოლოთა მომხიბლავი სამყარო აღმოაჩინეს, გაოცდნენ მათი მრავალსახოვნებით, მათი შემოქმედებითი აზრი დაბნეულობამ დააბლაგვა. პ. სავიცკის გარდა, სწორედ მაშინ განდგნენ „დამფუძნებელი მამები“ (Ларюэль: 2004; Ларюэль: 2003;

ევრაზიულ თეორიას შეეხო თავის მონოგრაფიაში ლოზანის უნივერსიტეტის პროფესორი პატრიკ სერიო (დ.1949) - სლავური ლინგვისტიკისა და დისკურსის ანალიზის სპეციალისტი. ავტორის აზრით, სტრუქტურა, როგორც მთელის საფუძველი, კულტურის

სხვადასხვა ფენის რედუქციის (სქემატიზების) პროდუქტადაც გვევლინება. ის აუცილებელია არა თავისთავად, არამედ როგორც ახსნა-განმარტების, კულტურულ პროცესთა ტიპოლოგიზებისა და მართვის ინსტრუმენტი. ამ თვალსაზრისით, „სტრუქტურის“ ცნება პირდაპირ უკავშირდება ევრაზიულ იდეოლოგიას, რომელიც, ერთი მხრივ, ცდილობდა კულტურული იდენტობის ახალი ტიპის სინთეზირებას, მეორე მხრივ კი, ფაშისტებისაგან განსხვავებით, არ გახლდათ რეალობის ტოტალურად და ძალით გარდაქმნის პროექტი. ლოკალური წარმოშობის ეს მსუბუქი ტოტალიტარიზმი უნდა ქცეულიყო კულტურულ ნორმად განსაზღვრულ ტერიტორიაზე. ევრაზიელებს კვებავდა ის ფსიქოლოგიური ტრავმა, რომელიც რუსულ ინტელექტუალურ ცნობიერებას მიაყენა ევროპულმა ცივილიზაციამ. დემოკრატიის მიუღებლობას, სლავური სამყაროს ესკაპიზმს, მის უნიკალურ და განსაკუთრებულ მდგომარეობას აწონასწორებდა თეზისი სლავური კავშირის მულტიკულტურულობაზე. ევრაზიელები არც კი ეჭვობდნენ, რომ სლავური კავშირის სატიტულო ენად რუსული იქცეოდა. 1930-იან წწ.-ში ეს პირდაპირ ეთანხმებოდა სტალინური რუსეთის პოლიტიკას. ევრაზიელები ამას შეგნებულად ეთანხმებოდნენ, როცა ბოლშევიკებს არა იმდენად იდეოლოგიურ, რამდენადაც სულიერ თანამებრძოლებად აღიქვამდნენ: ბოლშევიკებმა, როგორც იქნა, გააცნობიერეს ɜლავი ხალხების ბუნებრივი მიდრეკილება გაერთიანებისაკენ. ამ თვალსაზრისით, ევრაზიული პროექტი ხდებოდა რეალობის გარდაქმნის პარადიგმის ნაწილი (ლენინური ახალი საზოგადოების წარმოქმნა; ტროცკისტული ახალი ადამიანის შექმნა; ლისენკოსეული ახალი ორგანიზმის გამოყვანა). „კანონზომიერება“, არაშემთხვევითობა ის საძირკველია, რომელსაც ეფუძნება ევრაზიელთა სტრუქტურალიზმი. ტრუბეცკოისა და იაკობსონის სამყაროში ბატონობს ტოტალური წინასწარგანსაზღვრულობა. კულტურა (მისი მთავარი ტრანსლატორი - ენა) ვითარდება ბუნების კანონების თანახმად, ევოლუციისას განუწყვეტლივ ყალიბდება. ბუნებისა და კულტურის ერთიანობა ხორციელდება სხვადასხვა სტრუქტურათა კონვერგენციის ზოგადი პრინციპის საფუძველზე. ის იძენს ერთიანობს ნიშნებს ისე, რომ საერთო ლიბო არ გააჩნია. ბუნებრიობა სწორედ თავდაპირველი მდგომარეობის გადალახვაა. ევრაზიელები ხვდებოდნენ, რომ ბიოლოგიური სახეობებიცა და მათ მიერ მოხმობილი კომუნიკაციის საშუალებანიც ცხადყოფდნენ ურთიერთდაინტერესებულობის ზრდას, ურთიერთმიდრეკილებას, რომელიც გაცილებით ძლიერი, სრულყოფილი და სწორია საწყის მექანიკურ ატომიზმთან შედარებით.

ევრაზიული ლინგვისტიკის ისტორია ეხება ბევრ სხვა, ზოგად ისტორიულ-კულტურულ პრობლემას, რომლებიც უფრო მასშტაბურ პარამეტრებს იძენენ. ასეთ პარამეტრთაგან, დაძაბულობის ეპოქალურ ზიგზაგთაგან გამოვყოთ სამი:

1. ევროპულ ტრადიციაში სისტემურ ურთიერთობათა გასააზრებლად ხშირად გამოიყენება მძლავრი ინტელექტუალური მექანიზმი, რომელიც გამოწვლილვით დამუშავდა მე-19 ს. და მე-20-შიც არ დაუკარგავს საკუთარი პრესტიჟი, დიალექტიკაა. ევრაზიელი ლინგვისტები სწორედ ამ დიალექტიკას იმარჯვებდნენ: როგორ გაიგებოდა ჰეგელის ფილოსოფიაში ისტორია. ევრაზიელებმა ჰეგელი დეტერმინისტულად წაიკითხეს და, სერიოს თქმით, მათ თავიანთი მუდმივი ოპონენტების - ნიკო მარის სკოლის წარმომადგენელ საბჭოთა ლინგვისტთა დარად გაიგეს წაკითხული. ორივე მათგანმა ჰეგელის ფილოსოფიიდან ისესხა ისტორიის ფილოსოფია ანუ იმის შეუვალი რწმენა, რომ შესაძლებელია მიაკვლიო კანონებს, იდეას, ყველაფერი დეტერმინებულია; ინდივიდი სხვა არაფერია, თუ არა მასზე უპირატესი ერთობის (ევრაზიელებთან - სტრატიფიცირებული ნაციონალური ერთობა, მართან - ხან - ეთნიკური, ხან - კლასობრივი) წარმომადგენელი. ორივე ეს მიდგომა ანტიჰუმანისტურია.

2. როგორც ვნახეთ, სერიო გახაზავს ენის ევრაზიული თეორიის ანტიჰუმანიზმს: პრაღის წრეში, განსაკუთრებით, მისი რუსი წევრებისთვის თავისუფლებისთვის ადგილი არ რჩებოდა. რუსი პრაღელების სამყარო უადამიანოა. იქ არავინ ლაპარაკობს. ტრუბეცკოის თეორიაში - უმალ კულტუროლოგიურში, ვიდრე - საკუთრივ, ლინგვისტურში - არ არსებობენ მოქალაქეები, არიან მხოლოდ ამა თუ იმ ხალხის წარმომადგენლები. ნაციონალური მთლიანობა უპირობოდ უპირატესობს ინდივიდუალურ ნაწილებზე და ადამიანის, როგორც მოქალაქისა და მოუბარი სუბიექტის, პიროვნება ექვემდებარება კულტურულ-ენობრივ ტრადიციას. ამიტომაც ტრუბეცკოი უარყოფს, ერთი მხრივ, დემოკრატიას, როგორც არაორგანულ რომანელ-გერმანელთა მავნე გამოგონებას, მეორე მხრივ, სოსიურისეულ დაყოფას „ენა/მეტყველება“ - სოსიურის თვალსაზრისით, მეტყველება ხომ ინდივიდთა თავისუფალი აქტივობაა! პიროვნების პრობლემას მეორე მხარეცა აქვს: ვთქვათ, ევრაზიული თეორია არ ცნობს ინდივიდუალური მოუბარი სუბიექტის დამოუკიდებელ როლს, სამაგიეროდ, ძალზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კოლექტიურ სუბიექტებს ანუ ნაციებს, როგორც ენის მატარებელთ: თავის კულტუროლოგიურ და ეთნოსოფიურ ტექსტებში ტრუბეცკოი-ლინგვისტი ენას იმდენად ახსენებს, რამდენადაც ენა მხოლოდ ერთ-ერთი ელემენტია, ხალხის სულს, მის კოლექტიურ პიროვნებას რომ გამოხატავს. ამ კონცეფციას საფუძ-

ვლად უდევს გერმანული რომანტიზმისათვის ნიშანდობლივი ზოგადი მეტაფორა: ერები პიროვნებებს ჰგვანან. ხალხის სწორედ ასეთი რომანტიკული განაზრებიდან, ინდივიდუალური და კოლექტიური პიროვნების ანალოგიიდან მომდინარეობდა ტრუბეცკოის მიერ პოსტულირებული მეცნიერება - პერსონოლოგია, რომელსაც უნდა შეესწავლა ორივე სახის პიროვნება. თუმც, პრაქტიკულად, ევრაზიელი ლინგვისტები უპირატესობას სწორედ ნაციონალურ და არა - ადამიანურ თვითმყოფობას ანიჭებდნენ. ისინი ინარჩუნებდნენ სუბიექტურობის გაგებას, მაგრამ ინდივიდუალურიდან კოლექტიურ დონეზე გადაჰქონდათ იგი. სხვა საკითხია, რამდენად თავისუფალია ისეთი პიროვნება, რომლის შინაგანი ფორმა წინასწარგანსაზღვრულია და მას შეკავშირება მხოლოდ იმათთან ძალუძს, ვინც „ენათესავება“. სერიოს მიერ ენის ევრაზიულ თეორიაში გამოყოფილი ორგანული მოდელები მხოლოდ ენათაშორის სფეროს ესადაგება. არადა, ნებისმიერი ენის შიგნით მოქმედებს არა - ორგანული, არამედ სტრუქტურული მოდელები, აბსტრაქტულ ნიშან-თვისებათა დიფერენციალები. ევრაზიული ლინგვისტიკა მეთოდოლოგიური კომპრომისია. საკვლევ სფეროს იყოფს ორი ურთიერთშეუთავსებელი მეთოდი: თავის შიგნით ენა აღიწერება დიფერენციალურ სტრუქტურად, თუმც სხვა ენებთან ურთიერთობისას ის თვითმყოფადი ორგანული პიროვნებაა. ცხადია, ამას აქვს ისტორიული მნიშვნელობა: ენობრივი ფორმის შინაგანი მიკროანალიზისას „უსულგულო“ სტრუქტურალისტური მეთოდის გამოყენებით ევრაზიელი ლინგვისტები ინარჩუნებდნენ კულტურის რომანტიკული ჰუმანიზაციის ტრადიციას ენათაშორისი პროცესების მაკროდონეზე. განვიხილოთ ეს კომპრომისი სისტემური გეგმითაც: სტრუქტურული და ორგანული მეთოდების სამოქმედო ზონები იყოფა ადამიანით - ერთი მხრივ, შიგაენობრივი ფუნქციობის ფაქტები (ფონემები, მორფემები და სხვ.), მეორე მხრივ კი - სხვადასხვა ენის ანუ განსხვავებულ სუბიექტთა ურთიერთობა. სწორედ სუბიექტი, პიროვნება (ფორმით - ინდივიდუალური ან კოლექტიური) წარმოქმნის იმ მომიჯნავე წერტილს, რომელშიც თავს იყრის ორი ურთიერთსაწინააღმდეგო კულტურული მოდელი.

3. სერიოს თანახმად, ევრაზიელთა თეორიაში ხელმეორე სიცოცხლეს ჰპოვებს კიდევ ერთი რომანტიკული საკითხი - პრობლემა კულტურული ფარდობითობისა. ევრაზიელთათვის კოსმოსში უნივერსალური არაფერია. ის გახლეჩილია რამდენიმე ურთიერთგანსხვავებულ სამყაროდ. ტრუბეცკოისთვის ენებისა და კულტურების სრულყოფილება მათი სიმრავლის პირდაპირპროპორციულია. ეს გახლავთ პარაფრაზი სტეფან მალარმეს გამონათქვამისა ესსეიდან „ლექსის კრიზისი“: „ენა არასრულყოფილია, რადგან

მრავალია“. ის, რასაც სიმბოლიზმი განიცდიდა დაქუცმაცებული, ერთობადაკარგული კულტურის შემხედვარე, ევრაზიელებმა რომანტიზმის ეპოქაში გადაიტანეს და აღფრთოვანდნენ კულტურულ ტიპთა მრავალფეროვნებითა და თვითმყოფობით. ევრაზიული ლინგვისტიკა უპირატესობას ანიჭებდა ენათა და კულტურათა არა - თანდაყოლილ, არამედ შეძენილ ურთიერთმსგავსებას. „პირველად“ არავითარი პრაენა არ არსებობდა, და მხოლოდ შემდეგ - სტრუქტურულად გაერთიანებისაკენ მიდრეკილი კილოკავები დაახლოვდნენ და ენობრივ კავშირებად ჩამოყალიბდნენ. შესაბამისად, ყოველგვარი ნათესაობის მიუხედავად, მათი ურთიერთგანსხვავების უსაზღვროდ ბევრი შესაძლებლობა არსებობს. უნდა გავითვალისიწინოთ ისიც, რომ რომანტიკული კულტურული პლურალიზმი შემოფარგლულია და ის მშვენივრად თანაარსებობს ნაციონალიზმთან. ენათა და კულტურათა მრავლობითობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს მათ თანასწორობას: რომელიმე მათგანი, შესაძლოა, სხვაზე მაღლა იდგეს, და ეს, უწინარესად, თეორეტიკოსის მშობლიური ენაა. ასეა ენობრივ კავშირშიც: არის ენა-ლიდერი და არის ენა-ქვეშევრდომი. ეს ბუნებრიობა, ფაქტობრივად, უზრუნველიყოფოდა ევრაზიის ტერიტორიაზე გაბატონებული რუსი ეთნოსით. ეს თეორია ცდილობდა ახალი რუსული იდეის, რუსული სახელმწიფოებრიობის ახალი იდეოლოგიის შექმნას. ამგვარად, ევრაზიელთა მიერ შემუშავებული შეზღუდული რელატივიზმის კონცეფცია უახლოვდებოდა მისწრაფებას რუსული-საბჭოთა იმპერიის კონსერვაციისაკენ. ამ სწრაფვამ 1920-იანი წლების მიწურულისათვის სძლია საბჭოთა კომუნისტური ხელისუფლების გლობალური პოლიტიკური ექსპანსიის ტენდენციას. თუმც უდავოა ევრაზიელთა და ადრინდელი და მეორე მსოფლიო ომის შემდგომი საბჭოთა დისკურსის სიახლოვე. ამ თვალსაზრისით, ევრაზიელთა რელატივისტური ლინგვისტიკა, ფაქტობრივად, გაამართლა (ცხადია, მათ მოუხსენიებლად) ენათმეცნიერმა სტალინმა, რომელმაც სიკვდილის მერე გაუსწორა ანგარიში ევრაზიელთა იდეურ კონკურენტს - ნიკო მარს. სტალინმა აღნიშნა ენის არადეტერმინებული ხასიათი: ის არ განეკუთვნება არც „ბაზისს“, არც - „ზედნაშენს“ და, შესაბამისად, არ შეუპირობებია რომელიმე სოციალურ ფაქტორს - ხალხთა ურთიერთგანსხვავებულობა ისეთივე ბუნებრივია, როგორიც - ინდივიდთა თანდაყოლილი ფიზიკური თავისებურებანი. საბჭოთა სახელმწიფოს ამოცანა წააგავს მიჩურინისა და ლისენკოს ბიოლოგიის მიზანს: აღარ დაელოდოს ენობრივი ბუნების წყალობას და შემოქმედებითად გარდაქმნას იგი - გამოიყვანოს საბჭოთა ადამიანის ახალი ჯიში. პარადოქსულია, მაგრამ ხალხთა და კულტურათა შერწყმის სტალინურ თეორიასთან ევრაზიელები მარისტებზე უფრო ახლოს დგა-

ნან. პრაღული ვერაზიულობის ისტორია იმის მაგალითია, მნიშვნელოვანი თეორია უნებლიეთ როგორ ახდენს საკუთარ კომპრომეტაციას იმპერიულ იდეოლოგიასთან სიახლოვით (Серио: 2001).

ცალკე აღნიშვნის ღირსია აშშ-ში მოღვაწე რუსი ისტორიკოსის, სერგეი გლებოვის დოკუმენტირებული წიგნი „ევრაზია იმპერიასა და მოდერნს შორის“. ევრაზიული მოძრაობის წამყვან ფიგურათა - ნ. ტრუბეცკოისა და პ. არაპოვის - პ. სუვჩინსკისადმი და პ. სავიცკისა - ნ. ტრუბეცკოისადმი მიძღვნილ წერილთა საფუძველზე ავტორი ახლებურად აფასებს ევრაზიული მოძრაობის ისტორიაში უკვე დამკვიდრებულ ბევრ შეხედულებას. მიმოწერა ცხადყოფს ევრაზიული მოძრაობის წარმოშობასა და განვითარებასთან დაკავშირებულ პრობლემებს, შინაგან დებატებს, დამოკიდებულებას მეოცე საუკუნის პირველი მესამედის სხვადასხვა ინტელექტუალური მიმართულებებისადმი, კავშირს ემიგრანტულ საზოგადოებებსა და სსრკ-სთან, სსრკ საიდუმლო სამსახურთა შეღწევაზე ემიგრანტულ გარემოში და 1920-იანი წწ.-ის რუსული ემიგრაციის პოლიტიკური ცხოვრების სხვა სიუჟეტთა არსს. წერილებს თან ახლავს გამოწვლილვითი კომენტარები და შესავალი - ევრაზიული მოძრაობის ფაქტობრივი და ინტელექტუალური ისტორიის ნარკვევი, რომელშიც ომთაშორის პერიოდის პოლიტიკური, იდეოლოგიური და სამეცნიერო კონტექსტი სხვა რეალობას ქმნიდა (Глебов: 2010).

იმ დროს, როცა პროექტზე „ევრაზიულობის თეორია და საქართველო“ მუშაობა დავიწყეთ, ქართველ მეცნიერთაგან ევრაზიულობის გეოგრაფიული პარადიგმის თანამედროვე კონტექსტში გადმოტანას აკრიტიკებდა აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა. მეცნიერი ახალ გეოპოლიტიკურ თვალსაზრისს აყალიბებდა სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის დამკვიდრებულ სახელწოდებათა არარელევანტურობის თაობაზე და სამეცნიერო საზოგადოებას ახალ ტერმინს „ცენტრალური კავკ**აზია**“ სთავაზობდა (პაპავა: 2012; Папава: 2007; Ismailov, Papava: 2006).

ნეოევრაზიულობის საფრთხეზე მიუთითებდა ეროვნებით ქართველი, კანადაში მოღვაწე პოლიტოლოგი, დოქტორი ლაშა ჭანტურიძე (Tchantouridze Lasha: 2004).

ევრაზიულობის კლასიკური პარადიგმის ისტორიულ-პოლიტიკურ ასპექტებს ეხებოდა ჩემი სამეცნიერო სტატიები და მოხსენება შედარებითი ლიტერატურის მეორე საერთაშორისო კონფერენციაზე: ლიტერატურა და კულტურა: მოდერნიზმი, ავანგარდიზმი _ მემკვიდრეობა და დღევანდელობა; პოსტკოლონიური დისკურსი და პოსტკოლონიური რეალობა; მევე ვთარგმნე ქართუ-

ლად პირველად ნ. ტრუბეცკოის სტატია „კავკასიელ ხალხთა შესახებ“ (ევრაზიულობის ადეპტთა და მოწინააღმდეგეთა სხვა სტატიებთან ერთად) და ექსცერპტები ზემოთ მითითებულ სტატიაში გამოვიყენე (ჯოხაძე: 2005; ჯოხაძე: 2006).

აღსანიშნავია თინათინ ბოლქვაძის მონოგრაფია (ბოლქვაძე: 2005), რომელშიც ავტორი სპეციალურად იკვლევს ევრაზიული თეორიისა და საბჭოთა ენობრივი პოლიტიკის ურთიერთმიმართებას. ამ მხრივ, საინტერესოა მისივე სამეცნიერო სტატიაც (Bolkvadze: 2011).

2006 წელს გამოიცა ერეკლე ურუშაძის „ევრაზიის ფონდის“ მიერ დაფინანსებული ნაშრომი „ რუსული საგარეო პოლიტიკური აზროვნება პოსტსაბჭოთა პერიოდში“ (ურუშაძე: 2006), რომელშიც ავტორი ტრადიციული კონცეფციებისადმი მიძღვნილ თავში ევრაზიულობის ძირითად მარკერებს გამოყოფს.

ახლახან ქართულ ინტერნეტსივრცეში გამოჩნდა პოლიტოლოგ მალხაზ მაცაბერიძის საცნობარო ნაშრომი „პეტრე სავიცკი - რუსული ევრაზიელობის გეოპოლიტიკური საფუძვლები“ (მაცაბერიძე: 2015), რომელშიც ავტორი გვიამბობს პეტრე სავიცკის განვლილ გზაზე, ევრაზიულობის თეორიის ძირითად დებულებებსა და ნეოევრაზიელთა საქმიანობაზე.

ამგვარად, ვცადე, მიმომეხილა ევრაზიულობის არსის გამომხატველ წყაროთა და სამეცნიერო ნაშრომთა უმრავლესობა, რაც, იმედია, დაეხმარება მკითხველს შემდეგ თავებში წამოჭრილ პრობლემათა უკეთ გაცნობიერებაში. ნიშანდობლივია, რომ ჩემთვის ცნობილ მონოგრაფიათა თუ სადისერტაციო ნაშრომთა უმეტესობაში წყაროთა და ლიტერატურის ამსახველი თავები ასე სრულდება ხოლმე: „ევრაზიულობაზე კამათი გრძელდება“. ვერც მე ავცდი ასეთ დასასრულს, რომელიც, თავის მხრივ, დასაწყისია.

სლავოფილური პროლოგი

ევრაზიულობის ჩასახვას სლავოფილურ ტრადიციას უკავშირებენ. სლავოფილობა მეცხრამეტე საუკუნის 40-იან წლებში ჩამოყალიბებული რუსული საზოგადოებრივი აზრის ლიტერატურული და რელიგიურ-ფილოსოფიური მიმდინარეობა გახლდათ. მისი კვლევის ვექტორი მიმართულიყო რუსეთის თვითმყოფადობის გამოვლენის, დასავლეთისაგან მისი ტიპოლოგიური განსხვავებულობის დადგენისაკენ. სლავოფილები იმის დასაბუთებას ცდილობდნენ, რომ რუსეთს დასავლეთ ევროპისაგან განსხვავებული ისტორიული გზა ჰქონდა; მათი აზრით, რუსეთს ძალუძდა ერესისა და ათეიზმის მარწუხებში მოქცეული ევროპელი ხალხებისათვის მართლმადიდებლური ჭეშმარიტების განდობა. სლავოფილები ამტკიცებდნენ, რომ არსებობდა კულტურის განსაკუთრებული ტიპი, რომელმაც მართლმადიდებლობის სულიერ ნიადაგში გაიდგა ფესვი; ისინი უარყოფდნენ „მედასავლეთეთა“ იმ თეზისს, რომ პეტრე I-მა რუსეთი ევროპის წიაღში დააბრუნა და ქვეყანამ ევროპულ სახელმწიფოთა მსგავსი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების გზა უნდა განვლოს (Липич: 2008).

უნდა მივუთითოთ სლავოფილობის ისტორიულ წანამძღვრებზეც:

კერძოდ კი, იმ დავაზე, რომელიც მიმდინარეობდა ვოლოკოლამსკის მონასტრის დამაარსებლისა და წინამძღვრის, იოსიფ ვოლოცკისა (1440-1515) და რუსი ღვთისმეტყველის, ნილოს სორელის (1433-1508) მომხრეებს შორის.

ორ პრობლემას განიხილავდნენ:

როგორი უნდა ყოფილიყო ეკლესიის დამოკიდებულება ერესებისადმი (მაშინ ნოვგოროდში ზაქარიას (სქარია) წვალებას გამოუჩნდნენ მხარდამჭერნი: ერთი ვერსიის თანახმად, ზაქარია ტომით ებრაელი გახლდათ და მისი მოძღვრებაც პროიუდაისტურად უნდა მივიჩნიოთ) და როგორ უნდა მოესპოთ მონასტრებში გამეფებული უზნეობა.

იოსიფ ვოლოცკის მიმდევრებს მხარი დაუჭირა ივანე III-მ (1462-1505) - მოსკოვის დიდმა მთავარმა: ბიზანტიურ ეკლესიას, რომლის შეხედულებებს აღიარებდა და ავრცელებდა ნილოს სორელი, მოსკოვურ-რუსული საწყისი დაუპირისპირდა. იოსიფ ვოლოცკის მომხრეთა გამარჯვებამ მოგვიანებით (XVI ს. დამდეგი) შესაძლებელი გახადა, ფსკოვის მონასტრის ბერს, თიოლოთეოსს გამოეთქვა მოსკოვის, როგორც მესამე რომის, იდეა. ეს აზრი მთელი საუკუ-

ნის განმავლობაში რუსულ სახელმწიფო იდეოლოგიად ფორმირდება: „ორი რომი დაეცა - მესამე ზეობს. მეოთხეს კი ყოფნა არ უწერია“. მიჩნეულია, რომ სწორედ ამ დროიდან მკვიდრდება გამოთქმა „წმინდა რუსეთი“ (Левицкий : 2011).

სლავოფილთა უმნიშვნელოვანეს წყაროდ მიჩნეულია გერმანული კლასიკური ფილოსოფია (შელინგი, ჰეგელი) და მართლმადიდებლური ღვთისმეტყველება.

გავიხსენოთ, რომ 1817 წელს გამოქვეყნებულ ჰეგელის ნაშრომ „ფილოსოფიურ მეცნიერებათა ენციკლოპედიის“ მესამე თავი „სულის ფილოსოფიას“ ეთმობა. ამ თხზულებაში, სხვა ფილოსოფიურ დებულებებთან ერთად, გარკვეულ სოციალურ-პოლიტიკურ შედეგთა განჭვრეტაც შეიძლება. ჰეგელის ფილოსოფიური სისტემის თანახმად, კაცობრიობამ აბსოლუტური ჭეშმარიტების (მეცნიერული ფილოსოფიის ფორმით) შეცნობა შეძლო. ამდენად, ის დრო და ადგილი, როცა და სადაც ჰეგელი მოღვაწეობდა - კაიზერ ვილჰელმისდროინდელი გერმანია - ისტორიული განვითარების უმაღლესი ეტაპიცაა. აქ მკაფიოდ ჩანს მონარქიული წყობის უკვდავყოფის იდეოლოგიური ტენდენცია, თუმც ჰეგელი გერმანული ნაციონალიზმის არგუმენტირებასაც ცდილობს. იდეის განვითარების უმაღლეს ეტაპს ეთანადება საზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობის ყველაზე სრულყოფილი - გერმანული - სისტემა, გერმანელები კი რჩეული ხალხია. დანარჩენებმა უკვე შეასრულეს თავიანთი ისტორიული როლი ან ეს საერთოდაც არ ძალუძთ (Гегель: 1934).

გავიხსენოთ ისიც, რომ ტრანსცენდენტულმა იდეალიზმმა შელინგი ისტორიული პროცესის, როგორც თავისუფლების განხორციელების, გაგებამდე მიიყვანა. თუმც აქ საყოველთაო თავისუფლება იგულისხმება და არა - ცალკეული ინდივიდებისა, და ამ განხორციელებას სამართლებრივი წესრიგი ზღუდავს. ამგვარი წესრიგის შექმნა გულისხმობს თავისუფლებას და გარდაუვალობას. გარდაუვალობა ისტორიული პროცესის არაცნობიერი ფაქტორებისთვისაა ნიშანდობლივი, თავისუფლება კი - ცნობიერთათვის. ორივე პროცესს ერთი და იმავე მიზნისაკენ მივყავართ. სამყაროს მიზნის განხორციელებისას გარდაუვალისა და თავისუფლის დამთხვევა იმაზე მიუთითებს, რომ სამყაროს საფუძვლად უდევს რაღაც აბსოლუტური იგივეობა: სწორედ იგია ღმერთი. ისტორიულ პროცესში ღვთაებრივი ძალა სამმაგად მოქმედებს: უწინარესად, ეს არის ბრმა ბედისწერა, რომელიც ადამიანებზე ბატონობს; ასე-

თია პირველი ფატალისტური პერიოდი, ტრაგიზმით რომ გამოირჩევა. მეორე პერიოდს თანამედროვეობა განეკუთვნება, რომლის გაბატონებული პრინციპიცაა მექანიკური კანონზომიერება. მესამე პერიოდში ღვთაებრივი ძალა ღვთის ნების სახით ვლინდება: „როცა ეს პერიოდი დადგება, მაშინ იქნება ღმერთიც“, - იდუმალად ასკვნის შელინგი (ШЕЛЛИНГ: 1987).

სლავოფილთა მოძღვრების წყაროდ ასახელებენ აღმოსავლურ პატროლოგიასაც - ისაკ ასურის, მაქსიმე აღმსარებლის, გრიგოლ ღვთისმეტყველის, ათანასე დიდისა და სხვათა იდეებს.

რუსული მესიანიზმის გამოფხიზლება

მე-19 ს. პირველი ათწლეული, შემდეგ კი - 1812 წლის სამამულო ომის ეპოპეა, რუსული წარმატებული ევროპული პოლიტიკა, მ. სპერანსკის გახმაურებული პროექტი, საიდუმლო საზოგადოებათა წარმოქმნა და სოციალურ გარდაქმნათა მოლოდინი ცვლის საზოგადოების განწყობას. მცირე ხნით მოაზროვნის როლმა მომხიბლაობა დაკარგა და მას საზოგადოებრივი მოღვაწის იდეალი ჩაენაცვლა.

მაგრამ 1825 წლის შეთქმულების კრახმა და ნიკოლოზ I-ის მიერ დეკაბრისტთა დასჯამ ცხადყო, რომ გარდაქმნათა მოლოდინი მხოლოდ ქიმერა იყო: დაიწყო უმკაცრესი პოლიტიკური რეაქციის პერიოდი, რომელსაც მოჰყვა გაბატონებულ საზოგადოებრივ მიმდინარეობათა სახეცვლილებაც. განახლდა თეორიული ძიებანი, სინამდვილის ფილოსოფიური გააზრება... საზოგადოებრივ-ფილოსოფიური აზროვნების დომინანტად კვლავ რუსეთის ევროპისადმი დამოკიდებულება იქცა. ოპოზიცია: „აღმოსავლეთი“ (რუსეთი) - „დასავლეთი“ (ევროპა) ეგებ ოდინდელ რუსულ საცდურადაც კი მივიჩნიოთ, რადგან რუსული სახელმწიფოებრიობა ევროპის აღმოსავლეთში ჩამოყალიბდა, რის გამოც ევროპა მას ყოველთვის აღმოსავლეთად აღიქვამდა; თანაც, რუსეთი მაშინ გამოჩნდა ისტორიულ ასპარეზზე და გაქრისტიანდა, როცა კათოლიკურ-დასავლური და მართლმადიდებლურ-აღმოსავლური წინააღმდეგობანი გამწვავებულიყო; ბოლოს და ბოლოს, რუსეთს საკუთარი აღმოსავლეთიც ჰქონდა - ნომადთა ცხენების თქარათქურით აბოლებული სტეპები, რომელსაც არა მხოლოდ ერკინებოდა, არამედ „ესაუბრებოდა“ კიდეც: ასე ახლოვდებოდა ეთნიკურად და კულტურულად ორი ტოპოსი.

ვ. კლუჩევსკის თქმით, ისტორიული რუსეთი, ცხადია, აზია არ არის, მაგრამ გეოგრაფიულად არც მთლად ევროპაა. ეს გარდამავალი, ორი სამყაროს შუამავალი ქვეყანაა. კულტურამ ის ევროპას მიაჯაჭვა, ბუნებამ კი ისეთი თავისებურებებითა და გავლენით დატვიფ-

რა, ყოველთვის აზიისკენ მიისწრაფოდა ან აზია მოისწრაფოდა მისკენ (Ключевский: 1987).

რუსეთს ყოველთვის ტანჯავდა დილემა, რომელიც ვლ. სოლოვიოვმა ლექსად გამოთქვა:

„რუსეთო! ბედისწერაა წმინდა,
რომ სავლე - რწმენით სცვალე პავლეთი;
მაშ, აირჩიე, რომელი გინდა:
ქსერქსეს თუ ქრისტეს აღმოსავლეთი?!“

მე-19 ს. 20-30-იან წწ.-ში ამ დილემას ახალი ფილოსოფიური მნიშვნელობა მიენიჭა. განუხრელ დაინტერესებას დასავლურ-ევროპული აზროვნებით, კანტის, ფიხტეს, შელინგის, ჰეგელის ფილოსოფიის შტუდირებას, ახალი დროის ფასეულობებს მოჰყვა დამოუკიდებელი ცდა საკუთარი ისტორიის ახსნისა იმ საერთო განყენებულ საწყისთა პოზიციიდან, რომლებიც საფუძვლად ედო სამყაროს წარმმართველ მსოფლშეგნებას. დასავლურ ფილოსოფიურ სისტემათა ზეგავლენამ შეფასების კრიტერიუმებს ადგილი უცვალა: ყურადღება მიაპყრეს არა - ისტორიის ამა თუ იმ ინტერპრეტაციის პრაქტიკულ ორიენტაციას, არამედ მის შინაგან ფილოსოფიურ საზრისს. განმტკიცდა აზრი, რომ ისტორიული მსჯელობა უცილოდ გულისხმობს გარკვეულ ფილოსოფიურ მსოფლშეგნებას, რომელიც ისტორიულ მოვლენათა მკვლევარს ეხმარება. ევროპული სულიერი კულტურის ზემოქმედებით, ჩამოყალიბდა მიმართულება, რომელიც ეფუძნებოდა ადამიანური გონის გადამწყვეტ ფუნქციას. გონის ძალმოსილება მისი უნარია, იმოქმედოს მოვლენათა ისტორიულ მდინარებაზე: ეს ადამიანს პასუხისმგებელს ხდის, მონაწილეობა მიიღოს არა მხოლოდ მშობლიური ქვეყნის, არამედ - მსოფლიო ისტორიაშიც. ნებისმიერი საზოგადოებისა და, ზოგადად, კაცობრიობის განვითარებას განსაზღვრავს ორი ურთიერთდაკავშირებული პარამეტრი: ადამიანური და ნაციონალური. ეროვნული თვითშეგნება განვითარების ახალ გზას ინიშნავს: საკუთარი ნაციისადმი მიკუთვნებულობის შეგნება ცივილიზაციის ევროპული დონის ღირსეული და თანაზომადი ცნობიერებაა (Кизеветтер:1896; Гегель: 1974).

რუსულ-ევროპულ ურთიერთობათა პრობლემის ინტერპრეტაციისას უმთავრეს ელემენტად იქცა პასუხისმგებლობის განცდა საკუთარი ქვეყნის ბედსა და საკუთარივე ხალხის მდგომარეობაზე. ფილოსოფიურ-ისტორიული აზროვნების ახალი პარადიგმის ერთგვარ ლაბორატორიად მოევლინათ „სიბრძნისმოყვარეთა საზოგადოება“, რომელიც 1823 წელს თავად ვლადიმირ ოდოევსკის (1803-1869) თაოსნობით შეიქმნა. მისი მიზანი იყო, შეესწავლა გერმანული კლასიკური

ფილოსოფია, კერძოდ, შელინგი და გერმანული რომანტიზმი. სიბრძნისმოყვარენი მალევე დაინტერესდნენ რუსეთის დამოკიდებულებით ევროპისადმი. როგორც ჩანს, დასავლურ-ევროპული აზროვნებით გატაცებამ წარმოშვა მოტივი საკუთარი მამულის ისტორიით დასაინტერესებლად და თანამედროვე ცივილიზებულ სამყაროში მისი როლის დასადგენად.

ამგვარად, ძველი მესიანური იდეოლოგემის ფარგლებში გაფორმდა ახალი მოსაზრება რუსეთის განსაკუთრებულ გამოწვევაზე, ეშუამავლა დასავლეთსა და აღმოსავლეთთან, წარსულსა და აწმყოსთან... ქრისტიანობამ მომაკვდავ ანტიკურობას ახალი სული შთაბერა; ევროპის გადარჩენა ახლაც შესაძლებელია ისტორიის სცენაზე იმ ახლებურად შემართული ხალხის გამოსვლით, რომელსაც მხრებს არ უმძიმებს ევროპული წარსულის ტრადიცია. სიბრძნისმოყვარეთა აზრით, ეს რუსი ხალხი იყო.

ეს იდეა მხატვრულად გარდაისახა ვ. ოდოევსკის რომანში „რუსული ღამეები“ (კაცობრიობის დანიშნულება ურთიერთძმობაა, რომელიც მიიღწევა მსოფლიო გონის ესტაფეტით - ერთი ხალხიდან მეორისთვის; ამ საერთო ლტოლვისას დასავლეთი უკვე გაისარჯა, რაც მისი დასასრულის დასაწყისია; უპირატესობა ჩამორჩენილ, „ცინცხალ“, „არაისტორიულ“ ხალხებს ენიჭება, რომელთა შორის მოიაზრებიან რუსები, გ.ჯ.) (Одоевский: 1975).

ამ იდეის ადეპტად გვევლინება პეტრე ჩაადაევიც (1794-1856).

დეკაბრისტთა აჯანყების დამარცხებისა და დასჯის შემდეგ, როცა სიტყვაც საქმე იყო, ეპისტოლარულ ჟანრს ამოფარებულმა ჩაადაევმა ეპატაჟი მოაწყო: მისი აზრით, რუსეთის სიდიადე სრულიად არ ეთანადებოდა მის თანამედროვე მდგომარეობას. მის ფილოსოფიურ მსჯელობაში დასავლეთი იდეალურ მოდელად ცხადდებოდა, რუსეთი კი - იმ ქვეყნად, რომლის ბედიც პროვიდენციას დიდად არ ანაღვლებდა. ევროპისა და აზიის შუა მომწყვდეული, რუსეთი უმალ გეოგრაფიაა, ვიდრე - ისტორია. ის მსოფლიო ისტორიაში, შესაძლოა, საერთოდაც არ მოეხსენიებინათ, გერმანიიდან ბერინგის სრუტემდე რომ არ გადაჭიმულიყო და მონგოლებს არ დაელაშქრათ. რუსეთი არასოდეს ივლიდა სხვა ხალხებთან ერთად. რუსები არ მიეკუთვნებიან კაცთა მოდგმის რომელიმე ცნობილ ოჯახს, არც დასავლეთს, არც - აღმოსავლეთს, არც ერთის ტრადიციები აქვს, არც - მეორისა. რუსები, თითქოს, დროის მიღმა დარჩნენ. კაცობრიობის საყოველთაო აღზრდა მათზე არ გავრცელებულა. ამის მიზეზი რუსეთის მსოფლიო ისტორიიდან „ამოვარდნაა“, რასაც თან სდევდა რელიგიური და ნაციონალურ-კულტურული პარტიკულარიზმი. ჩაადაევის დამოკიდებულება რუსეთისა და ევროპისადმი დროთა განმავლობაში იცვლებოდა: თუ „ფილოსოფიური წერილების“ პირველ ნაწილში ის რომე-

ლიღაც იდეალურ მოდელს იცავდა, მოგვიანებით აღიარებდა თავდა-პირველ შეფასებათა და ისტორიული რეალობის ურთიერთშეუსაბამობას. მოაზროვნემ პრობლემის გადაჭრა პროვიდენციალიზმის მეშვეობით განიზრახა. მისი კონცეპტუალური სქემის თანახმად, ისტორიის საზრისი განისაზღვრება ღვთიური ნებით, რომელიც მბრძანებლობს დროზე და რომელსაც ადამის მოდგმა საბოლოო მიზნამდე მიჰყავს (Чаадаев:1989).

ამგვარად, საღვთო გამოცხადება სამყაროს ისტორიული მყოფობის საფუძველია, მაგრამ მისი სუბიექტი კაცობრიობა ან ცალკეული ადამიანია, როგორც მისი პერსონიფიცირებული ნაწილი. ამ თვალსაზრისით, არ არსებობენ ისტორიული და არაისტოორიული ხალხები. არის ხალხი, რომელმაც შეიგნო ბედისწერის არსი და არიან ისეთებიც, რომელთაც ეს ნიშანი ვერ შეიცნეს. ჩაადაევის აზრით, თუკი რუსეთმა შეიცნო საკუთარი მოწოდება, უნდა იტვირთოს ყველა დიდსულოვანი აზრის განხორციელება, რადგან მას არ ამძიმებს ევროპული იდეებისა და ინტერესებისადმი მიჯაჭვულობა.

შეიძლება ითქვას, რომ რუსული ისტორიოსოფია ჩაადაევის მადლიერი უნდა იყოს მომდევნო ათწლეულების განმსჭვალავი პრობლემის დასმისათვის. ჩაადაევის პესიმიზმის გასაფანტად გამოჩნდა ახალი მოფიქრალი თაობა.

რუსული იდეა

მსოფლიო ისტორიაში რუსეთის ადგილისა და როლის განმსაზღვრელი რუსული იდეის კონცეპტუალური გაფორმებისაკენ სწრაფვა სლავოფილთა და მედასავლეთეთა პოლემიკით იწყება, რომელიც ეხებოდა ნ. გოგოლის პოემა „მკვდარი სულების“ გაგებას. საზოგადოების ერთმა ნაწილმა გოგოლს რუსეთისთვის ცილის დაწამება დააბრალა და, იმავდროულად, განჭვრიტა ნიშანი, რუსეთს დიდ მომავალს რომ უქადდა. მეორენი, პირიქით, მწერლის რეალიზმს ეთაყვანებოდნენ. შემდეგ ბრძოლამ უფრო გამოკვეთილი ხასიათი შეიძინა და, შესაბამისად, უფრო გამძაფრდა კიდეც.

მედასავლეთენი (ნ. სტანკევიჩი, ბ. ბელინსკი, კ. კაველინი, ტ. გრანოვსკი, ვ. ბოტკინი, პ. ანენკოვი, ნ. ოგარევი, ა. გერცენი) ესწრაფოდნენ რუსეთის საუკუნო ჩამორჩენილობის დაძლევას და მის სვლას დასავლური ცივილიზაციისაკენ (მთავარი თეზისი: რუსი-ევროპელობა და ევროპელი რუსობა).

სლავოფილები (ა. ხომიაკოვი, ი. კირეევსკი, პ. კირეევსკი, კ. აქსაკოვი, ი. აქსაკოვი, ი. სამარინი) ავითარებდნენ ევროპისა და რუსეთის ურთიერთგანსხვავებულობის იდეას: დასავლეთში უპირატესია ინდივიდუალისტური საწყისი, რუსეთში - თემური; ევროპა წარ-

მოიქმნა ერთი ხალხის მიერ მეორის დაპყრობის შედეგად, რუსეთი - მშვიდობიანი გზით; დასავლეთში მკვიდრობს ანგარიშიანი კათოლიციზმი, რუსეთში - ერთიანი ქრისტიანული სარწმუნოება.

იყო კიდევ ერთი სადავო საკითხიც: თუ რუსეთმა მართლაც მიაღწია ევროპის დონეს, გასარკვევია, რა სიახლეს შესძენს ის მსოფლიო ისტორიას; რა ადგილს დაიჭერს იგი მსოფლიო ცივილიზაციის პროცესში და რით უკავშირდება მისი წარსული მისსავე აწმყოსა და მომავალს?

ფილოსოფიურ შეხედულებათა ორივე სისტემა ეფუძნებოდა საერთო ნიადაგს - დასავლეთევროპულ ფილოსოფიას, რომელმაც დატვიფრა მთელი პოლემიკა. ორივეს სწამდა რუსეთის ისტორიული მოწოდებისა. მათ ერთი პრობლემისკენ სვლა სხვადასხვა გზებით განიზრახეს, გამოსავლის პოვნის ხერხებმა კი ისინი ერთმანეთს დააცილა. ორივე აკრიტიკებდა ნიკოლოზის რეჟიმსა და ბატონყომობას, ორივე იცავდა სინდისის, სიტყვის, ბეჭდვის თავისუფლებას. ორივე ლიბერალ-იდეალისტი იყო. მეტიც: ორივე პეტრე პირველის ბუდიდან ამოფრენილ მართვეს წააგავდა, მე-18 ს. რუსული განმანათლებლობის პირმშოს, რომლებზეც იმოქმედა დეკაბრისტთა იდეებმა...

სლავოფილთა და მედასავლეთეთა პოლემიკის მთავარ ვექტორად იქცა ოპოზიცია „რუსეთი-ევროპა“ და რუსეთის სამომავლო პროგნოზი. მაგრამ რაც ერთთა მიერ მადლად აღიქმებოდა, მეორენი მას ეკონომიკური ჩამორჩენილობისა და სულიერი უძრაობის მიზეზად მიიჩნევდნენ. განიხილავდნენ რუსული თემის საკითხს. სლავოფილებს ეიმედებოდათ ხალხის ცხოვრების თემური პრინციპი. თემი, მათი აზრით, ხალხის ის კავშირი იყო, რომელსაც უარი ეთქვა საკუთარ ეგოიზმზე, პიროვნებაზე და გაერთიანებულიყო. ამას მედასავლეთენი არ ეთანხმებოდნენ: ერთობის ხარჯზე პიროვნება იტანჯებაო.

სლავოფილთა ანტიდასავლურ განწყობა, ძირითადად, ანტიმეშჩანური, ანტიკათოლიკური და ანტიპროტესტანტული გახლდათ, საპირისპიროდ - მართლმადიდებლობის აპოლოგიისა. რუსეთს არა მხოლოდ საკუთარი ცხოვრება უნდა დაეფუძნებინა ჭეშმარიტ ქრისტიანულ საწყისებზე, არამედ ამგვარი ცხოვრების პრინციპები მთელი დედამიწის მოსახლეობისთვის გაეზიარებინა. რუსეთს უნდა მიეთითებინა კაცბრიობისათვის, რა იყო ჭეშმარიტი ძმობა და საყოველთაოობა (соборность). ეს სიტყვა, რომელსაც ზუსტი ეკვივალენტი სხვა ენებში არ ეძებნება, ა. ხომიაკოვის შემოტანილია. ეს უნდა ყოფილიყო „ერთიანობის თავისუფლება“. ხომიაკოვის რწმენით, კათოლიკურ ეკლესიაში ასეთი ერთობა შეუძლებელი იყო, რადგან კათოლიკეს თავი ძმური ერთობის წევრად

კი არა, საეკლესიო ორგანიზაციის ქვეშევრდომად მიაჩნია (Аксаков: 1889).

სლავოფილური ვარიანტი

,,აღმოსავლეთ-დასავლეთის“ პრობლემის დამუშავებისას ყველაზე სახიერად წარმოჩნდა „სლავოფილური ვარიანტი“, რომლის ავტორებად ივან კირეევსკი (1806-1856) და ალექსეი ხომიაკოვი (1804-1860) მოგვევლინენ. საუნივერსიტეტო განათლების მქონე ამ ორმა ინტელექტუალმა (კირეევსკის ჰეგელი უჩვეულოდ გონიერ შეგირდად მიიჩნევდა, გ.ჯ.) რუსულ იდეას დასრულებული ისტორიოსოფიული საზრისი მიანიჭა. ჩაადაევის საპასუხოდ, კირეევსკიმ დაწერა სტატია „მეცხრამეტე საუკუნე“. ავტორის აზრით, ევროპისაგან განსხვავებით, რუსეთს არ შეუქმნია საკუთარი ცივილიზაცია და ის ევროპისაგან განცალკევებულად ვითარდებოდა. ამას ხელს უწყობდა განსხვავებული კულტურულ-გენეტიკური თავისებურებანი. სამი მთავარი სტიქია შეიქნა ლიბო ევროპული განათლებისა: ქრისტიანული რელიგია, ბარბაროს ხალხთა სულისკვეთება, რომელთაც დაანგრიეს რომის იმპერია, და ანტიკურ კულტურას დაფუძნებული განათლების ხასიათი. კათოლიციზმის იდეებზე დაშენებულ დასავლურ ცივილიზაციაში უპირატესობა ენიჭებოდა ძველრომაულ მემკვიდრეობას, რომელიც რაციონალიზმით სულდგმულობდა. კათოლიციზმმა ზეინდივიდუალური რელიგიური შეგნება სასულიერო ფენის, შემდგომ კი - პაპის შეგნებას გაუიგივა, რომელსაც სარწმუნოების დოგმატთა კურთხეული ტრადიციების შეცვლის უფლება მისცა. ამის გამო, ეკლესია იქცა არა მხოლოდ ხალხის სულიერი განათლების წყაროდ, არამედ ევროპულ ქვეყანათა პოლიტიკურ განმგებლადაც (Киреевский: 1861). გონებისა და საერო ძალაუფლების სფეროს აღრევამ სასულიერო და საეკლესიო ერთობის სფეროსთან დააზიანა სარწმუნოებაც და გონებაც. ვეროპულ განათლებას, რომელსაც საფუძვლად რაციონალიზმის ანტიკური ტრადიციის აღორძინება დაედო, უნდა დაესრულებინა ევროპული ერთობა. ასეც მოხდა: რეფორმაცია იყოს პიროვნების პროტესტი სარწმუნოების საკითხებში პაპის უპირობო ავტორიტეტის წინააღმდეგ. ევროპული ცივილიზაციის მთლიანობა, მისი სულიერი ერთიანობა, ქრისტიანობიდან რომ მომდინარეობდა, დაირღვა. ევროპის გაერთიანების ფორმებად იქცა საერო კავშირები, კერძოდ, საზოგადოებრივი ხელშეკრულების იდეოლოგია, რომელიც ეფუძნებოდა განკერძოებული ინდივიდის კერძო ინტერესის პრიორიტეტს.

რუსეთში ანტიკური (ბერძნული) მემკვიდრეობა გაშუალებულია ეკლესიის მამათა ქრისტიანული სწავლებით. დასავლური კულტურის რაციონალიზმსა და ინდივიდუალიზმს აქ ეწინააღმდეგება საყოველთაოობა ანუ ერთობა ქრისტეს რწმენასა და სიყვარულში. სწორედ ამან შეაძლებინა მართლმადიდებლობას ქრისტიანული რწმენის პირველყოფილი სიწმინდის შენარჩუნება. ეს კირეევსკის, ევროპისაგან განსხვავებით, რუსეთის სულიერი კულტურის მთლიანობისა და ჰარმონიული განვითარების წყაროდ მიაჩნდა. რუსი ხალხისათვის უცხოა ინდივიდუალური ინტერესისა და კერძო საკუთრების ხელშეუხებლობის გაგება. რუსულ საზოგადოებრიობაში პიროვნება საფუძველთა საფუძველია, ხოლო საკუთრების უფლება - მისი ოდენ შემთხვევითი დამოკიდებულება. რუსული მეურნეობა ეყრდნობა საერთო მიწათსარგებლობასა და მიწის პირობით პყრობას: აზნაურები მიწას მეფის სამსახურისთვის იღებენ, გლეხები კი - აზნაურთა სამსახურისათვის. ამგვარად, საზოგადოება ყალიბდებოდა არა კერძო საკუთრებით, რომელსაც ადამიანებს მიაწერდნენ, არამედ ადამიანებით, რომელთაც საკუთრებას უპიროვნებდნენ. სოციალური ორგანიზმის საწყისი უჯრედი თემი იყო, რომელიც ტრადიციით უზრუნველყოფილ საერთო მიწათმფლობელობასა და თვითმმართველ სამყაროს ეფუძნებოდა. ძველრუსული სამართლისათვის უცხო იყო რომაული სამართლისათვის ნიშანდობლივი ფორმალიზებული რაციონალიზმი, რის გამოც ის ჩვეულებასა და რწმენას ეყრდნობოდა (Киреевский:1861).

ამგვარად, კირეევსკის აზრით, რუსეთ-ევროპის წინააღმდეგობის არსი ინდივიდისა და კოლექტივის სოციალურ ურთიერთკავშირთა ორ ტიპს ემყარებოდა. ამასთან, ეს დიქოტომია მას გეოპოლიტიკურ საწყისთან არ დაუკავშირებია: პრინციპული განსხვავება იმდენად რუსეთსა და ევროპას კი არ ეხებოდა, რამდენადაც ევროპაში მოზეიმე რაციონალიზმსა და ჭეშმარიტ ქრისტიანობას, რომლის ერთგული შემნარჩუნებელი რუსეთი იყო. აქ, თითქოს, წინასწარმეტყველურ-მისტიკური ელემენტი არ ჩანს. მაგრამ კირეევსკი აღიარებდა „ისტორიულ მოწოდებას, რომელიც პასუხისმგებელს ხდიდა ამა თუ იმ ხალხს როგორც საკუთარ, ისე - სამყაროს ბედზე. პროგრესი მთელი კაცობრიობის ერთიანი ძალისხმევით მიიღწევა, მაგრამ თითოეული ხალხი მისთვის განკუთვნილ დროს იფურჩქნება. რუსეთის ჟამი მოდის, კაცობრიობის ისტორიაში მისი დანიშნულება დაკავშირებულია ქრისტიანობის მართლმადიდებლურ საწყისთა დაცვასთან, რაც გადალახავს რაციონალურ ცალსახა ევროპულ განმანათლებლობას. ის ჭეშმარიტი ქრისტიანული კულტურის საწყისთ უნდა დაუბრუნდეს. მართლმადიდებლურმა განმანათლებლობამ უნდა აითვისოს თანამედროვე სამყა-

როს ყველა მიღწევა. აღსანიშნავია, რომ პირველყოფილ ქრისტიანულ დოგმატთა ერთგულებამ შეაპირობა ის თავისებურებანი, რომლებიც მოგვიანებით ნაციონალურ ნიშან-თვისებებად ჩამოყალიბდა.

რუსული იდეა, როგორც ისტორისოფიული იდეოლოგემა, ახასიათებს ხომიაკოვის ისტორიოსოფიას. ეგ არის, რელიგიური პროვიდენციალიზმი მნიშვნელოვნად შერბილებულია და შემოფარგლულია ისტორიული სვლის ლოგიკით, ისტორიის კანონებით, თავისუფლების აღიარებით (თუმც კი ამ უკანასკნელს ხომიაკოვი საკუთარი ბედისაკენ სწრაფვად მიიჩნევდა). ეს ორგემაგეობა (სიმულტანური რელიგიურობა და ისტორიულობა) ხომიაკოვის ფილოსოფიური შემოქმედების მარკერია.

ხომიაკოვის რელიგიური მესიანიზმი ეთნოგრაფიულ-ლინგვისტურ ნიადაგს ეფუძნება. ისტორია მოუწოდებს რუსეთს მსოფლიო განათლების წინამძღვრობისაკენ. მას ეს უფლება მისი ყოველმხრიობისა და საწყისთა სისავსისათვის ენიჭება, - წერდა ხომიაკოვი. ამ საწყისთა ძირები ისტორიაში, ყოფაში, რუსი ხალხის ცხოვრების წესშია. ხომიაკოვი თვით სარწმუნოებასაც ისტორიის ემპირიკად მიიჩნევს. ამიტომაც ისტორიის მისეულ ფილოსოფიაში უფრო მეტი რელიგიურ-ზნეობრივი შეფასებაა, ვიდრე - რელიგიურ-მისტიკური გამოცხადებანი.

ხომიაკოვი პრობლემას „აღმოსავლეთი-დასავლეთი“ ისევე, როგორც მთელი რუსული იდეის არსს, ამკვიდრებს ისტორიაში მოქმედი ორი ძალის - „ქუშიტურობისა“ და „ირანულობის“ დიქოტომიაზე. ქუშიტთა სტიქია, რომელიც ემყარებოდა ნივთიერი უცილობლობის ძალაუფლებასა და ლოგიკურ-განსჯითი საწყისის ბატონობას, საფუძველია ქრისტიანობის ყველა დასავლური განშტოებისა. ირანული სტიქია კი შემოქმედი სულის რელიგიას - მართლმადიდებლობას ესაძირკვლება, რომელშიც გონება ჰარმონიულად ეთანადება შემეცნების უმაღლეს ფორმას - რწმენას. ხომიაკოვს მართლმადიდებლობა ქრისტიანობის ყველაზე წმინდა ფორმად მიაჩნდა, მართლმადიდებელ აღმოსავლეთს, სლავობასა და რუსეთს დიდი მომავალი ელოდა. პირველი რომი გონების ძალაუფლებას, გარენორმებს (იურისპრუდენცია) დაემორჩილა, რითაც მოაშთო საკუთარი სულის სწრაფვა სულიერი თავისუფლებისაკენ, შინაგანი ცხოვრების მაღალი შთაგონება და არსი. ამან გაანადგურა ზნეობრიობის საფუძვლები და ჭეშმარიტი რელიგიური ცხოვრების შესაძლებლობა. რომმა დასავლეთს მიუბოძა სამართლისა და საზოგადოებრივი ხელშეკრულების „რელიგია“ და ის სიწმინდედ დასახა სულიერი თავისუფლების ხარჯზე. მეორე რომში (კონსტანტინოპოლი) ქრისტიანობამ, ლამისაა, სული განუტევა,

უნდა დაცემულიყო კიდეც, რადგან საკუთარი ქრისტიანული მოწოდების აღსრულება აღარ შეეძლო. აი, აქ სჭვივის სლავობისა და მისი წინამძღოლის - რუსეთის დანიშნულება, გაათავისუფლოს კაცობრიობა ცალმხრივი და ყალბი განვითარებისაგან, რომელიც იტვირთა ისტორიამ დასვლეთის ზემოქმედებით. უნდა შექმნილიყო ახალი კულტურული ერთობა, რომელიც გულისხმობდა დასავლეთის კულტურულ ფასეულობებსაც. ხომიაკოვის მოძღვრებაში მესიანიზმი არა მხოლოდ ისტორიულ-ეთნოგრაფიულმა მსჯელობებმა გაარაციონალურა, არამედ გარდასახა რუსი ხალხის კულტურულ მოწოდებად, რის წყალობითაც მესიანური თვითშეგნება პოზიტიურ-ნაციონალურით იცვლება. ამას მოჰყვა ნაციონალური თვითკმაყოფილებაც. ხომიაკოვის პოეზია სავსეა მაგალითებით, რომელთა თემაა დასავლეთის შეუმდგარობა მომავალი კაცობრიობის საშენებლად. ხომიაკოვის რწმენით, სლავური სამყაროს ძირები ჰომეროსის ტროაშია და ინარჩუნებს კაცობრიობის განახლების შესაძლებლობას. პოეტი, თუმც კი იმპერიალიზმის საცდურს განაგდებდა, ამტკიცებდა რუსეთის სულიერ ბატონობას როგორც სლავურ, ისე - მთელ სამყაროში. ველიკოდერჟავული ნაციონალიზმითაა გაჯერებული ხომიაკოვის მსჯელობა რუსეთის დამოკიდებულებაზე „შინაგანი აღმოსავლეთისადმი“: რუსეთმა თავის წიაღში ბევრ განსხვავებულ ტომს მიუჩინა ადგილი: ბალტიისპირელი ფინები, ვოლგისპირელი თათრები, ციმბირელი ტუნგუსები, ბურიატები და სხვ. მაგრამ მათ სახელი, ყოფა და მნიშვნელობა რუსი ხალხისაგან იმემკვიდრევეს (ანუ დიდი, მცირე, თეთრი რუსეთის წარმომადგენლისაგან). დანარჩენები მას სრულად უნდა შეერწყან: გონიერები, თუკი ამ აუცილებლობას მიხვდებიან; დიდები, თუკი ამ დიად პიროვნებას შეუერთდებიან; არარაობანი, თუკი თავიანთი წვრილი თვითმყოფობის შენარჩუნებას ეცდებიან (Хомяков:1988).

ხომიაკოვი რუსი ხალხის კულტურულ-ისტორიულ თავისებურებებს დასავლელებთან შედარებით უდავო უპირატესობად მიიჩნევდა. ეს, უწინარესად, სჭვიოდა მის მსჯელობაში სახელმწიფოსა და სახალხო სუვერენიტეტზე. პოეტი განასხვავებდა საზოგადოებას, რომლის სუბიექტი ხალხი იყო, და სახელმწიფოს, თავისი მმართველი სტრუქტურებით. ისტორიული მნიშვნელობის თვალსაზრისით, ხალხი უფრო რეალური და არსებითია, ვიდრე - სახელმწიფო: უზენაესი ძალაუფლების ავტორიტეტი იმაზეა დამოკიდებული, რომ ხალხი მიიჩნევს მას ხელისუფლებად. ამ პრინციპის საფუძველი რუსეთის ისტორიაშია. რუსი ხალხი ძალაუფლებას არა უფლებად, არამედ მოვალეობად აღიქვამს, ის ანიჭებს ძალმოსილებას მეფეს, რომელიც ხალხის ტვირთს ატარებს.

ხელისუფლებისა და სახელმწიფოს დამოკიდებულება „მიწისადმი“ (თემი, საზოგადოება) ისტორიოსოფიულ პრობლემად გარდაქმნა კონსტანტინ აქსაკოვმა (1817-1866), ადრეული სლავოფილობის ყველაზე ორთოდოქსულმა წარმომადგენელმა, რომელსაც სხვა სლავოფილებივით საუნივერსიტეტო განათლება მიეღო. „დასავლეთი-აღმოსავლეთის“ აქსაკოვისეული დიქოტომია ეფუძნებოდა იმ აღიარებას, რომ ქრისტიანული სამყაროს ორი შტოს „ისტორიული საწყისები“ ურთიერთგანსხვავებულია. დასავლურ სახელმწიფოთა საფუძველი ძალადობა და მტრობაა (რის გამოც დასავლეთმა ცალმხრივად განავითარა ძალადობრივი სახელმწიფოებრიობა და დაღი დაასვა ხალხის ცხოვრებას), რუსული სახელმწიფოსი კი - თავისუფლება და მშვიდობა; რუსული სახელმწიფო ემყარება არა დაპყრობას, არამედ - ძალაუფლების ნებაყოფლობით აღიარებას; რუსულ სახელმწიფოს ხალხის ცხოვრების სრული ნორმიერება არ განუხორციელებია - გარკვეული საქმიანობის შემდეგ იწყებოდა მიწის (თემის) ბატონობა. ამიტომ პოლიტიკისა და სახელმწიფოებრივ ურთიერთობათა საკითხები რუსებს ყოველთვის მეორეხარისხოვნად მიაჩნდათ. რუსი ხალხი, ძირითადად, სულიერ-რელიგიური სფეროთი ინტერესდებოდა. სახელმწიფო საგარეო წესრიგის გუშაგია, ხოლო მიწა აერთიანებს სულიერ საწყისებსა და ცხოვრების ნორმებს. ამ ურთიერთდაპირისპირებით განიმარტებოდა თემის ბუნებაცა და რუსეთის ისტორიაც. აქსაკოვი „ნორმანულ თეორიას“ ემხრობოდა, მაგრამ ყოველთვის აღიარებდა მის უცხოობას. ამასთან, სლავოფილების რწმენით, ხალხი ვარიაგებს ნაციონალური თვითმყოფობის თავისებურების გამო დაემორჩილა. ვარიაგებისადმი დამორჩილება მიანიშნებდა რუსების გაუცხოებას სახელმწიფოსადმი: ამან წარმოშვა ორი საწყისი, რომელთა არსებობა და მოქმედება ურთიერთდამოუკიდებელი იყო: ერთი იყო ხალხი (მიწა), რომელიც თავისი შინაგანი სიმართლით ცხოვრობდა და მთელ ძალაუფლებას სახელმწიფოს გადასცემდა, არ ერეოდა მის საქმეში, სანამ ყველაფერი რიგზე იყო, მეორე კი - სახელმწიფო, რომელიც აბსოლუტური ძალაუფლებით სარგებლობდა პოლიტიკის სფეროში, მას უნდა დაეცვა ხალხი გარემტრისგან და თავი შეეკავებინა „მიწის“ ცხოვრებაში ჩარევისაგან. ხალხს უნარჩუნდებოდა საშინაო ცხოვრებისა და აზრის სრული თავისუფლება, სახელმწიფოს კი - პოლიტიკურ სფეროში ქმედებისა. ამ ურთიერთობას არ სჭირდება არავითარი სამართლებრივი გარანტია (საზოგადოებრივი ხელშეკრულება, კონსტიტუცია და სხვ.). ის ემყარება ერთგულების იმ იდეალსა და ზნეობრივ რწმენას, რომელთაც ეთანადება სიმართლის რუსული გაგება.

აღსანიშნავია აქსაკოვის ჩანაწერები „რუსეთის საშინაო მდგომარეობაზე“, რომელიც იმპერატორ ალექსანდრე მე-2-ს წარუდგინეს სლავოფილურ იდეათა გათვალისწინების მოთხოვნით. ამას, ცხადია, არავითარი პრაქტიკული ეფექტი არ მოჰყოლია.

1881 წელს გამოქვეყნებული ტექსტის მიხედვით, თვითმპყრობელი მეფის იდეა ანტისახელმწიფოებრივია; ავტორი არა თუ ეთაყვანება სახელმწიფოებრივი ძალაუფლების კერპს, არამედ უარყოფს და ეწინააღმდეგება მას. მიუხედავად აქსაკოვის კრიტიკისა (ბატონყმობა, ჩინოვნიკთა კორუფცია), ის დარწმუნებულია რევოლუციის უპერსპექტივობაში, რადგან რევოლუცია დასავლური სამყაროს აჩრდილია, რომელსაც ახასიათებს ჰიპერტროფირებული ინტერესი პოლიტიკისა და ძალაუფლებისადმი. რუსი ხალხი არ მიისწრაფვის სახელმწიფო ძალაუფლებისაკენ. რუსეთის ისტორიაში არ ყოფილა არც ერთი აჯანყება სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ, თვით პუგაჩოვიც კი „კანონიერი მეფის“ სახელით გამოდიოდა. რუსეთში ვერ ნახავ ვერც ლიბერალიზმს, ვერც კონსერვატიზმს, მით უფრო - რევოლუციას, - ირწმუნებოდა აქსაკოვი. რუსი ხალხი, შესაძლოა, მსოფლიოს ერთადერთი ქრისტიანი ხალხია, რომელიც ქრისტეს მცნებას იცავს: „ჩემი მეფობა არ არის ამ სოფლისა“. ამიტომაც არ იღებს ის რევოლუციას და ნებაყოფლობით ემორჩილება ხელისუფლებას. ამასთან, მისი „შინაგანი სიმართლე“ არ ჰგავს პასიურ ჭვრეტას. ის გულისხმობს ზრუნვას ყველა ცხოვრებისეულ ფასეულობასა და მათთან დაკავშირებულ საქმიანობაზე: ეს არის საკრალური საოჯახო ცხოვრება, ხვნა, ხელოსნობა, ვაჭრობა... პოლიტიკური ძალაუფლების საუკეთესო ფორმა რუსეთისთვის, მისი თვითმყოფადობის გათვალისწინებით, აბსოლუტური მონარქიაა, როგორც „ნაკლები ბოროტება“: მხოლოდ შეუზღუდავი მონარქიისას შეძლებს ხალხი მისთვის ნიშანდობლივ სულიერ-ზნეობრივ ცხოვრებაზე ყურადღების გამახვილებას. სახელმწიფო ძალაუფლების ყველა სხვა ფორმა (კონსტიტუციური მონარქია, დემოკრატიული რესპუბლიკა), რომლებიც, ნებსით თუ უნებლიეთ, პოლიტიკური ცხოვრებისკენ უბიძგებს, ხალხს „შინაგანი სიმართლის“ ჭეშმარიტი გზიდან ახვევინებს, რადგან ხალხი როგორც კი სუვერენი გახდება ან ძალაუფლებით მოიხიბლება, საკუთარ თავს ღალატობს, უცხო საქმიანობის სფეროში ერთვება და, ამ თვალსაზრისით, „ხალხობას“ წყვეტს.

საინტერესოა რესპუბლიკის, როგორც ასეთის, აქსაკოვისეული შეფასება. რესპუბლიკა ხალხის ცდაა, თვითონ იმეფოს, სახელმწიფოდ იქცეს - შესაბამისად, ეს იმის ცდაცაა, უარყოს სავსებით ზნეობრივი თავისუფალი გზა, გზა შინაგანი სიმართლისა და ცნოს გარეგანი, სახელმწიფოებრივი განვითარება. აქსაკოვს ამის

დამღუპველ მაგალითად აშშ მიაჩნია: იქ არ არის არც საერთო წარმომავლობის ბუნებრივი კავშირი, არც ადგილობრივთა მოგონება, არც გადმოცემები, არც რწმენის ერთიანობა. იქ ცოცხალი ხალხის ნაცვლად ხალხისაგან შემდგარი სახელმწიფოებრივი მანქანაა. იქ ურთიერთობა პოლიტიკურ ელფერს იღებს: მშვიდობა და სიმშვიდე სიყვარულს კი არა, ურთიერთმომგებიანობას ეფუძნება.

ჩანაწერი მთავრდება სლავოფილთათვის კონცეპტუალური დასკვნით: მიენიჭოს მთავრობას მართვის შეუზღუდავი თავისუფლება, რომელიც მხოლოდ მას ეკუთვნის, ხალხს კი - შინაგანი თუ გარეგანი ცხოვრების თავისუფლება, რომელიც იცავს მთავრობას;

მიენიჭოს მთავრობას ქმედებისა და, შესაბამისად, კანონის განხორციელების უფლება, ხალხს კი - აზრისა და, შესაბამისად, სიტყვის უფლება (Кириллов:1914; Аксаков: 1910; Аксаков:1889).

ვლ. სოლოვიოვმა სლავოფილებს ის „არქაული ლიბერალები“ უწოდა, რომელთაც მთავრობა ლიბერალობისთვის დევნიდა, ლიბერალები კი - არქაულობისათვის. მიუხედავად ამ არქაიკისა თუ ლიბერალიზმისა, ან უფრო - უტოპიური კონსერვატიზმისა, სლავოფილობამ დიდად იმოქმედა რუსული ლიბერალიზმის განვითარებაზე, თუმც აშკარად ტოტალიტარული ხასიათი მიიღო ევრაზიელთა შემოქმედებაში.

მოგვიანებით, მოძრაობას გამოეყო ზომიერ სლავოფილთა დაჯგუფება, ე.წ. „პოჩვენნიკები“, მაგალითად, ა. გრიგორიევი, ნ. სტრახოვი, ნ. დანილევსკი, კ. ლეონტიევი, თ. დოსტოევსკი. ცნობილი სლავოფილები იყვნენ თ. ტიუტჩევი, ა. გილფერდინგი, ვ. დალი, ნ. იაზიკოვი.

სლავოფილებმა, რუსმა საზოგადოებრივმა მოღვაწეებმა და წმინდა რუსეთის იდეის ადეპტებმა დიდი როლი შეასრულეს რუსული ეროვნული ცნობიერებისა ნაციონალურ-პატრიოტული მსოფლმხედველობის ფორმიერებაში. სლავოფილებმა საზოგადოებას შესთავაზეს რუსეთის განსაკუთრებული გზის კონცეფცია, განამტკიცეს აზრი მართლმორწმუნეობის, როგორც ქრისტიანული მოძღვრების, მხსნელი როლის თაობაზე, განაცხადეს რუსი ხალხის თემად და არტელად - საზოგადოებრივი განვითარების განუმეორებელი ფორმით განვითარების თაობაზე.

ი. კირეევსკი წერდა: ის, რაც ეწინააღმდეგება მართლმადიდებლობის სწორ და სრულ განვითარებას, ეწინააღმდეგება რუსი ხალხის განვითარებასა და კეთილდღეობას; ყველაფერი, რაც ხალხურ სულსა და განათლებას ყალბად და არამართლმადიდებლური მიმართულებით ავითარებს, ამრუდებს რუსულ სულს და კლავს მის ზნეობრივ, სამოქალაქო და პოლიტიკურ სიჯანსაღეს. ამიტომ,

რაც მეტად განიმსჭვალება მართლმადიდებლური სულით რუსული სახელმწიფო და მისი მთავრობა, მით მეტად ჯანსაღად განვითარდება და კეთილმოეწყობა ხალხი, და მასთან ერთად - მისი მთავრობაც, რადგან მთავრობის კეთილმოწყობას მხოლოდ ხალხის რწმენა განაპირობებს.

სლავოფილები, უფრო ხშირად, იკრიბებოდნენ მოსკოვის ლიტერატურულ სალონებში (ელაგინების, სვერბეევების, პავლოვების სალონები). აქ ისინი ეკამათებოდნენ ლიბერალურ-კოსმოპოლიტური შეხედულებების მოტრფიალე მოწინააღმდეგეებს და წარმოაჩენდნენ რუსული აღორძინებისა და სლავური ერთობის იდეებს.

დიდი ხნის განმავლობაში სლავოფილებს თავიანთი ბეჭდვითი ორგანო არ გააჩნდათ. სლავოფილთა სტატიები იბეჭდებოდა სხვადასხვა კრებულებში (Москвитянине; Синбирский сборник; Сборник исторических и статистических сведений о России и народах ей единоверных и единоплеменных; Московские сборники).

თავიანთი გაზეთებისა და ჟურნალების გამოცემა, ცხადია, ცენზურული შეზღუდვის თანხლებით, სლავოფილებმა დაიწყეს 1850 წლის შუა ხანებიდან. სლავოფილები გამოსცემდნენ ჟურნალებს: «Русская беседа» (1856-1860), «Сельское благоустройство» (1858-1859); გაზეთებს: «Молва» (1857), «Парус» (1859), «День» (1861-1865), «Москва» (1867-1868), «Москвич» (1867-1868), «Русь» (1880-1885).

და მაინც, რა მნიშვნელობა ჰქონდა სლავოფილთა მოძრაობის გაჩენას?

სლავოფილობა საზოგადოებრივ-ინტელექტუალური მოძრაობა იყო ერთგვარი რეაქცია ჯერ კიდევ პეტრე პირველის დროს დანერგილ დასავლურ ღირებულებებზე. სლავოფილები იმის დადასტურებას მიელტვოდნენ, რომ დასავლური ფასეულობანი ბოლომდე ვერასოდეს შეეზრდება რუსულ ნიადაგს და ადაპტაციას მაინც საჭიროებს. სლავოფილები მოუწოდებდნენ ხალხს, თავის ისტორიულ ძირებს, ტრადიციებსა და იდეალებს დაჰბრუნებოდა, რითაც ხელს უწყობდნენ ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძებას. სლავოფილები დიდად გაისარჯნენ და შეაგროვეს რუსული კულტურისა და ენის ძეგლები (კირეევსკის „ხალხური სიმღერების კრებული“, დალის „ცოცხალი დიდებული რუსული ენის ლექსიკონი“). სლავოფილი ისტორიკოსები (ბელიაევი, სამარინი და სხვ.) ფუძეს უყრიდნენ რუსი გლეხობის ისტორიის მეცნიერულ შესწავლას, სუ-

ლიერი საფუძვლების მიკვლევას. სლავოფილებმა რუსეთში შექმნეს სლავური კომიტეტები 1858-1878 წწ.

ევრაზიელები თავიანთ წინამორბედებად მიიჩნევდნენ ალექსეი ხომიაკოვს, ძმებ აკსაკოვებს, კონსტანტინე ლეონტიევს, ნიკოლაი სტრახოვსა და ნიკოლაი დანილევსკის, გოგოლსა და დოსტოევსკის, როგორც პუბლიცისტებს.

მკვლევარმა სტეპუნმა ევრაზიელებს „ფუტურიზმის ეპოქის სლავოფილებიც“ კი უწოდა.

ინტელექტუალური ელიტა - რუსეთს მიღმა

1920 წლის შემოდგომაზე რუსეთის იმპერიის ბევრი ქვეშევრდომი, რომლებიც ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში გაბნეულიყვნენ, შეშფოთებული კითხულობდა პარიზის „უკანასკნელ ცნობებს“ - ემიგრაციის ყველაზე პოპულარულ გაზეთს. ვრანგელის არმიის მდგომარეობა სულ უფრო და უფრო საყოყმანო ხდებოდა. რუსეთის ევროპულ ნაწილში მძვინვარე სამოქალაქო ომი, ცოტაც და, დამთავრდებოდა. 18 აგვისტოს ნომერში იტყობინებოდნენ, რომ თავადმა ნიკოლაი ტრუბეცკოიმ მიიღო ენათმეცნიერების დოცენტის ადგილი სოფიის უნივერსიტეტში.

რუსეთიდან ემიგრირებულთა ერთი ჯგუფი იმხანად სოფიაში იმყოფებოდა: თავადი ანდრეი ლივენი, პეტრე სუვჩინსკი, გიორგი ფლოროვსკი. სუვჩინსკიმ ორიოდ სხვა რუს-ემიგრანტთან ერთად სოფიაში რუსულ-ბულგარული გამომცემლობა დაარსა, რომლის ერთ-ერთი პირველი პუბლიკაცია ნ. ტრუბეცკოის „ევროპა და კაცობრიობა“ გახლდათ.

ა. ლივენი მეგობრობდა კიდევ ერთ ახალგაზრდა მეცნიერთან - პეტროგრადის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კურსდამთავრებულთან, პ. სტრუვეს მოწაფე პეტრე სავიცკისთან, რომელიც 1920 წლის დამდეგს ყირიმში იმყოფებოდა: გენერალ ვრანგელის მთავრობის საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტში მსახურობდა, ნოემბერში კი კონსტანტინოპოლში გადაბარგდა. სწორედ იქ მიიღო მან ლივენის წერილი სოფიაში ევრაზიული დაჯგუფების ჩამოყალიბების, ევრაზიული ლიტერატურის გამოცემის გეგმებსა და ტრუბეცკოისათვის ევრაზიული კრებულის შედგენის შეკვეთის თაობაზე. უნდა ვიფიქროთ, რომ სავიცკისა და ლივენს ადრე იესაუბრათ ევრაზიასა და ევრაზიულობაზე. სავიცკი კონსტანტინოპოლში გაეცნო წიგნს „ევროპა და კაცობრიობა“ და ჟურნალში „რუსსკაია მისლ“, რომლის გამოცემა სოფიაში პ. სტრუვეს აღედგინა, დიდი რეცენზიით გამოეხმაურა. საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, ისტორიკოსი და ეკონომისტი პეტრე სტრუვე (1870-1944) ბევრს მოგზაურობდა, ამიტომ სავიცკის - დაავალა, მის წარმომადგენლად დარჩენილიყო სოფიაში, ხოლო ჟურნალის გამოცემის უფლება რუსულ-ბულგარულ გამომცემლობას მისცა. 1921 წლის დამდეგს სავიცკი ბულგარეთის დედაქალაქში დასახლდა. ერთი წლის განმავლობაში აქ შეიკრა ევრაზიული ბირთვი. 1921 წლის ზაფხულში ამ ჯგუფმა პირველი საჯარო განცხადებით მიმართა საზოგადოებას: 1921 წლის 4 ივნისით დათარიღებულ ახლობლებისადმი მიწერილ ბარათში სავიცკი იტყობინებოდა: „გუშინ ევრაზიელები პირველად გამოვიდნენ საჯაროდ აქაური რელიგიურ-ფი-

ლოსოფიური წრის ეგიდით. ესწრებოდა 40-50 კაცი. მე არ გამოვ-სულვარ. ლაპარაკობდნენ ტრუბეცკოი და ფლოროვსკი. ახალი ადეპტები, მგონი, არ გაგვიჩენია“...

აგვისტოში სტატიათა პირველი კრებული „სვლა აღმოსავ-ლეთისაკენ“ გამოიცა.

ევრაზიულობის, როგორც მოძრაობის, მრავალსახოვნების მტკიცება იმთავითვე განწირულ გარჯად უნდა მიჩნეულიყო, რომ არა მის მონაწილე გამორჩეულ პიროვნებათა კოჰორტა. გარდა წმინდა პროფესიული და ზოგად-კულტურული ინტერესებისა, მათ აერთიანებდათ ერთი თაობის წარმომადგენლობა და რუსეთის იმპერიაში ცხოვრების გამოცდილება: პირველი მსოფლიო ომი, ორი რევოლუცია და სამოქალაქო ომი ჯერ არ ქცეულიყო მეტაფორად, ყოველ შემთხვევაში - მათთვის.

მათი არსება მოეცვა ევროპული ცივილიზაციის კრიზისისა და, ეგებ, მოსალოდნელი კატასტროფის განცდასაც. მათ სძულდათ ლიბერალური ფასეულობანი და პროცესუალური დემოკრატია და ეიმედებოდათ ახალი, „ჯერ არნახული“ წყობის დამყარება. მათი უმრავლესობა რუსეთის იმპერიის პრივილეგირებულ ფენათა წარმომადგენელი იყო. ზოგი მათგანი თეთრ გვარდიაში ომობდა, დამარცხებულიყო და დევნილად ქცეულიყო...

ნიკოლოზ ტრუბეცკოი

ნიკოლოზ სერგის ძე ტრუბეცკოი თავის პოპულარობას, დიდწილად, მისი ლინგვისტური რენომეს რომან იაკობსონისეულ შეფასებას უნდა უმადლოდეს. ტრუბეცკოი მართლაც ყველაზე გავლენიანი ევრაზიელი იყო, რომელსაც კოლეგები „მომრიგებელ-მოსამართლედ“ აღიქვამდნენ, მისგან მოელოდნენ დასაბუთებულ კრიტიკასაც და გამოქომაგებასაც.

ის 1890 წელს დაიბადა თავად სერგი ნიკოლოზის ძე ტრუბეცკოის - ფილოსოფოს-ნეოსლავოფილისა და ვლადიმირ სოლოვიოვის ფილოსოფიის დიდი თაყვანისმცემლის ოჯახში. სერგი ტრუბეცკოი მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტის პროფესორი, 1905 წელს - რევოლუციური მოვლენების დროს კი რექტორი გახლდათ, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა უნივერსიტეტის ავტონომიის მოპოვებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ლიბერალიზაციის საქმეში. ის თავკაცობდა ლიბერალ მოღვაწეთა დეპუტაციას, რომელიც ნიკოლოზ მეორემ მიიღო. უნივერსიტეტის ხანმოკლე რექტორობას ს. ტრუბეცკოის ნაადრევი სივდილი მოჰყვა. უმცროს ტრუბეცკოის მამა არასოდეს მოუხსენიებია არც თავის სამეცნიერო ნაშრომებში, არც - კერძო მიმოწერისას. შეიძლება იმაზე ფიქრი, რომ მამა-შვილი უკანასკნელი დროის რუსული ნეორომანტიზმის ორი განსხვავებული ეტაპია. თუ მამა მეტაფიზიკური სულიერი ერთიანობის ძიებას ლიბერალიზმს უთავსებდა, ძე სამეცნიერო სფეროს წარმომადგენლობით თითქოს ამა-

ყობდა და ამას საგანგებოდ გახაზავდა, გამუდმებით ესწრაფოდა მოვლენათა ორგანიზებასა და კლასიფიცირებას, რომანტიკულ ინტუიციურობას რელიგიურობას უთავსებდა, თუმც სიტყვაც კი არ დაუძრავს თავისუფლებაზე.

ეგებ იმით, რომ მამაზე დუმდა, იმის წარმოჩენას ცდილობდა, ჩვენსა და წინარე თაობებს შორის ზღვარია, მათთან არაფერი გვესაქმებაო.

ტრუბეცკოი ვუნდერკინდად ითვლებოდა, რადგან საკუთარი სამეცნიერო კარიერა უჩვეულოდ ადრე დაიწყო: 15 წლისა უკვე პირველი პუბლიკაციების ავტორია ფინელ-უგრელი ხალხების მითოლოგიაზე, მიმოწერას აჩაღებს ცნობილ სლავისტებსა და ეთნოგრაფებთან. ცნობილი რევოლუციონერი, ლინგვისტი, ეთნოგრაფი და მწერალი, აკადემიკოსი ვლადიმირ (ნათან) ბოგორაზი (1865-1936) იხსენებდა, რომ ტრუბეცკოისგან წერილი მიიღო, რომელშიც ავტორი პალეოაზიური ენების სფეროში რჩევას ითხოვდა. ის ჩამოვიდა მოსკოვში, რათა შეხვედროდა დაინტერესებულ „მეცნიერს“ და განრისხებულმა მიატოვა ტრუბეცკოების სახლი, როცა მას მოკლეშარვლიანი ყმაწვილი წარუდგა.

ტრუბეცკოიმ ექსტერნად ჩააბარა გამოცდები მე-5 გიმნაზიაში, ხოლო 1908 წელს მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური განყოფილების სტუდენტი გახდა. ამ დროს იქ ასწავლის ბიძამისი, ხელოვნებათმოცდნე და ფილოსოფოსი ევგენი ნიკოლოზის ძე ტრუბეცკოი; მეორე ბიძა - გრიგოლ ნიკოლოზის ძე ცნობილი კადეტი გახლდათ - მას რუსეთის საგარეო პოლიტიკაზე უკვე ნაშრომიც გამოექვეყნებინა და ჟურნალშიც („Путь”) თანამშრომლობდა.

ვიქტორ პორჟეზინსკი (1870-1929) - ცნობილი პოლონელი ლინგვისტი და იმხანად - ტრუბეცკოის მასწავლებელი, იხსენებდა, რომ ტრუბეცკოიმ პირველი ორი წელი ფილოსოფიის შესწავლას დაუთმო, შემდეგ კი სიტყვიერების განყოფილების დასავლურ-ევროპული ლიტერატურის ჯგუფში გადავიდა. მალე ტრუბეცკოიმ გაანაცხადა, რომ ლინგვისტიკა ყველაზე მეცნიერულია ჰუმანიტარულ მეცნიერებებს შორის, და კავკასიური და ფინურ-უგრული ენებისა და მითოლოგიის შესწავლას შეუდგა. 1910-1911 წწ. ის შედარებითი ენათმეცნიერების განყოფილებაზე გადადის. მაშინ, როცა განათლებული რუსი საზოგადოება პირველად უფიქრდება მრავალეროვანი რუსული იმპერიის საკითხს, მუშაობს დიალექტოლოგიური კომისია (იკვლევდა რუსულის (უკრაინული, ბელორუსული!) დიალექტებს), იქმნება მოსკოველ ლინგვისტთა წრე, ცოცხლდება ეროვნული მოძრაობა, სავსებით მისაღებია ენობრივი პრობლემებით დაინ-

ტერესება ისე, რომ სლავისტიკა გვერდზეც კი დაგრჩეს. მე-19 ს. მიწურულსა და მე-20 ს. დამდეგს რუსი ინტელიგენცია და რუსული მეცნიერება ხვდება, რომ რუსეთი არა - „ორგანული რუსული სახელმწიფო“, არამედ იმპერიაა, მრავალეროვანი და მრავალკონფესიური.

1910-13 წწ.-ში ტრუბეცკოი წამყვან ენათმეცნიერთა ლექციებს ესწრება. მონაწილეობს რუსეთის ბუნებისმეტყველების, ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის მოყვარულთა საზოგადოების სექციის მუშაობაში, თანამშრომლობს ცნობილ ირანისტთან, რუსული ფოლკლორის მკვლევარ ვსევოლოდ მილერთან (1848-1913) და მის დაფუძნებულ ჟურნალში „Этнографическое обозрение” 1906-1916 წწ.-ში სტატიებს აქვეყნებს. ზაფხულობით კავკასიურ ფოლკლორს სწავლობს. საინტერესოა, რომ ზემოთ ნახსენები მილერი, რომელიც ტრუბეცკოის ნამდვილ მენტორად იქცა, ამტკიცებდა რუსული ბილინების აღმოსავლურ წარმომავლობას.

ტრუბეცკოის ჩამოყალიბებას კვალი დაამჩნიეს ყაზანის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულმა, ეთნოგრაფმა და მოგზაურმა, მარიელებისა და უდმურტების კულტურათა მკვლევარმა სერგეი კუზნეცოვმა (1854-1913) და ნაროდნიკმა, უკიდურესი ჩრდილოეთის ხალხთა მკვლევარმა, ვლადიმირ იოჰელსონმა (1855-1937). აღსანიშნავია, რომ მოგვიანებით, ტრუბეცკოი ევრაზიელებთან მიმოწერისას ფსევდონიმად „იოჰელსონს“ აირჩევს: ალბათ, ეს იყო მოძრაობის შიგნით დანერგილი მკვეთრი ანტისემიტიზმის ექო: სუვჩინსკის ფსევდონიმი გახლდათ „რეზნიკი“, სავიცკისა კი - „ელნიკი!“

1913 წელს ტრუბეცკოიმ წარმატებით ჩააბარა გამოცდა ისტორიულ-ფილოლოგიურ კომისიას და დაიწყო მზადება პროფესორის წოდების მისაღებად სანსკრიტისა და შედარებითი ენათმეცნიერების კათედრაზე. 1913 წლის სექტემბერში ფაკულტეტმა რექტორთან რეკომენდაცია გაუწია ლაიფციგში სტაჟირებისათვის გასამგზავრებლად. 1913 წლის შემოდგომა და 1914 წლის გაზაფხული ტრუბეცკოიმ გერმანიაში გაატარა და ინდოევროპეისტ პროფესორთა ლექციებს დაესწრო (ძველი სომხური, ლათინური, ლიტვური, ძველინდური ლიტერატურა). 1915 წლის შემოდგომიდან 1916 წლის მარტამდე ტრუბეცკოი სამაგისტრო გამოცდებს აბარებს, ხოლო 30 მაისს იკავებს პრივატ-დოცენტის თანამდებობას.

სოფიის უნივერსიტეტისათვის დაწერილ ავტობიოგრაფიაში იგი წერს:

1917 წლის შემოდგომაზე შვებულება ავიღე და სამკურნალოდ ქ. კისლოვოდსკში, თერგის ოლქში გავემგზავრე, მალე სამოქალაქო

ომი დაიწყო, რის გამოც მოსკოვში მხოლოდ 1918 წლის შემოდგომაზე დავბრუნდი, მერე კი ჩავირიცხე დონის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტად და დროებით შედარებითი ენათმეცნიერების კათედრის გამგეს ვცვლიდი. იმავდროულად ვასწავლიდი როსტოვის ქალთა უმაღლეს კურსებზე, 1919 წლის გაზაფხულიდან კი - ნოვოჩერკასკის სამასწავლებლო ინსტიტუტშიც. 1919 წლის 19 დეკემბერს როსტოვის ევაკუაციისას ჩავედი იალტაში, იქიდან კი, 1920 წლის 27 თებერვალს, გავემგზავრე ცარგრადში, სადაც ამ დრომდე დავყავი.

ამ ოდისეას უქმად არ ჩაუვლია. რომან იაკობსონისადმი მიწერილ ბარათში ტრუბეცკოი იხსენებს, 1918 წლის მარტში როგორ ამოყო თავი ბაქოში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მუსლიმთა აჯანყების დროს, „უფრო სწორად, იმ მოკლე ხანში, როცა სომხები ხოცავდნენ თათრებს“. კავკასიელ ეთნოსთაშორისი ომი, სომხური პარტია „დაშნაკცუტუნისა“ და აზერბაიჯანელ „მუსავატთა“ დაპირისპირება 1918 წლის გაზაფხულზე, რომელთაც ტრუბეცკოი თვალს ადევნებდა, სამუდამოდ ჩამოუყალიბებს აზრს ყოფილ რუსეთის იმპერიაში არსებულ ნაციონალურ მოძრაობაზე. ტრუბეცკოიმ ისიც „ჩაინიშნა“, რომ კოლონიური ხალხი განაპირა რეგიონებიდან მსოფლიო სცენას მიაწყდა.

კონსტანტინოპოლში ტრუბეცკოი დაუკავშირდა სოფიელ მეცნიერებს: სოფიაში ის სამუშაოდ ჩავიდა 1920 წლის ივნისის მეორე ნახევარში. ბულგარელ სლავისტთაგან დადებითი რეკომენდაციები მიიღო და სოფიის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტის შედარებითი ენათმეცნიერების დოცენტის ადგილი დაიკავა ორი წლით. ტრუბეცკოის ლექციათაგან ერთ-ერთი - ინდური რელიგიების შესახებ - შემდეგ სტატიად გარდაისახა „ინდური რელიგიები და ქრისტიანობა“. ბულგარეთშივე დაიწერა ნაშრომები რუსეთის კოლონიურ ხასიათსა და ევროპულ კულტურაზე კოლონიალიზმში: 1920 წელს გამოიცა „ევროპა და კაცობრიობა“ და წინასიტყვაობა ჰერბერტ უელსის წიგნისათვის - „რუსეთი წყვდიადში“. ტრუბეცკოი ბულგარეთიდან 1922 წლის ზაფხულში გაემგზავრა: კაცმა რომ თქვას, გაასწრო, ვიდრე უნივერსიტეტიდან დაითხოვდნენ, როგორც რუს ემიგრანტს. „ახალ“ სახელმწიფოთა ნაციონალიზმი, რომელიც ასე აღიზიანებდა ტრუბეცკოის და ეს ზიზღი ასე ნიშანდობლივი იყო „ისტორიული ხალხების“ წარმომადგენლებისათვის, მაშინ უნდა გაჩენილიყო. აღმოსავლეთ ევროპაში დაწყებული ერთა ჩამოყალიბების პროცესი მოქმედებდა რუს ემიგრანტთა დაფასებულ მდგომარეობაზე, „დამსახურებულ“ ადგილსა და პრესტიჟს სტაცებდა მათ... ნაშრომებში „ევროპა და კაცობრიობა“ და „ყალბი“ და „ჭეშმარიტი“ ნაციონალიზმის შესახებ“ ტრუბეცკოი

მკვეთრად ემიჯნება ისეთ ნაციონალიზმს, რომელიც ცდილობს, ყველაფრით მიბაძოს ევროპული ნაციონალური სახელმწიფოს ფორმებსა და ინსტიტუციებს. ეს კრიტიკულ-ირონიული დამოკიდებულება „მცირე ნაციონალიზმებისადმი“ სჭვივის მის დისკუსიაში უკრაინის ისტორიის შესახებ დიმიტრი დოროშენკოსთან (1882-1951) – 1918 წელს უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრსა და პროფესორთან. ტრუბეცკოის მიერ ევროპული მოდერნულობის მიუღებლობა ეთანადებოდა მის სპეციფიკურ ფორმას - თანამედროვე ნაციონალურ სახელმწიფოს, რომელიც ტრუბეცკოის ბუნებრივად მხოლოდ „რომანელ-გერმანელთა“ შემთხვევაში მიაჩნდა. აქედან მომდინარეობს რუსული პოლიტიკური ნაციონალიზმის კრიტიკაც: ტრუბეცკოი ვერ ეგუებოდა იმ ფაქტს, რომ რუსეთის იმპერიაში გაერთიანებული ხალხები ერთმანეთს საზღვრებს უწესებდნენ.

ტრუბეცკოიმ ბრნოს უნივერსიტეტში შეიტანა განცხადება, მაგრამ მოულოდნელად ვენის უნივერსიტეტმა შესთავაზა სლავური ფილოლოგიის კათედრა. ვენის პერიოდი ყველაზე პროდუქტულია მის ბიოგრაფიაში და ის 1938 წლამდე, მეცნიერის დაღუპვამდე გასტანს.

1920 წლის მიწურულამდე ტრუბეცკოი აქტიურად მონაწილეობდა ევრაზიულ მოძრაობაში: ფაქტობრივად, მისი უღიარებელი ლიდერი გახლდათ. მაგრამ 1920 წლის შუა ხანებიდან სკეფსისი შემოეჩვია, საერთოდ, საჭირო იყო თუ არა ეს მოძრაობა: დაიღალა, განიხიბლა, შეეჭვდა, ხომ არ სჯობდა, „ევრაზიული კოშმარისთვის“ დათმობილი დრო ლინგვისტიკისთვის მოეხმარებინა? მოძრაობის გახლეჩვის შემდეგ ტრუბეცკოი მწარედ ნანობდა თავის „ევრაზიელობას“, თუმც საკუთარი იდეები მას არ უარუყვია. დაახლოებით, 1926-1935 წწ.-ში ტრუბეცკოი, ძირითადად, ევრაზიულობის პოლიტიკურ თეორიას ამუშავებს. მაგავე წლებში ის განსაკუთრებულად კრიტიკულია სსრკ-ს მიმართ. 1926 წლიდანვე ტრუბეცკოის ინტელექტუალურ ბიოგრაფიაში კიდევ ერთი გვერდი - პრაღელ ლინგვისტთა წრე - გაჩნდა, რომლის წამყვან წევრადაც იქცა. წრის მუშაობაზე იმოქმედა ევრაზიულმა განწყობამაც - „მთელის“ რუსულმა ხატ-სახეებმა.

ტრუბეცკოი ყველაზე ცნობილი ევრაზიელია - მისი ლინგვისტური ნაშრომები მაღალი რეპუტაციით სარგებლობს. ამასთან, ტრუბეცკოივეა დამაკავშირებელი რგოლი ევრაზიულობის ორი წყაროსი: ეს გახლავთ, ერთი მხრივ, რუსეთის იმპერიის განსხვავებული ხალხებისადმი ინტერესი, რომელიც გაჩნდა იმპერიული პერიოდის მიწურულს და გამოიხატა ეთნოგრაფიული, ლინგვისტური, ლიტერატურული კვლევებით; მეორე მხრივ კი - რელიგიური რომანტიზმის ტრადიცია, საუკუნის დამდეგის რელიგიური ფილოსოფია, მო-

დერნიზმისათვის საძულველ სოციალურ და სულიერ ფასეულობათა ძიება, რელიგიურ ნიადაგზე მორალური განახლების წყურვილი რომ გამოხატავდა. თუ პირველი ასპექტი კვლავ გაგვამეორებინებს მილერის, კუზნეცოვის, იოჰელსონის სახელებს, მეორე ასპექტმა კონსტანტინ ლეონტიევი, ვლადიმირ სოლოვიოვი, ბოლოს და ბოლოს, მამამისი - სერგი ტრუბეცკოი უნდა გაგვახსენოს!

თუ პირველთაგან ტრუბეცკოიმ შეითვისა არაევროპელი ხალხების კულტურისადმი ცნობისმოყვარეობა და პატივისცემა, მეორეთაგან იმემკვიდრევა კულტურული კატასტროფის აპოკალიფსური განცდა, რაც მექანიზებულ-მოდერნული ცივილიზაციის დადგომას უნდა ეშვა.

მეოცე საუკუნის დიდ ლინგვისტად მიჩნეული ტრუბეცკოის ფიგურაში ერთმანეთს ერწყმის პრიმიტიული ანტისემიტიზმი და თანამედროვე ცივილიზაციის ნიუანსობრივი კრიტიკა, კულტურული შემოქმედებისაკენ სწრაფვა და პოლიტიკანობა, სამეცნიერო ავანგარდიზმი, პროდუქტულობა და ხელოვნების ვულგარიზებული აღქმა, ესთეტიკური ალღოს სიმრუდე (Чижевский:1939; N.S. Trubetzkoy's Letters and Notes:1975; Клейнер:1985; Топоров 1990; Кондратов:1990; Журавлев:1990; Нерознак 1990; Соболев:1991; Робинсон, Петровский, Дурново, Трубецкой: 1992; Никишенков:1992; Толстой: 1995; Гумилев:1995; Казнина:1995; Кочергина:1998; Антощенко:1998; Трубецкой:1905; Он же:1906; Он же: 1908; Трубецкой:1908; Он же:1911; Он же:1914; Топоров :1993; Трубецкой:1913; Симеонов:1976; Трубецкой:1927; Он же:1928; Серио:2001).

პეტრე სუვჩინსკი

პეტრე პეტრეს ძე სუვჩინსკი ევრეაზიულობის დამფუძნებელ მამათაგან ყველაზე უცნობი პერსონაა, რომელმაც, ამის მიუხედავად, გადამწყვეტი როლი შეასრულა როგორც ევრაზიული იდეოლოგიის ფორმირებაში, ისე - ევრაზიული მოძრაობის დაშლაში.

სუვჩინსკი 1892 წელს დაიბადა პეტერბურგში პოლონურ-უკრაინულ ოჯახში, რომელიც გრაფის ტიტულს - შულეგა-სუვჩინსკის - ატარებდა. ცნობილია, რომ სუვჩინსკის ოჯახი ერთდროულად მიეკუთვნებოდა როგორც სამეწარმეო, ისე -სამოხელეო წრეს (მამა ჩინოვნიკიც იყო და ნავთობწარმოების საზოგადოებასაც თავკაცობდა). რევოლუციამდე სუვჩინსკები ასობით ათას მანეთსა და უკრაინაში მდებარე მამულს ფლობდნენ, სამრეწველო დანესებულებებს აქირავებდნენ, დედას - ანა ივანეს ასულს ეკუთვნოდა ახალი სახლი პეტერბურგში...

სუვჩინსკი სწავლობდა ტენიშჩევის გიმნაზიაში; მან დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტი და კონსერვატორია. უკრაინულ მამულ ტხოროვკაში სუვჩინსკიმ ჩამოაყალიბა სახალხო გუნდი.

საბჭოთა მუსიკისმცოდნის, გრიგორიი შნეერსონის (1901-1982) თხოვნის საპასუხოდ, დაეწერა ავტობიოგრაფია, სუვჩინსკის აღუნიშნავს:

15 წლისამ კერძოდ დავიწყე ფორტეპიანოზე მეცადინეობა ფელიქს მიხეილის ძე ბლუმენფილდთან, როგორც იცით, ეს გახლდათ პირველი რუსი დირიჟორი, რომელიც დიაგილევის მეორე პარიზული სეზონის დროს „ბორის გოდუნოვს“ დირიჟორობდა (მთავარ როლს შალიაპინი ასრულებდა)... ვახლობლობდი კ. შიმანოვსკისა და ჰ. ნეიჰაუზთან... ბლუმენფილდმა გამაცნო ანდრეი ნიკოლოზის ძე რიმსკი-კორსაკოვი... მაშინ მატერიალურად შეძლებული გახლდით და მასთან ერთად გამოვცემდი „მუსიკალურ თანამედროვეს“, სტატიათა კრებულებსა და ქრონიკებს... თავიდან მეგობრულად ვთანამშრომლობდით, მაგრამ ორმა ფაქტმა გადამაწყვეტინა, აღარ მიმეღო მონაწილეობა ამ ჟურნალის გამოცემაში. პირველი გახლდათ იგ. გლებოვის სახელით ხელმოწერილი ძალიან საინტერესო სტატიების გამოჩენა ვ. დერჟანოვსკის მოსკოვურ მუსიკალურ ჟურნალში „მუსიკა“. აღმოჩნდა, რომ იგ. გლებოვი ბორის ვლადიმერ ასაფიევი იყო... (ბორის ასაფიევი (1884-1949) - რუსი საბჭოთა კომპოზიტორი, სსრკ სახალხო არტისტი, აკადემიკოსი, საბჭოთა მუსიკათმცოდნეობის ფუძემდებელი, გ.ჯ.).

სუვჩინსკიმ ასაფიევი „მუსიკალური თანამედროვის“ თანამშრომლად მიიწვია რიმსკი-კორსაკოვის უნებლიეთ. მეორე ფაქტი, რომლის გამოც თანამშრომლები დაშორდნენ, სერგეი პროკოფიევის გამოჩენა გახლდათ. სუვჩინსკიმ მის პატივსაცემად პეტროგრადსა და მოსკოვში კონცერტების გამართვის იდეა წამოჭრა, რასაც რიმსკი-კორსაკოვი არ დაეთანხმა.

აღსანიშნავია, რომ სუვჩინსკი ამ ინციდენტშიც ძველის უარმყოფელი, იმ კულტურული პოზიციის მხარდამჭერია, რომელსაც განუხრელად უერთგულებს მთელი ცხოვრების განმავლობაში.

ჟურნალის გამოცემასა და ინტელექტუალურ წრეთა ჩამოყალიბებას რევოლუციამდელ პეტერბურგში, ცხადია, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა: ამაში სუვჩინსკის ბადალი არ ჰყავდა! მისდამი სიმპათიას გამოთქვამდა ალექსანდრ ბლოკი, რომლის პოეზიასაც თავის ევრაზიულ სტატიებში განიხილავს მუსიკათმცოდნე.

რევოლუციის შემდეგ სუვჩინსკი ცდილობდა, მათ მხარდამხარ ესაქმიანა, ვინც ახალი რეჟიმის დროს შემოქმედებით განახლებას იზრახავდა. სუვჩინსკის არქივში მოწმობაა, გაცემული უკ-

რაინის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მუსიკალური განყოფილების ხელმძღვანელის (არტურ ლურიე (1892-1966) - რუსი და ამერიკელი კომპოზიტორი, მეოცე საუკუნის მუსიკალური ავანგარდის თეორეტიკოსი, გ.ჯ.) მიერ: სუვჩინსკი მოხსენიებულია მუსიკალური განყოფილების ნდობით აღჭურვილ პირად რესპუბლიკის ცენტრალურ მუსიკალურ განყოფილებასთან კონტაქტის დასამყარებლად. სხვათა შორის, ლურიესთან მის თანამშრომლობას ჭორი მოჰყვა, თითქოს სუვჩინსკი „რესპუბლიკის კომისარი“ იყო.

1918 წელს სუვჩინსკი უკრაინაში გამგზავრებულა, შესაძლოა, რევოლუციური ანარქიისა და მისგან გამომდინარე კონკრეტული შედეგების გამოც. 1920 წელს ის უკვე სოფიაშია. 1920-21 წწ.-ში სუვჩინსკი აგროვებს რევოლუციის მონაწილეთა და თვითმხილველთა ჩანაწერებს, მოგონებებს, დოკუმენტებს... ყოველივე ამის გაცნობა, ბუნებრივია, იმოქმედებდა მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე. სოფიაში ის ეცნობა ა. ლივენს, ნ. ტრუბეცკოის, გ. ფლოროვსკის და თავის მომავალ მოწინააღმდეგესა და მტერს, მაშინ კი - მისსავე ადეპტს, პ.სავიცკის. ტრუბეცკოის თქმით, 1920-21 წწ.-ში ყველაზე ახლობლად - სუვჩინსკის, ყველაზე შორეულად კი - ფლოროვსკის მიიჩნევდა. სავიცკის ტრუბეცკოი მერყევ ადამიანად სახავდა, რომელიც ჯერაც ვერ გათავისუფლებულიყო სტრუვესადმი თავისი შეგირდული პიეტეტით. 1922 წ. სუვჩინსკი სოფიიდან ბერლინში გადადის, სადაც ევრაზიულ გამომცემლობას აყალიბებს, აფინანსებს ავანგარდულ თეატრს და პროპაგანდირებს ევრაზიულობას. იქვე სუვჩინსკი ეცნობა ბარონ ა. მელერ-ზაკომელსკის (ალექსანდრ მელერ-ზაკომელსკი (1844-1928) - რუსი ემიგრანტი სახელმწიფო მოღვაწე, გენერალი, ყოფილი სახელმწიფო საბჭოს წევრი, გ.ჯ.), 1920-იანი წლების პირველი ნახევრის განმავლობაში ევრაზიელთა უხილავ პარტნიორს, შემდეგ კი - რუს ნაცისტთა ლიდერს; ასევე - პ. არაპოვს, რომელზეც ქვემოთ ვრცლად ვისაუბრებთ. როცა ეს უკანასკნელი სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს მიერ განხორციელებულ ოპერაცია „ტრესტში“ ჩაითრიეს, სუვჩინსკი არაერთხელ შეხვდა ტრესტის წარმომადგენელ ალექსანდრ იაკუშევს (1876-1937), საგანგებო კომისიის მუშაკს.

1924 წელს რუსული გამომცემლობების ბედი ცუდად წარიმართა. ბევრი ემიგრანტი პარიზს გაეშურა. ევრაზიელთა ფინანსური მდგომარეობა კი, ყველას გასაკვირად, გამოკეთდა ინგლისელი ქველმოქმედის, ყოფილი ჩინოვნიკის, ჰენრი ნორმან სფოლდინგის (1877-1953) წყალობით. ამ ბატონზე ცოტა რამ ცნობილია:

ჰენრი სფოლდინგი ოქსფორდის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, პოეტი, ფილოსოფოსი, მილიონერი და ფილანტროპია. სწავლობდა მსოფლიო რელიგიებს, დაწერა რამდენიმე წიგნი და გამოსცა ლექსთა კრებულები. ამ კეთილგანწყობილი ადამიანის ნაცნობთა შორის იყო რევოლუციამდელი რუსი საზოგადოების ბევრი გამოჩენილი წარმომადგენელი (კერძოდ, ნარიშკინები და გოლიცინები; ნარიშკინებს მანთ ოქსფორდში სახლიც კი უყიდა), ევრაზიელი, პოლკოვნიკი პეტრე მალევიჩ-მალევსკი (1891-1974), მონაწილე ევრაზიული მოძრაობის პოლიტიზებული ფრთისა, რომლის წარმომადგენლებს სწამდათ, რომ შეძლებდნენ საბჭოთა რუსეთში მიმდინარე მოვლენებზე ზემოქმედებას და იქ ევრაზიული იდეალის განხორციელებას. 1924-დან 1932 წლამდე ნორმან სფოლდინგმა ევრაზიელებს 10000 ფუნტი სტერლინგი შესწირა. სფოლდინგი დიდ სიმპათიას გამოხატავდა რუსეთისადმი. მეტიც: მას „აღდგომის ფართო ასპარეზად“ (the vast world of resurrection), ხატად, სასუფევლის იმ სარკმლადაც კი მიიჩნევდა, რომლიდანაც საღვთო დიდების შუქი გადმოედინება. მის ერთ-ერთ სონეტს, რომელიც რუსეთს ეძღვნება, რუსული სახელწოდება აქვს: «Христос Воскресе!» - ეს ფორმულა ლათინური ტრანსლიტერაციითაა გადატანილი (Hulmes E.: 2002.).

1920 წელს მას თითქოს დაეწეროს კიდეც:

ჩემი აზრით, ევრაზიულობის წარმატებას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ რუსეთის, არამედ - მთელი მსოფლიოსათვის. ინდოეთში, ჩინეთში, სხვა რამდენიმე მუსლიმურ სახელმწიფოში ჩნდება ინტელიგენცია - ვესტერნიზებული და სეკულარიზებული, პრინციპულად ისეთი, როგორიც რუსეთშია: საკითხავია, ის ძველი რუსეთის მაგალითს მიჰყვება და ბოლშევიზმის (ათეიზმის) უფსკრულში შთაინთქმება თუ ევრაზიელებს მიბაძავს და სახელმწიფოს სახარების პრინციპებს დააფუძნებს? მგონია, რომ ეს ჩვენი დროის უმთავრესი საკითხია (Юрий Кофнер).

სფოლდინგი მფარველობდა ინდოეთის მომავალ პრეზიდენტს, ფილოსოფოს სარვეპალი რადჰაკრიშნანს (1888-1975) (ინდოეთის პრეზიდენტი 1962-67 წწ.-ში, გ.ჯ.). სფოლდინგის წყალობით, ეს უკანასკნელი 1936-39 წწ.-ში ოქსფორდის უნივერსიტეტის აღმოსავლურ რელიგიათა და ეთიკის პროფესორი გახლდათ. სფოლდინგმა, რადჰაკრიშნანმა და მღვდელმა ჩარლზ რევენმა დააფუძნეს დიდ მსოფლიო რელიგიათა შემსწავლელი კავშირი (The Union for the Study of the Great Religions).

სფოლდინგის კეთილგანწყობით სარგებლობდნენ ეპისკოპოსი ჯორჯ ბელი, „ინკლინგთა“ დაჯგუფების წარმომადგენელი, მწერალი ჩარლზ უილიამსი და სხვები. სფოლდინგთა სახლის კარი მუდამ ღია იყო ნებისმერი ნაციონალობისა თუ კონფესიის ადამიანთათვის.

ნორმან სფოლდინგმა დიდი წვლილი შეიტანა დიდ ბრიტანეთში მართლმადიდებლობის მხარდასაჭერად. რუს ემიგრანტთა მატერიალური და მორალური მხარდაჭერის პარალელურად, მან ბევრი იღვაწა ოქსფორდში რუსული მართლმადიდებლობის პოზიციათა გასამყარებლად. 1948 წელს, მისი ინიციატივით, ოქსფორდის უნივერსიტეტში გაიხსნა აღმოსავლური მართლმადიდებლური კულტურის კათედრა. ყოველივე ამის შემდეგ, ცხადია, გასაკვირიც არ იყო, რომ სფოლდინგის ორი ქალიშვილი ენი და რუთი და ვაჟი ჯონი გაერთიანებულიყვნენ მამა სერგი ბულგაკოვისა და ანგლიკანი ეპისკოპოსის, უოლტერ ფრირის მიერ 1928 წელს დაარსებულ წმ. მოწამე ალბანისა და ღირსი მამა სერგი როდონეჟელის სახელობის მართლმადიდებლურ-ანგლიკანურ თანამეგობრობაში; სფოლდინგების ოჯახი მასპინძლობდა ხოლმე ყოფილ ევრაზიელს, მამა გიორგი ფლოროვსკისა და მის მეუღლეს (ПИСЬМО ПРОТ. ГЕОРГИЯ ФЛОРОВСКОГО К ЭНН СПОЛДИНГ ОТ 27 ФЕВРАЛЯ 1940 ГОДА).

ზემოთ ნახსენებმა გარემოებამ სუვჩინსკის საშუალება მისცა, პარიზს გადასულიყო საცხოვრებლად (ევრაზიულ სალაროში არსებული ფულით დაიფარა როგორც მგზავრობის, ისე პარიზში ყოფნის ხარჯი,გ.ჯ.). სუვჩინსკი დარწმუნებული იყო, რომ იქაურ პროფესურასთან კონტაქტს განაახლებდა. 1925 წელს ის ევრაზიელთა რელსებზე გადმოიყვანს ცნობილ ფილოსოფოსსა და მედიევისტს, ლევ კარსავინს, მიუხედავად ტრუბეცკოისა და სავიცკის წინააღმდეგობისა: ისინი კარსავინს რელიგიურ-ფილოსოფიური რენესანსის მომხრედ მიიჩნევდნენ. კარსავინის ასული, მარიანა (1911-1994) შემდეგ სუვჩინსკის გაჰყვება ცოლად (სუვჩინსკის პირველი ცოლი გახლდათ ვერა ალექსანდრეს ასული გუჩკოვა (1906-1987) - ალექსანდრ გუჩკოვის (1862-1936) - რუსეთის დროებითი მთავრობის სამხედრო და საზღვაო მინისტრის, სათათბიროს რამდენიმე მოწვევის დეპუტატის ქალიშვილი, გ.ჯ.).

სუვჩინსკის ცხოვრების პარიზული პერიოდი იმითაა გამორჩეული, რომ იგი დაუახლოვდა დ. სვიატოპოლკ-მირსკის, რომელიც ევრაზიელად ჯერ კიდევ 1922 წელს „აქცია“. სვიატოპოლკ-მირსკის შეხედულებები, შეიძლება ითქვას, ევრაზიული ორთოდოქსალიზმით არ გამოირჩეოდა, მაგრამ სუვჩინსკისთან მას აერთიანებ-

და ლიტერატურისა და ხელოვნების ცოდნა და სიყვარული. 1926 წელს მათ განიზრახეს ევრაზიელთა ადრინდელი გეგმის განხორციელება - ევრაზიულობის მომხრე ლიტერატურული ჟურნალის გამოცემა.

ჟურნალს „Версты“ უწოდეს. ამ დროისათვის სუვჩინსკი უკვე სარგებლობს მარინა ცვეტაევას კეთილგანწყობით: პოეტი ქალი მიიწვია კიდეც სათანამაშრომლოდ. ეგ არის, მხოლოდ სამი ნომერი გამოვიდა და ჟურნალი მალევე დაიხურა.

სუვჩინსკი, უდავოდ, ლიდერი იყო იმ ჯგუფისა, რომლის წევრებსაც ევრაზიულობაში, უწინარესად, ხიბლავდათ თანამედროვეობაზე ახალი შეხედულება, რევოლუციის აღიარება, საბჭოთა რეჟიმთან საერთო ენის გამონახვის ცდები... მის ირგვლივ შემოიკრიბნენ ის ადამიანები, რომელთაც, კაცმა რომ თქვას, ნაკლებად აინტერესებდათ ევრაზიულობის ისტორიული, გეოგრაფიული ან ეთნოგრაფიული ასპექტები. არაპოვი, სვიატოპოლკ-მირსკი, კარსავინი ევრაზიულობას იმ იდეოლოგიად მიიჩნევდნენ, რომლის წყალობითაც პოლიტიკაში გაერეოდნენ და ემიგრაციაშიც გამოხატავდნენ სსრკ-ში მიმდინარე მოვლენებისადმი თავიანთ დამოკიდებულებას; შესაძლოა, ევრაზიულობა მათთვის ესთეტიკური ეპატაჟის საშუალებაც იყო. ამ ჯგუფში გაერთიანებულიყვნენ ლიტერატორები და მხატვრები, რომლებიც ყოველთვის კრიტიკულად იყვნენ განწყობილნი ტრუბეცკოისა და, განსაკუთრებით, სავიცკის „სამეცნიერო“ ევრაზიულობისადმი. მემარცხენე ევრაზიულობა (რეზიდენციად სუვჩინსკის საცხოვრისი ითვლებოდა - პარიზის ახლოს, კლამარში) მხარს უჭერდა სსრკ-სთან ურთიერთობას და, მნიშვნელოვანწილად, საბჭოთა სპეცსამსახურების გავლენას ექვემდებარებოდა. ამ ჯგუფის უმრავლესობა საბჭოთა სპეცსამსახურების დავალებათა შესრულების შემდეგ რუსეთში დაბრუნდა (გარდა სუვჩინსკისა, კარსავინისა და მირსკისა, ამ ჯგუფის თითქმის ყველა წევრი პოლიტიკური სამმართველოს ნებაყოფლობით აგენტურას დაყაბულდა). სუვჩინსკი და არაპოვი ხვდებოდნენ საბჭოთა დიპლომატებს 1927 წელს.

ტრუბეცკოიმ ჯერ კიდევ 1922 წელს შენიშნა სუვჩინსკის მემარცხენეობა. სუვჩინსკიმ ურთიერთობა დაამყარა „სმენოვეხოველების“ ერთ-ერთ ლიდერთან, ნიკოლოზ უსტრიალოვთან (უსტრიალოვი (1890-1937) - რუსი იურისტი, ნაციონალ-ბოლშევიზმის ფუძემდებელი, გ.ჯ.). ტრუბეცკოი ამასაც აპროტესტებდა. ზოგის აზრით, მემარცხენეობა უმალ ესთეტიკური ფენომენი იყო: ლიტერატურისა და ხელოვნების ექსპერიმენტებით გატაცებული სუვჩინსკი სსრკ-ს ყოველთვის გრანდიოზულ ესთეტიკურ ექსპერიმენტად მი-

იჩნევდა (იაკობსონი, მაგალითად, მეცნიერების ორგანიზების საუკეთესო ექსპერიმენტად სსრკ-ს სახავდა, გ.ჯ.). სუვჩინსკისთვის სსრკ თანამედროვეობას განასახიერებდა, თანამედროვეობა კი ხელოვნებისა და პოლიტიკის უმთავრესი ელემენტი იყო. სუვჩინსკის პერსონა ბევრს აკვირვებდა მართლმადიდებლური რელიგიურობისა და ფუტურიზმის ნაზავით, თუმც 1920-იანი წლების მიწურულს მან ფუტურიზმს მიჰკერძა. სუვჩინსკი მარქსიზმმა გაიტაცა და ცდილობდა კიდეც, ევრაზიელობა კვაზიმარქსისტულ მოძღვრებად გარდაექმნა.

იქნებ სვიატოპოლკ-მირსკისთან მეგობრობამაც იმოქმედა! ეს უკანასკნელი ამტკიცებდა, რომ ემიგრაციაში რუსული ლიტერატურა დაიღუპებოდა. სუვჩინსკიმ და მირსკიმ 1927 წელს კუნძულ კაპრიზე მყოფი გორკი მოინახულეს. მიუხედავად სავიცკის მძვინვარე და ტრუბეცკოის თავშეკავებული რეაქციისა, სწორედ სუვჩინსკიმ მოახერხა, გაზეთი „ევრაზია“ (გამოდიოდა 1928 წლიდან პარიზში) მემარცხენე ორგანოდ ექცია, რომელიც საბჭოთა პროპაგანდის რუპორის როლს ასრულებდა. ამან სავიცკი და სუვჩინსკი საბოლოოდ დააცილა ერთმანეთს. ტრუბეცკოი ორგანიზაციას გაეთიშა, ხოლო ევრაზიულობის თავდაპირველმა შემადგენლობამ ფუნქციობა შეწყვიტა. სუვჩინსკიმ და მირსკიმ კვლავ მიმართეს გორკის წინადადებით, შეექმნათ ემიგრანტული პროსაბჭოთა ჟურნალი. დაინტერესებულმა გორკიმ მაშინვე მოითხოვა დეტალური ცნობები ამ პროექტზე და სტალინს შეატყობინა. საბჭოთა ლიტერატურის პატრიარქი გახაზავდა, რომ „ეს“ ადამიანები უფრო მსხვილი „კალიბრისანი“ არიან, ვიდრე ისინი, ვისაც აქამდე ეცადა ემიგრაციაში პროსაბჭოთა პერიოდიკის დაარსება.

ამ განწყობათა მქონე სუვჩინსკი მაინც არ დაბრუნდა სსრკში, და სწორადაც მოიქცა: სიცოცხლე შეინარჩუნა, განსხვავებით არაპოვისა და მირსკისაგან, რომლებიც საბჭოეთში დაიღუპნენ.

1937 წელს სუვჩინსკის ფრანგულმა გაზეთმა Le Jour ბრალი დასდო პოლიტიკურ სამმართველოსთან თანამშრომლობაში. სუვჩინსკიმ რედაქციას უჩივლა.

სუვჩინსკი იმ მცირერიცხოვან ემიგრანტთა რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომელთაც ოკუპაციის დროსაც არ მიატოვეს პარიზი და ბევრი ფასეული დოკუმენტი გადაარჩინეს. მაგალითად, სუვჩინსკის არქივმა შემოინახა პრონაცისტური ჯგუფის მოწოდებანი, რომელთა შორისაა რუსეთის დიდი მთავრის, ვლადიმირ კირილეს ძე რომანოვის (1917-1992) - იმპერატორ ალექსანდრე მეორის შვილთაშვილის - წერილები „კანცლერ ჰიტლერის ჯვაროსნული ლაშქრობის“ მხარდასაჭერად.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სუვჩინსკი აქტიურად მონაწილეობდა საფრანგეთის მუსიკალურ ცხოვრებაში, წერილებით ეხმიანებოდა ჟაკ დერიდას, დააწესა იულია კრისტევას სახელობის სტიპენდია, ურთიერთობა დაამყარა ბორის პასტერნაკსა და პიანისტ მარია იუდინასთან. მრავალწლიანი მიმოწერა და კოოპერაცია აკავშირებდა სუვჩინსკის სერგეი პროკოფიევსა და იგორ სტრავინსკისთან. ამ უკანასკნელთან ერთად მან იმუშავა „მუსიკალური პოეტიკის“ შექმნაზე.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ ევრაზიულობის ისტორიაში სუვჩინსკიმ არაორდინარული როლის შესრულება იკისრა: მას მონაწილეობა არ მიუღია მოძრაობის გეოგრაფიული, ლინგვისტური ან ეთნოგრაფიული გაგების ჩამოყალიბებაში: არადა, თითქოს ამას ეფუძნებოდა ევრაზიული დოქტრინა! საერთო საქმეში მისი წვლილი ამოიწურება იმ რამდენიმე სტატიით ლიტერატურაზე, რომლებშიც ფორმის მოდერნისტული ესთეტიკა რომანტიკულ რელიგიურობას ერწყმის: მასვე ეკუთვნის რევოლუციის კვაზიფილოსოფიური ანალიზიც.

და მაინც, სუვჩინსკი - თავისი მუსიკალური კონტაქტების, ბლოკით, პასტერნაკითა და ცვეტაევათი გატაცების, მხატვარ-ავანგარდისტებსა და ილია ერენბურგთან მეგობრობის, ექსპერიმენტული თეატრის დაფინანსების წყალობით, ევრაზიულობის ფენომენის, მისი მოდერნული ხასიათის გასაგებად ერთ-ერთ წამყვან ფიგურად რჩება (Петр Сувчинский и его время:1999; The Letters of D.S. Mirsky to P.P. Suvchinskii,:1995; Smith: 2000; Святополк-Мирский:2002; Нестъев:1987; Rylkova: 2002; Лурье: 1969; Революция и Гражданская война в России:1921; Казнина:1992; Письма М.И. Цветаевой:1993; Из протокола допроса Л.П. Карсавина 8 августа 1949 г. : 1992; Переписка Максима Горького и Иосифа Сталина : 1997; 1998; Из переписки Бориса Пастернака и П. Сувчинского:1986).

პეტრე სავიცკი

პეტრე ნიკოლოზის ძე სავიცკი დაიბადა 1895 წელს უკრაინაში, ჩერნიგოვში, სათემო გამგებლის ოჯახში. ჯერ კიდევ ყმაწვილი სავიცკი აქტიურად ითვისებდა მხარეთმცოდნეობას, აქვეყნებდა სტატიებს უკრაინის არქიტექტურასა და ხალხურ ხელოვნებაზე. ცნობილ ისტორიკოს, ჰერალდისტსა და გენეალოგთან, ვადიმ მოდზალევსკისთან (1882-1920) ერთად სავიცკიმ გამოაქვეყნა წიგნი ჩერნიგოვზე.

პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სწავლის დროს სავიცკი სტატიებს ბეჭდავს სტრუვეს რედაქტორობით გამოსულ ჟურნალში,

რომლებშიც უკვე კრთის „პირველნაციის“ დიალექტიკური გაგება: უკრაინელი ხალხი ერთდროულად დამოუკიდებელი ერიცაა და დიდი ნაციონალური ერთობის წევრიც. ასეთ სქემებს ევრაზიელები შემდეგ რუსეთის იმპერიისა და მასში მოსახლე ხალხებისთვისაც შექმნიან.

1916 წელს სავიცკი ამთავრებს პეტროგრადის პოლიტექნიკურ ინსტიტუტს, რომელშიც სტრუვეს ხელმძღვანელობით პოლიტეკონომიას ეუფლებოდა, და ინიშნება ნორვეგიის ქრისტიანიის (ოსლო) რუსულ მისიაში დესპანის კომერციულ მდივნად. იქ სავიცკი მუშაობდა ცნობილი დიპლომატის, კონსტანტინე გულკევიჩის ხელმძღვანელობით. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ სავიცკი იძულებული გახდა, სამშობლოში დაბრუნებულიყო. თუმც უკვე 1918 წელსვე ჩერნიგოვიდან წავიდა. სამოქალაქო ომის დროს ის სწერდა კ. გულკევიჩს:

ცენტრალური რადას რეჟიმის თვითმხილველი ვარ, სამი თვის განმავლობაში სიტყვითა და იარაღაით ჩემ მეგობარ ოფიცრებთან ერთად ვიცავდი ჩერნიგოვის ხუტორს ბოლშევიკურ ბანდათაგან, ალყაშემორტყმული გერმანელებმა გამათავისუფლეს, შვიდი თვე გერმანულ რეჟიმს ვუძლებდი, რუსული კორპუსის რიგებში უმდაბლესი ჩინით ვიბრძოდი, კიევს ვიცავდი პეტლურასაგან, შევესწარი კიევის დაცემას და მამაჩემთან ერთად გამოვემგზავრე თუ გამოვიქეცი, ძნელი სათქმელია; ვნახე ფრანგები ოდესაში და დაველოდე დიდებული iccupation franęaise-ს დასრულებას. 1919 წლის მარტიდან აგვისტომდე ეკატერინბურგში ვიყავი, ხოლო აგვისტოდან ნოემბრამდე რუსეთის თეთრი „სოვდეპიის“ ჭაობში, რუსეთის სამხრეთში ვფართხალებდი, რომელიც იმხანად ბოლშევიკებისაგან გაეთავისუფლებინათ. ფრონტზე რამდენიმე კვირა გავატარე, ვცხოვრობდი პოლტავისა და ხარკოვის სოფლებში, პოლტავასა და ხარკოვში, მერე - როსტოვში...

1920 წლის ზამთარსა და გაზაფხულზე სავიცკი კონსტანტინოპოლში მოქმედი სრულიად რუსეთის სათემო კავშირის წარმომადგენლის თანაშემწედ მსახურობდა, დევნილთა განთავსებაზე ზრუნავდა. შემდეგ სტრუვემ ყირიმის მთავრობის საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტში მიუხმო, რომელსაც თვითონ განაგებდა. სავიცკი ამზადებდა სისტემატურ შენიშვნებს ვრანგელის მიერ დაკავებული ოლქების ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ, მხარში ედგა სტრუვეს, რომ 1920 წლის ზაფხულში ვრანგელისთვის საერთაშორისო მხარდაჭერა მოეპოვებინათ.

საინტერესოა, რომ ჯერ კიდევ 1920 წლის ივლისში, ევრაზიელთა შეხვერდამდე სოფიაში, ვრანგელის წარმომადგენელთა დელეგაციაში ყოფნისას, სავიცკი სწერდა ახლობლებს:

მიუხედავად ჩემი მოხიბლულობისა პარიზული ჰავითა და ელეგანტური პარიზელებით, გული ისევ აღმოსავლეთისაკენ მომიწევს. თქვენი ნახვა მინდა, ჩემო ძვირფასებო; იმასაც ვგრძნობ, რომ ჩემს გულს სამშობლოს შეცნობა მხოლოდ ევრაზიის ფარგლებში, ჩერნიგოვშჩინის მინდორ-ველებზე, ყუბანის ტრამალებზე, ბათუმის პალმებქვეშ და კონსტანტინოპოლის მიხლა-მოხლაში ძალუძს. ბეჯითად ვქადაგებ ევრაზიულობას. მაგრამ პარიზში ლივენს ვერ იპოვი... და კეთილი ევროპელები ძრწოლით აყურადებენ ამ ერეტიკულ წინასწარმეტყველებას...

სავიცკი წინდახედული და ინფორმირებული ადამიანი იყო: ამიტომ ვრანგელის არმიის ყირიმიდან ევაკუაციამდე სამი თვით ადრე თავისი ოჯახისათვის (მშობლები და ძმა - გიორგი) კონსტანტინოპოლის ახლოს, ნარლიში (როგორც სავიცკის უყვარდა თქმა, „ბოსფორის აზიურ სანაპიროზე“) მამული იქირავა, სადაც ევაკუაციის შემდეგ, ნოემბერში, დედ-მამამ და ძმამ ერთგვარი ემიგრანტული სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობა დააფუძნეს.

1921 წლის დამდეგს სავიცკი სოფიაში მიემგზავრება, სადაც სტრუვეს წარმომადგენლობას კისრულობს რუსულ-ბულგარულ გამომცემლობაში. 1921 წლის მიწურულს სავიცკი (ფლოროვსკიც!) სოფიიდან პრაღაში გადადის, სადაც ჩეხეთის მთავრობის უპრეცედენტო „რუსული აქციის“ წყალობით, იკავებს რუსული იურიდიული ფაკულტეტის მასწავლებლის თანამდებობას.

შეუფასებელია სავიცკის როლი ევრაზიულ მოძრაობასა დ მის იდეოლოგიურ პოსტულატთა დამუშავების საქმეში. დ. მენდელეევის, ვ. ვერნადსკისა და ნიადაგმცოდნე ვ. დოკუჩაევის მოთაყვანე სავიცკი აყალიბებს ევრაზიულობის ძირითად გეოგრაფიულ და ეთნოგრაფიულ თეზისებს (გამოხმაურება ნ. ტრუბეცკოის წიგნზე „ევროპა და კაცობრიობა“). შესაძლოა, ტერმინი „ევრაზია“ და „ევრაზიულობა“ სულაც სავიცკიმ გამოიყენა პირველად, რათა „რუსული სამყარო“ აღენიშნა; ყოველ შემთხვევაში, 1930 წელს იაკობსონისადმი მიძღვნილ წერილში იგი წერს, რომ „ევრაზია“ 1918 წელს „მოიგონა“. სავიცკისავე მიეკუთვნება შესაბამისობის თეორია, რომლის თანახმადაც, ევრაზიული სამყარო სხვადასხვაგვარ, მაგალითად, კლიმატურ, სანიადაგო, გეოგრაფიულ, კულტურულ აღწერა-დახასიათებათა დამთხვევებში იჩენს თავს.

სავიცკი მხოლოდ გეოპოლიტიკოსი და ავტარქიული სივრცის თეორის ავტორი როდი გახლდათ! ის მონაწილეობდა პრაღის

ლინგვისტთა წრის მუშაობაში, მან შექნა სტრუქტურული გეოგრაფია, რომელმაც, იაკობსონის შეფასებით, პრაღელ ლინგვისტთა აზროვნების წესზე დიდად იმოქმედა.

ევრაზიულობისათვის ნაკლებმნიშვნელოვანი როდი იყო სავიცკის ორგანიზატორული საქმიანობა. პირად ცხოვრებაში - ასკეტი, ის უჩვეულო შრომისმოყვარეობით გამოირჩეოდა. 15 წლის განმავლობაში ის მხოლოდ ევრაზიულობით ცხოვრობდა, აქვეყნებდა წიგნებსა და სტატიებს, ადგენდა კრებულებს, ქადაგებდა საკუთარ მოძღვრებას და იბრებდა მომხრეებს. მართალია, სავიცკი რთული ხასიათისა, მაგრამ ძალზე მთლიანი ნატურა გახლდათ; ბოლომდე ითავისებდა საკუთარ ტექსტს; არ აეჭვებდა მისი შინაგანი ლოგიკა. ევრაზიელთა მიერ ჩამოყალიბებული ევრაზიის ფენომენი სავიცკისათვის სინამდვილე იყო. მთელი ცხოვრების განმავლობაში მისი ერთგული დარჩა, მიუხედავად პატიმრობისა და გადასახლებისა, რომლებითაც „იდეოკრატიული ევრაზია“ გაუმასპინძლდა.

თითქმის უცილოა, რომ სავიცკი, სხვა დამფუძნებელი მამებივით, პოლიტიკამ ჩაითრია. ის რამდენჯერმე იდუმალად იმყოფებოდა სსრკ-ში პოლიტიკური სამმართველოს მიერ შექმნილი ევრაზიული ორგანიზაციის წარმომადგენლებთან შესახვედრად. 1927 წლის ევრაზიულ პროგრამაშიც მითითებულია, რომ ის მოსკოვში დაიწერა. სავიცკის არქივში აღმოჩნდა იმის დამადასტურებელი ჩანაწერი, რომ მან ზემოთ დასახელებული პროგრამა სსრკ-ში მოგზაურობისას მოამზადა. ს. ვოიცეხოვსკი (1900-1984) - ე.წ. თეთრი ემიგრაციის ცნობილი წარმომადგენელი, პოეტი იხსენებდა, რომ სავიცკი ნახა ვარშავაში, ი. არტამონოვთან საბჭოთა საზღვარზე წასვლამდე რამდენიმე საათით ადრე. არტამონოვი თეთრგვარდიელი ოფიცერი იყო, „ტრესტის“ მთავარი თანამშრომელი, რომლის წყალობითაც პოლიტიკური სამმართველო ემიგრაციას დაუკავშირდა.

ევრაზიული მოძრაობის დაშლის შემდეგ სავიცკი, პრაქტიკულად, მისი ერთპიროვნული მმართველი გახდა. მან მოახერხა, ცოტაოდენი ფული ისევ გამოერთმია სფოლდინგისათვის და განაგრძო ევრაზიული მასალების გამოქვეყნება. ამ საქმიანობაში დროდადრო ტრუბეცკოიც მონაწილეობდა. მეორე მსოფლიო ომის დროს სავიცკი პრაღის უნივერსიტეტში ასწავლიდა, მაგრამ იძულებული გახადეს, სამსახურისათვის თავი დაენებებინა. ამაო აღმოჩნდა ნაცისტებთან ურთიერთობაც სამსახურის შესანარჩუნებლად. ცოტა ხანს პრაღის რუსულ გიმნაზიაში ასწავლიდა, შემდეგ კი კონდაკოვის არქეოლოგიურ ინსტიტუტში იმალებოდა, როგორც გვატყობინებს ნიკოლოზ ეფრემის ძე ანდრეევი (1908-1982) -

ემიგრანტი რუსი კულტუროლოგი. „სმერშმა“ - საბჭოთა კონტრაგენტურულმა ორგანიზაციამ სავიცკი ანდრეევთან ერთად დააპატიმრა: ანდრეევმა სასწაულებრივად გაასწრო პრაღიდან, სავიცკი კი გაასამართლეს: მან ათი წელი გაატარა მორდვეთის ბანაკებში. შემდეგ ანდრეევი იხსენებდა, რომ სავიცკის დამკითხავმა „სმერშის“ მაიორმა არ დაიჯერა, რომ მისთვის - „კლასობრივი მტრისთვის“ - წართმეული პატრიოტული ლექსები სავიცკის ეკუთვნოდა. შესამოწმებლად მაიორმა უბრძანა სავიცკის, იმ წუთში შეეთხზა ლექსი ყუბანის საცხენოსნო დივიზიაზე. სავიცკიმ დაუყოვნებლივ დაიწყო წერა. ლექსის პირველი სტროფი ასე ჟღერდა: „არ არის უფრო ღირსეული ქვეყნად სახელი, ვიდრე შემქმნელი რუსეთისა - მცველი მხედარი“ მიუხედავად პატრიოტიზმის ასეთი წარმატებული დემონსტრაციისა, საბჭოთა სპეცსამსახურებმა დააპატიმრეს სავიცკი და საბჭოთა კავშირში წაიყვანეს. ბანაკში ყოფნისას ლენინგრადელ ნაცნობთაგან შეიტყო ლევ გუმილევის ნაშრომთა შესახებ, მაშინვე დაიწყო მასთან მიმოწერა (შთააგონა პასიონარიზმის თეორიის შექმნა) და მისი ქება ვერნადსკისადმი მიძღვნილ წერილებში. როცა სავიცკი გაათავისუფლეს, ანდრეევი წერდა ვერნადსკის, რომ სავიცკი პრაღაში დაბრუნდა და ეკატერინე კუსკოვას (1869-1958) - საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოღვაწის, პუბლიცისტისა და მემუარისტის - აზრით, იგი „აღფრთოვანებულია თანამედროვე ევრაზიით“. ანდრეევი დასძენს: „საწყალი პეტრე ნიკოლოზის ძე!“. თვითონ სავიცკი მეგობრებისათვის გაგზავნილ წერილებში დაუღალავად გახაზავს, რომ მისი შეხედულებანი არა თუ შეიცვალა, გამყარდა კიდეც. პრაღაში დაბრუნებული (სავიცკის საამისო ნებართვა ჰქონდა) აწ ჩეხოსლოვაკიის ხელისუფლებამ დააპატიმრა, ალბათ, დასავლურ გამოცემებში გამოქვეყნებული პუბლიკაციებისათვის. ნ. ანდრეევმა ეს ამბავი მსოფლიოს სახელოვან მეცნიერებს შეატყობინა (ბედის ირონიაა, რომ მეოცე საუკუნის დიდი ლიბერალი ფილოსოფოსი სერ ისაია ბერლინი მონაწილეობდა სავიცკის იმ რეჟიმისაგან გათავისუფლებაში, რომელსაც ევრაზიულობის დამფუძნებელი ინტელექტუალურ მხარდაჭერას უცხადებდა!). ეს ქმედებანი დაემთხვა ჩეხეთის მთავრობაში დაწყებულ „წმენდას“, და სავიცკი გამოუშვეს. სავიცკის გათავისუფლების მოთხოვნით ჩეხეთის მთავრობას მიმართეს: ნ. ანდრეევმა, ი. ბერლინმა, დ. თრედგოლდმა (დონალდ თრედგოლდი (1922-1994) - ცნობილი ბრიტანელი სოვეტოლოგი, გ.ჯ.), ბ. რასელმა, ლ. შაპირომ (ლეონარდ შაპირო (1908-1983) - ცნობილი ბრიტანელი სოვეტოლოგი, გ.ჯ.).

სავიცკი ლუკმა პურს თარგმანებითა და შემთხვევითი პუბლიკაციებით შოულობდა - აღარ დაბრუნებია აქტიურ სამეცნიერო

მოღვაწეობას. სავიცკის 1950-იანი წწ.-ის მიწურულსა და 1960-იანი წწ.-ის დამდეგს დაწერილი ბარათები იმას მოწმობს, რომ ტყვეობის წლებმა მისი ჯანმრთელობა და ფსიქიკა შელახა. 1986 წელს სავიცკი პრაღაში გარდაიცვალა (Вернадский:1968; Дурновцев., Кулешов:1994; Дурновцев:1999; Степанов:1992; Быстрюков:2007; Войцеховский:1974; Андреев:1996; Глебов:2010).

პეტრე არაპოვი

ევრაზიულობის დამფუძნებელ მამათა სოფიიდან გამგზავრებას მოჰყვა მოძრაობის რიგების შევსება: 1922 წლის დამდეგს ევრაზიელებს შეუერთდა ჭაბუკ ოფიცერ-მონარქისტთა ჯგუფი. ისინი დიდი განათლებით არ გამოირჩეოდნენ, მაგრამ მათი რაოდენობა და ენერგიულობა ნამდვილად გასათვალისწინებელი ფაქტორი იყო ნებისმიერი ევროპული მემარჯვენე მოძრაობისთვის. მათგან ერთ-ერთი გამორჩეული პეტრე სიმონის ძე არაპოვი ევრაზიული მოძრაობის გამორჩეულად მნიშვნელოვანი ფიგურა გახლდათ.

არაპოვი დაიბადა პენზის გუბერნიაში 1897 წელს. მისი ოჯახი ენათესავებოდა ვრანგელს. ძირითად ევრაზიელთაგან განსხვავებით, რომელთაც ასე თუ ისე თავი რევოლუციამდეც გამოევლინათ, არაპოვი უცნობად რჩებოდა სუვჩინსკისა და ტრუბეცკოის გაცნობამდე. სავიცკი იხსენებდა, რომ არაპოვი სწავლობდა პაჟთა კორპუსში; ხოლო ლ. ვ. ნიკულინი (1891-1967) - საბჭოთა მწერალი, თავის ტენდენციურ რომანში „მკვდარი ყინვა“, რომელიც პოლიტიკური სამმართველოს დოკუმენტებს ეფუძნება, წერს, არაპოვი, ი. არტამონოვივით, ალექსანდრეს ლიცეუმის კურსდამთავრებული იყო; ცნობილია ისიც, რომ რევოლუციამდე ცხენოსანთა პოლკში მსახურობდა (ალბათ, ცოტა ხნით), რევოლუციის შემდეგ კი თეთრგვარდიელთა მოძრაობის წევრი იყო. სავიცკისავე მოწმობით, სამოქალაქო ომის დროს არაპოვი მონაწილეობდა მასობრივ დახვრეტაში, რაც აისახა კიდეც მის ფსიქიკაზე. არაპოვის სუვჩინსკისთან მიმოწერიდან ირკვევა, რომ 1922 წელს ის კენიგსბერგის უნივერსიტეტში ლექციებს ესწრებოდა, სადაც გაიცნო იქაური მასწავლებელი ნიკოლოზ არსენიევი. შესაძლოა, მისივე წყალობით, არაპოვი შეუერთდა ევრაზიულობის მცოდნე ინტელექტუალურ წრეს.

ზოგადად, არაპოვი დიდად განსხვავდებოდა ევრაზიული მოძრაობის დამფუძნებელთა ადამიანის ტიპისაგან - განათლებით ვერ დაიკვეხნიდა (თუმც სავიცკი, რომელსაც ყოველთვის გამოარჩევდა განსაკუთრებული პიეტეტი არისტოკრატებისადმი, არაპოვს „უნატიფეს სნობად“ და რამდენიმე ენის მცოდნედ მოიხსენი-

ებდა). ევრაზიულ კრებულებში ვერ მოძებნით არაპოვის ვერც ერთ პუბლიკაციას. ინტელექტუალთა (მაგალითად, კარსავინის) სტატიების მოკრძალებული კომენტირება, რითაც ერთხანს არაპოვი და მალევსკი-მალევიჩი დაკავდნენ, დამფუძნებელ მამებს აღიზიანებდათ. არაპოვის წერილების სტილი და ხარისხი მკვეთრად განირჩევა ევრაზიულობის დამფუძნებელთა ბარათების სტილისა და ხარისხისაგან. მიუხედავად არაპოვის რომელიმე მეტნაკლებად სერიოზული პუბლიკაციის არარსებობისა, არქივებმა შემოინახა მისი საკმაოდ საინტერესო შენიშვნები (ესკიზები). ძნელი დასადგენია, როგორ მიიჩნევდნენ შესაძლებლად ტრუბეცკოისა და სუვჩინსკისნაირი ადამიანები არაპოვთან თანამშრომლობას. კონკრეტულად, არაპოვი საინტერესოდ შენიშნავდა ნაციონალიზმისა და იმპერიული სახელმწიფოს ურთიერთდამოკიდებულებაზე რუსეთში.

ის კლასიკური წარმომადგენელი გახლდათ ომებს შორის მოქცეული ევროპელი ახალგაზრდობისა, რომელიც საფრონტო და რევოლუციურმა გამოცდილებამ ჩამოაყალიბა. სწორედ არაპოვმა გააევრაზიელა ისეთი თეთრგვარდიელი ოფიცრები, როგორებიც პ.ნ. მალევსკი-მალევიჩი (დაახლ. 1891-1974) - ემიგრანტი პოლკოვნიკი - და ა.ა. ზაიცოვი (1889-1954) - რუსეთის არმიის გენშტაბის ემიგრანტი პოლკოვნიკი - იყვნენ. არაპოვმა დააკავშირა ევრაზიელები ‚ტრესტის“ წარმომადგენლებთან და, თითქოს, პრაღული ჯგუფის წევრთა პოლიტიკურ სამმართველოსთან სათანამშრომლოდ გადაბირებასაც ცდილობდა.

ვრანგელთან ახლო ნათესაური კავშირი მას საშუალებას აძლევდა ბრიუსელში მყოფი ვრანგელის წრეში ეტრიალა, თავად გოლიცინებს შინ სტუმრებოდა (იქ ცხოვრობდა არაპოვის დედა). სწორედ გოლიცინების წყალობით, არაპოვი გაეცნო მალევსკი-მალევიჩსა და ჰენრი სფოლდინგს. სავიცკის მოგონებათა თანახმად, არაპოვი დაჯილდოებული იყო გამორჩეული გარეგნობით: ქალები თვალს ვერ აცილებდნენო. სავიცკივე ამტკიცებდა, რომ არაპოვი - უაღრესად ცინიკური ადამიანი - ამ უპირატესობასაც იყენებდა ევრაზიული მოძრაობისათვის ფინანსების მოსაძიებლად. მას, აკი ვთქვით, მეცნიერისა თუ ლიტერატორის არავითარი ტალანტი არ გააჩნდა, მაგრამ მაინც მიაღწია ევრაზიული ორგანიზაციის წამყვანი წევრის მდგომარეობას (კაცმა რომ თქვას, ევრაზიულობა მოძრაობად რომ გარდაიქმნა, სწორედ არაპოვის დამსახურება გახლდათ: სუვჩინსკისადმი მიწერილი წერილიდან ჩანს, რომ ის პროგრამას ამუშავებდა და დასძენდა, ეს „ტრესტთან“ მოლაპარაკებას გააიოლებსო). არაპოვი ევრაზიულობის მხოლოდ საორგანიზაციო და პოლიტიკურ საკითხებში ერეოდა, კოორდინირებას უწევდა სხვათა საქმიანობას, შოულობდა საგამომცემლო და სამ-

გზავრო სახსრებს, ხვდებოდა „მეგობრებს“ - საბჭოთა იატაკქვეშეთის წარმომადგენლებს. ამის მიუხედავად, არაპოვი თავად დიდი ორგანიზებულობით არ გამოირჩეოდა (ერთხელ სუვჩინსკის სტატიის ფრანგულად თარგმნა იკისრა, თუმც მასალა მალევე დაუბრუნა ავტორს და სთხოვა, „ევრაზიული დისკურსისგან“ გამათავისუფლეო). სუვჩინსკის მაინც ყველაზე ახლობლად მიიჩნევდა: მუსიკათმცოდნესა და ფილოსოფოსს დიდად სიამოვნებდა, როცა არაპოვი მას მოძღვრად მოიხსენიებდა!

საკითხავია, რამდენად იყო არაპოვი ინსტრუმენტი პოლიტიკური სამმართველოს კონტრდაზვერვის სამსახურის ხელში. სერგეი ეფრონი დაკითხვაზე ამტკიცებდა, რომ არაპოვი პოლიტიკური სამმართველოს დავალებებს ასრულებდა. აი, სერგეი ვოიცეხოვსკი კი, „ტრესტის“ ერთ-ერთი მონაწილე, მას ჭეშმარიტ ევრაზიელად მიიჩნევდა, რომელიც „ტრესტის“ მისტიფიკაციას ემსხვერპლა: ყოველ შემთხვევაში, არავითარი საბუთი არ არსებობს იმის დასადასტურებლად, რომ არაპოვი ბოლშევიკთა მხარეს გადასულიყოო. არადა, ის, რომ არაპოვი 1923-27 წწ.-ში არ ყოფილა პოლიტიკური სამმართველოს აგენტი, სულაც არ გამორიცხავს შესაძლებლობას, ეს როლი 1928 წელს შეესრულებინა. 1929-1930 წწ. სვიატოპოლკ-მირსკი-სუვჩინსკის მიმოწერა (კერძოდ, მოძრაობის გახლეჩასა და იმ გეგმაზე საუბარი, მემარცხენე ევრაზიულ ჯგუფს სსრკ-ს ტერიტორიაზე ესაქმიანა) ადასტურებს, რომ ამ დროისათვის არაპოვი საბჭოთა ფულს იღებდა. ცნობილია, რომ 1922 წელს ის თან ახლდა პოლიტიკური სამმართველოს აგენტ იაკუშევს ბერლინში. ოპერაცია „ტრესტი“ გენერლების: ვრანგელისა და კუტეპოვისა და მათ ირგვლივ თავმოყრილი ოფიცრების წინააღმდგ დაეგეგმათ. ამიტომ სავსებით შესაძლებელია, არაპოვი შემთხვევით მოხვედრილიყო საბჭოთა სპეცსამსახურების მზერის არეალში. შემდეგ კი, როცა მან უკვე დაიჯერა ანტისაბჭოთა იატაკქვეშეთის არსებობა, გადაწყვიტა ეს ევრაზიელთათვის ეამბნა. როგორც ცნობილია, მათ სიამოვნებით მიიღეს მონაწილეობა საბჭოთა აგენტთა მიერ დადგმულ სპექტაკლში. ასე იყო თუ ისე, სსრკ-ში არაერთხელ ნამყოფი არაპოვი მედიატორობდა ევრაზიელებსა და „ტრესტს“.

არაპოვი ყოველნაირად ცდილობდა, სუვჩინსკი იმ სავიცკისათვის გადაეკიდებინა, რომელიც სულ უფრო მკვეთრ ანტისაბჭოურ განწყობას ამჟღავნებდა.

1930 წელს, როცა ევრაზიულობამ არსებობა შეწყვიტა და გაზეთ „ევრაზიის“ დაფინანსების შესაძლებობაც გაქარწყლდა, არაპოვი სსრკ-ში გაემგზავრა, რის შემდეგაც მისი კვალი აღარ ჩანს.

ვოიცეხოვსკის მოჰყავს მწერალ ნიკოლოზ უგრუმოვის (ა.ი. პლუშკოვის ფსევდონიმი) მოწმობა, თითქოს მას არაპოვი სოლოვკის ბანაკში ენახოს, სადაც ის დაიღუპა.

არაპოვი იოლად პოულობდა საერთო ენას არისტოკრატული ემიგრაციის წარმომადგენლებთან: თვით სვიატოპოლკ-მირსკი და ტრუბეცკოიც კი ბევრ რამეს ჰპატიობდნენ. სვიატოპოლკ-მირსკი წერდა ერთგან, არაპოვის ევრაზიულობა ფაშიზმივით დაეცაო. სავიცკის თქმით, არაპოვი საიმედო ჭაბუკი იყო, რომელიც წრეგადასული ცხოვრებით გამოირჩეოდა და ყველაზე ძნელად წარმოსადგენ ვითარებაშიც ხშირად ხვდებოდა. სწორედ ეს თუ იყო მიზეზი არაპოვის პოლიტიკური სამმართველოს ხაფანგში გაბმისა და, საბოლოოდ, სსრკ-ში დაღუპვისა (Балтийско-русский сборник: 2007; Струве:1925).

ფილოსოფიური პარადიგმა

ევრაზიულობის მსოფლმხედველობრივ ამბიციებს მხოლოდ „დიდს“ თუ „დიადს“ თუ უწოდებ - მოძრაობა პრეტენზიას იმაზე აცხადებდა, რომ ძალუძდა გნოსეოლოგიურ-ონტოლოგიური პრობლემატიკის გააზრება და ეგებ, გადაჭრაც კი. თუმც, მიუხედავად ასეთი მასშტაბური ქადილისა, ევრაზიელთა შეხედულებებში სჭვივის იდეა დახშული, თვითკმარი სივრცის მოხელთებისა, რომელსაც „რუსეთი-ევრაზია“ უნდა დარქმეოდა.

გეოგრაფიული ფასადი

ევრაზია, როგორც განსაკუთრებული გეოგრაფიული სივრცე, აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან მომდინარე იმ ორ კოლონიზაციურ ტალღაში გახვეულა, რომლებიც ერთმანეთს ბერინგის ზღვის ნაპირებზე ხვდება.

ევრაზიული „ადგილგანვითარების“ სივრცული მთლიანობა მისი გეოგრაფიული სპეციფიკურობითაა შეპირობებული: ევრაზიის თითქმის ყველა მდინარე მერიდიანულად მიემართება - სამხრეთისა თუ ჩრდილოეთისაკენ, უწყვეტი ტრამალური ხაზი კი აერთიანებს და მსჭვალავს მას დასავლეთიდან - აღმოსავლეთისკენ. ევრაზიის გამაერთიანებლად ის სახელმწიფო ვერ გამოდგება, რომელიც წარმოქმნილია ამა თუ იმ ცალკეულ სამდინარო აუზში. ყველა სამდინარო სახელმწიფო ტრამალებიდან მომდინარე მუდმივ ხიფათსა თუ კონტროლს უნდა დალოდებოდა. მხოლოდ სტეპის მფლობელს ძალუძს მთელი ევრაზიის პოლიტიკურ-კულტურული გაერთიანება. ჩრდილოეთიდან - ტუნდრით, სამხრეთიდან კი მთათა მასივებით შემოფარგლული ეს უნიკალური წარმონაქმნი თითქმის არ ეხება მსოფლიო ოკეანეს, რაც გამორიცხავს მის აქტიურ მონაწილეობას საოკეანო კოლონიურ მეურნეობაში, ასე რომ ახასიათებს დასავლეთ ევროპას.

ორივე მხრივ წყლოვანი სივრცითა და ბუნებრივი სიმდიდრეებით შემორკალული, მუდმივად აჰყვება ხოლმე იმ იდეას, რომ გააცნობიეროს ეკონომიკური დამოუკიდებლობა, გადაიქცეს ავტონომიურ „კონტინენტ-ოკეანედ“. იმ ფაქტს, რომ ევრაზიას ჰქონდა გასასვლელი ნამდვილი ოკეანისაკენ, ყურადღება არ ექცეოდა: ეს „სიცარიელეში“ გასვლად აღიქმებოდა.

ევრაზია განძარცული იმიტომ ჩანს, რომ საოკეანო გაცვლა-გამოცვლას დასცილებია. ამ ნაკლის საკომპენსაციოდ, ის იძულებული შეიქნა, მატერიალური წარმოების მთელი სტრუქტურა გარდაექმნა, რის შედეგადაც სამრეწველო და სასოფლო-სამურნეო ტერიტორიებად დაიყო. მხოლოდ საკუთარი თავის იმედი უნდა ჰქონო-

და, ამიტომ ცხოვრებისეულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, იქმნებოდა წარმოება ქვეყნის შიგნით.

როცა გეოგრაფია კულტურას განსაზღვრავს

ევრაზიის გეოგრაფიულ მთლიანობაშივე იგულისხმება მისი კულტურული ერთიანობაც. „საზღვრის“ კატეგორია მნიშვნელოვანია ევრაზიული კულტურის არსის შესაცნობად. ეს კულტურა, ერთი მხრივ, იმ საზღვრის დასავლეთით სუნთქავდა, რომელიც მკვიდრ ევროპულ ცივილიზაციას მისთვის უცხო დიდი სტეპური ცივილიზაციისაგან გამოყოფდა; მეორე მხრივ კი იმ კონფესიური საზღვრის აღმოსავლეთით განფენილიყო, რომელიც ჭეშმარიტ ქრისტიანობას - მართლმადიდებლობას „ერეტიკულისაგან“ (კათოლიკენი და პროტესტანტები) აცალკევებდა. სიმულტანურად, რუსეთი თავს მიიჩნევდა მსოფლიოს ცენტრადაც და მის პერიფერიადაც: შესაბამისად, იზოლაციასაც ელტვოდა და ინტეგრაციასაც. სივრცული განკერძოება იმ განსაკუთრებული ეთნიკური ტიპის გამოყოფის შესაძლებლობას ქმნიდა, რომელიც პერიფერიაში აზიურ ტიპსაც დაუახლოვდა და ევროპულსაც, მაგრამ არც ერთს დაემთხვა და არც მეორეს.

„რუსეთი-ევრაზია“, უპირველესად, ბიზანტიის კულტურული ტრადიციის გამგრძელებელია, ოღონდ ბიზანტიურობა ევრაზიური კულტურის ოდენ ერთ ელემენტთაგანია: მას შესამჩნევი კვალი მე-13 ს.-ში მონგოლური სტეპებიდან რუსეთზე მოვარდნილმა აღმოსავლურმა ტალღამაც დაამჩნია.

ამგვარად, სულიერი თვალსაზრისით, ევრაზიული კულტურა ის მემკვიდრეა, რომელიც ითვისებს უცხო ტრადიციებს (როცა ამ უკანასკნელთა წარმოქმნის ცენტრები განადგურებულია) და გენერალური იდეით - მართლმადიდებლობით აერთიანებს მათ. ევრაზიელთა სლავოფილთაგან დაცილება აქ აშკარაა: სტეპური სულისკვეთება და ეთნიკური დინამიკა ჩრდილავს, საკუთრივ, სლავური ტრადიციის კონცეფციას, ისტორიული მოძრაობისა და ცვლილებათა პრიმატი სტაბილობას ეტოქება. დაბოლოს, იკარგება წარმოდგენა რუსულ ნაციონალურ კულტურაზე, ითქვიფება ევრაზიულ სივრცეს მოხეთქებულ ეთნიკურ ტალღებში.

გეოპოლიტიკური მითოლოგია

კულტურულ-მატერიკული ერთიანობის ნაციონალურ-სახელმწიფოებრივში აღრევა არ ეგების. ამიტომ „რუსეთი-ევრაზიის“ შეპირისპირება ევროპის რომელიმე კონფედერაციულ სახლმწიფოსთან არამართლზომიერია. თუ ანალოგიის ძიების ვნება მაინც დაგვძალავს, ისეთ ეთნოგეოგრაფიულ ორგანიზმებთან შედარება

ჯობს, როგორებიც კარლოს დიდის, რომის საღვთო და ნაპოლეონის იმპერიანი იყვნენ. მაშინ ნათელი გახდება ევრაზიის სიმყარე და ერთადერთობა. „კონტინენტ-ოკეანის“ ზემოთ აღნიშნული თავისებურებანი გვიბიძგებს, ამ სიცოცხლისუნარიანობის წყარო მომავალი ხელმძღვანელი ხალხის აკვან - კიევის რუსეთში ან ჩრდილო-აღმოსავლურ რუსეთში კი არ ვეძებოთ, არამედ - ჩინგიზ ყაენის იმპერიაში. მონგოლებმა ევრაზიის ისტორიული ამოცანა განსაზღვრეს, როცა საფუძველი ჩაუყარეს მის პოლიტიკურ ერთიანობასა და წყობას. მონგოლური სახელმწიფოს მემკვიდრეობა მოსკოვის რუსეთმა აითვისა. რუსეთის იმპერიამ თითქმის დაასრულა ევრაზიული მატერიკის სახელმწიფოებრივი გაერთიანება, გაუძლო ევროპის ზეგავლენას, შექმნა ძლიერი პოლიტიკური ტრადიციები. თუმც რუსულ-ევრაზიული იდეის არსი მმართველმა ელიტამ ვერ შეიცნო და ის ძლიერ ევროპეიზაციას დაექვემდებარა. მისი ცნობიერება შეირყა: მოსკოვის, როგორც ბიზანტიის მემკვიდრისა და ქრისტიანობის ბურჯის, ნაციონალური იდეა განიძარცვა რელიგიური მნიშვნელობისაგან და ჩანაცვლდა იმპერიისა და იმპერიალიზმის პოზიტივისტურ-პოლიტიკური იდეით; კულტურული ამოცანა, გაღატაკებული და გაემპირიულებული, ასე არტიკულირდა: სახელმწიფოს ტერიტორიული გაფართოება და სახელმწიფოებრივი ძლიერების ზრდა. ეს პროცესი დაემთხვა რუსეთის სწრაფ გადანაცვლებას აღმოსავლეთისაკენ და თავისი ოდინდელი მტრის - ევროპის დროშით ისლამთან ბრძოლას. ადრინდელი მიჯნა რუსულ და აზიურენოვან კულტურებს შორის წაიშალა: რუსული სახელმწიფოს საზღვრები თითქმის უმტკივნეულოდ და შეუმჩნევლად დაემთხვა მონგოლური იმპერიის საზღვრებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ისლამის პრობლემა მათ რიგშია, რომლებიც ევრაზიელებმა, რბილად რომ ვთქვათ, ცუდად გადაჭრეს. აღმოსავლური გავლენის იდეალიზაცია თვით მისი აპოლოგეტებისთვისაც კი იდეოლოგიურ მომენტად აღიქმება. აღმოსავლური ორიენტაციისა ტერტულიანეს მსგავსად უნდა ერწმუნათ, მწამს, რადგან აბსურდიაო, რომ ამბობდა. დაუდგენელია ისლამის, როგორც ქრისტიანობის ეპიგონის, დებულებაც. ერთგვარი მექანიკური სიგლუვე სჭვივის ზემოთ ჩამოყალიბებულ წრფივ ფაზობრივ დაყოფაშიც. გადაუწყვეტელი რჩებოდა ძალზე მტკივნეული წინააღმდეგობა - სლავებისა და ისლამის მიმდევართა განხეთქილება და ურთიერთბრძოლა (ბალკანური ომები).

რუსეთის ევროპეიზაციას მოჰყვა „დასავლური საზღვრის“ ცნების გაბიაბრუებაც. მმართველმა ძალებმა რუსეთი ევროპის ნაწილად მიიჩნიეს და ძველ იდეოლოგიას რუსული კულტურის ნეოკლასიკური და რომანტიკული გენეალოგია ჩაენაცვლა. თუმც, ძველებურად, ევრაზიით შემოსაზღვრული სივრცის შიგნით მყოფნი

თავს სლავებისგანაც დაცილებულად მიიჩნევდნენ და ევროპელთაგანაც. გარედან მომზირალნი მას აზიის იმ ნაწილად აღიქვამდნენ, რომელიც განსხვავდებოდა ჭეშმარიტი აზიისაგან (ჩინეთი, ინდოეთი). ევროპელებს დიდხანს არ სურდათ რუსეთის საკუთარ აზიურ ფორპოსტად აღიარება. უფრო პირიქით: მას აღმოსავლეთის ავანგარდად მიიჩნევდნენ დასავლეთში. ევროპელს დიდად არ ანაღვლებდა, სად მდებარეობდა პრესვიტერ იოანეს სამეფო - მოსკოვიაში, ციმბირსა თუ ტიბეტში. რუსული კულტურის თვითიდენტიფიკაციისთვის მხოლოდ ერთი კორექტივის შეტანა კმაროდა: რუსეთი არა - აზია, არამედ ევრაზიაა.

თვითშემეცნების ხიბლი

უცხო, დასავლური კულტურის სესხება, საბოლოოდ, საკუთარს ამახინჯებს. ამის თავიდან ასაცილებლად ევრაზიელები ითხოვდნენ თვითშემეცნებისაკენ სწრაფვის პრევალირებას: მხოლოდ ეს აპოვნინებს ადამიანსა და ხალხს ადგილს სამყაროში. მხოლოდ სავსებით თვითმყოფადი ნაციონალური კულტურაა ჭეშმარიტი და უპასუხებს უზენაეს ეთიკურ, ესთეტიკურ და უტილიტარულ მოთხოვნილებებს. ამ თვალსაზრისით, ლტოლვა საერთოკაცობრიული კულტურისაკენ უსაგნოა. ნაციონალური ხასიათისა და ფსიქოლოგიურ ტიპთა სიჭრელე და მრავალსახოვნება მისკენ მსწრაფ კულტურას მხოლოდ მატერიალურ მოთხოვნილებებს დაუკმაყოფილებს და სულიერ წყურვილს ვერ მოუკლავს, ან ყველა ხალხს რომელიმე ერთი კულტურის წარმომადგენელი ეთნოგრაფიული ერთეულის ცხოვრების ფორმებს მოახვევს თავს. კულტურის უცხო ზეგავლენისაგან თავდაცვის შინაგანი ბარიერია უცხო და დეფორმაციის მომტანი გავლენის მიუღებლობა. თვითშენარჩუნების მექანიზმი მასშივეა „ჩამონტაჟებული|: როგორც კი საფრთხეს შეიგრძნობს, თავს უყრის თავის ცენტრიდანულ პოტენციალს, რათა მთლიანობა და ერთიანობა შეინარჩუნოს. მისი სივრცული ადგილმდებარეობა იქ მთავრდება, სადაც ჩნდება ცნება „საზღვარი“. ამ საზღვრის მონიშვნა მოცემული კულტურის თვითშემეცნების პროცესი, მისი სპეციფიკისა და უნიკალობის გამოვლენაა.

ანტიევროპული ნევროზი

ისტორიის ევროპულ კონცეფციას - აღმოსავლურ-დასავლურ ანტაგონიზმს - ევრაზიულობამ დაუპირისპირა „პერიფერიისა და ცენტრისა და მათი დინამიკური ურთიერთქმედების“ მოდელი. ისტორია ადასტურებს, რომ აღმოსავლურ-დასავლური კულტურა ბევრ საერთო თვისებას ინაწილებს. ეგ არის, ევრაზიულ კულტურას არსებობა მხოლოდ თავის „განსაკუთრებულ სამყარო-

ში“ ძალუძს: ის შუა აზიიდან მოემართება ძველი სამყაროს ჩრდილო ნაწილის ზღვისპირეთისაკენ. რწმენა და ინტუიცია - აი, რამ აპოვნინა ევრაზიელებს ეს გზა: ევროპის დასალაშქრად წამომართულ ჰუნთა ბნელი მასების მსგავსად რუსეთი, დინჯად და პირქუშად, ზურგს აქცევს ევროპას. „ევოლუციური კიბისა“ და „პროგრესის“ საზოგადოების ისტორიაში ფართოდ მოხმარებული ტერმინები ევრაზიელებს ეგოცენტრულად ეჩვენებოდათ. რომანულ-გერმანულ აზროვნებაში ისტორიული პროცესი წრფივია. აქ ვერსად ნახავ სხივთა კონას ან პარალელებს. კულტურები ისტორიული მოძრაობისას ერთმანეთს ცვლიან და რიგრიგობით გამოდიან ვირტუალურ წინა პლანზე. დროში უკანასკნელი ყოველთვის ცდილობს გაბატონებული პოზიციის შენარჩუნებას. ეს სურს რომანულ-გერმანულ კულტურას, ჰგონია, რომ „მსოფლიო გამოცანა“ უკვე გამოიცნო.

სმენაგამახვილებული მკითხველი ამოიცნობს ნ. დანილევსკის (1822-1885) ექოს: თავმოყრილია საეჭვო არგუმენტები. განა რომანულ-გერმანული კულტურა ისეთივე ერთიანია, როგორიც პოლე-მისტებს სურთ? (ნიცშე, შპენგლერი, ტოინბი). მაგრამ ანაქრონისტი ევრაზიელები მე-19 საუკუნის ევროპელებს ეკამათებიან...

ევრაზიული კონცეფციის თანახმად, კულტურამ სხვისგან არც უნდა ისწავლოს, არც აითვისოს. კულტურული ტრადიციის გამგრძელებელი მხოლოდ ისაა, ვინც ხარისხობრივად აახლებს და საკუთარი ყოფის განუყრელ ელემენტად აქცევს, ხელმეორედ ქმნის მას ყველა ადამიანში: წარსულიდან ჯერ აწმყოში, მისგან კი მყოობადში „ხტება“. ისტორია ხომ ნახტომებისაგან შედგება?!

იქ, სადაც ეს პროცესი წყდება, კულტურა სულს ღაფავს და უსულგულო ყოფაღა რჩება.

წრფივი განვითარების მოდელის შექმნით, ევროპული აზროვნება ეყრდნობა განცდას, რომ წარსული აწმყოს ჩიხად აღიქვამს. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ რეალური მხოლოდ ყოფაა და არა - ცოცხალი კულტურა, მისი სული. სწორედ სულს უტრიალებს ევრაზიული აზროვნება და ცდილობს, გამოსავალი მისი თანამედროვე ევროპული ცივილიზაციის მიღმა იპოვოს. ევრაზიული მსოფლშეგრძნება აღიარებდა ზოგად-კულტურულ ციკლთა ცხოველმყოფლობას: დაბადებიდან დაცემამდე. ამ მიდგომის თანახმად, კულტურა პიროვნებისათვის ნიშანდობლივი ყველა იმ თავისებურებით გამოირჩევა, რომლებიც ინდივიდუაციით მიიღწევა. ე.წ. „სიმფონიური პიროვნება“ იქმნება იერარქიულად ორგანიზებულ ერთობათა და პიროვნებათა (კლასი, ფენა, ოჯახი, ინდივიდი) კომპლექსისაგან: ისინი ერთდროულად თანაარსებობენ, მაგრამ გენეტიკურად უკავშირდებიან წინარე წარსულ თაობებს. კულტურა რთული ორგანიზმია: მისთვის დამახასიათებელია განვითარე-

ბის გარკვეული სტადიები, მაგრამ არა განუწყვეტელ ევოლუციურ წყებათა ფარგლებში, არამედ - დასრულებულ კულტურულ ციკლში.

ფილოსოფიის ისტორიის მცოდნისთვის ხელშესახებია ჯ. ვიკოს იდეებისა და გერმანული რომანტიზმის გავლენა. ეს არცაა გასაკვირი: ევრაზიელთა „სიმფონიური პიროვნება“ (კარსავინის „საყოველთაოობა“), საბოლოოდ, ის მსოფლიო სულია, რომელიც ჯერ კიდევ პლოტინმა, გნოსტიკოსებმა აღმოაჩინეს და რომელიც ჰეგელმა „გონად“ გარდაქმნა: ის არც არასოდეს გამქრალა ევროპელ ინტელექტუალთა მენტალობიდან. ამიტომ, ცოტა არ იყოს, კომიკურია, როცა ევრაზიელები სულწაგვრილ ევროპაზე ლაპარაკობენ!

რწმენა კულტურის რელიგიურად შემაფერადებელი სულიერი სიმბოლოა. ევრაზიელებს სწამდათ, რომ ყოველი ნაციონალური კულტურა რელიგიურ ბაგაში იბადება. ამად მართლმადიდებლობა გამოცხადდა. ის ესწრაფვის საყოველთაოობას, რაც სხვადასხვა იდეოლოგიურ მიმდინარეობათა გაერთიანების საშუალებას იძლევა: ისინი, შესაძლოა, მოცემული კულტურის ფარგლებშიც იყვნენ და მათ მიღმაც. ამ თვალსაზრისით, წარმართობა „პოტენციური მართლმადიდებლობაა“, რადგან მსოფლიო რელიგიათა გამოცდილების ათვისების პროცესში რუსული და ხმელთაშუაზღვისპირა წარმართობა რწმენის იმაზე უფრო ახლობლურ, ნათესაურ ფორმებს ქმნის, ვიდრე - მართლმადიდებლური და ევროპული ქრისტიანობა. შემთხვევითი როდია, რომ ევრაზიულობა ყოველთვის ამტკიცებდა მართლმადიდებლობის აღმოსავლურ რელიგიებთან სიახლოვეს. მის ადეპტთა აზრით, მართლმადიდებლობას, მისტიკურ და ეთიკურ დონეზე, ყველაზე უფრო ბუდიზმი უახლოვდება. უღრმესი ძირები აკავშირებს ინდურ და რუსულ მისტიკას, რაც, უწინარესად, სჭვივის „ყოფით აღმსარებლობაში“ და არა - რიტუალურ ან დოგმატურ მხარეში. წარმართობა მარტივად გარდაიქმნება, რადგან არსებობს ორივე რელიგიის ფუძემდებლური იდეები: სულიერი ცენტრები იზიდავენ და გარდაქმნიან ბოროტებაში ჩაძირულ ქაოსურ და დეფორმირებულ პერიფერიებს. პრაქტიკული გაგებით, ასეთ მიდგომას ჭეშმარიტების შუქის მომტანი მისიონერები იყენებდნენ. და თუ „რუსეთ-ევრაზიის“ სახელმწიფოებრიობა ასე მარტივად მიიწევდა აღმოსავლეთისაკენ, ეს გზა მით უფრო უეკლო იქნებოდა რწმენისათვის.

მესიანური თვითდამშვიდება

ევრაზიელები სლავოფილებივით მესიანისტები იყვნენ, შეიძლება ითქვას, მათზე მეტად ჯიუტნიც და აქტიურებიც.

აღმოსავლეთს დასავლეთისაგან რწმენა განასხვავებს, ხოლო კულტურა, მართლმადიდებლობით ანუ მმართველი იდეით განსჭვალული, მისი ზემოქმედების წყალობით, აყალიბებს სულიერი ცხოვრების მთელ წყობას, ქმნის შინაგან, იდეოკრატიული ტიპის სახელმწიფოებრიობას. იდეოკრატია მსხვერპლშეწირვას მოითხოვს. ის ხორციელდება განსაკუთრებული სამყაროს - „რუსეთ-ევრაზიის“ სადიდებლად.

ახალი მითოლოგიის შექმნის თვალსაზრისით, ევრაზია ორიენტირებულია „ქაოსის ორგანიზებასა“ და ორგანიზებული საწყისის მთელ სამყაროში გავრცელებაზე. ევრაზიული კონცეფციის მთავარი საკითხი რუსეთის არამართლმადიდებლური ნაწილის „პოტენციურ მართლმადიდებლურ სამყაროდ“ მიჩნევაა. ამასთან, ეს უცხო პერიფერიული კულტურა მიიწევს რუსული მართლმადიდებლობის, როგორც გამორჩეული ცენტრისაკენ. მართლმადიდებლობა ჭეშმარიტების ნაწილზე პრეტენზიის მქონე კულტურაა, რაც იმას ნიშნავს, რომ არ უარყოფს მეორე ნაწილის სხვა კულტურათა (მათ შორის, ისლამის) მიერ ფლობის პრეტენზიას. მართლმადიდებლობა არ არის დახშული და თავისი განვითარებით სხვათა თავისუფალი თვითგანვითარებისკენ მოუწოდებს.

აღსანიშნავია, რომ ისტორიული გამოცდილება სხვა რამეს მიუთითებს: მართლმადიდებლობის სასტიკ აქციებზე წარმართთა მოსაქცევად და უფრო სასტიკ - ერესებთან ბრძოლაზე. რუსული ინკვიზიცია, შესაძლოა, იმიტომაც ვერ ჩამოყალიბდა, რომ მართლმადიდებლობა, ტრადიციულად, ორგანიზაციულ სისუსტეს უჩიოდა.

ევრაზიული თეოკრატია

მართლმადიდებლობას ის თავისებურება გამოარჩევს, რომ იოლად შეეზრდება ხოლმე ამა თუ პოლიტიკურ ფორმას. რწმენის მეშვეობით, წარმოიქმნება შესაძლებლობა და უცილობლობა ყოფის გარდაქმნისა, რაც მის ქრისტიანიზაციას ნიშნავს. ქრისტიანობას სახელმწიფო ერთადერთ რეალურ ძალად სულაც არ მიაჩნია, მას საკუთარი ძალმოსილებისა სწამს და ამიტომ პრინციპულად კეთილგანწყობილია საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის ნებისმიერი სახესხვაობისადმი. ისინი გარდამავლად, დროებითად მიაჩნია და არა - ერთხელ და სამუდამოდ დამკვიდრებულ მოდელად.

ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთშეღწევადობას ართულებს მათი კულტურული შემოქმედების სფეროთა გამიჯნვა. ევრაზიელობა ელტვის ამ განკერძოების პრინციპის დადგენას, ვთქვათ, ამ სახით: ეკლესიის საქმიანობა მიემართება თავისუფალ ჭეშმარიტებას, საყოველთაო ერთობას, კათოლიკეობის, როგორც

სამყაროულ ერთმყოფობას; სახელმწიფოსი - იმ არაეკლესიური სამყაროს ერთიანობას, რომელიც გამოჰყოფია ეკლესიას და დაყოფილა შინაგანად. სახელმწიფო საკუთარი იდეოლოგიის საფუძვლებს ეკლესიაში ჰპოვებს, რადგან ორგანულად უკავშირდება მას, თუმც ამ იდეებს აკონკრეტებს და საკუთარ, საერო სფეროში ახორციელებს. სახელმწიფო უცილოდ ცდება და სცოდავს, რადგან ცოდვის სამყაროში ფუნქციობს. მისი შინაგანი დაქსაქსულობა ყველაზე მკაფიოდ ვლინდება ადამიანთა მმართველებად და მართულებად დაყოფით, საზოგადოებისაგან პიროვნების გაუცხოებით, ძალისა და იძულების გამოყენებით.

„სიმართლის სახელმწიფო“

თავისი იდეალისკენ რუსეთი რაციონალური შეგნების გზით კი არ მიემართება, არამედ საკუთარ რელიგიურ გამოცდილებას იყენებს. სამართლებრივი სახელმწიფოს მთავარი იდეა სახელმწიფოებრიობის წარუვალი, მარადიული რელიგიური ფასეულობებისთვის დამორჩილებაა. თუმც არც სოციალურ გარდაქმნათა შედეგად მიღწეული „სიმართლის სახელმწიფოა“ საბოლოო იდეალი: ის მხოლოდ ეტაპია საღვთო ჭეშმარიტების წვდომის გზაზე.

რუსეთის ისტორიაში ყოველთვის ცოცხლობდა ამ პირველყოფილი ჭეშმარიტების დაცვის, ადამიანური ნების სტიქიის ალაგმვის, რელიგიურ-სახელმწიფოებრივი სიმართლისადმი ადამიანის თვითდამორჩილების სურვილი. „სიმართლის სახელმწიფომ“ სამი ამოცანა უნდა შეასრულოს: იყოს მართლმადიდებელი, დედამიწას სიმართლე დაუბრუნოს და ხალხის ცხოვრებაში მატერიალურ საწყისთა აბსოლუტიზებას შეეწინააღმდეგოს. საეჭვოა, რომ „სიმართლის სახელმწიფო“ ვინმემ დასავლურ სამართლებრივ სახელმწიფოს შეადაროს, მაგრამ თუ ეს მაინც მოხდა, უნდა გაითვალისწინოს, რომ „სიმართლის სახელმწიფო“ გულისხმობს ხელისუფლების მსხვერპლშეწირვით გმირობას, რაც მხოლოდ სამართლებრიობით არ ამოიწურება. „სამართლის სახელმწიფო“ და სამართლებრივი სახელმწიფო ორი სხვადასხვა მსოფლჭვრეტაა: პირველისთვის ნიშანდობლივია რელიგიური პათოსი, მეორისთვის - მატერიალური სწრაფვანი; პირველში გმირები მართავენ, მეორეში - უფერული, საშუალო ადამიანები.

„მმართველი იდეა“

ყალბ და აბსტრაქტულ იდეათა უვნებელსაყოფად და, ამასთან, შთამაგონებელი პათოსის შესანარჩუნებლად, კულტურამ უნდა შვას თავისი იდეოლოგია, რომელიც ორგანულად დაუკავშირდება კონკრეტულ ცხოვრებას. ასეთი იდეოლოგია, შესაძლოა, მომდინარეობ-

დეს რომელიღაც აბსოლუტური შემადედებელი იდეისაგან. როცა ის მიწიერდება, კონკრეტდება, ცხოვრების ელემენტად იქცევა. ცხოვრება იაზრებს მას, გარდაქმნის, ქმნის. ჭეშმარიტი იდეა თვით სინამდვილის არსია. ის იქცევა „მმართველ იდეად“, ხოლო ძალაუფლების მთელი სისტემა იდეოკრატიად გარდაიქმნება. მას ეკისრება როგორც კულტურის კვინტესენციის, ისე საწყისის, არქეტიპის როლის შესრულება. მის მისაგნებად უნდა წარიმართოს მთელი კულტურული მოღვაწეობა („ჭეშმარიტების ძიება“) თავისი რაციონალური და არაცნობიერი ფორმებით. ეს არქეტიპი, საბოლოოდ, განსაზღვრავს კულტურის განვითარების პერსპექტივას. მისი თავისებურებანი ვლინდება კულტურის არაცნობიერი სწრაფვით დროსა და სივრცეში, ნაციონალური შემოქმედების თავისებურებებსა და აზროვნების სტილში, აგრესიულობასა თუ თავშეკავებულობაში. „მმართველი იდეის“ ზედმიწევნით რაციონალურად გაგება შეუძლებელია, ეს კულტურული საქმიანობის მოტივი, მისი მაცოცხლებელი წყაროა; ის განიცდება, თუმც ხშირად ვერ შეიცნობა. მისი აკვანი მოცემული ნაციონალური კულტურის მმართველი ფენის სულიერი თვითშემეცნება და რეალური გამოცდილებაა. ეს ჯერ კიდევ როდია „ხალხის სული“ ან „სისხლისა და მიწის“ ძახილი, რომელთა შესახებაც არაერთხელ უთქვამთ გერმანიის ისტორიაში. ყოველ შემთხვევაში, ეს მოტივაციაა, ეთნონაციონალური ორგანიზმის წიაღიდან ამოზრდილი, გეოგრაფიითა და ტრადიციით შეპირობებული. ეს არაამქვეყნიური სამყაროს მისტიკური ბრძანებაა, ზენახმაა, რომლითაც ერის მთელი ყოფიერება დგინდება.

იდეოლოგიის დესპოტია

სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივი იდეალის შემადგენელი იდეები იდეოკრატიას სხვადასხვაგვარად აყალიბებენ. ყველა განგრძობადი მმართველობა (თვითმპყრობლური, ხალხმპყრობლური თუ სხვაგვარი) იდეოკრატიის განხორციელების ფორმაა. ხალხსა და დაწესებულებებზე უფრო რეალურად და შესაგრძნობად იდეები მართავენ. ასეთივე რეალური ძალაუფლებით არიან აღჭურვილნი აღმოსავლეთის ქვეყნებში არა იმდენად მეფენი, რამდენადაც - მეფის იდეა; რომში - არა იმპერატორის, არამედ რომის ნაციონალურ-რელიგიური იდეა; ინგლისში - არა მინისტრთა, არამედ - სამართლებრივი სახელმწიფოს იდეა. მათი ხასიათის მიხედვით, ეს იდეებია ობიექტური, ზეპიროვნული, სახელმწიფო იდეოლოგიად ნაგულისხმევი... მათ ახასიათებს მითისთვის ნიშანდობლივი ზესივრცულობა და ზედროულობა. ევრაზიელთა მიერ შემოთავაზებული ახალი იდეოლოგია (რომლის არსიც რუსული მართლმადიდებლობაა) მიემართება მიმდინარე დღის კონკრეტულ სინამდვილეს და, შესაბამისად, გადაიქცევა

გაცნობიერებულ-ნებელობითი საქმიანობის საძირკვლად, ე.წ. სამოქმედო პროგრამად. ახალი ეპოქა ცნობიერების ახალ მიდგომებს გულისხმობს. ასეთი ცნობიერება უნდა ჰქონდეს განსაკუთრებულ მმართველ პარტიას, რომელიც არავის უყოფს თავის ძალაუფლებას. ის საერთოდაც გამორიცხავს სხვა რომელიმე პარტიის არსებობას. იგია სახელმწიფოებრივ-იდეოლოგიური კავშირი, ამასთან ის მთელ სახელმწიფოს ქსელავს თავისი ორგანიზაციებით და განისაზღვრება არა მმართველობითი, არამედ იდეოლოგიური ფუნქციით. ახალი პარტია მჭიდროდ უნდა უკავშირდებოდეს მმართველ ფენას, მისგან ამოიზრდებოდეს, მას ერწყმოდეს. იდეოლოგია ძალაუფლების მხოლოდ ინსტრუმენტი როდია - ის თავად ძალაუფლებაა, რომელიც ორი ჰიპოსტასით წარმოჩნდება: „მმართველ იდეად“ და „შერჩეულ მმართველ ფენად“.

რჩეული ელიტა

კულტურის მმართველი ფენა გამოხატავს არა ჯგუფურ, არამედ საერთონაციონალურ ინტერესს. „შერჩეული მმართველი ფენა“, ელიტა განსაზღვრავს არა მხოლოდ სახელმწიფო მოწყობის, არამედ საზოგადოების სოციალური სტრუტურის, სახალხო მეურნეობის, კულტურის ზოგად ტიპს. როცა ელიტა „მმართველ იდეას“ ემსახურება, ეს მისი ნორმალური ფუნქციობის ჟამია. როცა სამსახური თვითმიზანია, მძლავრობს ბიუროკრატიზმი და კორუფცია, მძვინვარებს მმართველი ჯგუფისა და რჩეული ელიტის, როგორც საზოგადოებრივი ფენის, კონფლიქტი. მმართველი ჯგუფი „იბზარება“ და იდეურ მიდგომათაგან „კლასობრივი შეგნებისაკენ“ ინაცვლებს: იკეტება, იზრდება ჯგუფური თვითშემეცნება. ცხოვრებისეული აუცილებლობა აიძულებს მას, სხვა სოციალურ ჯგუფთა ხარჯზე შეივსოს და უცხონი ძველი იდეალის კრიტიკას იწყებენ. „შერჩეულთა“ მონოლითურობა ირღვევა, ქუცმაცდება. ისტორიისათვის ცნობილია გაბატონებული ელიტის წარმოქმნის როგორც წარმატებული, ისე - წარუმატებელი ცდები. წარუმატებელთ, მაგალითად, განეკუთვნება ივანე მრისხანეს ოპრიჩნინა, წარმატებულთ - პეტრეს გვარდიის, მსახურეული აზნაურობის ფორმირება. ევროპული კულტურა რაინდობამ შექმნა, კათოლიკური ეკლესია - იეზუიტებმა, ჩინეთი - სწავლულმა მანდარინებმა, იაპონია - სამურაებმა. რუსეთის ელიტის ყველაზე ხარისხიან არჩევანად ის აქტი გადაიქცევა, რომლის წყალობითაც, საერთო მსოფლმხედველობის საფუძველზე მიმდინარეობს სულიერი დარაზმვა. ელიტის ეს ტიპი, რომელიც სამყაროში და, კერძოდ, რუსეთში დამყარდება, იდეოკრატიულად იწოდება და მის საცნობად მმართველი ფენის საერთო მსოფლმხედველობა გვევლინება.

დემოკრატიის სუროგატი

„მმართველი იდეის“ დამცველებმა მას ერთგულება უნდა დაუმტკიცონ. იდეოკრატიის ზეობისას მთელი სახელმწიფოებრივი და კულტურული მშენებლობა ხმარდება განსაკუთრებულ ფორმათა შექმნას, რომლებიც იდეას, მის პრინციპს ესაბამება. იდეალური სახელმწიფოებრივი წყობა გამოირჩევა მაქსიმალიზმით; ის ითხოვს ხელისუფლების მაქსიმალურ სიძლიერეს, თანაც - ხალხთან მაქსიმალურ სიახლოვეს.

პოლიტიკური ორგანიზაცია

ევრაზიელთა მოდელში აღწერილი პოლიტიკური კულტურა, დიდწილად, ჰგავს ერთიან რელიგიურ ორდენს. პოლიტიკური პარტიები და მასონები დასავლური პროდუქტია, ისინი კი - აღმოსავლური, რომელთაც არ აღაფრთოვანებთ არც იეზუიტთა იდეალები, არც რეფორმატებისა და პროტესტანტიზმის თავისუფალი მოაზროვნენი...

არსებითად, ისინი რუსული ორდენის პირველ ტიპად მიიჩნევენ თავს. საკუთარ პროტოტიპად „ბერობას“ სახავენ. თუმც იეზუიტებსა და მასონებთან კულტურული სიახლოვე მაინც სჭვივის. „იდეალის მტვირთველნი“, შესაძლოა, ზეპარტიულ მდგომარეობაშიც დარჩნენ იმის მიუხედავად, მათ მომხრეთა ძირითადი მასა საქმიანობის რა ფორმას მიჰკერძავს. მრავალპარტიული სისტემის პირობებში ევრაზიელები მათ სულისკვეთებასთან ახლოს მდგომ პარტიებზე ორიენტირდებიან, ერთპარტიულ სივრცეში კი ყველა ძალა უნდა იხმარონ, რათა ახალი რეჟიმის გონებრივ წარმმართველებად იქცნენ, მოძველებული ფორმები ახალი შინაარსით აღავსონ. ევრაზიელები მთელი ძალით უნდა ეცადონ, შეაღწიონ ამ ახალ რეჟიმში და ახალი ძალაუფლების ხელით ააშენონ თავიანთი ახალი სახელმწიფო.

დემოტიზმი

კულტურის ევრაზიულ კონცეფციაში სახელმწიფო დემოტურია, რაც იმას ნიშნავს, რომ „სახალხო სუვერენიტეტის“ ფენომენი მის მიერ განიხილება არა დასავლური კულტურის ატომიზებულ სუროგატად, არამედ - ორგანულ და ორგანიზებულ ერთობად. ხალხი მოქალაქეთა შემთხვევითი კრებული კი არ არის, არამედ ისტორიულ თაობათა ერთიანობა; სახელმწიფო კულტურის ერთიანობას აყალიბებს. იგი არ უნდა გამოხატავდეს „ყველა ზრდასრულის“ ნებას: ის ეყრდნობა საორგანიზაციო სახელმწიფო ფუნქციების მტვირთველთ: ცალკეულ პირთა და პარტიათა ხელოვნურ-ანარქიული წესრიგი უნდა შეიცვალოს მოთხოვნილებათა, ცოდნისა და იდეების წესრიგით ანუ კორპორატივიზმით. ეს უკვე აღარ არის ფენების შემკრები თემთა ყრილობა. აწ ხაზი ესმება სოციალურ-იდეოლოგიურ ფუნქციებს,

რომლებიც უნდა შეასრულოს თითოეულმა ჯგუფმა. ეს მსახურების შუასაუკუნეობრივი ამოცანა კი არა, ახალევროპული „სოციალური ფუნქციაა“. უნდა ვიფიქროთ, რომ ევრაზიული კონცეფცია იმსჭვალება მისთვის საძულველი მექანისტური სულისკვეთებით, ხოლო პირველ პროგრამათათვის ნიშანდობლივი „სიმფონიზმი“ მეორე პლანზე ინაცვლებს - კორპორატივიზმი საყოველთაოობას არ ნიშნავს.

სახელმწიფოებრიობისა და კულტურის ორგანიზაციულ პრინციპად ცხადდება „სახელმწიფო კონსტანტა“, რომლის გარშემოც თავს იყრის მთელი საზოგადოებრივი ცხოვრება: ის პრინციპია, იდეალია, რომელიც უფრო მეტ კონკრეტიზმს ითხოვს.

სახალხო ხმის მიცემა და რეფერენდუმი უნდა მოემსახუროს სტაბილიზებულ სახალხო ნებას, სოციალური ცხოვრების კერძო შემთხვევებს, რასაც გულისხმობს ზემოთ დასახელებული „კონსტანტა“. თვით ეს მუდმივა ყალიბდება „შერჩეული მმართველი ფენის“ მიერ. ის განმარტავს მას „მმართველი იდეის“ შესაბამისად. „მმართველი იდეის“ არსი ეზოტერული, დახშული, იდუმალია და განდობილთა მხოლოდ მცირე რაოდენობისათვისაა ცნობილი: ასეთი მიდგომა უზრუნველყოფს იდეის სტაბილობასა და კონსერვაციას. ამასთან, მის განმმარტებელთა ვიწრო წრე დინამიკურობას ანიჭებს გენერალურ პოლიტიკურ ხაზს. პოლიტიკური სისტემის „დემოტური ელემენტები“ გამოიხატება სახალხო პაექრობასა და დისკუსიებში. მათი ამორფულობა დინამიკურობას ეთანადება. ეს „კონსტანტას“ ერთგვარი წანაზარდი, ერთგვარი დანამატია, „მმართველი იდეის“ წიაღში ჩაბუდებული, და, იმავდროულად - ნაყოფიერი ნიადაგი „შერჩეული მმართველი ფენისათვის“, ერთგვარი სანიტარული კორდონი იმ გარემოსაგან თავდასაცავად, რომელიც ემუქრება „მმართველ იდეასა“ და „შერჩეულ მმართველ ფენას“.

ძალაუფლება

„დემოტური“ სახელმწიფო - იდეოკრატიული, მაგრამ არა დოქტრინალურია. ის უგულებელყოფს ტოტალური რელიგიური თუ ფილოსოფიური მსოფლმხედველობის ძალადობრივ შთანერგვას, ცხოვრებაში რეალიზებას, ის ელტვის არა ერთიან, ყოვლისმომცველ მსოფლჭვრეტას, არამედ განსაზღვრული კულტურულ-ისტორიული ეპოქის საზოგადოებრივ აზრს. საერთო იდეათა თავისებურებანი უფრო მარტივ და არაინტიმურ სიბრტყეში იძებნება, ვიდრე მსოფლმხედველობა და რელიგიური რწმენაა. „დემოტური“ სახელმწიფო, განსხვავებით დოქტრინალურისაგან (მაგალითად, მარქსისტული ან ისლამური), ეფუძნება „გარეგნულ სიმართლეს“, საერთო-სახალხო აღიარებას: ის სამართლებრივია, ოღონდ არა - დასავლური გაგებით. ვლადიმირ სოლოვიოვი შენიშნავდა, რომ სამართალი მინიმიზებული

სიმართლეა; მის დროს ზნეობის ნაცვლად გარემო პირობები პრევალირებს. შეიძლება ითქვას, რომ ევრაზიული „დემოტური სახელმწიფო“ სიმართლის სახელმწიფოსა და დასავლურ დემოკრატიას შორის ლავირებს. ამ სამყაროში საარსებოდ იდეოკრატია იძულებულია, შეეგუოს უმაღლეს ფორმებს. თუმც მისი სამართლებრივი ხასიათი არც ისე დოგმატური და ფორმალიზებულია, როგორც - დემოკრატიულ სახელმწიფოში: ევრაზიელები ცდილობენ, ხელისუფლება სოციალური პრობლემებისაკენ მიაბრუნონ (ევრაზიელთა საპროგრამო დოკუმენტებში ბევრს ლაპარაკობენ წარმომადგენლობითი ძალაუფლების მექანიზმებზე, ეკონომიკის სამართლებრივ რეგულაციასა და სხვა საკითხებზე). და მაინც, თავდაპირველი ევრაზიულობის კატეგორიულობა მინავლული ჩანს. ეს კონცეფციის მიმიკრიას ჰგავს. „დემოტურ სახელმწიფოში“ მოქმედი ნორმირებისა და აკრძალვების მექანიზმები, ძირითადად, ორად განიყოფა: ფიზიკურ ძალადობად (მინიმალურად) და მართვა-დამორჩილების ურთიერთობებად. მეორე ფორმა შესაძლოა, გულისხმობდეს მმართველ-ქვეშევრდომთა გარკვეულ სულიერ ურთიერთკავშირს, რომელიც ეფუძნება სულის რომელიღაც შინაგან მონაწილეობას ქვეშევრდომთა თვითგამორკვევის პროცესში. ძალაუფლებრივი პროცესები, არსებითად, ყოველთვის ირაციონალურია: მათში ყოველთვის მონაწილეობს ჰიპნოზის ელემენტი, მათ არ ეუცხოებათ მაგიური მოჯადოების მდგომარეობა, მოხიბვლა, თაყვანისცემა და აღფრთოვანება. ძალაუფლებრივი ურთიერთობის უცილო უპირატესობა ისაა, რომ ის ემყარება ადამიანური ფსიქიკის ყველაზე ღრმა და პრიმიტიულ გამოვლინებებს: მათთვის ამიტომაცაა ნიშანდობლივი მნიშვნელოვანი სოციალურ-ორგანიზაციული ძალის არსებობა. ანარქიის მსგავსად, ძალაუფლებრივ ელემენტთა სრული იგნორაცია უტოპიაა: სანამ ინდივიდის ცხოვრებაში მთავარ როლს წმინდა ემოციური ფაქტორები (სიყვარული, სიძულვილი, მიჯაჭვულობა, განხიბვლა და ა.შ.) ასრულებს, ძალაუფლებრივი იმპულსები თავიანთ მნიშვნელობას ინარჩუნებენ. შესაძლოა, ვიფიქროთ, რომ ევრაზიული ცნობიერების ძალაუფლება თვითმიზანია. „ძალაუფლება ძალაუფლებისთვის“ - აი, ევრაზიულობის კვინტესენცია. ის ნარჩუნდება და განკუთვნილია არა საგარეო (სოციალური, ეკონომიკური და სხვ.) მიზნებისთვის, არამედ - თვითგამოყენებისთვის. ძალაუფლების განხორციელების სტრუქტურა, თითქოს, ძნელად შესამჩნევია, მაგრამ სწორედ „შერჩეული მმართველი ფენაა“ მისი პერსონიფიცირებული ვარიანტი. მმართველი ფენა, თითქოს, სტრუქტურულად არასტაბილურია (მისი წევრები შემოდიან და გადიან), თუმც სწორედ ის განასახიერებს „მმართველი იდეის“ საარსებო გარემოს. საბოლოოდ ხომ სწორედ ის არჩევს მმართველი სისტე-

მის აუცილებელ ელემენტებს! ევრაზიელებს არაერთხელ გაუკრიტიკებიათ სლავოფილები ძალაუფლებისა და სახელმწიფოებრიობის ფენომენთა დაუფასებლობისათვის (მათ გემო ვერ გაუგეს ძალაუფლებასო და ა.შ.): სლავოფილები აღიარებდნენ საზოგადოებრიობასა და თემურობას, ოღონდ მექანისტური ბიუროკრატიზაცია აფრთხობდათ. ძალაუფლება მათთვის იყო კულტურის საარსებო ერთგვარი გარემო, თუმც მისი თვითრეალიზაციის არა - რეალური, ეფექტური ინსტრუმენტი. ევრაზიელები კი ძალაუფლებას აღმერთებდნენ: მას სულიერ იდეოკრატიულ თვისებებს ანიჭებდნენ. ეს მათ, ისე ჩანს, ისტორიულმა გამოცდილებამ შთაუნერგა, რომლის ფარგლებშიც ძალაუფლება ისტორიულ ეპოქას ხასიათს უცვლიდა. ფუტურისტები სისწრაფეს ეთაყვანებოდნენ, ევრაზიელები - ძალაუფლებას. სლავოფილთაგან განსხვავებით, ისინი ახალი დროის ადამიანები იყვნენ, რომელთაც მომავლის განჭვრეტა მოისურვეს.

ამგვარად, ევრაზიულობა სახელმწიფოებრივი იდეოლოგიაა. ყველა მისი გეოპოლიტიკური, სოციოკულტურული, რელიგიური და სხვა ასპექტი ძალაუფლების პრობლემას უტრიალებს. მათ მოძღვრებაში სახელმწიფო თითქმის კულტურასა და ეკლესიას უიგივდება; სახელმწიფო ერთგვარი ვიტალური ცენტრია, რომელიც საშუალებას იძლევა „რუსეთ-ევრაზიის“ იდენტიფიცირებისათვის. ყოველ შემთხვევაში, ეს განაპირობებდა ევრაზიელთა ექსისტენციურ უნარსაც და კრახსაც (Исаев; Лотман: 1982; Бицилли:1925; Трубецкой:1925; Флоровский:1921; Трубецкой:1935; Зеньковский :1923; Волгин:1925; Ш-в.:1929; М а к ш е е в: 1937; Т р у б е ц к о й:1928; Трубецкой: 1927; Алексеев:1927).

რუსეთის ისტორია ევრაზიელთა განსჯის განუყოფელი კომპონენტი გახლდათ.

სამეცნიერო ეტიკეტი მოითხოვდა, სწორედ შუა საუკუნეებში ეპოვათ ისეთი ტოპოსი, რომელიც გაამართლებდა მოძრაობის თეორეტიკოსთა ახირებას აღმოსავლეთისაკენ სვლის, თურანული ელემენტის პრევალირებისა თუ სხვა კარდინალურ საკითხთა შესახებ. ბოლოს და ბოლოს, საკუთრივ, ტერმინიც - „ევრაზია“ - ისტორიული ტრადიციით უნდა შეპირობებულიყო!

ამ პრობლემას ევრაზიულ მოძრაობაში პრობლემად არავინ აღიქვამდა, რადგან მათ მხარს უმაგრებდა ისეთი იმედისმომცემი ისტორიკოსი, როგორიც გ. ვერნადსკი გახლდათ. ევრაზიელთა იდეა მონგოლური იმპერიის მემკვიდრედ რუსეთის გამოცხადების თაობაზე აიტაცა და განავითარა ლევ გუმილევმაც.

პრობლემის არსი, შესაძლოა, ასე ჩამოყალიბდეს:

ბიზანტიიდან რუსეთში გადმოინერგა სარწმუნოება და სახელმწიფო იდეოლოგია, მაგრამ სახელმწიფოს მშენებლობის პრაქტიკა და რუსეთის სახელმწიფოებრივი აპარატის მართვის ჩვევები რუსებმა მონგოლთაგან იმემკვიდრევეს.

საქმე ის გახლდათ, რომ XIII საუკუნეში დასავლეთის ქრისტიანებმა მუსლიმებსა და “ბარბაროსებს” შორის სრულიად ახალი წარმართები აღმოაჩინეს: მონგოლები, რომელთაც უკავშირდება შუა საუკუნეთა ქრისტიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პარადიგმა — ე.წ. ,,მონგოლთა მითი.”

ევროპის, მცირე პოლონეთის, სილეზიისა და უნგრეთის ქრისტიანებს არ გასჭირვებიათ მონგოლების წარმართებთან გაიგივება: “თათრებმა”, როგორც მათ მოიხსენიებდნენ, სამჯერ ილაშქრეს ზემოთ დასახელებულ მიწა-წყალზე.

ქრონისტი მატთეოს პარიზელი ეხმიანება მონგოლთა მიერ გაჩაღებულ ტერორს და მათ ურჩხულებს ადარებს.

ამავე დროს, ქრისტიანული სამყაროს დანარჩენ ნაწილში მონგოლებს უცნაურ ქრისტიანებად მიიჩნევდნენ, მათ მეთაურად ლეგენდარული იოანე პრესვიტერი წარმოედგინათ, რომელიც, თითქოს, ქრისტეშობის მისტერიის მონაწილე მეფე-მოგვთაგან ერთ-ერთის შთამომავალი იყო. თვით ის მოგვი კი ეპისკოპოსად, თითქოს, მოციქულ თომას დაედგინოს. იოანე პრესვიტერის სამეფოდ XIII საუკუნეში აზია მოიაზრება, XV-ში კი — ეთიოპია. V ჯვაროსნული ლაშქრობის (1217—1221 წწ.) პერიოდში ხელახლა გაისმა ლეგენდარული პრესვიტერის სახელი. ადრე, XII საუკუნის შუა ხანებში, გადმოცემა დავით აღმაშენებლისა და დემეტრე I-ზე გავრცელებული ცნობების ინტერპრეტაციით შეიქმნა. ახლა კი, იოანე პრესვიტერი

გიორგი IV ლაშასთან ასოცირდებოდა. ამ ბოლო ხანს სხვა მოსაზრებებიც გამოჩნდა.

ასე იყო თუ ისე, თითქოს, ფრთა შეესხა ოცნებას ქრისტიანთა და მონგოლთა ანტიმუსლიმური კავშირის შესახებ, რომელიც ისლამს გაანადგურებდა ან ქრისტიანულ სჯულზე მოაქცევდა მუსლიმებს და ჭეშმარიტი სარწმუნოების სუფევას დაამყარებდა მთელს სამყაროში (ოტო ფრაიზინგელი; გოგოლაძე 2005; მეირ ბალ-ილანი, კაკაბაძე 1989).

მონგოლთა ისტორიიდან

1253 წელს გამართულ ყურულტაიზე გადაწყდა, დაესრულებინათ ომი ჩინეთში (წინამძღოლად უფლისწული ჰუბილაი დაადგინეს) და იერუსალიმი მუსლიმთაგან უფლისწულ ჰულაგუს მოთავეობით გაეთავისუფლებინათ. ყურადსაღებია კანდიდატურათა შერჩევის საკითხი: ქრისტიანობისადმი ჰუბილაის სიმპათია აშკარა იყო; ის კი იმ ქვეყანაში გაგზავნეს, სადაც წამყვანი პოზიცია ეპყრათ კონფუციელებს, დაოსისტებსა და ბუდისტებს. ჰულაგუ ბუდიზმის მისტიკურ მიმართულებას — მაიტრეის მიჰკერძავდა; ის — ქრისტიანთა დასაცავად გაამწესეს. მუნკემ, როგორც ჩანს, გაითვალისწინა, რომ სეპარატიზმის აჩრდილი უკვე მიმოდიოდა მონღოლთა თვალუწვდენელ სამფლობელოში და თადარიგი დაიჭირა, ყაენის ნაცვლის ურთიერთობა ქვეშევრდომებთან ყარაყორუმისთვის საფრთხედ არ გარდაქმნილიყო. მონგოლთა იმპერიისთვის ახალი ტერიტორიების შემატებისთვის მებრძოლს ყოველთვის ცენტრალური ხელისუფლების მხარდაჭერაზე უნდა ეფიქრა. ამ პრინციპს ემსახურებოდა ისიც, რომ ჩინეთის დასაპყრობად წარგზავნილ ჰუბილაის ყივჩაღები და ალანები აახლეს, პალესტინის გამათავისუფლებელ ჰულაგუს კი — უიღურელი ბუდისტი ბერების, ტიბეტელების და ჩინელების ამალა.

თუმც გარკვეული ზომები მაინც მიიღეს საიმისოდ, ჯარს რაიმეგვარი კონტაქტი მაინც ჰქონოდა ადგილობრივ მოსახლეობასთან. ჰულაგუ ყაენის ცოლი, წარმოშობით კერაიტი დოკუზ-ხათუნი ქრისტიანი და ქრისტიანთა მფარველი იყო. შტაბის უფროსი, წარმოშობით ნაიმანი ყით-ბუღა ნოინი, თავგამოდებული ნესტორელი იყო და თანაშემწეებადაც ერთმორწმუნენი შეერჩია.

მოკავშირეთა გამოჩენა

მონგოლებთან კავშირი ისურვა მცირე სომხეთის მეფე ჰეთუმ I-მა, რომელიც 1253 წელს პირადად ეახლა მუნკეს და სთხოვა 7 პირობის განხილვა:

ა) ყაენი ხალხთან ერთად უნდა მონათლულიყო;

ბ) ქრისტიანთა და თათართა შორის მეგობრული ურთიერთობა უნდა დამყარებულიყო;

გ) სასულიერო პირნი გადასახადთაგან უნდა გაეთავისუფლებინათ;

დ) "წმინდა მიწა" ქრისტიანებს უნდა დაჰბრუნებოდა;

ე) ბაღდადის ხალიფა უნდა დაემარცხებინათ;

ვ) მეფის დაძახილზე ყველა მონგოლი სარდალი მას უნდა დახმარებოდა;

ზ) სომეხთათვის მუსლიმთა მიერ წართმეული მიწები უნდა დაებრუნებინათ;

ყაენს, როგორც ჩანს, ძვირად უღირდა დამხმარე ძალის გამოჩენა და დაეთანხმა ამ არც თუ იოლად შესასრულებელ პირობებს. ჰეთუმ I-მა მოკავშირედ ანტიოქიის მთავრის, ბოემუნდის გადმობირებაც შეძლო (მისი ქალიშვილი შერთო ცოლად).

ქრისტიანობის გადასარჩენად თუ ...?

დაიწყო მზადება: საძოვრების გადარჩენის მიზნით, მომთაბარეები არმიის მარშრუტიდან აყარეს, მდინარეებზე ხიდები გადეს, მოამზადეს პროვიანტი და ჩინეთიდან ქვის სასროლი მანქანების სპეციალისტებიც ჩამოიყვანეს. 1257 წ. ირანის ისმაილიტთა ყველა სიმაგრე აიღეს, 1258 წლის თებერვალში კი - ბაღდადი დაიკავეს. ბაღდადის ხელში ჩაგდება ქრისტიანებმა ციურ ნიშნად მიიჩნიეს. დოკუზ-ხათუნის შუამდგომლობით, ჰულაგუმ აკრძალა ქრისტიანთა ხოცვა და ძარცვა. ბაღდადის ნესტორელ პატრიარქს ყაენმა ხალიფას სასახლე დაუთმო, რითაც სომეხ და სირიელ ქრისტიანთა კეთილგანწყობა დაიმსახურა. სომეხთა პატრიარქმა წმიდათაწმიდა ლაშქრობისთვის აკურთხა ყაენი, კილიკიის მეფე ჰეთუმ I და მისი სიძე, ანტიოქიის მთავარი ბოემუნდ VI კი, თავიანთი ჯარებით, მონღოლთა არმიას შეუერთდნენ. გზა გაიხსნა სირიისაკენ. სირიელი და მესოპოტამიელი აიუბიანები დამარცხდნენ: მონგოლებმა გადაწვეს მუსლიმური მეჩეთები ალეპოში, დამასკოში, ხამში, ჰომსში, ბანიასში, ქრისტიანული ტაძრები კი ალაფით აივსო. მუსლიმთა უკანასკნელ თავშესაფრად ეგვიპტე ითვლებოდა, სადაც მამლუქები ბატონობდნენ.

მონღოლთა არმიის მარჯვენა ფლანგზე განლაგებულიყო იერუსალიმის სამეფო. მართალია, წმინდა ქალაქი უკვე დაეკარგათ, მაგრამ ზღვისპირეთის ძლიერი ციხე-სიმაგრეები: ტიროსი, სიდონი და აკრა ტამპლიერებსა და იოანიტებს ეპყრათ, ზღვას კი ვენეციელები და გენუელები აკონტროლებდნენ. მთელი დასავლეთი ევროპა ჰულაგუს და დოკუზ-ხათუნს კონსტანტინეს და ელენეს ადრიდა.

კრახი

ლაშქრობა ჩაიშალა, რითაც მხოლოდ მამლუქებმა იხეირეს. ჰულაგუ თავისი ძმის, მუნკეს სიკვდილის გამო, საილხანოში დაბრუნდა. პალესტინაში დარჩა 20 ათასი ჯარისკაცი ყით-ბუღას მეთაურობით. სიდონის გრაფი ჟულიენი თავს დაესხა მონგოლთა პატრულს. მოკლულთა შორის აღმოჩნდა ყით-ბუღას ძმისწული. ონგოლებმა სიდონი დაანგრიეს. 1260 წლის 26 ივლისს მამლუქების ავანგარდმა მონგოლთა მცირერიცხოვანი რაზმი ღაზასთან გაანადგურა. მამლუქებმა აკრაში შეისვენეს, პროვიანტისა და იარაღის მარაგი შეივსეს, შემდეგ გალილეაში გადავიდნენ და მონგოლებს ზურგში მოექცნენ. 1260 წლის 3 სექტემბერს აინ ჯალუდთან მონგოლთა და სომეხთა ჯარი დამარცხდა. 1263 წლიდან 1291 წლის მაისამდე ჯვაროსნები მამლუქებს ებრძვიან.

ინტერპრეტაცია

საინტერესოა კრახის მიზეზთა ინტერპრეტაცია, რომელსაც ლ.ნ. გუმილევი გვთავაზობს თავის წიგნში "გამოგონილი სამეფოს ძიებაში".

პირველ მიზეზად სახელდება ჯვაროსანი რაინდების მონგოლებთან ერთად ბრძოლის შეუძლებლობა. "თუ მონგოლი ეშმაკები გამოჩნდებიან, ბრძოლის ველზე ქრისტეს მსახურებთან მოუწევთ შეხლა", — უპასუხიათ მათ. ბოემუნდ ანტიოქიელი კი მონგოლებთან კავშირისთვის პაპის ლეგატმა ეკლესიისგან განკვეთა.

შეცდომად საღდება მიულერის შეფასება: "რაინდებისთვის ნათელი გახდა, რომ თურქების წინააღმდეგ ბარბაროსების მხარდამხარ ბრძოლა სინამდვილეში იგივე იყო, რაც - ეშმაკის განდევნა ბელზებელის ძალით."

მეორე შეცდომადაა მიჩნეული დავით რუსუდანის ძისა და დავით ლაშას ძის აჯანყებებით გამოწვეული მოულოდნელი გართულება საქართველოში.

გუმილევის ევრაზიული ქიმერა

ლ.ნ. გუმილევი: 1256 წლამდე ეს ქვეყანა (საქართველო) ოქროს ურდოს ხელდებულად ითვლებოდა, ბათუს სიკვდილის შემდეგ კი ილხან ჰულაგუს დაემორჩილა. ქვეყნის მოსახლეობა 5 მილიონამდე გაიზარდა ანუ თითქმის გაუთანაბრდა იმდროინდელი რუსეთის მკვიდრთა რაოდენობას. ჯალალედინის მიერ მიყენებული ჭრილობები დაავიწყდათ. მონგოლები ქართველებს თავიანთ ბუნებრივ მოკავშირედ მიიჩნევდნენ და ამიტომ არ ართმევდნენ თვითმმართველობას. თბილისში იჯდა ორი მეფე. თანაც, დავით ულუ მონგოლზე იყო დაქორწინებული. საქართველოს მხოლოდ გადასახადი უნდა გადაეხადა (თვით მონგოლებიც კი იხდიდნენ სულადობრივ გადასა-

ხადს) და ებრძოლა საქართველოს ძველისძველი მტრის – მუსლიმების წინააღმდეგ. ქართველები კი აჯანყდნენ 1259 წელს. ეს მათ სრულიად მოუფიქრებლად ჩაიდინეს. ჯერ დავით ნარინი აჯანყდა, წარმატებას ვერ მიაღწია, მიატოვა ქვეყანა მტრის საჯიჯგნად და იმერეთის ციხე-სიმაგრეებში დაიმალა. შემდეგ ულუ აჯანყდა, დამარცხდა და ისიც გაიქცა, თავისი ხალხი კი მტერს შეატოვა. 1262 წელს დაბრუნდა, პატიება ითხოვა და აღდგა სტატუს ქუო.

მეფეთა უგონობამ საქართველოს სისხლისღვრა მოუტანა, ქრისტიანულ საქმეს კი — ტრაგიკული შედეგები, რადგან მონგოლებმა იმის ნაცვლად, ქართულ ჯარს დაყრდნობოდნენ, თავიანთი რეზერვები მათთან ბრძოლას შეახოცეს.

და ეს მაშინ, როცა პალესტინაში ყოველი მეომარი ძვირფასი იყო (გუმილევი).

აუცილებელი შენიშვნები

დებულებამ ქართველების მონგოლთა ბუნებრივ მოკავშირეებად მიჩნევის შესახებ, შესაძლოა, შვას მოსაზრება, რომ მუსლიმთა გარემოცვაში მყოფი ქრისტიანული ქვეყნისთვის მონგოლთა ყმადნაფიცობა ისლამურ სახელმწიფოთა აგრესიას გაანეიტრალებდა;

აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ თავდაპირველად, საქართველოშიც ვრცელდებოდა აზრი მონგოლთა ქრისტიანობის შესახებ, შეინიშნებოდა ტენდენცია მათი განმათავისუფლებლის შარავანდედით შემკობისა... ამას განამტკიცებდა მათ მიერ რელიგიური კულტის მსახურთა გათავისუფლება გადასახადთაგან და მეისტორიეთა პროვიდენციალური რწმენისადმი ერთგულება. ეს პრობლემა ჯეროვნადაა შესწავლილი ქართულ ისტორიოგრაფიაში და მსჯელობას აღარ საჭიროებს.

იმასღა ვიტყვი, რომ მონგოლთა ყმადნაფიცობა ქართველებს იმგვარადვე მძიმე ტვირთად დააწვათ, როგორც - მუსლიმთა ბატონობა. უპირველესად კი, ისაა გასათვალისწინებელი, რომ დაპყრობილი საქართველოსთვის არავის უკითხავს, სურდა თუ არა მონგოლთა მოკავშირეობა და მათ გაუთავებელ ლაშქრობებში მონაწილეობა. ეს დაპყრობილი ქვეყნის მოვალეობა იყო და საქართველო მის აღსრულებას ვერ შეეწინააღმდეგებოდა.

ცხადია, ქართველი პოლიტიკოსები დაინტერესდებოდნენ, მონგოლთა სამხედრო ექსპედიციებში მონაწილეობით ქართული სახელმწიფოებრივი ინტერესებიც დაკმაყოფილებულიყო, თუმც ეს არასოდეს მომხდარა, თუ არ ჩავთვლით ქართულ წყაროში დაცულ ალაფის მოპოვების ფაქტებს. ერთმანეთის ბუნებრივ მოკავშირეობას ორმეფობის დროს ხანდახან დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოც კი ვერ ახერხებდა და ისინი თავიანთ პოტენციურ მოკავშირეებსაც კი ებრძვიან მონგოლთა მხარდამახარ (რუმის სასულტნო), და ესეც იძუ-

ლებითი აქტია. თანაც, ცდილობენ, ერთი, შედარებით, ლმობიერი თუ შორეული მტრის გული მოეგოთ, მაგრამ არც პოტენციურ მოწინააღმდეგეებთან გაეწყვიტათ ურთიერთობა, ერთი სიტყვით, დიპლომატიაში კარგად ცნობილი "ორმაგი სტანდარტით" მოქმედებენ.

აბსურდულია „ქართველების მონგოლთა ბუნებრივ მოკავშირეებად" დასახვის შესახებ დებულება იმითაც, რომ ქართველები, როგორც კი ამის დროს და საშუალებას იპოვიდნენ, ჯანყდებოდნენ. ამრიგად, "ბუნებრივი მოკავშირეობა" ყოველთვის იძულებითი, უსუსურობითა და გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნის შედეგია.

საქართველოს სრული იზოლირებულობის განცდას უფრო ამძიმებდა ბიზანტიის უმოქმედობა.

მონგოლები ქართველთა თვითმმართველობას რამდენიმე მიზეზით არ აუქმებდნენ.

უპირველესად, იმიტომ, რომ მათთვის მნიშვნელოვანი იყო ქართველთა სამხედრო ძალა, რასაც საილხანოს ჩამოყალიბების შემდეგ ოქროს ურდოს წინააღმდეგ საბრძოლველად იყენებდნენ. ილხანებს აშინებდათ ქართველების მიერ დარიალანის შესაძლო გახსნა. დარიალის კარს, ცხადია, დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ქართველები არასოდეს შერიგებიან მონგოლთა ბატონობას, ჯანყდებოდნენ და ახალ-ახალ პრობლემებს უქმნიდნენ მონგოლ ყაენებს. ამას ადასტურებს რომის პაპის ელჩთა ანგარიშებსა და სომეხ ისტორიკოსთა მატიანეებში დაცული ცნობები.

საქართველოს მოსახლეობის 5 მილიონამდე გაზრდა ანუ იმდროინდელი რუსეთის მკვიდრთა რაოდენობასთან გათანაბრება, რაც წონასწორობას აკარგვინებს ლ.ნ. გუმილევს, ემყარება 1254 წლის აღწერის მიმდინარეობისა და შედეგების ივ. ჯავახიშვილისეულ ანალიზს:

ეს რიცხვი მეორდება საქართველოს ისტორიის ბევრ სახელმძღვანელოში: ასახელებენ 4,5-5 მილიონს, ზოგან — 6 მილიონსაც კი. 5 მილიონამდე მოსახლეა დასახელებული საქართველოს ისტორიის ნარკვევებშიც.

ივ. ჯავახიშვილი ეყრდნობოდა ჟამთააღმწერლის ცნობას:

მოლაშქრეთა რაოდენობის განსაზღვრის მონგოლთა მთავრობის მიერ დაკანონებული წესების თანახმად, საქართველოს უნდა გამოეყვანა "ცხრა დუმანი მხედარი, თათართა თანა წარმავალი, რომელ არს ცხრა ბევრი," ე. ი. 90 ათასი მოლაშქრე.

ივ. ჯავახიშვილის გათვლით, 90 ათასი მეომრის კვალობაზე მთელ სამეფოში თითოეულ მხედარზე სრულფუძიანი 9 კომლი უანგარიშიათ ანუ გამოდის 810 ათასი კომლი სრულფუძიანი მოსახლე. კომლში ნავარაუდევი 5 სულის საფუძველზე მიღებულია რიცხვი — 4 მილიონ 50 ათასი ადამიანი. ამ 90 ათასში 15 წლამდე და 60 წელზე უფ-

როსი მამრობითი სქესის მოსახლენი არ აღუწერიათ, მაგრამ ივ. ჯავახიშვილი მათაც მიათვლიდა და, ამგვარად, იღებდა 4,5-5 მილიონამდე მოლაშქრეს.

სხვათა შორის, იქვე მიუთითებდა, რომ ამ რიცხვში, საკუთრივ, საქართველოს გარდა, საქართველოს ფარგლებში მოქცეული სომეხი და სხვა ეროვნების მოსახლეობაცაა საგულისხმებელიო.

შესაბამისად, რბილად რომ ვთქვათ, ძნელი დასადგენია, რა დამსახურების გამო უნდა მიეწეროს მონგოლებს საქართველოში ამდენი მოსახლის არსებობა? მონღოლთა გადასახადები და სამხედრო ბეგარა ხომ ისევე მძიმე იყო საქართველოში, როგორც — რუსეთში?

დებულება იმის შესახებ, რომ საქართველოს მხოლოდ გადასახადი უნდა გადაეხადა და ასაჯანყებელი არაფერი ჰქონდა, მიუთითებს, რომ საქართველოში დანერგილ უმკაცრეს საგადასახადო სისტემისა და სამხედრო ბეგარის თაობაზე რუსმა ისტორიკოსმა არაფერი იცოდა ან განზრახ არ აქცევდა ყურადღებას ამ საკითხებს. მონგოლთა იმპერიაში დადგენილი სულ 40-მდე სახეობის გადასახადთაგან საქართველოში თოთხმეტზე მეტი მოქმედებდა. ამას თან ერთვოდა სამხედრო ბეგარა. ყოველწლიურად მამრობითი სქესის მოსახლეთა უდიდესი რიცხვი ეთიშებოდა ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებას მონგოლთა წვრილ თუ მსხვილ ომებში მონაწილეობის გამო. დადასტურებულია ალამუთის ბრძოლაში საქართველოს ლაშქრის შვიდწლიანი მონაწილეობა, ლაშქრობა ბაღდადის სახალიფოსა და ეგვიპტის სასულტნოს ყმადნაფიცი ქვეყნების წინააღმდეგ. აღწერათა (1254-56; 1258-59) შედეგად, გადასახადები დიდდებოდა, სამხედრო ბეგარა კი უფრო მასშტაბური ხდებოდა.

მხოლოდ მოცულობაც არ იყო საქმე: თუ პირველ ხანებში გადასახადების აკრებას ადგილობრივი ფეოდალები მოთავეობდნენ, აღწერის შემდეგ ეს საქმე მონგოლ ბასკაკებს დაევალათ. რადგან საგადასახადო ნორმები და აკრების ვადები დაუდგენელი იყო, ხშირად ერთსა და იმავე გადასახადს რამდენჯერმე ახდევინებდნენ. ამას ადასტურებს ქართველ და სომეხ ისტორიკოსთა ცნობები.

ჯალალედინის მიერ მიყენებული ჭრილობების დავიწყების არც დრო და არც ხელსაყრელი ვითარება ქართველებს არ მისცემიათ, და ამის მიზეზი ისევ მონგოლთა ბატონობა იყო.

რაც შეეხება ორი დავითის — რუსუდანის ძისა და გიორგი-ლაშას ძის — აჯანყებებს, ისინი, უპირატესად,ზემოთ უკუფენილმა მიზეზებმა განაპირობა.

თუ გავითვალისწინებთ მოსაზრებას, რომ დავით რუსუდანის ძის აჯანყება 1249 წელს დაიწყო, გასაგები გახდება, რატომ არ მიემხრო მას ულუ: ის მონღოლებმა სწორედ იმ წელს იხსნეს ტყვეობიდან და მეფედ დასვეს და თანაც, დავით რუსუდანის ძესთან შედარებით, უპირატესი უფლებებითაც აღჭურვეს. გასათვალისწინებელია, რომ

დავით გიორგი-ლაშას ძის რუმის სასულტნოს ტყვეობიდან გათავისუფლება დასავლეთ საქართველოს საკითხის გადაწყვეტას უკავშირდებოდა. რუსუდანის მოსახელთებლად და ამერში მის ჩამოსატყუებლად გაგზავნეს ყარაყორუმში დავით ლაშას ძე. რუსუდანს, ცხადია, ესმოდა, რომ ვითარების ესკალაცია, შესაძლოა, მისი ძის, თანამოსაყდრე დავითის იგნორირებით დასრულებულიყო.

1259 წელს ქვეყანა ორჯერ აღიწერა, დაწესდა მძიმე გადასახადები, სავალდებულო გახდა მონგოლთა ხანგრძლივ ლაშქრობებში მონაწილეობა, საიდანაც ქართველთა ლაშქრის მხოლოდ ნაწილი ბრუნდებოდა უვნებლად. ულუს სამეფო კომპეტენცია შეიზღუდა, ქვეშევრდომი ერისთავების გადაყენების უფლებაც კი ჩამოართვეს. ხარკის გადახდას ვერ აუდიოდა, გადასახადთა ნარჩენები წლიდან წლამდე იზრდებოდა. ულუმ აჯანყებისთვის სწორედ რომ მოხერხებული დრო შეარჩია. სულ ცოტა ხნის წინათ, 1259 წელს, მონგოლთა და მუსლიმთა ჯარი დამარცხდა დავით რუსუდანის წინააღმდეგ ბრძოლაში: ულუს ეჩვენებოდა, რომ მონგოლთა დამარცხება მასაც შეეძლო. ქვეშევრდომებმა მხარი არ დაუჭირეს და ამან განაპირობა მისი მარცხი. 1259 წელს დავით რუსუდანის ძე არღუნის მიერ ხარკის აკრებას აუჯანყდა.

ამრიგად, ცალკე აღნიშვნის ღირსია დავით რუსუდანის ძის განდგომის მიზეზები და მიზნები: ერთმეფობის, სიუზერენიტეტის მიღწევა; ქუთაისის — ძველი სატახტო ქალაქის აღსადგენად დასავლეთ საქართველოს ფეოდალთა ირიბი ცდის საკუთარი მიზნებისთვის გამოყენება (სოციალური საყრდენის გაჩენა და მფლობელობის მოპოვება-დაკანონება, შთამომავლობისთვის სამემკვიდრეო უფლებების მოპოვება). გასათვალისწინებელია, ამასთან, რომ ქართველებს კათოლიკურ სამყაროსა და ჯვაროსნებთან უკვე საკმაო ხნის ურთიერთობა ჰქონდათ, მაგრამ რეალური დახმარება არასოდეს მიუღიათ. მეტიც, საერთაშორისო პოლიტიკურ ძალთა მაშინდელი განლაგების პირობებში უკეთესი შედეგი, ალბათ, არც იყო მოსალოდნელი (Гумилев; ჯავახიშვილი 1982: 43-46; 51-75; ასათიანი 2001:32-34; ასათიანი 2004: 3-26; გვრიტიშვილი 1962: 52-55; კარპინი 1942: 37; ჯოხაძე 2003: 39-43; Патканов 1874: 44-50; ნინიძე 2004:36-57; Ле Гофф).

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ლ.ნ. გუმილევის დისკურსის ბელეტრისტული პათოსი ევრაზიული იდეის უნივერსალურად გამოყენების ცდამ განაპირობა.

ევრაზია როგორც საბჭოეთის ალტერნატივა

2012 წელს პროექტის ფარგლებში თინათინ ბოლქვაძესთან ერთად სამეცნიერო მივლინებით გახლდით პრაღაში.

პრაღა ევრაზიულობის ცენტრი იყო და, ბუნებრივია, პირველ ყოვლისა, სწორედ იქ მოვიძიეთ მასალები ევრაზიულობის დამფუძნებელ პ. სავიცკისა და ერთგულ ადეპტ კ. ჩხეიძეზე.

შეგვხვდა ევრაზიულობის უცვლელი ლიდერის პ. სავიცკის ვაჟი, ენათმეცნიერი, პროფესორი ნ. სავიცკი. საუბრისას, რომელიც ზომაზე მეტად მშრალი გამოვიდა მასპინძლის სიბერისა და სისუსტის გამო, ერთი რამ მაინც გაირკვა: მამამისს, პეტრე სავიცკის, მისი ცოცხლად დარჩენილი ერთადერთი შთამომავალი „სტალინელად“ იხსენიებდა და უმატებდა მამისავე სიტყვებს: „სტალინმა იხსნა რუსეთი!“

მაშინვე დავადგინეთ, რომ ნიკოლაი სავიცკის რძალი, ცნობილი ისტორიკოსის, ივან სავიცკის ქვრივი ქართველი - ეთერ მეძმარიაშვილი აღმოჩნდა. მასაც ვესაუბრე ტელეფონით. ქალბატონი ეთერი რუსულად ლაპარაკობდა. რამდენადაც შევატყვე, გაუხარდა, ქართველი რომ ვიყავი, ხოლო პირველივე ფრაზა რომელიც მითხრა თავის მაზლზე, რომელმაც მის შესახებ მიამბო, ეს გახლდათ: „გამოგიტყდათ, რომ სტალინელია? ამ ნიადაგზე ერთმანეთს არ ველაპარაკებით!“

მით უფრო შოკისმომგვრელი იყო ამის გაცნობიერება სავიცკის ბიოგრაფიის მცოდნისთვის:

საქმე ის გახლდათ, რომ პეტრე სავიცკის 1921 წელს პრაღაში დამკვიდრების დროიდან ეიმედებოდა ბოლშევიკთა სწრაფი განადგურება და სხვა ევრაზიელებთან ერთად ემზადებოდაა რუსეთში დასაბრუნებლად. ევრაზიული მოძრაობის ერთ ფუძემდებელთაგანი მედასავლეთეებთან პოლიტიკურად საბრძოლველად, ცდილობდა, ევრაზიულობის იდეები სსრკ-შიც ექადაგა. ის იქცა სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს მიერ მოწყობილი მისტიფიკაციის მსხვერპლად: კერძოდ, იოლად ირწმუნა, თითქოს სსრკ-ში კონსპირაციული ანტიბოლშევიკური იატაკქვეშა მოძრაობა იყო, რომელსაც ევრაზიული განყოფილებაც ჰქონდა. 1927 წელს, ამ მიზნით, ის ფარულად ესტუმრა სსრკ-ს და, როგორც ეგონა, საბჭოთა ევრაზიელებს შეხვდა. სინამდვილეში მას სამმართველოს თანამშრომლებმა „უმასპინძლეს“.

წერენ იმის შესახებაც, თითქოს სსრკ-ში ყოფნისას სავიცკი შეხვდა რუსეთის პატრიარქის თანამოსაყდრეს, მიტროპოლიტ პეტრეს (პოლიანსკი), რომელმაც აკურთხა სავიცკი და მისი სახით - მთელი მოძრაობა ნაციონალური რუსეთის შექმნისთვის საბრძოლველად (Петр Савицкий и Петр Сувчинский — переписка, судьба евразийцев).

საქმე ის გახლდათ, რომ 1925 წელს მიტროპოლიტი პეტრე უკვე დაკავებული, გასამართლებული და გადასახლებულია; შესაძლოა, სავიცკის შეხვდა მიტროპოლიტი სერგი ნიჟგოროდელი, რომელიც თავს „თანამოსაყდრის მოადგილეს“ უწოდებდა და შედარებით ლოიალური გახლდათ საბჭოთა რეჟიმისადმი.

ამ მისტიფიკაციის გამომჟღავნებამ ევრაზიელთა რენომე დიდად დააზარალა.

1945 წელს, როცა საბჭოთა არმიამ პრაღა დაიკავა, კონტრდაზვერვის ორგანოებმა სავიცკი დააპატიმრეს, როგორც თეთრგვარდიელთა მოძრაობის ყოფილი წევრი, თვითმფრინავით გადაიყვანეს მოსკოვში და 8 წლით ბანაკებში ყოფნა მიუსაჯეს კონტრრევოლუციონერობისათვის. სასჯელს დუბროვლაგში (მორდვეთი) იხდიდა. 1954 წელს გადაიყვანეს მოსკოვის მახლობლად, 1956 წელს გაათავისუფლეს და რეაბილიტაციას დაუქვემდებარეს. მოსკოვში დარჩენაზე უარი თქვა და ჩეხეთში დაბრუნდა. 1960 წელს „ვოსტოკოვის“ ფსევდონიმით დასავლეთში დაბეჭდა ლექსების კრებული, რომელშიც ბანაკში ყოფნასაც ეხებოდა, რისთვისაც 1961 წელს ჩეხეთის უშიშროების სამსახურმა დააპატიმრა , მაგრამ მალევე გაათავისუფლეს ბერტრან რასელის ჩარევის შედეგად. გარდაიცვალა პრაღის გაზაფხულის მოვლენების დროს.

„გითხრათ, რომ სტალინელია?“ ან „სტალინმა იხსნა რუსეთი“ მის ბიოგრაფიასავით მახსოვდა იდეოკრატიაზე ფიქრისას. იდეოკრატია ევრაზიული კულტურის ერთ-ერთი მარკერია.

ტრუბეცკოი აღნიშნავდა, რომ „დამდეგ ეპოქაში, როცა იქმნება მმართველი ფენის ახალი ტიპი, შესაბამისად - ახალი ტიპის სახელმწიფო - სრულიად ახალი პოლიტიკური, სოციალური, კულტურული და ყოფითი წყობისა, არსებითია მმართველი ფენის შერჩევა. სწორედ ეს ახლად შერჩეული მმართველი ფენა, რომელსაც ახლა აყალიბებს ცხოვრება და რომელიც მოწოდებულია, შეცვალოს როგორც არისტოკრატია, ისე - დემოკრატია, შეიძლება განისაზღვროს იდეოკრატიად, იდეოკრატიულ წყობად. ამ წყობისას მმართველი ფენა შედგება ადამიანებისაგან, რომლებსაც მსოფლჭვრეტა აერთიანებს“ (Исаев:1995).

ამგვარად, ევრაზიელთა სოციალურ ფილოსოფიაში საზოგადოებრივი წყობის, მეურნეობის, კულტურის, სახელმწიფოებრივი მოწყობის განსაზღვრულ ტიპს იდეოკრატია ეწოდება.

რომანულ-გერმანულ ცივილიზაციაში დიდი ხნის განმავლობაში ბატონობდა საზოგადოებრივი მოწყობის არისტოკრატული (სამ-

ხედრო და ბიუროკრატიული) და დემოკრატიული (ბიუროკრატიული) ტიპები, რომლებიც განსაზღვრავდა მმართველი ფენის, ხელისუფლების სტრუქტურათა შერჩევის პრინციპს.

ტრუბეცკოი თავის სტატიაში „იდეოკრატიული სახელმწიფოს მმართველი იდეის შესახებ“ ამბობს:

იდეოკრატიად ის წყობა იგულისხმება, რომლის მმართველ ფენასაც ერთი მმართველი იდეისადმი ერთგულების გამო ირჩევენ. იდეოკრატიულ სახელმწიფოს, დემოკრატიულისაგან განსხვავებით, თავის შეხედულებათა სისტემა, მმართველი იდეა (რომელსაც ტვირთულობს ერთადერთ სახელმწიფო-იდეოლოგიურ ორგანიზაციაში გაერთიანებული მმართველი ფენა) აქვს, რის გამოც თვითონვე უნდა მოაწყოს ცხოვრების ყველა სფერო და წარმართოს ისინი. ის ვერ დაუშვებს რომელიმე დაუქვემდებარებელი, გაუკონტროლებელი და უპასუხისმგებლო ფაქტორის - პირველ ყოვლისა, კერძო კაპიტალის - ჩარევას პოლიტიკურ, სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში და ამიტომაც, გარკვეულად, უთუოდ სოციალისტურია.

რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს ჭეშმარიტი იდეოკრატიული სახელმწიფოს მმართველი იდეა?

იდეოკრატიული არჩევის სელექციური თავისებურება უნდა იყოს არა მხოლოდ ზოგადი მსოფლმხედველობა, არამედ მზაობაც, ემსხვერპლო მმართველ იდეას. მსხვერპლშეწირვის, მარადი მობილიზებულობის, მძიმე დატვირთულობის ეს ელემენტი, რომელიც მმართველი ფენის კუთვნილებას უკავშირდება, აუცილებელია ამავე კუთვნილებასთან დაკავშირებულ პრივილეგიათა გასაწონასწორებლად. თავიანთ მოქალაქეთა თვალში მმართველი ფენის წევრები მორალური პრესტიჟით უნდა სარგებლობდნენ. გარკვეული მორალური პრესტიჟი მმართველ ფენას სხვა წყობაშიც აქვს, მაგრამ იდეოკრატიისას ის განსაკუთრებით ძლიერია, რადგან მსხვერპლად შეწირვის მზაობა მმართველი იდეისათვის მმართველი ძალის ერთ-ერთი ძირითადი სელექციური თავისებურებაა. ამგვარად, მმართველი იდეა ისეთი უნდა იყოს, რომ, პირველ ყოვლისა, მისთვის თავის გაწირვა ღირდეს და, მეორეც, მისდამი მსხვერპლის გაღება ყველა მოქალაქემ მორალურად ფასეულ ქცევად აღიქვას.

რა არის ის „ერთი“, რომლის სასიკეთოდაც საკუთარი თავის მსხვერპლად შეწირვა შეიძლება, თანაც ისე, რომ მსხვერპლი მორალურად ღირებული იყოს? ეს ვერ იქნება ვერც კლასი, ვერც ხალხი, ვერც კაცობრიობა.

ეს უნდა იყოს ხალხის ერთობლიობა, რომლითაც დასახლებულია თვითკმარი (ავტარქიული) ადგილმდებარეობა და რომელსაც აერთიანებს არა რასა, არამედ - ისტორიული ბედი, ერთობლივი შრომა ერთი და იმავე კულტურის ანდა ერთი და იმავე სახელმწიფოს შესაქმნელად - აი, ის მთლიანობა, რომელიც უპასუხებს ზემოთ მითითებულ მოთხოვნას.

იდეოკრატიული სახელმწიფოს მმართველი იდეა შეიძლება იყოს მხოლოდ იმ ხალხთა ერთობლიობის სარგებელი, რომელიც მოცემულ ავტარქიულ განსაკუთრებულ სამყაროში სახლობს. შესაბამისად, ჭეშმარიტად იდეოკრატიული სახელმწიფოს ტერიტორია უცილოდ უნდა ემთხვეოდეს რომელიმე ავტარქიულ განსაკუთრებულ სამყაროს. ამავე შედეგამდე მივყავართ იდეოკრატიის ცნებასთან დაკავშირებულ მოთხოვნას დაგეგმილ მეურნეობასა და სახელმწიფოს მიერ კულტურისა და ცივილიზაციის რეგულირების შესახებ, რადგან ამ მოთხოვნათა წარმატებით შესრულება შესაძლებელია მხოლოდ იდეოკრატიული სახელმწიფოს ავტარქიის პირობებში.

დაბოლოს, მხოლოდ ამ პირობებში ძალუძს სახელმწიფოს უცხოური კაპიტალისაგან თავის მოზღუდვა.

ნებისმიერი სახელმწიფო იდეოკრატიად ვერ იქცევა. მაგრამ, რადგან იდეოკრატიული წყობის დამკვიდრება გარდაუვალია მთელ მსოფლიოში, უახლოეს მომავალში დედამიწის რუკის გადაკეთება მოგვიწევს.

მიუხედავად ამ რყევათა პერსპექტივისა, რომლებიც გარდაუვალია ერთი სოციალურ-პოლიტიკური წყობიდან მეორეზე გადასვლისას, თანამედროვე იდეოკრატიულ სახელმწიფოთა (თუნდაც ყალბი მმართველი იდეებით) არსებობა უაზრო სულაც არ არის. ამ სახელმწიფოთა ყოფისა და სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების ფორმათა შემქმნელი მმართველი ფენის პოლიტიკური გამოცდილება გამოდგება მომავალი, ჭეშმარიტი იდეოკრატიისას, რომელმაც, შესაძლოა, ის სამშობიარო ტკივილებიც კი გააქარწყლოს, ჭეშმარიტი იდეოკრატიის შობას რომ მოჰყვება (Трубецкой :1925).

იდეოკრატიაზე თავისი მოსაზრებანი გამოთქვა თითქმის ყველა ცნობილმა ევრაზიელმა. მათგან აღსანიშნავია ტრუბეცკოის, სავიცკის, ჩხეიძის სტატიები.

1923-1927 წლებში ბერლინში გამოდიოდა ჟურნალი „ევრაზიული მატიანე“, რომლის მესამე წიგნში დაბეჭდილია პ. სავიცკის „იდეის ქვეშევრდომობა“: სტატია მმართველი იდეის შერჩევას ეძღვნება.

თუ იდეა იქნება, პიროვნებებიც გამოჩნდებიან. „მმართველი იდეა“ იბადება და იზრდება მომენტისა და ეპოქის საერთო სულიერ

გარემოში. მისი აკვანი და სამშობლო ხალხის ინტელექტუალურ წარმომადგენელთა, მისი „ინტელიგენციის“ სულიერი თვითშემეცნება და გამოცდილებაა. რევოლუციის შემდგომდროინდელ რუსეთს სჭირდება კომუნიზმზე უფრო ძლევამოსილი იდეა. (САВИЦКИЙ: ПОДДАНСТВО ИДЕИ).

სავიცკის შეხედულებები, შეიძლება ითქვას, ველიკოდერჟავულობის ქრესტომათიაა.

მომხრეებს შორის, რომელიც იოსიფ ვოლოცკის მომხრეთა გამარჯვებით დასრულდა.

„ორი რომი დაეცა - მესამე ზეობს. მეოთხეს კი ყოფნა არ უწერია“, - აი, ამ მსოფლიო მისიასა და დანიშნულებას გულისხმობს სავიცკი.

მეორე ტოპოსი სავიცკის სტატიაში მე-19 საუკუნის რუსეთია. უნდა ვიფიქროთ, რომ ის სლავოფილთა იდეოლოგიას იხსენებს.

ევრაზიული თეორიის „დამფუძნებელი მამები“ მუხლჩაუხრელად შრომობდნენ, სახელმწიფოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა საკითხს ამუშავებდნენ და თავიანთ არგუმენტირებულ შეხედულებებს თავიანთსავე პერიოდულ გამოცემებში აქვეყნებდნენ.

გასაკვირიც არ იყო, რომ „ევრაზიელებმა“ საკუთარი მოსაზრებები ჩამოაყალიბეს ევრაზიულ კულტურაზე, როგორც სამომავლო ფენომენზე, და აქ სიტყვა „სამომავლო“ „ევრაზიელთა“ იდეოლოგიურ პოსტულატთა უტოპიურობის გასახაზადაა ნახმარი.

ტრუბეცკოის თანახმად, ცნებები: „სლავური“ და „მართლმადიდებლური“ (რუსულად სიტყვათა თამაშიც გამოდის: ,,славянский'' - ,,православный'', და ეს კიდევ უფრო ამძაფრებს მკვლევრის ინტენციას) სულაც არ არის იდენტური. არსობრივად, დასავლურ-სლავური კულტურა რომანულ-გერმანულია, მაშინ, როცა ძველი სლავური კულტურა, როგორც მართლმადიდებლური და არა - სლავური ფენომენი, რუსეთში დამკვიდრდა და განვითარდა: „სლავობა ეთნოფსიქოლოგიური, ეთნოგრაფიული ან კულტურულ-ისტორიული კი არა, ლინგვისტური ცნებაა. ენა და მხოლოდ ენა უკავშირებს სლავებს ერთმანეთს. ენა ერთადერთი რგოლია, რომელიც რუსეთს სლავურ სამყაროსთან აერთიანებს“ (Письма и заметки Н.С. Трубецкого: 2004).

რუსული ნაციონალური კულტურა მართლმადიდებლობის გარეშე წარმოუდგენელია, რადგან „ევრაზიელი ქრისტიანისათვის ქრისტიანობა რომელიმე განსაზღვრული ნაციონალური კულტურის ელემენტი კი არ არის, არამედ ის ფერმენტი, სხვადასხვა კულტურაში შეღწევა და მათი განვითარების სტიმულირება რომ ძა-

ლუძს, მათი თვითმყოფობისა და გამორჩეულობის გაუუქმებლად“ (Трубецкой: 2007).

ტრუბეცკოი დაჟინებით ამტკიცებდა, რომ ლინგვისტურ ჯგუფებს მათი გეოკულტურული მიკუთვნებულობა აყალიბებს და არა - წარმომავლობა. შესაბამისად, რუსული სამყარო გამორჩეულად უკავშირდება ევრაზიულ „ადგილგანვითარებას“ (месторазвитие):,,ხალხის ერთობლიობა, რომელიც ცხოვრობს მეურნეობრივად თვითკმარი (ავტარქიული) ადგილგანვითარებით და ერთურთს რასობრივად კი არ უკავშირდება, არამედ ისტორიული ბედის ერთიანობით, ერთობლივი შრომით ერთი და იმავე კულტურისა და სახელმწიფოს შესაქმნელად - აი, ეს არის მთლიანობა“, - წერდა „ევრაზიელი“ ისტორიკოსი გ. ვერნადსკი (Письма и заметки Н.С. Трубецкого: 2004).

ევრაზიული კულტურის კონცეფციაში სახელმწიფო „დემოტურია“, რაც იმას ნიშნავს, რომ „სახალხო სუვერენიტეტის“ ფენომენი ორგანული და ორგანიზებული ერთიანობაა. ევრაზიელი ხალხი არ გახლავთ მოქალაქეთა შემთხვევითი კრებული. ხალხი ისტორიულ თაობათა - წარსულის, აწმყოსა და მომავლის წარმომადგენელთა - ერთობლიობაა, რომელიც წარმოქმნის სახელმწიფოს მიერ გაფორმებული კულტურის ერთიანობას.

ტრუბეცკოიმ უკუაგდო „კაცობრიობისა“ და „კლასის“ ცნებები და საკუთარი კონცეპტი - ავტარქია შეიმუშავა. ეს არის მშვიდობიანად თანამცხოვრები ერთობა, რომელიც ქმნის ერთიან კულტურულ სამყაროს არა მხოლოდ ეკონომიკით, არამედ ისტორიით (,,ერთიანი ბედით“), ცივილიზაციით, თანასწორობის ნაციონალური თავისებურებებით (Алексеев: 1927).

ავტარქიის საფუძველი კულტურულ-ისტორიული ზონებია: „ერთმანეთის მეზობლად მცხოვრებ ხალხთა კულტურებისათვის ყოველთვის ნიშანდობლივია ერთიანი და ურთიერთმსგავსი თავისებურებანი. ამის წყალობით, ამ კულტურებში მოინიშნება გარკვეული კულტურულ-ისტორიული „ზონები“, მაგ., მუსლიმურ, ინდოსტანურ, ჩინურ, წყნაროკეანურ, სტეპურ, არქტიკულ და სხვ. კულტურათა ზონები. ამ ზონათა საზღვრები ერთმანეთს კვეთს; წარმოიქმნება შერეული თუ გარდამავალი კულტურის ტიპები. სხვადასხვა ხალხი ან ხალხის ნაწილი ითვისებს მოცემული კულტურის ტიპს და მას თავის სპეციფიკურ ინდივიდუალურ თავისებურებებს უმატებს...“ (Трубецкой: 1933).

საკითხის ამგვარად დასმით ინდოევროპელ ხალხთა გენეტიკური კავშირი, რომელიც მათი ერთიანი ენობრივი ოჯახისადმი მიკუთ-

ვნებულობით გამოიხატებოდა, უკანა პლანზე ინაცვლებდა. წინაურდებოდა სისტემური ურთიერთკავშირი იმ ხალხისა, რომელიც „კულტურულ ზონებსა“ და „ენობრივ კავშირებში“ მათ ისტორიულ ურთიერთქმედებას გაეერთიანებინა (Трубецкой: 1921).

ტრუბეცკოის აზრით, ევრაზია ერთგვარი გეოგრაფიული, ეთნოლოგიური და ეკონომიკური მთლიანობა, ერთიანი სისტემაა, რომლის სახელმწიფოებრივი ფორმირება აუცილებელი გახლდათ. ევრაზიულობის თავისებურებებს ტრუბეცკოი არა მარტო აზოგადებდა, არამედ სისტემურობასაც კი ანიჭებდა. ამის საფუძვლად მას „იდეოლოგია“ მიაჩნდა, რომელიც უნდა წარმოქმნილიყო რომელიღაც აბსოლუტური იდეიდან და ცხოვრების ელემენტად გარდაქმნილიყო. იდეოლოგია აფერადებს კულტურას, იდეოლოგია მისი სტრუქტურირების განმაპირობებელი ფაქტორია. იდეოლოგია ის არქეტიპია, რომელიც განსაზღვრავს კულტურის განვითარების პერსპექტივას. იმისათვის, რომ ყალბი და აბსტრაქტული იდეოლოგიები გააუვნებელყოს და, ამასთან, შთამაგონებელი პათოსიც არ დაკარგოს, კულტურამ უნდა გამოიმუშაოს თავისი დამოკიდებულება „მმართველი იდეისადმი“ (Антощенко:2003).

მეცნიერმა კულტურის ცნება ისეთი გაგებითაც დატვიფრა, როგორიცაა „ცისარტყელას სხივები“, იგივე - კულტურული რგოლები ანუ ეთნოსი, ხალხი და ა.შ.

რუსულ და სტეპურ სამყაროს შორის მართლაც არსებობს „ცისარტყელას სხივები“, რომლებიც განისაზღვრება მათი ურთიერთობით მხოლოდ ევრაზიულ ერთიანობასთან და რომელთაც ერთმანეთთან მკაფიო საზღვარი არ გააჩნიათ: „შეუმჩნეველი თანდათანობით ეს აღმოსავლური და სამხრეთ-აღმოსავლური კულტურა ებჯინება „სტეპურ“ (თურქულ-მონგოლურ) კულტურას და მისი გავლით, აზიურ კულტურებს უკავშირდება“ (Савицкий :1997).

მაგრამ, ამასთან, ტრუბეცკოი აღნიშნავდა, რომ რუსი ხალხი ევრაზიის შემადგენლობაშია, და იგი ევრაზიულ მრავალფეროვნებაში დამაკავშირებელი ელემენტის როლს ასრულებს. ევრაზიის სხვა ხალხთა კულტურული ელემენტებით გამდიდრებული რუსული კულტურა უნდა იქცეს ზენაციონალური ევრაზიული კულტურის ბაზისად, რომელიც დააკმაყოფილებდა რუსეთ-ევრაზიის ყველა ხალხის მოთხოვნილებას, მათ ნაციონალურ თავისებურებათა შეუზღუდავად (Ларюель: 2004).

თუმც ევრაზიულობის აზიური შემადგენელი ნაწილის გადაჭარბებული შეფასებაც დაუშვებელია. ტრუბეცკოის აზრით, ევრაზი-

ულობამ თავის სახელწოდებად ისეთი სიტყვა შეარჩია, რომელშიც ფუძე „ევრო“ მაინც პირველ ადგილზეა - ანუ ეს მოძრაობა დიდად აფასებს დასავლური კულტურის მიღწევებს.

ამგვარად, ტრუბეცკოის „ევრაზიულ“ მემკვიდრეობაში იძებნება ევრაზიული კულტურის, როგორც ასეთის, ძირითადი მარკერები: მართლმადიდებლობა, ავტარქიულობა, დემოტურობა, იდეოკრატიულობა, აზიურობა.

კ. ჩხეიძე სტატიაში „იდეოკრატიის პრობლემისათვის“ ამბობს, რომ იტალიური ფაშიზმიც, გერმანული ნაციზმიცა და რუსული კომუნიზმიც იდეოკრატიაა, თუმცა არა - ჭეშმარიტი. მათში იგრძნობა იდეოკრატიის ჩანასახი, რომლიდანაც შესაძლოა, განვითარებულიყო მომავალი სახელმწიფოებრივი წყობის სინთეზური ფორმა - იდეოკრატია, მაგრამ მათ შემთხვევაში საქმე გვაქვს ყალბ იდეოკრატიასთან (Чхеидзе:).

იდეოკრატიის ცნება და არსი დღესაც ჰუმანიტარული მეცნიერების საჯილდაო ქვაა, რადგან მჭიდროდ უკავშირდება ტოტალიტარულ სახელმწიფო რეჟიმებს და ძრწოლას ჰგვრის ლიბერალური გამოცდილების მქონე სამყაროს. იდეოკრატია, ყველაზე ზოგადადაც კი, ყოვლისმომცველი საკრალური დიქტატურაა. მისი მიზანი სოციალური ჰარმონიის მიღწევაა, ოღონდ - იდეოლოგიურ ფასეულობათა ერთი დომინირებული სისტემის საფუძველზე სოციუმის ტოტალური გაერთიანებითა და ადამიანური ცნობიერების ძირეული გარდაქმნით.

„ევრაზიული“ საქართველო

ტრუბეცკოი და მისი თანამოაზრენი აღნიშნავდნენ რუსული სახელმწიფოს მრავალპოლარულობას, რუსეთის ისტორიაში თურქული ელემენტის დიდ მნიშვნელობას, სლავურ-თურქული კავშირის, როგორც რუსული სახელმწიფოს მესაძირკვლის, განსაკუთრებულ ფუნქციას.

ტრუბეცკოიმ ამ საკითხს მრავალი სტატია მიუძღვნა, რომელთა შორისაა 1925 წლით დათარიღებული “კავკასიის ხალხთა შესახებ”.

ეს ოპუსი, დაწყებული ეპიგრაფით და დასრულებული ბოლო აბზაცით, იმპერიული პათოსით, ველიკორუსულ-ბოლშევიკური აპლომბითა და უზენაესი ჭეშმარიტების ფლობის პრეტენზიითაა გაჯერებული.

სახელგანთქმულ ლინგვისტს სტატიის ეპიგრაფად 117-ე ფსალმუნის მეათე ლექსი გამოუყენებია: “ყოველი თესლები გარე-მომადგა მე, და სახელითა უფლისაითა ვერეოდე მათ” (ფსალმუნნი და ლოცვანი: 2011).

თანამედროვე ქართულით ეს აზრი ასე გამოითქმის: “ხალხნი ყოველნი გარს შემომერტყნენ — უფლის სახელით მართლაც ამოვწყვეტ მათ” (ბიბლია).

ათანასე დიდი ასე განმარტავს ამ ფრაგმენტს: “ხალხნი ყოველნი” ჰიპერბოლურადაა ნახმარი — იუდეას ერტყა გარს ეს ხალხი, სწორედ ამ წარმართთა დემონური ჩანაფიქრი და სოფისტური მსჯელობა უნდა განადგურებულიყოო უფლის სახელით (Афанасий великий).

ძალზე თამამი ვარაუდის გამოთქმა არც კია საჭირო, რომ ღვთის მიერ გამორჩეულ ებრაელ ერში, ტრუბეცკოის ირიბი ინტენციის თანახმად, რუსეთი ვიგულისხმოთ, რომელიც გაანადგურებს გარსშემოჯარულ ხალხებს. გავიხსენოთ, რომ მე-19 საუკუნეში, კერძოდ, 1848 თუ 1849 წელს, ფიოდორ ტიუტჩევმა რუსეთის პოლიტიკური მისწრაფების პოეტური ტრანსმუტაცია შემოგვთავაზა - ლექსს სრულიად ,,არაპოეტური“, ევრაზიელთა თვალსაზრისით კი, სავსებით რელევანტური სახელი ,,რუსული გეოგრაფია“ ერქვა:

«Москва и град Петров и Константинов град
- вот царства русского заветные столицы…
Но где предел ему? И где его границы-
на север, на восток, на юг и на закат?
Грядущим временам судьбы их обличат!

Семь внутренних морей и семь великих рек...
От Нила до Невы, от Эльбы до Китая,
от Волги по Евфрат, от Ганга до Дуная...
Вот царство русское... И не прейдет вовек,
как то провидел Дух и Даниил предрек.» (Тютчев).

დანიელის წინასწარმეტყველებაში, რასაკვირველია, არაფერია ნათქვამი რუსეთსა და მის საზღვრებზე — იგულისხმება მარადიული საღვთო სამეფო:

„იმ მეფეთა დღეებში ზეციერი ღმერთი დაამყარებს სამეფოს, რომელიც უკუნისამდე არ დაიქცევა და მისი ხელმწიფება სხვა ხალხში არ გადავა. იგი შემუსრავს და დააქცევს ყველა სამეფოს, თავად კი, უკუნისამდე იდგება" (დანიელი, თავი მეორე, 44).

თავადი ნ. ტრუბეცკოიც, ტიუტჩევის მსგავსად, ევრაზიულობის „მესიანური იდეის" სანქტიფიცირებისთვის საღვთო წერილს იყენებს: „ხალხნი ყოველნი გარს შემომერტყნენ — უფლის სახელით მართლაც ამოვწყვეტ მათ." თავადი ნ. ტრუბეცკოი სტატიაში იძლევა რუსეთის მიერ ამ „ამოსაწყვეტად განწირული ხალხის" ერთგვარ კლასიფიკაციას:

ზოგადი სურათი

ა)სომხები, იმის მიუხედავად, როგორი იქნება რუსეთის მთავრობა, იყვნენ და არიან რუსული ორიენტაციისა. სერიოზული სეპარატიზმი მათგან მოსალოდნელი არ არის. სომხებთან მოლაპარაკება იოლია, მაგრამ მათზე დაყრდნობა შეცდომა იქნებოდა. ამიერკავკასიის ეკონომიკურ ცხოვრებას ისინი წარმართავენ, თუმც, მათვე ახასიათებთ პარაზიტისა და მონის ყველა თვისება. მეზობლებს შორის სიძულვილამდე მისული ანტიპათიით სარგებლობენ. სომხებისთვის სოლიდარობის გამოცხადება ამ ანტიპათიას რუსეთისკენ მიმართავს. წინარევოლუციურ პერიოდში, რუსთა გვერდით მხოლოდ სომხების დგომამ ამიერკავკასიის სხვა ერები რუსეთის წინააღმდეგ აამხედრა, და ეს გასათვალისწინებელია. სომხური საკითხი უაღრესად საერთაშორისო საკითხია. კოორდინირებული უნდა იყოს რუსეთ-სომხეთისა და რუსეთ-თურქეთის ურთიერთობა;

ბ)ქართველებმა თებერვლის რევოლუციის დროიდან მიაღწიეს თავიანთი უფლებების აღიარებას, ავტონომიას და მათ ამაში ვერავინ შეეცილება. თუმც, გასათვალისწინებელია, რომ სწორედ ეს იქცა ქართული სეპარატიზმის წარმოქმნის საბაბად. რუსეთის ყველა სახის მთავრობა უნდა ებრძოლოს მას. თუ რუსეთს სურს ბაქოს ნავთობი (უიმისოდ კი, ალბათ, ვერ შეინარჩუნებს ამიერ და

ჩრდილო კავკასიას), არ უნდა დაუშვას საქართველოს დამოუკიდებლობა(?). ამჟამად (?) პრაქტიკულად შეუძლებელია გარკვეული დამოუკიდებლობის უღიარებლობა. სრული სუვერენიტეტი დაუშვებელია. რაღაც საშუალოს მოძებნაა საჭირო და თანაც ისე, რომ ქართველებში რუსოფობია არ გამოიწვიოს. ქართული ნაციონალიზმი ევროპეიზმის ელემენტების გამო იძენს მავნე ფორმებს. ამიტომ უნდა ჩამოყალიბდეს ევრაზიული იდეოლოგიის განსაკუთრებული, ქართული ფორმა, ნამდვილი ნაციონალიზმი.

გ) თავიანთი რაოდენობით, აზერბაიჯანელები ამიერკავკასიის ყველაზე მნიშვნელოვან სეგმენტს შეადგენენ. შეინიშნება ნაციონალიზმიც და მყარად ფეხმოკიდებული რუსოფობიაც, რაც თურქოფილიის პარალელურად ვითარდება და პანისლამურ და პანთურქულ იდეებს ეყრდნობა. აზერბაიჯანის მიწა-წყლის (ბაქოს ნავთობით, ნუხის მეაბრეშუმეობით და მუღანის პლანტაციებით) მნიშვნელობა იმდენად დიდია, რომ მისი გამოყოფა დაუშვებელია. ამავე დროს, დამოუკიდებლობის მნიშვნელოვანი დოზის მინიჭება აზერბაიჯანელთათვის აუცილებელიცაა. გადაწყვეტილების მიღება ამ შემთხვევაშიც დამოკიდებულია აზერბაიჯანული ნაციონალიზმის ხასიათზე და უმნიშვნელოვანესს ხდის ევრაზიულობის ეროვნულ-აზერბაიჯანული ფორმის შექმნას. პანისლამიზმის საპირისპიროდ შიიზმი უნდა დამკვიდრდეს;

საგარეო კოლიტიკა

ამიერკავკასიის სამი ნაციონალური პრობლემა მჭიდროდ უკავშირდება საგარეო პოლიტიკის პრობლემებს. რუსეთის თურქოფილური პოლიტიკა სომხეთს ინგლისის ორიენტაციისკენ გადახრის. ასეთსავე შედეგს გამოიღებს აზერბაიჯანელებზე დაყრდნობა. ინგლისი ყველანაირად შეეცდება საქართველოს საკითხით მანიპულირებას იმ პერსპექტივით, რომ საქართველო უცილობლად ინგლისის კოლონია გახდება. ამის გათვალისწინებით, საქართველოში მცხოვრებ სომხებს უნდა ჩაუნერგონ ანგლოფობია. მაგრამ სომხებზე დაყრდნობაც კი, აზერბაიჯანელებში დათესს თურქოფილიას, ხოლო ქართველებში — რუსოფობიას.

ეროვნული საკითხი

ეროვნულ საკითხს ამიერკავკასიაში ართულებს ცალკეულ ეროვნებათა შუღლი, რომელსაც ნაწილობრივ განმუხტავს კურიალურ-მრავალპარტიული სისტემა და მასთან დაკავშირებული მართვის ტექნიკა. ამ მოდუსის შემთხვევაში, მართვა უნდა განხორციელდეს არა ტერიტორიული, არამედ — ნაციონალური პრინციპით, რაც დააცხრობს დავას შერეულმოსახლეობიან ავტონომიურ ერთეულებში. ზოგიერთ სფეროში, შესაბამისად, მართვა ტერიტორი-

ული პრინციპით უნდა განხორციელდეს და არა — ეროვნულით. არა მხოლოდ გუბერნიებად, არამედ სამ ძირითად ოლქად დაყოფაც უნდა გაუქმდეს. ამიერკავკასიის ულუსი (?) უფრო წვრილ ერთეულებად უნდა დაიყოს, ბევრად თუ ნაკლებად, ძველი "უეზდების" მსგავსად, იმ განსხვავებით, რომ ამ ოლქთა საზღვრები უნდა შეესაბამებოდეს ეთნოგრაფიულ-ისტორიულ, ყოფით და ეკონომიკურ საზღვრებს.

მმართველობა

იმპერიული სახელმწიფოებრიობისთვის დამახასიათებელი „დაყავი და იბატონე!" გამოყენებულ უნდა იქნას მხოლოდ იქ, სადაც საქმე გვაქვს მტრულად განწყობილ უცხო მოსახლეობასთან. იქ, სადაც მიზნად ვისახავთ მმართველი ერის ორგანულ ერთიანობას უცხო ერთან ერთობლივი მუშაობისთვის, ეს პრინციპი არ გამოდგება. ამიტომ კავკასიაში არ უნდა გაჩაღდეს ცალკეულ ერებს შორის კამათი და წინააღმდეგობა. მიუხედავად საქართველოს კულტურასა და ყოფაში არსებული დემოკრატიულობის ელფერისა, ის მაინც ერთგვარი ეთნოგრაფიული ერთიანობაა, რომლის ხელოვნურად დაყოფა ცალკეულ ნაწილებად არ შეიძლება. ქართული ენა, როგორც საეკლესიო და სალიტერატურო ენა, ოდითგან საერთო იყო საქართველოს (?), სამეგრელოსა და სვანეთის განათლებული კლასებისთვის და საჭიროა, ყოველნაირად შევეწინააღმდეგოთ ისტორიულად არასაკმარისად გამართლებული დამოუკიდებელი ეროვნული ერთეულების ჩამოყალიბებას. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ წავახალისოთ შედარებით დიდი ხალხები უფრო მცირეთა გადასასანსლად. ასეთი მისწრაფებანი არსებობს ამიერ და ჩრდილო კავკასიის ზოგ სასაზღვრო ოლქში: არის ტენდენცია აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გაქართველებისა, დაღესტნის სამხრეთი ოლქებისა და ზაქათალის ოლქის გამუსლიმებისა. ამ შემთხვევაში, უნდა ვიბრძოლოთ შესაბამისი ხალხების ეროვნულ წინააღმდეგობათა მხარდაჭერის გზით.

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა მმართველი ელიტა

გასათვალისწინებელია სეპარატისტულად განწყობილ განაპირა მხარეთა ფსიქოლოგიური ფაქტორები. სეპარატული იდეები უპირატესად, ადგილობრივ ინტელიგენციაში მწიფდება ხოლმე, რომლის ფსიქოლოგიაში მთავარ როლს თამაშობს პრინციპი "ჯობს, პირველი იყო სოფელში, ვიდრე უკანასკნელი — ქალაქში." მინისტრი გუბერნიის ჩინოვნიკივით იქცევა. მაგრამ "მინისტრი" უკეთ ჟღერს, ამიტომაც იცავს თავისი დამოუკიდებელი რესპუბლიკის ინტერესს. დამოუკიდებლობის იდეა ღვივდება იმ ოლქებში, სადაც ადგილობრივი ინტელიგენცია მცირერიცხოვანია და ამი-

ტომაც, ჩინოვნიკების ადრინდელი მთავარი კონტინგენტი “მოსული” ელემენტებისგან” შედგება: მათი გაძევების შემდეგ, ახალგაზრდა რესპუბლიკაში ინტელიგენტთა მცირე რაოდენობა რჩება და ყველა ადგილობრივ ინტელიგენტს ადვილად ძალუძს კარიერის გაკეთება. “დამოუკიდებლობა” ადგილობრივი ინტელიგენციის თითქმის კლასობრივი მოძრაობაა, რომლითაც იგი სარგებლობს. თუმც, დამოუკიდებლობის ამ “კლასობრივ ბუნებას” ადგილობრივი ინტელიგენცია ნიღბავს “ისტორიული ტრადიციით”, “ნაციონალური კულტურით” და ა.შ. მოსახლეობა ზარალდება ამ კლასობრივ-ინტელიგენტური დამოუკიდებლობით, რადგან ერთი მხრივ, ხელოვნურად ზრდის მოთხოვნილებას ინტელიგენტის შრომაზე, სახელმწიფო ანაზღაურებაზე მყოფ ადამიანთა რიცხვის გაზრდაზე, მეორე მხრივ კი, სხვადასხვა სფეროებში მოღვაწე ინტელიგენტთა შორის კონკურენციაზე. ამიტომაცაა, რომ უბრალო ხალხი, ხშირად, მტრულადაა განწყობილი ადგილობრივი ინტელიგენციის ასეთი სუვერენული მისწრაფებებისადმი, რომლებიც გამოიყენეს ბოლშევიკებმა ამიერკავკასიის რესპუბლიკათა დამოუკიდებლობის ლიკვიდაციისას.

ჩრდილოკავკასიელი ერები

ყაბარდოელები და ოსები ყოველთვის რუსული ორიენტაციისანი იყვნენ. სხვა წვრილი ხალხები განსაკუთრებულ სირთულეს არ წარმოადგენენ.

რუსოფობიით გამოირჩევიან ჩეჩნები და ინგუშები. ინგუშებს რუსებმა აღუკვეთეს თავის რჩენის ერთადერთი საშუალება — მარბიელი ლაშქრობანი. შრომისადმი კი მათ ატავისტური მიუჩვევლობა სჭირთ.

ჩეჩნური საკითხი უფრო რთულია. ჯერ ერთი, ჩეჩნები ხუთჯერ უფრო მეტნი არიან; მეორე მხრივ, ჩეჩენთა რუსოფობია იმითაა შეპირობებული, რომ მათი ნაყოფიერი მიწები კაზაკებმა და რუსებმა მიიტაცეს და იქ მოიპოვებენ გროზნოს ნავთობს, რისგანაც ჩეჩნებს არავითარი შემოსავალი არა აქვთ. მათი ყველა პრეტენზიის დაკმაყოფილება, რა თქმა უნდა, შეუძლებელია, თუმც, კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარება აუცილებელია. ეს უნდა მოხდეს განათლების, სოფლის მეურნეობის დონის ამაღლებით, რუსულ ეკონომიკურ ცხოვრებაში ჩართვით; ბოლშევიკებმა ჩრდილოკავკასიელთა არისტოკრატული (ყაბარდოელები, ბალყარელები, ჩერქეზთა ნაწილი, ოსები) და დემოკრატიული (ჩერქეზთა ნაწილი, ინგუშები, ჩეჩნები) წყობის ანუ უხუცესთა და მაღალი სამღვდელოების ინსტიტუტების გაუქმებას რომ მიაღწიონ, მისასალმებელი იქნებოდა, მაგრამ ამავე დროს, ეს ხალხები უწინამძღოლოდ (უავტორიტეტოდ) ყაჩაღურ ჯგუფებად იქცევიან ხოლმე.

აღმოსავლეთ და დასავლეთ კავკასია

ჭირს დაღესტნისა და აფხაზეთის ჩრდილო კავკასიისა ან ამიერკავკასიისთვის მიკუთვნება.

დაღესტნისთვის ფართო ავტონომიის მინიჭება აუცილებელია. ამავე დროს, დაღესტანი მრავალეროვანია როგორც ეთნიკური, ისე — ისტორიული დაყოფის თვალსაზრისით. არ არსებობს ერთიანი ენა. "საერთაშორისო ენად" აზერბაიჯანულის გამოყენების ანუ პანთურქისტული გავლენის საწინააღმდეგოდ უნდა დამკვიდრდეს ავარიული.

აფხაზეთში ოფიციალურ ენად აფხაზური უნდა იქნას ცნობილი, ხელი უნდა შეეწყოს აფხაზ ინტელიგენციას და ჩაენერგოს გაქართველების წინააღმდეგ ბრძოლის შეგნება.

ტრუბეცკოის "ნაციონალ-ბოლშევიზმი"

რამდენად პარადოქსულადაც უნდა მოგვეჩვენოს, თავად ნ.ს. ტრუბეცკოის ყველა დებულება, პირდაპირ თუ ირიბად, საბჭოთა ხელისუფლების დახმარების სურვილითაა შთაგონებული.

როგორც ა. სობოლევი შენიშნავს, "გეპეუ"-ს მიერ ჩათესილი აგენტების: პ. არაპოვის, პ. მალევსკი-მალევიჩისა და სხვათა მეცადინეობით, "ევრაზიელების" ნაშრომები რუსეთში მცხოვრები მკითხველისთვის ითხზვებოდა, რაც შეეტყო კიდეც მათ ტონსა და ხარისხს. ამჯერად, ფილოსოფიურთა ნაცვლად ძირითადი ადგილი იდეოლოგიურმა პრობლემებმა დაიკავა და პოლიტიკური პოზიციაც უფრო და უფრო მემარცხენე გახდა. ამას მიესალმნენ ნაციონალ-ბოლშევიკები" (Соболев: 1991).

ევრაზიულობის დოქტრინის მეორე დამცველი, ცნობილი ისტორიკოსი ლ. ნ. გუმილევი რუსეთის იმპერიის პატრონად რუსი ხალხის ნაცვლად, ვითარების გათვალისწინებით, საბჭოთა ხალხების პროლეტარიატს მოიაზრებდა. ევრაზიულობის იდეოლოგიის კონტექსტით, ლ.ნ.გუმილევი წინააღმდეგი იყო, შეეფასებინათ რუსეთის ისტორია, როგორც "დაპყრობათა სერია", ხოლო რუსეთი, როგორც "მხოლოდ ძალადობით შექმნილი იმპერია, რომელიც კანონზომიერად დაინგრევა": "პირველი რომანოვები — მიხეილი, ალექსი, თვით პეტრეც კი - დიდი ხნის განმავლობაში უარყოფდნენ საქართველოს თხოვნას, იმპერიაში მისი "მიღების" თაობაზე, არ სურდათ ამ ტვირთის საკუთარ მხრებზე აკიდება. მხოლოდ შეშლილი პავლე დაიყოლია გიორგი მეთორმეტემ... შედეგად ის მივიღეთ, რომ 1800 წელს ქართველები 800 000 იყვნენ, 1900 წელს კი — 4 000 000. საქართველომ ისარგებლა იმით, რომ რუსებმა მთიელთა შემოსევებისაგან დაიცვეს" და ა.შ. (Гумилев:1991).

თვით ტრუბეცკოის სტატია, ერთი შეხედვით, შესაძლოა, ანაქრონისტულადაც კი მოგვეჩვენოს, ვინაიდან საქართველოს ავტორი-

სეული პერსპექტივები უასაკო, მაგრამ მაინც ისტორიის კუთვნილებაა და არა — წინასაწარმეტყველება: კერძოდ, ქართველთა პროინგლისური განწყობა და, საკუთრივ, ინგლისის დაინტერესება საქართველოთი.

ამას გარდა, სტატიის დაწერის თუ გამოქვეყნების დროისთვის (1925 წ.), საქართველოში უკვე დამხობილია დემოკრატია, გაუქმებულია სუვერენული სახელმწიფო, გაძევებულია მთავრობა, დასჯილია "ნაციონალურ-უკლონისტური" იდეოლოგია, სისხლში ჩახშობილია 1924 წლის აგვისტოს აჯანყება, დაბოლოს, საქართველო საბჭოეთშია გაწევრიანებული; ამავე დროს, აფხაზეთი დამოუკიდებელია, შექმნილია სამხრეთ ოსეთის ავტონომია...

კაცმა რომ თქვას, ყველაფერი ისეა, როგორც ეს ბოლშევიკებს და ტრუბეცკოის სურთ. ძნელად სავარაუდოა, რომ ტრუბეცკოიმ არ იცოდეს რეალური ვითარება, ფორმები და მეთოდები, რომელთა გამოყენებითაც ,,გასაბჭოვდა" საქართველო: განა თვითონ არ ამბობს ზემოთ მოხმობილ წერილში, ,,ბოლშევიკებმა მოახდინეს ამიერკავკასიის რესპუბლიკათა დამოუკიდებლობის ლიკვიდაციაო?" ბოლოს და ბოლოს, განა ბოლშევიკთა მიზეზით არ იმყოფება იგი ემიგრაციაში? ნუთუ არ იცის საქართველოს ტერიტორიაზე ყურით მოთრეული ავტონომიების შექმნასთან დაკავშირებული ისტორიული სიმართლე და ა.შ.

როგორც თავად ამ წერილიდანაც ირკვევა, ტრუბეცკოიმ ყველაფერი მშვენივრად უწყის.

მაგრამ ის ხომ მეცნიერია, და როგორც არაერთხელ აღუნიშნავს თავის ნაშრომებში, მხოლოდ ობიექტური ჭეშმარიტების დადგენისათვის ირჯება.ამ შემთხვევაშიც, უნდა ვიფიქროთ, რომ მეცნიერი ცდილობს (ან სხვათა დასანახად ცდილობს), ობიექტური ანალიტიკოსის მანტია მოირგოს და თანაც, აკვიატებულ ევრაზიულ თარგზე აჭრას კავკასიის პოლიტიკური აწმყო და მომავალი.

ჩვენი ფრთხილი ვარაუდით, მან ისიც იცის, რა საერთაშორისო რეზონანსი მოჰყვა საქართველოს ოკუპაციას და ანექსიას, როგორ გმობენ წითელი რუსეთის ექსპანსიონისტურ ნაბიჯებს დასავლეთის პროგრესული წრეები და როგორ ილვწის დევნილი მთავრობა, სიმართლის გასახმაურებლად ყველა ტრიბუნა გამოიყენოს. ამიტომაცაა, რომ ტრუბეცკოი, ბოლშევიკების მსგავსად, განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს მოვლენების შესაძლო განვითარებაზე და არც თუ უსარგებლო — "გარეშეს რჩევებს" აძლევს საბჭოთა ხელისუფლებას: თითქოს, ავტონომიურობის უფლებას ქართველებს ვერავინ უნდა შეეცილოს, მაგრამ ველიკორუსი მენტორის აზრით, "სწორედ ეს წარმოშობს ქართველთა სეპარატიზმს, რომელსაც ყველა სახის რუსული მთავრობა უნდა ებრძოლოს. "

აქ ავტორი საკუთრივ რუსეთის ინტერესებს ითვალისწინებს და მაღლა დგება იმ ამაზრზენ რეალობაზე, რომ რუსეთს, თითქოსდა, თავად ტრუბეცკოისთვის მიუღებელი მთავრობა მართავს. ეს რომ მხოლოდ თვალის ასახვევი ჟესტია, მაშინ ვლინდება, როცა ავტორი რუსეთისთვის საციცოცხლო საჭიროებას ბაქოს ნავთობში ხედავს და ამიტომაც საქართველოს სრულ დამოუკიდებლობას კიდევ ერთ, სასწრაფოდ გადასალახ ბარიერად აღიქვამს. საჭიროა "რაღაც საშუალოს" მოძებნა, რაც, ალბათ, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში გაერთიანების შედეგად მიღებულ ფსევდოსუვერენობით გამოიხატება. სინამდვილეში ტრუბეცკოი სსრკ-ს ევრაზიით ჩანაცვლების მომხრეა, ლამის პირდაპირ უთხრას საბჭოთა იმპერიის მესვეურებს, იმპერიის უკეთეს მოდელს გთავაზობთო.და ამან, რატომღაც, რუსოფობია არ უნდა გამოიწვიოს!

ამასთან, ქართული ნაციონალიზმი უნდა განიძარცვოს მისთვის ორგანული ევროპეიზმის ელემენტებისაგან, მაგრამ თუ როგორ, რა გზით უნდა მოახერხოს ამის მიღწევა საბჭოთა მთავრობამ, საამისო რეცეპტად რუს მოაზროვნეს რუსული სამეცნიერო ემიგრაციის პანაცეად აღიარებული "ევრაზიული იდეოლოგიის განსაკუთრებული ფორმის — ,,ნამდვილი ნაციონალიზმის" ჩამოყალიბება მიაჩნია.

თავის ერთ-ერთ წერილს ტრუბეცკოიმ ასეც უწოდა: ,,ჭეშმარიტი და ცრუ ნაციონალიზმის თაობაზე" (ტრუბეცკოი), რომელშიც მეცნიერი ბევრ სწორ დებულებას გამოთქვამს; მისი სტილი, როგორც ყოველთვის სადა და მკაფიოა; მაგრამ ვერც დებულებათა სიმყარე, ვერც მომხიბლავი სტილი თავს ვერ შეაკავებინებს, ირიბად თავს არ დაესხას იმ ,,მცირე" ხალხებს, რომელთაც თავიანთი ეროვნულობის გამოვლენად ,,თვითმყოფადი", ,,დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა" მიაჩნიათ.მისი აზრით, ამ ერების მთავარი ამოცანა კულტურული თვითშემეცნება უნდა იყოს — ანტიკური სლოგანი ,,შეიცან თავი შენი!" უნდა იზიდავდეთ და არა – ეროვნული სახელმწიფოს დაარსება!

თუ ტრუბეცკოი დელფოსელ ბრძენთა ნათქვამის სოკრატესეულ გააზრებას გულისხმობს, რომლის თანახმადაც, საკუთარი ზნეობრივი არსის შეცნობა კეთილი და ბედნიერი ცხოვრების საფუძველი შეიქნება, სადავო არც არაფერი იქნება.მაგრამ აქ ინდივიდი უნდა იგულისხმებოდეს და არა — კულტურა, როგორც ეს ტრუბეცკოის წარმოუდგენია.

უფრო მეტიც: თანდათანობით, იმ მოწოდებისადმიც კი, რომ უფრო ღრმად შეიცნო თავი, დამოკიდებულება შეიცვალა: საკუთარ თავში, აზრებში, გრძნობებსა და საქციელში უსასრულო ქექვა ადამიანს აქტივობას უდუნებს, გადამწყვეტი მოქმედების უნარს ართმევს. ადამიანმა საკუთარი თავის შეცნობა თვითმიზნადაც რომ დაისახოს,

ის მაინც ვერსად გაექცევა საკუთარ თავზე ყალბ წარმოდგენებს: საკუთარი თავის ცოდნა ხომ გარესამყაროს ცოდნასაც გულისხმობს!

ესეც რომ არა, საკუთარი თავის შეცნობა მარადიული პროცესია. შეუძლებელია, ეს არ ესმოდეს იმგვარ ინტელექტუალურ შესაძლებლობათა მქონე ადამიანს, როგორიც ტრუბეცკოია! ან იმას ვერ ხვდებოდეს, რომ კულტურა, როგორც ასეთი, როგორც კოდების კრებული, ვერასოდეს შეძლებს საკუთარი თავის შეცნობას, რადგან იგი ადამიანური სუბიექტურობისა და ობიექტურობის (თუკი ასეთი რამ საერთოდ არსებობს!) გამოვლინებაა.

საკუთარი თავის შეცნობა პიროვნების იდეალია, რომლისკენაც უნდა იარო, თუმც, შესაძლოა, და მეტად სავარაუდოც, რომ ვერასოდეს მიაღწიო მას. ამგვარად, შეიძლება ვიფიქროთ, რომ „ნამდვილი ნაციონალიზმის“ პროპაგანდისტი სინამდვილეში იმპერიის მეხოტბეა, რომლის მოდიფიკაცია არსს არ ცვლის.

ტრუბეცკოის აზრით, ამიერკავკასიაში რუსეთის პოლიტიკური მიზანი ისიცაა, რომ ანგლოფილურ და თურქოფილურ განწყობილებებს რამენაირად რუსოფილია ჩაენაცვლოს. არც ამის მისაღწევი საშუალებაა მითითებული.

თურქულ-მონგოლური ანუ ევრაზიული ტერმინოლოგიით შეიარაღებული ევრაზიულობის მესაფუძვლე ამიერკავკასიას მონგოლური ადმინისტრაციული ერთეულის — ურდო-ულუსის მსგავს კონგლომერატად განიხილავს, რის გამოც, მცირედ უხერხულობასაც კი არ გრძნობს. მეტიც, ამიერკავკასიის ,,მსხვილ ოლქებად” — რესპუბლიკებად დაყოფის ნაცვლად, ,,ეთნოგრაფიულ-ისტორიულ, ყოფით და ეკონომიკურ საზღვრებში” მოქცეული რუსული ,,უეზდების” ჩამოყალიბებას მოითხოვს.

ტრუბეცკოის შემოაქვს ტერმინი „მმართველი ერი“, რაც, თავისთავად, ნონსენსია, თუ ასპარეზად საბჭოთა კავშირს ან ევრაზიას არ მოვიაზრებთ. თუმც ტრუბეცკოი, ტრადიციულად, იმასაც კი არ განმარტავს, ამ მმართველ ერად ,,რუსეთი” იგულისხმება თუ „საბჭოთა ხალხი“ ან იქნებ ეს წარმონაქმნები სინონიმურად იხმარება?

ერთადერთი ისტორიული სიმართლე, რომელსაც ტრუბეცკოი აღიარებს, ისაა, რომ სვანეთი და სამეგრელო ქართული ერთიანობის ნაწილად ცხადდება და მათთვის დამოუკიდებლობის (!) მინიჭებას გაუმართლებლად მიიჩნევს.

საქმე ის უნდა იყოს, რომ ტრუბეცკოიმ, როგორც ენათმეცნიერმა, იცის, რომ სვანებსა და მეგრელებს თავიანთი ენები აქვთ — ამიტომაც გამოყო სწორედ ეს ქართული მხარეები და — არა, ვთქვათ, ქართლი ან კახეთი! მაგრამ იმავე მიზეზით, ტრუბეცკოიმ ისიც იცის, რომ სვანურიცა და მეგრულიც საოჯახო და არაოფიციალურ ურთიერთობებში გამოიყენება, მათ წერილობითი სტანდარ-

ტი ან ოფიციალური სტატუსი არ გააჩნიათ.აკი თვითონაც აღნიშნავს, ქართული, როგორც საეკლესიო და სალიტერატურო ენა, ოდითგან საერთო იყოო.

ამიტომ მისი დიდსულოვნება, რომ სვანეთისა თუ სამეგრელოს დამოუკიდებელ ერთეულებად მონიშვნა არ შეიძლება, მხოლოდ თავის მოკატუნებას ჰგავს

სამაგიეროდ, აფხაზეთი და „სამხრეთ ოსეთი“ არაქართული მიწა-წყალია და თუ ქართველები მის „გაქართველებას“ ეცდებიან, რუსეთმა ამ ხალხების „ეროვნულ“ მოძრაობას მხარი უნდა დაუჭიროს. აფხაზეთში ოფიციალურ ენად აფხაზური უნდა გამოცხადდეს, აფხაზ ინტელიგენციას კი ქართველთა წინააღმდეგ ბრძოლის შეგნება უნდა შთაენერგოს.

ეს დებულება, როგორც ჩანს, რუსეთის რაგინდარა მთავრობის ყავლგაუსვლელ სახელმძღვანელო პრინციპად რჩება, რასაც დღევანდელი პოლიტიკური ვითარებაც ადასტურებს.

ტრუბეცკოის განსაკუთრებულად აღიზიანებს ადგილობრივი ინტელიგენცია და ბიუროკრატია — ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ სწორედ ამ ფენაში მოიაზრება რუსეთის მთავარი ეროვნული ინტელექტუალური მოწინააღმდეგე, რომელიც წინ აღუდგება „მოსულთა“ თანამდებობებზე დანიშვნას; რუსი ლინგვისტის აზრით, საქართველოს დამოუკიდებლად ცნობა იმითაცაა საშიში, რომ გაიზრდება მოთხოვნილება ინტელექტუალურ შრომაზე, სხვადასხვა სფეროებში მოღვაწე ინტელიგენტთა შორის კონკურენცია. ტრუბეცკოი პირდაპირ ტაშს უკრავს ბოლშევიკებს, რომ მათ დათესეს უბრალო ხალხში ამ „კლასობრივ-ინტელიგენტური დამოუკიდებლობის“ სიძულვილი და კარგადაც იხეირეს ამით ამიერკავკასიის რესპუბლიკათა დამოუკიდებლობის ლიკვიდაციისას.

აღსანიშნავია, რომ ტრუბეცკოიზე უფრო შორს მიდის ლ. ნ. გუმილევი, როცა ერთ ერად ასიმილირებაზე ლაპარაკობს, რის საფუძვლადაც საერთო ეთნიკური ენის — რუსულის არსებობა მიაჩნია და გერმანელების, ებრაელების, ირანელების, მორდველების, ბოშების, ბერძნების, მარიელების, ბაშკირების, ევენკების, იაკუტების, ბურიატებისა და მონგოლების გვერდით, ქართველებსაც ასახელებს.

ისე ჩანს, ევრაზიული მოძრაობისათვის, რომლის სახელოვანი წარმომადგენელიც ნ. ტრუბეცკოია, ისტორიული ობიექტურობის განცდა იქ ქარწყლდება, სადაც რუსულ-ევრაზიული იმპერიული გეოგრაფია იწყება. ევრაზიელები ბევრს ლაპარაკობენ დასავლეთის კოლონიზატორულ კოშმარზე, რუსეთის დაპყრობანი კი მშვიდობიან, კულტურტრეგერულ და მესიანისტურ აქტივობად ესახებათ, რაც მათ ქრესტომათიულ ველიკოდერჟავულ მოაზროვნეთა რიგში მიუჩენს ადგილს.

საქართველო „საბჭოთა ჟურნალებში“

პრაღაში ყოფნისას სლავურ ბიბლიოთეკაში მივაკვლიეთ გაზეთ „ევრაზიის“ 1929 წლის ნომრებს. აქ, სხვა მასალებთან ერთად, საბჭოეთის კულტურული ცხოვრების ამსახველი ცნობებიც შემხვდა. ჩემი ყურადღება მიიპყრო „ევრაზიელთა“ განსაკუთრებულმა დაინტერესებამ საბჭოთა კავშირში გაერთიანებული ნაციონალური კულტურებით და კერძოდ - ქართველ მწერალთა ლიტერატურული პროდუქციით.

გაზეთ „ევრაზიას“ ე.წ. მემარცხენე ევრაზიელები გამოსცემდნენ პარიზში 1929 წელს, რომლის ყველა ნომერში გახლდათ რუბრიკა ,,По Советским журналам“. ამ რუბრიკით დაებეჭდათ ჩვენთვის საინტერესო მიმოხილვა, რომელსაც ხელს ვინმე ს.ი. (რუსულად: С.Я.) აწერდა (გაზეთის ფრაგმენტის ქსეროასლი ჩვენთან ინახება, გ.ჯ.).

ევრაზიულობის მკვლევართა ერთი ჯგუფის აზრით (ი. სტეპანოვი, ს. პოლოვინკინი, ს. ხორუჟი...), მემარცხენე ევრაზიული დაჯგუფების წარმოქმნა უკავშირდება მოსკოვის აგენტს, სერგეი იაკობის ძე ეფრონს (1893-1941), ზედმეტსახელით - სერიოჟა, რომელიც რუსი პოეტი, თეთრგვარდიელი ოფიცერი და მარინა ცვეტაევას მეუღლე გახლდათ (Степанов;. Половинкин:1995; Хоружий: 1992).

დაინტერესებული პირი სპეციალურ ლიტერატურაში ამ დებულების საწინააღმდეგო მტკიცებასაც წააწყდება: ეფრონი „გპუ“-ს (სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო) ნებაყოფლობით აგენტი მხოლოდ 1931 თუ 1932 წლებში გახდაო (Саакянц; Исаев: 1994; Ларюэль: 2004). ეს არ გახლავთ ჩვენი კვლევის საგანი, თუმც ის კი ცხადია, რომ სერგეი იაკობის ძე ეფრონი პარიზის სამხრეთ-დასავლეთით, გარეუბან კლამარში დაარსებულ სემინარებს ჯერ კიდევ 1927-1928 წწ. ესწრებოდა. გაზეთი ,,ევრაზიაც“ 1927-1929 წწ. გამოდიოდა. ეფრონი პოეტი, პოეტის ქმარი და ლიტერატურის საკითხებში კარგად გარკვეული პიროვნება გახლდათ და, ჩვენი ფრთხილი ვარაუდის თანახმად, მას შეეძლო კულტურასა და ლიტერატურასთან დაკავშირებული მასალების კომენტირება. თუ ეს მხოლოდ ეჭვი არ არის, სტატიის ავტორი С.Я. სავსებით შესაძლებელია, Сергей Яковлевич-ს გულისხმობდეს (Классическое левое евразийство).

ВОАПП

სტატია იწყება ცნობით, რომლის თანახმადაც, პროლეტარ მწერალთა საკავშირო ასოციაციის (რუსული აბრევიატურით: ВОАПП) პლენუმმა მუშაობა დაასრულა. ეს ორგანიზაცია 1928 წელს შეიქმნა პროლეტარ მწერალთა პირველ საკავშირო ყრილობაზე და მასში, რუსეთის ხელმძღვანელობით, ყველა ასოციაცია (მათ შორის, ამიერკავკასიისა) გაერთიანდა.

სტატიაში წერია, რომ „პლენუმმა დასვა ცალკეულ ნაციონალურ ლიტერატურათა - უკრაინული, ბელორუსული, ქართული“ და სხვ. - საკითხი. ამ რესპუბლიკათა და მათი ლიტერატურის გამოყოფა ჩვენ იმის ირიბი მარკერი გვგონია, რომ საბჭოთა მიმომხილველის აზრით, აქ ყველაფერი ძლიერ ცუდად, „ევრაზიელი“ ანალისტის თვალთახედვით, კი ძლიერ კარგად არის!

С.Я. წერს:

`მოხსენებათაგან ვიგებთ საინტერესო (любопытный) და ნიშანდობლივ (показательный) მიმდინარეობათა თაობაზე, რომლებიც, საბჭოთა მიმომხილველის თქმით, „აყალბებენ“ (искажают) ნაციონალური კულტურების საბჭოთა ლოზუნგებს“.

შეიძლება დავამატოთ, რომ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ, სსრკ-ს სახელმწიფოებრივი წყობის ხასიათის გათვალისწინებით, მისმა ადეპტებმა ოდნავ შეამსუბუქეს ნაციონალური კულტურის ადრინდელი მათეული შეფასება, როგორც მხოლოდ ბურჟუაზიული კულტურისა: საბჭოთა კულტურა განიმარტებოდა ფორმით ნაციონალურად, შინაარსით კი - სოციალისტურად (Межуев). უნდა ვივარაუდოთ, რომ ზემოთ გამოყოფილ რესპუბლიკებსა და ლიტერატურაში სწორედ ეს ლოზუნგი „გააყალბეს“ და „დაამახინჯეს“.

გამომსვლელები შეხებიან ე.წ. „ლიტერატურულ თანამგზავრობას“ (литературное попутничество).

ეს ტერმინი ნახევრად პოლიტიკურია და აღნიშნავს მწერალთა იმ ჯგუფს, რომელიც წვრილი ბურჟუაზიული ინტელიგენციის იდეოლოგიას გამოხატავს. „თანამგზავრებისათვის“ ნიშანდობლივი იყო პოლიტიკური მერყეობა, თუმც, პროლეტარიატთან თანამშრომლობასაც ესწრაფოდნენ (Григорьев:1927;

Ермилов :1929).

პლენუმზე საქართველოს სახელით კრიტიკოსი, საქართველოს პროლეტარ მწერალთა ლიდერი ბენიტო ბუაჩიძე (1905-1937)

გამოსულა. მოხსენებას რქმევია „საქართველოს თანამედროვე ლიტერატურა“.

ბ. ბუაჩიძეს უთქვამს, რომ მემარჯვენე ქართული ლიტერატურის წარმომადგენლები აშკარად მტრულად არიან განწყობილნი ოქტომბრის რევოლუციისადმი. ძველი ქართული მწერლობა - ხან აქტიურად, ხანაც პასიურად - გამოხატავს ამ მტრულ განწყობას. მაგალითად, ძველი მწერლების უმრავლესობა თავის რეაქციულ იდეებს „ევროპეიზებული“ სახით გვაწვდის. ზოგიერთში კვლავაც მძლავრობს ფეოდალურ-აზნაურული გადმონაშთები. ხშირად აქვს ადგილი (სტილი დაცულია, გ.ჯ.) წარსულის სრულიად დაუფარავ იდეალიზაციას. განსაკუთრებით საშიშნი არიან მწერლები - და ეს ერთნაირად ეხება როგორც ქართულ, ისე უკრაინულ და ბელორუსულ ლიტერატურას - რომლებიც თავიანთ მეშჩანურ, რეაქციულ არსებას ვარდისფერი საბურვლით ნიღბავენ (На литературном посту: 1929).

,,ქართული ნაციონალიზმი“

დავუბრუნდეთ გაზეთ „ევრაზიაში“ დაბეჭდილ სტატიას.

საქართველოში და ქართულ ლიტერატურაში, როგორც სტატიიდან ჩანს, „ლიტერატურულ თანამგზავრობაზე“ უფრო ნიშანდობლივი მიმდინარეობა შეუნიშნავთ.

ქართულ მწერლობაში შეიმჩნევა „გაცილებით დიდი კავშირი წარსულის ტრადიციასთან, წმინდა ქართულ ნაციონალიზმთან“. წარსულის გაიდეალება - მომხსენებელთა აზრით - ქართული ლიტერატურის ერთ ძირითად სენთაგანია. ამ სენის დასადასტურებლად მომხსენებელი იმ ქართველ პოეტებს ასახელებს, რომლებიც წუხან, რომ ,,თბილისის სლონის ტაძარში (დიახ, ზუსტად ასე წერია: в Слонском соборе в Тифлиссе), სადაც ქართველები აიძულეს საქართველოს დამოკიდებულება ეცნოთ (признать зависимость Грузии), ახლა ოპერეტკა „არშინ მალ-ალანს“ დგამენ“.

ამჯერად ჩვენთვის ნაკლებმნიშვნელოვანია, ევრაზიელი მიმომხილველი სცოდავს თუ ის წყარო, საიდანაც ინფორმაცია მიიღო. ფაქტია, სტატიაში ბევრი ფაქტობრივი შეცდომაა.

დიდი მისნობა არ სჭირდება იმის დადასტურებას, რომ შეცდომით „სლონსკი სობორად“ გასაღებული ეკლესია სიონის ტაძარია.

სტატიის ავტორი მისი ხსენებით გვაბრუნებს მე-19 საუკუნის დასაწყისში: 1800 წლის დეკემბერში რუსეთის იმპერატორმა პავ-

ლემ ხელი მოაწერა ქართლ-კახეთის ანექსიის დოკუმენტს, რომელიც დადასტურდა 1801 წლის 8 იანვრის დეკრეტით. დოკუმენტი 1801 წლის 12 სექტემბერს დაამტკიცა რუსეთის ახალმა მეფემ - ალექსანდრე პირველმა. 1801 წლის მაისში რუსმა გენერალმა კარლ ჰაინრიჰ კონრინგმა ქართლ-კახეთის სამეფო ოფიციალურად დაუმორჩილა რუსეთის კონტროლს და ჩამოაყალიბა მთავრობა გენერალ ივან პეტრეს ძე ლაზარევის მოთავეობით. ქართველმა თავადაზნაურობამ დეკრეტი 1802 წლის აპრილამდე არ აღიარა, როცა გენერალმა კნორინგმა ალყა შემოარტყა თბილისის სიონის ტაძარში შეკრებილ დიდებულებს და აიძულა ისინი, რუსეთის საიმპერიო გვირგვინის ერთგულება ფიცით დაედასტურებინათ. მოწინააღმდეგენი დროებით დააპატიმრეს (Lives and Legends of the Georgian Saints:1997).

არა გვგონია, უნებლიე მინიშნება იყოს, რომ ქართველი მწერლები იმ უშიშარ ქართველ დიდებულთა მემკვიდრეებად ცხადდებიან!

ჩვენ ვერ შევძელით იმის დადგენა, კერძოდ, რომელი ქართველი პოეტი წუხდა სიონის ტაძარში, თითქოსდა, მუსკომედიის დადგმის გამო, მაგრამ გავეცანით ს. ვარდოსანიძის მონოგრაფიას „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1927-1952 წლებში“, რომელიც ემყარება მნიშვნელოვან საარქივო მასალებს (ვარდოსანიძე: 2001).

აღმოჩნდა, რომ აღნიშნულ პერიოდში საბჭოთა მთავრობისა და ეკლესიის ურთიერთობა უკიდურესად დაძაბულია, მძვინვარებს ანტირელიგიური ისტერია, მაგრამ სიონის საკათედრო ტაძარში წირვა-ლოცვა სრულდება და არა - ოპერეტები ან სხვა სახის პერფორმანსები.

ძნელი სათქმელია, სად მიაკვლია ამ ცნობას ს.ი.-მ, ან მიაკვლია კი სადმე?! თუ ეს სიცრუეა, მაშინ უნდა ვივიარაუდოთ, რომ, გასაგები მიზეზების გამო, ეს უმალ მისი ინსინუაციაა და არა - საბჭოელი მიმომხილველისა.

ასეც რომ არა, გაუგებარია, რატომ იწვევს დაუფარავ ირონიას ევრაზიული თეორიის დამცველში აზერბაიჯანელ ავტორის, უზეირ ჰაჯიბეკოვისა და მისი ოპერეტის ხსენება!

„აბიძე“

ახლა გავარკვიოთ, ვინ არიან სინამდვილეში ის პოეტები, რომელთა სახელებს სტატიის ავტორი ასახელებს: ,,პოეტი აბიძე (sic!)

წერს, რომ „ოქტომბრის რევოლუციამ ,,მშრალი ბალღამით გადაუფისა გული“ (Октябрьская революция перетерла сухой желчью сердце поэта).

მავანს ქართული ლიტერატურის ზედაპირული ნაცნობობაც კი ათქმევინებს, რომ ,,აბიძე“ უცილოდ ,,ტაბიძეა“; მაგრამ რომელი - გალაკტიონი თუ ტიციანი? ამ კითხვაზე პასუხს ტიციან ტაბიძის ლექსებში იპოვით (ტაბიძე 1985:111-113).

თუმც სტატიაში ციტატა მაინც შეცდომითაა მოყვანილი: ძნელი დასადგენია, ეს ვისი ბრალია, ს.ი.-სა თუ საბჭოთა მიმომხილველისა, მაგრამ ორიგინალში „ოქტომბრის რევოლუციის“ ხსენებაც არ არის.

მაინც ვფიქრობთ, რომ ამ სტრიქონის ამგვარად ციტირება მომდინარეობს ბენიტო ბუაჩიძის მოხსენებიდან, რასაც ეს პასაჟი ადასტურებს: ,,Один поэт писал: кто перетер наше сердце сухой желчью и не дал дозреть! Ответ, конечно, ясен: революция!».

როგორც ვხედავთ, იმაზე პასუხს, რაც პოეტმა იგულისხმა და არ თქვა, კრიტიკოსი იძლევა. არ არის გამორიცხული, მისი რიტორიკა მიმომხილველს სათავისოდ გამოეყენებინა და პოეტის ლექსში ის ჩაეწერა, რაც კრიტიკოსმა ამოიცნო!

„ილაიალი“

„ვინ გადაფისა ასე გული მშრალი ბალღამით

და არ გვაღირსა შთაგონების დავაჟკაცება!“ - ეს გახლავთ ის ავადსახსენებელი სტრიქონი, რომელიც ტიციან ტაბიძის ლექს „ილაიალიდანაა“. ლექსი „ილაიალი“ პოეტს თავისი თანამოკალმე ალი არსენიშვილისთვის (1892-1939) მიუძღვნია, სათაური კი - „ილაიალი“ - კნუტ ჰამსუნის (1859-1952) ცნობილი რომანის - „შიმშილის“ (1890) პროტაგონისტის სახელია.

გავიხსენოთ: პირველ პირში მთხრობელი პროტაგონისტი, უსახელო მაწანწალა ინტელექტუალური მიდრეკილებებით, სავარაუდოდ - ოცს გადაცილებული, ნორვეგიის დედაქალაქ კრისტიანიაში (ოსლო) დახეტიალობს სარჩოს მოსაპოვებლად. ხვდება მეტნაკლებად მისტერიულ პიროვნებებს, რომელთაგან ყველაზე გამორჩეულია ილაიალი, ქალიშვილი: მისადმი პროტაგონისტი მსუბუქ ფიზიკურ ლტოლვას გრძნობს (ჰამსუნი: 2010).

ლექსი, რომელიც ტიციანს ანაპაში (კრასნოდარის მხარის ქალაქი, შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე, აზოვის ზღვის მახლობლად) დაუწერია და 1925 წელს დაუბეჭდავს კიდეც, ძველი ტკბილი დროების რემინისცენციაა.

მაშინ პოეტი უფრო ახალგაზრდა იყო, თავისუფალ ქვეყანაში ცხოვრობდა, მეგობრებითა და ლექსებით გარშემორტყმული. ნარატივის აღდგენის ჩვენმიერ ცდას რამდენადმე ხელს უწყობს ლექსში მოხსენიებული ტიციანის პოემა „18 წელი“, რომელსაც მეორე სათაურიც აქვს: „ალეხანდრო დე კასტილია“. პოემა 1920 წლით თარიღდება და ეძღვნება გორელ ტელეგრაფისტს, ალექსანდრე ტატიშვილს. როგორც ეპიგრაფიდან ვიგებთ, ალექსანდრეს მიუტოვებია „მრავალრიცხოვანი ცოლ-შვილი“ (ტ. ტაბიძე) და სამხრეთ ამერიკაში წასულა. არგენტინაში 16 წელი უცხოვრია. „ რევოლუციის დროს დაბრუნდა საქართველოში და გააწყო „კოლონიალური დუქანი“, „ბუენოს აირესის“ სახელწოდებით, თეატრალურ შესახვევში. ალექსანდრედან სახელი კასტილიურად ალეხანდროდ გამოიცვალა. გულს უკლავდა მაშინდელი თბილისის შიმშილობა და ამდენი წუხილისაგან გაკოტრდა კიდეც“ (ტაბიძე:1985).

ახლა, იმედია, ნაკლებ მოულოდნელი იქნება ლექსში „ილაიალი“ ისეთი ამოძახილნი, როგორებიცაა: „ალეხანდრო დე კასტილია!“ ან „ბუენოს აირეს“... ერთი კია: მათ ის ირონია დაუკარგავთ, რომლითაც ასე მსუბუქად კმაზავს პოეტი ზემოთ მოყვანილ ფრაგმენტში.

იქნებ ტიციანი საკუთარ თავს ჰამსუნის პერსონაჟს უიგივებდა; იქნებ ისიც შეხვდა თავის იალიალის (სათაურის გარდა, სახელი ლექსში ორჯერ კიდევ იხსენიება); იქნებ, სწორედ მაშინ წაიკითხა ჰამსუნის შედევრი; იქნებ, თვითონაც შიმშილობდა... იქნებ, მაშინ მოისმინა „ლოენგრინი“ და „მფრინავი ჰოლანდიელი“; მოუსმინა ოპერის მომღერალ თალია საბანეევას; ასე იყო თუ ისე, როგორც ლექსიდან ჩანს, მაშინ „ჭაბუკობა და გატაცება“ ახლდა, და ბედნიერი იყო...

ლექსში ამოიკითხავთ ასეთ სტრიქონს: „თვრამეტი წელი… დასაწვავი თვრამეტი წელი... ჩვენ ჰუსარები... გაფრენილი ჰოლანდიელი...“

დამეთანხმებით, ამ ფრაგმენტიდან თითქმის შეუძლებელია რაიმე ნარატივის რეკონსტრუქცია, მაგრამ ისეთი ტოპოსი, როგორიც „1918 წელია“, ქართველისთვის ყოველთვის უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე - თარიღს; მაშინ საქართველო დამოუკიდებელი იყო, ხოლო პოეტი ჰუსარად ქცეულიყო: გავიხსენოთ, რომ 1458 წელს უნგრეთის მეფემ, მატიაშ კორვინმა თურქთაგან თავდასაცავად განსაკუთრებული ლაშქარი შექმნა. სიმბოლურად, იქნებ ლირიკული გმირიც ამ ლაშქრის წევრად გრძნობდა თავს, რათა დაეცვა თავისი სამშობლო, რომელიც ლეგენდარულ, ფანტომურ გემად ქცე-

ულიყო, ბედისწერით, უნავსადგურობა და ოკეანეში მარადიული ცურვა რომ აქვს მისჯილი!

დიახ, ვცადეთ რამდენიმე პასაჟის ინტერპრეტირება, მაგრამ, როგორც ვნახეთ, აქ მკაფიოდ არც ანტისაბჭოთა მოტივი ჩანს, არც - პროევრაზიული შთაგონება.

ყველაფერი ეს კი იმის ბრალია, რომ ჯერაც არ გვიხსენებია კარდინალური ხატ-სახეები, რომლებიც ლექსის ინტენციას იოლად ამოსაცნობს ხდის.

„სკიფიაში ვარ...“

„სკიფიაში ვარ... ქიმერიის მწუხრით დამწვარი“, - ამ სტრიქონებით იწყება ლექსი. და ეს მეტაფორულად რუსეთის ხსენების პირველი მარკერებია (ბედის ირონიაა, რომ „სკიფია“, ყირიმი მაშინაც და ახლაც რუსეთმა მიიტაცა, გ.ჯ.).

კარგადაა ცნობილი, რომ სკვითები, ირანულენოვანი ნომადი ხალხი, ცენტრალური აზიიდან სამხრეთ რუსეთში ქრისტეშობამდე მე-8 თუ მე-7 სს. მოვიდნენ და ხშირად რუსებს უიგივდებიან (Иванчик:2005).

რას ნიშნავს ლექსში ნახსენები „ქიმერია?“

ანტიკურ ისტორიაში ასე უწოდებდნენ იმდროინდელი ოიკუმენას ჩრდილო ოლქებს, კერძოდ, ჩრდილო შავი ზღვისპირეთსა და აზოვისპირა მიწა-წყალს (თანამედროვე ყირიმის ნახევარკუნძული, უკრაინის სამხრ. ოლქები, როსტოვის ოლქი და კარსნოდარის მხარე). უნდა აღინიშნოს, რომ ძველი ბერძნები მთლად კარგად ვერ ერკვეოდნენ საბერძნეთის ჩრდილოეთით მდებარე ქვეყნებსა და მათ მკვიდრებში. კერძოდ, ჰომეროსი „ოდისეის“ მეთერთმეტე თავში ამ მხარის აღწერისას ნისლითა და ღრუბლით მარად დაფარულ ქალაქზე გვიამბობს, სადაც ნათელი მზე არასოდეს კრთის. ისტორიოგრაფია აღიარებს, რომ ბრინჯაოს ხანის დასასრულსა და ადრეული რკინის ხანის დამდეგს ჩრდილო შავიზღვისპირეთში ჩნდება ახალი არქეოლოგიური კულტურა - „კიმერიული“, რომელსაც ასე იქ მოსახლე ირანულენოვანი ხალხის გამო ეწოდა და რომელიც ძვ.წ. მე-9-7 სს. თარიღდება. არქეოლოგიური მასალა ადასტურებს, რომ კიმერიული კულტურა შეიქმნა გვიანბრინჯაოს ხანის იმ კულტურის საფუძველზე, რომელიც შავიზღვისპირა სტეპებში ჩაისახა და ვითარდებოდა. მისთვის ნიშანდობლივი იყო დიდხნიანი საცხოვრისების არარსებობა, რამაც მეცნიერებს აფიქრებინა, რომ აქაურები მომთაბარე მესაქონლეობას მისდევდნენ. ამგვარად, ჰეროდოტეს მიერ ნახსენები „კიმერიელთა სევდიანი მხარე“ კიმერიული ტომებით დასახლებული რეალური მიწა-წყალი გახლდათ ჩვ. წ-მდე მე-8-7 სს

(ვგულისხმობთ თრაკიიდან კავკასიამდე გადაჭიმულ უზარმაზარ ტრამალებსა და ტყესტეპებს). კიმერიელთა ყირიმის სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონებსა და ქერჩის ნახევარკუნძულზე ყოფნას ამტკიცებს ტოპონიმები: კიმერიული ბოსფორი (ძვ. ბერძნები ქერჩის ყურეს ასე მოიხსენიებდნენ), კიმერიკი (ლათ. Cimmericum) (ყირიმში მდებარე ძველბერძნული ქალაქი ქერჩის ნახევარკუნძულის სამხრეთ სანაპიროზე) და სხვ. ქიმერია, როგორც მხატვრული სახე ლეგენდარული ყირიმისა, გვხვდება მხატვარ კ.ფ. ბოგაევსკის (1872-1943) შემოქმედებისადმი მიძღვნილ სტატიებში: მხატვარმა-პეიზაჟისტმა მთელი ცხოვრება ფეოდოსიაში გაატარა. რუსი პოეტი, მთარგმნელი, პეიზაჟისტი და კრიტიკოსი მ.ა. კირიენკო-ვოლოშინი წერდა: „კიმერიას ვუწოდებ ყირიმის აღმოსავლეთ მხარეს ძველი სუროჟიდან (სუდაკი) კიმერიის ბოსფორამდე (ქერჩის ყურემდე), ტავრიდისაგან განსხვავებით, რომელიც ყირიმის დასავლეთ სანაპიროზეა“ (Волошин:1990). თუმც ზოგი მეცნიერი მაინც სიფრთხილეს გვირჩევს ჰომეროსის კიმერიასა და რეალური ყირიმის ერთმანეთთან შედარებისას. თვით ვოლოშინიც აღიარებდა, რომ „ისტორიული კიმერია“ პირობითად უნდა განგვესაზღვრა:,,კიმერიელებისა და ტავრების ისტორიაზე დანამდვილებით ცნობილი არაფერია“.

იმის თქმა გვსურს, რომ კიმერია ინარჩუნებს ლეგენდარულ-ფანტომურ იდუმალებას, რაც პოეტურ შთაგონებას ყოველთვის აძლიერებს.

ქიმერა-ქიმერიონი-ქიმერია

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ლექსი ანაპაში ანუ პოეტისეულ „ქიმერიაშია“ დაწერილი. გავიხსენოთ 1919 წელს „არტისტული საზოგადოების” შენობაში (რუსთაველის თეატრი) მწერალთა კავშირის მიერ თბილისის გამგეობისგან შეძენილ რესტორან „ანონაში” მოწყობილი ხელოვანთა კაფე „ქიმერიონი”. სახელწოდება აღებულია ვალერიან გაფრინდაშვილის ლექსიდან (ტაბიძე: 1985).

აი, ეს ლექსიც:

ქიმერიონი

კვლავაც ხმაურობს ამღვრეული მუქი რიონი,
მარადი წყლებით ახალისებს მარად მცურავებს.
გრძელი დაისი - დაღმართების ქიმერიონი,
ეტრფის ღამეებს - ვარსკვლავების შავ მოურავებს.

შუადღის პანი - ღვთაებრივი მკვეთრი გრიგოლი
ეტრფის ქარვისფერ ყვავილებით გომბეშოს რჩეულს,
იმას დაისში დააქანებს ავი გრიგალი,
როგორც ღრუბელი ფრთადატეხილ დემონს ფარჩეულს.

ლაღის თაღისქვეშ თვალისმჭრელი წილადობილა:
წითელი ჭია ელოდება ობობას მორიგს;
კარტის დედოფალს აღიარებს თავის დობილად.
ცეცხლის სარკიდან მოფრენილი ვენცინგეტორიკს.

ჰორიზონტიდან წაილეკა კვამლის მორევი,
დაღლილ ფარდაზე ნავარდობენ ცის ღამურები.
ვარდი ლარნაკთან სამუდამოთ დასაშორევი,
კვლავ ოცნებაში წამწამების სალამურები.

გადაჰკვეთს მაღრიბს ფრთამეწამულს ღამის ნოქარი,
ცის ვიტრინებში გამოაფენს დანარბევ ნოხებს,
დაილეწება კიდევ ხშირად ცა ჯადოქარი
წილადობილა კომეტების ცას აამბოხებს.

ვალერიან გაფრინდაშვილი
მაისი, 1919 წელი.

ამ ლექსში, როგორც ნახეთ, არაფერია ნათქვამი, სახელდობრ, „ქიმერიაზე“. შეიძლება ითქვას, რომ აქ მითოლოგიური ურჩხულ ქიმერას სუნთქვა უფრო ისმის, თავისი პანებითა და დემონებით, ვიდრე - ქიმერიისა.

თითქოს, ყველაფერი ნათელია: ქიმერიონის საუძველი ქიმერაა - ძველბერძნული მითოლოგიის ცეცხლისმფრქვეველი ურჩხული, ლომის თავით, თხის ტანითა და გველისთავგამობმული კუდით, რომელიც მოკლა ბელეროფონტმა. შუა საუკუნეობრივ ევროპულ ხელოვნებაში ამ ფანტასტიკური არსების (ურჩხულის) სკულპტურულ გამოსახულებებს დგამდნენ (მაგ., პარიზის ღვთისმშობლის ტაძარზე) (Мифы народов мира:1991-1992). ქიმერა, მეტაფორულად, განუხორციელებელი ოცნება, ფანტაზიაა. ქიმერა გამოუცნობლობის, იდუმალობის კონოტაციასაც ითავსებს („სძინავთ ბნელ ხვეულებში გამოუცნობ ქიმერებს“, გ. ტაბიძე).

ჩვენი აზრით, ამ მითოლოგიური სახის თავწყარო უნდა იყოს ცისფერყანწელთა ერთ-ერთი კერპის, შარლ ბოდლერის პოეტური პროზის ერთი ოპუსი „ყველას თავისი ქიმერა ჰყავს“:

,,ტყვიისფერ ცისქვეშ, უგზო, მტვრიან დაბლობზე, სადაც არ ხარობს არც ბალახი, არც ჭინჭარი, არც ძეძვიანი, შემომეყარნენ წელში გადრეკილი, მწკრივად მიმავალნი კაცნი. ყოველ მათგანს ზურგზე შეესვა ვეება ქიმერა, ფქვილის ან ნახშირის ტომარასავით მძიმე, რომაელ მხედრის აღჭურვილობასავით ძნელად სატარებელი. თანაც, ეს ურჩხული ინერტული მასსა როდი გახლდათ, არამედ ცოცხალი არსება, იგი შემოხვეოდა ადამიანს მძლავრი, დრეკადი კუნთებით, ხოლო მისი ფანტასტიური თავი აზიდულიყო მათ თავებზე, შემზარავი მუზარადივით, ძვლი დროის მეომრები რომ იხურავდნენ, მტრისთვის ზარდასაცემად. მე ვკითხე ამ კაცთაგანს ერთ-ერთს, სად მიხვალთ-მეთქი. მან მომიგო: ეს არავინ უწყის, არც მე, არც სხვამ, თუმც აშკარაა, რომ სადღაც მივდივართო, ვინაიდან დაუთრგუნავი მოთხოვნილება გვაქვსო სვლისა. მართლაცდა საოცარი იყო: არც ერთ მგზავრთაგანს თითქოს არ აწუხებდა ზურგზე მოკიდებული და კისერში ჩაფრენილი გაავებული მხეცი, ვინაიდან ისინი ამ მხეცებს სთვლიდნენ საკუთარი არსების ნაწილად. ამ დაქანცულ, კუშტ სახეებზე სასოწარკვეთის ნიშანწყალიც არ ჩანდა. პირქუშ ცის ფონზე მიიზლაზნებოდნენ ისინი, ტყვიისფერ ცასავით მოსაწყენი დაბლობის მტვერში, ბედის მორჩილნი, წელში გატეხილნი, თითქოს მისჯილი აქვთო ლოდინი მარადის. ჩამიარეს და გაუჩინარდნენ შორეთში, იქ, სადაც პლანეტის სიმგრვალე ყოველივეს ფარავს ცნობისმოყვარე კაცის თვალისათვის. წუთით ვცადე ამოცნობა ამ მისტერიისა, მაგრამ მალე განურჩევლობამ მომიცვა, და მეც გაცილებით მეტად მოვიკაკვე მისი სიმძიმის ქვეშ, ვიდრე ის კაცნი, ქიმერების ტვირთქვეშ რომ მოკაკულიყვნენ“ (ბოდლერი).

არც ქართველმა პოეტებმა იციან, სად მიდიან, მაგრამ სვლის მოთხოვნილებას ვერაფერი შეედრება! არც მათ აწუხებთ კისერში ჩაფრენილი გაავებული მხეცი - ქიმერა, რადგან მას საკუთარი არსების ნაწილად მიიჩნევენ.

ტიციან ტაბიძე გვიამბობს: „მწერალთა კავშირის საბჭომ ათი სხდომა მოანდომა, რომ კაფესთვის დაერქმია სახელი. იყო აუარებელი წინადადება ყველა პოეტის, მაგრამ შერიგება მაინც არ მოხდა.

უკანასკნელი კრება შედგება „ნაკადულის“ რედაქციაში. მწერალთა კავშირს მაშინ არ ჰქონდა თავისი ბინა. “ცისფერი ყანწელი“ პოეტები გაჩერდნენ “ქიმერაზე“. იყო წინადადება “ქიმერეთის“ - პაოლო იაშვილი, „ქიმერია“- ტიციან ტაბიძე. გაიმარჯვა წინადადებამ: - „ქიმერიონი“- სიტყვა აღებულია ვალერიან გაფრინდაშვილის ლექსიდან“ (ტაბიძე:1985).

შეიძლება ითქვას ერთ აკუსტიკურ ალუზიაზეც: ქიმერეთი - იმერეთი (,,ცისფერყანწელთა“ უმრავლესობა იმერელი იყო!), თუმც ჩვენთვის მთავარი სათქმელი ისაა, რომ ტიციან ტაბიძის ვერსია „ქიმერია“ გახლდათ. ქიმერიას აღქმა ქიმერების მხარედ, ქიმერების სამყოფლადაც შეიძლება! მით უფრო, რომ თვით ტიციანიც ამბობს: „ყოველღამ „ქიმერიონში“ იმეორებდნენ გამტყდარი სარკეები და უთვალავი ქიმერები სადღეგრძელოს და მოგონებას თავადი მიშკინისა...“ (ტაბიძე:1985).

მაგრამ...

წერილში (,,ქიმერიონი“), რომლიდანაც უკვე გამოვიყენეთ რამდენიმე ფრაგმენტი, არის ორიოდ ირიბი მინიშნება, საკუთრივ, ქიმერიაზე - ყირიმზე.

ტიციანი აღფრთოვანებულია იმხანად (1919) თბილისში მყოფი რუსი მხატვრით, სერგეი სუდეიკინით (1882-1946): პოეტს ხიბლავს მისი გარეგნობაც, ნიჭიერებაც, იდუმალებაც, მუზაც...

ტიციანი წერს: „სუდეიკინმა მთხოვა, მივსულიყავი მასთან ბინაზე, რომ მენახა ყირიმის ეტიუდები“... (ტაბიძე:1985). ან:,,სუდეიკინის ალბომი სავსეა ლექსებით: პეტერბურგი, ყირიმი;“ (ტაბიძე: 1985).

დავაზუსტებთ: 1917 წელს სუდეიკინი ყირიმში მიემგზავრება, ალუშტას მახლობლად ცხოვრობს, შემდეგ მისხორში გადადის, იალტაში მონაწილეობს ს. მაკოვსკის მიერ ორგანიზებულ გამოფენაში (Муза:2007).

გვეჩვენება, რომ ქიმერას პოეტურ-მითოლოგიური ემბლემა გააორმაგა სუდეიკინის მიერ აღწერილმა ყირიმმა, ზოგადად, მისმა ფენომენმა. არ არის გამორიცხული, სწორედ სუდეიკინის ნაამბობით შთაგონებული გამგზავრებულიყო „ქიმერიას“ პოეტი... მაგრამ, ისე ჩანს, ზღვამ, სითბომ, მთებმა მას თავისი ზღვა, სითბო და მთები გაახსენა, რომელთაც ფერი ეცვალათ:

,,და ვეკითხები ამ დაბურულ სკვითების ღამეს:
რა იქნა ჩვენი ჭაბუკობა და გატაცება?
ვინ გადაფისა ასე გული მწარე ბალღამით
და არ გვაცალა შთაგონების დავაჟკაცება?“

ან:

,,მაგრამ ლექსებზე მეტი მომაქვს მაინც ნაღველი,
ასე უჩემოდ სამშობლოში რომ გამილესეს“.

ან:

,,თითქოს გუგუნებს ამაღამაც დავითის ზარი
და ეს სკიფია სიზმარია, მხოლოდ სიზმარი“

(ტაბიძე: 1985).

ნაძალადევი კითხვა

მაგრამ სტატიის ავტორი ეგებ იმას გულისხმობდა, რომ სკვითეთი ძალზე ხშირად ბუნებრივ ევრაზიადაა აღქმული? ვგულისხმობთ ქრესტომათიულ ცნობას იმის თაობაზე, რომ კლასიკურ ეპოქაში სკვითეთი იყო ცენტრალური აზიის მრავალეროვანი რეგიონი, რომელიც მოიცავდა შავიზღვისპირა სტეპებს, ცენტრალურ აზიას, აღმოსავლეთ ევროპას, და მისი ხსენებით, როგორც ეს სტატიის ავტორს შეეძლო ეფიქრა, ქართველი პოეტი რაიმენაირ მხარდაჭერას გამოხატავდა ევრაზიული მოძრაობისადმი.

ეს ყველაზე არარელევანტური არგუმენტი იქნებოდა. პოეტის მხცოვანმა სამეფომ და ყმაწვილმა რესპუბლიკამ, საშინაო და საგარეო პრობლემებით თავგაბეზრებულმა, ვერ გაუძლო წითელი არმიის - მეტაფორულად, სკვითების - შემოსევას, 1921 წლის თებერვალ-მარტში დაემხო და საბჭოთა რესპუბლიკად იქცა.

„ევრაზიული“ ბოჰემა

დავუბრუნდეთ გაზეთ „ევრაზიას“ და რუბრიკას „ По Советским журналам“. მიმომხილველი კიდევ ერთ პოეტს იხსენებს, რომლის გვარი ამჯერად უკვე დაუმახინჯებლად წერია: „Поэт Гришашвили выражает надежду, что «Тифлис опять станет Ираклием и вода опять потечет по своему руслу».

დავიწყოთ იმით, რომ იოსებ გრიშაშვილს საბჭოთა ხელისუფლება იმთავითვე არ სწყალობდა.

მაგალითად, 1928 წლის 22 მაისის ნომერში გამოქვეყნებულ რეცენზიაში ი. გრიშაშვილის წიგნზე „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა“ დ.დ (ეს უნდა იყოს კრიტიკოსი, დავით დემეტრაძე (1890-1937), გ.ჯ.) პოეტს „იდეალიზმში“ ამხელს და მისი ტრუბადურობა სასაცილოდ არ ჰყოფნის...

გრიშაშვილის სიტყვები „ჩემი სულის ფესვები ღრმად გადგმულა ძველი მწერლობის ყამირშიო“, კრიტიკოსს ათქმევინებს: „ ეს ფესვები სამუდამოდ უნდა ამოვარდეს“ და ა.შ(დ.დ.: 1928).

გაზეთის მიმომხილველისათვის ცნობილია, რომ პროლეტარ მწერალთა საკავშირო ასოციაციის (რუსული აბრევიატურით: ВОАПП) პლენუმზე საქართველოსა და ქართულ ლიტერატურაზე

ულაპარაკია კრიტიკოს ბენიტო ბუაჩიძეს. ზემოთ მითითებული ცნობა მისი გამოსვლის სტენოგრამიდან უნდა ამოეღო მიმომხილველს. თუმც ბენიტო ბუაჩიძე 1933 წელსაც იმავე პათოსს ამჟღავნებდა გრიშაშვილის პოეზიისადმი (სტატიიდან „შემოქმედებითი დაისი“): „ახლა გრიშაშვილმა თავისი პოეტური გზა სავსებით ამოწურულად და დასრულებულად უნდა მიიჩნიოს. ჩვენს ლიტერატურაში მისი ლირიკა მოკვდა, და საბჭოთა სინამდვილეში მისი პოეზია ანაქრონიზმია. გრიშაშვილს ისღა დარჩენია, ძველი დიდების სხივებით გათბეს“; „ჩამორჩენილი მეშჩანების საკმაოდ მნიშვნელოვან ფენებში გრიშაშვილს ჯერ ისევ ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავს. იქ ჯერ ისევ სარგებლობს გავლენით. უნდა გავანადგუროთ ეს გავლენა როგორც მკითხველთა ფენებში, ისე - მწერლებში. ასეთი ბრძოლა აუცილებელია და გამართლებული“ (Б у а ч и д з е:1933).

ახლა დავაკვირდეთ მიმომხილველის მიერ მოყვანილ ციტატას: «Тифлис опять станет Ираклием и вода опять потечет по своему руслу». ეს გახლავთ რუსულად რამდენადმე ზუსტად თარგმნილი სტრიქონი იოსებ გრიშაშვილის ლექსიდან „მოლა მინარეთზე“, რომელსაც ეპიგრაფად აქვს ფრაგმენტი „ფირმანიდან აღა-მაჰმად ხანისა მეფე ერეკლესადმი“:

,,თქვენ ერთი ჭკვიანი კაცი ხართ, ამგვარი საქმეები განიშოროთ, რომ ქვეყნის თასლიბიც არის, და რუსების შეერთებულება დაჰხსნა. თუ ამას არ იქმ, ამ ცოტა ხანში საქართველოზე მოვალთ, რუსთა და ქართველთა სისხლს ერთად დავაქცევთ და მტკვრის მსგავსად მდინარეთა გავაკეთებთ...“

მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ისტორიულ საბუთებში ჩვენ მივაკვლიეთ ამ საბუთის სრულ ვერსიას, რომელიც თანამედროვე ქართულით ასე ჟღერს:

,, „თქვენმა უმაღლესობამაც კარგად იცის, რომ ამ ასი თაობის განმავლობაში თქვენ ირანის ქვეშევრდომები იყავით. ახლა კი გაოცებით შევნიშნავთ, რომ თქვენ მიემხრეთ რუსებს, რომელთაც სხვა ამოცანა არა აქვთ, იმის გარდა, რომ როგორმე ირანში ივაჭრონ...

შენ ოთხმოცდაათი წლის კაცი ხარ და ასეთ შეცდომას როგორ უშვებ: მოიყვანე ურჯულოები, შეუერთდი მათ და უფლებებსაც ანიჭებ! მიუხედავად იმისა, რომ თქვენი რწმენა ჩვენისგან განსხვავებულია, თქვენ ყოველთვის ირანთან გქონდათ კავშირი. ირანში ბევრია თათარი, ქართველი, სომეხი, ურჯულო და სხვა სარწმუნოების მიმდევარიც. გასულ წელს შენ იძულებული გამხადე, რამდენიმე ქართველი მომესპო, თუმცა კი ჩვენ სულაც არ გვსურდა, რომ ჩვენი ქვეშევრდომები ჩვენივე ხელით დაღუპულიყვნენ. ახლა კი... გაუწყებთ, რომ ერთგულება ასე გვესმის: ამჟამად

ჩვენი უმაღლესი ნებაა, რომ თქვენ, როგორც ჭკვიანმა, მიატოვოთ ამგვარი სახის საქმე და გაწყვიტოთ კავშირი რუსებთან. თუ ამ ბრძანებას არ შეასრულებ, მაშინ მალე მოვაწყობთ ლაშქრობას საქართველოში, ერთად დავღვრით რუსულ და ქართულ სისხლს და მტკვარივით ვადენთ. საჭიროდ ჩავთვალეთ შენთვის ამის შეტყობინება და ამიტომ მოგწერეთ ეს წერილი, რომ შენ ყურად იღო ჩვენი ბრძანება და შეიგნო შენი მდგომარეობა“.

,,თქვენ, როგორც ჭკვიანმა, მიატოვოთ ამგვარი სახის საქმე და გაწყვიტოთ კავშირი რუსებთან. თუ ამ ბრძანებას არ შეასრულებ, მაშინ მალე მოვაწყობთ ლაშქრობას საქართველოში, ერთად დავღვრით რუსულ და ქართულ სისხლს და მტკვარივით ვადენთ“, - ალბათ, ეს უნდა იყოს ეპიგრაფად გამოყენებული ფრაგმენტი.

წერილიდან არ ჩანს (,,ამ ცოტა ხანში საქართველოზე მოვალთ“; ან მეორე ვერსია: „ მალე მოვაწყობთ ლაშქრობას საქართველოში“), რომ ბარათი აღა-მაჰმად ხანს, საკუთრივ, 1795 წლის სექტემბრის ანუ კრწანისის ომის შემდეგ, მიუწერია. თუმც ამას ლექსი გვეუბნება.

,,მოლა მინარეთზე“ 1923 წელსაა დაწერილი, ხოლო 1924 წელს - გამოქვეყნებული (პოეზიის დღე: 1924):

მოლამ მეჩეთში ყურანს აკოცა,
ისმის ლოცვები დროგამოშვებით:
სპარსეთმა ბევრი გმირი დახოცა
გულში ჩახუტულ წმინდა დროშებით.

ო, დააჩუმეთ... რას ჰკივის მოლა?
იგი იგონებს, ალბათ, აზანით,
როცა სპარსეთმა ხმლით დაიმონა
პატარა კახი და ალაზანი.

როცა საკუთარ დედაქალაქად
გამოაცხადა თბილისი ჩვენი,
და მკვდრები მტკვარში გადაალაგა,
როგორც ემბლემა გადასასვენი.

მორჩა. დახურა მოლამ ყურანი,
დოლბანდს შეეხო ცივის მარჯვენით.
მოლა, მეჩეთით გადმომყურავი,
მედიდურობდა ძველ გამარჯვებით.

და ვთქვი: თუმც ზეცას ნელ-ნელ აკლდება
მზე, თბიერება და ნაპერწკალი -
თბილისი ისევ გაირაკლდება
და ნაგუბარში ჩადგება წყალი.

1923

მას შემდეგ, რაც სპარსეთს ეულად შეტოვებული ერეკლე დაამარცხა, რუსეთის სახელმწიფო საბჭომ გენერალ გუდოვიჩს დამსჯელი ღონისძიების დაწყება დაავალა (ლენგი: 2003). 1796 წელს აღა-მაჰმად ხანს ერეკლესთვის ქედმაღლური წერილი გაუგზავნია, რომელშიც ჰკვირობდა, რომ მეფემ უჯიშო და ურწმუნო რუსები გაიხადა მოკავშირედ და აფრთხილებდა, თუ სიკერპეს გამოიჩენდა, სპარსეთის ჯარი „რუსთა და ქართველთა სისხლის მდინარეებს დაღვრიდა“ .

როგორც ვნახეთ, ლექსში ევრაზიულობის, როგორც ასეთის, ან რუსეთის ნაკვალევიც კი არ ჩანს, თუ, რასაკვირველია, არ ვივარაუდებთ, რომ პოეტი საგანგებოდ მიმართავს ალეგორიას: ნახსენებია ერთი მტერი და იგულისხმება - მეორე.

საინტერესო ისაა, მაინც და მაინც ეს სტრიქონი რატომ მოჰყავს ჯერ ბენიტო ბუაჩიძეს და შემდეგ - მიმომხილველს: „თბილისი ისევ გაირაკლდება და ნაგუბარში ჩადგება წყალი?“

ვფიქრობთ, ქართველ კრიტიკოსსა და ევრაზიელ მიმომხილველს განსხვავებული მიზანდასახულობა ამოძრავებთ.

ბ. ბუაჩიძე იმის დადასტურებას ცდილობს, რომ პოეტი გრიშაშვილი უარყოფს ახალ დროებას და ისევ მეფე ერეკლესდროინდელი საქართველოს დაბრუნებაზე ოცნებობს ანუ მისი საკითხი გადაწყვეტილია და ის, როგორც პიროვნება და შემოქმედი, მხოლოდ ბრძოლას იმსახურებს.

ევრაზიულობის ადეპტი კი ერეკლეს იმ ნაბიჯს უნდა შესტრფოდეს, რომლის გადადგმითაც, მოხუცმა მეფემ ქვეყნის გადასარჩენად რუსეთს სამეგობრო პირობა გამოსთხოვა. მიმომხილველი, როგორც ჩანს, კარგად იცნობდა ევრაზიული მოძრაობის ადეპტთა (ნ.ს. ტრუბეცკოი) შეხედულებებს და მათ ნააზრევზე დაყრდნობით, რუსეთს იმავე ევრაზიად აღიქვამდა.

როგორც იტყვიან, ყველაფერი დღესავით ნათელია.

მაგრამ ეს - მხოლოდ ერთი შეხედვით: ჩვენი ფიქრით, ლექსში მეფე ერეკლეს მოდიფიცირებული სახელი „ირაკლი“ სიმბოლურად გამოიყენება (ასეა ლექსშიც „ტრიოლეტები შეითანბაზარში“; ირაკლი იქაც ტფილისს განასახიერებს თუ - პირიქით). ის სიმბოლოა თბილისის, საქართველოსი, ქართველობის, და რადგანაც სიმბოლოა, არად დაგიდევთ ერეკლეს ისტორიულ ბედს, უფრო

სწორად - უბედობას. უნდა ვივარაუდოთ, რომ პოეტი მეფე ერეკლეს ზეობის პირველ ნახევარზე, იმ „ირაკლიზე“ თუ „გაირაკლებულ თბილისზე“ ოცნებობს, როცა მონარქს მცირე ხნით აღმშენებლობის საშუალება მიეცა. ან, შესაძლოა, ისიც იზიარებს იმ მითთა პათოსს, რომლებიც ერეკლეს ძლიერებაზე ვრცელდებოდა მთელ ევროპაში!

ევრაზიელი მიმომხილველისათვის კი ის დრო ქცეულა სენტიმენტად, როცა ქართლ-კახეთი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, იმავე - ევრაზიულ სივრცეში მოაქციეს.

მაინც გვგონია, რომ ეს ლექსი, ზემოთ აღნიშნულისამებრ, ალეგორიაა და დამპყრობელი რუსეთი უნდა იყოს. ამ ეჭვს გვიძლიერებს ბოლო ფრაზა: „და საგუბარში ჩადგება წყალი“, რაც ნიშნავს: „საქმე ძველი გზით, ძველებურად წარიმართება“.

საქმე ის არის, რომ აგვეკვიატა 1925 წლის 26 მაისს, 1924 წლის აჯანყების სისხლში ჩახშობის წლისთავზე ანუ ზუსტად მაშინ, როცა ლექსი „მოლა მინარეთზე“ გამოქვეყნდა, გაზეთში „ჩვენი ერთობა“ დასტამბული წერილის ერთი ფრაგმენტი:

„ნაგუბარში კვლავ ჩადგება წყალი და მაშინ გამარჯვებული ერი პასუხს გასცემს მტარვალებს და უდანაშაულო სისხლის დამღვრელთ“ (ჩვენი ერთობა: 1925).

შესაძლოა, ეს ანდაზა და მისი გამოყენების კონტექსტი სულაც გრიშაშვილის ლექსის ექო იყოს!

ცხადია, ეს მხოლოდ ეჭვია, და ამის დამადასტურებელი საბუთის აღმოჩენის შესაძლებლობა, ალბათ, არც არსებობს.

„არაკეთილსაიმედონი“

მიმომხილველი ქართველ საბჭოთა მწერალთა კიდევ ერთ „არაკეთილსაიმედო“ გაერთიანებასა და მწერალს ასახელებს. ჩანს მისი ირონიაც, როცა ამ სიტყვას ბრჭყალებში აქცევს: „неблагонадежные“. შემდეგ უმატებს, მათში ევრაზიულობისკენ გადახრა შეიმჩნევაო (**у этой группы наметился евразийский уклон**).

ეს გახლავთ „არიფიონი“ და მისი დამფუძნებელი გერონტი ქიქოძე, რომელსაც მიმომხილველი „Кикадзе“-დ მოიხსენიებს და მოჰყავს ფრაგმენტი მისი ფსევდოინტერვიუდან „არიფიონი ჰერეთში“ - ტექსტი დაბეჭდილია გაერთიანების ერთადერთ კრებულ „არიფიონში“ (1928).

ამ მინიპიესაში ორი პერსონაჟია: „ცნობისმოყვარე ახალგაზრდა“ და „არიფიონელი“. თითქოს, ისინი ერთმანეთს შეხვედრიან „რუსთველის ხეივანში“. ახალგაზრდას უთქვამს, თქვენი გაერთიანების დაარსებამ დიდი ინტერესი გამოიწვია სიბრძნისმოყვარულ ახალგაზრდებშიო, და კითხვებიც მიუყრია: არიფიონი რად გქვიათ,

ვაქირში ყოფნისას დრო როგორ გაატარეთ ან გზად რა ნახეთო. ეს კითხვები კომიკურად ხელოვნური განსაკუთრებით მას მერე მოგეჩვენებათ, რაც პასუხებს გაეცნობით.

ჯერჯერობით კი, თვით გაზეთ „ევრაზიაში“ მოტანილ პასუხს დავაკვირდეთ:

,,არც ოქტომბრის რევოლუცია, არც კომუნიზმი არ არის მწიგნობრული სიბრძნის ნაყოფი. ერთიცა და მეორეც იმ კულტურის საფუძველზე შენდება, რომელიც ევრაზიულად იწოდება“ (которая зовется Евразийской). საქმე ის გახლავთ, რომ ორიგინალშია: „... რომელსაც ევროპაში დღეს ევრაზიულ კულტურას ეძახიან“. ვფიქრობ, გამიზნულია როგორც ციტატის ნაკლულად მოტანა, ისე - ავთენტიკური ტექსტის პათოსი. თანაც, გასათვალისწინებელია კონტექსტი, რომელშიც „ცნობისმოყვარე ახალგაზრდა“ (ანუ თვით ავტორი) და „არიფიონელი“ ესიტყვებიან ერთმანეთს. ზემოთ ჩამოთვლილ კითხვებს არიფიონელი ისტორიული წიაღსვლით უპასუხებს: ათი წელია, კომუნიზმის ეპოქაში ვცხოვრობთ, რამაც წარსული მომაგონა, კერძოდ, თემობრივი გრძნობა, „საშუალო საუკუნეების კორპორატიული სული“, რომელმაც გაგვაძლებინა; განმათავისუფლებელი მოძრაობის დროს სიტყვა „ერთობა“ საყვარელი სიტყვა იყო ქართველი გლეხისთვისო და სხვ.

ამთავითვე უნდა შევნიშნოთ, რომ „თემობრიობა“, „კორპორატიულობა“, სპეციფიკური „ერთობა“ ევრაზიული დისკურსის ტერმინებია; საოცნებო ევრაზიის ორგანიზაციული წყობა სწორედ კორპორატიულობას გულისხმობს. რასაკვირველია, ასეთი პასუხი მოულოდნელი და დამაბნეველია „ცნობისმოყვარე ახალგაზრდისთვის“: ყოველივე ამას „არიფიონთან“ რა დამოკიდებულება აქვს, კომუნიზმთან შუა საუკუნეები რა მოსატანიაო.

აი, სწორედ ამ „გაოცებას“ მოსდევს ზემოთ, მიმომხილველის ვარიანტისეული პასუხი: არც ოქტომბრის რევოლუცია, არც კომუნიზმი არ არის მწიგნობრული სიბრძნის ნაყოფი და ა.შ. ერთი შეხედვით, ძნელი დასადგენია, რას ნიშნავს „მწიგნობრული სიბრძნე“ ან რატომ არ შეიძლება ისტორიული მოვლენა ან უტოპია წიგნს ემყარებოდეს!

საქმე ის გახლავთ, რომ არიფიონელი აქ „მენშევიკურ მიდგომას“, როგორც ევოლუციურსა და მშვიდობიანს, აკრიტიკებს. ის რევოლუციური იდეის, ყოველ შემთხვევაში, ახალი იდეის მომხრეა. გ. ქიქოძე ჯერ კიდევ 1920 წელს წერდა: „მკვდარი მწიგნობრული სიბრძნით არ შეიძლება ცხოველმყოფელი იდეის დამარცხება“ (ქიქოძე: 1920).

საინტერესო ისაა, რომ მიმომხილველის ვარიანტს, როგორც ჩანს, საგანგებოდ აკლია სიტყვები:,,... ევროპაში დღეს ევრაზიულ

კულტურას ეძახიან“. არადა, სწორედ ეს მიუთითებს, რომ „არიფიონელისთვის“ ცნობილია „ევრაზიული კულტურის“ მეხოტბეთა იმხანად (,,დღეს“) მართლაც „ევროპაში“ ყოფნა და არა - რუსეთში.

საგულისხმოა, რომ „არიფიონელის“ შემდეგი წინადადება პირდაპირ ემთხვევა ევრაზიულობის დამფუძნებელთა დისკურსს: „ევრაზია არც ევროპაა და არც აზია, ერთიც არის და მეორეც“.

მიმომხილველის ვარიანტში ამაზე საუბარი წყდება: მრავალწერტილი მიგვახვედრებს, რომ სხვა ციტატა იწყება.

ორიგინალში არიფიონელი საკუთარ თავს ევრაზიელებთან აიგივებს (,,ჩვენ, ევრაზიელები...“). მეტიც: ის საქართველოს ევრაზიის ნაწილად მიიჩნევს და თუ „გადაჭარბებულ პატრიოტობაში“ არ ჩამოართმევთ, იტყვის: „...როგორც ევრაზიას ძველი მატერიკის შუაგული უჭირავს, ისე საქართველოს ევრაზიის შუაგული უჭირავს“... კაცმა რომ თქვას, ამის შემდეგაც სავსებით ნათელია, რომ საქმე ქართველ ევრაზიელთან ანუ ევრაზიულობის კლასიკური იდეების გამზიარებელთან გვაქვს, მაგრამ სანამ მიმომხილველის ვარიანტის ციტირებას განვაგრძობდეთ, მაინც ჩამოვთვალოთ ევრაზიულობის ის მარკერები, რომლებიც მხოლოდ ორიგინალში გვხვდება: ანტიევროპეიზმი, ანტინდივიდუალიზმი (,,პიროვნების გადაჭარბებულმა კულტმა გამოიწვია ხელოვნების კრიზისი ევროპაში“, „უდიდეს შემოქმედებით პათოსს ყოველთვის კოლექტივის თანამშრომლობა და თანაგრძნობა იწვევდა“...), კოლექტიური შრომის ტრადიცია (,,საშუალო საუკუნეებში საუცხოვოთ სცოდნიათ საზოგადოებრივი შრომის დაწყობა და გამოყენება“, ქართველი ერი გადაარჩინა არა მხოლოდ ხმლითა და შუბით აღჭურვილმა მხედარმა, არამედ -,,უბრალო, უსახელო ბრბომ“...), ინვერსია მაჰმადიანობის შეფასებისას (,,მაჰმადიანური რწმენისა და სპარსული სიმპატიების მიუხედავათ, როსტომ მეფე ნაღდი მამულიშვილი იყო“...), სიმფონიური პიროვნება (...,,ვოცნებობთ იმ ჰარმონიულათ დამთავრებული ადამიანის მოსვლისთვის, რომელიც დილეტანტის საზღვრებს გადალახავს, მაგრამ ყოველმხრივი ინტერესით იქნება გამსჭვალული...“), ოქტომბრის რევოლუციის ცნობა...

სამწუხაროდ, მიმომხილველის ვარიანტში (ანუ იმ წყაროში (საბჭოთა ჟურნალ-გაზეთები), რომლიდანაც ეს ცნობები ამოიღო) ამაზე არაფერია ნათქვამი, თორემ ევრაზიელი მიმომხილველი უფრო დაიმედდებოდა და მხოლოდ იდეოლოგიურ ჩიხზე არ ილაპარაკებდა. ამაზე - ქვემოთ.

ამგვარად, მიმომხილველის მორიგი ექსცერპტი იწყება სიტყვებით:

„ჩვენ ველოდით, კრიტიკული პერიოდი გათავდებოდა...“ და ა.შ.

საქმე ის გახლავთ, რომ „ცნობისმოყვარე ახალგაზრდის“ კითხვაზე - „ნუთუ ოქტომბრის რევოლუციის დაფასებაში თქვენს შორის (რევოლუციის უპირობო მეხოტბენი და მის შედეგთა მაწყევარნი, გ.ჯ.) სრული თანხმობაა?“, „არიფიონელი“ უპასუხებს, ჩვენ შორისაც არიან განსხვავებულად მოფიქრალნი, მაგრამ ეს უფრო ტემპერამენტისა და ემოციის ბრალია და არა - რწმენისო; აი, ერთმა ჩვენმა მეგობარმა, რომელიც სკეპტიციზმითაა ცნობილი, თქვაო, და შემდეგ მის სიტყვებს მიმომხილველიც გადმოგვცემს:

,,ჩვენ ველოდით, კრიტიკული პერიოდი გათავდებოდა და ორგანიული პერიოდი დაიწყებოდა, ნგრევას შემოქმედება მოჰყვებოდა. მოლოდინი არ გამართლდა, ანუ უკეთ ვსთქვათ, მხოლოდ ნაწილობრივ გამართლდა...“

ამ ფრაგმენტიდან, უწინარესად, ის ჩანს, რომ რევოლუციას ქართული მწერლობის წარმომადგენლები, თვით ისინი, ვინც რევოლუციის ენთუზიასტად მიიჩნეოდა, სხვადასხვაგვარად აფასებენ, ოღონდ ისიც თვალსაჩინოა, რომ ასეთად არიფიონელი საკუთარ თავს კი არა, რომელიღაც ინკოგნიტოს (ერთ სკეპტიკურ და პესიმისტ არიფს) მიიჩნევს. აქ მიმომხილველის ვერსიაში წინადადების ბოლოს ისევ მრავალწერტილია, რაც იმის მანიშნებელია, რომ რაღაც კვლავ გამოტოვებულია.

აი, რა არის ეს „რაღაც“.

ორიგინალში „პესიმისტისა და სკეპტიკოსის“ ტექსტი ასე გრძელდება: „ერთი რომ მსოფლიო კატაკლიზმი არ მოხდა, რევოლუციამ ვერ გადალახა ევრაზიის საზღვრები...“ ამგვარად, „არიფიონელი“ ჭეშმარიტი ევრაზიელივით საბჭოთა კავშირს „ევრაზიად“ მოიხსენიებს!

შემდეგ როგორც მიმომხილველისეულ, ისე - ორიგინალურ ვარიანტში საკითხი იმას ეხება, რომ ძველი კულტურის ელექტრიფიკაციით (ინდუსტრიალიზაციით, კოოპერაციით...) შეცვლა შეუძლებელია, ცარიელ სულს ელექტრობით ვერ ამოავსებ!

სტატიაში ამას მოსდევს მიმომხილველის დასკვნითი პასაჟი იმ იდეოლოგიური ჩიხის შესახებ, რომელშიც პარტია მომწყვდეულა და რომლის გადალახვასაც ცალკეული მწერლები ცდილობენ. მათ, გუშინდელ მოკავშირეებს, პარტიელები დღეს „არაკეთილსაიმედოდ“ აცხადებენ. დამნაშავენი მწერლები კი არა, ის დოქტრინერები და შეზღუდული დოგმატიკოსები არიან, ვინც ცდილობს, ცოცხალი შემოქმედება სტაბილური დაცვა-მფარველობით (охранительство) ჩაანაცვლოს.

მიუხედავად ბოლო ფრაზის სუმბურულობისა, იმის გარკვევა მაინც შეიძლება, რომ საჭიროა ახალი კულტურის შექმნა, რომელზეც ამდენს ლაპარაკობდნენ ევრაზიელები.

ორიგინალში მოქმედება გრძელდება.

,,არიფიონელის“ აზრით, ზემორე სიტყვებს დამსწრეებზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია, ეგ არის, დამაჯერებელი ძალა აკლდა, რადგან სხვა გზა ვერ გვიჩვენაო. „სხვა გზა“ გამოჩენილა მეორე, რომანტიკოსი არიფის სიტყვა-სადღეგრძელოში, რომელსაც უთქვამს, ამ ცოტა ხანში (ათი წელი) ყველაფერი ვერ შეიცვლებოდა, შემოქმედებას წყნარი ფიქრი სჭირდება, ახლა სწორედ ეს დროაო და სხვ.

შემდეგ „რომანტიკოსი მქადაგებელი“ არიფის ტექსტში იჭრება „მონგოლების“ თემა - აგრერიგად რომ მსჭვალავს მთელ ევრაზიულ მოძღვრებას, თუმც რაკურსი, ერთი შეხედვით მაინც, განსხვავებულია: საბჭოთა ქვეყნის მოწინააღმდეგენი ამტკიცებენ, რუსი კომუნისტები „წარმოშობითა და ინსტინქტებით“ უფრო მონგოლები არიან, ვიდრე - სლავები, მათ - ჩინგიზ ყაენისა და ბათო ნოინის შთამომავალთ - ნგრევა უფრო ეხერხებათ, ვიდრე შენებაო.

ამგვარად, „თურანული ელემენტიც“ გამოჩნდა - რუსები მონგოლთა ჯიშის არიან, ჩინგიზ ყაენის შთამომავალნი... ევრაზიულობის დამფუძნებელნიც ამას ამბობენ, ოღონდ მონგოლთაგან სწორედ სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა და აღმშენებლობის უნარ-ჩვევათა მემკვიდრეობით გადმოცემას გახაზავენ.

არიფიც კვერს უკრავს მათ: „ჰო, რუსის კომუნისტები გაშლილი ტრამალების შვილები არიან, მათ ძარღვებში შეიძლება მართლაც ერიოს მონგოლური სისხლი, შეიძლება ლენინის პროფილი მართლაც გვაგონებდეს რომელიმე ნოინის პროფილს, მაგრამ ამას ნაკლათ მიიჩნევს მხოლოდ ის, ვინც ინდო-გერმანული რასის ზვიადობითაა გამსჭვალული“.

ამგვარად, „თურანული ელემენტის“ არსებობაც დადასტურებულია და ეს უფრო ღირსებაა, ვიდრე - ნაკლი. სჭვივის „ინდო-გერმანული“ (ტრუბეცკოისეული „რომანულ-გერმანული“) რასის“, ევროპოცენტრიზმის კრიტიკაც, რაც კლასიკური ევრაზიული თეორიის ლაიტმოტივია.

არიფის ტექსტის შემდეგი ნაწილი სტალინის შეფარული ხოტბაა. მას მერე, რაც რუსებმა მონგოლებივით ბურჟუაზიულ ევროპაზე ილაშქრეს, „...იწყება აღმშენებლობის პერიოდი. ნიშანდობლივი მოვლენაა, რომ დღეს ჩვენი თანამემამულენი თან და თან ხელმძღვანელ ადგილებს იჭერენ“. და ეს არიფს არც უკვირს, რადგან ქართველობა განსაკუთრებით დატვირთულია კულტურული და სახელმწიფოებრივი ტრადიციებით. დღევანდელი ქართველობა რევოლუციის მემკვიდრეობას ისე იცავს, როგორც ჩვენი წი-

ნაპარი სარწმუნოებასა და ეროვნებას, „ეს ერთგვარი რელიგიური ექსტაზია“. არიფიონელს სწამს, რომ სწორედ ქართველები შეიტანენ წვლილს „ახალი რწმენის შემუშავებასა და ახალი კულტურის დამყარებაში“. ახალი რელიგიის მიმდევარნი ჯერ მცირენი არიან, მაგრამ განახლება განა ყველგან „რჩეულ უმცირესობას“ არ დაუწყია? (ქიქოძე:1928).

ჩვენ წინაშეა ოდნავ მოდიფიცირებული დასტური იმისა, რასაც ევრაზიელები ქადაგებდნენ რელიგიური ნიშნით გაერთიანებულ ახალ იმპერიაზე. შეიმჩნევა გრადაციაც: თუ მონგოლის ჯიშის რუსი ანგრევს იმას, რაც დასანგრევია (ბურჟუაზიული ევროპა), კულტურული და სახელმწიფოებრივი ცხოვრების გამოცდილებით აღსავსე ქართველი აშენებს. საინტერესოა წარსულისა და აწმყოს გმირთა საბრძოლო ინტენციის გათანაბრების ცდაც: გუშინდელი სარწმუნოება და ეროვნება დღეს - რევოლუციური მემკვიდრეობაა. გვაფიქრებს „რჩეული უმცირესობის“ ტანდემის გამოყენებაც: ევრაზიელები მცირენი იყვნენ, მაგრამ დიდი გეგმები ჰქონდათ.

ამგვარად, არიფიონელის სახით, რომელიც გერონტი ქიქოძის პერსონიფიკაცია უნდა იყოს, ჩვენ წინაშეა ევრაზიული დისკურსის პირველი გამოჩენა ქართულ ინტელექტუალურ სივრცეში. აღსანიშნავია ისიც, რომ მწერალი ევრაზიული დოქტრინის საფუძვლიან ცოდნას ამჟღავნებს, ოღონდ დაუდგენელია, საიდან, რა გზით უნდა გაცნობოდა ის იმ გამოცემებს, რომლებშიც ყოველივე ეს ეწერა.

ორიოდ შტრიხი

ევრაზიელებს ახსენებს შალვა ამირეჯიბიც (1887-1943) - ემიგრანტი ქართველი მწერალი და პოლიტიკური მოღვაწე, რომელსაც, ისე ჩანს, წაეკითხა ევრაზიელთა ნაშრომები (სავარაუდოდ, ემიგრაციაში ყოფნისას ანუ 1925 წლის შემდეგ, გ.ჯ.):

„სტალინი უცხო არ არის რევოლუციისთვის, რომელიც, ევრაზიელების დინჯი არგუმენტაციით, ეროვნულად ფრიად რუსული მოვლენაა! რუსეთში ბოლშევიზმიც წმინდა პანრუსული გავლენა იყო“ (ამირეჯიბი:1990).

ემიგრანტულ რუსულენოვან პრესაში თავის ერთ-ერთ ესკიზს სულაც „ევრაზიულობას“ არქმევს გრიგოლ რობაქიძე. სამწუხაროდ, კრებულში „ომი და კულტურა“ თარიღი მითითებული არ არის.

მწერალი აღნიშნავს, რომ იმდროინდელ ევროპაში (გ. რობაქიძე ემიგრირებულია 1931 წლიდან, გ.ჯ.) ემიგრაცია „ევრაზიულო-

ბით“ დაკავებულიყო. ავტორმა იცის, რომ პარიზში დაარსდა „ევრაზიული სემინარი“ (1925 წ., გ.ჯ.), გამოდის ევრაზიული ჟურნალ-გაზეთები, ვენაში არსებობს გერმანული გამომცემლობა „ევრაზია“ (ცნობილია, რომ 1924 წელს ვენაში გამართულ ევრაზიულ თათბირზე შეიქმნა მოძრაობის ხელმძღვანელი ორგანო - უმაღლესი ევრაზიული საბჭო, ნ. ტრუბეცკოის მოთავეობით, გ.ჯ.)., ევროპის ყველა ქალაქში კითხულობენ მოხსენებებს „ევრაზიულობაზე“...

შემდეგ გ. რობაქიძე საკმაოდ ზუსტად ჩამოთვლის ევრაზიული მოძღვრების პრინციპებს და ასკვნის: რუსეთის განვითარების ადგილი „მონგოლოსფეროა“.

გრიგოლ რობაქიძე ახსენებს საფრანგეთის კანცლერ ეტიენ დენი პასკიეს („პაკიე“) (1767-1862), რომელსაც ციტირებდნენ ფრანგები: ნაპოლეონს კეისარზე მეტად ჩინგიზ ყაენი მოსწონდაო. მოჰყავთ პოეტ ჟან რიშლენის (1849-1926) სტრიქონები მისი ლექსიდან „ღვთის გმობა“, რომლის ლირიკული გმირი თავს თურანელად აცხადებს: სწორედ მათ შთაუნერგეს მას იდეალებისადმი ზიზღი და სიცარიელის წყურვილი. ცნობილია, რომ რიშლენის ძირითადი პოეტური კრედო ანარქიზმი იყო (გ.ჯ.)

გ. რობაქიძე აღნიშნავს, რომ ევრაზიულობას, განსაკუთრებით, ახალგაზრდები გაუტაცია. არიან მოწინააღმდეგენიც: პოლონელი ემიგრანტი ფრანტიშეკ (ფრანცისკ) დუხინსკი (1817-1893), რომელიც ამტკიცებდა, რომ „მოსკალები“ (თანამედროვე რუსები) არა - რუსები, არამედ თურანელები არიან; რომ მე-19 ს. 60-იან წწ.-ში საფრანგეთში რუსების შემოსევის ეშინოდათ. ასევე, მოჰყავთ ერნესტ რენანის ციტატა რუსეთში „თათარშჩინის“ განჭვრეტის შესახებ. გ. რობაქიძე იმეორებს ევრაზიულობის მოწინააღმდეგეთა იმდროინდელ შეფასებას, რომ ევრაზიული ცდები მხოლოდ რუსეთის მტერს წაადგება (რობაქიძე: 2014).

ქრესტომათია[29]

ნ. ტრუბეცკოი

კავკასიელ ხალხთა შესახებ

,,ყოველი თესლები გარე-მომადგა მე. და სახელითა უფლისაითა ვერეოდე მათ“ (ფს. 117, 10).

ამიერკავკასიაში სახლობენ: სომხები, რომლებსაც ყოველთვის ჰქონდათ და ექნებათ რუსული ორიენტაცია, იმის მიუხედავად, როგორი მთავრობა ეყოლება რუსეთს. სერიოზული სომხური სეპარატიზმი შეუძლებელია. სომხებთან მოლაპარაკება ყოველთვის იოლია. მაგრამ სომხებზე ფსონის დადება შეცდომა იქნებოდა. ეკონომიკურად ძლიერ სომხებს, რომელნიც ამიერკავკასიის მთელ ეკონომიკურ ცხოვრებას განაგებენ, ამავე დროს პარაზიტი ხალხისა და მონის ყველა თვისება აქვთ. ისინი საყოველთაო ანტიპათიით სარგებლობენ, რაც მეზობელ ხალხთა მხრივ სომეხთა სიძულვილამდეც კი მიდის. მათთან სოლიდარიზება ამ ანტიპათიასა და სიძულვილს ჩვენ დაგვატეხდა თავს. რევოლუციამდელი პერიოდის მაგალითმა, როცა რუსები სომხების ამარა დარჩნენ და ამიერკავკასიის დანარჩენი ერები აიმხედრეს, ჭკუა უნდა გვასწავლოს. ამასთან, სომხური საკითხი გარკვეულწილად საერთაშორისო საკითხია. რუსეთის მთავრობის დამოკიდებულება სომხებთან რუსეთ-თურქეთის ურთიერთობასთან უნდა იყოს კოორდინირებული.

თებერვლის რევოლუციის დროიდან ქართველებმა ავტონომიის უფლება მოიპოვეს, და ამაზე მათთან შედავება შეუძლებელია. მაგრამ ვინაიდან ეს ვითარება ქართული სეპარატიზმის წარმოქმნის საბაბს იძლევა, მასთან ბრძოლა რუსეთის ნებისმიერი მთავრობის ვალდებულებაა. თუ რუსეთს ბაქოს ნავთობის შენარჩუნება სურს (ურომლისოდ, ალბათ, არა თუ ამიერკავკასიის, არამედ ჩრდილო კავკასიის ფლობაც კი შეუძლებელია), მან არ უნდა დაუშვას საქართველოს დამოუკიდებლობა. საქართველოს პრობლემა რთული იმიტომაა, რომ საქართველოს გარკვეული დამოუკიდებლობის უღიარებლობა აწ უკვე პრაქტიკულად შეუძლებელია, ხოლო მისი სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობის ცნობა - დაუშვებელი. აქ საჭიროა გარკვეული შუალედური ხაზის გავლება, თანაც ისეთისა, რომელიც ქართულ გარემოში რუსოფობიული განწყობის საბაბს არ წარმოქმნის... ის გარემოებაც გასათვალისწინებელია, რომ ქართული ნაციონალიზმი მავნე ფორმებს იმდენად იღებს, რამდენადაც მისთვის ევროპეიზმის გარკვეული ელემენტებია ნიშანდობლივი. ამგვარად, საქართველოს

[29]პროექტის მონაწილეებმა (გრიგოლ ჯოხაძემ, თინათინ ბოლქვაძემ და ნათია ფუტკარაძემ) თარგმნეს ევრაზიულობის თეორეტიკოსთა მრავალი მნიშვნელოვანი სტატია. თარგმნილი სტატიები სრულად იხ. გიორგი ახვლედიანის სახელობის ენათმეცნიერების ისტორიის საზოგადოების ვებგვერდზე www. gashol.ge

საკითხის სწორი გადაწყვეტა მხოლოდ ჭეშმარიტი ქართული ნაციონალიზმის პირობებში, ანუ ევრაზიული იდეოლოგიის განსაკუთრებული ქართული ფორმის წარმოქმნითაა შესაძლებელი.

აზერბაიჯანელი ხალხი რიცხვობრივად ამიერკავკასიის ყველაზე მთავარი ელემენტია. მასში ნაციონალიზმი მძლავრადაა განვითარებული. ამიერკავკასიის ყველა ხალხთაგან აზერბაიჯანელები ყველაზე მედგრად გამოხატავენ რუსოფობიულ განწყობას. ეს რუსოფობია თურქოფილური განწყობის მხარდამხარ ვითარდება, რომელიც პანისლამისტური და პანთურანული იდეებით საზრდოობს. მათი ტერიტორიის ეკონომიკური მნიშვნელობა (ბაქოს ნავთობით, ნუხას მეაბრეშუმეობითა და მუღანის ბამბის პლანტაციებით) იმდენად დიდია, რომ მათი გამოყოფა დაუშვებელია. ამასთან, აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის საკმაოდ მნიშვნელოვანი დოზის აღიარება აუცილებელია. საკითხის გადაწყვეტა ამ შემთხვევაშიც აზერბაიჯანული ნაციონალიზმის ხასიათზეა დამოკიდებული, და ეს პირველხარისხოვან ამოცანად ევრაზიულობის ნაციონალურ-აზერბაიჯანული ფორმის შექმნას სახავს. ამ შემთხვევაში პანისლამიზმს შიიზმი უნდა დაუპირისპირდეს.

ამიერკავკასიის სამი ეროვნული პრობლემა (სომხური, ქართული, აზერბაიჯანული) საგარეო პოლიტიკის პრობლემებთანაა გადაჯაჭვული. თურქოფილურმა პოლიტიკამ სომხებს შესაძლოა ინგლისის ორიენტაციისაკენ უბიძგოს. იმავე შედეგს მივიღებდით აზერბაიჯანელებზე ფსონის დადებით. ინგლისი, ასეც და ისეც, საქართველოსთან ინტეგრირებას ეცდება, ვინაიდან ესმის, რომ დამოუკიდებელი საქართველო უცილოდ ინგლისის კოლონია გახდება. ამ ინტრიგის გარდაუვალობის გამო, წამგებიანი იქნებოდა, საქართველოში მცხოვრები სომხები ანგლოფილები გაგვეხადა და ამიერკავკასიაში ინგლისის ინტრიგისათვის ნიადაგი გავეძლიერებინა. თუმც, სომხებზე იმედის დამყარებაც აზერბაიჯანელთა თურქოფილურ ორიენტაციასა და საქართველოში რუსოფობიული განწყობის გაღვივებას გამოიწვევდა. ამიერკავკასიის ხალხებთან საურთიერთოდ ყოველივე ეს გასათვალისწინებელია.

ამიერკავკასიაში ეროვნული საკითხის სირთულეს ის ამწვავებს, რომ ცალკეული ერები ერთმანეთს მტრობენ. შუღლის საბაბთა ნაწილი აღმოიფხვრება კურიალურ-მრავალპარტიული სისტემითა და მასთან დაკავშირებული მართვის ტექნიკით. ამ სისტემის დროს, მაგალითად, შესაძლებელია ცხოვრების მთელ რიგ უბნებზე მოვახდინოთ მართვის დოფერენცირება არა ტერიტორიათა, არამედ ნაციონალობათა მიხედვით: ეს ასუსტებს მიკუთვნებულობასთან დაკავშირებული კამათის სიმწვავეს ამა თუ იმ შერეულმოსახლეობიან ავტონომიურ ოლქში. მაგალითად, ამგვარ ოლქთა სკოლებში სწავლების ენის საკითხი მთლიანად კარგავს სიმწვავეს: ერთსა და იმავე მხარეში შეიძლება იყოს სკოლები, რომლებშიც სხვადასხვა ენებზე ასწავლიან, და ყოველი ასეთი სკოლა სახალხო განათლების შესაბამის ეროვნულ საბჭოს დაემორჩილება. მაგრამ, რასაკვირველია, ცხოვრების ის უბნებიც არსებობს, სადაც, ბუნებრივია, მართვა-გამგეობა ტერიტორიული პრინციპით უნდა წარიმართოს, და არა - ნაციონალურით. არა მხოლოდ გუბერნიებად დაყოფა უნდა გაუქმდეს, რომელიც შემთხვევით და, ხშირად, ხელოვნურ ნიშან-თვისებებს ეფუძნებოდა, არამედ - სამ ძირითად (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი) ოლქადაც. ამიერკავკა-

სიის ულუსი მყარად უნდა დაიყოს წვრილ ოლქებად, რომლებიც მეტ-ნაკლებად მიეთანადება ადრინდელ უეზდებს, ოღონდ ერთი განსხვავებით: ამ ოლქთა საზღვრები ზუსტად უნდა ემთხვეოდეს ეთნოგრაფიულ-ისტორიულ, ყოფით და ეკონომიკურ საზღვრებს.

იმპერიალისტური სახელმწიფოებრიობის ძველი დევიზი ,,დაყავი და იბატონე“ მხოლოდ იქაა გამოსადეგი, სადაც სახელმწიფო ძალაუფლებას ან მმართველ ნაციას მტრულ არარუს მოსახლეობასთან უხდება ურთიერთობა. იქ, სადაც სახელმწიფო ძალაუფლების ამოცანა ერთობლივი მუშაობისათვის უცხოტომელებისა და მმართველი ნაციის ორგანული გაერთიანებაა, ეს პრინციპი გამოუსადეგარია. ამიტომ კავკასიაშიც საჭიროა გაღრმავდეს ცალკეულ ნაციონალობათა დავა და ურთიერთწინააღმდეგობა. საქართველოს სხვადასხვა ოლქებში, დემოკრატიული კულტურისა და ყოფის სხვადასხვაობის მიუხედავად, ქვეყანა მაინც ერთგვარი ეთნოგრაფიული ერთობაა, რომლის ხელოვნურად დაცალკევება არ შეიძლება. ქართული, როგორც საეკლესიო და სალიტერატურო ენა, ოდითგანვე საერთო იყო საქართველოს, სამეგრელოსა და სვანეთის განათლებული კლასებისათვის. ამასთან, მეგრული და სვანური ენების არსებობა დასაშვებია და ამ ენებზე ლიტერატურის განვითარებას ხელი არ უნდა შევუშალოთ, მაგრამ ყოველმხრივ უნდა შევეწინააღმდეგოთ რომელიღაც ახალი, ისტორიულად არასაკმარისად გამართლებული, დამოუკიდებელი (საქართველოში) ნაციონალური ერთეულების ხელოვნურ წარმოქმნას.

თუმც, ზემოთქმულიდან ის როდი გამოდინარეობს, რომ დიდი ხალხების მიერ მცირეთა შთანთქმის მისწრაფებანი მოვიწონოთ. ამგვარი სწრაფვა არსებობს ამიერ და ჩრდილო კავკასიის ზოგ მოსაზღვრე ოლქში. შესამჩნევია აფხაზეთის გაქართველებისა და დაღესტნისა და ზაქათალის ოლქის გათათრებისაკენ ლტოლვა. ვინაიდან ამ შემთხვევებში ლაპარაკია განსაზღვრული ნაციონალური სახის დეფორმაციაზე, ამ მოვლენას შესაბამისი ხალხების ეროვნული წინააღმდეგობის მხარდაჭერის გზით უნდა ვებრძოლოთ.

უნდა ვეცადოთ, არ დავუშვათ განაპირა მხარეთა გამოყოფა. გასათვალისწინებელია ის ფსიქოლოგიური ფაქტორები, რომლებიც განაპირა მხარეთა სეპარატისტული მისწრაფებებით საზრდოობს. ამასთან, შეუძლებელია იმის აღუნიშნაობა, რომ უბრალო ხალხს ასეთი სწრაფვა საერთოდ არ გააჩნია, ან ძალზე სუსტადაა განვითარებული. სეპარატისტული ლტოლვა, ძირითადად, ადგილობრივ ინტელიგენციას ახასიათებს. ამ ინტელიგენციის ფსიქოლოგიაშია არც თუ უმნიშვნელო როლს თამაშობს პრინციპი ,,ჯობს, იყო პირველი სოფლად, ვიდრე - უკანასკნელი ქალაქად“. ადრინდელი გუბერნიის შემცვლელი დამოუკიდებელი რესპუბლიკის რომელიღაც მინისტრის საქმიანობის სფერო არაფრით განსხვავდება გუბერნიის ჩინოვნიკის საქმიანობის სფეროსაგან. მაგრამ მინისტრობა უფრო მომხიბლავია, და ამიტომ მინისტრი მხარს უჭერს თავისი რესპუბლიკის დამოუკიდებლობას. გუბერნიის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გარდაქმნის შედეგად გარდუვალად იქმნება ახალ თანამდებობათა რიგი, რომელსაც იკავებენ ადგილობრივი ინტელიგენტები, ადრე რომ თავიანთი გუბერნიის მცირე თანამდებობებით კმაყოფილდებოდნენ, ან გუბერნიის ფარგლებგარეთ მსახურობდნენ. დაბოლოს, დამოუკიდებლობა განსაკუთრებით იმ ოლქებში ყვავის, სადაც ადგილობრივი ინტელიგენცია შედარე-

ბით მცირერიცხოვანია. ამის გამო ჩინოვნიკთა ადრინდელი ძირითადი კონტინგენტი მოსული ელემენტებისაგან შედგებოდა: ,,უცხო ქვეყნის ქვეშევრდომებად“ მიჩნეული მოსული ელემენტების გაძევება ახალგაზრდა რესპუბლიკაში ინტელიგენტური ძალების სიმცირეს იწვევდა და ყველა ადგილობრივ ინტელიგენტს კარიერული წინსვლა იოლად ძალუძდა.

დამოუკიდებლობა ადგილობრივი ინტელიგენციის პირწმინდა ,,კლასობრივი“ მოძრაობაა, ინტელიგენციისა, რომელიც აცნობიერებს, რომ მან, როგორც კლასმა, დამოუკიდებლობით იხეირა. თუმც, რა თქმა უნდა, დამოუკიდებლობის ამ კლასობრივ ბუნებას ადგილობრივი ინტელიგენცია საგულდაგულოდ ჩქმალავს და ,,იდეებით“ ნიღბავს: ნაჩქარევად იგონებენ ,,ისტორიულ ტრადიციებს“, ადგილობრივ ნაციონალურ კულტურასა და სხვ.

უდავოა, რომ ამ ოლქის მოსახლეობა ამგვარი კლასობრივ-ინტელიგენტური დამოუკიდებლობისაგან მალევე ზარალდება. ეს დამოუკიდებლობა ხომ, ერთი მხრივ, ინტელიგენტურ სამუშაოზე მოთხოვნილების ხელოვნურ ზრდასა და იმ ადამიანთა რაოდენობის გამრავლებას მიემართება, სახელმწიფოს, მაშასადამე, მოსახლეობის გადასახადების ხარჯზე რომ ცხოვრობს, და, მეორე მხრივ, სხვა ოლქებში მცხოვრებ ინტელიგენტებთან კონკურენციას, შეჯიბრებითობის ადგილობრივი არეალის შემცირებასა, და, შესაბამისად, ჩინოვნიკთა ხარისხის დამცრობას გულისხმობს!

უბრალო ხალხი ხშირად მტრულად ამიტომაც ეკიდება ადგილობრივი ინტელიგენციის დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვას და ცენტრალისტურ განწყობას ამჟღავნებს, რომელიც ბოლშევიკებმა უდავოდ გამოიყენეს ამიერკავკასიის სხვადასხვა რესპუბლიკათა დამოუკიდებლობის გაუქმებისას.

ჩრდილო კავკასიაში ბინადრობენ: ყაბარდოელები, ოსები, ჩეჩნები, მცირე ხალხები (ჩერქეზები, ინგუშები, ბალყარელები, ყარაჩაელები, ყუმუხები, თურქმენები და ყალმუხები, და ბოლოს - კაზაკები).

ყაბარდოელებსა და ოსებს ყოველთვის მტკიცედ ეპყრათ რუსული ორიენტაცია. მცირე ხალხთა უმრავლესობაში, ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით რთული ვითარებაა. ჩრდილო კავკასიაში აშკარა რუსოფობები მხოლოდ ჩეჩნები და ინგუშები არიან. ინგუშთა რუსოფობია იმან გამოიწვია, რომ რუსების მიერ კავკასიის დამორჩილების შემდეგ, მარბიელ ლაშქრობათა და ყაჩაღობათა, რომლებიც ყოველთვის ინგუშთა ძირითადი საქმიანობა გახლდათ, მკაცრად დასჯა დაიწყეს; ამასთან, სხვაგვარად გარჯა ინგუშებს არ ძალუძთ, ნაწილობრივ, შრომის ატავისტური მიუჩვევლობის, ნაწილობრივ, ტრადიციული ზიზღის გამო: შრომა მარტოოდენ ქალის საქმედ ითვლება. ძველი აღმოსავლელი მმართველი, დარიოსის ან ნაბუქოდონოსორის ტიპისა, ამ მცირე ყაჩაღ ტომს, რომელიც ხელს უშლის არა მხოლოდ რუსთა, არამედ სხვა მეზობელთა მშვიდობიან ცხოვრებას, სათითაოდ გაჟუჟავდა, ან თავისი სამშობლოდან სადმე შორს გადაასახლებდა. საკითხის ამგვარ გამარტივებულ გადაწყვეტას თუ უკუვაგდებთ, ისღა გვრჩება, ყოფის ადრინდელ პირობებსა და მშვიდობიანი შრომის ტრადიციულ ათვალწუნებას სახალხო განათლებითა და სოფლის მეურნეობის სრულყოფით ვებრძოლოთ.

ჩეჩნების საკითხი გაცილებით რთულია. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ჩეჩნები ინგუშებს ხუთჯერ აღემატებიან; მეორეც - ჩეჩენთა რუსოფობიას

ის გარემოება განაპირობებს, რომ ჩეჩნები საკუთარ თავს მატერიალურად გაცურებულად მიიჩნევენ: მათი საუკეთესო მიწები კაზაკებმა და რუსეთიდან გადმოსახლებულებმა მიიტაცეს და მათ მიწაზე გროზნოს ნავთობის დამუშავება დაიწყეს. აქედან ისინი ვერავითარ სარგებელს ვერ ნახულობენ. ჩეჩენთა ამ პრეტენზიათა სრული დაკმაყოფილება, ცხადია, შეუძლებელია. თუმც, კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარება აუცილებელია. ამის მიღწევა ისევ სახალხო განათლებით, სოფლის მეურნეობის დონის ამაღლებითა და ჩეჩენთა რუსეთის ეკონომიკურ ცხოვრებაში ჩართვით შეიძლება.

თავიანთი სოციალური წყობით ჩრდილო კავკასიელი ხალხები ორ ჯგუფად იყოფიან: არისტოკრატული (ყაბარდოელები, ბალყარელები, ჩერქეზთა ნაწილი, ოსები) და დემოკრატიული წყობისად (ჩერქეზთა ნაწილი, ინგუშები და ჩეჩნები). პირველ ჯგუფში უმაღლესი ავტორიტეტით სარგებლობდნენ, ერთი მხრივ, მოხუცები, მეორე მხრივ - მუსლიმი სასულიერო პირები. ბოლშევიკები სისტემატურად მუშაობენ ორივე სოციალური წყობის დასანგრევად. თუ მათ ამ საქმეში წარმატებას მიაღწიეს, ჩრდილო კავკასიის ხალხები იმ ჯგუფებისა და კლასების გარეშე დარჩებიან, რომლებიც მასებში ავტორიტეტით სარგებლობენ. ამასთან, ამგვარ ავტორიტეტულ ჯგუფთა ხელმძღვანელობის გარეშე, თავიანთი ხასიათიდან გამომდინარე, ეს ხალხები ყაჩაღთა ველურ ხროვებად გადაიქცევიან, რომლებიც ნებისმიერ ავანტიურისტს შეიძლება დაემორჩილონ.

ჩრდილო კავკასია კაზაკთა ოლქებსაც გულისხმობს - თერგისა და ყუბანისა. თერგის ოლქში კაზაკთა საკითხი არ დგას: კაზაკები და სხვაქალაქელები მეგობრულად ცხოვრობენ, თავი ერთ ნაციად მიაჩნიათ და უცხოტომელებს უპირისპირდებიან. ყუბანის ოლქში კი, პირიქით, კაზაკთა საკითხი მეტად მწვავეა. კაზაკები და სხვა ქალაქთა მკვიდრნი ერთმანეთს მტრობენ.

კავკასიის აღმოსავლეთსა და დასავლეთში არის ოლქები, რომელთა მიკუთვნება არც ამიერკავკასიისათვის შეიძლება, არც - ჩრდილო კავკასიისათვის: აღმოსავლეთში ეს დაღესტანია, დასავლეთში - აფხაზეთი.

დაღესტნის მდგომარეობა ისეთია, რომ მას აუცილებლად უნდა ებოძოს ძალზე ფართო ავტონომია. ამასთან, დაღესტანი მრავალი ტომისაგან შედგება როგორც თავისი ეთნიკური შემადგენლობით, ისე - ისტორიული დაყოფის თვალსაზრისითაც. რუსეთის მიერ დაღესტნის დაპყრობამდე ეს ქვეყანა მთელ რიგ წვრილ სახანოებად იყოფოდა, რომლებიც დამოუკიდებელნი იყვნენ და არავითარ უზენაეს ძალაუფლებას არ ემორჩილებოდნენ. წინანდელი დაქუცმაცების ეს ტრადიცია დაღესტანში დღესაც შემორჩენილია. დაღესტნის ადმინისტრაციულ გაერთიანებას დიდად უშლის ხელს საერთო ენის უქონლობა. ადრე ისეც მომხდარა, რომ ოფიციალური მიმოწერა და საქმისწარმოება არაბულ ენაზე მიმდინარეობდა. ამავე ენაზე გამოსცემდნენ რუსულ სამთავრობო განცხადებებსაც. ადგილობრივ ენათა ოდენობა ძალზე დიდია: ანდის ოლქში ანდის ყოისუს დინების 70 ვერსტის მანძილზე 13 სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ; დაღესტანში სულ 30 ადგილობრივი ენაა. არსებობს რამდენიმე „საერთაშორისო ენა“, რომლებზეც სხვადასხვა აულის მკვიდრი მთიელები ერთურთს ელაპარაკებიან. დაღესტნის ჩრდილოეთში ასეთია ავარიული და ყუმუხური ენები, სამხრეთში კი - აზერბაიჯანული. როგორც ჩანს, ოფიციალურად

სწორედ ამ ,,საერთაშორისო ენათაგან“ ერთ-ერთი უნდა შეირჩეს. თუმც, სულ ერთი სულაც არ არის, ამ მიზნისათვის რომელ ენას ავირჩევთ. ყუმუხური თითქმის მთელი ჩრდილო კავკასიის (კასპიის ზღვიდან ყაბარდომდე) ,,საერთაშორისო ენაა“, აზერბაიჯანული ამიერკავკასიის (შავი ზღვის სანაპიროს გარდა) დიდ ნაწილში ბატონობს, და , ამას გარდა - თურქეთის სომხეთში, ქურთისტანსა და სპარსეთის ჩრდილოეთში. ორივე ეს ენა თურქული წარმოშობისაა. მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ეკონომიკური ცხოვრების ინტენსიფიკაციის პირობებში ,,საერთაშორისო ენებით“ სარგებლობა ისეთ მნიშვნელობას იძენს, რომ ადგილობრივ ენებს ავიწროებს: დაღესტნის სამხრეთის ბევრი აული უკვე სავსებით ,,აზერბაიჯანულია“. საეჭვოა, რუსეთის ინტერესებს ემსახურებოდეს დაღესტნის ამგვარი თურქიზაცია. თუკი მთელი დაღესტანი გათურქდება, მივიღებთ თურქთა ერთიან მასას ყაზანიდან ანატოლიასა და ჩრდილო სპარსეთამდე. ეს სავსებით ხელსაყრელ პირობებს შექმნის სეპარატული, რუსოფობიული მიმართულების მქონე პანთურანული იდეის განსავითარებლად. დაღესტანი ბუნებრივ ბარიერად უნდა გამოვიყენოთ ევრაზიის ამ ნაწილის გათურქების გზაზე. დაღესტნის ჩრდილო და დასავლეთ ოლქებში საქმე გაცილებით მარტივადაა. აქ ოფიციალურ ენად ავარიული უნდა მივიჩნიოთ, რომელიც ისედაც ღუნიბისა და ხუნძახის ოლქთა მოსახლეობის მშობლიური, ხოლო ანდის, ყაზიმუხის, დარღისა და ზაქათალის ოლქთა ნაწილის საერთაშორისო ენაა. ხელი უნდა შევუწყოთ ავარიული ლიტერატურის, პრესის განვითარებას, ჩამოთვლილი ოლქების ყველა დაწყებით და საშუალო სკოლაში ეს ენა სავალდებულო საგანი უნდა იყოს.

უფრო რთულადაა საქმე დაღესტნის დანარჩენ ნაწილებში. სამხრეთდაღესტნურ ტომთაგან ყველაზე დიდი კიურაელთა ტომია, რომელსაც უჭირავს თითქმის მთელი კიურას ოლქი, ბაქოს გუბერნიის სამურის უეზდის აღმოსავლეთი და ყუბანის უეზდის ჩრდილოეთი. დაღესტნის ამ ნაწილში გავრცელებულ ყველა არათურქულ ენათაგან კიურიული ყველაზე მარტივია და ამავე რაიონში გავრცელებულ ზოგიერთ სხვა ადგილობრივ ენას ენათესავება. ამიტომ ის შეიძლება ვაქციოთ დაღესტნის ამ ნაწილის ,,საერთაშორისო“ და ოფიციალურ ენად.

ამრიგად, ენობრივი თვალსაზრისით, დაღესტანს ორი ადგილობრივი ენა დაინაწილებდა: ავარიული და კიურიული.

აფხაზეთის ოფიციალურ ენად აფხაზური უნდა ვაღიაროთ, აფხაზი ინტელიგენციის განვითარებას ხელი უნდა შევუწყოთ და მას გაქართველებასთან ბრძოლის აუცილებლობა უნდა შთავუნერგოთ.

1925

ევრაზიულობის გეოგრაფიული და გეოპოლიტიკური საფუძვლები

რუსეთს ჩინეთზე გაცილებით მეტი საფუძველი აქვს, ,,შუამდებარე სახელმწიფოდ '' (ჩინურად ,,ჩჟუნ-გო“) იწოდებოდეს. და რაც მეტი დრო გავა, ეს საფუძვლები მით უფრო მკაფიო გახდება. რუსეთისათვის ევროპა მხოლოდ ძველი მატერიკის ნახევარკუნძულია, რომელიც მისი საზღვრების დასავლეთით მდებარეობს. ამ მატერიკზე რუსეთს ძირითადი სივრცე, მისი ტორსი უპყრია. ამასთან, ევროპულ სახელმწიფოთა საერთო ფართობი 5 მლნ კვ. კმ-მდეა. რუსეთის ფართობი კი, თუნდაც სსრკ-სეული დაყოფით, ბევრად აღემატება 20 მლნ კვ. კმ-ს (განსაკუთრებით, თუ მას მონგოლეთისა და ტუვის სახალხო რესპუბლიკათა სივრცეებსაც დავურთავთ - ადრე რომ ,,შიდა მონგოლეთადა“ და ,,რიანხოის მხარედ“ მოიხსენიებდნენ და ამჟამად, ფაქტობრივად, საბჭოთა კავშირის ნაწილებად მიიჩნევენ).

მეცხრამეტე საუკუნის მიწურულსა და მეოცის დამდეგს მცხოვრებ რუსებს, მცირე გამონაკლისის გარდა, არ ახსოვდათ იმიერურალის სივრცეები (ერთი მათგანი, ვისაც ეს არ დავიწყნია, გენიალური რუსი ქიმიკოსი დ.ი. მენდელეევი იყო). ახლა სხვა დროა. მთელი ,,ურალ-კუზნეცკის კომბინატი“, თავისი ბრძმედებით, ქვანახშირის მაღაროებით, ახალი ქალაქებით, რომლებშიც ასობით ათასზე ბევრად მეტი მცხოვრებია, ამიერურალში შენდება. იქვე აშენებენ ,,ტურკსიბს“. რუსული კულტურის ექსპანსია არსად ისე ფართოდ და სტიქიურად არ მიმდინარეობს, როგორც ამიერურალის მეორე ნაწილში - ე.წ. ,,შუააზიურ რესპუბლიკებში“ (თურქმენეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი, ყირგიზეთი). რუსული მიწების მთელი ტორსი ცოცხლდება - ,,ნეგორელის ისრებიდან სადგურ სუჩანამდე“. ვითარების ამგვარი ცვლილება ევრაზიელთა დამსახურებაა. მაგრამ ამასთან ერთად, სრულიად მკაფიო ხდება რუსეთის, როგორც ძველი მატერიკის ცენტრალური სამყაროს, ბუნებაც. იყო დრო, როცა გეჩვენებოდა, რომ ამ მატერიკის დასავლეთ პერიფერიას - ევროპასა (რომელსაც აკუთვნებდნენ ურალამდელ რუსეთს - ძველი გეოგრაფების ,,ევროპულ რუსეთს“) და აზიას (ჩინეთი, ინდოეთი, ირანი) შორის სიცარიელე იყო. რუსული თანამედროვეობის ევრაზიული მიდგომა ამ სიცარიელეს სიცოცხლით ავსებს.

ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნიდან გზა ევროპიდან ჩინეთსა და იაპონიისაკენ რუსეთზე (დიდი ციმბირული რკინიგზა) გადიოდა. გეოგრაფია სრული უეჭველობით გვიჩვენებს, რომ ამგვარადვე უნდა გაიჭრას გზა ევროპიდან (ყოველ შემთხვევაში, ჩრდილო ევროპიდან მაინც) სპარსეთის, ინდოეთისა და ინდოჩინეთისაკენ. ჯერჯერობით ეს შესაძლებობები რეალიზებული არ გახლავთ. ტრანსსპარსული რკინიგზის გაყვანა, რომელიც სპარსეთს ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ მიაქცევდა და როგორც ბრიტანული ინდოეთის, ისე ევროპის (ამიერკავკასიის, ყირიმისა და უკრაინის გავლით) სარკინიგზო ქსელს აკავშირებდა, მსოფლიო ომის წინ ლამის შესაძლებელი გახდა. დღესდღეობით, პოლიტიკურ გარემოებათა გამო, მან უნიადაგო პროექტების სფეროში გადაინაცვლა. არ არსებობს კავშირი რუსეთის თურქესტანისა (,,შუააზიური რესპუბლი-

კები“) და ინდოეთის რკინიგზებს შორის. არ არსებობს რუსული სარკინიგზო ქსელის ორიენტაცია ევრო-ინდურ სტრანზიტო მოძრაობაზე. მაგრამ ადრე თუ გვიან ასეთი მოძრაობა ფაქტად იქცევა - სარკინიგზო, საავტომობილო სამოყვარულო თუ საჰაერო ურთიერთობის ფორმით. ამ უკანასკნელთათვის რუსეთზე გავლით მანძილის შემცირებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვთ. რაც უფრო მეტ ძალას მოიხვეჭს საჰაერო ურთიერთობა, პირდაპირი ფრენის მისთვის ნიშანდობლივი სწრაფვით, მით უფრო გაცხადდება რუსეთ-ევრაზიის, როგორც ,,შუამდებარე სამყაროს“, როლი. ტრანსპოლარული ხაზების დაწესება ამ როლს კიდევ უფრო გააძლიერებს. რუსეთი შორეულ ჩრდილოეთში არსებული ვეებერთელა სივრცით ამერიკის მეზობელია. პოლუსზე, უფრო ზუსტად, პოლუსის თავზე გზის გაჭრით რუსეთი აზიისა და ჩრდილო ამერიკის შემაერთებელ რგოლად იქცევა. სტატიებში ნახსენებია აღმოსავლურ და დასავლურ საწყისთა სინთეზისაკენ ევრაზიელთა სწრაფვა. აქ უნდა მივუთითოთ ამ სწრაფვასთან გეოპოლიტიკის შესაბამისობაზე. რუსეთ-ევრაზია ძველი სამყაროს ცენტრია. მოშალეთ ეს ცენტრი, და ყველა მისი ნაწილი, მატერიკულ განაპირა მხარეთა მთელი ეს სიტემა (ევროპა, წინა აზია, ირანი, ინდოეთი, ჩინეთი, იაპონია) ერთგვარ ,,ნატაძრალად“ იქცევა. ეს სამყარო, რომელიც ევროპის საზღვართა აღმოსავლეთით და კლასიკური აზიის ჩრდილოეთით მდებარეობს, ამ ნაწილთა გამაერთიანებელი რგოლია. ეს ცხადია ახლა და უფრო მკაფიო გახდება მომავალში. ,,შუამდებარე სამყაროს“ გამაერთიანებლობა და მეკავშირეობა ისტორიაშიც ჩანდა. რამდენიმე ათასწლეულის განმავლობაში ევრაზიულ სამყაროს მომთაბარეები მართავდნენ. ევროპიდან ჩინეთამდე არსებული მთელი სივრცის დაკავებით, და იმავე დროს, წინა აზიასთან, ინდოეთთან, ირანთან ურთიერთობით, მომთაბარეები მკვიდრ კულტურათა გათიშულ და დაქუცმაცებულ სამყაროსთან შუამავლის როლს ასრულებდნენ. მაგალითად, ირანი და ჩინეთის ურთიერთდამოკიდებულება ისტორიულად არასოდეს ისე მჭიდრო არ ყოფილა, როგორც მონგოლთა ბატონობის ეპოქაში (XII-XIV სს.). მანამდე კი, ცამეტი-თოთხმეტი საუკუნის წინათ, მხოლოდ მომთაბარულ ევრაზიულ სამყაროში გადაიკვეთა ელინურ და ჩინურ კულტურათა გზები, როგორც ეს მონგოლეთის უახლესმა გათხრებმაც დაადასტურა. შეუვალი ფაქტების ძალით, რუსული სამყარო მოწოდებულია, შეასრულოს გამაერთიანებლის როლი ძველი სამყაროს ფარგლებში. მხოლოდ ის, თუ როგორ აღასრულებს ამ თავის მოწოდებას რუსეთი-ევრაზია, როგორ შეიძლება იქცეს და როგორ გადაიქცევა ერთ მთლიანობად ძველი მატერიკის განსხვავებულ კულტურათა ერთობლიობა, გააქრობს წინააღმდეგობებს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. ეს გარემოება დღეს არასაკმარისადაა გაცნობიერებული, მასში გამოხატულ შესაბამისობას თვით საგანთა ბუნება ადასტურებს. გაერთიანების ამოცანა, უწინარესად, კულტურული შემოქმედების ამოცანაა. ძველი სამყაროს ცენტრში რუსული კულტურის სახით ამოიზარდა გამაერთიანებელი და მომრიგებელი როლი ახალი და თვითმყოფადი ისტორიული ძალისა. თავისი ამოცანის გადაჭრას იგი მხოლოდ გარშემომყოფ ხალხთა კულტურებთან ურთიერთობით შეძლებს. ამ თვალსაზრისით, აღმოსავლური კულტურები მისთვის ისევე მნიშვნელოვანია, როგორც - დასავლური. ერთდროულად როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთისაკენ მიდრეკა, რუსული კულტურისა და გეოპოლიტიკის ნიშანდობ-

ლივი თვისებაა. რუსეთისათვის ეს ორი თანაბარუფლებიანი ფრონტია - დასავლეთი და სახრეთ-აღმოსავლეთი. მთელი ძველი სამყაროს ერთიანად და სავსებით მომცველი თვალთახედვა, უპირატესად, რუსული უნდა იყოს. თუმც დავუბრუნდეთ წმინდა გეოგრაფიულ მოვლენებს. რუსულ ,,ტორსთან“ შედარებით, ევროპა და აზია ძველი სამყაროს განაპირა მხარეებია. თანაც, რუსულ-ევროპული თვალსაზრისით, ევროპა არის ყველაფერი ის, რაც რუსეთის საზღვრების დასავლეთითაა, ხოლო აზია - ყველაფერი ის, რაც მის სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთითაა. თვით რუსეთი კი არც აზიაა, არც - ევროპა - აი, ევრაზიელთა ძირითადი გეოპოლიტიკური თეზისი. ამიტომაც არ არსებობს ,,ევროპული“ და ,,აზიური“ რუსეთი, არამედ არის მათი ნაწილები, რომლებიც მდებარეობენ ურალის დასავლეთით და აღმოსავლეთით, ისევე, როგორც არსებობენ მისი ნაწილები, რომლებიც მდებარეობენ ენისეის დასავლეთით და აღმოსავლეთით, და ა.შ. ევრაზიელები განაგრძობენ: რუსეთი არც აზიაა, არც - ევროპა, არამედ განსაკუთრებული გეოგრაფიული სამყარო. რით განსხვავდება ეს სამყარო ევროპისა და აზიისაგან? ძველი მატერიკის დასავლური, სამხრეთისა და სამხრეთ-აღმოსავლური განაპირა მხარეები გამოირჩევა როგორც თავიანთი დასერილი სანაპიროებით, ისე რელიეფის ფორმის მრავალფეროვნებით. თუმც ამის თქმა არ შეიძლება მის ძირითად ,,ტორსზე“, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, რუსეთ-ევრაზიაა. იგი, უწინარესად, სამი დაბლობისაგან (ბელომორ-კავკასიის, დასავლეთ ციმბირისა და თურქესტანის) შედგება, შემდეგ კი მათ აღმოსავლეთით მდებარე ოლქებისაგან (მათ შორის, მდ. ენისეის აღმოსავლეთით მდებარე არც თუ მაღალმთიანი ქვეყნები). მატერიკის დასავლეთისა და სამხრეთის განაპირა მხარეები გამოირჩევა ,,მოზაიკურ-დანაწევრებული“ ზონალური წყობითა და არც თუ მარტივი მოხაზულობით. ბუნებრივად ტყიან ადგილებს უცნაური თანმიმდევრობით ცვლის, ერთი მხრივ, ტრამალებითა და უდაბნოებით სავსე მხარეები, მეორე მხრივ კი - მაღალმთიანი ტუნდრა.

ძველი სამყაროს შუაგულში მდებარე დაბლობებზე ამ ,,მოზაიკას“ უპირისპირდება ზონების შედარებით მარტივი, ,,დროშისებრი“ განლაგება. ამ უკანასკნელი შენიშვნით იმ გარემოებაზე მივუთითებთ, რომ რუკაზე დატანისას იგი მოგვაგონებს დროშის ჰორიზონტალურ ზოლებად დაყოფილ მოხაზულობას. სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით ერთმანეთს ცვლის უდაბნო, სტეპი და ტუნდრა. ამ ზონათაგან თითოეული წარმოქმნის ერთიან განივ ზოლს. რუსული სამყაროს საერთო განივ დაყოფას, ამასთან ერთად, კიდევ უფრო მკაფიოს ხდის იმ ქედების განივი გადაჭიმულობა, რომლებიც დასახელებულ დაბლობებს სამხრეთით შემოვლებიან: ყირიმის ქედი, კავკასიონი, კოპეტდაღი, პარაპამიზი, გინდყუში, ტიან-შანის ძირითადი ქედები, ტიბეტის განაპირა მხარის ჩრდილოეთით მდებარე ქედები, ინ-შანი, დიდი ჩინური კედლის რაიონში. ჩვენ მიერ დასახელებულთაგან უკანასკნელი ქედები, რომლებიც იმავე ზოლში მდებარეობენ, რომელშიც დასახელებულნი, სამხრეთით გარს ერტყმიან ამაღლებულ ვაკეს, გობის უდაბნოს რომ უჭირავს. იგი ჯუნგარის კარიბჭით თურქესტანის დაბლობს უკავშირდება.

ძველი სამყაროს მატერიკის ზონალურ დაყოფაში შესაძლოა შევნიშნოთ ნიშნები ერთგვარი აღმოსავლურ-დასავლური სიმეტრიისა, რაც იმით გამოიხატება, რომ აღმოსავლეთით ამ მოვლენის ხასიათი დასავ-

ლურს ემთხვევა და მატერიკის შუაგულში მიმდინარე მოვლენის ხასიათისაგან განსხვავდება. მატერიკის როგორც აღმოსავლეთი, ისე დასავლეთი განაპირა მხარეები (შორეული აღმოსავლეთიც, ევროპაც) ჩრდილოეთ განედის 35 და 60 გრადუსზე ბუნებრივად ტყიანია. აქ ბორეალური ტყეები უშუალოდ ერწყმის სამხრეთის ფლორას და თანდათანობით გადადის მასში. ამის მსგავსს ვერაფერს ვნახავთ შუაგულ სამყაროში. იქ სამხრეთის ფლორის ტყეები მხოლოდ მთიან ოლქებშია (ყირიმი, კავკასია, თურქესტანი). ისინი ჩრდილოეთის ფლორას ანუ ბორეალურ ტყეებს არ ემეზობლებიან, ვინაიდან ერთიანი ტრამალურ-უდაბნოური ზოლით არიან გამოყოფილნი. ძველი სამყაროს შუაგული, ამგვარად, შესაძლოა განვსაზღვროთ სტეპისა და უდაბნოს ზოლის ოლქად, რომელიც უწყვეტად გრძელდება კარპატებიდან ხინგანამდე, მისი მთიანი შემოწერილობით (სამხრეთში) და რაიონებით, მისგან ჩრდილოეთით რომ მდებარეობენ (სატყეო და ტუნდრული ზონები). სწორედ ამ სამყაროს უწოდებენ ევრაზიელები ევრაზიას, ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით (Eurasua sensu stricto). იგი უნდა გავარჩიოთ ა. ფონ ჰუმბოლდტისეული ძველი ,,ევრაზიისაგან“, რომელიც მთელ ძველ მატერიკს მოიცავდა (Eurasia sensu latiore).

ევრაზიის დასავლეთი საზღვარი გადის შავი ზღვისპირეთ-ბალტიისპირეთის გადაკვეთაზე, ანუ ოლქში, სადაც მატერიკი ვიწროვდება (ბალტიისა და შავ ზღვებს შორის). აქ, ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, გადის რამდენიმე დამახასიათებელი ბოტანიკურ-გეოგრაფიული საზღვარი, მაგალითად, ურთხლის, წიფლისა და სუროს აღმოსავლეთის საზღვარი. თითოეული მათგანი ბალტიის ზღვის ნაპირზე იწყება და შავი ზღვის ნაპირებამდე აღწევს. დასახელებულ საზღვართა დასავლეთით, ანუ იქ, სადაც ზემოთ მოხსენიებული ჯიშები ხარობს, ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ სატყეო ზონის გავრცელებას უწყვეტი ხასიათი აქვს. მათ აღმოსავლეთით იწყება ჩრდილოეთის სატყეო და სამხრეთის სასტეპო ზონებად დაყოფა. სწორედ ეს საზღვარი შეიძლება მივიჩნიოთ ევრაზიის დასავლეთ საზღვრად, ანუ მისი საზღვარი აზიასთან შორეულ აღმოსავლეთში გადადის გრძედებში, სადაც ერთიანი სასტეპო ზონები სოლისებრად იჭრება წყნარ ოკეანესთან მიახლოებისას, ანუ ხინგანის გრძედებში.

ევრაზიული სამყარო არის ,,ზონების პერიოდული, და ამავე დროს, სიმეტრიული სისტემის სამყარო“. ევრაზიის ძირითად ზონათა საზღვრები მნიშვნელოვანი სიზუსტით შეეფარდება განსაზღვრული კლიმატური საზღვრების გავლებას. მაგალითად, ტუნდრის სამხრეთი საზღვარი უდრის იმ პუნქტების გამაერთიანებელ ხაზს, რომელთა საშუალო წლიური შეფარდებითი ტენიანობა დღის 1 საათზე დაახლოებით 79, 5 %-ია (დღის პირველ საათზე შეფარდებით ტენიანობას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მცენარეთა სიცოცხლისა და ნიადაგისათვის). სატყეო ზონის სამხრეთი საზღვარი გადის ამავე შეფარდებითი ტენიანობის მქონე პუნქტების შემაერთებელ ხაზზე: ტენიანობა აქ უდრის 67,5 %-ს. სტეპის სამხრეთ საზღვარზეც (იქ, სადაც სტეპი უდაბნოს ესაზღვრება) დღის პირველ საათზე 55, 5% შეფარდებითი ტენიანობაა. უდაბნოში იგი ყოველთვის ამ სიდიდეზე დაბალია. აქ ყურადღებას იპყრობს იმ ინტერვალთა თანაბრობა, რომლებიც მოიცავენ სატყეო და სასტეპო ზონებს. ამგვარი დამთხვევა და

ინტერვალთა ამგვარივე განაწილება შესაძლოა სხვა თავისებურებებითაც დადგინდეს (იხ. ჩვენი წიგნი ,,რუსეთის გეოგრაფიული თავისებურებანი“, ნაწილი პირველი, პრაღა, 1927). სწორედ ეს გვაძლევს საფუძველს, ,,რუსეთ-ევრაზიის ზონათა პერიოდულ სისტემაზე“ ვილაპარაკოთ. ისიც სიმეტრიული სისტემაა, მაგრამ უკვე არა აღმოსავლურ-დასავლური სიმეტრიის თვალსაზრისით, რომელიც მანამდე ვახსენეთ, არამედ სამხრეთ-ჩრდილოური სიმეტრიისა. ჩრდილოეთის უტყეობას (ტუნდრა) აქ ერთვის სამხრეთის უტყეობა (ტაიგა). შავმიწა ნიადაგის ზონის შუა ნაწილებში ნიადაგში კალციუსის შემადგენლობა და გუმუსის პროცენტი სიმეტრიულად იკლებს ჩრდილო და სამხრეთი მხარეებისაკენ. მოვლენათა სიმეტრიული განაწილება იგრძნობა ნიადაგის შეფერილობის თვალსაზრისითაც. ყველაზე მეტ ინტენსიობას ის აღწევს ჰორიზონტალური ზონის შუა ნაწილებში. ჩრდილოეთისაკენ ისევე, როგორც სამხრეთისაკენ, იგი სუსტდება (ყავისფერიდან თეთრში გადადის). ქვიშნარისა და ქვიანი სუბსტრატის თვალსაზრისით - ტყიან და სტეპიან ზონათა საზღვრიდან სიმეტრიულად ცალკევდება ჩრდილოეთით - სტეპური კუნძულები, ხოლო სამხრეთით - ,,კუნძულოვანი“ ტყეები. რუსული მეცნიერება ამ მოვლენებს ,,ექსტრაზონალურს“ უწოდებს. ტყიან ზონაში არსებული სტეპური უბნები შეიძლება ,,სამხრეთულად“ დავახასიათოთ, ხოლო სტეპებში არსებული კუნძულოვანი ტყეები ,,ჩრდილოური“ მოვლენაა. სატყეო ზონის სამხრეთულ ფორმაციებს სტეპის ჩრდილოური ფორმაციები შეესაბამება. ძველი სამყაროს არც ერთ სხვა ადგილზე ზონალური სისტემის ფარგლებში გადასვლის თანმიმდევრულობა, მისი ,,პერიოდულობა“, და ამავე დროს, ,,სიმეტრიულობა“ ისე მკაფიოდ არ გამოიხატება, როგორც - რუსეთ-ევრაზიის ვაკეზე. რუსული სამყარო აღჭურვილია უკიდურესად გამჭვირვალე გეოგრაფიული სტრუქტურით. ამ სტრუქტურაში ურალი სულაც არ თამაშობს იმგვარ განმსაზღვრელ და გამმიჯნავ როლს, როგორსაც მას მიაწერდა (და დღემდე მიაწერს) გეოგრაფიული ,,ვამპუკა“. ურალი, ,,საკუთარი ოროგრაფიული და გეოლოგიური თავისებურებების წყალობით, არათუ ყოფს, არამედ, პირიქით, მჭიდროდ აერთიანებს ,,ურალამდელ და ამიერურალის რუსეთს“, რითაც კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ ორივე მათგანის ერთობლიობა გეოგრაფიულად ევრაზიის ერთ განუყოფელ კონტინენტს შეადგენს“. ტუნდრა, როგორც ჰორიზონტალური ზონა, განლაგებულია ურალის დასავლეთითაც და აღმოსავლეთით. ტყეც ორივე მხრიდან აკრავს. იგივე ვითარება გვაქვს სტეპსა და უდაბნოსთან დაკავშირებითაც (ეს უკანასკნელი ურალის სამხრეთ გაგრძელებას - მუგოჯარს აღმოსავლეთიდანაც გარს შემოვლებია და - დასავლეთიდანაც). ურალის საზღვარზე ჩვენ ვერ ვამჩნევთ გეოგრაფიული მდგომარეობის არსებით ცვლილებას. გაცილებით მნიშვნელოვანია ,,ორ ზღვას შუა“ არსებული გეოგრაფიული მიჯნა ანუ შავ და ბალტიის ზღვებს შორის არსებული სივრცე, ერთი მხრივ, ბალტიის ზღვა, მეორე მხრივ კი - ჩრდილო ნორვეგიის ზღვისპირეთი. რუსეთ-ევრაზიის თავისებური, უკიდურესად მკაფიო და, ამავე დროს, მარტივი გეოგრაფიული სტრუქტურა დაკავშირებულია რამდენიმე უმთავრეს გეოპოლიტიკურ გარემოებასთან. ევრაზიული სამყაროს ბუნება არახელსაყრელია სხვადასხვაგვარი - პოლიტიკური, კულტურული თუ ეკონომიკური სეპარატიზმისათვის. ევროპისა და აზიის ,,მოზაიკური დანაწევრებულობა“ ხელს უწყობს მცირე, დახშული, განკერძოებული სამყა-

როების წარმოქმნას. აქ არსებობს მატერიალური წანამძღვრები მცირე სახელმწიფოების, განსხვავებული კულტურული წყობის ქალაქებისა თუ პროვინციების, ეკონომიკური ოლქების არსებობისათვის, რომელნიც ვიწრო სივრცეში ფართო სამეურნეო მრავალფეროვნებით გამოირჩევიან. სხვა ვითარებაა ევრაზიაში. ზონათა ,,დროშისებრი" ადგილმდებარეობის ფართოდ აჭრილი სფერო ზემოთქმულის საწინააღმდეგოა. უსაზღვრო ვაკე ჰორიზონტს აფართოებს, გეოპოლიტიკურ კომბინაციებს დიდ შესაძლებლობებს უქმნის. ხმელეთზე გადაადგილებისას სტეპებისა და ტყეების, წყლით კი - უამრავი მდინარისა და ტბის გარემოცვაში ადამიანი აქ მუდმივ მიგრაციას განიცდიდა, გამუდმებით იცვლიდა საცხოვრისს. ეთნიკური და კულტურული ელემენტები ინტენსიურად ურთიერთმოქმედებდნენ, ჯვარედინდებოდნენ და ერთმანეთს ერეოდნენ. ევროპასა და აზიაში დროდადრო შესაძლებელი იყო მხოლოდ საკუთარი ინტერესებით ცხოვრება. ევრაზიაში ასე ყოფნა ისტორიული მნიშვნელობით მხოლოდ უაღრესად მოკლე ვადით თუ შეიძლება. ევრაზიის ჩრდილოეთით არის ასობით ათას კვადრატულ კილომეტრზე გადაჭიმული ტყეები, რომლებშიც სახნავად ერთი ჰექტარიც კი არ გამოდგება. როგორ უნდა იცხოვრონ აქაურებმა უფრო სამხრეთით მდებარე ოლქებთან შეუხებლად? სამხრეთში დაახლოებით იმავე სიდიდის სივრცეში მესაქონლეობისა და ნაწილობრივ, მიწათმოქმედებისათვის ვარგისი სტეპებია, თუმც ათასობით კვადრატულ კილომეტრზე ერთ ხესაც კი ვერ იპოვი. როგორ უნდა იცხოვრონ ამ ოლქების მკვიდრებმა ჩრდილოეთთან სამეურნეო ურთიერთქმედების გარეშე? ევრაზიის ბუნება გაცილებით მეტად უკარნახებს ადამიანებს პოლიტიკურ, კულტურულ და ეკონომიკურ გაერთიანებას, ვიდრე ამას ევროპასა ან აზიაში ვხვდებით. სწორედ ევრაზიულ სტეპთა და უდაბნოთა ფარგლებში ტყუილად როდი არსებობდა ბევრი თვალსაზრისით იმგვარი ,,უნიფიცირებული" და მთელი სივრცის მომცველი წყობა, როგორიც მომთაბარეობა გახლდათ: უნგრეთიდან მანჯურიამდე; ასევე, ისტორიის განმავლობაში - სკვითებიდან ვიდრე თანამედროვე მონგოლებამდე. ევრაზიის სივრცეებში ტყუილად როდი უცდიათ ისეთი დიდი პოლიტიკური გაერთიანებების შექმნა, როგორიც სკვითთა, ჰუნთა, მონგოლთა (მე-13-14 სს.) და სხვ. იყო! ეს მცდელობანი მოიცავდა არა მხოლოდ ტრამალებსა და უდაბნოებს, არამედ მათ ჩრდილოეთით მდებარე სატყეო ზონას და უფრო სამხრეთით - ევრაზიის ,,მთიანი გარემოცვის" ოლქს. ევრაზიაში ტყუილუბრალოდ კი არ სუფევს ,,ხალხთა ძმობის" გამორჩეული სულისკვეთება, რომელიც უაღრესად განსხვავებული რასების ხალხთა - გერმანელების (ყირიმელი გოთები), სლავები, ტუნგუს-მანჯურიელები, ფინელები, თურქები, მონგოლები - საუკუნოვანი კულტურული ურთიერთობიდან იღებს სათავეს. ,,ხალხთა ძმობა" იმით გამოიხატება, რომ აქ არ არსებობს ოპოზიცია ,,მაღალი"-,,დაბალი" რასა, ურთიერთმიზიდულობა აქ უფრო ძლიერია, ვიდრე განცალკევება, აქ იოლად იღვიძებს ,,საერთო საქმის ნება". თავისი პირველი თავიდან უკანასკნელამდე ევრაზიის ისტორია ამის დასტურია. სწორედ ეს ტრადიციები აღიქვა რუსეთმა თავის ძირითად ისტორიულ საქმედ. მე-19 და მე- 20 ს. დამდეგს ეს ტრადიციები დროდადრო იმღვრეოდა საგანგებო ,,მედასავლეთეობით", რომელიც რუსებისაგან ითხოვდა, რომ თავი ,,ევროპელებად" შეეგრძნოთ (როგორებიც სინამდვილეში არ იყვნენ) და სხვა ევრაზიელ ხალხებს ,,აზიატებადა" და ,,დაბალი რასის" წარმომადგენლე-

ბად მიიჩნევდნენ. ასეთ მიდგომას რუსეთისათვის უბედურების გარდა არაფერი მოუტანია (მაგალითად, მეოცე საუკუნეში რუსების მიერ განხორციელებული შორეულაღმოსავლური ავანტიურა). უნდა დავიმედდეთ, რომ ამჟამად ეს კონცეპცია რუსულ ცნობიერებაში სავსებით დაძლეულია და რუსული ,,ევროპეიზმის“ ემიგრაციას თავშეფარებული ნაშთები ყოველგვარ ისტორიულ მნიშვნელობასაა მოკლებული. მხოლოდ ამ ნაყალბევი ,,მედასავლეთეობის“ გადალახვით ეხსნება გზა ევრაზიელი ხალხების - სლავთა, ფინელთა, თურქთა, მონგოლთა და სხვ. - ნამდვილ ძმობას. ევრაზიას ძველ სამყაროში ადრეც უთამაშია გამაერთიანებლის როლი. თანამედროვე რუსეთმა, ამ ტრადიციის ათვისებით, ერთხელ და სამუდამოდ უნდა უარყოს იმ ძველი მეთოდებით გაერთიანების შესაძლებლობა, რომლებიც ყავლგასული და ძლეული ეპოქებისთვისაა ნიშანდობლივი - ძალადობისა და საომარ მეთოდებს ვგულისხმობთ. თანამედროვე პერიოდში საკითხი ეხება კულტურული შემოქმედების, შთაგონების, გასხივოსნების, თანამშრომლობის გზებს. სწორედ ყოველივე ამას გულისხმობენ ევრაზიელები. კავშირურთიერთობის თანამედროვე საშუალებათა მიუხედავად, ევროპისა და აზიის ხალხები დიდწილად ჯერ კიდევ თავიანთ გალიებში სხედან, ჯერ კიდევ კერძო ინტერესებით მოქმედებენ. ევრაზიული ,,ადგილგანვითარება“, თავისი ძირითადი ნიშან-თვისებების თანახმად, საერთო საქმისაკენ მოგვიწოდებს. ევრაზიელ ხალხთა დანიშნულება საკუთარი მაგალითით ამ გზაზე სხვა ხალხების დაყენებაა. მსოფლიო საქმისათვის მაშინ გახდება გამოსადეგი ეთნოგრაფიული ნათესაობის ის კავშირები, რომლებითაც ზოგი ევრაზიელი ხალხი ზოგ არაევრაზიულ ნაციას უახლოვდება: რუსების ინდოევროპული კავშირები, ევრაზიელ თურქთა წინააზიური და ირანული ურთიერთობები, შეეხების ის წერტილები, რომლებიც არსებობს ევრაზიელ მონგოლთა და აღმოსავლეთ აზიის ხალხებს შორის. ყველა ეს კავშირი შესაძლოა გამოდგეს ახალი, ორგანული კულტურის საშენებლად თუმც ძველი, მაგრამ ჯერ კიდევ (გვსურს, გვწამდეს!) ყმაწვილი, დიდი მომავლის მქონე სამყაროსი.

უღონოთა ძალღონე

რა იგულისხმება იმაში, რომ ერთს ჯერ შფოთვაც არ დაუწყია, მეორეს კი უკვე დახშულ კარამდე მისვლა მიუსწრია და შუბლით მძლავრადაც შეხლია? თავის დროზე ყველას იგივე ელოდება, თუ ხალხთან თვინიერი ურთიერთობის გადამრჩენელ გ ზას არ დაადგნენ.
დოსტოევსკი (სიტყვა პუშკინზე)

ახლა ხდება მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენა, რომლის ჭეშმარიტ არსსა და შედეგებს ყველაზე შორსმჭვრეტელნიც კი ვერ ამოიცნობენ. ეს რუსეთის რევოლუციაა, ოღონდ არა მისი სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელობით, არამედ - ეროვნულ-მეტაფიზიკური თვალსაზრისით. როგორც სოციალურ-პოლიტიკური ხასიათის მოვლენა, ის, როგორც ჩანს, რევოლუციურ კანონზომიერებას ემორჩილება. მთელი იდუმალება მის ნაციონალურ-მსოფლიო შედეგშია.

დასავლეთი მხოლოდ გადამდებ კომუნისტურ სენს როდი უფრთხის, როცა რუსეთისთვის ზღუდის შემოვლებას ცდილობს. ევროპამ, მართალია, ბუნდოვნად და ყოყმანით, შეიძლება ითქვას, შეიგრძნო რუსული რევოლუციის სამომავლო შედეგი, და ჟრჟოლამოგვრილმა თავდაცვის ზომებს მიმართა. ევროპა მიხვდა, რომ ეს შედეგი განსაზღვრა არა რუსული კომუნიზმის რევოლუციურმა ენერგიამ, არამედ - მთელი რუსი ხალხის ისტორიულმა ბედისწერამ. მიხვდა, რომ ყველას თვალწინ იზრდება და მკვიდრდება ადრინდელი ევროპული პროვინცია, რომელთანაც უცილო შერკინება მოუწევს; იგი დიდ გამოწვევას არ დაელოდება და პირველი გამოუცხადებს მხილების, ყვედრებისა და რისხვის ომს თავის წინანდელ და, თითქოს, მარადიულ მეტროპოლიას.

რუსეთი დიდმპყრობელი იყო, მაგრამ სახელმწიფოებრივი არასოდეს ყოფილა. ნებისმიერი ხალხის სახელმწიფოებრივი ჩვევები მისი შემადგენელი ნაწილების, ინდივიდების თანაბრადმოქმედი სახელმწიფოებრივი შეგნებით განისაზღვრება. დიდმპყრობელობა მთელი ხალხური არსების მბრძანებლობის, გაქანებისა და ნაპირებიდან გადმოსვლის საბედისწერო პოტენციაა. ეს არის ძლიერების არაცნობიერი შეგრძნება, სახალხო მასის ხვედრითი წილი, რომლის არსებობა გარემოს აფართოებს. ეს გახლავთ უნებლიე თვითდამკვიდრება, საკუთარი ყოფიერების დროიტ საცრე. დიდმპყრობელობა ზოგჯერ ამპარტავნულად იზრდება, ზოგჯერ სუსტდება, იშლება, სახელმწიფოს მაგარ სხეულს მომჩვარულ, უღონო, დამსხვრეულ ადამიანურ არსებად გადააქცევს. ისეც ხდება ხოლმე, რომ დიდმპყრობლობის უნარი ემთხვევა სახელმწიფოებრივი ტექნიკის მიერ გამომუშავებულ შესაძლებლობებს. ხანდახან ისინი ურთიერთგამომრიცხავია...

რუსეთი დიდმპყრობელი იყო, მაგრამ სახელმწიფოებრივი არასოდეს ყოფილა. ნებისმიერი ხალხის სახელმწიფოებრივი ჩვევები მისი შე-

მადგენელი ნაწილების, ინდივიდების თანაბრადმოქმედი სახელმწიფოებრივი შეგნებით განისაზღვრება. დიდმპყრობელობა მთელი ხალხური არსების მბრძანებლობის, გაქანებისა და ნაპირებიდან გადმოსვლის საბედისწერო პოტენციაა. ეს არის ძლიერების არაცნობიერი შეგრძნება, სახალხო მასის ხვედრითი წილი, რომლის არსებობა გარემოს აფართოებს. ეს გახლავთ უნებლიე თვითდამკვიდრება, საკუთარი ყოფიერების დროიტ საცრე. დიდმპყრობელობა ზოგჯერ ამპარტავნულად იზრდება, ზოგჯერ სუსტდება, იშლება, სახელმწიფოს მაგარ სხეულს მომჩვარულ, უღონო, დამსხვრეულ ადამიანურ არსებად გადააქცევს. ისეც ხდება ხოლმე, რომ დიდმპყრობლობის უნარი ემთხვევა სახელმწიფოებრივი ტექნიკის მიერ გამომუშავებულ შესაძლებლობებს. ხანდახან ისინი ურთიერთგამომრიცხავია...

და მაშინ მორჩილება, თვინიერება ესაზღვრება მაამებლობას, ლაჩრობას, საკუთარი ხელიდანწასულობის განცდას - ხანდახან გამბედაობა უგონობად, გამომწვევ ქედმაღლობად გადაიქცევა. ამ მერყეობაშია რუსი ხალხის ისტორიის კანონი, ისევე, როგორც კანონი მისი ყველა პიროვნების სიცოცხლისა. ამაღლებისა და დაცემის ამ ცვალებადობაში ცხოვრობდა ხალხური, სტიქიური რუსეთი, ხან უსაზღვროდ დიდმპყრობლური, ხან ძალადაცლილი და ჩაგრული, როცა უეცრად სახალხო დაძაბულობის, ელასტიურობის იდუმალი ძალა ილეოდა და შიშნაჭამი ფრინველის გიგანტური ფრთებივით ეშვებოდა.

რუსი ინტელიგენცია ოდითგანვე შეეჩვია, ევროპული კულტურა თანასწორობის შეგნებით კი არ აღექვა, არამედ იგი უპირობოდ დიდებულად, ეჭვშეუტანლად, გამორჩეულად და სამართლიანად მიეჩნია. ეს რიდი და მორჩილება უცილოდ რუსის არსებაში იღებს სათავეს: თუ თავი სხვის ტოლად და სწორად არ მიგაჩნია, ვიღაცის უპირატესობას დასაშვებად თვლი, მაშინ დამორჩილებაც, შეგუებაც აუცილებელია და საკუთარის სულმოკლედ დათმობაც. ეს ერთგვარი მონობაა, საკუთარი თავის ღალატიც კი. სხვა ხალხების მიმართ სტიქიური რუსეთი დიდმპყრობლური ანუ მბრძანებლური გახლდათ, ან არადა - დაშლილი, უნებისყოფოდ დამონებულ-ჩაბარებული მაინც გამწარებით იკრუნჩხებოდა, თითქოს საკუთარ სურვილებს ხალხური სულის წიაღს აფარებდა...

სხვადასხვა ხალხში ზოგადსაკაცობრიო იდეები განსხვავებული კულტურული ფორმების მეშვეობით აისახება. რუსი ინტელიგენცია ზოგადსაკაცობრიო იდეური ჩანაცვლების გენიას ივითარებდა, რომლითაც საკუთარი თვითგამოვლენისა და თვითგანმტკიცების ხარჯზე ცნობიერებაში ითვისებდა და ბოლომდე ინივთებდა უცხო ევროპულ კულტურათა ყველა ნაირსახეობას. ამის შედეგად რუსი ინტელიგენცია იტერნაციონალურად განათლდა, მაგრამ მან სახე დაკარგა.

სპეციფიკური ,,ინტელიგენცია“, რა თქმა უნდა, ვერ ამოწურავს რუსეთს, როგორც დიდ მთლიანობას. თავის მბრძანებლურ დიდმპყრობლურ გამოვლინებებში, კულტურის შემოქმედებით საქმეში რუსეთი ძვირფასი მონაპოვარივით ინახავს თვითმყოფადი, გამორჩეული და ჭეშმარიტი ეროვნული ნების მაგალითებს.

ამჟამად, დაცემით გამოწვეული დიდი ტრაგედიის ეპოქაში, მპყრობელი ძალებისა და რუსი ხალხის ნების დადამბლავების ხანაში, როცა რუსული სახელმწიფოებრიობის მთელი შესაკრებელი დასუსტდა და გაფერ-

მკრთალდა, და ამის გამო ხელმეორედ უნდა იშვას და აიგოს ყველა შინაგანი ურთიერდამოკიდებულება, სახალხო სტიქიამ შეუგნებლად, მაგრამ ძალმოსილად დაიწყო საკუთარი შეგნებული ნაწილის დევნა და მხილება, როცა მან გამოცდის დიად წუთებში ახლობელი, გასაგები, სახალხო, ნაციონალური კულტურით პაუხი ვერ შეძლო. ვერ ვიტყვით, რომ მთელი ინტელიგენცია დევნილია, მაგრამ იმის მტკიცება კი თამამად შეიძლება, რომ მცირე გამონაკლისის გარდა, მხოლოდ ინტელიგენციაა დევნილი.

ამ განდევნით მრისხანე განაჩენი გამოუტანეს დასავლური კულტურის იმ ფორმის აღქმას, რომელიც პეტრეს დროიდან უცილო და ჭეშმარიტ რუსულ ცნობიერებად აღიქმებოდა. რამდენადაც რუსეთის შემოქმედებითი და მეტყველი გენია თავისუფალი და თვითმყოფადი აღმოჩნდა, იმდენად პირობებს დაქვემდებარებულად და მხდალად წარმოჩნდა შემთვისებელ-ამთვისებელი გენია. ინტელიგენცია მთელს მსოფლიოშო მტვერივით გაიფანტა. როცა სახალხო სტიქია მტანჯველი ბრძოლითა და ვნებებით ხელმეორედ იძენს საკუთარ იდუმალ, დიდმპყრობლურ ძალას, რომელიც ადრე თუ გვიან ძველებურ დიდებასა და ღონიერებას მოიტანს, რუსმა ინტელიგენციამ, მთელი მსოფლიოს კულტურულ ხალხებს პირველად შეპირისპირებულმა, და ამით, ვალდებულმაც, ბოლოს და ბოლოს ღირსეულად შეაფასოს საკუთარი შესაძლებლობები, და მით უმეტეს, თავისი ეროვნული, ხალხური ძირები, დაიწყო მონანიების პროცესი ნაგვიანევი თვითმოძიებისა და თვითდამკვიდრებისა. რუსმა ინტელიგენციამ მხოლოდ ამ ქმედითი ფაქტობრივი დაპირისპირებით, და არა - ,,მშვენიერი შორეთიდან“ ძახილითა და ბრმად ათვისებით რეალურად შეიცნო ზღვარი, რომელიც გაივლო მასა და მის გუშინდელ სულიერ კუმირს შორის. შეიცნო და სინანულით გააჟრჟოლა, ვინაიდან შეუფასებლად ძვირფასი აღმოჩნდა საკუთარი და უსაზღვროდ გაცვეთილი და ღატაკი - სხვისი. უღონომ და დევნილმა დაიწყო საკუთარი გარდაქმნა და თუ ეს გეზი შეინარჩუნა, მალე ისევ თავის ჭეშმარიტ ძალასა და სიმართლეს მოიპოვებს. ხალხი თავის ძლიერებას ბრძოლით იკრებს, ინტელიგენცია - პიროვნული გამოცდილებით. ახლა ისინი მტრები არიან, ვინაიდან თვითგამოვლინებისა და უცხო გონითი და ცხოვრებისეული ფორმებისაგან გათავისუფლების მწყურვალი ინტელიგენცია ხალხმა თავის ევროპელ მტერთა გვერდით დააყენა. თუმცა მცდარი იქნება იმაზე ფიქრი, რომ კომუნიზმის მახვილით რუსი ხალხი ევროპასა და ინტელიგენციას ეომება. პირიქით, კომუნიზმი უკანასკნელი სახეა, რომელიც ინტელიგენციამ გაითავისა გათანაბრებისა და საყოველთაოობის ფანატურად დაცვის პროცესში.

სიძულვილის ვნებამორეულმა რუსმა ხალხმა თავისი ცრუ იდეური წინამძღოლები განდევნა, მაგრამ ცხადი ჭეშმარიტების ძიებისას საკუთარი ჩვეული ქვეშევრდომული სულისკვეთების გამო კიდევ ერთხელ დაემონა ახალ დიქტატურას იმავე ინტელიგენციისა, ოღონდ მისი უფრო საშინელი და მბრძანებლური ნაწილისა. ვგულისხმობთ არა შეგნებულ-იდეურ ნაწილს, რომელიც მანამ ბატონობდა, სანამ რევოლუცია ფაქტობრივად განხორციელდებოდა, არამედ - ფანატური ნების მქონეთ. ინტელიგენციის უპასუხისმგებლოდ მოჯანყე ძალებმა, ბრმად რომ ელტვოდნენ საყოველთაო სოციალისტურ იდეებს, არაჯანსაღ, ემიგრანტებისა და იატაკქვეშეთის მხურვალე ატმოსფეროში თავი მოუყარეს საშინელი ნების გამომხატველ ენერგიას. ამ გავარვარებულმა, სასტიკმა, შურისმაძიებელმა, წრეგა-

დასულმა ნებამ ახლა თავის მარწუხებში მოაქცია თავისვარსკვლავდაკარგული ხალხის მასები. მაგრამ მისი გზის მანათებელი ჭეშმარიტება წინანდელივით უცხოა და საძულველი ჭეშმარიტი რუსეთისათვის, ვინაიდან ბოლშევიკური ინტერნაციონალი რუსული უღმერთო, ცოდვილი ინტელექტუალური სულის კოსმოპოლიტური ხეტიალისა და ცთუნების შედეგია. ეს სული უღმერთოა, რადგან უეკლესიოდ შეუძლებელია სამართლიანი იყოს ოცნება საყოველთაოობასა და ჭეშმარიტებაზე. ამას ადრე თუ გვიან ყველა გაიგებს, რის შემდეგაც ინტელიგენციის ნებით შობილი (უკანასკნელი?) დიქტატურა ასევე სტიქიურად განადგურდება. მაშინ აღსრულდება რუსეთის დიდი ოცნება, ახდება მისი წინასწარმეტყველური საიდუმლო: დაბრძენებული, დამშვიდებული ხალხი და თვალახელილი ინტელიგენცია მორჩილად გაერთიანდება მართლმადიდებელი ეკლესიის დიდებულ და ყოვლისშემძლე გუმბათქვეშ.

1921

შენიშვნები:

პეტრე სუვჩინსკი (1892, სანკტ-პეტერბურგი - 1985, პარიზი) - ემიგრანტი რუსი მუსიკოსი და მწერალი, ევრაზიულობის მოძრაობის მონაწილე; ,,სიტყვა პუშკინზე“ – 1880 წლის 8 ივნისს რუსული სიტყვიერების მოყვარულთა საზოგადოების სხდომაზე ფ. დოსტოევსკიმ წარმოთქვა სიტყვა ა. პუშკინის მნიშვნელობაზე, რომელიც 1 აგვისტოს ,,მწერლის დღიურში“ გამოქვეყნდა

ევრაზიელთა უტოპიური ეტატიზმი

ევრაზიელებმა სისტემურად გადმოსცეს თავიანთი იდეოლოგია და პროგრამა და გამოაქვეყნეს. ამჟამად მიზნად არ დამისახავს ევრაზიელთა პოლიტიკური პროგრამის განხილვა, ეს არ შეესაბამება ჟურნალ Путь-ის ამოცანებს. მაგრამ ევრაზიულ კატეხიზმოში არის იდეოლოგიური, რელიგიურ-ფილოსოფიური და რელიგიურ- საზოგადოებრივი მხარე, რომელიც შეუძლებელია, არ გვაინტერესებდეს. ევრაზიული იდეოლოგიის სისტემური გადმოცემა, რომელსაც ბევრი ფორმალური ღირსება აქვს, ხელმოუწერელია და მასზე, როგორც ჩანს, მთელი მიმართულება აგებს პასუხს. თუმცა, ის აშკარად დატვიფრულია იმ ინდივიდუალური რელიგიურ-ფილოსოფიური სისტემით, რომელიც არასაკმარისად დასაბუთებულ მართლმადიდებლობად საღდება. ბროშურაში ,,ევრაზიულობა“ ბევრი სწორი აზრია, რომლებიც სრულ თანაგრძნობას იმსახურებს. ევრაზიულობა რეალურ რუსეთსა და იქ მიმდინარე რეალურ სასიცოცხლო პროცესებს მიემართება; იგი აღიარებს მომხდარი რევოლუციის ფაქტს, რასაც სოციალური ჯგუფების ხელმეორე განაწილება მოჰყვა, და მას ეს შეუცვლელად მიაჩნია. ევრაზიულობას სურს რევოლუციურ გარემოში მუშაობა და ამიტომაც ცხოვრობს არა ემიგრანტული ფანტაზიებით და ჰალუცინაციებით, არამედ - რეალური სინამდვილით. ევრაზიელთა პოლიტიკურ პროგრამაში გვხვდება უდავო ამოცნობა იმისა, რისკენაც მივყავართ რუსეთში ამჟამად მიმდინარე პროცესებს. და ევრაზიელთა პოლიტიკური რეალიზმი, უწინარესად, იმით გამოიხატება, რომ მას სურს რევოლუციის შედეგად წარმოქმნილ ფენაზე დაყრდნობა, ცხოვრების მაშენებლობა. ევრაზიელები ერთიანად აღიარებენ რევოლუციას, ხელოვნურად არ ყოფენ მას თებერვლისად და ოქტომბრისად. ბევრი რამ წააგავს იმ მოსაზრებებს, რომელთაც ,,ახალ შუა საუკუნეებში“ ვავითარებდი, მიუხედავად არსებითი განსახვავებებისა მორალურ და რელიგიურ პათოსში. ევრაზიელთა ზნეობრივი დადანაშაულება იმაში, რომ ისინი,,სმენოვეხელები“ არიან, ბოლშევიკურ ხელისუფლებას აღღოს უღებენ და ლამის ბოლშევიკთა აგენტებად ცხადდებიან, არა მხოლოდ არასწორი, არამედ აღმაშფოთებელი მგონია, რაც მხოლოდ იმას ამტკიცებს, თუ რამდენად არ სიამოვნებს სხვადასხვა ძველემიგრანტულ მიმართულებას იმის შეხსენება, რა ხდება ახლა რუსეთში, და რომ რევოლუციის საკითხში მათი იდეური მიდგომა გაკოტრდა. მაგრამ ევრაზიული იდეოლოგიისათვის ნიშანდობლივია უთუო საფრთხე; მსურს, შევჩერდე მთავარ ევრაზიულ საცთურზე. ეს საშიშროება მსოფლმხედველობაშია, რომელსაც ნატურალისტურ მონიზმს და ოპტიმიზმს ვუწოდებდი. მიუხედავად თავიანთი ხაზგასმული ორთოდოქსული მართლმადიდებლობისა, ევრაზიელები თითქმის იმავენაირი მონისტები არიან, როგორც მარქსისტები, და მათი განწყობა ნატურალისტური ოპტიმიზმითაა გაჯერებული. ევრაზიელები ძალიან იცვლებიან, და მათ შორის კრთის სხვადასხვა შუქჩრდილი, მაგრამ მათი ძირითადი მსოფლშეგრძნების მოხელთება მაინც შეიძლება. ამ ტიპის აზროვნება ყოველთვის ეფუძნებაუფრო უცილობლობის კატეგორიას, ვიდრე თავისუფლებისას, პიროვნებას კო-

ლექტივს უმორჩილებს და არ ელტვის პოლიტიკაში ზნეობრივი შეფასების მომენტს. ამგვარი ოპტიმისტურ-მონისტური იდეოლოგიისას, ის, რაც ინერგება, ვითარდება და სამომავლოდ უნდა დამკვიდრდეს, მადლმოსილად და ქველად ცხადდება, აქ უცილობლობა მართებულობას ემთხვევა. ცხოვრებისადმი ზნეობრივი პათოსი ყოველთვის გულისხმობს გარკვეულ დუალიზმს, არა ონტოლოგიურს, არამედ - რელიგიურ-ზნეობრივ დუალიზმს. ევრაზიულობის სისტემურ გადმოცემაში, ეს დუალისტრუ მომენტი, რაც ქრისტიანობისთვისაა ნიშანდობლივი, არ ჩანს და ამიტომაც არ ჩანს არც ზნეობრივი პათოსი. ევრაზიული იდეოლოგიის საშიში მხარეა ის, რასაც უტოპიურ ეტატიზმს დავარქმევდი, და ეს საფრთხე ყალბ მონიზმშია. ყალბად და არაქრისტიანულად მესახება ევრაზიელთა შეხედულებანი სახელმწიფოზე. ამას უკავშირდება მათი დამოკიდებულება პიროვნებისა და თავისუფლებისადმი.

ევრაზიული იდეოლოგია ამტკიცებს, რომ სახელმწიფო ჩამოყალიბების პროცესში მყოფი, არასრულყოფილი ეკლესიაა. ამგვარად, მტკიცდება პრინციპული მონიზმი ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობის გაგებაში და სახელმწიფო აღიქმება, როგორც ფუნქცია და ეკლესიის ორგანო, სახელმწიფო იხვეჭს ყოვლისმომცველ მნიშვნელობას. ორი წესრიგის - ეკლესიისა და სახელმწიფოს, უფლის სასუფევლისა და კეისრის სამეფოს პრინციპულ დუალიზმს, რომელიც დარჩება სამყაროს აღსასრულამდე და გარდასახვამდე, არ აღიარებენ, ის იშლება, როგორც არა ერთხელ მომხდარა ქრისტიანობის ისტორიაში. ეს ერთ-ერთი მარადიული საცთურია, რომელიც ქრისტიანულ სამყაროს ჩასაფრებია, და ამ ნიადაგზე იქმნება სხვადასხვა ფორმის უტოპიები - პაპისა და იმპერატორის თეოკრატიიდან კომუნიზმსა და ევრაზიულობამდე. აი, ადგილი, რომელიც ყველაზე ავისმომასწავებელი მგონია ევრაზიულობის ამჟამინდელ იდეოლოგიაში: ,, ეკლესიასთან ერთად, რომელიც კულტურის პიროვნული მყოფობის ფორმაა, წარმოიქმნება სხვა, მეორადი ფორმაც იმავე კულტურის პიროვნული მყოფობისა. სწორედ მას ვუწოდებთ ჩვენ სახელმწიფოს, მის სფეროსა და მყოფობას კი - სახელმწიფოებრიობას: ცნებებში -,,სახელმწიფო“ და ,,პოლიტიკური“ - ვგულისხმობთ ერთიანობისა თუ მთლიანობისაკენ მიმართულ კულტურას (ან ხალხს), როგორც ერთიანსა და მთლიანს. პრინციპული თვალსაზრისით, სახელმწიფოა თავად კულტურა, თავისი ერთიანობითა და გაერთიანებული მრავალფეროვნებით, ე.ი. პრინციპულად, სახელმწიფო მოიცავს ცხოვრების ყველა სფეროს.“ სახელმწიფო მოიცავს ცხოვრების ყველა სფეროს და სრულყოფილი სახელმწიფო საბოლოოდ დაიპყრობს ცხოვრების ყველა სფეროს, მოახდენს მთელი ცხოვრების ორგანიზებას, ადგილს არ დაუტოვებს თავისუფალ საზოგადოებასა და თავისუფალ პიროვნებას. სწორედ ეს არის პრინციპული მონიზმი, რომელსაც მოსდევს სახელმწიფოს აბსოლუტიზება: სახელმწიფო გაიგება ჭეშმარიტების მიწიერ განსახიერებად, ჭეშმარიტ იდეოლოგიად. ევრაზიელები ამას არა თეოკრატიას, არამედ იდეოკრატიას უწოდებენ. იდეოკრატია არის შერჩეული მმართველი ფენის ბატონობა, რომლისთვისაც ნიშანდობლივია ჭეშმარიტი, სახელმწიფოებრივი იდეოლოგია. ფორმალურად, ეს ძალიან ჰგავს კომუნიზმს. კომუნიზმიც იდეოკრატიაა, შერჩეული მმართველი ფენის ბატონობა, რომელიც პრეტენზიას აცხადებს ჭეშმარიტი კომუნისტური იდეოლოგიის ფლობაზე. იდეის ისტორიის თვალსაზრისით, იდე-

ოკრატიაში ამოიცნობთ ძველ უტოპიას, რომელიც პლატონის ,,სახელმწიფოშია“ ჩამოყალიბებული. პლატონის სრულყოფილი სახელმწიფო აბსოლუტური ტირანიაა. მმართველი ფენა, რომელიც ჭეშმარიტ ევრაზიულ იდეოლოგიას აღიარებს, და რომელმაც ,,ფილოსოფოსთა“ (ასეთ ფილოსოფოსად თავს მიიჩნევს ყველა ახალგაზრდა ევრაზიელი, ფილოსოფიაზე არასოდეს რომ არ უფიქრია) მიერ მართული პლატონის ტიპის რესპუბლიკა უნდა შექმნას. პლატონს ჰქონდა საუკეთესოთა ბატონობის მარადიული და ჭეშმარიტად არისტოკრატული იდეა, მაგრამ სრულყოფილი სახელმწიფოს პლატონური უტოპია, ასე დიდ ხანს რომ ცოცხლობს ისტორიაში, პიროვნებისა და თავისუფლების დათრგუნვას ნიშნავს. ამასთან შედარებით, არისტოტელეს პოლიტიკა, თავისი არასრულყოფილი სახელმწიფოთი, ნეტარება, თავისუფლად სუნთქვის საშუალებაა. როგორც ჩანს, სიკეთის თავისუფლებისათვის აუცილებელია ბოროტების თავისუფლების დაშვებაც. თვით უფალმა დაუშვა ბოროტების არსებობა და ამით თავისუფლების მნიშვნელობაზე მიუთითა.

რუსული კომუნიზმის გამოცდილება იმას გვასწავლის, რომ სწრაფვა სრულყოფილი სახელმწიფოსაკენ, რომელიც მთელი ცხოვრების ორგანიზებას ახდენს, უპატიოსნო და უღვთო მისწრაფებაა. უნდა გამოვტყდე, არასრულყოფილ სახელმწიფოზე ვოცნებობ, და მასში უფრო მეტ სიმართლეს ვხედავ, ვიდრე - სრულყოფილში. სრულყოფილი სახელმწიფო, ცხოვრების ყველა მხარეს რომ მოიცავს, ყალბი უტოპიაა, ქრისტიანული ძიებისა და უფლის სასუფევლის მოლოდინის ჩანაცვლება. მონიზმი შესაძლებელია მხოლოდ უფლის სასუფეველში, გარდაქმნილ და განღმრთობილ სამყაროში, ახალ მიწაზე, ახალი ცის ქვეშ. ძველ მიწაზე სახელმწიფო შეზღუდული უნდა იყოს; მისი სრულყოფილება შეუძლებელია, რამეთუ სრულყოფილება სახელმწიფოს გადალახვა და გაუქმებაა, ისევ ცოცხლობს დუალიზმის სიმართლე, რომელიც ასახავს ჩვენი ბუნების ცოდვილობას, მაგრამ, ამასთან ერთად, იცავს თავისუფლებას, პიროვნებას და განსხვავებას იმას შორის, რა არის და რა უნდა იყოს. სახელმწიფო ძლიერი უნდა იყოს, მაგრამ მან თავისი საზღვრები უნდა იცოდეს. ჭეშმარიტი იდეოკრატია შეუძლებელია, ის შესაძლებელია მხოლოდ უფლის სასუფეველში. შეუძლებელია თეოკრატიაც, და მისი პრეტენზიების სიყალბე ისტორიაში უკვე ამხილეს. ევრაზიელები მართლები არიან, როცა სურთ შერჩეულ მმართველ ფენაზე დაყრდნობა, მაგრამ ევრაზიელთა უტოპიურ ეტატიზმს ისინი იმ ყალბ და საშიშ იდეამდე მიჰყავს, რომ იდეოკრატიულმა სახელმწიფომ უნდა იკისროს მთელი ცხოვრების ორგანიზება, ე.ი. მთელი კულტურის, აზროვნების, შემოქმედების, თვით ადამიანთა სულების ორგანიზებაც, რაც ეკლესიის ამოცანაა. განა ასეთი არ არის კომუნისტური სახელმწიფოს ამოცანაც, რომელიც თავს ეკლესიად აღიქვამს და ანაცვლებს ეკლესიას?!. ევრაზიულ იდეოკრატიას შეუძლია ლიტერატურის ზემდგომობაც მოინდომოს, როგორც ამას კომუნისტური იდეოკრატია შეეცადა. მაგრამ სახელმწიფო საუკუნეთა განმავლობაში განსხვავდება თავისი ამოცანებითა და მეთოდებით როგორც ეკლესიისგან, ისე - თავისუფალი შემოქმედი სულისაგან. სახელმწიფო, თავისი ბუნებით, შეზღუდული და შეფარდებითია, არსებითად, იგი შეზღუდულია პიროვნების სუბიექტური უფლებებითა და შემოქმედი სულის თავისუფლებით, რომლებიც არავითარ ორგანიზებას არ ექვემდებარებიან. სახელმწიფო აბსოლუტიზმი წარ-

მართობაა, ძველაღმოსავლური და ძველრომაული იდეაა. ქრისტიანობა სულიერად ზღუდავს სახელმწიფოს და ეწინააღმდეგება სახელმწიფო ძალაუფლების ადამიანთა სულებზე, სულიერ ცხოვრებაზე, ადამიანურ შემოქმედებაზე ბატონობას. საღვთო პატივი არც ერთ კეისარს არ უნდა მიეგოს, რარიგ თეოკრატიულად ან იდეოკრატიულადაც უნდა მიაჩნდეს საკუთარი ხელისუფლება. ადამიანის სული უფრო ძვირი ღირს, ვიდრე სამყაროს ყველა სამეფო. ადამიანი სახელმწიფოზე მაღლა დგას. მე ვერ ვხედავ, რომ ევრაზიელები ადამიანის სულიერ თავისუფლებას იცავდნენ, რომელსაც ყველა მხრიდან საფრთხე ემუქრება. ევრაზიელები თითქმის ისეთივე კოლექტივისტები არიან, როგორც კომუნისტები, უკიდურესად მემარჯვენე მონარქისტები, იმისკენ მიდრეკილან, რომ კოლექტივის აბსოლუტური პრიმატი და პიროვნებაზე მისი ბატონობა აღიარონ. ადამიანის პიროვნებამ სიმფონიურად უნდა იაზროვნოს მუშტრის შიშით. სწორედ ეს იწვევს აზროვნების ორთოდოქსულ პათოსს - მას ხომ ყოველთვის ის აპირობებს, რომ შემოქმედი კოლექტივს სცემს პატივს და არა - პიროვნებას. აქედან მომდინარეობს პროფეტიზმის სიძულვილიც, რომელსაც ყოველთვის პიროვნება შობს და არა - კოლექტივი. ევრაზიელები ფორმალურად თანამედროვე ფრანგ თომისტებს ჰგვანან, რომლებიც ასევე უკიდურესად ორთოდოქსულები და სოციალურები, ანტირომანტიკოსები, რაციონალისტები, ფორმალისტები და კონსტრუქტივისტები არიან. ევრაზიელთა ორგანიზებულობისა და სოციალურობის პათოსი უმალ ლათინური, რომაულია, ვიდრე - რუსული. ევრაზიელთა მიდრეკილება, რელიგია, უწინარესად, სოციალურ-მაორგანიზებელ და ფორმალურ ძალად გაიგონ, უფრო ისტორიულად მიიჩნიონ იგი, ვიდრე - სულიერად, ასევე ძალიან მაგონებს რომაელთა დამოკიდებულებას რელიგიისადმი. პიროვნების სუბიექტური უფლებები, თავიანთი მნიშვნელობით უფრო აბსოლუტურნი, ვიდრე - სახელმწიფოებრივი ფორმები, ევრაზიელებს ნაკლებად აღელვებთ. სინდისის თავისუფლებაზე მხოლოდ იმიტომ ლაპარაკობენ, რათა თავი დააღწიონ მათ, ვინც ამაზე ეჩიჩინებათ. პრაქტიკულად კი, მზად არიან, კათოლიკეებს აღმსარებლობითი თავისუფლება შეუზღუდონ. ევრაზიელებს აღაფრთოვანებს კოლექტიური, მასობრივი მოძრაობა. ეს არა იმდენად სულიერი, რამდენადაც ნატურალისტური პათოსია. მიწიერი სახელმწიფო აბსოლუტური სულის განსხეულება როდია, როგორც ჰეგელი და რომაელები ფიქრობდნენ. მიწიერ სახელმწიოფოს თავისი მისია აქვს, და ქრისტიანობა აკურთხებს ამას. მაგრამ სახელმწიფო ყოველთვის არაადეკვატური, ცოდვილია, და მასში ყოველთვის შესაძლებელია მხეცის სამეფოს გამარჯვება. ეს მხეცის სამეფო, ლევიათანი, არის როგორც მონარქისტულ, ისე დემოკრატიულ და სოციალისტურ სახელმწიფოებში. პარტიის ანუ მმართველი ფენის დიქტატურა, რომელიც ჭეშმარიტ იდეოლოგიას ფლობს, ევრაზიელებმა კომუნისტებისაგან ისესხეს. თუმცა, ერთპარტიული დიქტატურა ერთპიროვნულზე უფრო მწარეა. მუსოლინის დიქტატურა ნაკლებ მძიმეა, ვიდრე უსაზღვრო რაოდენობის ფაშისტ ბიჭუნათა დიქტატურა. ლენინის დიქტატურა სჯობს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისას. და ეს იმით განისაზღვრება, რომ მონარქისტულ საწყისს აქვს თავისი გარდაუვალი სიმართლე, თუმცა კი - ფარდობითი. დიქტატურა, არსობრივად, შესაძლებელია მხოლოდ გარდამავალი მდგომარეობა იყოს და არა - პოლიტიკური წყობის იდეალი. ამ თვალსაზრისით, ევრაზი-

ელთა იდეოლოგია თვითნაბადი არ არის და ძალზე გაჯერებულია ჩვენი ეპოქის აფექტებითა და ემოციებით. დიდი საფუძველი არსებობს იმაზე საფიქრალად, რომ დიქტატურიდან დიქტატურისაკენ მივემართებით. მაგრამ ეს არ ეხება საზოგადოების იდეალური წყობის შექმნას.

ევრაზიელთა უკიდურეს ეტატიზმს მათი იდეალური დიქტატურის თვაისებურ უტოპიამდე მივყავართ.

თავიანთი ეტატიზმით, თავიანთი ოცნებით სახელმწიფოს მეშვეობით ცხოვრების სრულ ორგანიზებაზე ევრაზიელები სცილდებიან ჩვენი ნაციონალურ-რელიგიური აზრის ტრადიციას, სლავოფილებსა და დოსტოევსკის, და, არსობრივად, რა უცნაურიც უნდა იყოს, ადგანან რუსეთის ევროპეიზაციისა და ამერიკანიზაციის გზას. სახელმწიფოს მომხრე ევრაზიელები ავლენენ ძალაუფლების მოპოვების ნებასა და მადას, მხარს უჭერენ ორგანიზებას, კონსტრუქტივისტები არიან, მათში ძალზე ძლიერია რაციონალური ელემენტი, ისინი სრულიად გაურბიან მისტიკას, მათთვის სავსებით უცხოა ესქატოლოგიური განწყობა. ამგვარად რუსული სული არსობრივად გარდაისახება, შორს რჩება რუსული სულისკვეთება, ეს თავისებური გზაა ევროპეიზაციისაკენ. დასავლეთ ევროპას სახელმწიფოებრიობა, ნაციონალიზმი, ძალაუფლების სიყვარული, ორგანიზებისა და კონსტრუქციის ინსტინქტი, რაციონალიზმი და ფორმალიზმი, მისტიკის შიში, განსაკუთრებით - აპოკალიფსური მისტიკის შიში ახასიათებს. ესაა ევრაზიელთა პარადოქსიც. ევროპისაგან განდგომა და აზიისაკენ პირმიქცევა სულაც არ უშლის ხელს ევროპეიზაციას. ევრაზიულობას სურს, ახალი ფსიქიკური წყობის ახალგაზრდობას დაეყრდნოს. ევრაზიელები სავსებით მართლები არიან, როცა ოდეოლოგიურად ებრძვიან ინდივიდუალიზმსა და ფორმალურ ლიბერალიზმს, რომლებიც გაიხრწნა და მომაკვდავი ეპოქის კუთვნილებად იქცა. ინდივიდუალიზმი ევროპაშიც სულს ღაფავს და მას მომავალი არა აქვს. მაგრამ ინდივიდუალიზმის გადალახვა არ ნიშნავს მისი ისტორიული მნიშვნელობის უარყოფას. ევროპულ ინდივიდუალიზმს თავისი მისია ჰქონდა, ბერძნული ჰუმანიზმის მსგავსი. ევრაზიელები ელტვიან ევროპული ორგანიზატორულ-კონსტრუქტივისტული მეთოდების ათვისებას, მაგრამ არ ესმით, რა მნიშვნელობა ჰქონდა ინდივიდუალიზმს ადამიანის სულის განვითარებაში. ევრაზიელთა თაობის დაცილება რუსული შემოქმედებითი რელიგიური აზროვნების ტრადიციებთან გამოიხატება მის საეკლესიო კონსერვატიზმსა და მიდრეკილებაში ყოფითი აღმსარებლობისაკენ. ევრაზიელთა თაობისათვის რუსული რელიგიური აზრის პროფეტიზმი უცხო აღმოჩნდა, მათ ვერც რუსული რელიგიური აზრის დიდი მესიანური სასოება იმემკვიდრევეს. ევრაზიელთა თაობა სულიერად რეაქციას ემონება, მის წარმომადგენლებს საეკლესიო წესრიგი და სიმშვიდე სწყურიათ. ევრაზიელთა პოლიტიკური, სოციალური, ლიტერატურული ნოვატორობა და თვით რევოლუციურობაც კი საეკლესიო კონსერვატიზმსა და რეაქციონერობას ერწყმის. რასაკვირველია, უმეტესობის განწყობაზე მოგახსენებთ. ევრაზიულ კატეხიზმოში ესქატოლოგიური ცნობიერება არ არის, და სწორედ ეს წარმოქმნის უტოპიურ ეტატიზმს. წინასწარმეტყველური ესქატოლოგიური ქრისტიანული ცნობიერებისათვის უცხოა ის იდეა, რომ კეთილი, მართალი სახელმწიფო გაიმარჯვებს ამ სამყაროში, რომ სახელმწიფო პროგრესულად გაეკლესიურდება და ეკლესიად იქცევა. უფრო საფუძვლიანია იმაზე ფიქრი, რომ ანტიქრისტეს სამეფო იქნება სა-

ხელმწიფო, კეისრის, ლევიათანის სამყოფელი. ამის წინასახეებს ვხედავთ კომუნიზმში, რომლის რელიგიურ სიავეს ევრაზიელები არასაკმარისად ამჩნევენ. უფლის სასუფეველს ვერ ექნება სახელმწიფოს ფორმა. საჭიროა მთელი ძალღონის დახარჯვა სახელმწიფოს შინაგანი ქრისტიანიზაციისათვის, საზოგადოებისა და ხალხის ქრისტიანიზაციის მეშვეობით. მაგრამ სახელმწიფო უნდა შეიზღუდოს, რათა მასში ლევიათანი დაცხრეს: ეს უნდა მოხდეს ეკლესიის, პიროვნების სუბიექტური უფლებების, შემოქმედებითი სულის თავისუფლების მეშვეობით. ასევე საჭიროა ბრძოლა საზოგადოების აბსოლუტიზაციასთან. სახელმწიფოს მშენებლობაში დუალიზმი და პლურალიზმი სულიერი თავისუფლების უფრო მეტ გარანტიას იძლევა, ვიდრე - სახელმწიფოებრივი მონიზმი. უფრო ის მგონია, რომ შევდივართ ეპოქაში, სადაც ახალი ისტორიისათვის ნიშანდობლივი ფორმის სახელმწიფონი დასუსტდებიან, იმატებს საზოგადოებრივი თვითორგანიზება და გაძლიერდებიან საზოგადოებრივი კავშირები. დიქტატურა და ცეზარიზმი ძველი სახელმწიფოს გახრწნის სიპტომებია. ამჟამინდელ სტადიაზე მყოფი ევრაზიელები უფრო იმპერიალისტურ, თათრულ-ჩინგისხანურ და გერმანულ-პეტრესდროინდელ იდეას გამოხატავენ, ვიდრე - რუსთა სულიერ იმედებს. იოსიფ ვოლოკოლამსკელი უფრო ახლობელია მათთვის, ვიდრე - ნილოს სორელი. დანილევსკის უფრო აფასებენ, ვიდრე - დოსტოევსკის. ჩვენს დროში ასეთი მოძრაობა უნდა ჩასახულიყო, ის ბუნებრივი და გასაგებია, რუსეთში არსებულ ზოგიერთ განწყობას ეთანადება. მაგრამ მას არ შეიძლება ჰქონდეს ბატონობის, მით უფრო - სულიერი ბატონობის პრეტენზია. ეს ათწლეულის განწყობაა, რომელიც დანარჩენ ათწლეულთა განწყობას უპირისპირდება. მაგრამ ჩვენ უნდა გავთავისუფლდეთ ათწლეულთა ჰიპნოზისაგან. ევრაზიელთა დადებით დამსახურებათაგან, უწინარესად, ის უნდა გამოვარჩიოთ, რომ ისინი რუსეთისა და რუსი ხალხის ღირსებას იცავენ იმ ეპოქაში, როდესაც პატრიოტებად საკუთარი თავის მიმჩნევი რუსები მას ფეხქვეშ ქელავენ. ევრაზიულობას შეუძლია დადებითი პოლიტიკური როლის შესრულება, ოღონდ ის უნდა გათავისუფლდეს უტოპიის საცთურისაგან, ეტატიზმის ექსცესთაგან, პარტიის დიქტატურის ვნებათაგან. რუსთა ახალი თაობები ევრაზიელებზე უფრო რეალისტურნი, პროზაულნი და ნაკლებუტოპიურნი არიან.

ევრაზიელები ვითარდებიან. მათ ძალუძთ სხვადასხვა მიმართულებით სვლა. ისინი ყურს უგდებენ, რა ხდება რუსეთში, და ეს მათი ძლიერი მხარეა. ევრაზიელები რევოლუციის მაღიარებელი თაობაა, ძველ დოქტრინარულ იდეოლოგიათაგან თავისუფალი. მაგრამ მათ ის ემუქრებათ, მომხდარი მართებულს გაუიგივონ და სულიერი თავისუფლების გარეშე მიუდგნენ იმას, რაც აუცილებლად ესახებათ.

1927

SUMMARY

The monograph „Eurasian Temptation: Political, Historical and philosophical aspects" discusses cardinal problems of Eurasian Movement and contains seven relevant general chapters as follows: Slavophil Prologue, Intellectual Elite abroad, Characters of Eurasian Drama, Philosophical Paradigm, History in service of Eurasians, Eurasia as an alternative of USSR and „Eurasian" Georgia.

The Eurasian movement was a creation of émigré Russian intellectuals following the First World War and the October Revolution. The ideology of Eurasianism was formally proclaimed in 1921. It obtained considerable development, prominence, distinction and notoriety in the two following decades, essentially running its course by the time of the Second World War. Eurasianism attracts attention because of the novelty and originality of its central argument, proposing that the Russian Empire and later the Soviet Union constituted an independent organic entity separate from both Europe and Asia, called Eurasia (it was the complete separation from Europe that represented an explosive novelty), and because of the intellectual variety and abilities, at times brilliance, of its proponents. Also, as an extraordinary phenomenon in Russian intellectual history, it demands explanation.

The ideology of Eurasianism was first enunciated by Russian scholars and émigrés (Savitski, Alexeev, Karsavin and Trubetskoy). The dualism of civilizations was considered by its representatives as the main principle of Eurasianism. They comprehended historical process as a peaceful and civilized competition of Cultures, Peoples and Nations wherein an aggressive attitude to another culture, genocide or occupation were categorically rejected. The distinguishing feature of the Eurasianist movement is the respectability of the Turkish People and Turkish-Mongol Culture and the recognition of the substantial contribution of the Turan-Turkish elements to the formation of Russia in terms of its civilization or geopolitical location. Trubetskoy and his followers emphasized the multi-polarity of the Russian State, the uttermost importance of the Turkish element in the history of Russia, and the special role of the Slavic-Turkish Union in the formation of Russian Statehood. Trubetskoy dedicated a number of articles to this issue, inter alia, his On Peoples of Caucasia, an opus written in 1925. This work, from the epigraph to the last paragraph, is saturated with an imperial affectedness, Great Russian-Bolshevist aplomb, and the pretention of articulating an absolute truth.

The illustrious linguist used the 10th verse of psalm 117 (118) as an epigraph to his above opus: "All the nations surrounded me, but in the name of Yahweh, I cut them off."

According to St. Athanasius's commentary, "All the Nations" is hyperbolically used here. Judaea was surrounded by many nations. Their demonic intentions and the sophistic speculations should be cut off in the name of God.

One does not have to make bold suppositions to understand that Mr. Trubetskoy considers Russians as the chosen People who will consume all the nations surrounding them. We would like to remind you of a poem by Fyodor Tyutchev in which the poet expresses political aspirations of Russia in the 19th c.:

"Moscow and Peter's Burg and the city of Konstantin – these are the most beloved capitals of the Russian kingdom… But where does Russia end? Where do its boundaries lie in the North, East, South and West? Our destiny will reveal the answer in the days to come! The seven inland seas and the seven great rivers… From the Nile to the Neva, from the Elbe to China, from the Volga across to the Euphrates, from the Ganges to the Danube… This is the Russian kingdom… and it will not be transient as the Holy Spirit foresaw and the Prophet Daniel predicted."

Of course, Daniel's prophecy doesn't state anything about Russia and its boundaries: The prophecy applies to the Eternal Kingdom:

But in the days of those kingdoms, the God of heaven will set up a kingdom that shall never be destroyed, and his kingdom shall not be delivered up to another people, and it shall break in pieces, and shall consume all these kingdoms, and itself shall stand for ever (Daniel, Chapter II, 44).

But Tyutchev as well as Trubetskoy resort to the Holy Scripture to sanctify their Euro-Asian Messianic idea: "All the nations surrounded me, but in the name of Yahweh, I cut them off".

Prince Trubetskoy gives a distinct classification of these nations. According to his work, they are:

a) The Armenians who had supported and still support the Russian orientation without regard to what kind of Russian Government is in power. Armenians do not pose threat to the Russians. It's easy to conclude a treaty with Armenians but it would be a mistake to rely on them. They rule over the economic life of Transcaucasia, however, they have a peculiar slavish and parasitical mentality. Their neighbors feel antipathy towards them, which sometimes develops into hatred. The Russians expressing solidarity towards the Armenians will cause the antipathy to turn to Russia. It should be recalled that during the pre-Revolutionary period, when only Armenians supported Russia, the other nations of Transcaucasia revolted against Russia. The Armenian question is undoubtedly an international one. Relations between Russia and Armenia and Russia and Turkey should not be left out either.

b) After the February Revolution, Georgians achieved recognition of their rights and autonomy. And although this is not a subject of the present discussion, it should, nevertheless, be taken into account that it was this specific point that gave rise to Georgian Separatism which different Russian Governments have had to fight with. As Trubetskoy argues, if Russia wants the Baku oil (probably the only way to retain control over the Transcaucasia and the North Caucasus), it must not allow Georgia to become independent. Under the given circumstances, it is almost impossible not to recognize the independence of Georgia but total sovereignty is inadmissible. Russia should try to find a golden mean but be careful not to cause an outbreak of Russophobia among Georgians. Georgian Nationalism sometimes takes on malignant forms because it contains elements of Europeanism. The Georgian form of Eurasian Ideology is a true Nationalism and should it be distinguished from its other forms.

c) Because of big population, Azerbaijan makes up the most important segment of Transcaucasia. Nationalism and deep-rooted Russophobia are evident here and develop in parallel with the AzerbaijanianTurkophilia: both the nationalism and the phobia are based on Pan Islamic and Pan Turkic ideas. The significance of Azerbaijan land (especially Baku Oil, silkworm-breeding Nucha and the Mugan plantations) is great. The seizure of Azerbaijan is therefore totally inadmissible and granting a certain amount of independence to Azerbaijan is inevitable. The specifics of the optimum decision depend on the nature of Azerbaijan Nationalism. Creating National Azerbaijani Eurasian ideology is critical. A stance opposite to Pan Islamic Shiism should be adopted.

According to Trubetskoy, three national problems of Transcaucasia form the basis for the problems in Russian Foreign Policy. Armenia will switch to a British orientation if Russia adopts a supportive position with regard to Turkey and/or relies on Azerbaijan. Great Britain will try to bring Georgia into the fold of this orientation. As a result, Georgia will be turned into a British colony. Due to this, Anglophobia should be implanted in Armenians living in Georgia. Even though we rely on Armenians, we will have Azerbaijani supporters of Turkey in addition to the Russophobic Georgians.

The National Issue in Transcaucasia is complicated by the discord between different nations which a multiparty system and careful management should partially diffuse. Management should, in general, be carried out not on a territorial basis but according to national principles, which will reconcile ethnic disputes in autonomies with mixed populations. Nevertheless, in some fields, management should be carried out on the basis of the territorial principle. The current division of the Trans- Caucasus into three provinces should be abolished and three major districts set up instead. The Transcaucasia Ulus should be divided into small unities like the old “uyezd”, but the borders of these districts

should correspond to ethnographic and historical considerations, as well as everyday life and economic systems. The principle 'Divide and rule!', which has been historically attributed to Empires, should be used only against hostile foreign settlers. This principle is not useful in implanting in foreign people a sense of organic unity with the Seperpower. Despite the democratic image of the Georgian culture and lifestyle, Georgia remains an ethnographic unity, artificial division of which is impossible. For a long time, the spoken as well as Church and literary Georgian have been widely used by the literate in Georgia, Samegrelo, and Svaneti. Russia should confront this fact by pointing out that the formation of independent national unities is not reasonable historically. This doesn't mean that small peoples are to be absorbed by the Great Nations, though such aspirations exist in some districts of Transcaucasia and The North Caucasus. There is a tendency to Georgianize people in Abkhazia and South Osetia and Muslimize those living in the southern districts of Daghestan and Zacatala. In these cases, Russia should support national resistance movements. Trubetskoy goes on to argue that psychological factors should be taken into account in the outlying countries. Separatist ideas usually take shape in local intelligentsia, the predominant psychology of which espouses and applies the principle 'Better to be First in the village than the Last in the city'. Ministers behave like district officials. But 'Minister' sounds better. Those bearing the title of a minister defend the interests of an independent republic. The idea of Independence has historically matured in districts where the local intelligentsia is not numerous. In general, a body of the intelligentsia consists of foreign elements. After expelling foreigners, the ranks of the intelligentsia are considerably contracted in the young republic and every local member can easily make a career. Independence turns almost into a class movement of the local intelligentsia, a movement from which it profits. In spite of its class nature, the independence movement is carried out in the name of historical traditions, national culture, and so forth. The class nature of the struggle for independence is detrimental for the population because, on the one hand, it artificially increases the demand for new members of the intelligentsia and enhances the number of state officials, i.e. bureaucracy, while, on the other hand, it intensifies competition among the intelligentsia engaged in different fields. That's why simple people often have a hostile feeling towards the sovereign aspirations of the local intelligentsia, which was used by the Bolsheviks while suppressing the independence movements in the Trans-Caucasus republics. The Kabardian and Osetian nations of the North Caucasus have always been Russian oriented. It is not difficult for Russia to establish relationship with other small peoples in the region with the exception of Chechens and Ingushians, who have always been Russophobic. Russians deprived Ingushians of their only chance to survive by capturing raiding parties.

These tribes have an atavistic attitude toward work as a whole. The Chechens question is more complicated. Firstly, they are five times as numerous as the other small nations in the North Caucasus. Secondly, the reason for the Chechen Russophobia is that the Cossacks and other Russians have seized their fertile lands. And finally, there is Grozny oil: Chechens don't have any profit from their oil. Although Trubetskoy is convinced that there is no way to satisfy all their claims, he, nevertheless, thinks it is necessary to have a neighborly relationship with them. In his opinion, this should happen through incrementally increasing their level of education and involving their agriculture in the Russian economy. It would be good if the Bolsheviks could abolish such institutions as aristocracy and democracy in the region, as well as those of the elders and high church officials. At the same time, however, there is a danger that these people will be turned into outlaws. It seems paradoxical but almost all of Prince Trubetskoy's ideas are inspired by the aspiration to support the Soviet regime. As A. Sobolev noted, the works of the so-called Eurasianists were supported by GPU agents: P. Arapov, P. Malevsky-Malevich and others. It is evident from the tone and quality of their works that they wrote for the people living in Russia. Subsequently, instead of philosophic problems, they engage in ideology with their positions becoming exceedingly leftist, which was, of course, welcomed by National Bolshevists.

Another supporter of the Euro-Asianist doctrine and a famous historian L. Gumilyov considered the proletariat of the Soviet people the master of the Russian empire. In the context of the Euro-Asian ideology, Gumilyov was against interpreting Russian history as a series of captures of Trans- Caucasian lands and Russia as an empire created through violence, which was, therefore, doomed to be destroyed. The Romanovs: Michael, Alexander, and even Peter, continuously denied Georgia's request to become part of the empire. They didn't want to burden their shoulders. Only the Mad Tstar Paul I was persuaded by George XII to grant his request as a result of which the Georgian population rose from eight hundred thousand in 1800 to four million in 1900. Georgia used Russia's support and protection to repel the raids of the mountain tribes. At first sight, Trubetskoy's article can be considered as an anachronism because he is not making predictions about the 'Georgian' perspectives but rather stating facts, and specifically Georgia's pro- English orientation as well as Great Britain's interest in colonizing Georgia. Moreover, at the time this article was published (1925), democracy and sovereignty in Georgia had been abolished, the government had been forced to abdicate, and the national Uklonism ideology was brought under constraint. The rebellion in August 1924 had also been put down in blood and Georgia had finally become a member of the Soviet Union. At the same time, Abkhazia was independent and South Osetia was autonomous. As a matter of

fact, everything was the way Trubetskoy and the Bolsheviks wanted. We do not think that Trubetskoy was unaware of the actual situation or the forms and methods by which Georgia was turned into a Soviet republic: the Sovietization of Russia was after all the reason he immigrated. But we think he did know the historic truth about the "autonomous" republics which were carved out of Georgian territory. Trubetskoy is probably trying to be analytical and impartial in his endeavor to cut out a pattern of Transcaucasia's political present and future through applying the instrumentality of Euro-Asian ideology. I think he knows that the occupation and annexation of Georgia had a wide international reaction. Progressive forces in the West denounced the expansionist activities of the Boshevik Russia. The former government of Georgia used all tribunes to elucidate the situation. That is why Trubetskoy, just like Bolshevists, focuses his attention on the possible course of events and gives fairly useful suggestions to the Soviet Government: On the one hand, Georgia's right to be autonomous is beyond dispute. According to the great Russian mentor (Trubetskoy), however, this very fact is the cause of the Georgian separatism and many different Russian Governments have had to fight with it. Considering the interests of Russia in the first place, the author ignores the fact that Russia is ruled by the government unacceptable for him. So, this is only a gesture: for Trubetskoy, the Baku oil is of essential importance and he looks at Georgia's independence as a barrier that should be promptly overcame. He recommends finding some middling, which could be a pseudo-sovereignty within the Union of Soviet Socialistic Republics. However, this somehow should not become a reason for a possible Russophobia. Therefore, Georgian Nationalism has to be robbed of the elements of Europeanism. And the only way to achieve this is the universal panacea – a special Georgian form of Eurasian Ideology – True Nationalism. Another political aim pursued by Russia in Transcaucasia is the replacement of Anglophilia and Turkophilia by Russophilia. But how it can do this is not made clear by Trubetskoy either. Equipped with Turkish-Mongolian terminology, Trubetskoy considers the Transcaucasia as a conglomeration of Mongolian administrative units, like Ulus, without feeling a bit awkward about it. Moreover, he demands that these districts should correspond to ethnographic and historical factors, everyday life, and economic systems, like old 'uyezds', instead of dividing the Transcaucasia into 'large counties'. Trubetskoy coins a term 'Ruler Nation' but he doesn't explain if the term implies Russia or Soviet People, or if the two are synonymous. The only historical truth acknowledged by Trubetskoy is that Svaneti and Samegrelo are parts of Georgia and it is unwarranted to give them independence. On the other hand, Trubetskoy considers Abkhazia and South Osetia as non-Georgian lands and thinks that in the event that Georgians try to turn them into Georgian territories, Russia should support the 'National

Movement' of these peoples. This position, in fact, remains impervious with every Russian government: Abkhazia should adopt its official Abkhazian language; Russia should set Abkhazian Intelligentsia against Georgia. The local intelligentsia and bureaucracy are the issues that cause Trubetskoy's extreme irritation. It is clear for him that it is exactly these strata that represent the main intellectual adversary to oppose the 'incoming" elements. According to this Russian linguist, recognition of Georgia's independence is fraught with danger as it will foster intellectual labor and free competition among intellectuals. Trubetskoy encourages bolshevists who sow hatred in simple people toward the "class-specific intellectual independence" and create fertile grounds for phasing out the independence of the Transcaucasian republics. It should be mentioned that Gumilev goes even further when he speaks about the assimilation to one nation: he considers Russian as a common ethnic language and mentions Georgians alongside different ethnicities living in the region: Germans, Jews, Iranians, Mordvinians, Gypsies, Greeks, Maris, Bashkirs, Evenks, Yakuts, Buryats and Mongols. As a final point, I say that we are dealing with the Eurasian State model as an alternative to the Soviet Empire.

We found a newspaper series with the title The Eurasia (1929) at Slavonic Library in Prague with publications about the Soviet literary life. Among the articles included in the series we singled out the one showing a particular interest of Eurasianists in the works of the poets and prozaics of Soviet Georgia (G. Kikodze, T. Tabidze, I. Grishashvili).

The authors allude to a pseudo interview of G. Kikodze with a resident of a Georgian province in which he says that the Soviet Culture is, in fact, nothing else but a 'Eurasian Culture'.

I think neither these articles nor the fragments from the works of the aforementioned writers can allow one to assert that the confrontation of the writers of Soviet Georgia with the official course of the Soviet Culture resulted in the birth of the 'Eurasian (Georgian) Culture'. The truth is that Georgian men of letters never wished Georgia to be part of the utopian Eurasia; their yearning was to restore its independence. As for the ideologists of Eurasianism, their endeavors concerning the Soviet Union, as testified by the new material discovered by us, were aimed at achieving the political, economic, and cultural inversion.

წყაროები და გამოყენებული ლიტერატურა

ИСХОД К ВОСТОКУ. ПРЕДЧУВСТВИЯ И СВЕРШЕНИЯ. УТВЕРЖДЕНИЕ ЕВРАЗИЙЦЕВ. КНИГА 1, 1921

На путях. Утверждение Евразийцев. Книга вторая, Берлин 1922

Россия и латинство. Сборник статей», Берлин, 1923

Евразийский Временник , Книга третья, Берлин. 1923

Евразийский временник Книга четвертая Берлин 1925

Евразийский временник. Книга пятая Париж 1927.

Евразийский сборник. Книга шестая. Политика, философия, россиеведение», Прага, 1929

Тридцатые годы. Утверждение евразийцев. Книга седьмая, Париж, 1931

ЕВРАЗИЙСКАЯ ХРОНИКА. Выпуск XII. Берлин, 1937

1. Евразийство: Опыт систематического изложения. Париж: Евраз. кн. изд-во, 1926. 80 с.
2. Евразийство: Декларация, формулировка, тезисы. Прага: Евраз. кн. изд-во, 1932. 30 с.
3. По ту сторону коммунизма // Евразия. 1928. № 3. С. 1.
4. К преодолению марксизма // Там же. 1928. № 4. С. 1.
5. Государство и класс // Там же. 1928. № 5. С. 1.
6. Евразийство и эмиграция // Там же. 1928. № 6. С. 1.
7. Путь евразийства // Там же. 1929. № 8. С. 1.
8. Марксизм в русской революции // Там же. 1929. № 9. С. 1.
9. Огосударствление революции // Там же. 1929. № 10. С. 1.
10. От редакции // Там же. 1929. № 10. С. 1.
11. Два подхода // Там же. 1929. № 11. С. 1.
12. О коммунистической однопартийности // Там же. 1929. № 11. С. 1-2.
13. "Ленинизм" как оппозиция // Там же. 1929. № 12. С. 1-2.
14. Проблема идеократии // Там же. 1929. № 12. С. 1; № 13. С. 1; № 14. С. 1; № 15. С. 1; № 16. С. 1-2; № 17. С.1-2; № 18. С. 1-2; № 19. С. 1; № 20. С. 1-2; № 21. С. 1; № 22. С. 1
15. Борьба вокруг коммунизма // Там же. 1929. № 15. С. 2.
16. ВКП(б) и 16 Партконференция // Там же. 1929. № 23. С. 1-2.
17. Просчеты и действительность // Там же. 1929. № 25. С. 1-2.
18. Революция и интеллигенция // Там же. 1929. № 26. С. 3-4.
19. Евразийская индустриализация // Там же. 1929. № 26. С. 1; № 27. С. 1-2; № 28. С. 1.
20. О формах демократии // Там же. 1929. № 29. С. 1-2.

21. История и современность // Там же. 1929. № 30. С. 1-2.
22. К типологии новой культуры // Там же. 1929. № 31. С. 1-2; № 32. С. 1-2.
23. От необходимости к свободе // Там же. 1929. № 33. С. 1-2.
24. Россия и революция // Там же. 1929. № 34. С. 1-2.
25. К оценке современности // Там же. 1929. № 35. С. 1-2.
26. Евразийство и СССР // Там же. 1929. № 35. С. 3.
27. Ishboldin B. The Eurasium Movement // The Russian Review. Vol. 5. No. 2. 1946. P. 64-73.
28. Струве Г. П. Русская литература в изгнании: Опыт исторического обзора зарубежной литературы. 2-е изд., испр. и доп. Париж: YMCA-PRESS, 1984. 426 с.
29. Босс О. Учение евразийцев / Пер. с нем. Н. А. Никоновой и А. А. Троянова // Начала. 1992. № 4. С. 89-98.
30. Рязановский В. А. Обзор русской культуры: Исторический очерк. New York: Grenich Printing Corp., 1948. Ч. 2. Вып. 2. 214 с. Из содерж.: [Евразийство]. С. 170-172.
31. Riasanovsky N. V. The Emergence of Eurasianism // California Slavic Studies. 1967. Vol. 4. P. 39-72.
32. Рязановский Н. В. Возникновение евразийства / Пер. И. Виньковецкого // Звезда. 1995. № 2. С. 29-44. Пер. с англ.
33. Riasanovsky N. V. Asia Through Russian Eyes // Russia and Asia. Essays on the Influence of Russia on the Asian Peoples. Stanford, 1972. P. 3-29.
34. МАРК БАССИН, Россия между Европой и Азией: Идеологическое конструирование географического пространства, http://polit.ru/article/2005/04/12/bassin/
35. Williams R. C. Culture in Exile. Russian Emigr? s in Germany, 1881-1941. Ithaca: Cornell University Press, 1972.
36. Агурский М. Идеология национал-большевизма. Париж, 1980, С. 98-102
37. Люкс Л. Евразийство / Пер. с нем. Н. Бурихина // Вопр. философии. 1993. № 6. С. 105-114.
38. Игнатов А. "Евразийство" и поиск новой русской культурной идентичности / Пер. с нем. В. К. Кантора // Вопр. философии. 1995. № 6. С. 49-64.
39. Halperin Ch. J. George Vernadsky, Eurasianism, the Mongols, and Russia // The Slavic Review. 1983. Vol. 41. P. 477-483.
40. Halperin Ch. J. Russia and the Steppe: George Vernadsky and Eurasianism // Forschungen zur osteurop? ischen Geschichte. 1985. Bd. 36. S. 55-194.
41. Liberman A. N. S. Trubetzkoy and His Works on History and Politics // Trubetzkoy N. S. The Legacy of Genghis Khan and Other Essays on Russia's Identity. Ann Arbor, 1991. P. 293-375.

42. Новикова Л.И.,Сиземская И. Н. Евразийский искус // Философ. науки. 1991. № 12. С. 103-108.
43. Новикова Л. И., Сиземская И. Н. Евразийский соблазн // Русская философия истории: Курс лекций / Ин-т "Открытое общество". М., 1997. С. 276-289.
44. Новикова Л., Сиземская И. Политическая программа евразийцев: реальность или утопия? // Обществ. науки и современность. 1992. № 1. С. 104-109.
45. Новикова Л., Сиземская И. Два лика евразийства // Своб. мысль. 1992. № 7. С. 100-110.
46. Новикова Л., Сиземская И. Евразийский искус // Мир России - Евразия. М., 1995. С. 5-20.
47. Исаев И. А. Идейный крах сменовеховства: (о политической программе "евразийства") // Буржуазные и мелкобуржуазные партии России в Октябрьской революции и гражданской войне: Мат-лы конф. М., 1980. С. 10-17.
48. Исаев И. А. Геополитические аспекты тотальности: евразийство // Тоталитаризм как исторический феномен. М., 1989. С. 203-222.
49. Исаев И. А. Идеи культуры и государственности в трактовке "евразийства" // Проблемы правовой и политической идеологии. М., 1989. С. 49-53.
50. Исаев И. А. Евразийство: миф или традиция? // Коммунист. 1991. № 12. С. 106-118.
51. Исаев И. А. Политико-правовая утопия в России: Конец XIX - нач. XX в. М.: Наука, 1991. Из содерж.: [Геополитическая утопия "евразийства"]. С. 203-233.
52. Исаев И. А. Геополитические корни авторитарного мышления: Ист. опыт евразийства // Формирование административно-командной системы в 20-30 годы: Сб. ст. М., 1992. С. 132-146.
53. Исаев И. А. Утописты или провидцы? // Пути Евразии. М., 1992. С. 3-26.
54. Исаев И. А. Геополитические корни авторитарного мышления: Ист. опыт евразийства // Дружба народов. 1993. № 11. С. 139-149.
55. Исаев И. А. Евразийство: идеология государственности // Общественные науки и современность. 1994. № 5. С. 42-55.
56. Исаев И. Евразийството: Идеология на държавността // Проблеми на културата. София, 1997. No. 71. С. 43-57.* На болг. яз.
57. Волкогонова О. Д. Евразийство: эволюция идеи // Вест. МГУ. Сер. 7, Философия. 1995. № 4. С. 26-43.
58. Волкогонова О. Д. Судьба России: Восток или Запад? // Культура и творчество. Тверь, 1995. С. 130-142.

59. Волкогонова О. Д. Образ России в философии Русского Зарубежья. М., 1998. С. 43-76.
60. Омельченко Н. А. Споры о евразийстве: Опыт исторической реконструкции // ПОЛИС. 1992. № 3. С. 156-163.
61. Омельченко Н. А. В поисках России: Обществ.-полит. мысль русского зарубежья о революции 1917 г., большевизме и будущих судьбах российской государственности. СПб.,1996. С. 139-177.
62. Пономарева Л. В. Евразийство и его место в русской западноевропейской историко-философской традиции // Евразия: Ист. взгляды рус. эмигрантов. М., 1992. С. 3-9.
63. Пономарева Л. В. Вокруг евразийства: Споры русской эмиграции // Евразия: Ист. взгляды рус. эмигрантов. М., 1992. С. 10-18.
64. Пономарева Л. В. Евразийский синтез // Евразия: Истор. взгляды рус. эмигрантов. М., 1992. С. 120-123.
65. Пономарева Л. В. Идеи евразийства и доктрина "испанидад" Рамиро де Маэстру // Культурное наследие российской эмиграции 1917-1940гг. М., 1994. Кн. 1. С. 116-122.
66. Вандалковская М. Г. Историческая наука российской эмиграции в Европе в 20-е - 30-е гг.: (Основные центры, направления и проблемы) // Культурное наследие российской эмиграции 1917-1940. Москва: Наследие, 1994. Кн. 1. С. 71-79.
67. Вандалковская М. Г. Историческая наука российской эмиграции: "Евразийский соблазн" / РАН. Ин-т рос. нстории. М., 1997. 349 с.
68. Хоружий С. С. Карсавин и де Местр // Вопр. философии. 1989. № 3. С. 79-92.
69. Хоружий С. С. Россия, Евразия и отец Георгий Флоровский // Начала. 1991. № 3. С. 22-30.
70. Хоружий С. С. Философский процесс в России как встреча философии и православия // Вопр. философии. 1991. № 5. С. 26-57.
71. Хоружий С. С. Карсавин, евразийство и ВКП // Вопр. философии. 1992. № 2. С. 78-84.
72. Хоружий С. С. Трансформация славянофильской идеи в 20 веке // Вопр. философии. 1994. № 11. С. 52-62.
73. Соболев А. В. Полюса евразийства: Л. П. Карсавин (1882-1952), Г. В. Флоровский (1893-1979) // Новый мир. 1991. № 1. С. 180-182.
74. Соболев А. Князь Н. С. Трубецкой и евразийство // Лит. учеба. 1991.№ 6. С. 121-130.
75. Соболев А. В. Своя своих не познаша: Евразийство: Л. П. Карсавин и другие: (конспект исследования) // Начала. 1992. № 4. С. 49-58.

76. Казнина О. А. Д. П. Святополк-Мирский и евразийское движение // Начала. 1992. № 4. С. 81-88.
77. Казнина О. А. Н. С. Трубецкой и кризис евразийства // Славяноведение. 1995. № 4. С. 89-91.
78. Кожинов В. Историософия евразийцев // Наш современник. 1992. № 2. С. 140- 144.
79. Кожинов В. О евразийской концепции русского пути // Евразия: Народы. Культуры. Религии. 1997. № 1-2. С. 12-19.
80. Ключников С. Русский узел евразийства // Наш современник. 1992. № 3. С. 174-180.
81. Ключников С. Восточная ориентация русской культуры // Русский узел евразийства: Восток в рус. мысли. М., 1997. С. 5-70.
82. Очирова Т. Н. Евразийство и пути русского исторического самопознания // Изв. РАН. Сер. лит. и яз. 1993. Т. 52, № 4. С.34-47.
83. Очирова Т. Н. Геополитическая концепция евразийства // Обществ. науки и современность. 1994. № 1. С. 47-55.
84. Гумилев Л. Н. Заметки последнего евразийца // Наше наследие. 1991. № 3. С. 19-34.
85. Гумилев Л. Н. "...Если Россия будет спасена, то только через евразийство": Интервью с Л. Н. Гумилевым // Начала. 1992. № 4. С. 4-16.
86. Гумилев Л. Н. Заметки последнего евразийца: (Предисловие Л. Н. Гумилева к сочинениям Н. С. Трубецкого) // Гумилев Л. Н. Ритмы Евразии: Эпохи и цивилизации. М., 1993. С. 33-66. Печат. по рукописи.
87. Гумилев Л. Н. "Меня называют евразийцем...": (Отрывок из интервью Андрея Писарева с Л. Н. Гумилевым) // Там же. С. 23-24.
88. Гумилев Л. Н. Скажу вам по секрету, что если Россия будет спасена, то только как евразийская держава: [Интервью Игоря Савкина с Л. Н. Гумилевым] // Там же. С. 25-32.
89. Гумилев Л. Н. Историко-философские труды князя Н. С. Трубецкого (Заметки последнего евразийца) // Трубецкой Н. С. История. Культура. Язык. М., 1995. С. 5-28.
90. Панарин А. С. Православная цивилизация в глобальном мире, М., 2002.
91. Дугин А.Консервативная революция, М., 1994. С. 24-25
92. Гачева А., Неизвестные страницы евразийства конца 1920-1930-х годов. К.А. чхеидзе и его концепция совершенной идеократии, Вопросы философии, №9, 2005, с. 147-167
93. Марлен Ларюэль, «Идеология русского евразийства, или Мысли о величии империи», М., 2004
94. Marlène Laruelle, Russian Eurasianism: An Ideology of Empire, Woodrow Wilson Center Press with Johns Hopkins University Press, 2008

95. Марлен Ларюэль, Мыслить Азию или мыслить Россию?, «Неприкосновенный запас» 2003, №3(29)
96. Патрик Серио, Структура и целостность. Об интеллектуальных истоках структурализма в Центральной и Восточной Европе 1920-30 гг, М., 2001
97. ვ. პაპავა, „ცენტრალური კავკასიის“ გეოპოლიტიკური როლის შესახებ, კავკასია აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, თბ. 2012, გვ. 557-568
98. ВЛАДИМИР ПАПАВА, ЦЕНТРАЛЬНАЯ КАВКАЗИЯ: ОСНОВЫ ГЕОПОЛИТИЧЕСКОЙ ЭКОНОМИИ, АНАЛИТИЧЕСКИЕ ЗАПИСКИ, № 1, 2007
99. Ismailov Eldar, Papava Vladimer. The Central Caucasus: Essays on Geopolitical Economy. Stockholm, CA&CC Press, 2006, P. 10.
100. Tchantouridze Lasha. After Marxism-Leninism: Eurasianism and Geopolitics in Russia. In: Geopolitics: Global Problems and Regional Concerns. Ed. by Lasha Tchantouridze. Winnipeg, Centre for Defence and Security Studies, University of Manitoba, 2004.
101. გ. ჯოხაძე, საქართველო-რუსეთის ურთიერთობის საკითხისათვის, (თავად ნ. ს. ტრუბეცკოის ერთი სტატიის გამო), ქართული დიპლომატია, წელიწდეული, XI, 2005
102. გ. ჯოხაძე, მონღოლური მითი და ქართული სინამდვილე, ქართული დიპლომატია, წელიწდეული, XII, 2006
103. თ. ბოლქვაძე, იდეოლოგიზებული ღირებულებები, თბ., 2005
104. Tinatin Bolkvadze, The Role of Literary Languages in the Soviet Linguistic Policy , Totalitarianism and Literary Discourse:20th Century Experience, Cambridge Scholars Publishing, 2011, p.15-26
105. მ. მაცაბერიძე, პეტრე სავიცკი - რუსული ევრაზიელობის გეოპოლიტიკური საფუძვლები, http://www.politscience.info/pictures/petre%20savicki-2015.pdf
106. Липич Т. И. «К характеристике славянофильства». «Научные ведомости Белгородского государственного университета. Серия: Философия. Социология. Право», т. 8, № 4, 2008. С. 151-157
107. Левицкий С., Трагедия свободы,Белорусский Экзархат, 2011
108. Г. Гегель., Сочинения, том 2, М., 1934, с. 334
109. Фридрих Вильгельм Йозеф ШЕЛЛИНГ, СОЧИНЕНИЯ В ДВУХ ТОМАХ, ТОМ 1, МОСКВА., 1987, с. 227
110. Ключевский В.О., Курс русской истории, Соч. В 9 томах, т. 1, М.,1987, с. 65
111. Кизеветтер А., Реформы Петра Великого в сознании русского общества//Русское богатство, 1898 №10, с. 38
112. Гегель Г.В.Ф. Энциклопедия философских наук, М.,1974, Т.1., с. 183
113. Одоевский В.Ф., Русские ночи, Л., 1975, с. 148,182
114. Чаадаев П.Я., Философские письма//Соч. М., 1989, с.18

115. Киреевский И.В., Девятнадцатый век//Полн. Собр. Соч. М., 1861, т.1., с. 75, 82
116. Зеньковский В.В., История русской философии, Л., 1991, т.1., Ч.1, с. 216
117. Бердяев Н.А. А.С. Хомяков как философ, Типы религиозной мысли в России». YMKA-PRESS, Paris, 1989, с. 60-67
118. Хомяков А.С., По поводу Гумбольдта, Соч. М., 1990, Т. 1, с. 174
119. Хомяков А.С., Мнение иностранцев о России, Хомяков А.С., О Старом и новом, Статьи и очерки, М., 1988, с. 102
120. Кириллов И., Третий Рим. Очерки исторического развития русского мессианизма, М., 1914, с. 67
121. Аксаков К.С., Записка о внутреннем состоянии России, представленная государю императору Александру II, Ранние славянофилы, Сост., Н.Л.Бродский, М., 1910, с. 69-96
122. Аксаков К.С., Краткий исторический очерк земских соборов, Полн. Собр. Соч. М., 1889, Т.1., с. 279
123. Чижевский Д. Князь Николай Трубецкой // Современные записки. 1939. Кн. 68. С. 445–467
124. N.S. Trubetzkoy's Letters and Notes /Prepared for publication by R. Jakobson, with the assistance of H. Baran, O. Ronen and M. Taylor. The Hague; Paris: Mouton, 1975
125. Клейнер Ю.А. Н.С. Трубецкой: Биография и научные взгляды //Ученые записки высших учебных заведений Литовской ССР [Kalbotyra]. Т. 35 (1985). № 3. С. 98–110
126. Топоров В.Н. Николай Сергеевич Трубецкой – ученый, мыслитель, человек: К 100-летию со дня рождения // Советское славяноведение. 1990. № 6. С. 51–84; 1991. № 1. С. 78–99;
127. Кондратов Н.А., Н.С. Трубецкой: К 100-летию со дня рождения // Русский язык в школе. 1990. № 2. С. 98–103
128. Журавлев В.К Н.С. Трубецкой: К 100-летию со дня рождения //Русская речь. 1990. № 2. С. 91–96
129. Нерознак В.П. Слово о Н.С. Трубецком: К 100-летию со дня рождения // Известия РАН. Серия «Литература и язык». Т. 49 (1990). № 2. С. 148–151
130. Николай Сергеевич Трубецкой: К 100-летию со дня рождения // Вестник МГУ. Сер. 9. Филология. 1990. № 3. С. 3–9
131. Соболев А. Князь Н.С. Трубецкой и евразийство // Литературная учеба. 1991. № 6. С. 121–130;
132. Петр Сувчинский и его время / Под ред. А. Бретаницкой. М.: Композитор, 1999.

133. The Letters of D.S. Mirsky to P.P. Suvchinskii, 1922–1931 / Ed. by G.S. Smith. Birmingham: Univ. of Birmingham, 1995 (– Birmingham Slavonic monographs, 26);
134. Smith G.S. D.S. Mirsky: A Russian-English Life, 1890–1939. N.Y.: Oxford Univ. Press, 2000;
135. Святополк-Мирский Д.П. Поэты и Россия: Статьи, рецензии, портреты, некрологи / Сост., подгот. текстов, прим. и вступ. ст. В.В. Перхина. СПб., Алетейя, 2002.
136. Вернадский Г.В. П.Н. Савицкий, 1895–1968 //Новыйжурнал. Кн. 92 (1968). С. 273–277;
137. Дурновцев В.И., Кулешов С.В. Жизнь и судьба П.Н. Савицкого // Культурное наследие российской эмиграции, 1917–1940 гг. М., 1994. Кн. 1. С. 144–152;
138. Дурновцев В.И. Петр Николаевич Савицкий (1895–1968) // Историки России XVIII–XX веков /Ред. – сост. А.А. Чернобаев. Б.м., 1999 (– Прил. к журналу «Исторический архив». Вып. 6). С. 111–123;
139. Степанов Н.Ю. Идеологи евразийства: П.Н. Савицкий // Евразия: Исторические взгляды русских эмигрантов: Сб. ст. / Отв. ред. Л.В. Пономарева. М.: ИВИ РАН, 1992. С. 156–163.
140. Быстрюков В.Ю. В поисках Евразии. Самара, 2007
141. Трубецкой Н.С. Финская песнь Kulto Neito как переживание языческого обычая // Этнографическое обозрение. Т. XVII (1905). № 2–3. С. 231–233;
142. Он же. К вопросу о «Золотой Бабе» //Этнографическое обозрение. Т. XVIII (1906). № 1–2. С. 52–62;
143. Он же. [Рец. на:] Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа,
Вып. XXXVII, отд. 3, Тифлис, 1907 // Этнографическое обозрение. Т. XX (1908). № 3. С. 146–151
144. Трубецкой Н.С. Кавказские параллели фригийскому мифу о рождении из камня (-земли) // Этнографическое обозрение. Т. XX (1908). № 3. С. 88–92
145. Он же. Ределя на Кавказе //Этнографическое обозрение. Т. XXIII (1911). № 1–2. С. 229–238;
146. Он же. О стихе восточно-финских песен // Известия Общества любителей естествознания, антропологии и этнографии. 1914.
147. Топоров В.Н. Николай Сергеевич Трубецкой – ученый, мыслитель, человек (к столетию со дня рождения) // Н.С. Трубецкой и современная филология. М.: Наука, 1993
148. Трубецкой Н.С. Степан Кирович Кузнецов: Личные впечатления //Этнографическое обозрение. Т. XXV (1913). № 1–2. С. 325–331

149. Симеонов Б. Николай Сергеевич Трубецкой в Болгарии // Болгарская русистика. 1976. Вып. 2. С. 43.
150. См.: Трубецкой Н.С. К украинской проблеме //Евразийский временник. Париж: Евразийское книгоиздательство, 1927. Кн. V. С. 165–184;
151. Он же. Ответ Д.И. Дорошенку //Евразийская хроника. Париж, 1928. Вып. X. С. 51–59
151. Серио П. Структура и целостность: об интеллектуальных истоках структурализма в Центральной и Восточной Европе, 1920-1930-е гг. / Авториз. пер. с фр. Н.С. Автономовой. М.: Языки славянской культуры, 2001.
152. Андреев Н.Е. То, что вспоминается: Из семейных воспоминаний Николая Ефремовича Андреева (1908–1982) / Сост. и предисл. Е. Андреевой; под ред. Е.Н. и Д.Г. Андреевых. Таллинн: Авенариус, 1996. Т. II. С. 93.
153. Войцеховский С.Л. Трест: Воспоминания и документы. Лондон: Онтарио, 1974. С. 29.
154. Глебов С., Евразийство между империей и модерном, М., 2010
155. Балтийско-русский сборник. Кн. II: Материалы по истории русской жизни в Риге и Каунасе. Из архива Гуверовского института / Под ред. Б. Равдина и Л. Флейшмана. Stanford: Department of Slavic Languages and Literatures, Stanford University, 2007 (– Stanford Slavis Studies. Vol. 28). С. 290–291,295-297,306–312, 323–324, 327.
156. НикулинЛ.В. Мертвая зыбь: Роман-хроника. М.: Воениздат, 1965. С. 113–114.
157. Л о т м а н Ю. М. Редакционная статья. «Труды по знаковым системам». Вып. 15. Тарту, 1982, с. 5-6.
158. Бицилли П. А. «Восток» и «Запад» в истории Старого Света. «Евразийская хроника».
Вып. 2. Прага, 1925, с. 337.
159. Трубецкой Н. С. Русская проблема. «Евразийская хроника». Вып. 2. Прага, 1925, с. 313—314.
160. Флоровский Г. В. О народах неисторических. «Исход к Востоку». София 1921 с 54
161. Трубецкой Н. С. Об идее-правительнице идеократического государства. «Евразийская хроника». Вып 11. Берлин, 1935, с. 35.
162. Зеньковский В.В. Идея Православной культуры 1 Православие и культура. Берлин: Русская книга, 1923, с. 41.
163. Волгин М.Н. Закон живой идеи. «Евразийская хроника». Вып. 3. Прага, 1925, с. 46. 164. Евразийство. Опыт систематического изложения, с. 52. 20
165. Ш-в. А. О правящем отборе. «Евразийский сборник». Кн. 6. Прага, 1929, с. 41 —42.

166. М а к ш е е в Н. А. О воспитании ведущего отбора (идеократии). «Евразийская хроника». Вып. 12. Берлин, 1937, с. 45.
167.Т р у б е ц к о й Н. С. Идеократия и армия. «Евразийская хроника». Вып. 10. Париж, 1928, с. 3.
168. Трубецкой Н. С. О государственном строе и форме правления. «Евразийская хроника».Вып. 8. Париж, 1927, с. 7—8.
169. Алексеев Н. Н. Евразийцы и государство. «Евразийская хроника». Вып. 9. Париж, 1927, с. 34.
170. Игорь ИСАЕВ, Евразийство: идеология государственности, http://ecsocman.hse.ru/data/718/894/1217/005_Isaev.pdf
171. ОТТОН ИЗ ФРЕЙЗИНГА, Хроника или история о двух царствах, http://www.vostlit.info/haupt-Dateien/index-Dateien/O.phtml?id=2055
172. ა. გოგოლაძე, იოანე პრესვიტერის ლეგენდის ისტორიული და ბიბლიური საფუძვლების შესახებ, თბ., 2005
173. Prester John: Fiction and History by Meir Bar-Ilan, https://faculty.biu.ac.il/~barilm/presjohn.html
174. kakabaZe ნ., vin iyo ioane xucesi, Jurn. „jvari vazisa", Tb., 1989
175. asaTiani n., daviT rusudanis Zis (narinis) monRolTa winaaRmdeg ajanyebis sakiTxisaTvis (werili pirveli), saistorio Studiebi, II, Tb; 2001
176. asaTiani n., daviT rusudanis Zis (narinis) monRolTa winaaRmdeg ajanyebis sakiTxisaTvis (werili meore), saistorio Studiebi, II, Tb; 2004
177. gvritiSvili d., narkvevebi saqarTvelos istoriidan (XIII_XIV ss.), Tb., 1962
178. karpini plano, istoria monRolebisa, romelTac Cven TaTrebs veZaxiT, Targmani g. qiqoZisa, masalebi saqarTvelosa da kavkasiis istoriisTvis, II, 1942
179. niniZe d., bagrationTa samefo saxlis ganStoebaTa istoria, Tb., 2003
180. joxaZe g., XIII_XIV ss. saqarTvelos eklesiis istoriidan, Tb., 2003
181. Гумилев Л.Н., В поисках вымышленного царства, http:// gumilevica. Kulicki. net/SIK03. Htm
182. История монголов по армянским источникам, вып. II, перевод и объяснения К. П. Патканова, СПБ, 1874
183. Ж. Ле Гофф., Средневековая цивилизация, http: // vf. narod.ru/ classik/le-goff.gLVI. htm
184. Петр Савицкий и Петр Сувчинский — переписка, судьба евразийцев, http://rus-istoria.ru/component/k2/item/1032-petr-savitskiy-i-petr-suvchinskiy-%E2%80%94-perepiska-sudba-evraziytsev
185. Исаев И.А., История политических и правовых учении России XI-XX вв., М., 1995, с. 367
186. Трубецкой Н.С., Об идее-правительнице идеократического государства/Евразийские хроники. Вып. XI. Париж, 1925
187. ПЕТР САВИЦКИЙ: ПОДДАНСТВО ИДЕИ. http://yeurasia.org

188. Левицкий С., Трагедия свободы,Белорусский Экзархат, 2011
189. Письма и заметки Н.С. Трубецкого. Языки славянской культуры, М., 2004
190. Трубецкой Н.С., Наследие Чингисхана//Европа и человечество, М., 2007, с.94
191. Трубецкой Н.С., Мысли об автаркии//Новая эпоха: Идеократия. Политика. Экономика., Нарва., 1933, с. 25-26
192.Трубецкой Н.С., Верхи и низы русской культуры: этническая основа русской культуры//Исход к Востоку., София, 1921, с. 96
193. Антощенко А.В., Евразия или Святая Русь?, Петрозаводск, 2003, с. 126-127
194. Савицкий П.Н., Континент Евразия, М., 1997, с. 43
195. Ларюель М., Идеология русского евразийства или мысли о величии империи/ Перевод с французского, М., 2004, с. 142
196. А. Дугин, МИСТЕРИИ ЕВРАЗИИ, http://www.arcto.ru/article/68
197. fsalmunni da locvani, Tb., 2011
198. biblia, saqarTvelos sapatriarqo
199. Ф. Тютчев, Русская география, http://feb-web.ru/feb/tyutchev/texts/tss/tss-1523.htm
200. 6. Афанасий великий, Толкование на псалмы, http://simvol-veri.ru/xp/afanasiie-velikiie.-tolkovanie-na-psalmi.html
201. Соболев А. В. Князь Н. С. Трубецкой и евразийство, М., 1991, № 6;
202. Гумилев Л. Н, «Меня называют евразийцем...», «Наш современник», М.,1991, №1
203. Н.С. Трубецкой, О народах Кавказа, http://www.gumilev-center.ru/nikolajj-trubeckojj-o-narodakh-kavkaza/
204. Н.Ю. Степанов, «Попытки практической работы евразийцев в Европе, как политической организации в 1920-1930-х годах». http://www.kulichki.com/~gumilev/GW/gw312.htm
205. С.М. Половинкин., Евразийство и русская эмиграция//Трубецкой Н.С. История. Культура. Язык М., 1995
206. С.С. Хоружий., Евразийство и ВКП// Вопросы философии 1992, №2
207. А. Саакянц, «Марина Цветаева. Жизнь и творчество», Часть 2 «Заграница 7. Последняя Франция (1937-июнь 1939) Сентябрь 37-го - июнь 39-го. http://tsvetaeva.narod.ru/WIN/saakyan/saakMT32.html
208. А. Исаев, Евразийство: идеология государственности// Общественные науки и современность 1994 №5
209. М. Ларюэль «Идеология русского евразийства или мысли о величии империи М., 2004
210. Классическое левое евразийство. История. Основные труды. http://www.gumilev-center.az/klassicheskoe-levoe-evrazijjstvo-istoriya-osnovnye-trudy

211.В. Межуев., Национальная культура как явление и понятие, http://4pera.ru/news/analytics/natsionalnaya_kultura_kak_yavlenie_i_ponyatie/
212. Григорьев Я., Кризис старых попутчиков, «На литературном посту», 1927, № 20
213. Ермилов В., Буржуазия и попутническая литература, «Ежегодник литературы и искусства на 1929“
214. Журнал „На литературном посту», хроника, 1929, февраль 3, №3
215. Lives and Legends of the Georgian Saints, St. Vladimir's Seminary Pr., N.e. of 2 r.e. edition (March 1997) by David Marshall Lang, p. 249-252
216.ს. ვარდოსანიძე, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1927-1952 წწ., თბ., 2001, გვ. 104-135
217. ტ. ტაბიძე, ლექსები, პოემები, პროზა, წერილები, თბ., 1985, გვ. 111-113
218. კ. ჰამსუნი, შიმშილი, თბ., 2010
219. Иванчик А. И. Накануне колонизации. Северное Причерноморье и степные кочевники VIII—VII вв. до н. э. в античной литературной традиции: фольклор, литература и история, М., Берлин. , 2005
220.Волошин М.А., Путник по вселенным, М., 1990
221. Мифы народов мира. М., 1991-92., Т.2.1991-1992, с. 592
222. Муза. Отрывки из дневника и другие тексты Веры Судейкиной (Стравинской)/ იხ.: Experiment / IMRC. Vol. 13: Los Angeles, 2007
223. დ.დ., კრიტიკა და ბიბლიოგრაფია, გაზ., „კომუნისტი“, 1928, 22.05., №93, გვ.5
224. Б. Б у а ч и д з е, Закат творчества. — В его кн.: Творческие вопросы грузинской литературы, Тифлис, 1933, с. 343, 348
225. გაზ. „პოეზიის დღე“, 1924, N5, 7/5, გვ.2
226. დ. ლენგი, საქართველოს სამეფოს უკანასკნელი წლები, თბ., 2003, გვ.237
227. გაზ. „ჩვენი ერთობა“, 1925, 26 მაისი
228. გ. ქიქოძე, პოლიტიკური წერილები, თბ., სამხედრო სამინისტროს სტამბა, 1920, გვ. 12
229. გ. ქიქოძე, არიფიონი ჰერეთში, არიფიონი, კრებული პირველი, თბ., 1928, გვ. 359-375
230. შ. ამირეჯიბი, სტალინი, ამირანი, ოპოზიციური ლიტერატურულ-მხატვრული საზოგადოებრივ-პოლიტიკური კრებული, განათლება, თბ., 1990, გვ. 82-86
231. გ. რობაქიძე, ომი და კულტურა, წერილები, ესეები, ლიტერატურული პორტრეტები, რუსულიდან თარგმნეს მანანა კვატაიამ და ნათია ორმოცაძემ, არტანუჯი, თბ., 2014, გვ. 455-456

გამომცემლობა **„უნივერსალი“**

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი გრიგოლ (გია) ჯოხაძე ისტორიულ პრობლემებზე დაწერილი შვიდი წიგნისა და მრავალი სამეცნიერო სტატიის ავტორია: ,,ავგუსტინესეული პროვიდენციალიზმი და ჟამთააღმწერლის რელიგიური მსოფლმხედველობა“ (1998); მე-13-14 სს. საქართველოს ეკლესიის ისტორიიდან“ (2003); ,,ისტორიული ესსეები“ (ორ ტომად) (2005); ,,ადამიანისსახა ისტორია. ისტორიული ანთროპოლოგიის შესავალი“ (2008); Terra Historica ნარკვევები (2015). აღსანიშნავია მისი მონოგრაფიები: ,,თ.ს. ელიოტის ,,მკვლელობა ტაძარში“ (2004); ,,იოსიფ ბროდსკი, მშვენიერი ეპოქის დასასრული“ (2008); ,,თ.ს. ელიოტის ,,ბერწი მიწა“: ჰერმენევტული ინტერპრეტაციები“; ,,ევრაზიული საცდური: პოლიტიკური, ისტორიული და ფილოსოფიური ასპექტები“ (2015) და მხატვრული და სამეცნიერო ტექსტების თარგმანები.

ISBN 978-9941-22-657-1